

ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISSN 1987-7323

E-ISSN 27 20-7900

<https://doi.org/1052340/lac>.

<https://journals.4science.ge/index.php.enadakultura>

**IX საერთაშორისო (დისტანციური)  
სამეცნიერო კონფერენცია "ენა და კულტურა"**

**შ რ ო მ ე ბ ი**

Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences  
Akaki Tsereteli State University

**IX International (Online) Scientific Conference  
"Language and Culture"**

**Scientific Papers**

ქუთაისი 2024 Kutaisi

## კონფერენციის შრომების სარედაქციო კოლეგია:

- თამარ ლომთაძე** - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორი, პასუხისმგებელი რედაქტორი
- მანანა მიქაძე** - ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის პრეზიდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მთავარი რედაქტორი
- ირმა რუსაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- ინგა სანიკიძე** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- რამაზ სვანიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- ნათელა ფარტენაძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
- ელისო ქორიძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- სოფიკო ყიფიანი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
- ნინო ძამუკაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## Editorial Board:

- Nino Dzumukashvili** - Iakob Gogebashvili State University, accos. Professor
- Sopio Kipiani** - Akaki Tsereteli State University, asisst.-professor
- Eliso Koridze** - Akaki Tsereteli State University, Full-professor
- Tamar Lomtadze** - Vice President of the Foundation for Development of Art and Pedagogical sciences; Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Arn. Chikobava Institute of Linguistics, Full Professor, Responsible Editor
- Manana Mikadze** - Head of the Foundation for Development of Art and Pedagogical sciences; Akaki Tsereteli State University, Full-professor, Chief Editor
- Irma Rusadze** - Akaki Tsereteli State University, accos.-professor
- Inga Sanikidze** - Iv. Javakhishvili State University, accos. Professor
- Ramaz Svanidze** - Akaki Tsereteli State University, accos.-professor
- Natela Partenadze** - Shota Rustaveli State University, accos.-professor

**Tamar Alphaidze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[tamunaalpaidze@gmail.com](mailto:tamunaalpaidze@gmail.com)[tamar.alphaidze@atsu.edu.ge](mailto:tamar.alphaidze@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.01>

## The Role of Multimedia in Language Teaching

**Key words:** Multimedia, Language Teaching, Age of technology

We live in an age of technology. New gadgets and devices are introduced into our life every day with the promise they will enrich our lives. Technologies have influenced every aspect of our lives. Multimedia is an advanced technology that facilitates integration of text, data, image, graphics, audio, video animation in digital form. Multimedia is information displayed in picture/sound form and it does not include plain text exclusively. Thus, Multimedia is a combination of text, graphics, audio and video. These components can contribute differently to the learning of material.

Therefore, new era has assigned new challenges and duties to modern teachers. There are a number of techniques applicable in language learning situation. These techniques can be used in learning process to make lectures more encouraging and interesting.

There are some ways in which multimedia can be used in language teaching to enhance the learning experience for students.

1. **Online language learning platforms:** Using online platforms like Duolingo, Rosetta Stone, or Babbel can provide interactive language lessons, a diversity of vocabulary exercises, and speaking practice.

2. **Language learning apps:** Mobile apps such as HelloTalk, or Tandem allow learners to practice their language skills through flashcards, audio exercises, and language exchange with native speakers.

3. **Video conferencing tools:** Platforms like Skype or Zoom enable remote language lessons with native-speakers.

4. **Virtual reality (VR) and augmented reality (AR):** technologies like VR and AR can create virtual environments where learners can practice language skills in simulated real-life contexts, such as ordering food at a restaurant or navigating through a city.

5. **Online language resources:** providing students with online resources like dictionaries, grammar websites, and language learning forums.

6. **Language learning games:** Using educational games, such as language puzzles, crossword puzzles, or word association apps, can make language learning more enjoyable and impressive.

7. **Digital storytelling tools:** certain platforms allow learners to create digital stories, promoting creativity, writing skills, and vocabulary acquisition.

8. **Multimedia content:** Utilizing authentic materials like YouTube videos, podcasts, or online news articles can expose students to real-world language usage and provide topics for discussion and comprehension exercises.

Many English teachers around the world consider English as a foreign language (EFL) model. In this case they teach their students the standard language norms of English that is common

in countries like the United States and the United Kingdom. In the era of globalization people from all over the world need more communication and the above-mentioned language norm isn't enough at all. Language learners need to know other variations of the language to be able to engage with other speakers of English as an additional language. So, a more suitable model is English as an International Language (EIL), which emphasizes users' ability to communicate with diverse global English users (Matsuda 2012).

Language learners need to adapt to new varieties and in this case the teacher's role is immense. They can provide students with a plethora of materials to enhance students' listening skills. Podcasts can be used with the students of diverse backgrounds.

What is podcast?

Podcasts are 'audio files that are published online'. They are recorded with the intent of informing, educating, entertaining purposes. Most podcasts are serialized and are made up of different episodes. This is especially the case when the podcaster is telling a story or covering a topic that requires several recordings.

There is no ideal length for a podcast but usually 30 to 60 minutes is what you should aim at if you want to create your own podcasts. Podcasts can include your own voice, royalty-free music, music you created yourself, or any other audio clips you see fit.

For podcasts to reach the intended audience they need to be distributed through a hosting platform such as Apple Podcasts, Google Podcasts, Stitcher, etc. People can subscribe to podcasts and start receiving automatic updates each time a new episode is released.

#### **Why use podcasts in the classroom?**

In the field of education, podcasts are used for a wide variety of purposes:

1. With podcasts, you can choose the content and form that fits your particular lesson, and the possibilities are endless: fictional stories, educational and inspirational TED talks, current events/world news, history, sports, pop culture/entertainment, and investigative journalism. Using an array of forms keeps your class fresh and engaging, and podcasts expose students to a wide variety of methods of communication, including narration, casual dialogue, scripted dialogue, and interviews.

2. Teachers can record audio podcasts to provide additional and revision material to students to download and review at their own pace.

3. Empower students voice and encourage them to create their own podcasts and share their learning experiences with each other (e.g., peer learning).

4. Podcasts can hugely benefit auditory learners and help them in their learning.

5. Creating podcasts allows students to develop several important skills including research skills, writing skills, communication skills, problem solving and time management skills, among others.

6. As for educational podcasts, they are attractive and can encourage students who don't like reading, or may struggle with reading through mental impairments, such as Dyslexia. Another benefit of educational podcasts is the chance to learn through listening. To some students learning through listening is appealing and less tedious than reading. Furthermore, any podcast listener can quickly get a grasp of any language they want to learn by finding a show that is teaching it.

The use of podcasts has some challenges. As podcasts come from different global settings, the speaker may use unfamiliar vocabulary and reference concepts for the students. Also, the language level may be too high for intermediate and advanced learners. A skillful educator can deal with this problem by well-designed lesson to overcome these challenges.

In my case, the students were able to listen a podcast sharing the experience of participants from different regions about their addictions. The content of the podcast episodes was new in terms of both vocabulary and contextual information. The language used in the podcasts was above

students' independent listening level. But the teaching strategies allowed us to successfully use podcasts despite these challenges.

**Teaching strategies to support the use of podcasts.** We designed listening lessons by using the traditional sequence – pre-listening, while-listening and post-listening strategies. The students were instructed what to do during pre-listening and while-listening activities. After that they could share their responses and completed the post-listening activities together.

**While listening** podcasts students can make connections between new and previous knowledge. For that reason we prepared discussion questions about the addictive things in their community. In this way we tried to activate our students' established background knowledge by allowing them to reflect on their past experience and prior knowledge.

Reflective writing activities let the students consider some complex questions and respond them. Students can be encouraged by some prompts. For instance: “when I imagine myself addicted to phone .....

Reading a text related to the podcasts offers students an opportunity to gain new knowledge related to the context. In this way they get clear idea what the podcast might be about. Scenarios are excellent ways of activating students' knowledge and imagination. They can be given some situations to deal with new challenges, for example how to behave in a store in a foreign country, or, how to communicate with locals when you arrive in a new surrounding and many others.

**Before listening** podcasts, we provided the students with suitable vocabulary that might seem attractive for them. They could look up the words that were new to them. After that activity we asked them to make up their own sentences.

Many podcasts might seem longer and boring for some students who struggle with their language listening skills. For that reason we decided to shorten the podcast and allowed our students to listen to short portions of the podcast. Sometimes we even let them listen twice or three times. While listening they could take notes and later, retell it to the partner. Another activity is “true/false”. In this case, the students are more focused to get specific information. Some teachers give students guiding questions that are specifically focused on linguistic variations. For example: How does the speaker's vocabulary use reflect their cultural background? What is unique about the speaker's accent? Podcasts not only help students raise their awareness of global language varieties, but also gain insight into a wide variety of global cultures. Podcasts exposed them to authentic language use by global English users.

According to the survey learning designs in university education, using flipped or blended learning models, can improve student attitudes to the learning process, performance and critical analysis skills and develop their cognitive skills.

For many university lecturers, educational technologies are becoming available at such a rapid pace that lecturers often feel incompetent in dealing with these new technologies.

In response to this several strategies have been identified to support professional development for university lecturers in the implementation of learning technologies:

1. Development of a common understanding of the theoretical frame works of the approach;
2. Development of understanding of the affordances of the technologies at hand, and developing these skills before using them with students;
3. Participation in authentic tasks which model the practices to assist the transformation from theory to practice.

#### **References:**

1. .Banados,E – Blended Learning Pedagogical Model for Teaching and Learning EFL, Calico Journal, 2006
2. Smith, A. 2020. Blended Learning Through Google classroom
3. <https://alumni.state.gov/voicesofexchange>
4. <https://globalvoices.org/-/special/global-voices-podcast/>

**თამარ ალფაიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[tamunaalpaidze@gmail.com](mailto:tamunaalpaidze@gmail.com)

[tamar.alphaidze@atsu.edu.ge](mailto:tamar.alphaidze@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.01>

## **მულტიმედიის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში რეზიუმე**

გლობალიზაციის და ტექნოლოგიური განვითარების ეპოქა ბევრი საინტერესო და რთული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, რამაც ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო სფეროზეც. თანამედროვე მასწავლებელი ვალდებული გახდა მრავალფეროვანი ონლაინ აქტივობების გამოყენებით ეფექტიანად წარმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. ამასთანავე, მოახდინოს სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება და საკომუნიკაციო კომპეტენციების გაუმჯობესება. აღნიშნულ ნაშრომში ხაზგასმულია მულტიმედიის აუცილებლობა და მისი შემდგომი შედეგების როლი სტუდენტთა კოგნიტური და მეტაკოგნიტური უნარების გაუმჯობესებისთვის. მოცემულია პოდეკასტების გამოყენების მეთოდები და აქტივობები, რაც უფრო შთაბეჭდავს და საინტერესოს ხდის სალექციო პროცესს. ტექნოლოგიების გამოყენებამ სწავლების პროცესში რადიკალურად შეცვალა ტრადიციული სწავლების ბევრი მიდგომა და ამით ხელი შეუწყო სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას, რაც უმრავლეს შემთხვევაში აისახება მათ მზადყოფნაში რომ უფრო მეტი და საჭირო ინფორმაცია და ცოდნა მიიღონ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**საკვანძო სიტყვები:** მულტიმედია, უცხო ენის სწავლება, ტექნოლოგიური განვითარების ეპოქა

## თამთა ამირანაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[tamta.amiranashvili@atsu.edu.ge](mailto:tamta.amiranashvili@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.02>**„არც ისე ღრმად „დამარხული“ სიძულვილი: მტრობის თემის განსხეულება კაზუო იმიგუროს რომანში „დაფლული გოლიათი“**

*საკვანძო სიტყვები:* კაზუო იმიგურო, „დაფლული გოლიათი“, უნივერსალური ადამიანი

კაზუო იმიგურო, იაპონური წარმოშობის ბრიტანელი რომანისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი, დახვეწილი თხრობის სტილითა და რთული თემების ასახვითაა ცნობილი. 2015 წლის ლიტერატურულ ოდისეაში „დაფლული გოლიათი“ მწერალი სიძულვილის წრიულ ბუნებასა და წარსულის დავიწყების შედეგებს იკვლევს. რომანი მეფე არტურის ზეობის შემდგომ მითიური ბრიტანეთის მომხიბვლელ ზღაპარს ასახავს, ის დროის საზღვრებს სცილდება და ისტორიულ ფანტასტიკას ფენტეზის ელემენტებთან აერთიანებს. „დაფლული გოლიათი“ იმ მხატვრული ქმნილებების რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც მომხიბვლელი ინგლისური სოფლის ბუნებაა წინ წამოწეული, თუმცა იმიგურო ეჭვის ქვეშ აყენებს ინგლისელი პოეტის უილიამ ბლეიკისეულ ბრიტანეთის იდეალს როგორც „მწვანე და სასიამოვნო კუნძულისა“. იმიგურო ინგლისის იდეალურ ბუნებას კონტრასტულად უპირისპირებს იმ ძვლებს, რომლებსაც მწვანე საფარველი მოსავს, თუმცა მათზე ადამიანები დადიან. ბრიტანეთის ნიადაგის ქვეშ ძველი ხოცვა-ჟლეტის ნიშნებია შემონახული. როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი სერ გავენი<sup>1</sup> აღნიშნავს, მთელი ქვეყანა მსგავს დღეშია. მიწას როგორც კი ამოთხრი, ყვავილებს შორის გვამებს აღმოაჩენ. ამ წიგნში ინგლისური სოფლის ბუნების პეიზაჟები სიამოვნებისა და სილამაზის აღქმის წყარო კი არაა, არამედ ისინი ღრმად დაფლულ სიძულვილს ნიღბავენ. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი კაზუო იმიგუროს რომანში „დაფლული გოლიათი“ სიძულვილის თემის განსხეულებას იკვლევს, რომელიც ორი პლანით - პირადი/ვიწრო და ზოგადი/ფართო ხაზით ვითარდება. ერთის მხრივ, მოხუცი ბრიტანელი წყვილის აქსელისა და ბიატრისის და ასევე საქსი მებრძოლის უისტანის მაგალითზე მწერალი ადამიანის გულში ღრმად ჩამარხულ სიძულვილს გვიჩვენებს. მეორეს მხრივ, მთავარი პერსონაჟების ცხოვრებისული ტრაგედიების ფონზე ბრიტანელებისა და საქსების სისხლიანი წარსულია თვალსაჩინოდ აღწერილი.

რომანის სახელწოდების ინტერპრეტაცია იმ ბურუსთანაა კავშირში, რომელიც მთელ კუნძულს ფარავს და კოლექტიურ გულმავიწყობას იწვევს. საქსებსა და ბრიტანელებს შორის მრავალწლიანი შუღლის დასრულება არარეალური ჩანდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბრიტანელებმა შეთანხმება დაარღვიეს და უდანაშაულო დაუცველი საქსი ქალები, ბავშვები და მოხუცები ამოხოცეს, ართურმა მერლინის გრძნეულების უნარის დახმარებით დრაკონ ქერიგის ამონასუნთქი მოგონებების დასახშობად გამოიყენა. შედეგად,

<sup>1</sup> რომანში „სერ გავენი“, თუმცა ძველ ნაწარმოებებში „სერ გავენი“

ბრიტანელებსა და საქსებს კოლექტიური ამნეზია დაემართათ. მათ გადაავიწყდათ სისხლიანი დაპირისპირება, რის გამოც მათი თანაცხოვრება შესაძლებელი გახდა. ამ კონტექსტში „გოლიათი“ სიმბოლოა და ის უსიამოვნო მოგონებებს ასახიერებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ დავიწყების ნისლის საფარველშია გახვეული. სათაურის მნიშვნელობა ნათლად ჩანს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, საქსი უისტანის სიტყვებში, როდესაც ის შურისძიებაზე საუბრობს: „გოლიათი, ოდესღაც კარგად დაფლული, ახლა ინძრევა. როცა წამოდგება, - და ამას ნამდვილად იზამს, - მეგობრული კავშირები ჩვენ<sup>1</sup> შორის ისეთივე სუსტი აღმოჩნდება, როგორც გოგონების მიერ პატარა ყვავილების ღეროებით გაკეთებული ნასკვები. ღამით კაცები თავიანთი მეზობლების სახლებს დასწვავენ, გათენებისას ბავშვებს ჩამოჰკიდებენ ხეებზე. მდინარეები აყროლდება დღიდან დღემდე გასივებული გვამების ტივტივისგან. გადაადგილებასთან ერთად, ჩვენი ჯარები უფრო და უფრო გამრავლდებიან, რისხვითა და შურისძიებით ატანილნი“ (იშიგურო 2018, 353). სათაურის თანახმად, არსებობს მნიშვნელოვანი, მაგრამ უსიამოვნო სიმართლე, რომელიც სადღაც ზედაპირთან თვლემს და გამოაშკარავებას ელოდება, ხოლო მის გამომჟღავნებას სავალალო შედეგები მოჰყვება.

იშიგუროს „დაფლული გოლიათი“ ისტორიული ფენტეზის წარმომადგენელია. ამ ჟანრში რეალური მოვლენები მაგიურ ან მითიურ ელემენტებთანაა შერწყმული. ფენტეზის ჟანრის წესების თანახმად, რომანში ხშირად ვაწყდებით დევებსა და დრაკონებს. წიგნის მიმოხილვისას კრიტიკოსმა ტომ ჰოლანდმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მხატვრული ლიტერატურა და დრაკონები ერთმანეთს არ უხდება. მისგან განხვავებით კეით ბუკერი გვარწმუნებს, რომ გარდა აშკარა ესკაპიზმისა, ფენტეზის ჟანრს გააჩნია უნარი თანამედროვე სამყაროს დაუკავშირდეს. ის კარს უღებს უსაზღვრო წარმოსახვის შესაძლებლობებს, ისტორიის მეორე მხარეს - ფანტასტიკურ მხარეს ჰვრეტს, რამაც რეალურ სამყაროში მოქმედებისკენ შეიძლება გვიბიძგოს. თვითონ იშიგუროს თქმით, ფენტეზი უამრავ შესაძლებლობას ქმნის მწერლისათვის. ეს ჟანრი მას საშუალებას აძლევს ადამიანთა უნივერსალური თავგადასავლები იკვლიოს, გამოამჟღავნოს მათ გულებში დამარხული ჭეშმარიტებები. იშიგურო ფენტეზის ჟანრს ისეთი სერიოზული თემების განსახილველად იყენებს, როგორცაა პირადული თუ საყოველთაო სიძულვილი (რუსელი 2021, 305).

მართალია, რომანში უამრავი ფანტასტიკური ელემენტია, მაგრამ მოქმედება დაახლოებით ჩვ. წ-ით მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში მიმდინარეობს ბრიტანეთში რომის იმპერიის მმართველობის დასრულების შემდეგ. ქვეყნიდან რომის ლეგიონების გასვლამ ქაოსური სიტუაცია შექმნა, რადგან არ არსებობდა ცენტრალიზებული მმართველობა, მრავალი ტომი თუ სამეფო ცდილობდა დომინანტობის მოპოვებას, რის გამოც ვითარება უკიდურესად მყიფე იყო. ისტორიული კონტექსტი ასევე ემთხვევა გერმანიკული ტომების ანგლო-საქსების შემოსევებს, რომელსაც მნიშვნელოვანი კულტურული და პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა, ესაა საკმაოდ რთული პროცესი, სანამ ანგლო-საქსები ადგილობრივ მოსახლეობას შეერწყმებოდა. რომანში ართურის გავლენა შესუსტებულია. წარმართული რწმენა ქრისტიანობასთან ერთად თანაარსებობს (ვერნონი, 2018, 75).

იშიგუროს წიგნის „დაფლული გოლიათი“ შთაგონების წყარო, თვითონ მწერლის განმარტებით, სხვადასხვა ისტორიული მოვლენა გახდა - მეორე მსოფლიო ომი, იუგოსლავიის დაშლა და 90-იან წლებში სამოქალაქო ომები, 1995 წლის ივლისში ბოსნიის ომის დროს 8000-ზე მეტი ბოსნი მუსლიმის მკვლელობა, რუანდის გენოციდი, რომელსაც სულ მცირე ნახევარი მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (რუსელი 2021, 315).

რატომ აირჩია იშიგურომ შუა საუკუნეები? როგორც ტელეგრაფთან ინტერვიუში მწერალი ამბობს, თუ წიგნში მოქმედება განვითარდებოდა ომის შემდგომ საფრანგეთში, სამხრეთ აფრიკაში, იუგოსლავიაში ან იაპონიაში, მნიშვნელობას კონკრეტული ადგილის

<sup>1</sup> უისტანი აქ გულისხმობს ბრიტანელებსა და საქსებს



კონკრეტულ სიტუაციასთან დააკავშირებდნენ, მას კი სჭირდებოდა რაღაც ზოგადი, უნივერსალური. ერთ დღესაც სერ გავეინისია და მწვანე რაინდის კითხვისას იმიგურო ველური ბრიტანეთის აღწერას წააწყდა. გავეინი ერთი ციხიდან მეორეში დაძრწის, ხან ტყეშია, ხან ჭაობებში. მუდმივად ებრძვის დრაკონებს, მგლებს, გოლიათებს, ტახებსა და დევებს. მწერალი მიხვდა, რომ თავისი რომანისთვის სწორედ ასეთ ადგილს ეძებდა. იმიგუროს სურდა ისეთი მეტაფორული ამბავი შეეთხზა, რომლის მრავალ პირადულ თუ პოლიტიკურ სიტუაციაზე მისადაგება იქნებოდა შესაძლებელი. შესაბამისად, მან მოქმედების დროდ შუა საუკუნეების ინგლისი აირჩია, ვინაიდან, მისი აზრით, ისტორიის ამ ეტაპის სხვა ქვეყნებზე მარტივად მორგება იქნებოდა შესაძლებელი (ლუპაკი 2015, 118).

რომანის „დაფლული გოლიათი“ მოქმედების დერმი ძიების მოტივზეა აგებული, კერძოდ მოსიყვარულე მოხუცი ბრიტანელი ცოლ-ქმარი აქსელი და ბიატრისი შვილის საძებნელად მეზობელ სოფელში მიემართებიან. გზად უამრავ პერსონაჟს გადაეყრებიან, მათ შორის მეფე არტურის რაინდს და როგორც მოგვიანებით გაირკვევა, დრაკონ ქერიგის მცველ სერ გავენს, საქს მეზობელ უისტანს, საქს ბიჭუნას ედვინს და მისტიურ მენავეს.

ერთი შეხედვით უწყინარი პერსონაჟები სიუჟეტის მსვლელობისას სიძულვილის საცეცებს ამჟღავნებენ. მკითხველი ტყუვდება, რომანის დასაწყისში ვენდეთ პერსონაჟებს, მათ შორის ბრიტანელ აქსელსაც და საქს უისტანსაც, თუმცა მალე მათი სისხლიანი წარსულის შესახებ ვიგებთ. იმიგურო ინგლისის მატყუარა ლანდშაფტს პერსონაჟებს უსადაგებს, რომლებიც თავიანთი კეთილშობილური ქცევით მოიპოვებენ თუ არა ჩვენს სიმპათიას, წარსულში დაშვებულ შეცდომებსა და სისასტიკეს ავლენენ. მაგალითად, აქსელი თავის თავს ჩვეულებრივ მშვიდობის მოყვარე მოხუც ფერმერად წარმოგვიდგენს, თუმცა მოგვიანებით ვიგებთ, რომ ის არტურის ხელქვეითი იყო და სხვა თანამებრძოლებთან ერთად საქსურ სოფლებს ხშირად უცნობი მოტივით სტუმრობდა. აქსელს ერთგან აგონდება, რომ მან არაფერი გააკეთა მისი მეგობარი ჰარვისგან უდანაშაულო საქსი ხალხის გადასარჩენად. მართალია, აქსელი იხსენებს, რომ ის თითქოს ჰარვისა და გამძვალტყავებულ მწყემსებს შორის იდგა, მაგრამ მას დანამდვილებით არ ახსოვს, იხსნა თუ არა მწყემსები ჰარვის დაუმსახურებელი რისხვისგან. აქსელი ჰარვის ბოროტმოქმედებისგან თავის თავს აცალკევებს, მაგრამ საკითხავია, არის კი ის სანდო მთხრობელი? (რუსელი 2021, 306). საბოლოოდ მკითხველიც არანაკლებ გაოგნებულია, როდესაც რომანის ბოლოს დრაკონის ნისლის გაქრობის შემდეგ აქსელთან და ბიატრისთან ერთად აღმოაჩენს, რომ მათი შვილი დიდი ხნის გარდაცვლილია, ხოლო აქსელმა ბიატრისის ცოლ-ქმური ღალატის გამო მის საფლავზე წასვლა აუკრძალა. რომანის დასასრულს, როდესაც მენავე აქსელს ეკითხება თუ რატომ არ აძლევდა მეუღლეს შვილის საფლავზე წასვლის უფლებას, ის პასუხობს: „არაფერი იყო მოსაგები, მენავევ. მხოლოდ უგუნურება და სიამაყე. და კიდევ ის, რაც ადამიანის გულის სიღრმეში მიმაღულა. შესაძლოა ეს იყო დასჯის სურვილი, სერ. ვლასპარაკობდი მიტევებაზე და ვახორციელებდი კიდევ, მაგრამ წლებისა და წლების განმავლობაში ვინახავდი გულში პატარა ოთახს, რომელიც შურისძიებას მიეღებოდა. წვრილმანური და შავი რამ დავმართე ცოლსაც და შვილსაც“ (იმიგურო 2018, 371). აქსელის სიტყვებიდან ცხადია, სიძულვილი თითოეული ჩვენგანის გულშია მიმაღული, როგორც კეთილშობილიც არ უნდა იყოს ადამიანი, მიუხედავად მიტევებისა, მან შეიძლება საბოლოოდ ჩვენს დაუკითხავად, უნებურად მაინც იჩინოს თავი.

რომანში სიძულვილის თემის კიდევ ერთი გამოვლინებაა საქსი უისტანის სიამოვნებით გახსენება იმ ისტორიული ეპიზოდისა, როდესაც საქსები ბრიტანელებს შეუბრალებლად ხოცავდნენ. სიძულვილის, შურისძიების მსგავსი გამართლება მოულოდნელია იმ მეომრისგან, რომელიც ღირსეული ადამიანი გვეგონა, ვინაიდან, მან მრავალი ქველი საქმე ჩაიდინა, მაგალითად, საქსი ბიჭუნა ედვინი ტროლებისგან გამირულად იხსნა. უისტანი ამტკიცებს, რომ ბევრი საქსი თავს საფრთხეში ჩაიგდებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მტრის განადგურება საკუთარი თვალით ეხილა. უისტანს სჯერა, რომ საქსების საქციელი

სრულიად გამართლებულია, ვინაიდან ისინი ბრიტანელების მხრიდან მრავალ ტანჯვას განიცდიდნენ. უისტანის მსჯელობიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: შესაძლებელია ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით გმულდეს ადამიანი, რომელიც არასდროს თვალთ გინახავს და პირადად შენთვის არაფერი დაუშავებია. სიძულვილს პირადი მიზეზი არ სჭირდება, ის გადმოგვეცემა ისტორიულად, როგორც მემკვიდრეობა.

უისტანის გულში ღრმად გამჯდარი სიძულვილის ძირითადი მიზეზი მისი ადრეული ასაკიდან იღებს სათავეს. მართალია, ბავშვობა ბრიტანელებთან გაატარა, მაგრამ მიუხედავად მისი პიროვნული ღირსებებისა, თავისი წარმომავლობის გამო ჩავვრისა და დაცინვის მსხვერპლი გახდა. უისტანს მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდა ბრიტანელ ბიჭუნებთან, ძმებივით ცხოვრობდნენ, სანამ ისინი მისი ეროვნების შესახებ შეიტყობდნენ. ახლა უისტანი სირცხვილს განიცდის, რადგან ერთ დროს ბრიტანელების მიმართ გრძნობები გაუჩნდა და მათ ისე აღიქვამდა, როგორც ძმებს. უისტანის შემთხვევაში პირადული და საზოგადო სიძულვილი იმდენადაა ერთმანეთში გადახლართული, რომ პირადი ზოგადის სახეს იღებს. მაგალითად უისტანის სიძულვილი ბრიტანელებისადმი პირადულია, ხოლო მოგვიანებით თავისი პირადი გამოცდილება ბრიტანელებზე განაზოგადა.

უისტანის მცდელობა ბრიტანელებისადმი სიძულვილი ედვინს გადასცეს ერთგვარად საინტერესო ფაქტია, ვინაიდან ეს შემთხვევა სიძულვილის წრიულ ბუნებაზე მეტყველებს. სიძულვილი არ ქრება ადამიანებთან ერთად, ის გადაეცემა თაობიდან თაობას. XII თავში უისტანი ედვინს სიტყვას ჩამოართმევს, იმ შემთხვევაში თუ ის გველემშაპის მოკვლას ვერ მოახერხებს, ედვინი ბრიტანელების მიმართ სიძულვილს შეინარჩუნებს და შურს იძიებს. ედვინი მხოლოდ გულუბრყვილო ბავშვია, ამიტომ მას ვერ გაუგია რატომ უნდა სძულდეს ისინიც კი ვინც მას პურს უწილადებს, როგორც აქსელისა და ბიატრისის შემთხვევაში მოხდა, ან სერ გავენივით საფრთხისგან დაიცავს. უისტანი ამის შემდეგ შეახსენებს ედვინს მოვალეობის შესახებ. თითქოს საქსების მოვალეობაა სძულდეთ თითოეული ბრიტანელი, მათ შორის არსებული ხანგრძლივი დაპირისპირების გამო (რუსელი 2021, 311). ედვინი დილემის წინაშე დგას, ვერ გადაუწყვეტია სძულდეს თუ უყვარდეს ბრიტანელები. ბიატრისი მას სთხოვს დაპირდეს, რომ როცა გაიზრდება ეს მეგობრობა გაიხსენოს: „ორივენი გთხოვთ ამას: გახსოვდეთ მომავალ დღეებში. გახსოვდეთ ჩვენ და ეს მეგობრობა, როცა შენ ჯერ კიდევ ბიჭი იყავი“ (იშიგურო 2018, 357). მართალია, ედვინმა პირობა მისცა უისტანს, რომ უკლებლივ ყველა ბრიტანელს შეიძულდეს, ედვინი თვლის, რომ ეს ფიცი ბიატრისსა და ექსელზე - ამ საყვარელ წყვილზე არ ვრცელდება. უცნობია, ედვინი განახორციელებს თუ არა უისტანის სურვილს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ის ზიანს არ აყენებს აქსელს და ბიატრისს და მათ მიმართ კეთილგანწყობილია, ეს უკვე უისტანისადმი მიცემული პირობის დარღვევაა.

ამრიგად, კაზუო იშიგურო თავის რომანში „დაფლული გოლიათი“ შეეცადა ეპასუხა თანამედროვეობისთვის აქტუალური კითხვისათვის - როგორ უნდა გავუმკლავდეთ წარსულს, განსაკუთრებით კი დაპირისპირების უკიდურესს, კერძოდ, ხოცვა-ჟლეტის შემთხვევებს? ავტორი ამ შეკითხვას პირდაპირ პასუხს არ სცემს, თუმცა რომანის სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ საყოველთაო ამნეზიამაც კი ვერ მოახერხა საქსებსა და ბრიტანელებს შორის სიძულვილის აღმოფხვრა. როგორც ჯეიმს ვუდი აღნიშნავს, წარსულის დავიწყება მომავლის უგულვებელყოფას ნიშნავს. მეხსიერების გარეშე ავტომატურები ვხდებით, არც მთლად ადამიანები. ჩვენი წარსულისა და მოგონებების გარეშე თითქოს თავისუფალ ნებას ვკარგავთ, არაადეკვატურად განვსჯით აწმყოსა და მომავლის პერსპექტივას (ვუდი 2015). შესაბამისად, წარსულის მწარე გამოცდილების დავიწყება არც ისე კარგი აზრია, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად ნებისმიერი საკითხის სრული სახით დანახვაა საჭირო.

რომანი ცხადყოფს, რომ სიძულვილი არ შემოისაზღვრება მხოლოდ ფართე ისტორიული კონფლიქტით, ის პირად უბედურებასაც მოიცავს; ზეგავლენას ახდენს,

როგორც ინდივიდუალურ ასევე საზოგადო ქმედებებზეც, რადგან ის ჩვენს თვალთახედვას აყალიბებს. მწერალი გვიჩვენებს, რომ სიძულვილს წრიული ბუნება აქვს და ასევე გააჩნია გამძლეობის უნარი, მარადიულია. ის წინაპრებისგან გადმოგვეცემა, ხოლო ჩვენ მომავალ თაობებს გადავცემთ. სიძულვილს გამანადგურებელი ეფექტი აქვს, მისი აღმოფხვრა არც ისე მარტივია.

### ლიტერატურა:

- ვერნონი, მ., მილერი მ.ა. - VERNON, M., & MILLER, M. A. (2018): Navigating Wonder: The Medieval Geographies of Kazuo Ishiguro's "The Buried Giant." *Arthuriana*, 28(4), 68–89. <http://www.jstor.org/stable/45015571>
- ვუდი, ჯეიმს - Wood, James (2015): The Uses of Oblivion//The New Yorker, <https://www.newyorker.com/magazine/2015/03/23/the-uses-of-oblivion>
- იმიგურო კაზუო. (2018): გამომცემლობა პალიტრა L. თბილისი
- ლუპაკ, ალანი - LUPACK, A. (2015): [Review of *The Buried Giant*, by K. ISHIGURO]. *Arthuriana*, 25(3), 118–120. <http://www.jstor.org/stable/24643534>
- რუსელი რ. - RUSSELL, R. R. (2021): Ishiguro's *The Buried Giant: The (Re)turn to Fantasy from The Remains of the Day*. *The Comparatist*, 45, 300–323. <https://www.jstor.org/stable/27085527>

**Tamta Amiranashvili**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[tamta.amiranashvili@atsu.edu.ge](mailto:tamta.amiranashvili@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.02>

### **Not so Deeply Buried Hatred: Embodying the Theme of Animosity in Kazuo Ishiguro's *The Buried Giant***

#### **Abstract**

Nobel Prize-winning writer of Japanese origin Kazuo Ishiguro, who considers it his mission to discuss universal human experiences, in his fantasy novel *The Buried Giant* questions the ideal of English poet William Blake's Britain as a "green and pleasant island". In Ishiguro's artistic work, the natural landscapes of the English countryside are not a source of pleasure and beauty, but they mask deeply buried violence or hatred, metaphorically Giants, based on the title of the novel. Ishiguro contrasts the picturesque nature of England with the soil, which holds the signs of massacre - bones and corpses. The writer goes even further and relates characters to the deceptive landscape of England, who after winning our sympathy through their noble behavior, reveal past mistakes and atrocities. The presented paper examines the embodiment of the theme of hatred in the novel, which develops on two levels - personal/narrow and general/broad. On the one hand, on the example of the old British couple Axl and Beatrice, as well as the Saxon fighter Wistan, the writer shows the hatred buried in the human heart. On the other hand, against the backdrop of the life tragedies of the main characters, the bloody past of the Britons and Saxons is vividly described. The novel contains an unsolvable riddle for humanity - how to deal with the past, especially the extremes of conflict, namely, cases of massacres? Ishiguro's answer is not very promising.

**Key words:** Kazuo Ishiguro, "*The Buried Giant*", universal human

ნათია არველაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

natia.arveladze1@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.03>

## ეპითეტების თარგმანისათვის ძველი ბერძნული ეპიკური პოეზიიდან (ჰომეროსი, აპოლონიოსი)

საკვანძო სიტყვები: ბერძნული ეპიკური ტექსტი, ჰომეროსი, აპოლონიოსი

ძველი ბერძნული ეპიკური ტექსტების ქართულ ენაზე გადმოცემისას, ეპითეტის თარგმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეპითეტი მაქსიმალური მიმსგავსებით უნდა იყოს გადმოტანილი თარგმანის ენაზე, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური სიტუაციის გათვალისწინებით [2, 2020, 7, 2006, 3, 2015].

ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის ეპიკურ ნაწარმოებებში გამოყენებული ეპითეტების შესწავლისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფაქტი, რომ არსებობს ტექსტების შესაბამისი, მაღალი ხარისხით შესრულებული თარგმანები - როგორც პროზაული, ისე პოეტური ვერსიები - თუმცა, კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, ზოგი ეპითეტის თარგმნა, თვითონ ვცადე, რომელთა ზუსტი თარგმანის შერჩევა გამიჭირდა, მოვიძიე ინგლისური და რუსული თარგმანები და შევადარე ქართულს.

კვლევისა და ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ ჰომეროსისა და აპოლონიოს როდოსელის ტექსტების თარგმანებში, ეპითეტების ქართულ ენაზე გადმოტანისას, რამდენიმე განსხვავებულ რეალობას ვხვდებით:

1. **ეპითეტები გადმოცემულია აბსოლუტური სიზუსტით.** ასეთ შემთხვევებში, ეპითეტის თარგმნისას, სრულად დაცულია როგორც კონტექსტუალური, ასევე, გრამატიკულ-ლექსიკური შტრიხების სიზუსტე. მთარგმნელი პოულობს ძველ ბერძნულ ეპიკურ ტექსტში გამოყენებული ეპითეტის მაქსიმალურად მიმსგავსებულ ვარიანტს/ანალოგს და იყენებს მას შესაბამისი კონტექსტითა და გრამატიკული ფორმით. საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია: ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ აგამემნონს მოიხსენიებს აქილეუსი ეპითეტით *φιλοκτεανώτατε*, რაც, ცალსახად ნეგატიურ ფიგურად აქცევს აღსაწერს, რადგანაც გამოხატავს მის დამოკიდებულებას „მოგების“ მიმართ. ვფიქრობ, ეპითეტის პირდაპირი თარგმანი იქნებოდა *მოგების ხარბი*. ეპითეტს რ. მიმინოშვილი თარგმნის, სიტყვით - *გაუმადლარი* (ჰომ. ილ. I. 123). ჩემი აზრით, მოცემულ შემთხვევაში, ნათარგმნი ეპითეტი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს. მეტყველი პირი (აქილეუსი) ცდილობს, გამოხატოს მისი ნეგატიური დამოკიდებულება აღსაწერისადმი და ამას მისი პერსონალური თვისებების ხაზგასმით ახდენს, რაც მის გაუმადლარ ბუნებაში მდგომარეობს. მოცემული ეპითეტი წარუშლელად რჩება მკითხველის აღქმაში და მთავარი პერსონაჟის ერთ-ერთი ძირითადი საიდენტიფიკაციო შტრიხია.

პოემაში „ოდისეა“ წამყვანი გმირი - ოდისეუსი დახასიათებულია ეპითეტით *ἀντιθεῖα* რაც გამოხატავს იდეას, რომ პერსონაჟი ღმერთებთან მიმსგავსებული ადამიანია, ღმერთების მსგავსია. ინგლისურ თარგმანში ეპითეტი გამოტოვებულია, რუსულში კი, გადატანილია, როგორც *Богоподобного* Гом. Од. I. 21). აღნიშნული ეპითეტის შესატყვისია პ. ბერაძის

თარგმანში *ღმერთკაცი* (ჰომ. ოდ. I. 21). ასე ხასიათდება წამყვანი პერსონაჟი როგორც ავტორის, ისე, სხვა პერსონაჟთა მეტყველებაში. ვფიქრობ, აქაც, საქმე გვაქვს ზუსტ თარგმანთან - ეპითეტი აბსოლუტურად შეესაბამება ორიგინალს. ამავე ეპითეტით ავტორი ახასიათებს აქილევის პერსონაჟსაც (ჰომ.ილ.XVI.798). ორივე შემთხვევაში, ეპითეტი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური სიტუაციების სრული დაცვით არის ნათარგმნი.

ასეთივე სიზუსტითაა თარგმნილი ეპითეტი *δυσάχηρς*, რომელიც პოემაში „არგონავტიკა“ გამოყენებულია როგორც მამრობითი სქესის ჯგუფის აღმწერი. ეპითეტი აქცენტს აკეთებს პერსონაჟის მკვებარა ხასიათზე და მამაკაცთა კონკრეტულ ჯგუფს აღწერს, როგორც ტრაბახა საზოგადოებას. პოეტურ თარგმანში აკაკი ურუშაძე იყენებს ლექსიკურ ერთეულს - *ბაქია*, რაც სრულიად შეესაბამება ორიგინალს (აპ. როდ. არგ. III. 976).

**2. ერთსა და იმავე ეპითეტის გადმოსაცემად გამოყენებულია სხვადასხვა ლექსიკურ-ერთეული, რომელთაც აქვთ მსგავსი/იდენტური სემანტიკური მნიშვნელობა.** მთარგმნელი გვთავაზობს ძველ ბერძნულ ეპიკურ ტექსტში გამოყენებული ეპითეტის რამდენიმე ვარიაციას, რომელთაგან ყველა შესატყვისია იმ კონტექსტისათვის, რაც ორიგინალ ტექსტშია მოცემული და არ არღვევს იმ ძირითად იდეას, რისთვისაც ავტორმა კონკრეტული ეპითეტი გამოიყენა. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა კონკრეტული ეპითეტი არ არის ორიგინალში მოცემული ეპითეტის იდენტური, მაგრამ ის არ ცვლის მხატვრული სახის ხასიათს და სათარგმნ ვარიანტთან მაქსიმალურად არის მიმსგავსებული.

ჰომეროსის პოემებში ზოგჯერ ერთიდაიგივე ეპითეტი სხვადასხვაგვარად, სინონიმური სიტყვებით არის გამოხატული. ასეთია, მაგალითად, ჰექტორის მიმართ გამოყენებული ეპითეტი *κορθαίσιος*, რომელიც მისი საბრძოლო იარაღის დიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას. რუსულ თარგმანში მოცემული ეპითეტი რიგ შემთხვევებში გამოტოვებულია, სხვაგან კი, ნათარგმნია ერთგვარად - *шлемобле-щущий* (Гом. Ил. II. 816). ეპითეტი რ.მიმინოშვილის მიერ შესრულებულ პოეტურ ვერსიაში ნათარგმნია ორგვარად: *ზუჩმო-ელვარე / ჩაჩქანმოელვარე* (ჰომ. ილ. II. 816; ჰომ.ილ. III. 83; ჰომ.ილ.V.601; ჰომ. ილ.VI.116; ჰომ. ილ.V.680). ლ.ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებულ პროზაულ თარგმანში კი, როგორც *მუზარადმოელვარე*. ფაქტია, რომ ერთი ეპითეტის თარგმნისას რ. მიმინოშვილს სხვადასხვა ლექსიკური ერთეული აქვს გამოყენებული, თუმცა, მათი სემანტიკა იდენტურია.

იასონის დასახასიათებლად აპოლონიოსი იყენებს ეპითეტს *θαρσαλέαδς*. ეპითეტი მხატვრული სახის წამყვანი საიდენტიფიკაციო აღმწერია და ახასიათებს მას, როგორც უშიშარს. აღნიშნული ეპითეტი აკაკი ურუშაძის მიერ შესრულებულ პოეტურ თარგმანში რამდენიმე ლექსიკური ფორმითაა გადმოცემული: *მამაცი / ვაჟკაცი / უშიშარი* (აპ. როდ. არგ. I. 349; აპ. როდ. არგ. I. 844; აპ. როდ. არგ. III. 1370). ინგლისურ თარგმანში ეპითეტი გადატანილია აღმწერით: *with full confidence* (Ap. Rhod. The Argonautica. I. 349). შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკრეტული ეპითეტი ქართულად ნათარგმნია არა ერთი, არამედ რამდენიმე, მაქსიმალურად მსგავსი ეპითეტით. აქვე, შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ რომელიმე მათგანის იდენტურობა ორიგინალში მოცემულ ეპითეტთან. მაგალითად, შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ეპითეტი *ვაჟკაცის* მნიშვნელობა ზუსტად არ ემთხვევა ორიგინალში გამოყენებულ ეპითეტს.

პოემაში „არგონავტიკა“ კირონეს ახასიათებს ავტორი ეპითეტით *ἔσθλος*, რაც ახდენს გმირის კეთილშობილებისა და დადებითი პერსონალური მახასიათებლების - ვაჟკაცობის, გამბედაობის ხაზგასმას. აკაკი ურუშაძის მიერ შესრულებულ თარგმანში აღნიშნული ეპითეტი ნათარგმნია, როგორც *გმირი* (აპ. როდ. არგ. I. 59), ინგლისურში როგორც *brave* (Ap. Rhod. The Argonautica. I. 59). ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ეპითეტი აბსოლუტური სიზუსტით არ პასუხობს ორიგინალ ტექსტში მოცემული ეპითეტის სემანტიკურ მნიშვნელობას, თუმცა, ამავე დროს, ის არ არღვევს მხატვრული სახის მთლიან აღქმას მკითხველში და კონტექსტში იმავე მნიშვნელობით ჯდება, რაც ავტორის მიზანი იყო.

**3. ეპითეტები გადმოცემულია სემანტიკური მხარის დაცვით, მაგრამ მეტაფორულად - განსხვავებული ლექსიკური ერთეულით.** ასეთ შემთხვევაში, ნათარგმნი ეპითეტის

ლექსიკური მნიშვნელობა არ უტოლდება ორიგინალ ტექსტში გამოყენებულ ეპითეტს, თუმცა, ის მეტაფორულად ახდენს იმავე აზრის გადმოცემას, რაც საწყის ტექსტშია. ეპითეტის თარგმნისას დაცულია კონტექსტუალური და ენობრივი მახასიათებლები.

ჰომეროსის პოემაში აპოლონ ღმერთის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *ὄσθ' ἤϊε νυκτὶ εἰοικώς*, რაც გამოკვეთს, რომ ღმერთი აპოლონი ღამესავით ბნელია და აქცენტს აკეთებს უკვდავის მკაცრ, შეუვალ ხასიათსა და დაუნდობელ ქმედებებზე. ვფიქრობთ, ეპითეტი შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც *შესახედად ღამესავით ბნელი*. აღნიშნული ეპითეტი აღსაწერის საიდენტიფიკაციო კერძო ეპითეტია და ის ერთდროულად ახდენს, როგორც პერსონაჟის ინდივიდუალიზებას, ასევე, მეტაფორულად მისი პიროვნული თვისების ხაზგასმას. ინგლისურში მოცემულია ეპითეტი *with a face as dark as night* (Hom. The Iliad. I. 47). რუსულ- ში გამოყენებულია ეპითეტი *ночи подобный* (Гом. Ил. I. 47). რ. მიმინოშვილის ქართულ თარგმანში კი, - *პირღამიანი* (ჰომ. ილ. I. 47). ამავე ეპითეტს ბერძენიშვილი თარგმნის, როგორც *ღამესავით პირქუში*. ეპითეტი *პირღამიანი*, ლექსიკური თვალსაზრისით, არ არის ბერძნული ვარიანტის იდენტური, თუმცა, მეტაფორულად ის იგივე აღქმას უქმნის მკითხველს, რასაც ორიგინალში მოცემული აღმწერი. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ, მართალია ეპითეტი ლექსიკურად არ არის საწყისი ტექსტის იდენტური, თუმცა ის იმავე მნიშვნელობით ავითარებს როგორც მხატვრული სახის ხასიათს, ისე ემოციურ ფონს.

აპოლონიოსის პოემაში „არგონავტიკა“ ჰერაკლე დახასიათებულია ეპითეტით *ὄσιωτατος ἄβριον καὶ δέμας*, რაც გამოხატავს იმას, რომ პერსონაჟის ვიზუალი შიშის მომგვრელია მხილველისათვის - *საშიში მისი სახით*. ინგლისურ თარგმანში ვხვდებით ეპითეტს: *most grim in form* (Ap. Rhod. The Argonautica. IV. 1435). აკაკი ურუშაძის პოეტურ თარგმანში კი ვკითხულობთ: *თავზარდამცემი სახით და ღონით* (აკ. როდ. არგ. IV. 1435). მოცემული ეპითეტი არ არის ორიგინალში გამოყენებულია.

**4. ეპითეტები გადმოცემულია მეტაფორულად, განსხვავებული ლექსიკური ერთეულით**, რომელიც, მართალია, შეესაბამება კონტექსტს, მაგრამ სემანტიკურად იმდენად განსხვავდება ორიგინალისგან, რომ, შესაძლოა, მკითხველმა მოახდინოს მისი განსხვავებულად აღქმა. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება იმგვარი ეპითეტები, რომლებიც პერსონიფიკაციით არის ნაწარმოები.

ჰომეროსი ახასიათებს ზევსის თმას ეპითეტით *ἀθανάτοις*, რაც ზევსის მსგავსად, მისი თმის/თავის უკვდავებაზე მიუთითებს - *უკვდავი*. ინგლისურ თარგმანშიც ეპითეტი უკვდავების იდეას ატარებს - *immortal* (Hom. The Iliad. I. 530), რუსულ თარგმანში მოცემულია ეპითეტი *бессмертной* (Гом. Ил. I. 530). ქართული თარგმანებიდან, ლ. ბერძენიშვილი იყენებს - *უკვდავი*. რ. მიმინოშვილი კი - *სურნელოვანი* (ჰომ. ილ. I. 530). მოცემულ შემთხვევაში განსხვავდება, როგორც სემანტიკით, ისე ეპითეტის სახე - გამოყენებულია ესთეტიკური შეფასების ეპითეტი ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტის ნაცვლად.

პოემაში „ოდისეა“ ლეოკრიტ ევენორიდე ახასიათებს მენტორს ეპითეტით *ἀταρτηρός*, პერსონაჟი არ არის სანდო, შესაძლოა, თავად დაუშვას და სხვაც შეიყვანოს შეცდომაში. აღნიშნული ეპითეტი აღწერს პერსონაჟს, როგორც საეჭვო პირს. ინგლისურ თარგმანშიც ეპითეტი ნათარგმნია, როგორც *mischief-maker* (Hom. The Odyssey. II. 243). რუსულ თარგმანში ეპითეტი ნათარგმნია, როგორც *безрассудный* (Гом. Од. II. 243). პ. ბერაძის თარგმანში ვხვდებით *ჭკუადამთხვეული*, ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის თარგმანში კი, *დამთხვეული* (ჰომ. ოდ. II. 243). ორივე შემთხვევაში, ეპითეტს აქვს განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობა, თუმცა, ვფიქრობ, მეტაფორულად იმავე იდეის გამოხატვლია, რასაც ორიგინალ ტექსტში მოცემული ეპითეტი ატარებს.

აპოლონიოს როდოსელი ახასიათებს ჰერაკლეს ეპითეტით *νηλῆς*, რაც ხაზს უსვამს პერსონაჟის ქედმაღლობას და მოძალადე ბუნებას და შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც *ქედმაღალი/მოძალადე*. ინგლისურ თარგმანში აღნიშნული ეპითეტი ამგვარად არის გადმოცემული: *a man fell in wanton violence* (Ap. Rhod. The Argonautica. IV. 1436). აკაკი

ურუშაძე ეპითეტის სხვაგვარ ვარიაციას გვთავაზობს და თარგმნის, როგორც *ველური* (აპ. როდ. არგ. IV. 1436). ეპითეტი არა მხოლოდ სემანტიკურად განსხვავდება ორიგინალში მოცემულისგან, არამედ, შესაძლოა სხვაგვარად მოხდეს მისი აღქმა.

**5. ეპითეტი სრულიად განსხვავებულია ორიგინალი ტექსტისაგან, ან ჩამატებულია მთარგმნელის მიერ.** საკვლევ მასალაში ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს, რომლებიც თარგმნილია სრულიად განსხვავებულად. საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი: აპოლონიოსის პოემაში გამოყენებული ეპითეტი *ἄβρις*, რაც მოძალადეს ნიშნავს, აკაკი ურუშაძის მიერ გამოხატულია ეპითეტით - *კუშტი* (აპ. როდ. არგ. IV. 1437). ის გამოყენებულია ჰერაკლეს დასახასიათებლად და მისი კერძო აღმწერია.

საკვლევ ტექსტების თარგმანებში, ასევე, ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს, რომლებიც ორიგინალ ტექსტში საერთოდ არ იმეხნება. ასეთია, მაგალითად, პანტელეიმონ ბერაძის თარგმანში ეპითეტი - *ულმერთო* (სასიძოები) (ჰომ. ოდ. IV. 701) და *ფლიდი* (ეგისტე) (ჰომ. ოდ. I. 300). ეპითეტი მთარგმნელს ჩამატებული აქვს კონტექსტით, თუმცა ორიგინალ ტექსტში ამგვარი ეპითეტი არ ფიქსირდება, ის არ გვხვდება არც ინგლისურ ტექსტებში.

შესწავლილი მასალის საფუძველზე გავაკეთეთ შემდეგი დასკვნები:

ძველი ბერძნული პოეზიის (ჰომეროსი, აპოლონიოსი) ქართულ თარგმანში გადმოტანილი ეპითეტები იძლევა ტექსტის მხატვრული და ემოციური ღირებულების სრულფასოვანი აღქმის შესაძლებლობას და უფრო მრავალფეროვან არეალს გვთავაზობს, ვიდრე, მაგალითად ინგლისურ ენაზე შესრულებული თარგმანები. ქართულ თარგმანებში ეპითეტები არა თუ გამოტოვებულია, არამედ, უფრო დიდი სიხშირით, სხვადასხვა ვარიანტად არის მოცემული. შესწავლილი ქართულენოვანი ტექსტებიდან, ეპითეტების მიხედვით, უფრო ზუსტ, მრავალფეროვან და მაღალმხატვრულ თარგმანს გვთავაზობს პროზაული ვერსიები, რამდენადაც ამგვარი ფორმა არ ითვალისწინებს დაქტილური ჰექსამეტრით აწყობილი ლექსის რიტმს. ამდენად, ავტორი რიტმული ვალდებულებისგან თავისუფალია შესაბამისი ქართულენოვანი ეპითეტის შერჩევას.

ძველ ბერძნულ ეპიკურ პოეზიაში გამოყენებული ეპითეტების ქართულ ენაზე თარგმანის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. არის იმგვარი ეპითეტები, რომლებიც ნათარგმნი აბსოლუტური სიზუსტით, ეპითეტების ნაწილი მეტაფორულად არის ნათარგმნი, ნაწილი კი სრულიად განსხვავებულია, ან ჩამატებულია მთარგმნელის მიერ.

ძველი ბერძნული ეპიკური პოეზიიდან (ჰომეროსი, აპოლონიოსი) ქართულ ენაზე ეპითეტების თარგმნისას ამგვარ ლექსიკურ ვარირებას ოთხი ძირითადი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: მთარგმნელს გადმოაქვს ეპითეტი განსხვავებულად, რომ დაიცვას ძველი ბერძნული ეპიკური პოეზიისთვის დამახასიათებელი რითმა და რიტმი; სათარგმნ ენაში არ მოიპოვება ლექსიკური ერთეული, რომელიც თვითმყოფადია ორიგინალში გამოყენებული აღმწერის გადმოსაცემად და მთარგმნელი იძულებულია ჩაანაცვლოს ის სხვა ლექსიკური ფორმით; მთარგმნელს - კონტექსტისა თუ სიტუაციის შესაბამისად - უწევს შეცვალოს ეპითეტი, რომ ის აღქმადი გახდეს სათარგმნ ენაზე მკითხველისთვის (აქ გარკვეულ როლს თამაშობს სათარგმნ ენაზე მკითხველის იდენტობის საკითხი და მენტალური თავისებურებები); მთარგმნელი თავად ცვლის, ან ჩაურთავს ეპითეტს შინაარსის უფრო მხატვრულად გადმოცემისა და მკითხველში ემოციური ფონის ინტენსიფიკაციის მიზნით, რაც მატებს ეპიკურ პოემას მხატვრულ მრავალფეროვნებას და უფრო ემოციურს ხდის ტექსტს.

მასალაზე მუშაობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როგორი პასუხისმგებლობა აკისრია მთარგმნელს ავტორისა და მკითხველის წინაშე, მათ შორის, ეპითეტების თარგმნის დროსაც, რათა ავტორის ჩანაფიქრის სიზუსტეც მაქსიმალურად შეინარჩუნოს და იმ ენის სპეციფიკაც - გაითვალისწინოს, რომელზეც ითარგმნება ორიგინალი. ერთი არაზუსტად თარგმნილი ეპითეტი და „ქედმაღალი“ აგამემნონი შეიძლება „ამაყ“ პერსონაჟად იქცეს, მაგალითად, როგორც ეს გვხვდება ზოგიერთ უცხოენოვან თარგმანში და გაგვიჭირდეს იმ რეაქციების სწორი აღქმა, რომელებიც აქველებს აქვთ მთელი პოემის განმავლობაში თავიანთი მხედართმთავრის მიმართ. ყველა შემთხვევაში, შეიძლება თამამად ვამტკიცოთ,

რომ ქართულ ენაზე გვაქვს პანტელეიმონ ბერამის, აკაკი ურუშაძის, ზურაბ კიკნაძის, თამაზ ჩხენკელის, რომან მიმინოშვილის და ლევან ბერძენიშვილის მიერ დიდი სიზუსტით შესრულებული მაღალმხატვრული თარგმანები.

### ლიტერატურა:

1. არველაძე ნ. (2021): ეპითეტი როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი). დისერტაცია. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი.
2. გორგაძე მ. (2020): პოეტური ფორმულების თარგმნის საკითხისათვის „ილიადის“ ქართული თარგმანების მიხედვით. CODFREUF COR-ის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია ეროვნული ლიტერატურა თარგმანში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი.
3. Vijunas A. (2015): *Translating Ancient Texts into Modern Standardized Languages: Some Considerations*. The National Library of Latvia. Riga.
4. როდოსელი აპ. (1975): არგონავტიკა. თარგმნა აკაკი ურუშაძემ. გამომცემლობა სახელგამი. თბილისი.
5. Родосский Ап. (2001): *Аргонавтика*. Перевод Чистякова Н. Наука. Москва.
6. Rhodius Ap. (2008): *The Argonautica*. With an English translation by Green P. California University Press. California.
7. Scully S. (2006): *Homeric Epithets and Translation*. In: *International Journal of the Classical Tradition*. Vol. 12. N 3. Springer Publishing.
8. Гомер (2000): *Одиссея*. Перевод Жуковский В. Наука. Санкт-Петербург.
9. Гомер (2008): *Илиада*. Перевод Гнедича Н. Наука. Санкт-Петербург.
10. ჰომეროსი (2011): ოდისეა. თარგმნა ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა. გამომცემლობა პალიტრა L. თბილისი.
11. ჰომეროსი (2013): ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.
12. Homer (2015): *The Iliad*. With an English Translation by Green P. University of California Press. California.
13. ჰომეროსი (2015): ილიადა. თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.
14. Homer (2018): *The Odyssey*. With an English translation by Green P. University of California Press. California.

**Natia Arveladze**

Akaki Tseretli State University

natia.arveladze1@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.03>

### **For the Translation of Epithets from an Ancient Greek Epic Poetry (Homer, Apollonius)**

#### Abstract

During the translation of ancient Greek epic texts into the Georgian language, epithet translation is of a special importance. In the texts by Homer and Apollonius of Rhodes, we find several different realities while translating the epithets into Georgian: 1. Epithets are conveyed with



absolute accuracy. In such cases, the accuracy of contextual, grammatical and lexical features is fully preserved while translating an epithet; 2. Different lexical units with similar/identical semantic meaning are used to convey one epithet; 3. Epithets are conveyed by keeping the semantic side, but metaphorically - with a different lexical unit. In such cases the lexical meaning of the translated epithet is not equal to the epithet used in the original text. 4. Epithets are conveyed metaphorically, with a different lexical unit, which, is appropriate for the context but it is semantically different from the original; 5. The epithet is completely different from the original text, or added by the translator.

Thus, the translator is free from rhythmic obligations when selecting the appropriate Georgian epithet.

**Key words:** Greek Epic Poetry, Homer, Apollonius

ნატო ახალაია

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

nato.akhalaia@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.04>

## ატრიბუტულ სახელებში გამოვლენილი -ონ სუფიქსის კვალიფიკაციისათვის ლაზურში

**საკვანძო სიტყვები:** ატრიბუტული სახელები, -ონ სუფიქსი, ლაზური

ლაზურში ემპირიული მასალის ანალიზისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ატრიბუტულ სახელებში გამოვლენილმა -ონ სუფიქსმა, რომელიც ამავე ფუძეებისაგან წარმოქმნილ ზმნურ ფორმებში -ან-ის სახით არის წარმოდგენილი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ლაზური **ონ**-ი ქართული **ან**-ის ეკვივალენტად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1942:86; შანიძე 1973:144; დანელია 1976:108). ზოგადად, -ონ სუფიქსის გამოყენება ლაზურში მრავალფუნქციურია:

ა) „**ონ**-ი [ >ღონ-ი ] გამოიყენება არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა საწარმოებლად, რომელნიც აღნიშნავენ რისამე ქონებას ანდა რისამე სიჭარბეს, მაგ. შექერ**ონი** (= შაქრიანი), ნოს**ონი** (= ჭკვიანი), ნოს**ტონი** (= გემრიელი) (მარი 1910:73);

ბ) ზმნისეული ფუძისაგან -ონ სუფიქსის გამოყენებით მიიღება მოქმედი სახელი: ჭარ**ონი** (= მწერალი) (მარი 1910:73). აქვე უნდა აღვნიშნოთ, მოცემულ ნაშრომს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც -ონ-ი წარმოდგენილია მხოლოდ არსებით სახელებთან და მას ქართულში ქონების გამომხატველი -იან და -იარ სუფიქსები შეესატყვისება.

გ) „-ონ სუფიქსი აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მაგ.: თხირ**ონა**, ბინეხ**ონა**. მეგრულშიც ამ -ონ სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა; საკუთარ სახელებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს“ (ჩიქობავა 1926: 305-306). მაგ., ტოპ. აფხაზ-ანა < \*აფხაზ-ონა; შდრ. ჯაპ-ანა < ჯაპ-ონა (ქირია და სხვ. 2015:192).

აღნიშნულის გარდა, ვფიქრობთ, ლაზურის ატრიბუტულ სახელებში შეიძლება გამოიყოს -ონ სუფიქსის კიდევ ერთი ფუნქცია. კერძოდ, ის საგნის ნიშან-თვისებას ნეიტრალურთან შედარებით ნაკლები ოდენობით წარმოგვიდგენს, ანუ იგი ზედსართავი სახელის ოდნაობით ხარისხზე მიგვანიშნებს. მაგ.: უჩ-ონ-ი „მოშავო“, მჭით-ონ-ი „მოწითალო“, მჯვე-ონ-ი „მომძველო“, მკოლ-ონ-ი „მომწარო“, ელამჟა-ონ-ი//ელამჟა-ოჯ-ი „მომჟავო“... მსგავსი -ონ ელემენტები ფორმები დღესაც აქტიურად გამოიყენება ლაზურ მეტყველებაში:

*ნიმუშები:*

(1) რაკანის **ხჩეონი** ფუქირეფე იძირეტუ.

„მაღლობზე მოთეთრო ყვავილები მოჩანდა“.

(2) მჯვე**ონი** დოლოქუნეფე ბაშქაფეს ქომეფჩი.

„ნაკლებად ძველი ტანსაცმელები სხვებს მივეცი“.

(3) ელამჟა**ონი/ელამჟაოჯი** გდარი მეპყოდ.

„მომკავო საჭმელები გადავყარე“.

(ლაზეთი, ემპ. მასალა)

რაც შეეხება **-ონ**-ის წარმომავლობას, ერთი შეხედვით ადვილი საფიქრებელია, რომ იგი უკავშირდებოდეს ძველბერძნულ წარმომავლობას. კარგადაა ცნობილი ბერძნულ-ლაზური ენობრივი კონტაქტები საუკუნეების განმავლობაში პონტოს რეგიონში, შემდგომ კი – ბიზანტიის იმპერიის პერიოდში. აღნიშნული სუფიქსი ხარისხის წარმოების ფუნქციით გამოიყენებოდა ძველი ბერძნული ენის ატიკურ დიალექტში. აქ ზედსართავი სახელების ნაწილი შედარებითი (reps. უფროობითი) ხარისხის საწარმოებლად დაირთავს **ιαν/ιον** (მამრობითი / მდედრობითი სქესისთვის) და **iov/ιον** (საშუალო სქესისთვის) სუფიქსებს:

(4) **καλός** „მშვენიერი“ **καλλίαν, ιον** „უფრო მშვენიერი“ **κάλλ-ιστος** „უმშვენიერესი“

(5) **ταχύς** „სწრაფი“ **θάτταν, θάττων** „უფრო სწრაფი“ **τάχ-ιστος** „უსწრაფესი“

(6) **μέγας** „დიდი“ **μείζων, μείζον** „უფრო დიდი“ **μέγ-ιστος** „უდიდესი“

(7) **ἀγαθός** „კარგი“ **ἀμείνων, ἀμείνον** „უფრო კარგი“ **ἀγ-ιστος, -η, -ον** „უკეთესი“

(8) **δλίος** „მცირე“ **ἐλάττων, ἐλάττων** „უფრო მცირე“ **δλί-ιστος** „უმცირესი“

(გიორგობიანი 2017:140).

**-ან/-ონ** ხარისხის წარმოების ფუნქციით ასევე გამოვლენილია ძველ ქართულში და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. აღსანიშნავია, რომ კ. დანელიამ თვით ლაზურში გამოავლინა **თანაბრობითი ხარისხის** გამომხატველი ფორმა **მა-პეჯ-ან-ა**, რომელიც ნაწარმოებია **პეჯ-**ი (= სქელი) სიტყვისაგან. მაგ. „ოთხო კითიმ **მაპეჯანა** ფიცარიში იქიფან ბალუ „ოთხი თითის სისქის ფიცრის ბელელს აკეთებენ“ (ჩიქ., 1, 148)“ (იხ. დანელია 2006:119).

ძველ ქართულში ი. იმნაიშვილის შენიშვნით, „წით“ ფუძიდან ნაწარმოები ორნაირი ფორმა გვხვდება: „მოწითლე“ და „მოწითანე“, რომლებიც საწარმოებელ ფუძეზე ორი სხვადასხვა სუფიქსის დართვით არის მიღებული: წით-ელ და წით-ან. მაგ.

(9) „და არს **მოწითანე** თუალი იგი, რომელ პოვეს ქვის მთლელთა“

(თუალოთ. 23, 27) (იხ. იმნაიშვილი ი. 1957:457).

ი. იმნაიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **ყვითელ** ფუძის ოდნაობითი ხარისხი ორჯერ გვხვდება: **მოყვითანე** და **მოყვითანო** (იქვე, 456). სულხან-საბას ლექსიკონში ფორმა **მო-ყვით-ან-ო** განმარტებულია როგორც „მოყვითალო ფერი“ (იხ. სულხან-საბა).

ჩვენი აზრით, ოდნაობითის ფორმების საბაზისო ფუძეებში (**წით-ან**, **ყვით-ან**) გამოვლენილი **-ან** სუფიქსი შედარებით ხარისხზე მიუთითებს. უფროობითი (resp. შედარებითი) ხარისხის **-ან-იან** ფუძეს კი (**წით-ან**), მსგავსად მეგრულის **-არ-იანი** ფუძეებისა და სვანური ენის ჩოლურული ნიმუშებისა, ეყრდნობა ოდნაობითი ხარისხის ფორმა (**მო-წით-ან-ო**). აღსანიშნავია, რომ უფროობითი ხარისხის ძველისძველ ფორმად არის მიჩნეული სიტყვა: **უ-კუ-ან-ა**, რომელიც „კუალთან“ არის დაკავშირებული (ა. შანიძე).

რაც შეეხება ქართული ენის მთის დიალექტებს, სადაც უფრო მეტად არის დაცული ენის არქაული ვითარება და რაც თავისთავად მდიდარ წყაროს წარმოადგენს ზეპირმეტყველების ენების კვლევისათვის, აქ შენიშნულია, რომ **-ონ-ა** სუფიქსი, ასევე **მო-**(**მა-**) და **წა-** პრეფიქსები ხევსურულსა და ფშაურში აწარმოებენ ოდნაობითი ხარისხის ფორმებს. მაგ., ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ზოგ დიალექტში დაჩნდება განსხვავებული მაწარმოებლებიც (ეს ეხება მხოლოდ ოდნაობითი ხარისხის ფორმებს): **წა-წითლ-ო** (ფშაური), **წითლ-ონ-ა** (ხევსურული), **და-წითლ-ო** (აჭარული) „მოწითალო“ (იხ. ჯორბენაძე 1995: 141).

**-ონ სუფიქსი** ასევე ხარისხის ფუნქციით არის გამოყენებული შემდეგ ცოცხალ ნიმუშში:

(11) **თვალ მოვკარ, წითლონ** (= მოწითალო) რამ გადმეფარა.

„თვალი მოვკარი, მოწითალო რამე გადმოვიდა“.

(ფშავი, ემპ. მასალა).

ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა ხევსურულ დიალექტში აღ. ჭინჭარაულის მიერ გამოვლენილი ნასახელარ ზმნათა შემდეგი ნიმუშები:

წითელი : წასწითლ[ვ]ის, ყვითელი : წახყვითლ[ვ]ის  
(12) „კა ლუდი, მაგრემ დაფერულ ვერ-ა, წახყვითლის“  
(ჭინჭარაული 1960).

მოცემულ ზედსართავ სახელებში გამოყოფილი -ოვ, ავტორის აზრით, თემის ნიშანია, რომელიც ოდნაობით ხარისხზე მიუთითებს (იქვე, 149).

ცნობილია, რომ ზანურის სპეციფიკური თანაბრობითი ხარისხის ფორმა ეყრდნობა თვისება-შედარების პრინციპს („ისეთივე ლამაზი, როგორიც...“), რითაც იგი შინაარსობრივად უტოლდება ქართული -ოვან სუფიქსის ერთ-ერთ – თვისება-შედარების გამოხატვის ფუნქციას (მცირედი სემანტიკური სხვაობით); მაგ. ხავერდოვანი ავეჯი (= ხავერდით რბილი ავეჯი), ჰაეროვანი კრემი (= ჰაერივით მსუბუქი კრემი). ცხადია, აქ -ოვან სუფიქსი არსებით სახელებთან არის გამოყენებული, მაგრამ, მიღებული თვალსაზრისით, „-ოვან სუფიქსი არა მარტო აწარმოებს არსებით სახელთა ფუძეს, არამედ გვხვდება ვითარებით ზედსართავ სახელებთან. გვაქვს ევალ- : ევალ-ოვან-ი და, მეორე მხრივ, პატარა – პატვრანი (პატარ-ოვან-ი)“ (ცხადაძე 1984:358). ასევე საყურადღებოა, რომ ნიშან-თვისების გამომხატველ -მან სუფიქსს (ძველ-მანი, წვრილ-მანი) ქართულში -ოვან-ისაგან მიღებულად მიიჩნევენ შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნის გზით: ძველ-ოვან-ი > \*ძველ-ვან-ი > ძველ-მან-ი (ვ/მ თანხმოვანთა სუბსტიტუციით) (იხ. ჯორბენაძე და სხვ. 1988:284, 349).

ჩვენი აზრით, ქართულის -ან, ლაზურის შედარებითი ხარისხის -ონ (ჭით-ონ-ი „მოწითალო“) და აქტივებში გამოვლენილი -ან (ო-მჭით-ან-ეფს „აწითლებს“ > კონვერსიული პასივი: ი-მჭით-ან-ენ „წითლდება“), ასევე მეგრულის ე. წ. დონიან ფორმებში გამოვლენილი -ონ (ჭით-ონ-დუნ „წითლდება“) ერთი და იმავე მორფოლოგიური ღირებულებისაა. სავარაუდოდ, იგი ნიშან-თვისების გამომხატველი -ოვან-იდან მომდინარეობს: \*ოვან > ოან > ოონ > ონ.

ლაზურში ატრიბუტივებთან გამოვლენილი -ონ (<-ან), გაზმნავებისას, კერძოდ მოქმედებითი გვარის წარმოებისას, რეგრესული დისიმილაციით იცვლება -ან-ით (მაგ. მკოლო „მწარე“ → მკოლ-ონ-ი „მომწარო“ → \*ო-მკოლ-ონ-ეფს → ო-მკოლ-ან-ეფს „ამწარებს“ შდრ. ო-პეჯ-ან-ეფს „ასქელებს“):

(13) ADJ: კაპეტი „მაგარი, ძლიერი“ COMP: კაპეტ-ონ-ი „მომაგრო“

ACT: ო-კაპეტ-ან-ეფ/-ემ-ს „აძლიერებს, ამაგრებს“

PASS: ი-კაპეტ-ან-ენ „მაგრდება“

(14) ADJ: მკულე „მოკლე“ COMP: მკულ-ონ-ი „უფრო მოკლე“

ACT: ო-მკულ-ან-ეფ/-ემს. ACT „ამოკლებს“

PASS: ი-მკულ-ან-ენ „მოკლდება“

(15) ADJ: მსქვა „ლამაზი“ COMP: მსქვა-ონ-ი „ნაკლებ ლამაზი“

ACT: ო-მსქვ-ან-ეფ/-ემ-ს „ალამაზებს“

PASS: ი-მსქვ-ან-ენ „ლამაზდება“

(16) ADJ: გინძე „გრძელი“ COMP: გინძ-ონ-ი „მოგრძო“

ACT: ო-გინძ-ან-ეფ/-ემ-ს „აგრძელებს“

PASS: ი-გინძ-ან-ენ „გრძელდება“

აღსანიშნავია, რომ ნიშან-თვისების გამომხატველი სახელების მოქმედებითი გვარი ზანურში, ძირითადად, კაუზაციური წარმოების გზით არის მიღებული. ცნობილია, რომ კონფიქსურად ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები გარდაქცევითობას გამოხატავენ (შანიძე 1957:35-36; ჯორბენაძე 1975:110). ლაზურის ოდნაობითი ხარისხის ნიმუშთა (ტუცონი „მოცხელო“) გაზმნავება სემანტიკურად ემსახურება მათ გარდაქცევას, ნეიტრალურ კონდიციამდე მიყვანას (ოტუცანეფს „აცხელებს, ცხელს ხდის“).

ამრიგად, ლაზურის ატრიბუტულ სახელებთან და მათგან მიღებულ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნეებში გამოყოფილი **-ონ/-ან** მორფემები, რომელთა ანალოგი ძველ ქართულში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და სვანურში მოიპოვება, საერთოქართველური წარმომავლობის ხარისხის მაიდენტიფიცირებელი სუფიქსებია.

### ლიტერატურა:

- შანიძე ა. (1953):** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
- გიორგობიანი თ. (2017):** ბერძნული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბილისი.
- დანელია კ. (1976):** ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი.
- დანელია კ. (2006):** კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.
- იმნაიშვილი ი. (1957):** სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.
- მარი ნ. (1910):** *Грамматика чанского (лазского) языка*, СПб.
- ქირია და სხვ. (2015):** ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი.
- შანიძე ა. (1973):** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თბილისი.
- შანიძე ა. (1957):** ნასახელარი ზმნეები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი, ტ. I, თბილისი.
- ჩიქობავა არნ. (1942):** სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.
- ჩიქობავა არნ. (1926):** -ონ სუფიქსი მეგრულში. - თფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. 6, გვ. 305-311.
- ჭინჭარაული (1960):** „ხევსურულის თავისებურებანი“ ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი.
- ჯორბენაძე (1995):** ქართველურ ენათა დიალექტოლოგია, თბილისი.
- ჯორბენაძე ბ. და სხვ. (1988):** ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.
- ჯორბენაძე ბ. (1975):** ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

**Nato Akhalaia**

Javakhishvili State University

Tbilisi, Georgia

nato.akhalaia@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.04>

## The Qualify the suffix **-on** in attributive names in Lazure

### Abstract

During the analysis of the empirical material in Lazuri, our attention was drawn to the **-on** suffix found in the attributive names, which is represented in the form of **-an** in the verb forms formed from the same stems.

In linguistic literature **-on** is considered equivalent to Georgian **-an**.

In general, the use of the suffix **-on** in Lazuri has many functions.

**Key words:** Attributive names, suffix **-on**, Lazure

## ციური ახვლედიანი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
Tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.05>

## ფრანგული ენის ქრონოლოგიური ვარიაციულობა

**საკვანძო სიტყვები:** სტილისტიკური, სოციალური და ტერიტორიული ვარიაციულობა, ქრონოლოგიური ვარიანტი.

კლასიკური რომანისტიკის თვალსაზრისით, ფრანგული ენის ისტორია წარმოდგენილია მისი განვითარების სამი ძირითადი პერიოდით: ძველფრანგულით, საშუალოფრანგულით და ახალფრანგულით. ეს დაყოფა პირობითია და მის საფუძველს, ძირითადად, წარმოადგენენ სოციოლინგვისტური და/ან სინტაქსური კრიტერიუმები. უპირველეს ყოვლისა, ძველფრანგული განსხვავდება საშუალოფრანგულისაგან სისტემური და სინტაქსური ნიშნებით: ძველფრანგული ენა წარმოდგენილია სინთეტიკური სისტემით, საშუალოფრანგული კი - ანალიტიკური ელემენტების დიდი რაოდენობით.

ზოგად მეთოდოლოგიურ პოზიციათა და წარმოშობის ისტორიის განვითარების ქრონოლოგიის საფუძველზე, ფრანგული ენის ჩამოყალიბება და ევოლუცია იყოფა შემდეგ პერიოდებად: კლასიკური ლათინური (ჩვ. ერის III ს.); ხალხური ანუ ვულგარული ლათინური (ჩვ. ერის III–VII ს.); გალორომანული (პროტორომანული) ენა (ჩვ. ერის VII–VIII ს.); ძველფრანგული პერიოდი (ჩვ. ერის IX–XIII ს.); ენა წარმოდგენს სინთეტიკურ სისტემას, ფუნქციონირებს, ძირითადად, მრავალრიცხოვან დიალექტთა ფორმით; საშუალოფრანგული პერიოდი (XIV–XV ს.): ენა ხდება უპირატესად ანალიტიკური სისტემისა; ადრეულ ახალფრანგული პერიოდი (XVI ს.): ენა ხდება საერთო მთელი საფრანგეთის ერისათვის და საფრანგეთის სახელმწიფო ენა; ახალფრანგული პერიოდი (XVII–XVIII საუკუნეებიდან დღემდე): დადგინდა ენის ნორმები, რეგულირდება განვითარება და ფუნქციონირებს დღემდე. თითოეული მითითებული პერიოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც ენის ქრონოლოგიური მდგომარეობის ვარიანტი ან როგორც ქრონოლოგიური ვარიანტი. პირველი სამი პერიოდი ეხება ფრანგული ენის წინარე ისტორიას. ამ სინქრონულ მონაკვეთში ხდება მისი ფორმირება ხალხური ლათინურისა და კელტური დიალექტების საფუძველზე გალიაში. შემდგომი ოთხი პერიოდი - საკუთრივ ფრანგული ენის ისტორიაა, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სისტემა. თანამედროვე რომანისტიკაში განასხვავებენ ლათინური ენის განვითარების შემდეგ პერიოდებს: არქაული ლათინური (ჩვ. ერამდე III ს.–II ს. ბოლომდე); კლასიკური ლათინური (ჩვ. ერამდე I ს.–ჩვ. ერის II ს.); ხალხური (ვულგარული) ლათინური (ჩვ. ერის III–VII ს.). ლათინური ენის არსებობის უფრო გვიანი ფორმა, რომელიც რომელიც განეკუთვნება ჩვ. ერის VIII საუკუნეს, რომანისტიკაში იწოდება პროტორომანულ ან გალორომანულ (გალიის ტერიტორიაზე) ენად. იმ კვლევათა მონაცემები, რომლებიც ეხება ლათინური ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს და მათი შეპირისპირება ყველა რომანულ ენათა თავისებურებებთან, გვაძლევს ისეთი დასკვნის საშუალებას, რომ მათი საფუძველია არა კლასიკური, არამედ, ძირითადად, ვულგარული ლათინური. იმ დროს,

როდესაც კლასიკური ლათინური წარმოადგენს სრულყოფილების ნიმუშს, მკვეთრი და მკაცრი ნორმებით გრამატიკულ და ფონეტიკურ სისტემებში, ხალხური ლათინური ხასიათდება ამ ნორმებიდან მნიშვნელოვნად გადახრილი. ეს გადახრა უკავშირდება ცვლილებებს მორფოლოგიაში, ნაკლებად მკაცრ სინტაქსს, სასაუბრო ენის სიჭარბეს და ა. შ. 842 წელს, ჩნდება პირველი ტექსტი, დაწერილი რომანულ ენაზე - “სტრასბურგის ფიცები”. 882 წელს, ჩნდება ლიტერატურული ტექსტი რომანულ ენაზე - “წმინდა ეულალის კანტინელა”. ენის განვითარების ძველფრანგულ პერიოდში შესაძლებელი იყო განსაზღვრული პრინციპით ფორმირებულ სიტყვათა ლექსიკური ჯგუფების გამოყოფა, რაც ახასიათებდა მოცემულ ქრონოლოგიურ ვარიანტს: ლათინური წარმოშობის სიტყვები (სასაუბრო ლექსიკა, რომელიც წარმოადგენს ახალი სიტყვების შექმნის სიტყვამაწარმოებელ ბაზას); არალათინური წარმოშობის სიტყვები (კელტურიდან, გერმანულიდან, ძველბერძნული ენიდან ნასესხები ლექსიკა). ლექსიკის ეს ჯგუფები განსხვავდებიან როგორც რაოდენობრივი მიმართებით, ასევე გავრცელების პლანითაც: ლათინიზმები წარმოდგენილია პრაქტიკულად მოღვაწეობის ყველა სფეროში, კელტიზმები და გერმანიზმები უკავშირდებიან რეალიათა განსაზღვრულ წრეს. ასე მაგალითად, კელტური ენის სიტყვები განეკუთვნებიან სოფლის მეურნეობის სფეროს, გერმანიზმები - სამხედრო სფეროს. ძველფრანგული ენა შეიცავს კელტური წარმოშობის სამასამდე სიტყვას. მაგალითად, საფრანგეთის ზოგიერთი ქალაქის სახელწოდებაში კელტური ძირებია – **Paris, Reims, Poitiers, Amiens, Angers** და სხვ. ძველფრანგულ ენაში, გერმანული წარმოშობის ლექსიკა მნიშვნელოვნად ბევრია. ამასთანავე, გერმანიზმთა ფართო პლასტი წარმოდგენილია ჯერ კიდევ ხალხურ ლათინურში, უმთავრესად, სამხედრო საქმესთან დაკავშირებული სიტყვები. ძველფრანგული ენის ლექსიკა, თავისი სემანტიკური შემადგენლობით, ხასიათდება მრავალფეროვნებით. ადრეულ პერიოდში, აქტიურად ვითარდებოდა ლექსიკა, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანის ორგანიზმს, მის ინტელექტუალურ, შრომით მოღვაწეობას, მორალურ და სახასიათო თვისებებს, ემოციურ განცდებს. ლათინური წარმოშობის სიტყვებია: **homme** -კაცი, **femme** -ქალი, **frère** -ძმა, **soeur**-და, **pied** -ფეხი. ძველფრანგული ენის პერიოდშივე, ნასესხებია ლათინურიდან ქალაქის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკაც: **cité** -დაბა, **ville** -ქალაქი, **tour** -კოშკი, **pavillon** -პავილიონი, ფანჩატური. ასევე ლათინურიდანაა შემოსული სხვადასხვა ბუნებრივი ობიექტების სახელწოდებები: ცა, მიწა, მზე – **ciel, terre, soleil**; ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ უმარტივეს შრომით ქმედებებს, მეტყველებასა და აზრობრივ აღქმას: **couper** -გაჭრა, **fendre** -გაპობა, **tendre** -გაჭიმვა, **dire** თქმა; გადაადგილებას, მოძრაობას: **aller** -წასვლა, **venir** -მოსვლა, **fuir** -გაქცევა, **courir** -სირბილი. XIV–XV საუკუნეებში აქტიურად ფორმირდება საერთოფრანგული წერითი ლიტერატურული ენა. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ფრანსიული დიალექტი, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ილ-დე-ფრანსში და რომელიც იმ დროისათვის იქცა საფრანგეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, დედაქალაქით - პარიზი. საშუალოფრანგულის პერიოდში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ფრანგული სალიტერატურო წერითი ენის გამოყენება საქმიან სფეროში. განვითარდა კომედიური, ზნე-ჩვეულებათა აღმწერ რომანთა ჟანრები, მემუარული ლიტერატურა (ანტუან დე ლა სალი, ჟან ფრუასარი). აქტიურად განვითარდა ლირიკული პოეზია (გიომ მამო). ფრანგული სალიტერატურო წერითი ენის გავრცელებამ ხელი შეუწყო არა მხოლოდ ფრანგული ლიტერატურის გაფურჩქვნას, არამედ მთარგმნელობითი მოღვაწეობის განვითარებასაც, რითაც გაჩნდა ლათინურიდან ფრანგულზე გადათარგმნილი დიდი რაოდენობის ნაწარმოებები. ამ პერიოდში ითარგმნა მნიშვნელოვანი მოცულობის იურიდიული, ფილოსოფიური, ისტორიული ტრაქტატები და სხვადასხვა დარგის სამეცნიერო თხზულებები. პირველ ჰუმანისტთა აქტიური მთარგმნელობითი მოღვაწეობა ხელს უწყობდა დიდი რაოდენობის ახალ სიტყვათა გაჩენას ფრანგულ ენაში, რომელნიც წარმოადგენდნენ სამეცნიერო ტერმინოლოგიის საფუძველს XVI საუკუნესა და მომდევნო საუკუნეებშიც.

ადრეულ ახალფრანგულ პერიოდში, 1564 წ., კარლოს V -ის მეფობისას, ფრანგული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად. ის გამოიყენებოდა რელიგიის, ფილოსოფიისა და მეცნიერების სფეროებში. იგი გახდა მეცნიერული შესწავლის ობიექტი. ამ პერიოდის ენის ლექსიკურ შემადგენლობაზე ზემოქმედება იქონია ალორძინების ეპოქამ: აქტიურად ივსებოდა ხელოვნების ტერმინოლოგია, გაჩნდა ახალი სამეცნიერო და სამხედრო ტერმინოლოგია. ფართოდ სესხულობდნენ ლექსიკას დიალექტებიდანაც, მაგალითად: **abeille** - ფუტკარი, **hisser** - აღმართვა, **avalanche** - ზვავი, **glacier** - მყინვარი. XVII–XVIII ს. დადგინდა ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ფრანგული ენის განვითარებასა და ფუნქციონირებას თითქმის ახლანდელ დრომდე. ამ პერიოდს უწოდეს კლასიკური პერიოდი. ამ დროის ფრანგული ენის განვითარება უკავშირდება პურისტულ კამპანიებს, რომელთა იდეური შთამაგონებელი იყო ფ. მალერბი. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა გრამატიკული სისტემის მოსაწესრიგებლად (პორ-როიალის, ა. არნოს, კ. ლანსლოს გრამატიკები) და “ფრანგული აკადემიის ლექსიკონის” შექმნაში. XVII–XVIII ს. ფრანგული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, იტალიანიზმებისა და ლათინიზმების გვერდით, გაჩნდა ანგლიციზმებიც. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით, შეიქმნა ტერმინოლოგიური ლექსიკონები. პურისტები მოითხოვდნენ ფრანგული ენის განწმენდას ფამილარიზმებისა და დიალექტიზმებისაგან. ყალიბდება **bon usage** და **mauvais usage**. ამ ისტორიულ პერიოდში, აქტიური ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობით, სისტემატიზირებულ, სტრუქტურირებულ და ნორმალიზებულ იქნა ფრანგული ენის ლექსიკონი.

ამგვარად, ჩანს, რომ ყოველი სინქრონული მონაკვეთი ხასიათდება ენობრივი განვითარების სპეციფიკური პროცესებით. ქრონოლოგიური ვარიაციულობა დამოკიდებულია ფრანგულის სოციალურ-ტერიტორიალურ და სტილისტიკურ ვარიაციებზე, რაც ასახავს ენობრივ პროცესთა ურთიერთგანპირობებულებას მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

## ლიტერატურა

1. Bruneau Ch. Petite histoire de la langue française, t. I – II, Paris, 1955 – 1958.
2. ახვლედიანი ც. ფრანგული ენის ისტორია. თბილისი, 2012.

**Tsiuri Akhvlediani**

Iv.Javakhishvili State University  
Tbilisi, Georgia

[Tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge](mailto:Tsiuri.akhvlediani@tsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.05>

## Chronological variability of the French language

### Abstract

The article describes the main stages of the formation and development of the French language. The issues of stylistic, social and territorial variability of the French language in diachrony through the prism of lexical diversity are considered. An assumption is made about the possibility of identifying chronological variants of the French language.

**Key words:** stylistic, social and territorial variability, chronological version.



იაგორ ბალანჩივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.06>

## სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების ჩართულობით, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება

**საკვანძო სიტყვები:** სწავლის ხარისხი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

განათლების სფეროს ერთ-ერთი გამოწვევაა მშობლის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა. დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის ყველა რგოლის ჩართვასა და თანამშრომლობას. სასკოლო საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად მშობელი ითვლება. მისი აქტიური ჩართვა მნიშვნელოვანია განსაკუთრებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, მათი მხარდამჭერ პოზიციაში ყოფნა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვაში, სუსტი მხარეების ძლიერად გარდაქმნასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

მშობელთა ჩართულობით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უამრავი ეფექტური მაგალითი არსებობს, როგორც სკოლისათვის, ასევე მოსწავლისათვის და, რა თქმა უნდა, თავად მშობლებისათვის. მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი არის ეფექტური კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცნობა-გაცვლა და უკუკავშირი. ეფექტური ჩართულობისათვის მნიშვნელოვანია მშობლისათვის შვილის პროგრესისა და რეგრესის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება.

მშობელთა ჩართულობა გულისხმობს საშინაო დავალების შესრულებაში დახმარებას, მის რეგულარულ შემოწმებას, მშობლის დახმარებას წიგნიერების ამალგებაში, მშობლები უნდა დაეხმარონ შვილებს დროის სწორად გადანაწილებასა და აქტივობების დაგეგმვაში.

მშობელთა ჩართულობა სკოლაში გულისხმობს მშობლის პედაგოგებთან რეგულარულ კავშირს, სასკოლო დონისძიებაში ჩართვას, სხვადასხვა გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობას, გარკვეულ დონეზე სკოლის მართვაში ჩართვა მშობლის მნიშვნელოვანი მოვალეობაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება მშობლების სასკოლო ცხოვრებასა და მშობლების სწავლაში ჩართულობა.


ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ აღნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლების გაუმჯობესებაზე, როგორც შინ ასევე სკოლაში. მშობელთა ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წარმატებისთვის, არის კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ის მოსწავლეები, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართული არიან მშობლები, გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, პოზიტიური ქცევით, აქვთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. სკოლებში ხშირად ვაწყდებით მშობლების პასიურობას, რაც აისახება მოსწავლეების სწავლის ხარისხზე. სწორედ ამან დაგვაფიქრა, შეგვესწავლა აღნიშნული პრობლემა,

დაგვედგინა ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და განხორციელებული ინტერვენციებით აღმოგვეფხვრა ან შეგვესუსტებინა აღნიშნული პრობლემა.

ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთაც აქვთ ინტელექტუალური დარღვევა. ვფიქრობ კვლევის პროცესიც და შედეგიც საინტერესო იქნება, რადგან სწორედ სსმ მოსწავლეების მშობლების ჩართულობაზე გავამახვილეთ ყურადღება.


დიაგნოსტიკა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან: ანკეტირება მასწავლებლებთან, სიღრმისეული ინტერვიუ მშობელთან და მოსწავლეთა დიაგნოსტიკა ქართულ ენაში, თითოეულ მათგანს აქვს შესაბამისი მიზანი და ამოცანები. შევადგინეთ სათანადო ვკითხვები და შემდეგ ჩავატარეთ დიაგნოსტიკა.

**ანკეტირება მასწავლებლებთან მიზანი:** დავადგინო რამდენად არიან ჩართული





სსმ მოსწავლეების მშობლები სწავლა-სწავლებაში, როგორია მათთან კომუნიკაცია. კვლევაში მონაწილეობა 20-მა მასწავლებელმა მიიღო (რამდენიმე ცხრილია წარმოდგენილი).

ჩვენ ვკითხეთ მასწავლებლებს რამდენად ახერხებდნენ მშობლებთან ეფექტურ კომუნიკაციას. აქვე მოცემული იყო სამი სავარაუდო პასუხი, რომლებიც ასე გადანაწილდა: 2-მა გასცა პასუხი ზოგჯერ, 12-მა უპასუხა არასდროს, ხოლო 6-მა აირჩია პასუხი ყოველთვის.



შემდეგ მათ ვკითხეთ ი.ს.გ შედგენის დროს (მიზნების დასახვისას) ითვალისწინებთ თუ არა მშობლის პრიორიტეტებს? პასუხები ასე გადანაწილდა: 5-მა გასცა პასუხი ყოველთვის, 13-მა - ზოგჯერ, ხოლო 2-მა არასდროს.

დავინტერესდით და ვკითხეთ აქვთ თუ არა მშობელთან კომუნიკაცია, უშუალოდ პროცესის შესახებ, პასუხები ასე გადანაწილდა: 3-მა გასცა პასუხი ყოველთვის, 5-მა გასცა პასუხი ზოგჯერ, ხოლო 12-მა გასცა პასუხი არასდროს.



ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო ი.ს.გ მიზნის მონიტორინგის დროს, ჰქონდათ თუ არა კომუნიკაცია მშობელთან, აფასებთ თუ არა პროგრესს ან რეგრესს მათთან ერთად - პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 1-მა მასწავლებელმა გასცა პასუხი ყოველთვის, 6-მა ზოგჯერ, ხოლო 13-მა არასდროს.

დავინტერესდით გაგვეგო მასწავლებლებისაგან რამდენად ხშირად ყოფილან მშობლები ინიციატორები კომუნიკაციაში - პასუხები ასე გადანაწილდა: 4-მა გასცა პასუხი ყოველთვის, 3-მა ზოგჯერ, ხოლო 13-მა არასდროს.

მასწავლებლებს ვკითხეთ ახერხებენ თუ არა მშობლები თავი წარმოადგინონ მხარდამჭერი პოზიციიდან. პასუხები ასე გადანაწილდა: 4-მა გასცა პასუხი ყოველთვის, 4-მა აირჩია პასუხი - ზოგჯერ, ხოლო 12-მა კი არასდროს.

კვლევის შედეგად ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ სსსმ მოსწავლეების მშობლების

მცირე ნაწილი არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში, ასევე არასაკმარისი კომუნიკაცია არის მასწავლებლებსა და მშობლებს შორის.

**სიღრმისეული ინტერვიუ მშობელთან: მიზანი:** დავადგინოთ რა ფაქტორები უწყობს, ან პირიქით უშლის ხელს მშობელს იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში, რა როლს თამაშობს სსსმ მოსწავლის მშობელი ბავშვის განვითარებასა და განათლებაში.

სიღრმისეული ინტერვიუდან დადგინდა, რომ სკოლაში ვიზიტი არ ან ვერ ხერხდება ხშირად დროის უკმარობის გამო, შესაბამისად ვერ ხერხდება შვილის შესახებ პროგრესის ან რეგრესის შესახებ ინფორმაციის მიღება. საშინაო დავალებზე დახმარება უმეტეს მშობლებს არ შეუძლიათ: ზოგისთვის დროის სიმცირე არის მიზეზი. ზოგისთვის სირთულეა შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა, როგორ დაეხმაროს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში. მშობლები აცნობიერებენ საკუთარ როლს შვილის განვითარებაში და მზად არიან თანამშრომლობაზე, ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებაზე რათა მეტად ჩაერთონ შვილის სასწავლო პროცესში.

მშობლებთან სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ძირითადად იკვეთება კომუნიკაციის პრობლემა 1 - კომუნიკაციის სირთულე მშობელსა და მასწავლებლებს შორის. ინფორმაციის ნაკლებობა, როგორ იყვნენ მხარდამჭერი მშობელი, სირთულე სტრატეგიების შერჩევაში, ასევე სოციალური ფონი. **მოსწავლეთა დიაგნოსტიკა ქართულ ენაში, მიზანი:** დავადგინოთ რა სირთულეები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში, წერასა და

თხრობაში. ეს დაგვეხმარა სწორად შეგვერჩია ინტერვენციები (მხოლოდ ერთ მაგალითს წარმოვადგენ).

<b>კითხვა</b>	ცნობს ანბანის ყველა ასოს, არჩევს ხმოვანს და თანხმოვანს, ასახელებს მითითებულ ასოს ანბანის მწკრივში, კითხულობს 3 მარტივ წინადადებას ერთი ტექსტიდან, თუმცა უჭირს ხაზიდან ხაზზე გადასვლა. სასვენ ნიშნებს ცნობს, მაგრამ არ ითვალისწინებს. რთულ სიტყვებში (სამმარცვლიანი და მეტი) ტოვებს მარცვლებს, რთულ სიტყვებში ანაცვლებს ასოებს.
<b>თხრობა</b>	მისთვის ნაცნობი ამბის მოყოლის დროს თხრობის ტემპი არის ნელი, სიტყვებს შორის პაუზებით, სიტყვები ამბის მიმართ მიზანმიმართული, მოვლენების თანმიმდევრობა დაცული, მაგრამ სირთულე აღინიშნება უშუალოდ იმ წუთს ნათქვამ ამბავს ვერ იმეორებს, სიტყვების თანმიმდევრობა და ამბის თანმიმდევრობა არ არის გამართული.
<b>წერა</b>	მოსწავლეს კალამი უჭირავს მარჯვენა ხელში, სამითა ჩაჭიდებით, უჭირს მეორე ხელით ფურცლის დაფიქსირება, ასოების ზომა არის არასტანდარტული, ზედა და ქვედა რეგისტრის ასოები არ არის დაცული. წინადადებაში სიტყვებს შორის დისტანცია არ არის დაცული. შეუძლია დაფიდან გადაწერა, მაგრამ ვერ წერს კარნახით.

მოსწავლეების შეფასებისას იკვეთება სხვადასხვა სახის სირთულე კითხვაში, წერასა და თხრობაში. ჩვენ პრიორიტეტად ჩავთვალეთ კითხვა, ხოლო წერა და თხრობა დამატებით პრობლემად ავირჩიეთ, მათზე პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა. აქედან გამომდინარე პრობლემა 2 ასე ჩამოყალიბეთ: კითხვის სირთულე მოსწავლეებში. კვლევის შედეგების ანალიზმა დაგვანახა რა კუთხით უნდა დავგვეგემა და განგვეხორციელებინა ინტერვენციები რათა მოგვეხდინა პრობლემის აღმოფხვრა ან შემსუბუქება.

კვლევის შედეგების შეფასების შემდეგ დავგვეგემეთ და განვახორციელეთ ინტერვენციები. ინტერვენციები განვახორციელეთ ორი მიმართულებით: მშობლებისათვის, რათა თავად შეძლონ ჩაერთონ შვილის სწავლა-სწავლების პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. დავძლიეთ კომუნიკაციის სირთულეები სკოლასა და მშობლებს შორის და მოსწავლეებისათვის კითხვის უნარის განსავითარებლად.


ინტერვენციები მშობლებისთვის სკოლასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად, ხშირი და პოზიტიური კავშირი დავამყარეთ მშობლებთან, სადაც ჩავრთეთ საგნის მასწავლებლები. თვეში ერთხელ ვიწვევდით სკოლაში და ვაცნობდით შვილის მიღწევებს. შეხვედრების დროს მშობლებს საგნის მასწავლებელი წინასწარ აცნობდა იმ ტექსტებს, რომლებსაც შემდეგი თვის განმავლობაში მათი შვილები დაამუშავენ. ვაცნობდით იმ სტარტეგიებს, რომლის გამოყენებით შეძლებდნენ საკუთარ შვილებს დაეხმარონ სირთულეების დაძლევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მოვახდინეთ მშობლების გამოკითხვა და გავითვალისწინეთ მათი ინტერესები.

კითხვის უნარის განსავითარებლად გამოვიყენეთ „მთლიანობითი კითხვის მეთოდი“. მოსწავლეებს ვაწვდიდით ბარათებს, სადაც დახატულ საგანს, ქვემოთ ეწერა აღნიშნული საგნის ამსახველი სიტყვა. მრავალჯერადი და მრავალი ბარათის გამოყენების შემდეგ ვიყენებდით გამოტოვებულ ასოებგერიან ბარათს, მოსწავლეს ვაძლევდით საშუალებას, ამოეცნო სიტყვის მთლიანი ხატი.

„მარცვალთა მწკრივი“ მოსწავლეებს ვაწვდიდით გადაბმული მარცვლების ბარათს და უნდა მოეხდინათ ამ ბარათზე, მარცვლების ისე განცალკევება, რომ გამოსულიყო სიტყვა. საყვარელი ზღაპრის გმირის აპლიკაციის შექმნა - მოსწავლეებს ვუკითხავდით ზღაპარს, ისინი ასახელებდნენ საყვარელ გმირს, წინასწარ ამოებჭდილ გმირებს

გამოჭრიდნენ და ქვემოთ მიუწერდნენ სახელწოდებას. ამ აქტივობის შემდეგ ხდებოდა ამ გმირის სახელის წაკითხვა, დამარცვლა, გადაწერა, გამოძერწვა და გამოჭრა.

შესაბამისი ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, გავაკეთეთ შედეგების ანალიზი: კვლევის დაწყებამდე, კვლევის განხორციელების პროცესში, ანუ შუალედური შეფასებისას და კვლევის ბოლოს.



ინტერვენციის განხორციელებით ჩვენ ვხედავთ კარგ შედეგს: გაიზარდა მშობელთა ჩართულობა და შემცირდა სირთულეები კითხვაში. მოსწავლეთა მშობლების ჩართვით სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება უწყვეტი პროცესია, მოითხოვს უფრო მეტ დროს ვიდრე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან.

მშობლებთან რეგულარული ინფორმაციის გაცვლა და მათთვის მიგნებების და სტრატეგიების გაზიარება გამოიწვევს მათ მოტივაციას, დაინტერესებას შვილის სასკოლო შედეგების გაუმჯობესებაში მიიღოს მონაწილეობა.

კითხვის უნარის განსავითარებლად კი სსსმ მოსწავლეებთან რეგულარული მუშაობა საჭირო და შეუძლებელია სრულად ეს სირთულე ამ ერთი კვლევის ფარგლებში აღმოიფხვრას თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად შევძელით პრობლემის შემსუბუქება.

**ლიტერატურა:**

1. აფთარაშვილი ი., ბალანჩივაძე ი., დევაძე ქ., მოდებაძე ნ. (2023). ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდლოგია, თბილისი.
2. ბაგრატიონი-მუხრანსკი მ., ტყეშელაშვილი შ., ქურციკიძე ლ. (2021). ინკლუზიური განათლების გზამკვლევი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი
3. ქურციკიძე ლ., ტყეშელაშვილი შ. (2018) ინტელექტუალური სირთულის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, თბილისი
4. James C.Harriss, M. (2010). *Intellectual Disability*. New York: Oxford Univrsity Press
5. Michael L.Wehmeyer, K. A. (2017). *Handnook of Research-Based Practices for Educationing Students with Intellectual Disability*. New York: Routledge

**Iagor Balanchivadze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

e-mail: [iagor.balanchivadze@atsu.edu.ge](mailto:iagor.balanchivadze@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.06>

## **Improving the quality of education with the involvement of parents of pupils with special educational needs**

### **Abstract**

Parents are considered one of the important links of the school community. The role of parents, their active involvement is important especially for pupils with special educational needs, being in a supportive position helps pupils better see their own abilities, transform their weak points into strong ones and most importantly, improve the quality of learning.

We studied several pupils with special educational needs. In the process of the research, we focused in the involvement of the parents of the pupils of SSSM. Diagnosing consists of several stages: questionnaire with teachers, in-depth interview with parents and diagnosis of pupils in Georgian language.

As a result of the research, 2 problems were identified: difficulty in communication between parents and teachers and difficulty in reading among pupils. Based on the results, we planned and implemented interventions. We implemented interventions in 2 directions: for parents and pupils.

By implementing the intervention, we achieved a certain result: parental involvement increased and difficulties in reading decreased.

**Key words:** Degree of study, special educational need.

ანა გიგაური

ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თელავი საქართველო

anagigauri@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.07>

## ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლა/სწავლების დროს უნივერსიტეტში

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ინგლისური ენის სწავლა/სწავლება

**შესავალი.** ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას სასწავლო პროცესში აქტიურად იკვლევენ ბოლო წლებია. რიჩარდსისა და შმიტის (2002) განმარტებით, „ხელოვნური ინტელექტი არის მანქანის უნარი შეასრულოს ის ფუნქციები, რომელიც ჩვეულებრივ დაკავშირებულია ადამიანის გონებასთან, მაგალითად, მსჯელობა, გამოსწორება, თვითგანვითარება და გამოცდი-ლებით სწავლა. კომპიუტერული პროგრამისტები ცდილობენ შექმნან პროგრამები, რომლებსაც აქვთ ეს შესაძლებლობები“ (Richards & Schmidt, 2002). შედარებით გავრცობილი განმარტებაა წარმოდგენილი ენციკლოპედიაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი განმარტებულია, როგორც „ციფრული კომპიუტერის ან კომპიუტერით კონტროლირებული რობოტის უნარი წარმოადგი-ნონ დავალებები, რომლების ჩვეულებრივ დაკავშირებულია გონიერ არსებებთან“ (Copeland).

**საკითხის მიმოხილვა.** 1940-იანი წლებიდან დაიწყო კომპიუტერების განვითარება. მათ შეუძლიათ პროგრამირების მეშვეობით შეასრულონ სხვადასხვა რთული დავალებები, მაგალითად, აღმოაჩინონ მათემატიკური თეორემების მტკიცებულებები, ითამაშონ ჭადრაკი და ა.შ. (Copeland, 2024). რაც შეეხება სწავლა-სწავლებას, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლე-ბელია დიდი როლი შეასრულოს მის წარმართვაში. მითუმეტეს რომ დღევანდელი წინაშე დგას ამ პროცესის ინოვაციურად წარმართვის საჭიროება. გარდა ამისა, ხელოვნურმა ინტელექტმა ჩაანაცვლა ერთ დროს „შეუცვლელი“ მასწავლებლის ზოგიერთი ფუნქცია. რეისის (Reiss, 2021) აზრით, ხელოვნური ინტელექტის განათლებაში შემოსვლა აუცილებლად იქონი-ებს გავლენას ამ სფეროზე. ავტორი თვლის, რომ ეს გავლენა მხოლოდ დადებითი არ იქნება. დასაწყისში ეს ჩვეულებისამებრ გაზრდის „საგანმანათლებლო უთანასწორობას“, მანამ სანამ მისი გამოყენება სრულად არ დაფარავს საგანმანათლებლო სფეროს (Reiss, 2021).

ხელოვნურ ინტელექტს მრავალი დადებითი თვისება აქვს. მცირე მათგანი ჩამოთვლილია ქვევით: .მას შეუძლია გლობალური საკლასო ოთახის შექმნა, რომელიც ერთდროულად ხელმისაწვდომში გახდება მათთვის, ვისაც აქვთ მხედველობის ან სმენის დაქვეითება, ან არიან ავად; ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით დავალებების შესრულებაზე დახარჯული დრო მცირდება;

- ხელოვნური ინტელექტი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს უმარტივებს რესურსებზე წვდომას;

- ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია დაზოგოს დავალების შემოწმებაზე დახარჯული დრო;
- ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მარტივდება სასწავლო პროგრამებზე წვდომა. მოსწავლეებს შეუძლიათ მოემზადონ ტესტისთვის სახლში, მიიღონ ინფორმაცია ხმოვანი ასისტენტების დახმარებით და ა.შ. (Kengam, 2020).

თუმცა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას უარყოფითი მხარეებიც მოეპოვება. მას შეუძლია ხელი შეუწყოს სწავლებას და სწავლას, მაგრამ ჩნდება ახალი რისკები.

- ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შესაძლებელია შეამციროს ინტერპერსონალური კომუნიკაცია და გამოიწვიოს ტექნოლოგიაზე დამოკიდებულება;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაკავშირებულია დიდ ფინანსებთან და შესაბამისად ყველა ორგანიზაციას არ აქვს მასზე წვდომის საშუალება;
- ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია დიდი რაოდენობით ინფორმაციის შენახვა, თუმცა მისი მწყობრიდან გამოსვლის შედეგად შესაძლებელია ჩვენ ბევრი ინფორმაცია დავკარგოთ (Kengam, 2020).

ხელოვნური ინტელექტის სამი პარადიგმა არსებობს:

- ხელოვნური ინტელექტი - მმართველი, მოსწავლე - როგორც მიმღები;
- ხელოვნური ინტელექტი - მხარდამჭერი, მოსწავლე-როგორც თანამშრომელი;
- ხელოვნური ინტელექტი - უფლებამოსილი, მოსწავლე-როგორც ლიდერი (Ouyang,

პირველ პარადიგმაში ხელოვნური ინტელექტი ყველაზე ნაკლებად არის შემსწავლელზე ორიენტირებული. ის არ ითვალისწინებს შემსწავლელის ცოდნას და უნარებს, ისე იძლევა უკუკავშირს. მეორე პარადიგმა, პირველისგან განსხვავებით, შემსწავლელზეა ორიენტირებული და სწავლა მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში (Ouyang, Jiao, 2021). მესამე პარადიგმა ხელოვნურ ინტელექტს ადამიანის გონიერების დამხმარედ მოიაზრებს (Law, 2019).

დღეისათვის მრავალი კვლევა ხორციელდება განათლებაში ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა მიმართულებით გამოყენებასთან დაკავშირებით. ბარეტი და სხვ. (Barrett და სხვ. 2019) საუბრობენ ხელოვნური ინტელექტის დადებით მხარეებზე სასწავლო პროცესის მართვის კუთხით.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ჩვენი კვლევის მიზანი იყო გაგვერკვია რამდენად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს მასწავლებლები და სტუდენტები ინგლისური ენის სწავლა-სწავლების დროს. ამ მიზნით ჩვენ შევადგინეთ კითხვარი მასწავლებლებისთვის და სტუდენტებისთვის. მასწავლებელთა კითხვარი შედგებოდა ათი კითხვისგან, ხოლო სტუდენტთა - ცხრა კითხვისგან. კითხვები იყო როგორც ღია ტიპის, ისე - დახურული. კითხვარები შევადგინეთ ონლაინ ფორმატში და ისე გავუგზავნეთ რესპოდენტებს.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25-მა ინგლისური ენის მასწავლებელმა და 569 სტუდენტმა, რომელთაც გავლილი ჰქონდათ უცხო (ინგლისური) ენის კურსი. რაც შეეხება მასწავლებლებს, მათ

- 64%-ს ჰქონდა ათი და მეტი წლის სამუშაო გამოცდილება;
- 12%-ს ჰქონდა 5-დან 10 წლამდე მუშაობის გამოცდილება;
- ხოლო 24%-ს - 1-დან 5 წლამდე.

მასწავლებელთა უმრავლესობის (52%) ასაკი მერყეობდა 35-დან 45-წლამდე. მათი 32% იყო - 25-დან 35-მდე, ხოლო 16% - 45-დან 55-მდე. არცერთი მასწავლებელი არ იყო 55 წელს ზევით.


გამოკითხული მასწავლებლები ადასტურებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები მათ გამოყენებული აქვთ:

გრამატიკული შეცდომების პოვნის და გასწორების მიზნით **კვლევის შედეგები**



საინტერესოა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობას (64%) არ აქვს გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი ინგლისური ენის სწავლების პროცესში. მხოლოდ 36% ადასტურებს მის გამოყენებას ამ მიზნით (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1. მასწავლებელთა პასუხი მესამე კითხვაზე.**



მასწავლებლები მიუთითებენ, რომ გამოუყენებიათ სხვადასხვა ტიპის ხელოვნური ინტელექტი და ასახელებენ მეტწილად ChatGPT-ს.

კითხვაზე: „რამდენად ხშირად გამოგიყენებიათ ხელოვნური ინტელექტი“:

- 4% მიუთითებს „ძალიან ხშირად“
- ამდენივე (4%) ადასტურებს პასუხს „ხშირად“
- მასწავლებელთა 38% ამტკიცებს, რომ ისინი იშვიათად იყენებენ ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა ინსტრუმენტს;
- ხოლო 54% არასოდეს გამოუყენებია ის (იხ. ცხრილი 2).


მასწავლებელთა 52% თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში საჭიროა. 44%-ს არ აქვს კითხვაზე პასუხი. მხოლოდ 4% ამბობს, რომ არ არის საჭირო ხელოვნური ინტელექტის ჩართვა ამ პროცესში.

- - 35%;
- სხვადასხვა დავალებაზე მუშაობის დროს - 30%;
- დავალებების შედგენის დროს - 26%

## ცხრილი 2. მასწავლებელთა პასუხი მეხუთე კითხვაზე.

საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში?

Answered: 25 Skipped: 0




ANSWER CHOICES	RESPONSES
დიახ	52.00% 13
არა	4.00% 1
არ ვიცი	44.00% 11
<b>TOTAL</b>	<b>25</b>

მასწავლებლების აზრით (60%), ხელოვნური ინტელექტის ჩართვა სწავლების პროცესში გავლენას მოახდენს ენის შემსწავლელის ინგლისური ენის ცოდნის დონეზე. მათ 48%-ს სჯერა, რომ გავლენა დადებითი იქნება; ამდენივე მასწავლებელს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 4% ხედავს ამაში უარყოფითს (იხ. ცხრილი 3).

## ცხრილი 3. მასწავლებელთა პასუხი მეცხრე კითხვაზე.

როგორ გავლენას მოახდენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თქვენი სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნაზე?

Answered: 25 Skipped: 0



ANSWER CHOICES	RESPONSES
ა. დადებითს,	48.00% 12
ბ. უარყოფითს,	4.00% 1
გ. არანაირს	0.00% 0
დ. მიჭირს პასუხის გაცემა	48.00% 12
<b>TOTAL</b>	<b>25</b>


მასწავლებელთა 64% თვლის, რომ აუცილებელია რაიმე რეგულაციების შემოღება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაკონტროლების მიზნით.

რაც შეეხება სტუდენტებს, მასწავლებლების მსგავსად მათი უმრავლესობაც (52%) აღნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტი არ გამოუყენებიათ სწავლის პროცესში. 40% აღნიშნავს, რომ გამოუყენებიათ მსგავსი ინსტრუმენტები. საინტერესოა, რომ 7%-მა არ იცის რა არის ხელოვნური ინტელექტი.

კითხვაზე: საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში, 52% მიუთითებს რომ საჭიროა, 20% უარყოფით პასუხს აფიქსირებს, ხოლო 28%-ს არ აქვს მოსაზრება ამ საკითხზე (იხ. ცხრილი 4).

#### ცხრილი 4. სტუდენტთა მოსაზრება მეორე კითხვაზე.

2. საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში? (კითხვაში მონაწილეთა რაოდენობა: 569)



მესამე კითხვა იყო: რამდენად ხშირად გამოგიყენებიათ ხელოვნური ინტელექტი ინგლისური ენის სწავლის დროს?

- 39% აღნიშნავს, რომ არასოდეს გამოუყენებია ხელოვნური ინტელექტი ინგლისური ენის სწავლის დროს;
- 19% ამბობს, რომ იშვიათად გამოუყენებია;
- 15% აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად გამოუყენებია ამ მიზნით;
- 14% ამტკიცებს, რომ ხშირად იყენებს;
- 13% ძალიან იშვიათად გამოუყენებია.

ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტს სხვადასხვა დოზით გამოუყენებელი აქვს ხელოვნური ინტელექტი ინგლისური ენის სწავლის პროცესში.

შემდეგი კითხვა იყო: რა მიზნით გამოგიყენებიათ ხელოვნური ინტელექტი ინგლისური ენის სწავლის დროს? აღნიშნულ კითხვაზე სტუდენტებს რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ. აღმოჩნდა, რომ

- 37 %-ს ეს ინსტრუმენტები გამოყენებული აქვს სხვადასხვა დავალებაზე მუშაობის დროს;
- 21% ამბობს, რომ იყენებენ გრამატიკული შეცდომების პოვნის და გასწორების მიზნით;
- 18% აღნიშნავს თემის წერას.

მეხუთე კითხვა იყო: ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემდეგ გაუმჯობესდა თუ არა თქვენი ინგლისური ენის ქულები?


- 43% ამბობს, რომ გაუმჯობესდა;
- 17% ამტკიცებს, რომ არ გაუმჯობესებულა;
- 40%-ს არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი (იხ. ცხრილი 5).

მეექვსე კითხვაში რესპოდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ თუ რა ტიპის/რომელი ხელოვნური ინტელექტი გამოუყენებიათ ინგლისური ენის სწავლების პროცესში. სტუდენტები ასახელებენ:

- უმეტესად ChatGPT-ს, მასწავლებლების მსგავსად;
- თარგმნის სხვადასხვა ინსტრუმენტებს;
- გრამატიკული შეცდომების პოვნის ინსტრუმენტებს.

**ცხრილი 5. სტუდენტთა მოსაზრება მეხუთე კითხვაზე.**

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემდეგ გაუმჯობესდა თუ არა თქვენი ინგლისური ენის ქულები? (კითხვაში მონაწილეთა რაოდენობა: 562)



მეშვიდე კითხვა იყო: თქვენი აზრით, მოახდენს თუ არა გავლენას ხელოვნური ინტელექტი თქვენი ინგლისური ენის ცოდნაზე.

- 58% დადებითად პასუხობს;
- 28%-ს არ აქვს ამაზე პასუხი;
- 13% თვლის, რომ არ მოახდენს ხელოვნური ინტელექტი გავლენას მათ ცოდნაზე.

რესპოდენტების 65% ამბობს, რომ ამ ყველაფერს დადებითი გავლენა ექნება მათ ცოდნაზე; 22 % ამტკიცებს, რომ არანაირი გავლენა არ ექნება, ხოლო 12%-ის აზრით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უარყოფით გავლენას მოახდენს მათი ინგლისური ენის ცოდნაზე (იხ. ცხრილი 6).

**ცხრილი 6. სტუდენტთა მოსაზრება მერვე კითხვაზე.**

8. როგორ გავლენას მოახდენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება თქვენი ინგლისური ენის ცოდნაზე? (კითხვაში მონაწილეთა რაოდენობა: 564)




ბოლო კითხვა ეხებოდა იმას, თუ რამდენად აუცილებელია გარკვეული რეგულაციების შემოღება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაკონტროლების მიზნით. აღმოჩნდა, რომ სტუდენტების:

- 51% აუცილებლად მიიჩნევს მის გაკონტროლებას;
- 17% ვერ ხედავს ამის საჭიროებას;
- 32%-ს არ აქვს ამაზე პასუხი (იხ. ცხრილი 7).

### ცხრილი 7. სტუდენტთა მოსაზრება მეცხრე კითხვაზე.

9. თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა რაიმე რეგულაციების შემოღება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაკონტროლების მიზნით? (კითხვაში მონაწილეთა რაოდენობა: 564)



### დასკვნა

ამრიგად, ინგლისური ენის მასწავლებელთა კვლევამ დაგვანახა, რომ ისინი აქტიურად არ იყენებენ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებს. მათ დიდ ნაწილს კი საერთოდ არ აქვს ის გამოყენებული სწავლების პროცესში. თუმცა ინგლისური ენის მასწავლებელთა უმრავლესობა ხედავს ხელოვნური ინტელექტის სარგებლობას და მიიჩნევს, რომ საჭიროა მისი ჩართვა სწავლების პროცესში. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები უმეტესად დავალებების შედგენის და გრამატიკული შეცდომების პოვნა-გასწორების მიზნით იყენებენ ამ ინსტრუმენტებს. ისინი ძირითადად ასახელებენ ერთი და იგივე ინსტრუმენტს (ChatGPT, Grammarly).

სხვაგვარი მდგომარეობა დაფიქსირდა სტუდენტებთან. ისინი ადასტურებენ უფრო მეტი დოზით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. აღნიშნული რესპოდენტები ასახელებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს: ChatGPT, Grammarly, Quillbot, Duolingo, Sapling და ა.შ.

სტუდენტების უმრავლესობა თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტი დადებით გავლენას მოახდენს მათი ენის ცოდნაზე და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად გაუმჯობესდა მათი სასწავლო კურსის ქულებიც.

რაც შეეხება რეგულაციების შემოღებას, სტუდენტებისა და მასწავლებლების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საჭიროა გარკვეული რეგულაციების შემოღება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაკონტროლების მიზნით.

### ლიტერატურა:

1. Barrett, M., Branson, L., Carter, S., DeLeon, F., Ellis, J., Gundlach C. & Lee, D. (2019). Using Artificial Intelligence to Enhance Educational Opportunities and Student Services in Higher Education
2. Copeland, B. (2024, February 2). artificial intelligence. Encyclopedia Britannica. <https://www.britannica.com/technology/artificial-intelligence>
3. Ouyang, F. & Jiao, P. (2021). Artificial intelligence in education: The three paradigm. ELSEVIER. Retrieved on February 5, 2024, from: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2666920X2100014X>
4. Kengam, J. (2020). Artificial Intelligence in Education. DOI: 10.13140/RG.2.2.16375.65445 Retrieved on January 31, from: [https://www.researchgate.net/publication/347448363\\_ARTIFICIAL\\_INTELLIGENCE\\_IN\\_EDUCATION](https://www.researchgate.net/publication/347448363_ARTIFICIAL_INTELLIGENCE_IN_EDUCATION)
5. Law, N. W. Y. (2019). Human development and augmented intelligence. In The 20<sup>th</sup> international conference on artificial intelligence in education (AIED 2019). Springer.
6. Reiss, M.J. (2021) 'The use of AI in education: Practicalities and ethical considerations'. *London Review of Education*, 19 (1), 5, 1–14. <https://doi.org/10.14324/LRE.19.1.05>
7. Richards, J. C. & Schmidt, R. (2002). Longman Dictionary of Language Teaching and Applied Linguistics. Pearson Education Limited

**Anna Gigauri**

Gogebasvili State University

Telavi, Georgia

[anagigauri@yahoo.com](mailto:anagigauri@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.07>

## **The use of Artificial intelligence (AI) while teaching/learning English as a Foreign Language at the University Level**

### Abstract

The article deals with the use of artificial intelligence in the process of learning and teaching English. The author presents the results of her research. The article is interesting because the question is analyzed from two different sides - English language teachers and English language learners. The article states that the teachers are not actively using the capabilities of artificial intelligence. Most of them have not used it at all in the teaching process. However, the majority of English language teachers see the benefits of artificial intelligence and consider it necessary to include it in the teaching process. Unlike teachers, students use artificial intelligence more. Regarding the introduction of regulations, the majority of students and teachers believe that some regulations are needed to control the use of artificial intelligence.

**Key words:** Artificial intelligence (AI), teaching/learning English

**Гик Анна Владимировна**

Институт русского языка им. В.В. Виноградова

Москва, Россия

[annagik@yandex.ru](mailto:annagik@yandex.ru)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.08>

**СТРАТЕГИИ СЕМАНТИЧЕСКОЙ ДЕРИВАЦИИ  
ПОЭТИЧЕСКОГО ЯЗЫКА  
(ЛЕКСЕМА «ЗЕМЛЯ» - ПО МАТЕРИАЛАМ «СЛОВАРЯ ЯЗЫКА  
РУССКОЙ ПОЭЗИИ XX ВЕКА»)**

В статье описывается функционирование лексемы «земля» в поэтическом языке XX века. Разбираются оппозиции, в которые встраивается образ «земли», поднимающийся до символа Родины. Оппозиционный характер введения в поэтическое произведение указанной лексемы служит не только разделению небесного и земного, но и находит точки взаимодействия и соположения.

Поэты начала XX века используют устоявшиеся конструкции народной поэзии: земля-мать, сырая земля, родная земля и др.; в стихотворения включаются фразеологические обороты разной стилистической окраски (земля обетованная, соль земли). Реализация в стихах оппозиции «жизнь – смерть» свидетельствует об использовании лексемы «земля» в эвфемистических выражениях, обозначающих уход из жизни.

Объектом нашего исследования стали материалы уникального «Словаря языка русской поэзии XX века» (СЯРП) [Словарь 2001–2022–]. Словарь является многотомным изданием, в котором реализована модель сводного контекстного словаря комментирующего типа. СЯРП содержит описание совокупного лексикона десяти крупнейших поэтов, принадлежавших разным литературным направлениям: И.Анненского (Анн), А.Ахматовой (Ахм), А.Блока (АБ), С.Есенина (Ес), М.Кузмина (Куз), О.Мандельштама (ОМ), В.Маяковского (М), Б.Пастернака (П), В.Хлебникова (Хл) и М.Цветаевой (Цв). Соединение в этом Словаре элементов регистрирующего и объяснительного справочников, а конкретно — конкорданса и толкового словаря, позволяет определить его как «контекстный (цитатный) словарь комментирующего типа, который может быть отнесен к авторским словарям нового поколения» [Шестакова 2022, с. 149].

На таком обширном материале поэтического языка начала XX века мы и рассматриваем особенности семантической деривации слова «земля» [Словарь 2008, с. 227–244]. Проблемы развития значения слов в разных типах дискурсов остаются актуальными задачами многих лингвистических работ [Бардамова 2010; Демидов 1987; Зубова 2023; Нефедова 2023].

Особое внимание уделяется семантике слов, которые образуют базовые понятия человеческого существования. Такие понятия формируют воззрения человека на самого себя и окружающую его действительность.

Лексема «Земля» в толковых словарях представлена в различных значениях: планета; суша; территория; верхний слов земной коры, почва, грунт; страна, государство.

В поэтическом языке семантика конкретных слов, к которым относится «земля» может проявлять свою синкретичность, а может использоваться в узком значении: Ах, верен я, далек чудес послушных, Твоим цветам, веселая земля! Куз906<sup>1</sup> (в значении «место обитания», а также – «почва»); На твоей планете всходит солнце, И с моей земли уходит ночь. Куз908 (в значении «планета»).

Поэты начала XX века сохраняют в языковых структурах память о древней истории слова и, одновременно, развивают его семантическую структуру. Таким образом, в процессе семантической деривации, значение слова расширяется, изменяются его сочетаемостные свойства.

Анимистическое мирозерцание предков находит развитие в поэтических произведениях указанного периода. Согласно этим представлениям, земля является живым существом, относящимся к женскому полу: матерью, девушкой. А.Афанасьев пишет о брачном союзе неба и земли: «Рядом с представлениями неба, как блаженной обители богов и праведных, оно [небо] было олицетворяемо и в живом божественном образе. Плодотворящая сила солнечных лучей и дождевых ливней, ниспадающих с небесного свода, возбуждает производительность земли, и она, согретая и увлажненная, растит травы, цветы, деревья и дает пищу человеку и животным. Это естественное и для всех наглядное явление послужило источником древнейшего мифа о брачном союзе неба и земли, причем небу придан воздействующий, мужской тип, а земле – воспринимающий, женский» [Афанасьев 1995, с. 65].

Почти у каждого из десяти поэтов встречаются контексты с персонификацией образа земли. Земля может ласкать, дремать, вздыхать, дышать, умирать и др.: Я расскажу про мечты, озаренные Пржегнуею лаской земли. АБ901; Сонная дремлет земля, АБ902; Запад погас, и вздохнула земля. АБ904; Надо мною блуждающий вечер И дыханье тихой земли. Ахм909; Гримасничающий закат Глумится над землей голодной. П909–20–е; И, как усопшая, лежала Крутом широкая земля. Хл[911]; Голос дочерний Земля подает Хл911–12; О дожде тосковала земля Ахм914; – Сегодня ночью я целую в грудь Всю круглую воющую землю! Цв916; Земли девической упругие холмы Лежат спеленутые туго. Хл920; Земля смотрела именинницей. П944.

Но не только земля сравнивается с девушкой, возможно также и обратный ход сравнения: Девушки пригожие, Как сама земля. АБ907.

Блок утверждает, что он является часть земли: – Я – последний мускул земли, АБ904. Маяковский, наделяя «землю» человеческими качествами, не церемонится в оценках. У земли лысеющая голова, она пьяная: Земля! / Дай исцелю твою лысеющую голову / <...> / дай обовью я впалые груди болот. М[1913]; У пьяной, / в кровавом пунше, / земли – / смотрите! – / взбухает утроба. М918.

В творчестве Пастернака развивается новая метафорика, сравнивающая землю с транспортным средством, у земли, как у велосипеда (автомобиля?) есть педаль: Рванувшейся земли педаль, П909–20–е.

Лексема «земля» в поэтических произведениях наделяется символическим значением и встраивается в семантические оппозиции, формирующие модель мира (верх – низ; свой – чужой; над – под; (жизнь – смерть); там – здесь) [Лакофф, Джонсон 1990]. Земля включается в основную оппозицию «верх-низ». Соответственно, находится в оппозиции небо-земля: Отошли облака и тревоги, Всё житейское - в сладостной мгле, Побежали святые дороги, Словно небо вернулось к земле. АБ902; Между небом и землей Веселится смерть. АБ907; И мне, как всем, всё тот же жребий Мерещится в

---

<sup>1</sup> Выделения полужирным в контекстах – наши – А.Г.. Шифр к стихотворению устроен так: дается имя или фамилия автора, затем три последние цифры года. АБ901 – значит: Александр Блок, стихотворение 1901 года.



грядущей мгле: Опять любить Ее на небе И изменить ей на земле. *АБ909*; Слагаю набожно простые строки, Святая Дева, благостно внемли! Ты видишь все на небе, на земли, Тебе известны тайных слез потоки И смерти сроки, [здесь: *устар., предл.*] *Куз909*; Небо бело страшной белизною, А земля – как уголь и гранит. *Ахм914*; Столько раз я проклинала Это небо, эту землю, *Ахм915*; Мужайтесь, мужи. Кале плугом, океан деля, Мы будем помнить и в летейской стуже, Что десяти небес нам стоила земля. *ОМ918*.

Однако однозначно говорить, что события, связанные с верхом, несут положительную оценку, а с низом – оцениваются со знаком минус, не следует [Милюков, Полянский 2008]. Земля, «хотя и находится в некоторой символической оппозиции по отношению к небу, не противопоставлена ему аксиологически, поскольку естественные коннотации Матери-Земли включают не только мертвые тела и привидения, но также и возможности зарождения и поддержания новой жизни» [Уилрайт 1990, с. 102].

Земля становится точкой отсчета для движения вверх – к солнцу, в небо, в метафорическом смысле – в развитие: Огни на мачтах зажигая, Уходят в море корабли, А ты, ночная, ты, земная, Опять уносишь от земли. *АБ908*. А вниз – к смерти, покою.

Но движение вниз амбивалентно. Зерно, попавшее в землю, прорастает и превращается в растение. В поэтическом языке зерно образно представляет стихотворения: Как землю где-нибудь небесный камень будит, **Упал опальный стих**, не знающий отца. *ОМ937*; А **Муза** и глохла и слепла, В земле истлевала зерном, Чтоб после, как Феникс из пепла, В эфире восстать голубом. *Ахм957*.

Противопоставление неба и земли снимается в творчестве: «Эй, поэт, послушай, слаб ты иль не слаб? **На земле милее. Полно плавать в небо**. Как ты любишь доли, так бы труд любил <...>» РП *Ес925*.

Оппозиция «там – здесь» смещает фокус интереса к здесь – земле: Там, в глубинах, – мечты и мысли скоры, **Здесь, на земле**, – как сон, и свет и тень. *АБ902*.

Земля становится также базовой плоскостью, от которой измеряют длину волос, например: Я вышел юношей один В глухую ночь, **Покрытый до земли** Тугими волосами. Хл[922]; или березовых сережек: Цепляюсь в клейкие сережки Обвисших до земли берез. *Ес915*

Оппозиция «свой – чужой» земля наделяется разными свойствами, в зависимости от того, родная земля, своя – Родина – или нет: Я от жизни смертельно устал, Ничего от нее не приемлю, Но люблю мою бедную землю Оттого, что иной не видал. *ОМ908*; Он поэт, поэт народный, Он поэт **родной земли!** [о г. Панфилове] *Ес912*; Тогда бродили страсти голо В **земле славянского глагола**, И, звонкой кривдой не сочтешь, Была красивей молодежь. РП Хл911–12; И льется аллилуйя На смуглые поля. Я в грудь тебя целую, Московская земля! *Цв916*.

Не запаливайте свечу Во церковной мгле. Вечной памяти не хочу На родной земле. *Цв916*; Мне загоститься не дать на российской земле! *Цв916*; Исчезнет ложь и грусть, – Я буду воспевать Всем существом в поэте **Шестую часть земли С названием кратким «Русь»**, *Ес924*. Я весь мир заставил плакать Над красой **земли моей**. П959.

Оппозиция «над — под» реализуется в противопоставлении жизни и смерти. Оппозиция находит свое выражение в конструкциях с предлогами и без. Так быть «под землей» – значит, быть мертвым (об амбивалентности этого положения см. выше), быть «на земле» – значит, жить: И падает шелковый пояс К ногам его – райской змеей... А мне говорят - успокоюсь Когда-нибудь, **там, под землей**... *Цв917*; Кляча с гробом тащится. Меня **под землю не надо** б, Я одна – рассказчица. *Ахм942*; Что мы наделали, боже, с тобой, С кем еще мы поменялись судьбой? Лучше б нас **не было на земле**, Лучше б мы были в небесном кремле, *Ахм964*.

Предложные конструкции «быть в земле», «под землей» являются эвфемистическими, так как служат для описания погребения, смерти, небытия: Уж крышку туго закрывают, Чтоб ты не мог навеки встать, Землей холодной зарывают, Где лишь бесчувственные спят. *Ес911–12*; Слушайте! – Я не приемлю! Это – западня! **Не меня опустят в землю**, Не меня. Цв913; Лишь мертвый не вставал с земли. Вы были дети и герои, Вы все могли, [о генералах 1812г.] Цв913; И под землю скоро уснем мы все, Кто на земле не давали уснуть друг другу. Цв915; Так, в землю проводив меня глазами, Вот что напишите мне на кресте, - весь сказ! - «Вставала с песнями, леглась со слезами, А умирала - так смеясь!» Цв919-20; У – в землю идущих – ладони раскрыты: Все наши полки разбиты! Цв919-20; Зернится скорбь в гнезде былых веселий, Где я ищу следов красы и чести, Исчезнувшей, как сокол после мыта, Оставив тело в **земляной постели**. ОМ933-34; Жуть, что от всей моей Сонечки [Голлидэй] Ну - не осталось ни столечка: **В землю зарыть не смогли** - Сонечку люди - сожгли! Цв936; Как луч тебя освещает! Ты весь в золотой пыли. И пусть тебя не смущает **Мой голос из-под земли**. Цв913; Питерские сироты, Детоньки мои! **Под землей не дышится**, Боль сверлит висок, Сквозь бомбежку слышится Детский голосок. Ахм942.

Парадокс, но и земля воспринимается умершей в сравнительной конструкции Хлебникова: Как два согнутые кинжала, Вонзились в небо тополя, И, как усопшая, лежала Крутом широкая земля. *Хл[911]*.

Поэтическая речь включает фразеологические выражения, например, «провалиться сквозь землю»: Вдруг куда-то пропал мой тип, Будто сквозь землю провалился. *Куз928*; «*пусть земля будет пухом кому-нибудь*»: Длинные к шее спускались усы – Теперь он давно на небеси, Батюшка-барин! Будь земля ему пухом! *РП Хл921*; «*соль земли*»: Наша соль - пыль от пуля! Наша быль – рваный куль! Пусть злее чумы, – Всё ж соль земли – мы! *РП Ирон. Цв925*; «*приложить ухо к земле*»: Я ухо приложил к земле. Я муки криком не нарушу. Ты слишком хриплым стоном душу Бессмертную томишь во мгле! *АБ907*; «*стать землей*»: Двинемся, дружные, к песням! Все за свободой – вперед! Станем землю – воскреснем, Каждый потом оживет! *Хл918,22*.

*Научная картина мира также представлена в поэзии указанного периода: земля вращается. Поэты каждый по-своему интерпретируют этот факт: Я не знаю, Земля кружится или нет, Это зависит, уложится ли в строчку слово. Хл[909]*; Ты дал нам мужества – На сто жизней! Пусть земли кружатся, Мы – недвижны. *Цв918*

Авторы серебряного века включают в произведения фразеологизмы, пришедшие в язык из религиозных текстов. Так, разные поэты используют выражение: «земля обетованная» (обозначает Палестину, куда Бог, выполняя своё обещание, привёл потомков Авраама). И если Цветаева придерживается традиционного высокого смысла выражения, то Маяковский помещает фразеологизм в иронический контекст: Но, ни единым взглядом не моля, Вперед, вперед, с сожженными губами, Пока Обетованная земля Большим горбом не встанет над горбами. *Цв917 (1,375.1)*; Но больше всего / мне / понравилось – / это: / это / белее лунного света, / удобней, / чем **земля обетованная**, / это – / да что говорить об этом, / это – / ванная. *М928*.

Выражения, характерные для народной поэзии: сырая земля, край земли: Но столетья прошли, И продумал я думу столетий. Я у самого края земли, Одинокий и мудрый. *АБ901*; Много замолкло, многие ушли. Много дум уснуло на краю земли. Но остались песни и остались дни. *АБ903*; Из сырой земли, со дна морюшка, Встают праведны, встают грешники *Куз903*; Здесь, Капитолия и Форума вдали, Средь увядания спокойного природы, Я слышу Августа и на краю земли Державным яблоком катящиеся годы. *ОМ915*.

*Поэты используют индивидуальные метафорические описания земли. Так Мандельштам приводит определения земли, свойственные хлебу: Всё чуждо нам в столице непотребной: Ее сухая черствая земля, И буйный торг на Сухаревке хлебной, И страшный вид разбойного Кремля. ОМ918*

Таким образом, лексема «земля» в поэтическом языке начала XX века используется как в традиционных контекстах, входит в основополагающие оппозиции: свой – чужой; жизнь – смерть; так и развивает индивидуальные авторские ассоциации данного понятия.

### **Библиография:**

Афанасьев А.Н. (1995). Поэтические воззрения славян на природу: Опыт сравнительного изучения славянских преданий и верований в связи с мифическими сказаниями других родственными народами. В трех томах. Т. 1. Ч. 3-1. Издательство «Современный писатель». Москва.

Бардамова Е.А. (2010). Особенности семантики фразеологических единиц со словом земля (сопоставительный аспект) // Вестник Челябинского государственного университета. 2010. № 29 (210). Филология. Искусствоведение. Вып. 47. С. 33–36.

Демидов Д.Г. (1987). Из истории имен всеобщего пространства "земля", "вселенная", "мир", "свет" // Семантика слова в диахронии. Межвузовский тематический сборник научных трудов. Калининград. С. 12–21.

Зубова Л.В. (2023). Семантическая редеривация слова // Труды Института русского языка им. В.В. Виноградова РАН. Гл. ред. А. М. Молдован. № 2. Москва. С. 274–284.

Нефедова Е. А. (2023). Земля: лингвистическая и культурная семантика // Русская речь. № 4. С. 63–73.

Мильков В. В., Полянский С. М. (2008). Космологические произведения в книжности Древней Руси. В 2 частях. Издательство Товарищества «Мирь». Санкт-Петербург.

Словарь языка русской поэзии XX века. (2001–2022–). Т. I–IX– / Сост.: В.П.Григорьев (отв. ред.), Л.Л.Шестакова (отв. ред.), Л.И.Колодяжная (ред.), А.С.Кулева (ред.), В.В.Бакеркина, А.В.Гик, Т.Е.Реутт, Н.А.Фатеева. Издательство «Языки славянской культуры». Москва.

Словарь языка русской поэзии XX века. Том III: 3 – Круг (2008). Сост.: Григорьев В.П. (отв. ред.), Шестакова Л.Л. (отв. ред.), Колодяжная Л.И. (ред.), Бакеркина В.В., Гик А.В., Реутт Т.Е., Фатеева Н.А. Издательство «Языки славянских культур». Москва.

Уилрайт Ф. (1990). Метафора и реальность // Теория метафоры: сборник: пер. с англ., фр., нем., исп., польск. яз. / Вступ. ст. и сост. Н.Д. Арутюновой; общ. Ред. Н.Д. Арутюновой и М.А. Журниской. Москва. С. 82–110.

Лакофф Д., Джонсон М. (1990). Метафоры, которыми мы живем // Теория метафоры. Издательство «Прогресс». Москва. С. 387–415.

Шестакова Л.Л. (2022). «Словарь языка русской поэзии XX века»: от пробного выпуска до VIII тома // Труды Института русского языка им. В.В. Виноградова РАН. № 2 (32). С. 148–163.

Гик Юрий Львович

Независимый исследователь, член Ассоциации искусствоведов

[gikjuri@yandex.ru](mailto:gikjuri@yandex.ru)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.09>

## ОСОБЕННОСТИ ЯЗЫКА НАПРАВЛЕНИЯ СОВРЕМЕННОГО ИСКУССТВА «МЕЙЛ-АРТ»

Мейл-арт – это направление современного искусства, основанное на коммуникации и интенсивно использующее почтовые артефакты: марки, оттиски штампов, открытки, конверты [Гик 2021]. По стилистике мейл-арт наследует как идеям классического Авангарда (Дада, итальянского и русского футуризма), так и более современного концептуализма и поп-арта. Основатель направления – американский художник Рэй Джонсон – был близок сюрреализму, и первоначальный мейл-арт напоминал известную сюрреалистическую игру «Изысканный труп». В этой игре участники обычно писали фразы на листочке, не видя фраз предыдущих игроков. Получаемый таким образом текст был обычно абсурдным. Существовала и версия игры с рисунками вместо фраз. Джонсон добавил в эту художественную игру почтовую систему.

Со временем мейл-арт развился в серьезное направление. В нем участвуют тысячи художников и поэтов по всему миру. Проведено множество выставок, в том числе крупнейших музеев современного искусства – например, в Центре Помпиду (Париж). Мейл-арт можно рассматривать и как творческую группу, находящуюся на творческой сцене уже более 60 лет. Долголетию способствует система правил и ограничений, формирующих основные принципы и структуру направления. Мейл-арт можно рассматривать как отдельную семиотическую систему. Это искусство можно рассматривать в качестве языка, а произведения мейл-арта – в качестве текста, в соответствии с принципами Лотмана. «Но если искусство — особое средство коммуникации, особым образом организованный язык (вкладывая в понятие "язык" то широкое содержание, которое принято в семиотике, — "любая упорядоченная система, служащая средством коммуникации и пользующаяся знаками"), то произведения искусства — то есть сообщения на этом языке — можно рассматривать в качестве текстов.» [Лотман 1970, с.11]. В этом языке можно выделить различные уровни по аналогии с естественным языком – как поступил Лев Жегин при изучении древней живописи. «Система передачи изображения, применяемая в древнем живописном произведении, может исследоваться на разных уровнях — с учетом специфики как самих изображаемых объектов (их семантики), так и средств изображения. (Здесь может быть аналогия с выделением различных уровней при изучении естественного языка – семантического, грамматического, фонологического и др. ...))» [Жегин 1970]. Выделим в мейл-арте соответственно уровни графем (букв), морфем (слов) и общий текстовый. Также опишем правила грамматики, т.е. особенностей коммуникации.

**Уровень графем (букв).** Уровень графем, нижний уровень семиотической системы мейл-арта, составляют разнообразные художественные техники. Наиболее известной из них является коллаж – излюбленная техника основателя мейл-арта Рэя Джонсона. Джонсон известен как предтеча поп-арта, где коллажи играют значительную роль. Творчество Джонсона оказало влияние на Энди Уорхола, лидера поп-арта. Именно коллажи Джонсон рассылал своим друзьям в рамках Нью-йоркской школы корреспонденции – раннего варианта современной международной сети мейл-арта. Коллажи, как и смешанная техника, популярны в мейл-арте в силу простоты и доступности – мейл-арт не требует профессиональных художественных навыков.

Мейл-арт появился в 1960-е, в момент революционных изменений в искусстве, связанных прежде всего с возникновением концептуализма. Переосмыслению подверглись как визуальные практики (в концептуализме «идея» произведения важнее визуального воплощения), так и общее отношение к творчеству художников. Появились новые весьма непростые направления современного искусства: перформансы, инсталляции, визуальная поэзия [Гик 2023а]. Многие мейл-артисты стали экспериментировать в этих новых формах и обмениваться друг с другом результатами этих экспериментов. Визуальные поэмы, концептуальные объекты, а также фото перформансов и инсталляций можно считать основными кирпичиками мейл-арта, базовым содержанием почтовых посланий – наряду с коллажами и смешанной техникой.

Основным отличительным признаком мейл-арта от других направлений современного искусства является использование почтовой атрибутики: прежде всего, марок и оттисков штампов. Мейл-артисты редко вовлекают в свою игру официальные марки и штампы, они используют свои, самодельные.

Искусство альтернативной филателии (самодельных марок художников) довольно быстро выделилось в отдельный жанр современного искусства, первая выставка альтернативной филателии прошла в 1974 году в Канаде. Художники создают марки на все случаи жизни: от личных событий или дня рождения родного города до острых политических высказываний на злобу дня [Гик А.В., Гик Ю.Л. 2016а; Гик А.В., Гик Ю.Л. 2016б; Гик А.В., Гик Ю.Л. 2017].

Искусство резиновых штампов (альтернативные штампы) также получило значительное развитие. Его любили близкие раннему мейл-арту художники группы «Флаккус», к которым был близок и Рэй Джонсон. Признанный «отец» жанра резиновых штампов Уильям (Пикассо) Гаглионе был в 1960-е членом «Флаккуса». По резиновым штампам проведено множество выставок, существуют их большие архивы. Бюрократический потенциал штампов используют художники, скрепляя их оттисками разнообразные «документы». Можно сказать, что каждый уважающий себя мейл-артист имеет собственный штамп (но не каждый делает свои марки) [Гик 2021].

В 2004 году в Москве в L-галерее была проведена выставка «Альтернативные марки и штампы», где были показаны марочные листы международных художников, посвященные Френсису Пикабиа, и оттиски резиновых штампов из архива голландского художника Руда Янсена.

Таким образом, на нижнем уровне графем языка мейл-арта мы можем выделить следующие художественные техники и жанры: коллаж, смешанная техника, визуальная поэзия, концептуальные объекты, фото перформансов, фото инсталляций, альтернативные марки, альтернативные штампы.

**Уровень морфем (слов).** На среднем уровне, уровне морфем, находятся объекты, созданные с помощью использования объектов нижнего уровня графем, т.е. художественных техник. На этом уровне находится более сложная почтовая атрибутика: открытки, конверты, реже посылки и бандероли. Также на этом уровне находятся непосредственно почтовые вложения, содержимое почтовых посланий в случае конвертов и посылок/бандеролей.

Посылки/бандероли редко являются объектом художественного манипулирования мейл-артистов вследствие большего внимания почтовых клерков к этим видам корреспонденции, мейл-артистам сложно вмешаться в их внешний вид.

Конверты и открытки являются основными объектами почтового обмена в мейл-арте, и мейл-артисты их часто «украшают» – благо почтовые правила в большинстве развитых стран позволяют это делать. В открытках используются все виды техник, перечисленные на уровне графем. Особенно часто любят применять альтернативные марки и штампы, а также коллажи. На конвертах ограничиваются смешанной техникой, альтернативными марками и штампами – в силу отсутствия специализированного творческого пространства, которое есть на обратной стороне открыток. Визуальные добавления на открытках и конвертах несут не только декоративную функцию, но и социально-политическую. Конверты и открытки в процессе доставки корреспонденции проходят через многие руки, и мейл-артисты используют почтовых работников для пропаганды своих идей: от пацифизма до вегетарианства [Гик 2006].

Конверты редко приходят пустыми (хотя такие случаи тоже бывают – например, для подчеркивания идеи непосредственно конверта как арт-объекта). Их содержимым часто являются произведения на основе описанных техник нижнего уровня. Это обычно графические листы – коллажи и смешанные техники, в т.ч. с использованием марок и резиновых штампов. В мейл-арте развито коллективное творчество и различного рода коллаборационные работы. Так,

графический лист может быть результатом многолетнего труда множества художников, живущих в разных странах [Гик 2004]. Частными случаями графических листов являются марочные листы – набор марок (в основном, одного вида) на перфорированной странице – по образцу с обычной филателией. Другим частным случаем графических листов является коллаж из резиновых штампов – одного или многих художников.

Более сложным случаем почтовых вложений является книжная продукция: зины и бук-арт. Бук-арт является концептуальным книжным объектом. Это книга с нестандартным соотношением визуального и вербального рядов [Гик 2023б]. Бук-арт считается отдельным направлением современного искусства, появившимся, как и мейл-арт, в 1960-е. Многие мейл-артисты являются и бук-артистами. В бук-арте мы можем встретить визуальную поэзию, фотографии перформансов и инсталляций, реже альтернативные марки и штампы.

Зины – это журналы художников. От бук-арта отличаются периодичностью и, соответственно, преемственностью внешнего вида от номера к номеру. Зины используют те же визуальные техники, что и бук-арт: фотографии перформансов и инсталляций, визуальную поэзию. Существуют специализированные мейл-арт-зины, где значительное внимание уделяется альтернативным маркам и штампам.

Таким образом, на уровне морфем мы можем выделить графические листы (в т.ч. листы альтернативных марок и с коллажами резиновых штампов), «украшенные» конверты и открытки, а также бук-арт и зины художников.

**Общий текстовый уровень.** Переписка мейл-артистов обычно имеет свои художественные цели. Чаще всего в форме проектов. Результатом проекта обычно является выставка. Реже таким результатом является научная или научно-популярная статья, освещающая тему проекта или какие-либо внутренние аспекты сети мейл-арта, например, коллективное творчество. После экономического кризиса 2008 года результатом проекта становится блог в какой-либо социальной сети или сайт художника, куда он размещает все полученные произведения с комментариями и возможностями дискуссии. И выставку, и статью, и блог или сайт можно рассматривать как тексты, соответствующие высшему, самому сложному уровню мейл-арта.

Существуют и непроектные формы коммуникации (см.ниже грамматику), например, простая переписка мейл-артистов между собой. В таких случаях процесс важнее результата, и итоговый текст не образуется, а сама коммуникация теоретически может быть бесконечной. Так, в мейл-арт сети до сих пор вращаются коллажи (с возможностью добавления) Рэя Джонсона, несмотря на смерть автора в 1995 году. Мейл-артисты пересылают их друг другу в качестве знака преемственности идей Джонсона и стабильности мейл-арта.

**Грамматика (особенности коммуникации).** Мейл-артисты общаются между собой несколькими разными способами, регулируемые разными правилами. Эти правила неформальны, сеть некоммерческая и децентрализованная, никто ни с кем никаких договоров не заключает. Нарушители правил не подвергаются наказаниям какого-либо рода, с ними просто перестают общаться и не участвуют в их проектах. Это дестимулирует нарушителей заниматься мейл-артом, и обычно они уходят из сети мейл-арта.

С другой стороны, методы коммуникации достаточно разнообразны, а правила просты и гибки, что позволяет говорить о высокой степени свободы творчества в мейл-арте. Виды коммуникации и соответствующие правила можно рассматривать как грамматику мейл-арта – правила использования артефактов среднего морфемного уровня (т.е. правила переписки) и, в случае проектов, правила создания итоговых текстов. Рассмотрим виды коммуникации по порядку, от простого к сложному.

#### 1. Переписка двух мейл-артистов




Рис.1. Переписка двух мейл-артистов

Переписка двух мейл-артистов является простейшим способом коммуникации. Несмотря на простоту, она редко встречается в сети мейл-арта. Ее используют, в основном, опытные мейл-артисты, помнящие эксперименты Рэя Джонсона

## 2. Звезда




Рис.2. Звезда

«Звезда» является коммуникацией в стиле «ответы всем». Такой вид общения практиковался некоторыми мейл-артистами, например бельгийцем Бодуэном Симоном (псевдоним «Пиг Дада»)

## 3. Проект




Рис.3. Проект

Проект – это наиболее важный и частотный вид коммуникации в мейл-арте. Участие в проектах мейл-арта является отличительным признаком мейл-артиста. В мире проведены тысячи проектов мейл-арта, более 100 проектов проведены в России [Гик 2021]. Проект заключается в сборе работ. Сначала организуется рассылка условий проекта по всем возможным каналам. Обычно они содержат финальную дату сбора работ, тему, техники и ограничения (например, 18+), информацию о результате проекта (чаще всего, выставке). В проектах мейл-арта, как правило, нет ограничений по

признакам возраста, пола, образования и т.п. Участвовать может любой желающий. Также в проектах не ведется отбор работ – все присланные работы, например, участвуют в выставке (за исключением явно грубо нарушающих условия проекта). До 2008 года существовало правило «Документацию всем», что, впрочем, соблюдалось не строго. Под документацией не обязательно имелся в виду роскошный каталог – чаще всего это был список адресов участников проекта и минимальный набор иллюстраций их произведений – для продолжения почтовой коммуникации. Сейчас это правило не указывается, документация обычно электронная. Радикальная демократичность проектов в мейл-арте – отражение анархистских идей и безусловный эпатаж арт-рынка. Существуют общие ограничения на темы в мейл-арте – невозможны, например, темы, связанные с насилием или призывами к войне [Гик 2006].

#### 4. Цепочка




Рис.4. Цепочка

Цепочка – это рассылка корреспонденции по списку. К мейл-артисту приходит письмо со списком адресов, куда его просят послать свои произведения вместе со списком, вписав свой адрес. Следующий мейл-артист, получив письмо, делает то же самое. В теории каждый участник цепочки достаточно быстро должен получить поток корреспонденции. На практике эта форма коммуникации не прижилась, мейл-артисты, получив подобное письмо, ничего не делают.

#### 5. Пересылка коллаборационной работы




Рис.5. Пересылка коллаборационной работы



Эта форма коммуникации чрезвычайно популярна. Художники любят эту игру с добавлением коллажей, начиная с времен Рэя Джонсона. «Итоговую» работу обычно просят прислать инициатору, что далеко не всегда исполняется.

#### 6. Оркестрация



Рис.6. Оркестрация

Оркестрация – это почтовая коммуникация под управлением «дирижера»-мейл-артиста в соответствии с его правилами. Организационно сложна, поэтому в мейл-арте почти не используется. В качестве примера можно привести мой проект «Orchestration» 2001 года, в рамках которого я пересылал определенным мейл-артистам произведения, и по результатам сделал книжку, разослав ее участникам.

#### 7. Рассылка работ




Рис.7. Рассылка работ

Вид коммуникации, при которой мейл-артист рассылает свои произведения по какому-либо поводу. Так, канадец Тео Нельсон рассылал в 2000-е свои открытки мейл-артистам с началом каждого сезона без привязки к какому-либо проекту – просто поздравляя их, например, с началом лета.

#### 8. Высшие формы коммуникации - личные встречи

##### а. DNC - встречи двух или более мейл-артистов




Рис.8. Decentralized Networker Congress (DNC) Мейл-артисты еще в начале 1980-х вышли за пределы почтового общения и стали встречаться лично. Такие встречи стали называть децентрализованными сетевыми конгрессами (DNC) – в шутку определяются как «встречи одного или более мейл-артиста».

#### в. Фестивали




Рис.9. Фестивали

С 1982 года конгрессы обрели форму фестивалей, которые стали проводить каждые 6 лет в городах Западной Европы и США. Наиболее известные фестивали проводились в Белграде (Сербия), Синт-Никласе (Бельгия) и Миндене (Германия). В Миндене фестивале проводились каждые 2 года, с середины 1980-х до конца 2010-х, за что этот город получил название «Мекки мейл-арта». В России аналогом фестиваля мейл-арта с 2004 по 2013 год была ежегодная выставка «Мэйлартиссимо», проводимая Центральным музеем связи им.А.С.Попова.

## Библиография:

Гик А.В., Гик Ю.Л. (2016а): Альтернативная коммуникация (из истории альтернативных марок). Часть 1 // Научная дискуссия: вопросы филологии, искусствоведения и культурологии. №9 (48). Издательство ООО «Интернаука». Москва. С. 20-42

Гик А.В., Гик Ю.Л. (2016б): Альтернативная коммуникация (из истории альтернативных марок). Часть 2 // Научная дискуссия: вопросы филологии, искусствоведения и культурологии. №11 (50). Издательство ООО «Интернаука». Москва. С. 43-86

Гик А.В., Гик Ю.Л. (2017): Альтернативная коммуникация (из истории альтернативных марок). Часть 3 // Научная дискуссия: вопросы филологии, искусствоведения и культурологии. №1 (52). Издательство ООО «Интернаука». Москва. С. 24-42

Гик Ю.Л. (2006): Идеология и тематика мэйл-арта. Сборник: Художественный текст как динамическая система // Материалы международной конференции, посвященной 80-летию В.П.Григорьева /Институт русского языка им. В.В.Виноградова РАН. Москва, 19-22 мая 2005 г.). Издательство «Управление технологиями». Москва. С.193-205

Гик Ю.Л. (2021): История российского мэйл-арта // Вестник Санкт-Петербургского государственного университета технологии и дизайна. № 3. 2021. Серия 2. Искусствоведение. Филологические науки. СПб. С.24-30

Гик Ю.Л. (2004): Мэйл-Арт // Жук. № 1. Москва

Гик Ю.Л. (2023а): Поликодовый текст в творчестве немецкого художника Хеннинга Миттендорфа // Коммуникативные коды в межкультурном пространстве как средство формирования общегуманитарных компетенций человека нового поколения. Материалы III Междисциплинарной научной конференции. Издательство «КДУ». Москва С.304-312

Гик Ю.Л. (2023б): Феномен книги художника: интерпретации и рефлексия // Культурология, искусствоведение и филология: современные взгляды и научные исследования. сб. ст. по материалам LXXI междунар. науч.-практ. конф. № 4 (64). Издательство «Интернаука». Москва. С.5-15

Жегин Л.Ф. (1970): Язык живописного произведения. Издательство «Искусство». Москва.

Лотман Ю.М. (1970): Структура художественного текста. Издательство «Искусство». Москва.

**Susanna Grigoryan**

Институт языка Национальной академии наук Республика Армения

susanna7494@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.10>

## SEMANTIC AND OPERATIONAL EXAMINATION OF A NUMBER OF TERM WORDS OF GRIGOR TATEVATSI

**Key words** – Canonical Book, legal prohibition, wedding prohibition, prohibition on the ordination of priests, mandatory prohibitive instructions, grammatical inhibitory particle.

In the 5th century translation of the Bible in armenian became a powerful impetus for the development of various types of spiritual activity and interpretative literature in particular. Almost at the same time with the translation, literature interpreting the Bible arose, forming the principles of understanding the Holy Book, canonized by three Ecumenical Councils (Nicaea, Constantinople and Ephesus) and the Holy Fathers, passing them on from generation to generation.

**History of the question** – Historical events dictated to bring together the great Armenian Catholicos Hovhan Odznetsi (8th century), and also to supplement the canons based on the Bible, national traditions and customs and create the Armenian Canon Book.

Grigor Tatevatsi (1346 – 1409) in all his works referred to most of the 288 regulations in the Armenian Canon Book (Ruleook), who is one of the most famous theologians of his time, master teacher, who also has many grammatical questions in his works.

Vazgen Hakobyan, who worked out the Armenian Rulebook, writes in the preface of the book: "Among the jurisprudential monuments created by the Armenian people in the Middle Ages, the Rulebook is the only one that acts, in a certain sense, as an official collection of legal acts that have been generally recognized over the centuries. Neither Mkhitar Gosh's, nor Smbat Gundstable's judgement books are official legal acts. They are works of great thinkers of the time"<sup>1</sup>.

Appropriately evaluating the Rulebook and at the same time even not considering the judgement books of Mkhitar Gosh and Smbat Gundstable as official legal acts, nevertheless, the author considers the latter «works of great thinkers of the time». We think, that the historical role Mkhitar Gosh's «Judgement Book» is recorded not only for Armenian society, but since the 19th century, foreign researchers have considered it one of the sources of European legal thought (see Ferdinand Bischoff's «Das alte Recht der Armenier in Polen» and «Das alte Recht der Armenier in Lemberg» («Armenian Old Law in Poland» and «Armenian Old Law in Lemberg»)<sup>2</sup>.

We already meet a significant part of modern Armenian legal concepts in these works.

<sup>1</sup> A, worked out by Hakobyan V., (1964), **Rulebook of Armenians**, Publishing House of the Academy of Sciences of the Armenian SSR, Yerevan, p. XVI.

<sup>2</sup> **Ferdinand Bischoff**, (1857), *Das alte Recht der Armenier in Polen*, Wien, **Ferdinand Bischoff**, *Das alte Recht der Armenier in Lemberg*, Wien, 1862.

<sup>3</sup> See, Armenian Legal Information System – **ARLIS**, [www.arlis.am](http://www.arlis.am).

The semantic and operational examination of Grigor Tatevatsi's terminological words shows that since Tatevatsi himself referred to most of the rules of the Armenian Canon Book., and therefore he also examined the legal concepts and legal prohibitions used in them.

In the article, we aimed to conduct a semantic examination of Grigor Tatevatsi's term words and give a description of their operational use. In particular, we examined how the concepts expressing the legal ban used in the author's works.

For example, in the Armenian Rulebook, which are also thoroughly analyzed by Grigor Tatevatsi: «One should pray facing east», «Gospel reading order», «On Pentecost and Ascension», «About baptizing a child», «Women should not go on the stage», «What part of the earth was allotted to each of the apostles?», «On readmission of a person who has confessed his guilt», «On staying firm and faithful to the Nikiou Creed», «On the dismissal of Nestor's followers...», «About sorcerers, witches, conjurers...», «On the Order of the Religious», «About empty-talkers and pranksters», «How to finish the fasting with cheese, fish, eggs, wine», «How to keep the 40 days of Vardavar», «That the leprous and scabby cannot be religious», «One must say «Holy God» and then «Crucified», contain many clauses expressing legal prohibition and concepts.

Perhaps only in terms of Shahapivan's rules, which are the only ones in the Rulebook that provide for corporal punishment, Grigor Tatevatsi has no questions.

Almost in all modern countries, appropriate legal norms are defined, in case of violation of which one or another restrictions or punishments apply. These restrictions are regulated as a legal prohibition, for example, in the Republic of Armenia by a number of codes and government decisions. In particular, the RA government's decision No. 685 of 2019 approved a list of physical defects and diseases as an obstacle to the appointment of a judge, including blindness, muteness, deafness. Decision No. 98 of 2019 established a larger list of obstacles to public service, including "schizophrenia" and even "mood disorders", "mental and behavioral disorders"<sup>1</sup>.

In Armenian written monuments, the legal prohibition originally operates within the framework of the ten commandments of the Bible. It is grammatically formed by the inhibitory particle «mi» (не, don't) (մի՛ սպանիր – не убивай, don't kill).

Further additions that go beyond the commandments retain their logic, for example, a ban on coronation or priestly ordination is formalized in criteria, the violation of which would lead to undesirable consequences within the commandments.

As we mentioned, grammatically, these prohibitions continue to be formed by the inhibitory particle «mi», in the singular. And the Grigor Tatevatsi's answer to the question, why mandatory-prohibitive orders are formulated in singular, they are almost no different from the principles that are applied in the modern court system; «Why does the law say it in singular and in the one and the same person: do not commit murder, etc. First of all, so that everyone considers himself relevant and does not get lazy, saying that it is said in general. Secondly, a person that keeps the law is more honorable to God than the whole world, that is why he speaks in singular»<sup>2</sup>, that is, everyone considers that all commandments are addressed to him and are not general words that can be followed or not followed.

Undoubtedly, in addition to being valuable source information, Tatevatsi's questions and analyzes are also very remarkable in terms of the testimony of a contemporary, to what extent this or that regulation of law was preserved in his days and what concepts were used. We bring the author's analysis about the prohibition of the crown.

---

<sup>4</sup> Grigor Tatevatsi, (1729), Book of Questions. Constantinople, p. 340..

<sup>5</sup> Grigor Tatevatsi, Book of Questions., p. 610.

In the case of the crown the legal prohibition is formed by the following concepts!

- spiritual or physical kinship.
- weakness of nature
- prostitution
- this situation
- the service
- by violence, in which case dissolution of marriage was allowed.

In context, the above words were concepts that constituted the legal prohibition of the crown in the Middle Ages.

A number of diseases or circumstances could become the reason for the prohibition of the crown, which in this context again acquires the value of a legal concept, moreover, in the presence of these, the separation of a married couple became possible "... because there are many restrictions on the crown. as the kinship is spiritual or physical. or weakness of nature. or prostitution. or this situation. or the service. or by violence. or some other such reason. with which they separated the man and the woman<sup>1</sup>".

Tatevatsi considers the couple's consent necessary. «If the two wills are not equal and harmonious, the marriage is unstable, whether forced or involuntary action. And consent is visible when the eyes see and the tongue approves»<sup>2</sup>. According to him, the meaning of this is that before the marriage, the consent of the couples should precede. "This is a recommendation that the bride and groom should see the marriage before the crown and the love of the heart and the will and then the crown»<sup>3</sup>.

Tatevatsi has interesting questions regarding the legal prohibition when examining the right to practice as a priest, especially since new words are used when listing the features characterizing the prohibition. They are: «**այլամազ**» – ailamaz, «**տրեալ**» – treat, «**քաճաւարին**» – qatsavarin (all of which according to the explanation of the root mean «կնարարն» – «cnabaro», that is having the behavior of a woman, not characteristic of a man).

We bring the author's part: «First, the blind (**կոյրն** - kuyrn)... Secondly, the bekealn (**քեկեալն** – desponded in good actions. Thirdly, **լեզուստն** (lezuat - the mute). Fourth, **մարմառոտն** (marmarotn – having a ulcerated skin, if the skin is torn and sore). Fifth, **քոսն** (qos – scabies). Sixth, **երքունոտն. սնքնոտն** – erqunotn, snqnotn – skin diseases). Seventh, **քաճաւարին, այլամազն** (the khatsavarin, ajlamazn – that is having the behavior of a woman). Eighth, **թաղամասաւորն** (thagamsavorn – the stratified skin). Ninth, **սկանջատն** – (akanjatn – the one without ears), Tenth, **կրճատ**. (krchatn – is the circumcised one. Third, **մալեալն, տրեալն** (malealn, treatn – that is having the behavior of a woman, not characteristic of a man. The twenty, **փոշտանկն** (phoshtankn - who have hernia).

Add to these the sick (**հիվաղն** - hivand) and the crazy (**գիժն** – gijn). It is not acceptable that the mind is obsessive and the sin is sick»<sup>4</sup>.

In essence, the part contains a list of prohibitions for priestly work (which refers to the old liturgy), according to which the blind, the mute, scabies, the stratified skin, the the sick etc, In essence, the part contains a list of prohibitions for priestly work, according to which the blind, the mute, scabies, the stratified skin, the the sick etc.

---

<sup>2</sup> **Grigor Tatevatsi**, (1741.) Book of Sermons: Summer Volume, Constantinople, p. 199:

<sup>7</sup> **Grigor Tatevatsi**, Book of Questions., p. 610.

<sup>8</sup> See the same., p. 371:

1 Grigor Tatevatsi, Book of Questions., p. 371

As we mentioned, grammatically, these prohibitions continue to be formed by the inhibitory particle "mi", in the singular. In the case of a legal prohibition on priestcraft, Tatevatsi uses the negative particle «not» – *n<sub>2</sub>* (voch) («*n<sub>2</sub> Է ընդունելի*» – «not acceptable»).

Thus, the semantic and operational examination of Grigor Tatevatsi's terminological words shows that since Tatevatsi himself referred to most of the rules of the Armenian Canon Book, he referred to the legal concepts and legal prohibitions used in them, and when examining the legal prohibition of crowning and ordaining a priest, he applied new legal concepts.

#### Reference:

1. **Grigor Tatevatsi**, (1729), Book of Questions. Constantinople.
2. **Grigor Tatevatsi**, (1741) Book of Sermons: Summer Volume, Constantinople.
3. A, worked out by V. Hakobyan, (1964), Rulebook of Armenians Yerevan, Publishing House of the Academy of Sciences of the Armenian SSR,
4. **Criminal Code of the Republic of Armenia**, (2021), Yerevan.
5. **Ferdinand Bischoff**, (1857), Das alte Recht der Armenier in Polen, Wien, (1862) Das alte Recht der Armenier in Lemberg, Wien.

**Сусанна Григорян**

Институт языка Национальной академии наук Республика Армения

susanna7494@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.10>

### **Функциональное и когнитивное исследование ряд терминологических слов**

**Григора Татеваци**

Резюме

Перевод Библии на армянский язык в V в. стал мощным импульсом для развития различных родов духовной деятельности. Почти одновременно с переводом возникла литература толкующая Библию, сформировавшая принципы понимания Священной Книги, Григор Татеваци – один из самых известных богословов своего времени, педагог и церковный деятель, ученик Ованеса Воротнеци, основателя Татевского университета, с 1390 г. он сам становится ректором этого знаменитого учебного заведения. Татеваци во всех своих произведениях ссылался на большую часть из 288 положений Армянской Канонической Книги В его анализах также есть многочисленных грамматических вопросов. В статье мы поставили задачу провести семантическое исследование терминов Григора Татеваци и дать характеристику их операционального употребления. В частности, мы рассмотрели, как в произведениях автора используются понятия, выражающие правовой запрет. При рассмотрении юридического запрета на коронацию и рукоположив священника, автор применил новые правовые понятия.

**Ключевые слова** – Каноническая Книга, правовой запрет, запрет венчания, запрет рукоположения священников, обязательно-запретительные указания, грамматическая тормозная частица.

**ნანა გულიაშვილი**

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
Nana.gulishavili@tsu.edu.ge  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.11>

**ხელოვნების ენა - კულტურის ძირითადი მახასიათებელი**

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნება, კულტურა, კომუნიკაცია

ხელოვნება კულტურის თავისებური მოდელი და ძირითადი ნაწილია, რადგან მასშია ფიქსირებული მისი ძირითადი მხარეები. ამავე დროს ხელოვნება ერთგვარი „სარკეა“, ხელოვნება კულტურის თავისებური მოდელი და ძირითადი ნაწილია, რადგან მასშია ფიქსირებული მისი ძირითადი მხარეები. ამავე დროს ხელოვნება ერთგვარი „სარკეა“, რომელშიც კულტურაა აღბეჭდილი. მასში აისახება კულტურის თითოეული ტიპის თავისებურება, მისი სხვა ტიპებისაგან განსხვავება. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნება იმ კულტურის მხატვრულ პორტრეტს ქმნის, რომელსაც თავად ეკუთვნის და ამით იგი უნიკალურობას და განუმეორებლობას ინარჩუნებს. როგორც ვიცით, კულტურა ზოგადად ადამიანური საქმიანობის შედეგია, რაც შეიძლება ოთხ ძირითად სახედ დავაჯგუფოთ, ესენია: პრაქტიკულ-გარდაქმნითი, შემეცნებითი, შეფასებითი და კომუნიკაციური საქმიანობები. თუ ჩვენ ხელოვნების განსაზღვრებებს გავიხსენებთ დავრწმუნდებით, რომ ის ერთდროულად არის შემეცნებაც, გარდაქმნაც სინამდვილის შეფასებაც და კომუნიკაციის საშუალებაც. ასეთი ბუნების გამო მას განსაკუთრებული ადგილი უკავია კულტურის მთლიან სტრუქტურაში. კულტურისა და ხელოვნების ურთიერთობისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კულტურა როგორც არაგენეტიკური მეხსიერება მიმართულია ტრადიციის შენახვის და კონსერვაციისკენ მაშინ, როცა ხელოვნება როგორც ამ კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, კულტურის ერთგვარ ოპოზიციურ ნაწილს წარმოადგენს და კულტურას უბიძგებს ინოვაციების და ახალი იდეებისკენ. ხელოვნება შეიძლება განხილული იქნას როგორც თავისებური ენა. მას ნაციონალური ენის მთელი რიგი თვისებები აქვს. გარდა იმისა, რომ ხელოვნების ისეთი სახეები არსებობს, როგორცაა ლიტერატურა და მასზე დაფუძნებული ხელოვნების სინთეზური ფორმები, ხელოვნების ენა უფრო მეტად ამჟღავნებს ბუნებრივი ენის თვისებებთან სიახლოვეს. ასე მაგალითად, ძირითადად, მეცნიერების ენა ხელოვნური ენაა, მაგრამ მისი ბუნება სიმბოლურია, ან სხვაგვარად მხოლოდ ნიშანთა სისტემაა ად არ შეიცავს მსოფლმხედველობრივ და მსოფლგანცდით შინაარსს, ამდენად ბუნებრივი ენის ანალოგიით ხელოვნებას, როგორც ადამიანის საქმიანობის სპეციფიკურ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ენა. ხელოვნების ენა არის ფორმების, სიმბოლოების, ნიშნების და სხვა სემიოტიკური კონცეპტების ერთობლიობა. ხელოვნების ენის არსებითი მახასიათებელია კომუნიკაციურობა და დიალოგურობა. ხელოვნების ენა მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს თავის ფუნქციას, როცა არსებობს ამ ენის გამგები. ხელოვნების ყოველ სახეს თავისი ენა გააჩნია, ის ქმნის

სამყაროსა და ადამიანის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სურათს. ამდენად, ხელოვნების ენის არსებით მომენტს გაგება წარმოადგენს, ხელოვნების ქმნილება ერთის მხრივ შედგება რეალურ - ფიზიკური მასალისაგან, მეორეს მხრივ კი არის საზრისის, ირეალური განზომილების მატარებელი. იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს ხელოვნების ქმნილებასთან, როგორც ასეთთან ურთიერთობა, მას უნდა ესმოდეს მისი საზრისი. საზრისის გაგება კი გულისხმობს ამ ენის, ნიშნების, სიმბოლოების, ფორმების ცოდნას, რაშიც დაშიფრულია საზრისი. ხელოვნება ნიშნებსა და სიმბოლოებში არსებობს. ამდენად იგი თავისებური ენაა, ამ აზრით ხელოვნების ენაა, რომლის ცოდნა აუცილებელი პირობაა, რათა გავიგოთ ამ ენაზე განხორციელებული შინაარსი. მხატვრულ ენას შეუზღუდავი ვარიანტულობა ახასიათებს, რადგან სახოვან ნიშანთა სისტემა ხელოვნების სხვადასხვა სახეში მრავალგვარად მოდიფიცირდება და ტრანსფორმირდება, მხატვრულ შემოქმედებითი მეთოდის შესატყვისად იცვლის სახეს ყოველი ხელოვანის შემოქმედებაში. აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია ვთქვათ, ხელოვნების ფორმა ერთდროულად არის სახოვანი მოდელი და ნიშანთა სისტემა, მატერიალური კონსტრუქცია და სპეციალური ენა, რომელსაც ესთეტიკური და კომუნიკაციური ღირებულებები ერთდროულად გააჩნია. ენა კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებაა, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ თუ ბუნებრივი ენა არსებობს როგორც კომუნიკაციის უნივერსალური საშუალება, მაშინ ხელოვნება რაღა საჭიროა. ან იქნებ თუ ხელოვნების ენა არსებობს მაშინ რაღა საჭიროა ბუნებრივი ენა, რა ფაქტორებით შეიძლება იქნას გამართლებული ბუნებრივი და ხელოვნების ენის პარალელიზმი. დავსვათ კითხვა – რისი გადაცემა ხდება კომუნიკაციის დროს და რა სახის ინფორმაცია შეიძლება იქნას გადაცემული.

**აზრი** - აზრის გადაცემა შეიძლება, აქ კომუნიკაცია ხორციელდება

**ნებელობა** - არ გადაიცემა

**ემოცია** - გადაიცემა

თუ კომუნიკაციის საშუალებაა ენაც და ხელოვნებაც, როგორი წარმატებით გადასცემენ აზროვნებით და ემოციურ განცდებს? ენა- აზრებს გადასცემს უშუალოდ, წმინდა სახით. ემოციები - გადაეცემა - გაშუალებულად. ხელოვნება გადასცემს არა უშუალოდ, არამედ მხატვრული სახეების საშუალებით. ამის გამო ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირად ესმის. ბუნებრივი ენა პირდაპირ უშუალოდ გადასცემს აზრს. ხელოვნების ენა ემოციური მუხტის გარეშე არ არსებობს, ემოციების გადაცემით ხელოვნება იქცევა საშუალებად და ესაა მთავარი და ამით განსხვავდება ის ბუნებრივი ენისაგან. კიდევ ერთი, ბუნებრივი ენის დროს, კომუნიკაცია ხორციელდება მხოლოდ ამ ენაზე მოლაპარაკეთა შორის, მისგან განსხვავებით ხელოვნების ენა უნივერსალურია, თუმცა არსებობს ერთი გამონაკლისი, ეს არის ლიტერატურის და პოეზიის ენა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუნებრივი ენა, ამიტომაც საჭირო ხდება მისი თარგმნა. ხოლო ცეკვის, სურათის, მუსიკის, არქიტექტურის და სხვა ხელოვნების ენას თარგმნა არ სჭირდება.

ჰაიდგერი ნაშრომში „ჰოლდერლინი და პოეზია აღნიშნავს, რომ ენა მადლია და საშიში. რას ნიშნავს? ენას მიეცა „მადლი“ ანუ საშუალება რომ იყოს ისტორიულად. საშიში მადლია იმიტომ, რომ მას ახლავს შეცდომებიც. პოეტური შემოქმედება ყველაზე უფრო უცოდველი საქმეა, ამიტომაც ენა მადლია რათა წარმოაჩინოს, რაც თვითონ არის. „ჯაფაშია ადამიანი, მაგრამ მაინც იგი დედამიწაზე პოეტურად ბინადრობს“, რატომ ავირჩიეთ პოეზიის არსის წარმოსაჩენად ჰოლდერლინის შემოქმედება? რატომ არა ჰომეროსი, ან შექსპირი, ან გოეთე... იმიტომ, რომ ჰოლდერლინის პოეზია აღბეჭდილია პოეტური მოწოდებით - საკუთრივ შეიმეცნოს პოეზიის არსი. ანუ წარმოჩინდეს პოეზიის არსი ყველაზე კარგად - „ჩვენთვის ჰოლდერლინი პოეტთა პოეტია.“ (ჟურნ. „აფრა“ X. 2002წ.გვ.235-248.) ენას ინფორმაციის გავრცელება მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილში შეუძლია, რომელსაც იგი ესმის. სხვისთვის იგივე ინფორმაცია თარგმნის საშუალებით არის ხელმისაწვდომი. ხელოვნების ენა კი ეროვნული თავისებურებების მიუხედავად მთელი



კაცობრიობისათვის გასაგები ენაა (გარდა ლიტერატურისა, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მასალა ეროვნული –ენაა.). თუ ბუნებრივი ენა მასზე მინდობილ ინფორმაციას გადასცემს ადამიანებს, ხელოვნების ენა გარკვეული სულიერი შინაარსის მატარებელია. ხელოვნება მწუხარებას კი არ იუწყება, არამედ გვამწუხრებს, სიხარულს კი არ გვაუწყებს, არამედ გვახარებს. ხელოვნება გაცილებით ადრე გაჩნდა ვიდრე შემეცნებისათვის სპეციალურად მეცნიერება. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნებას აქვს დიდი შემეცნებითი ღირებულება. ის ატარებს თავის თავში ცოდნას, რომელსაც ეზიარებიან ადამიანები. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ განიხილავს ხელოვნებას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელოვნებას დიდი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია, და რომ ის ადამიანისათვის აუცილებელია. ხელოვნება თავისი ემოციური ფონით ადამიანის გრძნობის ორგანოებზე ზეგავლენას ახდენს და „კათარზის“ – განწმენდას იწვევს. ახალ დროში კიდევ დიდი ყურადღება მიაქციეს ხელოვნების შემეცნებითი შესაძლებლობის საკითხს. კანტი ამ შესაძლებლობებს მინიმუმდღე დაიყვანს. ჰეგელი კი პირიქით, აღიარებს რომ ხელოვნება ცოდნის მატარებელია, ის არის „სახეებით აზროვნება“, ასაბუთებს იმ აზრს, რომ ხელოვნებას აქვს ჰეგელისათვის შემეცნებითი ღირებულება, მაგრამ ჰეგელი ხაზს უსვამს იმას, რომ ეს არ არის ყველაზე საუკეთესო შემეცნება. ხელოვნებაში შემეცნება არის მიახლოებითი ბუნდოვანი, არაზუსტი. იმ დროს როცა უკვე არსებობს უფრო ზუსტი შემეცნება, ფილოსოფია, ცნებითი აზროვნება, ხელოვნება წარსულს მიეკუთვნება. ხელოვნებაც გვამღევეს ცოდნას და მეცნიერებაც, მაგრამ ესენი სხვადასხვანაირი ცოდნაა. ხელოვნება ესთეტიკურად აფასებს სინამდვილეს და ამის მსგავს ცოდნას ვერც ერთი მეცნიერება ვერ მოგვცემს, ეს მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს. ამ შემთხვევაში ხელოვნების, როგორც ცოდნის მატარებლის არსებობა, აუცილებლობა, განსაზღვრულია იმით, რომ ის გვამღევეს სინამდვილის ესთეტიკურ შემეცნებით ცოდნას, ამ სინამდვილის ესთეტიკურ ღირებულებებზე. მეცნიერს შეუძლია აბსოლუტურად ობიექტური იყოს, ხელოვანი კი კრიტიკულად აანალიზებს სინამდვილეს, თავის კრიტიკულ შეფასებას აქსოვს ნაწარმოებში და ჩვენც ვეთანხმებით, როცა ნაწარმოები მოგვწონს. ხელოვნებას არა მარტო კათარზისის გამოწვევა, არამედ გარკვეული ცოდნის გადაცემაც შეუძლია.

თანამედროვე ხელოვნების ენა პოსტმოდერნული კულტურის სულისკვეთებას გამოხატავს. პოსტმოდერნული ესთეტიკის სპეციფიკა დაკავშირებულია კლასიკური ტრადიციის არაკლასიკურ ინტერპრეტაციასთან. მისთვის დამახასიათებელია პლურალისტური ესთეტიკური პარადიგმა, არასისტემურობა, დოგმების და წესების არ ქონა, მისთვის უცხოა კონცეპტუალური სქემების სიმკაცრე და ჩაკეტილობა. დეკონსტრუქციის თეორია ემიჯნება კლასიკურ გნოსეოლოგიურ პარადიგმას, რომელიც საზრისის რეპრეზენტაციის შესაძლებლობას უშვებდა ხელოვნების ქმნილებაში.

მოდერნიზმში ხდება ხელოვნების ნაწარმოების ერთმნიშვნელოვანი საზრისის უარყოფა. ასეთმა მიდგომებმა გამოიწვია ძირითადი ესთეტიკური კატეგორიების მოდიფიკაცია. მშვენიერების კლასიკური გაგება, რომელიც დაფუძნებული იყო ინტელექტზე, თავის თავში ატარებდა ჭეშმარიტებასა და სიკეთეს, პოსტმოდერნულ ესთეტიკის მიერ უსაფუძვლოდ ცხადდება. ახლა ყურადღება ექცევა ასიმეტრიისა და ასონანსების მშვენიერებას, მის დისჰარმონიულ მთლიანობას.

#### ლიტერატურა:

1. არისტოტელე, „პოეტიკა“ ლიტერატურის თეორია – ქრესტომათია. თბ. 2009 წ. 43-93 გვ.
2. პლატონი, „სახელმწიფო“. თბ.2003. გამომც. „ნეკერი“
3. ჰაიდეგერი მარტინ. „ჰიოლდერლინი და პოეზიის არსი“ ჟურნ. „აფრა“ X. 2002წ.გვ.235-248.
4. ყულიჯანიშვილი აკაკი, „კულტურის თეორია“, თბ. 2009. გვ.231-253.

Nana Guliashvili

## **The Language of Art is the Main Feature of Culture**

### **Abstract**

Art can be considered as a special language. It has a number of features of a national language. In addition to the existence of such forms of art as literature and synthetic forms of art based on it, the language of art exhibits more closeness to the properties of natural language. So, for example, the language of science is also an artificial language, but its nature is symbolic, or in other words, it is only a system of signs and does not contain worldview and worldview content. Thus, by analogy with natural language, art as a specific form of human activity can be called language. The language of art is a combination of forms, symbols, signs and other semiotic concepts. Its essential characteristic is communicativeness and dialogue. The language of art fulfills its function only when there are people who understand this language.

Each form of art has its own language, it creates a unique image of the world and man. On the one hand, the work of art consists of real - physical material, and on the other hand, it is the bearer of sense, an unreal dimension. In order for a person to be able to interact with a work of art as such, he must understand its meaning. Understanding the sense implies knowledge of the language, signs, symbols, forms in which this sense is encoded. Art exists in signs and symbols. Thus, it is a peculiar language, in this sense it is a language of art, the knowledge of which is a necessary condition to understand the content realized in this language. Artistic language is characterized by unlimited variability, because the system of visual signs is modified and transformed in various ways in different forms of art, To match the artistic-creative method, it changes its face in the work of every artist. Therefore, we can say that the art form is both a visual model and a system of signs, a material construction and a special language that has aesthetic and communicative values at the same time.

The language of modern art expresses the spirit of postmodern culture. The specificity of postmodern aesthetics is related to the non-classical interpretation of the classical tradition. Postmodernism rejects the single meaning of a work of art. Such approaches led to the modification of basic aesthetic categories. The classical understanding of beauty, which was based on the intellect, carried within itself truth and goodness, is revealed by postmodern aesthetics as unfounded.

**Key words:** Art, Culture, Communication

**სოფიო გულიაშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
s.guliashvili@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.12>

**ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელობა შუასაუკუნეების საქართველოს ყოფითი რეალიების შესწავლისათვის**

**საკვანძო სიტყვები:** ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, შუასაუკუნეების საქართველო, ყოფითი რეალიები

უძველესი საქართველოს ყოფისა და კულტურის მთელი რიგი საკითხების საკვლევად უმნიშვნელოვანეს მონაცემებს მწერლობა, კერძოდ, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ინახავს. აღწერილი მოვლენების გადმოცემისას თითოეული ტექსტი განსხვავებულ აქცენტებს აკეთებს და ეთნოგრაფიული მონაცემების წილიც თხზულებებში სხვადასხვაა, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ ჰაგიოგრაფები ისტორიული თუ ეთნოგრაფიული მეცნიერებისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას უყრიან თავს. მაგალითად, იაკობ ხუცესმა, კ. კეკელიძის შეფასებით, „შუმანიკის წამებაში“ ქვემო ქართლის მკიდრთა ყოფა-ცხოვრების ცოცხალი სურათი, ჩვენი უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალ-პოლიტიკური წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია და კერძო საოჯახო ცხოვრებაა წარმოდგენილი. თანაც, ყოფაცხოვრებითი დეტალების სიუხვეს არა მხოლოდ თავისთავადი, არამედ, სომხურთან შედარებით, ქართული ვერსიის პრიორიტეტის მტკიცებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტის მნიშვნელობაც აქვს (კეკელიძე, 1960, 116).

ქართული მწერლობის უპირველესი ძეგლი, „შუმანიკის წამება“, როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყაროს შესწავლის საფუძველზე, ს. ჭანტურიშვილმა თხზულებაში წარმოდგენილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა და ყოფაცხოვრებითი რეალიები 4 ჯგუფად დაყო: 1) ოჯახთან, საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული ცნობები; პიტიახშის, დედოფლის, ფეოდალთა კლასის სხვა წარმომადგენლების საზოგადოებრივი მდგომარეობის ამსახველი ცნობები; 2) სასულიერო წოდება, მისი წარმომადგენლები პიტიახშის კარზე და მათი ადგილი საზოგადოებაში; 3) ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ტერმინოლოგია; 4) სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები (ჭანტურიშვილი, 1978, 185-188).

რეგლამენტისა და მასალის სიუხვის გათვალისწინებით, წინამდებარე მოხსენებაში ყურადღებას მხოლოდ ორ ჯგუფზე გავამახვილებთ.

თხზულებაში ფასდაუდებელი ცნობებია დაცული პიტიახშის, დედოფლისა და, ზოგადად, ფეოდალთა კლასის ყოფა-ცხოვრებითი რეალიების დასახასიათებლად. ივ. ჯავახიშვილი ტექსტზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „დიდებული აზნაური მოხელე, მაგალითად, პიტიახში, სასახლეში ცხოვრობდა. ამ საცხოვრებელს ეწოდება სპარსულიდან შემოსული ტამარი, რომელიც მოგვიანებით საღვთისმსახურო ნაგებობის აღმნიშვნელად იქცა. VIII-X ს.-იდან სასახლეთა აღსანიშნავად ბერძნულ-ლათინური პალატი გაბატონდა.

ტერმინი **სასახლე** კი საისტორიო ძეგლებში მხოლოდ XV ს.-იდან ჩნდება. **ტაძრის** (სასახლის) მეორე სახელია **სახლი სამეფო** (ჯავახიშვილი, 1951, 12-15, 322). ქართული „ვისრამიანის“ მონაცემებით ჩანს, რომ, „მეფის დარბაზს გარდა, დედოფლის დარბაზიც არსებობდა და სადედოფლო დარბაზი ერქვა“. ამ დანიშნულების მქონე ნაგებობას ივ. ჯავახიშვილი „შუმანიკის წამებაშიც“ ხედავს: „ქართლისა პიტიახშის ტაძარში, სასახლეში, როგორც ჩანს, მისი მეუღლისათვის ცალკე საცხოვრებელი ბინა ყოფილა, რომელსაც სწოდებია სახლი სადედოფლო“ (ჯავახიშვილი, 1951, 10, 124). სადედოფლო სახლია **გალიაკი** (ჯავახიშვილი, 1946, 10): ტაძარში დაბრუნებული შუმანიკი „არა დაჯდა თვსა მას **გალიაკსა**, არამედ სენაკსა შინა მცირედსა“ (V თ.). ე. ი. სასახლეში ყოფილა ცალკე განყოფილება ან ოთახი, რომელსაც **გალიაკი** რქმევია. სულხან-საბასთან **გალიაკი** ნიშნავს **კაცთა საჯდომს** (ორბელიანი, 1991). ამასთანავე, **გალიაკი** ბერძნულადაც და ქართულადაც ძველად გალიას ნიშნავდა, ამიტომ სადედოფლო ბინის სახელად ამ ტერმინის გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ სასახლის ეს ნაწილი გარეშე პირთათვის შეუვალი იყო... გარეშე პირს შესვლა არ შეეძლო, ე.ი. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ ე. წ. არამხანას (**ჰარამხანა**) მიენიჭა (ჯავახიშვილი, 1946, 11-12). თუმცა, ს. ჭანტურიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როსტომის მმართველობის ხანა და მის მიერ სპარსეთის ზეწოლით შემოღებული მაჰმადიანური წესები არ შეიძლება V ს.-ის დროინდელ ასევე სპარსეთის დამალვულ, მაგრამ არამაჰმადიანურ წესებს დავუკავშიროთ (ჭანტურიშვილი, 1984, 87). ი. აბულაძე **გალიაკის** ნაცვლად, დედანში **გავალაკის** ან **გაფალაკის** არსებობას ვარაუდობს, რაც **დიდებულთა საჯდომს** ან **საწოლს** ნიშნავს (აბულაძე, 1938, 67, 92). არსებობს **გალიაკის ბუღუარად** ახსნის ვერსიაც. ამდენად, თუ ქართული **გალიაკი** ბერძნულ **გალიას** კი არ ნიშნავს, არამედ ფალაური ენიდან მომდინარეობს და **დიდებულთა საჯდომის** ან **საწოლის** შესატყვისად გამოიყენება, ამ ტერმინით დედოფლის სამყოფი ოთახის აღნიშვნა ბუნებრივი ჩანს. თუ ი. ჯავახიშვილი აიგივებს **სადედოფლო სახლსა** და **გალიაკს** (ჯავახიშვილი, 10), ს. ჭანტურიშვილი **სადედოფლო სახლს** დამოუკიდებელ ნაგებობად მიიჩნევს (ჭანტურიშვილი, 1978, 314, 87).

„შუმანიკის წამების“ ერთ-ერთი გამორჩეული, უდავოდ, პიტიახშის კარზე გამართული პურობის ეპიზოდია (VI თ.). მეცნიერთა ნაწილის აზრით, პურობისას შუმანიკის აღშფოთება გამოწვეულია იმ წესის დარღვევით, რომლის მიხედვით ვარსკენის გამაზღვანებამდე „მამანი და დედანი“ (ე.ი. კაცები და ქალები) პურს ცალ-ცალკე ჭამდნენ (როზენბერგი, 1918, 383; მამაცაშვილი, 1977, 60). გ. გოცირიძე მიიჩნევს, რომ „შუმანიკის წამებაში“ საქმე გვაქვს სუბიექტისადმი გამოხატული აკრძალვების იმ ფორმასთან, რომლის შექმნასაც, რელიგიურ მსოფლმხედველობით ფაქტორებთან ერთად, გარკვეულ სამეურნეო და ზნეობრივ-ეთიკური ნორმები უნდა ჰქონოდა საფუძვლად, რის გამოც იგი ეტიკეტის რანგში უნდა იქნეს შესწავლილი (გოცირიძე, 2017, 252). ს. ჭანტურიშვილს მიაჩნია, რომ შუმანიკის რეპლიკა არ გულისხმობს ადგილობრივ ტრადიციას და შეიძლება შეიცავდეს ირონიისა და სარკაზმის ელემენტებს, რომლის მიზანი ვარსკენისთვის ერთ-ერთი ფუნდამენტური მაზღვანური რიტუალის შეხსენება იყო, რომლის დარღვევის უფლებაც მორწმუნე მაზღვანს არ აქვს. საინტერესოა, რომ სომეხი რედაქტორი ფრაზას „ოდეს ყოფილ არს აქმოდდე...“ მთლიანად იღებს ტექსტიდან და აცხადებს, რომ პიტიახში დედოფლის დუმილმა გააღიზიანა (აბულაძე, 1964, 19).

ხალხური ტაბუაციური სისტემის შემადგენელი **კვებასთან დაკავშირებული ალკვეთები და შეზღუდვები** ორგანულად ერწყმის ცხოვრების წესს, სოციალურ და მენტალურ გარემოს, ქცევის ზნეობრივ-ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებს, ეტიკეტს, რელიგიურ რიტუალებს, რწმენა-წარმოდგენებს და მთლიანობაში მას სულიერი და სოციონორმატიული კულტურის საგნად წარმოაჩენს. ასეთ აკრძალვებში გამოყოფენ ოთხ ტიპოლოგიურ ჯგუფს: 1. **ალკვეთა ობიექტზე** – საკვების იმ სახეობათა მიმართ, რომლებიც პროდუცენტის როლში გამოდიან; 2. **ალკვეთები დროში** – შეზღუდვები დაკავშირებულია

სეზონურ ციკლთან, კალენდარულ სისტემასთან, მარხვის რეჟიმთან და სხვა; 3. **აღკვეთები ქმედებაზე** – ეხება საკვების მომზადების პროცესს, მის ტექნოლოგიურ ვარიანტებს; 4. **აღკვეთები სუბიექტზე** – იგულისხმება სქესობრივი, სოციალური და სხვა გრადაციული ნორმების მიხედვით (გოცირიძე, 2007, 244).

„შუშანიკის წამებასთან“ დაკავშირებით ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მეოთხე ვარიანტია საინტერესო, როცა ამა თუ იმ პირს ან პირთა ჯგუფს ეკრძალება საკვების მომზადება გარკვეულ დროს, გარკვეული მიზეზით; ეკრძალება ვინმეს გვერდით ან პირისპირ ჯდომა, საუბარი, ჭამა და სხვა. მამათა და დედათა ცალ-ცალკე პურობის წესზე თეიმურაზ მეორეც მიუთითებს „დღისა და ღამის გაბაასებაში“: „დედოფალს დარჩნენ ქალები, კაცნი სულახლდნენ მეფესა, **ცალკე სხდეს ქალნი და კაცნი** მას მესამესა ღამესა“ (თეიმურაზ II, 1976, 56).

საკითხთან დაკავშირებით, დავსძენთ, რომ სუფრასთან ქალთა და მამაკაცთა განცალკევებით სხდომა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდე შემორჩა (იველაშვილი, 1995). მთიელებში ქალი უხმოდ ემსახურებოდა სუფრას, მაგიდასთან არ ჯდებოდა და სახესაც არიდებდა მოტრაპეზებს. ი. ჯავახიშვილი ამ წესის არსებობას მაზდეიზმის გადმონაშთებს უკავშირებდა, რასაც ნაწილობრივ იზიარებენ ი. სურგულაძე და ს. ჭანტურიშვილი (ჯავახიშვილი, 1979, 322; სურგულაძე, 1952; ჭანტურიშვილი, 1984, 121). განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ო. გოჩელაშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ქალისა და მამაკაცის ერთად პურის ჭამას როდი კრძალავდნენ ჩვენი წინაპრები... უცხო მამაკაცთან არ სხდებოდნენ ქალები სუფრასთან (გოჩელაშვილი, 1990, 148).

რაც შეეხება სადედოფლო ატრიბუტიკას: ნაწარმოებიდან ჩანს, რომ შუშანიკ დედოფალს ძვირფასი ტანსაცმელი და სამკაული აქვს, რომლებიც ე. წ. სადედოფლო ნიშანს უნდა შეადგენდეს. უპირველესად უნდა გამოვყოთ პალეკარტი, რომელიც დედოფალს „გარეგან კაცთა თუალსა რომ ემოსა“, ხოლო „შინაგან ძაძაჲ ემოსა და არავინ იცოდა, ჩემსა გარემო“ (XV თ.).

„**პალეკარტი**“, ილ. აბულაძის განმარტებით, არის „კვართი უსახელო: პოდირი, წამოსასხამი, ფილონი“ (აბულაძე, 1973, 337). ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „პალეკარტის სადაურობის მაუწყებელი ცნობის დართულობა უფლებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ სხვა პალეკარტიც ყოფილა, ანტიოქიისა კი საუკეთესოდ ყოფილა მიჩნეული“ (ჯავახიშვილი, 1946, 98). ეს ცნობა, რა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელიც არის, რომ V ს. ქართლში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, და, კერძოდ – ანტიოქიიდან, საქონელი შემოჰქონდათ და მათთან სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა იყო დამყარებული.

შესამოსლიდან ყურადღებას იქცევს „**კუბისტიც**“: „თავსა მისსა მოხეთქაო“ (VI თ.), ამბობს ავტორი ერთგან, მეორეგან კი „**კუბასტნი** შუშანიკისნი და ჯორცნი წულილ-წულილად დაებმარნეს ძეძუსა“ (IX თ.). პირველ ფრაზაზე დაყრდნობით, ი. ჯავახიშვილი **კუბასტს** ქალის, დიდებული მოხელის ცოლის თავსაბურავად მიიჩნევდა, მეორე ცნობის მიხედვით – ქალის „გარეგან“, „ზეით ტანისამოსად“, „კვართს ზემოდან საცმელ სამოსად“ (ჯავახიშვილი, 1946, 98, 282). სულხან-საბა ორბელიანი **კუბასტს** განმარტავს, როგორც **ლეჩაქს** (ორბელიანი, 1966, 390); ილ. აბულაძე – როგორც **ტანისამოსს** და მოჰყავს ამის საილუსტრაციო მრავალრიცხოვანი მასალა ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან (აბულაძე, 1973, 204); მ. ანდრონიკაშვილის აზრითაც, „კუბასტი არა მარტო თავსაბურავის მნიშვნელობით იხმარებოდა, არამედ გარკვეული ტიპის სამოსელის აღსანიშნავადაც“ (ანდრონიკაშვილი, 1966, 335). თუმცა, „შუშანიკის წამების“ პირველ აკადემიურ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში ის **კუბასტს**, სულხან-საბას მიხედვით, **ლეჩაქით** განმარტავს (შუშანიკის წამება, 1938). „ლეჩაქი თავდახურვის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია, იგი სამკუთხა მოყვანილობის თეთრი, გრძელი და გამჭვირვალე ქსოვილია. თავზე დახურული ლეჩაქის ბოლო ოდნავ წელსქვემოთაა ჩამოშვებული... ქართველი ქალი უმეტესწილად თმას ორ ნაწნავად იწნავდა, მხრებიდან წელზე გადაიყრიდა, ხოლო შუბლიდან საფეთქლებამდე ორ მოკლე დალალს ჩამოუშვებდა. ამის შემდეგ თავზე ლეჩაქის ერთ

ბოლოს შემოიხვევდა და ზედ ჩიხტი-კოპს დაიდგამდა. დასასრულს თავს ბაღდადით იბურავდა... ზემოაღნიშნული ტანსაცმელი უპირატესად მაღალი წოდების ქალებისათვის იყო დამახასიათებელი“ (ჩიტაია, 2001, 188). ქალის თავსაბურავად მიიჩნევა **კუბასტს** ქართული კოსტიუმის მკვლევარი ნ. ჩოფიკაშვილი და დაწვრილებით ჩამოთვლის კუბასტიანი მანდილოსნების გამოსახულებებს ძველი ქართული ხელოვნების ძეგლებზე (რელიეფები, მინიატურები), მის რამდენიმე სახეობას გამოყოფს, VII-XIV საუკუნეების განმავლობაში მისი ხმარების სხვადასხვა წესს ადგენს: შუბლზე ჩამოწეული, ნიკაპის ქვეშ საყბურის მსგავსად ამოფენილი ბოლოებით, თავზე დაკეცილი გრძლად ჩამოშვებული თავის ორივე მხარეს - თემებს ფარავს (ჩოფიკაშვილი, 1964, 129, 135-136).

„შუშანიკის წამების“ მიხედვით ცხადია, რომ მაღალი წოდების ქალს თავდაუბურავს ანუ „თმა-გარდატევებულს, ვითარცა ერთ „ვინმე შეურაცხთაგანს“ არ უნდა ევლო. „მამასა-დამე, მხოლოდ მდაბიო დედაკაცებს უვლიათ თმა-დაუწვნიელი... უძველეს ხანაში, მაგ. V ს. ქალსაც თავდაუბურავს, ანუ თავლიას, არსად გამოჩენა არ შეეძლო. ასე სიარული სამარცხ-ვინო საქციელად იყო მიჩნეული... ძველ საქართველოში შეუფერებლად იყო მიჩნეული ფეხშიშველი, **უხამური** სიარულიც (ჯავახიშვილი, 1946, 115, 124, 135, 150, 322). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში სიტყვა **ხამი** განმარტებულია, როგორც **უმუშევარი, უწურ-თნელი**, ანუ **ველური** და მისთანანი (ვეფხისტ. 1207); **ხამი სამოსელი** – ე.ი. გაუთეთრებელი; **ხამი მიწა** – დიდხანს უხნავად შესვენებული მიწა; **ხამი აბრეშუმი**, ჩიგორგალა, გამოუხარ-შავი და სხვ. არც ერთი ამ მნიშვნელობათაგან ნაწყვეტის კონტექსტს არ პასუხობს, თუმცა ლექსიკონში იქვეა სიტყვა **ხამლი** შემდეგნაირი განმარტებით: **ფეხთსაცმელი, პერიკმა, წალა** და მისთანანი (ჩუბინაშვილი, 1961, 261); **ხამი** – „უყელო ფეხსაცმლის ძველქართული სახელწოდება, ყოველდღიური ჩასაცმელი, რომელიც იკვრებოდა თოვით“, განმარტებულია ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში (მეტრეველი, 2011); **ხამი** – ძველი ფეხსაცმელი – გვიჩვენებს ენის მოდელირების ასოციაციის ვებგვერდი.

საინტერესოა „შუშანიკის წამებაში“ დადასტურებულ **ნათესაური კავშირების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია**. მაშინაც ქმრის ძმას **მაზლი** ერქვა: „არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი“ (V თ.). ძმები, ყოველ შემთხვევაში, წარჩინებული ოჯახის შვილები, ამ დროს უკვე თავიათი ოჯახებით ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ (ჯავახიშვილი, 1946, 281; ხარაძე, 1961, 9); ჯოჯიკს აქვს თავისი „ეზო და პალატი“ (XVI თ.) და ჰყავს თავისი „მონა-მკველნი“ (XVI თ.)... ნაწარმოების მიხედვით, კანონიერ ცოლს **„ბუნებითი ცოლი“** ეწოდება (I თ.). ქმრისგან ცოლს მიცემული აქვს **ნიშანი**: „სამკაული ესე მისი“ (VII თ.). ქმრის ნაჩუქარ სამკაულებთან ერთად, **სპეციალური სადედოფლო ნიშნები**, რეგალიებიც მოეპო-ვება (ჭანტურიშვილი, 1978, 189). „შუა ფეოდალიზმის ეპოქაში (V-VIII სს.) საქართველოში მზითვის ინსტიტუტი ისე განვითარებულა, რომ არამარტო მოძრავი, არამედ ხშირად უძრავი ქონებაც (მიწა) შეიძლებოდა მზითვად მიეცათ ქალისათვის“. გ. ნადარეიშვილის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ ვარსქენის მეუღლე – შუშანიკი... ქმარს ურვადის მერშვეობით ჰყოლოდა ნაყიდი (ნადარეიშვილი, 1974, 33-34). ი. ჯავახიშვილის დაკვირ-ვებით, ქალის წამოყვანისთვის მირთმეული ქონებრივი საზღაური... ურვადის ნაწილი უნ-და ვიგულისხმობთ იმ სამკაულში, რომლის დაბრუნებასაც ვარქენი ითხოვს (ჯავახიშვილი, 1928, 163).

საქართველოში დედ-მამის გარდა, არსებობდა **მამა-მძუძე** და **დედამძუძეც**. იყვნენ **ძუძუს-მტენი**, ანუ ადამიანები, რომლებიც ერთი ქალის გაზრდილები იყვნენ, ერთი ძუძუთი იყვნენ გამოკვებილნი, თუმცაღა ძმები არ იყვნენ. თითოეულს მახლობელთა სამნა-ირი ჯგუფი ჰყავდა: „სახლეულნი, ნათესავნი და თჳსნი“. ვარსქენმა კი „გამოარჩია ძუძუდ-მტე მისი საკუთარი“ (XIII თ.), რათა შუშანიკი ტაძრად დაებრუნებინა (ჯავახიშვილი, 1960, 281; ჯავახიშვილი, 1928, 165-169). „შუშანიკის წამებაში“ ჩანს **მამა-მძუძეც**. იაკობი ჰყვება, რომ შუშანიკმა სიკვდილის წინ ჩემი თავი აფოც ეპისკოპოსს, „ვითარცა მამასა და **მამა-მძუძესა** შემვედრაო“. ამ ადგილის მიხედვით კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ „მამამძუძე ჰყოლია

შუშანიკ დედოფალსაც“ (კეკელიძე, 1960, 82); შ. ონიანი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ დედოფალი ბავშვობიდანვე დაკავშირებული იყო საპიტიახშო კართან: „პიტიახშის კარის ეპისკოპოსი აფოცი არის შუშანიკის „მამამძუმე“ ანუ აღმზრდელი და სიკვდილის ჟამს შუშანიკმა „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა... ვითარცა მამასა და მამამძუმესა“ (XVIII თ.). ორივე შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს შუშანიკის ყოფნა და „აღზრდა“ ქართლში, პიტიახშის კარზე“ (ონიანი, 1978). ნ. მრევლიშვილის აზრით, „აქ ტექსტის არასწორ წაკითხვასთან გვაქვს საქმე და შინააარსი ტექსტისა ამგვარად უნდა დაზუსტდეს: შუშანიკმა აფოცს შეავედრა იაკობი და სთხოვა, რომ სამომავლოდ ისეთი მზრუნველობა გამოეჩინა იაკობის მიმართ, როგორსაც მამა (მამამძუმე ანუ გამზრდელი) შვილის მიმართ გამოიჩინდა (მრევლიშვილი, 2024).

ს. ჭანტურიშვილის აზრით, „შუშანიკის წამებაში“ **ძუმუღს-მტეთა და მამა-მძუმე-ობის** აღნიშვნა ათალიკობის ინსტიტუტის უძველესი წერილობითი დადასტურებაა (**მამა-მძუმეობა** ბევრად უფრო ადრინდელი ვითარებისათვის დადასტურებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ხელნაწერში: „აზოდ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თვისისა, და წამოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუმეთანი, დადაჯდა ძუელ მცხეთას“ (აბულაძე, 1963, 81-82). ათალიკობა სხვა ოჯახში ბავშვის აღსაზრდელად მიბარება (Ковалевский, 1961, სვ. 915; Косвен, 1935, №2, 41), რის შედეგადაც ოჯახებს შორის ნათესაური კავშირი მყარდება. სხვადასხვა ხალხში ათალიკობის სხვადასხვა წესი იყო მიღებული – აღსაზრდელად მიბარებდნენ როგორც ვაჟებს, ისე ზოგჯერ – გოგონებსაც. სხვადასხვა იყო აღსაზრდელად მიბარებული ბავშვის გადაცემისა და მამისეულ სახლში დაბრუნების ასაკი, წესი და რიტუალი (ჭანტურიშვილი, 1978, 207). მ. კოსვენმა ათალიკობა არა მარტო კავკასიის, არამედ სკანდინავიის ხალხებისა და კელტების ყოფისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნია (Косвен, 1935, 41). „შუშანიკის წამების“ მიხედვით კი ეს მოვლენა დასტურდება ქვემო ქართლის საზოგადოების მაღალ ფენაში.

იაკობ ხუცესი ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებაც, თუ როგორ არის მოწყობილი ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლის, ქართლის პიტიახშის **ციხე** – მისი ხელისუფლების ერთ-ერთი ატრიბუტი და გარეგანი გამოხატულება; როგორია **საწოლ-საგებელთან დაკავშირებით წარმოდგენილი ტერმინოლოგია**. ციხეში გამომწყვდეული შუშანიკზე ავტორი გვიამბობს: „სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა **ალიზაკი** ერთი დაიდვის **სასთუნალ**. და **ქუესაგებელად** იყო **გირჯაკი** ერთი ძუელი და კაცთა თუალსა **სასთაულაკი** ერთი **ხალენისა** უცნ **სასთუნლით** კერძო“ (XIV თ.).

მომარბულე დედოფალზე ავტორი გვიამბობს, რომ „წმიდამან შუშანიკ, ნაცვლად **ჭიჭნაუხტისა საქმისა**, დიდითა გულმოდგინებითა ჴელთა აღიხუნა დავითნი“ (XII თ.). **ჭიჭნაუხტი** ივ. ჯავახიშვილმა განმარტა, როგორც „აბრეშუმით ქსოვა, ან აბრეშუმის ხელთ-საქმარი“ (ჯავახიშვილი, 1960, 282). სხვა შემთხვევაში იგი **ჭიჭნაუხტს** განმარტავს, როგორც **აბრეშუმის ქსოვილს** (აბულაძე, 1973, 558). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვითაც, **ჭიჭნაუხტი**, ანუ **ჭიჭნაური** აბრეშუმია (სულხან-საბა, 1966, 402). თუმცა, **ჭიჭნაუხტი საქმე** „შუშანიკის წამებაში“ ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ აშკარად დაკავშირებულია რაღაც ხელსაქმესთან, რომელსაც დედოფალმა თავი დაანება და „დიდითა გულს-მოდგინებითა“ დავითნი დაისწავლა. არ არის გამორიცხული, **ჭიჭნაუხტში** აბრეშუმის ქსოვა იგულისხმებოდეს. შესაძლებელია, იგულისხმებოდეს ოქრომკედით ქარგვაც. მართალია, მოგვიანო მასალების მიხედვით, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ **ჭიჭნაურს** ანუ **ჭიჭნაუხტს** ერთ შემთხვევაში დავით ფანასკერტელ-ციციშვილი პირდაპირ აიგივებს ოქრომკედთან (ფანასკერტელი-ციციშვილი, 1891, 121-122; აბესაძე, 1967, 142)... მაშასადამე, ქართველთა ჩაცმულობაში პერანგს გულთან მოვლებული ჰქონია სხვადასხვა სახის „გრეხილი“ და მათ შორის – ოქრომკედის ანუ ჭიჭნაურის ნაქსოვი.

ქართული ნაქარგი ქსოვილის ნიმუშები მხოლოდ გვიანი (XIII-XVI სს. შემდეგ) შუა საუკუნეებიდან შემოგვრჩა. არადა, წარჩინებული ქალების მიერ ქსოვილის ქარგვა ფართოდ

იყო გავრცელებული (დავითაშვილი, 1973). ნ. აბესაძე მიიჩნევს, რომ, იაკობ ხუცესის თხზულებაში **ჭიჭნაუხტი საქმე** ქსოვილის, ამ შემთხვევაში, აბრეშუმის ქსოვილის ქარგვას და, შესაძლებელია, მის რთვას, ან ქსოვაც გულისხმობდეს (აბესაძე, 1967, 143, 194), ხოლო **ჭიჭნაუხტის საქმის** მოხსენიება V საუკუნის ლიტერატურულ ძეგლში იმის დასტურია, რომ იმ საქართველოსთვის უკვე ცნობილი იყო აბრეშუმის კულტურა. ი. გრიგალაშვილი თვლის, რომ **ჭიჭნაუხტი საქმე** სპარსული საქმის ერთგვარი სინონიმია და ხუცესი აქ გულისხმობს სპარსთათვის მოსაწონ საქმეს, რომელსაც დედოფალმა გალობა, ლოცვა, მარხვა, ასკეტური ცხოვრება დაუპირისპირა (გრიგალაშვილი, 2009, 67-69). ე. ჭელიძის აზრით, **ჭიჭნაუხტისა** საქმე ნიშნავს იაკინთის ქსოვილზე ან, ზოგადად, ძვირფას სამოსელზე მოფიქრალობას, ამაზე მზრუნველობას, ამით დაკავებულობას. **ჭიჭნაუხტი** კი არა მხოლოდ იაკინთის ან აბრეშუმის ქსოვილი, არამედ ზოგადად ძვირფასი **ფერად-ფერადი ტანსაცმელი** და სწორედ ამ ფარჩა-ატლასისა და ოქროქსოვილისკენ სწრაფვა, ძვირფას შესამოსელზე ზრუნვა უარყო შუშანიკმა (ჭელიძე, 2008, 177). ი. აბულაძეც მიუთითებს, რომ სომხური ენის ლექსიკონით, **ჭაჭანაუხტი** არის „ფერად-ფერადი ან ბრწყინვალედ ნაკეთები ნაჭერი ან ტანსაცმელი“.

საინტერესო დეტალებია ნაწარმოებში დაცული **მიცვალებულის დაკრძალვასთან და წმინდანის კულტთან** დაკავშირებით. გარდაცვალების შემდეგ გვამი უნდა განებანათ. განბანილ გვამს შემოსავდნენ მჭურით, გარდაცვლილის შესაგრაგნელად, ანუ შესახვევად, იყენებდნენ **სუდარას**: „მსწრაფლ მოიღო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად **სუდარი** წმიდად წმიდათა მათ პატიოსანთა ნაწილთა მისთად“ (XIX თ.). შემდეგ შეამზადებენ ადგილს ცხედრის დასაკრძალად: „დავჰკრძალენით წმიდანი იგი... ნაწილნი... განმზადებულსა მას ადგილსა“ (XIX თ.). ცხედარს დაასვენებენ ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვის დღეს ეკლესიიდან გამოასვენებდნენ „ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნი-თა აღნთებულთა და საკუმეველითა სულნელითა“ (XIX თ.), ე.ი. გალობით, ცვილის დიდი ანთებული სანთლებით და კმევით... V საუკუნის ქართლში ქრისტიანი დიდკაცობის მიცვალებულთა გაპატიოსნება-დამარხვის წესის შესახებ ლიტერატურული წყაროდან ისეთი წარმოდგენა გვექმნება, როგორსაც განათხართა მიხედვით (რაც არ უნდა უხვი ინვენტარი გვეპოვა სამარხში) ვერ შევიქმნიდით“ (ლომთათიძე, 1973, 212-213).

ძველ საქართველოში სასჯელის ორგვარი, **ფიზიკური და გამაწბილებელი ფორმა** გამოიყენებოდა. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჩანს დასჯის შემდეგი სახეები: 1. ქედზე ჯაჭვის დადება. 2. ფეხებზე ბორკილის შებმა. 3. თავისა და წვერის გაპარსვა. 4. ცხვირის გახვრეტა. 5. ძელსა აღბმა. 6. პირის ცემა. 7. პყრობილება. 8. შეკვრად საკრველითა რკინისა. 9. სახედარზე დასმა. 10. გასახლება. სიკვდილით დასჯის, თავის მოკვეთის, დასახიჩრების შესახებ არაფერს აღვნიშნავთ, თუმცა კი მარტვილობათა წიგნები დასჯის ამგვარ ფაქტებსაც უხვად გვაწვდიან.

ვარსკენის მიერ შუშანიკის საპყრობილეში ჩასმის აღწერისას ჩანს, რომ საპყრობილეში სჯიდნენ **ქედზე ჯაჭვის დადებითა და ფეხებზე ბორკილის შებმით**: შუშანიკს „ჯაჭვი იგი, რომელ ედვა ქედსა მისა ზედა, ეგრეთვე ედვა, დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსკენ“. ჩორს წასულ პიტიახშს ჰერეთის საზღვარზე წამოეწევა ძმა ჯოჯიკი „და ევედრებოდა მას ფრიად, რადთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებად მისი“. ჯოჯიკის ხვეწნის შემდეგ ვარსკენმა „ბრძანა განტევებად საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯო-ჯიკ, აღჰხადა ჯაჭვი იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთად არა თავს-იდვა წმიდამან შუშა-ნიკ“. მოგვიანებით ამ ბორკილის გამო ეპისკოპოსნი და აზნაურნი ევედრებიან შუშანიკს, „რადთა ბორკილი იგი ფერხთად ბრძანოს საცოდ და ნაკურთხევად ყოველთათვის“. აქ წმინდანის კულტის გამოვლინების უძველესი დადასტურება გვაქვს – მის მიერ ნაქონი ნივთები მიჩნეულია სასწაულმოქმედად (ჭანტურიშვილი, 1978, 192). წარმოდგენილი ფიზიკურ სასჯელების გარდა, არსებობდა გამაწბილებელი სასჯელიც, მაგალითად, ვირზე შესმა. სახედარზე, ანუ ვირზე შესმა ნაცნობი იყო ბიზანტიელთა ყოფისთვისაც. ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში



„სამართალი ბერძნულის“ მიხედვით, ვირზე შესმა არის დასჯის ერთ-ერთი სახე მოსამართლის მიერ „უსჯულის კანონი სამართლის ქმნისათვის“ (მუხ. 2), მსაჯულის გინებისათვის (მუხ. 56), წამლის მიცემით დედაკაცის მუცელში შვილის მოკვლისათვის (მუხ. 77) და სხვ. (ჭანტურიშვილი, 1984, 191). ვირზე შესმას გამაწბილებელ სასჯელად მიიჩნევს ი. დოლიძე (დოლიძე, 1953, 231). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „შუმანიკის წამებაში“ ქმრის მიერ ცოლის დასჯის ერთ-ერთი ფორმაა მისი **გასახლება**, მკვლევართა ნაწილის შეხედულებით – **მშობლების სახლში უკან დაბრუნება**. ვარსკენი შუმანიკს ემუქრებოდა: თუ **ტაძრად** არ მოხვალ, „ჩორდ წარგვე ანუ კარად **კარაულითა**“ (XIII თ.). გამოდის, ვარსკენი შუმანიკს კარაულით, ე.ი. სახედარზე შესმითა და გასახლებით ემუქრებოდა (ჭანტურიშვილი, 1978, 190-191).

„შუმანიკის წამებაში“ ეთნოგრაფიულად საინტერესო ინფორმაციის შემცველი **სხვა ყოფაცხოვრებითი მომენტებიც** გვაქვს: ბავშვს მამის დარქმეული სახელის გარდა, მოფერებითი სახელსაც არქმევენ („მამისაგან სახელით ვარდან, და სიყუარულით სახელი მისი შუმანიკ“ (I თ.); ნათლავენ, მონათლულთ „განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისადათა“ ეწოდებოდა (II თ.); „სენაკს შეყვანილ“ შუმანიკს ემსახურება მსახური, რომელსაც მისი დაცვაც აკისრია (VI თ.). ეს მსახური, როგორც ტექსტი აჩვენებს, დედოფლის **განზრდილი** იყო (VII თ.). დედოფალს სულიერი მოძღვარი – „ხუცესი დედოფლისა“ (III თ.) ჰყავს, რომელთანაც **ხვამიადის** გამჟღავნება შეუძლია (III თ.) (ჭანტურიშვილი, 1978, 197).

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მოხსენებისთვის შერჩეულია მხოლოდ ნაწილი იმ მასალისა, რომელიც იაკობ ხუცესის თხზულებაშია წარმოდგენილი და ეს მცირე ნაწილიც კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ისტორიული ეთნოგრაფიის წყაროს მნიშვნელობა აქვს ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც შექმნილია ჩვენგან დაშორებულ დროში და ამა თუ იმ ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან, მისი ყოფა-ცხოვრებიდან, ზნე-ჩვეულებებიდან სხვადასხვა ცნობას შეიცავს (ჭანტურიშვილი, 1978, 187). „შუმანიკის წამება“ კი, ამ თვალსაზრისითაც, გამორჩეულია და მასში დაცული ცნობები ადრეფეოდალური ქართლის საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების საკმაოდ სრულ და საინტერესო სურათს ხატავს.

#### ბიბლიოგრაფია:

1. აბესაძე, ნ. (1957). მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი: სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
2. აბულაძე, ი. (1938). იაკობ ცურტაველი. მარტვილობად შუმანიკისი. ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. აბულაძემ. თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: „მეცნიერება“.
4. ანდრონიკაშვილი, მ. (1966). ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. გოცირიძე, გ. (2007). კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა.
6. გრიგალაშვილი, ი. (2009). ქართული მწერლობის საკითხები. თბილისი: „უნივერსალი“.
7. დოლიძე, ი. (1960). საქართველოს ჩვეულებითი სჯული. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
8. კეკელიძე, კ. (1960). ქართული ლიტერატურის ისტორია (ძველი მწერლობა). წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. ტ. I. თბილისი: „მეცნიერება“
9. ლომთათიძე, გ. (1973). ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. წიგნში: მესხია, შ. (რედ.). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
10. მეტრეველი, რ. (2011) (რედ.) ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში
11. ნადარეიშვილი, გ. (1974). ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბილისი: „სამთავისი“.
12. ონიანი, შ. (1978). იაკობ ხუცესის „წამებად წმიდისა შუმანიკისი“. „მაცნე“ (ელს). №3. თბილისი: „მეცნიერება“.

- 13.ორბელიანი, სულხან-საბა (1991). ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის სამიეხედი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი: „მერანი“
- 14.რეხვიაშვილი, ნ. (1953). ქართული მეტალურგიის ისტორიიდან. I. მეტალურგია რაჭაში. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- 15.სურგულაძე ი. (1952). საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1,
- 16.ფანასკერტელი-ციციშვილი, დ. (1891). მწერლობა მე-IX-X საუკუნისა. თბილისი: მ. შარაძის სტ.
- 17.ჩიტაია, გ. (2001). (რედ.). შრომები ხუთ ტომად. ტ. IV. საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში (ტომი მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა). თბილისი: „მეცნიერება“.
- 18.ჩოფიკაშვილი, ნ. (1964). ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- 19.ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- 20.ჭანტურიშვილი, ს. (1978). „შუმანიკის წამება“ როგორც ისტორიული ეთნოგრაფიის წყარო. კრბ. „შუმანიკის წამება“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 21.ჭანტურიშვილი, ს. (1984). ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ცდა (ავტორი). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- 22.ჭელიძე, ე. (რედ.). (2008). ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ). I. თბილისი: „ივირონი“.
- 23.ჯავახიშვილი, ივ. (1946). მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- 24.ჯავახიშვილი, ივ. (1960). ქართველი ერის ისტორია. I. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- 25.ჯავახიშვილი ივ. (1979) თხზულებანი თორმეტ ტომად. I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
- 26.ჯალაბაძე, გ. (1960). აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- 27.Ковалевский, М. (1890). Закон и обычай на Кавказе. I. Москва: Типография А. И. Мамонтова и К°.
- 28.Косвен, М. (1935). Аталичество. «Советская этнография». №2. Ленинград: Издательство Академии Наук.

**Sophio Guliashvili**

Georgian University

Tbilisi, Georgia

s.guliashvili@ug.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.12>

## **The importance of hagiographic texts for studying the realities of medieval Georgia**

### **Abstract**

Written, in particular, hagiographic literature stores the most important data for studying a number of questions of the life and culture of ancient Georgia. Finally, when describing the events in each text, different accents are placed and the amount of ethnographic data in the works is also different, but voluntarily or involuntarily, hagiographers collect a lot of interesting information for historians and ethnographers.

Considering the abundance of material, in this report the main attention is paid to concrete groups of life realities and ethnographic material: information related to the family, family life; information reflecting the public status of Pityakshes, Queens and other representatives of the feudal estate; terminology reflecting kinship relationship

The material presented in the article shows that initial knowledge of ethnology is based on monuments of material and spiritual culture; And "Martyrdom of Tsaritsy Shushanik" by Iakob Khutsesi is one of the outstanding works from this point of view, as the information preserved in it paints a fairly complete and interesting picture of the social life of pre-feudal Kartli.

**Key words:** Hagiographic texts, medieval Georgia, the realities

## ვაჟა დანელია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
vazha.danelia@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.13>

## მივიწყებულ ქართულ თამაშობათა ზოგიერთი ტერმინისათვის

## რეზიუმე

თამაშები ნებისმიერი ერის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რადგან მათში ხალხის თვითმყოფადი კულტურა ვლინდება. მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართული ხალხური თამაშები ფიზიკურ წრთობასთან ერთად ახალგაზრდა თაობის აღზრდის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავდა - მოზარდებს უვითარებდა არა მარტო ინტელექტს, მეხსიერებას, წარმოსახვას, გამძლეობას, სისწრაფეს, მოქნილობასა და ძალას, არამედ მათ ქცევის გარკვეული ნორმებისა და წესების, ხალხური ტრადიციების დაცვასა და წინაპართა გამოცდილების განმტკიცებას ასწავლიდა.

ხალხურ კულტურაში „თამაშის“ ცნება ბევრად ფართო და მრავალფეროვანია. ის გვიჩვენებს ადამიანის სულის სხვადასხვა მხარეს, ხან დიდი ემშაკობის გამოვლინებას, ხან ნებისყოფას და ხასიათს, მონდომებას და სხვას, მაგრამ იმ პირობით, რომ თამაში დარჩეს თავისუფალი, ცოცხალი და მონაწილეთათვის სასიამოვნო.

უწინ თამაში ერქვა ისეთ განსხვავებულ მოვლენებს, როგორებიცაა ცეკვა, სიმღერა, ხუმრობა, შეჯიბრებები, ზოგადად, გართობა. ეს მრავალფეროვნება ნათლად არის წარმოდგენილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. როგორც დიდი მეიგავე გვაუწყებს, „თამაშობა - (თამაშა თათრულად სანახავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა-შექცევათა სახელია) ესეცა განიყოფების (განიყოფებიან) ექვსად: **ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად**“ (ორბელიანი, 1991).

ავტორი თითოეული სახეობის განმარტებასაც იძლევა. მაგალითად, „**მოსპარეზობა(ე)** არს მჭედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭსა (ყვანჭითა) ცემა, საგანთა სროლა და ეგვიტარნი; **მღერა** არს ესენიცა ჭადრაკთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა (სამორინეთა) თამაშობა, და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც მღერად(ვე) იტყვიან; **ფუნდრუკი** არს ვაჟებთა მიერ (ს)რბოლა, ხლდომა სხვანი მრავალსახენი სიკისკასენი“ (ორბელიანი, 1991).

დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. რადგანაც ცარისტულ რუსეთს ხალხის შეკრებებისა და „ბუნტის“ ემინოდა, ხალხური თამაშობების ჩატარებას კრძალავდა.

ქართული პრესა XIX საუკუნის მეორე ნახევარში კრიტიკულ წერილებს ბეჭდავდა ზემოაღნიშნულ აკრძალვებთან დაკავშირებით, მაგრამ მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია. თანდათან დავიწყებას მიეცა ეროვნული გართობა-ასპარეზობები, ამის გამო 1894 წელს გაზეთი „ივერია“ სინანულით წერდა: „იქამდე მივიდა საქმე, რომ თამაშის წესებიც კი სრულიად აღარ ახსოვს ხალხსა. საჭიროა ვინც კარგად იცის რომელიმე თამაშობა, დაწვრილებით აღწეროს, რომ გავავრცელოთ“ („ივერია“, N53, 1894).

სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. წინამდებარე ნაშრომში განალიზებულია უძველეს თამაშობებთან დაკავშირებული სამი ტერმინი, კერძოდ, **განჯაფა, მხარდავედრა და მერწყულე**, რომლებიც დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა.

**საკვანძო სიტყვები:** ხალხური თამაშები, განჯაფა, მხარდავედრა, მერწყულე, ძვლის კამათელი, მესხური თამაშები

### **ძირითადი ნაწილი**

განჯაფა რომ ძველ საქართველოში გავრცელებული ყოფილა, ეს დამოწმებულია მთელ რიგ ისტორიულსა თუ ლიტერატურულ წყაროებში. მას იხსენიებს XVII საუკუნის გამოჩენილი მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი. მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე კი ნარდსა და ჭადრაკთან ერთად განჯაფაზეც მიუთითებს თავის თხზულებაში „სარკე თქმულთა“. შემდეგ მან ამ თამაშს ცალკე ლექსი-ზმაც მიუძღვნა.

სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“ **განჯაფა** ასე აქვს განმარტებული: „სამღერელია (+ტყაპუნა ), განჯაფა თურქთა ენაა, ქართულად **ზიანქო ეწოდების**“ (ორბელიანი, 1991).

ქართველთა ამ მივიწყებულ თამაშობას ჯერ კიდევ 1855 წელს მიაქცია ყურადღება დიდმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავმა.

„**განჯაფა** - თამაშობა ყოფილა ქალაღდისა, - წერს იგი. - ეს სათამაშო ქალაღდი იყო ნახატი ზოგი კარტონის ფირფიტაზე, ზოგი - ძვლებზე და შესდგებოდა რვა ხალისაგან (როგორც აწ არსებული ბანქო - ოთხი ხალისაგან არის შემდგარი). ამ ხალებს ერქვათ შემდეგი სახელები: 1. ყიზილი, 2. ბარათი, 3. აღაღჩა, 4. ხმალი, 5. ჩანგი, 6. თაჯი, 7. ყუმაში, 8. ყარაჯი. - თითო ხალში, ანუ ვარაყში იყო თორმეტი ქალაღდი, გარდა ყიზილის ვარაყისა, რომელშიაც იყო ცამეტი და ამ მეცამეტეს ერქო ალთაფი, ზედ იყო გამოხატული მზე-ლომი და უფროსი იყო ყველა ქალაღდისა“... (ერისთავი, 1887).

პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის აზრით, რაფიელ ერისთავი „საგანგებოდ ყოფილა დაინტერესებული და დიდი მუშაობა ჩაუტარებია უკვე მის დროს მივიწყებული გასართობი თამაშის - „განჯაფის“ აღსადგენად. სახელოვანი პოეტი ამ საკითხს პირველად 1855 წელს შეხებია, ანუ ორი წლით ადრე, ვიდრე ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდებოდა ივ. კერესელიძის „ცოდნისათვის განჯაფისა“ (ჯაგოდნიშვილი, 1979).

თამაშის რაობა 1857 წელს „ცისკარში“ დეტალურად აღუწერია იმ დროის ცნობილ პოეტ დავით ციციშვილს. „ცისკრის“ რედაქტორის - ივანე კერესელიძის შესავალი წერილის მიხედვით, „საქართველოში ვიდრე მეფობამდე ირაკლი II; ნაცვლად სათამაშო ქალაღდების, უხმარათ მათივე მზგაესი ძვლის ფირფიტები, რომელნიცა მხატრობითა თვისითა წარმოუდგენენ მოთამაშეთა სხუა და სხუათა მნიშვნელობათა და რომელსაცა ჰსწოდებია „განჯაფა“.

ეს ფირფიტები გვეჩვენა რედაქციაში, გარნა ვერას გზით ვერ მივხვდით, თუ ვით ჰქონიათ ხმარებაში ძველ დროს. ჟამსა მოგზაურობის ჩემისასა ამა წელს, ვიმყოფებოდი რა ჩუენის თანამედროეს მწერლის თ. დავით ციციშვილის სახლში ს. ქარელს, სადაცა მაჩუენა თავისნი მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი, მათ შორის ვპოვე აღწერა ზემო ხსენებულის განჯაფისა, რომელსაცა ვბეჭდავთ ჩუენს ჟურნალში დარწმუნებითა მით, რომ ჩუენის „ცისკრის“ მკითხველნი მიიღებენ სასიამოვნოდ“ („ცისკარი“, 1857).

შესავლის შემდეგ დაწვრილებით არის აღწერილი განჯაფის რაობა და თამაშის წესები. კერძოდ, ნათქვამია, რომ „განჯაფა“ არის ხელი რვა: პირველი არის ყიზილი, რომლისაცა ბატონს ეწოდება ალთაფი და ამის პირველობის ცნობის ნიშანი არის მზე ლომსა ზედა. მეორე არის ყუმაში, მესამე არის ბარათი, მეოთხე არის ჩანგი, მეხუთე არის ხრმალი, მეექვსე არის თაჯი, მეშვიდე არის აღაღჩი და მერვე ყარაჯი“ („ცისკარი, 1857).

რაფიელ ერისთავს ჟურნალ „ცისკრის“ პუბლიკაციის შემდეგაც არ შეუწყვეტია განჯაფასთან დაკავშირებული კვლევა-ძიება, რადგან პოეტი ერთგან შენიშნავს, რომ „იმ აღწერით ვერა გავიგე რა: - სანატრელი კია, რომ ამ თამაშობის მოგონება და სწავლა

განაახლოს ვინმემ. იტყვიან: „ნარდი ბედია, ჭადრაკი - ჭკუა, განჯაფა ცრუა“-ო. - დეე, იყოს სიცრუე - ყველა ბანქოს თამაშობა, სულ სიცრუე არ არის?“ (ჯაგოდნიშვილი, 1979).

1887 წლის 15 თებერვალს საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთ „თეატრის“ №6-7 ნომრებში (გვ. 19-23) დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის საინტერესო წერილი „ზმა“, რომელშიც ავტორი თავიდან ყურადღებას „ზმაზე“ ამახვილებს, შემდეგ კი - თეიმურაზ მეორის ლექს „განჯაფაზე“:

„ზმა“ ჰქვია იმ გვარ სიტყვას, რომელი მუსაიფში, ორი ფრაზითგან გამოიქანდეკება და შესდგება: პირველი ფრაზის ბოლოს მარცვლებიდგან და მეორე ფრაზის პირველი მარცვლებიდგან - შეერთებულად, მაგალითებრ, ავილოთ სიტყვა: „მამა“. ამის ზმა შეიძლება ასე გამოიხატოს: იამა მას შენი სიკეთე; „მე ფეხთ განზანილთა მიერ კვლესია ვადიდო“; „დედათა მარილი ვარ“...

ამ გვარი ვარჯიშობა ზმებში მწერლებსა და ბატონისშვილებშიაც ყოფილა. აი კიდენ ზმები, ნათქვამნი ლექსად, ყუმარზედ, მეფის თეიმურაზ მეორისაგან: განჯაფაზედ...

**განჯაფა \*).**

„ამისგან ჯაფას ბევრს ვნახავ, ვინ მზესა დაედარების,  
ალაღთა ფიცსა არ ჰსჯერა, მას სხვა რა მოეგვარების,  
ამაყი ზილიხანის-თვის, უწყენს ვინც მოეხმარების,  
აბა რათ იწყენს ხუმრობას, თუ მე კი არ მემტერების?..  
დიაღ აღ ჩადის ავადა, რად არ მომყვების მეოდა,  
ხმა ლიზლობაში წამერთვა, შემომწყრა ჩემი მზეოდა,  
მომჩანგის წელში გაყრითა, დავსწყევლე რიცხვი დღეოდა  
რათა ჯიჯინი გადამხდა, რად აღარ მახსენეოდა?..  
ყუ მაშინ\* ბალიშად ვნახე, თავს ქვეშე დადებულები  
ეყარა ჯიბეს მას ვარდი, ფიცხლავ ცხვირს მეცა სულელები,  
ათი ფიალის ღვინის სმით ეშხმან შემიკრა გულელები,  
ვარა ყიზილბაშს ნამყოფი, გასინჯე ჩემი თქმულები...“

აქ უნდა შევნიშნო, რომ, რადგან დღეს „განჯაფის“ თამაშობა დავიწყებულია და ამისი ბანქო ხმარებაში აღარ არის, რასაკვირველია, ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი ზმები და სიტყვები გაუგებლად დარჩება, რომლისამე მკითხველისათვის. ვაპირობ, თუ მოვახერხე, ამ თამაშობის აღწერას და აღდგენას. ჯერ, ეს საგანი, საშემდეგოდ რჩება“ (ერისთავი, 1887).

პოეტ იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით, განჯაფა სპარსეთიდან შემოტანილი ბანქოს მსგავსი თამაშობაა, ძვლის ფირფიტებიანი სათამაშო ქალაქი (გრიშაშვილი, 1997).

პროფესორ ნომადი ბართაიას მოსაზრებით, „ქალაქურ ლექსიკონში“ მოცემული ლექსიკური ერთეული განჯაფა იგივეა, რაც სპარსულ ენაში არსებული ტერმინი [gangafa/e/] - სათამაშო ქალაქი. აღნიშნული ლექსემა, ფორმითა და შინაარსით, თითქმის უცვლელად ჩანს შემოსული სპარსულიდან ქართულში [ბართაია, 2010].

როგორც ირკვევა, განჯაფა სამღერელია, სპარსეთიდან არის შემოტანილი, ძვლის ფირფიტებიანი ბანქოს მსგავსი თამაშობა. ალ. ორბელიანის თქმით, „პირველსავე რუსობის დროს საქართველოში განჯაფის თამაშობა გადავარდა და იმას მაგივრად ქალაქის თამაშობა შემოვიდა“ („მნათობი“, 1869 წ., მაისი-ივნისი).

ალ. ორბელიანის ნათქვამში ყურადღებას იპყრობს წინადადება ძვლის ფირფიტებიანი ბანქოს მსგავსი თამაშობის გადავარდნის შესახებ.

1945 წელს არმაზის არქეოლოგიური გათხრებისას იპოვეს ძვლის კამათელი. მკვლევართა აზრით, ეს შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ ჩვენი წინაპრები იცნობდნენ ჩატურანგას (ჭადრაკის წინამორბედს), რადგან ასეთი კამათელი სწორედ ამ თამაშის დროს გამოიყენებოდა.

კამათელი, ალბათ, ერთ-ერთი უძველესია, რომელიც კაცობრიობისთვისაა ცნობილი. ძველად ადამიანებს სჯეროდათ, რომ ღმერთები განსაზღვრავდნენ თამაშის შედეგს.

მაგალითად, რომაელებს სწამდათ, რომ ძვლებით თამაშის შედეგზე პასუხიმგებელი იყო იუპიტერის ქალიშვილი ფორტუნა. დასტურად დღემდე შემორჩენილი გამოთქმებიც კმარა: ფორტუნამ გაუმართლა, ფორტუნამ ზურგი აქციაო.

მსოფლიოს მეცნიერთა მრავალწლიანი კვლევის მიუხედავად, დღემდე უცნობია, საიდან შემოვიდა ძვლებით თამაში. ბერძენი პოეტი სოფოკლე მიიჩნევდა, რომ მისმა თანამემამულეებმა ის ტროას ალყის დროს გამოიგონეს. ისტორიის მამა ჰეროდოტეს მტკიცებით კი, ლიდიელებმა სწორედ აზარტული თამაშებით შეძლეს საკუთარი თავის დავიწყება ქვეყანაში შიმშილობის დროს.

არქეოლოგების აზრით, სათამაშო კოჭები გაცილებით ძველია. გათხრები იმაზე მიუთითებს, რომ ძვლებით თამაში დამოუკიდებლად გამოუგონიათ მრავალ ქვეყანაში ერთდროულად - მთელ მსოფლიოში ის ერთი ადგილიდან არ გავრცელებულა, ვთქვათ, როგორც ჭადრაკი.

კათოლიკურმა ეკლესიამ კამათელი მე-14 საუკუნის ბოლომდე აკრძალა - ქრისტეს დამამცირებელ საგნად მიიჩნევდა, რადგან რომაელმა ჯარისკაცებმა ჯვარცმის შემდეგ სწორედ კოჭებით გაითამაშეს მისი ტანსაცმელი, თუმცა ძველად ხომ სხვადასხვა ქვეყანაში სათამაშო ძვლების დახმარებით ინაწილებდნენ მიწის ნაკვეთებს, წყვეტდნენ ტახტის მფლობელისა თუ მემკვიდრეობის ბედსაც კი. კამათელს „ამნისტია“ მხოლოდ 1396 წელს შეეხო.

აზარტულ თამაშებს [არაბულად კამათელი არის „ამ-ზარხი“ (მონარდეები კამათელს დღესაც ზარად მოიხსენიებენ). ჯვაროსნებმა ლაშქრობისას გადმოიღეს ეს გასართობი და სიტყვა „აზარტი“ სამუდამოდ შევიდა ევროპულ ენებში], მით უმეტეს - სათამაშო ძვლებს, ზემოაღნიშნულის გამო, ძველ რუსეთშიც არ სწყალობდნენ. ამიტომაც არის სავარაუდებელი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენთან ძვლის ფირფიტებიანი ბანქოს მსგავსი თამაშობის - **განჯაფის** გადავარდნა და დავიწყება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში ბევრი წერილი იბეჭდებოდა ეროვნული თამაშობების მივიწყებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია 1882 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ მესხურ თამაშებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ეთნოგრაფ ივანე გვარამაძეს ეკუთვნის. პუბლიკაციის მიხედვით, მესხური თამაშების პროგრამაში შედიოდა თურმე თამაშობათა სხვადასხვა სახეობა, მათ შორის - მჯიღვით ბრძოლა, ჭიდაობა, ქალის გაქცევანი, მხარდავედრა, ბურთაობანი, სიმძიმეების აწევა, ჯირითი და სხვა.

ეტყობა, გვარამაძე გრძნობდა, წერილში დასახელებულ თამაშობათა ზოგი სახეობა მკითხველისთვის დროთა განმავლობაში გაუგებარი იქნებოდა, ამიტომ მათს განმარტებებს თავადვე იძლევა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ-ერთ სახეობა **მხარდავედრაზე**, რომელსაც ავტორი ასე განმარტავს: „ორად გაიყოფებოდნენ ხელ-ფეხ მარჯვე ვაჟნი. ერთი რიგი წრეს შიგნით იყო, მეორე წრეს გარედ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშუროდ ჩაჩი (გრძელი ქუდი - საბა) მოეტაცათ შიგანაებისგან და ისინიც მოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხემდნენ, წრეს გარედ თუ მოერტყმიათ, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა. მაშინ გარენი წრეში შედიოდნენ და შიგანაები გარედ მოექცეოდნენ“ („დროება“, 1882).

აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ ეს თამაშობა ჩვენთვის კარგად ნაცნობ **ლახტს** (საბას განმარტებით, უმკვეთელო საცემი საომარი) ჰგავს. საგულისხმო ის არის, რომ ძველ საქართველოში **მხარდავედრას** სახელწოდებით არა მარტო სასპორტო შეჯიბრება, არამედ - ქართული ხალხური ცეკვაც გვექონია, მაღალ ხტომებზე აგებული, რომელსაც მამაკაცები ასრულებდნენ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მესხურ თამაშებს, როგორც დღესასწაულს, ელინური ოლიმპიური თამაშების მსგავსად, კულტურული პროგრამაც ახლდა და მისი შემადგენელი ნაწილი ხალხური ცეკვა **მხარდავედრაც** ყოფილიყო, მაღლა შეხტომასთან ერთად, როგორც ხორუმში, მხარზე შედგომით, რაც, ალბათ, უფალთან მიახლოებით

ვედრებასაც გულისხმობდა. უძველეს დროში ხომ ნებისმიერი სახალხო რიტუალი ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი.

დღეს ქართულ ენაში ინგლისური სასპორტო ტერმინების მოძალეზასთან ერთად იშვიათად, მაგრამ მაინც მივიწყებული ქართული სიტყვების გაცოცხლებისა და სამზეოზე გამოტანის ტენდენციაც შეინიშნება. ამ მხრივ განსაკუთრებით მორაგბეები გამოირჩევიან. თუმცა ვერც ამ სფეროს წარმომადგენლებმა აუქციეს გვერდი უცხოურ ტერმინებს.

რაგბიში უხეში თამაშით გამოწვეული იძულებითი შესვენებისას მოედანზე მოთამაშეთა დასარწყულებლად წყალი სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილ ადამიანებს შეაქვთ. ასეთ პიროვნებას „ინგლისურად **„ვოთერ ქერიერ“** ჰქვია, ჩვენ კი ტფილისური **თულუხჩი** შევუსაბამეთ“, - წერს ერთ-ერთ ნაშრომში ქართული რაგბის მემატაიანე ზაალ გიგინეიშვილი (გიგინეიშვილი, 2014).

„ტფილისური თულუხჩი“ თურქული სიტყვაა და მეთულუხეს (ქეგლ 1986), ანუ თულუხით წყლის მზიდავს ნიშნავს. თულუხიც თურქულია - წყლის საზიდავი (ცხენით და მისთანათი) რუმბი, კასრი ან დიდი თუნგია (ქეგლ 1986), ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ **მერწყულის** ან **მერწყულეს** (სიტყვიდან „არწყულებს“ ხელობის აღმნიშვნელი მე-ე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები) გამოყენება, რაც, საბას განმარტებით (ორბელიანი 1991), **წყალთ მზიდავია** (წყლის მზიდავი) ან **ზოდიაქო** (ესენი არიან სახელნი და ნიშანნი მათ(თა)ნი და რომელთა თთვესა მიითვალავს მზე მათ: **მერწყული** - იანვარსა 20). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის (აბულაძე, 1973) მიხედვითაც **მერწყული**, **მერწყულე** წყლის მომტანს ნიშნავს („იყვნენ იგინი **მრეშუველი** (მრეშველი - მეშეშე) და **მერწყულე**“; „არა მოგაკლდეს თქუენგან მონა, **მრეშუველი** და **მერწყული**“; **M. ისუ ნ. 9.21 და 23**).

ქართველები ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი კულტურით გამორჩეული ერი ვართ. ჩვენი დამოკიდებულება ტრადიციების მიმართაც განსაკუთრებულია და ვუფრთხილდებით კიდევ მათ, თუმცა ზოგი მივიწყებული ტრადიციის აღსადგენად, დღემდე შემორჩენილთა შესანარჩუნებლად და ქართული ენის სიწმინდისათვის მეტი გარჯა გვმართებს.

### ლიტერატურა

1. აბულაძე ილია (1973), ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., [**M. ისუ ნ. 9.21 და 23** - მცხეთის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-51 ხელნაწერი, წიგნი ისუ ნავესი, 9.21 და 23];
2. ბართაია ნომადი (2010), ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით), თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა;
3. გიგინეიშვილი ზაალ (2014), რაგბის ქართული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გვ. 74-79;
4. გრიშაშვილი იოსებ (1997), ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), [გამოსაც. მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა]. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი;
5. „დროება“, N217, 1882;
6. თ. ერისთავი რაფიელ (1887), ზმა, თეატრი - საყოველ-კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი, N 6-7, თებერვალი 15, გვ. 19-23).
7. „ივერია“, N53, 1894;
8. „მნათობი“, 1869 წ., მაისი-ივნისი;
9. ორბელიანი სულხან-საბა (1991), ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი“;

10. ორბელიანი სულხან-საბა (1993), ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი“;
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული) 1986, არნ. ჩიქობავას რედაქციით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი;
12. „ცისკარი“, 1857 წელი, N 12, გვ. 48-53;
13. ჯაგოდნიშვილი თემურ (1979), რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, გვ. 98.

**Vaja Danelia**

Doctor of Social Sciences  
Georgian Technical University

## **For some forgotten Georgian game terms**

Games are an integral part of the daily life of any nation, because they reveal the unique culture of the people. For many centuries, along with physical exertion, Georgian folk games included important elements of the upbringing of the young generation - they developed not only intelligence, memory, imagination, endurance, speed, flexibility and strength, but also taught them to observe certain norms and rules of behavior, folk traditions and strengthen the experience of their ancestors.

After Georgia joined Russia, many games were forgotten, because the Russians forbade them - they were afraid of gathering of people and "riot". The paper analyzes some terms related to forgotten Georgian games, namely, Ganjafa, Mkhardavedra and Merkulule.

Ganjafa - was a card-like game imported from Persia, playing paper with bone plates. Mkhardavedra - a type of sport included in the program of the ancient Meskhuri Games, about which Ivane Gvaramadze published a letter in "Droeba" newspaper on October 17, 1882. As it turns out, Georgians also had a folk dance with this name.

The person who brings water to the players on the field during a forced break caused by a rough game in rugby is called tulukhch, while we have the old Georgian word merkule, which, according to Sulxhan-Saba Orbeliani, means a water carrier.

**Key words:** folk games, Ganjafa, Mkhardavedra, Aquarius, bone dice, meskhur games.



**ნატო დვალი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nato.dvali.i@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.14>

## ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა დაწყებით სკოლაში

**საკვანძო სიტყვები:** ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა, დაწყებითი სკოლა

მოზარდის პიროვნების, ნებისყოფისა და ხასიათის ფორმირება ხორციელდება სასკოლო და სკოლის გარეშე ზემოქმედებათა ერთიანი სისტემით. სწორედ სასკოლო ასაკის დასაწყისიდან ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ბავშვის ნებისყოფის განვითარებაში, ამ პერიოდში იმპულსური ქცევები თანდათან იმატებს. ხასიათი განსაზღვრავს პიროვნების გარემოსთან და ადამიანებთან ურთიერთობის თავისებურებას ისე, რომ თუ გვეცოდინება პიროვნების ხასიათის თავისებურება ადვილი შესაძლებელია გავითვალისწინოთ რა შემთხვევაში როგორ მოიქცევა იგი.

სკოლამ და მასწავლებელმა სასკოლო მუშაობა უნდა გარდაქმნან, მოაწესრიგონ და დაუქვემდებარონ იგი ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდის ამოცანას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლის ყოველდღიური მუშაობის რეჟიმს. მასწავლებელმა ახლო კონტაქტი უნდა დაამყაროს ბავშვთან, შეიქმნას მაღალი ავტორიტეტი ბავშვის თვალში და ბავშვსაც აგრძნობინოს, დაარწმუნოს საკუთარ ძალებში. მასწავლებელი მაშინ მიაღწევს წარმატებას, ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდაში, როცა თვითონ ფლობს ძლიერ ნებისყოფას, იჩენს მტკიცე ხასიათს და პრინციპულობას სწავლა-აღზრდის პროცესში.

ადამიანის დამახასიათებელ ძირითად ნიშნად შეგნებულ აქტივობას თვლიან. ეს იმიტომ, რომ ადამიანი არა მხოლოდ შეიმეცნებს სამყაროს, არამედ გარდაქმნის მას. ყველა ის თვისება, რომელიც ადამიანის აქტივობის მაჩვენებელია აღზრდასა და განვითარებას მოითხოვს. მოზარდის ნებისყოფისა და ხასიათის თვისებათა აღზრდის ძირითად მეთოდებად ითვლება: დარწმუნების, ვარჯიშისა და ნებელობით ძალთა სტიმულირების მეთოდები. ამ მეთოდებს იყენებს მასწავლებელი როგორც მოსწავლეზე ინდივიდუალური ზემოქმედებისთვის, ისე მთელ კლასზე ზეგავლენის მოსახდენად.

აღნიშნული მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. არაპირდაპირი ზემოქმედება გამოიხატება იმაში, რომ აღზრდელი უშუალოდ თავისთავად კი არ მოქმედებს აღსაზრდელზე, არამედ აღზრდის მიზნით იყენებს ბუნებრივად არსებულ ვითარებას. ან განზრახ აწყობს ან ქმნის ისეთ აღზრდელობით სიტუაციას, რომელიც აღსაზრდელს საშუალებას მისცემს გაიგოს, გააცნობიეროს შექმნილ ვითარებაში გამოვლენილი ნებისყოფისა და ხასიათის თვისებათა აზრი და მნიშვნელობა. შესაძლოა იგი თვითონაც ჩაერთოს მოქმედებაში და სასურველი ნებისმიერი ქცევის უშუალო შემსრულებელი გახდეს. ამ გზით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგმება ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის თვისებათა გამომუშავების მიმართულებით. დარწმუნების გამოყენება აღზრდაში იმას ნიშნავს, რომ აღსაზრდელს შევარგებინოთ სასურველი ქცევის აზრი და მნიშვნელობა. უნდა გავაცნობიეროთ იგი და დავარწმუნოთ ასეთი ქცევის შესრულების საჭიროებაში. ეს ყველაფერი ხდება

ცნობიერების, აზროვნება-წარმოდგენის სფეროში. შესაძლებელია გააზრება-წარმოდგენასთან ახლდეს გააზრებული მოქმედების პრაქტიკულად შესრულება.

ნებისყოფითი თვისებების ავკარგიანობის განსაზღვრაში ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის აღზრდის მიზნით ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა.

ამგვარად, მოსწავლის დაჯერება-დარწმუნება, რომ იგი ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე ხასიათის თვისებებს ამჟღავნებდეს თავის ქცევაში, სხვადასხვა საშუალებებით შეიძლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარწმუნება ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდაში.

ვარჯიშის მეთოდის გამოყენება კი გულისხმობს ისეთი ნებელობითი მოქმედებების შესრულებას, სადაც სუბიექტს მტკიცე ხასიათის გემოვნებით სჭირდება მოქმედება, რათა მან გარკვეული ამოცანა გადაწყვიტოს. ნებისყოფისა და ხასიათის განმტკიცება საბოლოოდ მაინც პრაქტიკული მოქმედების გზით უნდა იქნეს მიღწეული. პრაქტიკული მოქმედების გზით ხდება ნებისყოფის სრულყოფა. რის გარეშეც შეიძლება დაბრკოლებამ დაძლიოს განზრახვა და პიროვნებამ მიზანს ვერ მიაღწიოს.

არც ისე ძნელია მოსწავლე დავარწმუნოთ, დავაჯეროთ და შევავსებინოთ როგორ უნდა მოიქცეს, მაგრამ თუ მისი ნებისყოფა არ არის პრაქტიკულად გამოწოვებული სიმძლევითა გადალახვაში და არა აქვს მტკიცე ჩვევა და გამბედაობა დაბრკოლებათა დაძლევისა ვერ გამოავლენს ნებისყოფით თვისებას და მოქმედებას ვერ დაიწყებს, ისე დაეჭვებით შეუდგება საქმეს რომ მას ბოლომდე ვერ მიიყვანს.

სწავლება თავიდან ბოლომდე ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ მოსწავლე ყოველთვის აქტიურად იყოს ჩართული მუშაობაში და საკუთარი ძალებით ლახავდეს სიმძლევებს. სასწავლო პროცესის დროს უნდა გამოვლინდეს და ამოქმედდეს მისი ნებისყოფისა და ხასიათის თვისებები.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ დაბრკოლებათა გადალახვაში მნიშვნელობა ენიჭება თავის ტვინის ქერქული ნაწილის აქტივობას. რაც უფრო ძლიერია ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებული თავის ტვინის ქერქული ნაწილების აგზნებადობა მით უფრო ადვილად სძლევს ადამიანი მიზნის მიღწევის გზაზე წამოჭრილ დაბრკოლებებს. ისე, რომ რაც უფრო ძლიერად მოქმედებენ მიზნისაკენ წამქეზებელი მოტივები, მით უფრო მძლავრ ნებისმიერ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. აღმზრდელის ძირითადი ამოცანაა სხვადასხვა საშუალებებით უზრუნველყოს ქერქული ტვინის აქტივობა, რითაც გააძლიერებს ნებისყოფის ფუნქციობას, რაც დაბრკოლებათა დაძლევის გაუადვილებს მოსწავლეს.

დაბრკოლებათა გადალახვაში მიღწეული წარმატებები, თავის მხრივ ახალ-ახალ იმპულსებს აღძრავს ნებისმიერი მოქმედების გასაძლიერებლად და ასე მოამზადებს ნიადაგს მოსწავლის დამოუკიდებელი მტკიცე და გაბედული მოქმედებისათვის.

სხვადასხვა სასწავლო ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტაში მიღწეული წარმატებები უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის ნებისმიერი მოქმედების საუკეთესო სტიმულატორს.

მოსწავლეში ძლიერი ნებისყოფის აღძვრის ერთ-ერთ საშუალებას მომთხოვნელობა წარმოადგენს. მომთხოვნელობა სავალდებულო და სასურველი ქცევის შესრულებისაკენ მოწოდებაა. მოთხოვნა უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და გარკვეული ისე, რომ შემსრულებელმა იცოდეს კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს და როდის. მოთხოვნის წაყენებამდე უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებანი. მოთხოვნის წაყენების შემდეგ კი მხოლოდ შესრულება იქნას უზრუნველყოფილი. დადასტურებულია, რომ მოთხოვნა უკეთ შესრულდება თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. მოთხოვნა უნდა იყოს გააზრებული და სწორი იმ მიმართულებით, რომ დასმული ამოცანის გადაწყვეტას შეუწყოს ხელი, იგი შემსრულებლისათვის მოქმედებაში გეზის მიმცემი უნდა იყოს;

2. მოთხოვნა უნდა იყოს მტკიცე, დამარწმუნებელი, ყოველგვარ ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას მოკლებული, მოკლე და გამართული;

3. მოთხოვნა უნდა იყოს მიღწევადი;

4. მოთხოვნა უნდა ხდებოდეს სერიოზულ და საქმიან ფორმაში. არავითარი ზედმეტი ხმაური და პირადი ანგარიშები არ უნდა ახდეს მოთხოვნას, იგი მხოლოდ დასახული მიზნის წარმატებით განხორციელების მოსწავლის ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდის ამოცანას უნდა ემსახურებოდეს.

მიგვაჩნია, რომ აღსაზრდელისადმი წაყენებული მოთხოვნები ზუსტად ფორმულირებული უნდა იყოს, რათა მან კარგად გაიცნობიეროს მოთხოვნების არსი და მისი შესრულების შედეგებიც განსაზღვროს. პიროვნებისადმი პატივისცემა მოითხოვს პასუხისგებას მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო. მომთხოვნელობა უნდა იყოს ადეკვატური ამა თუ იმ ქმედებასთან მიმართებით, მაგრამ უხეშობა არანაირ სიტუაციაში მისაღები არ არის.

ვფიქრობთ, რომ აღზრდის პროცესში გასათვალისწინებელია ეროვნული თავისებურებები. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ ეროვნული ცნობიერების აღზრდაზე. ჩამოვყალიბოთ აღსაზრდელებში გაწონასწორებული ქცევა, ვუარყოთ სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი “ეროვნული ხასიათის მიდრეკილება უკიდურესობისაკენ”.

ლიტერატურა:

1. ავთანდილ ასათიანი - “უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა” თბილისი 2008წ.
2. ნ. ვასაძე - “პედისტორია” თბილისი 2007წ.
3. ზ. კაკაბაძე - “ფილოსოფიური საუბრები” თბილისი 1988წ.

**Nato Dvali**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

nato.dvali@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.14>

### **Education of will and character in elementary school**

The formation of will and character of the child's personality is carried out by a unified system of school and non-school influences. It is from the beginning of school age that significant changes occur in the development of a child's will.

The school and the teacher should transform the school work, organize it and subject it to the task of education of will and character.

A teacher will succeed in education of willpower and character when he/she has a strong willpower, shows firm character and principles in the process of learning and education.

Teaching should be conducted in such a way that the pupil is always actively involved in the work and overcomes difficulties with his own strength. During the educational process, the qualities of his will and character should be revealed and put into action.

**Key words:** education of will and character, elementary school

**ლეილა დიასამიძე, თეონა თედორაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

[leila.diasamidze@bsu.edu.ge](mailto:leila.diasamidze@bsu.edu.ge)[tedoradze.t@gmail.com](mailto:tedoradze.t@gmail.com)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.15>**GPT მოდელის გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას**

**საკვანძო სიტყვები:** ინგლისური ენის სწავლება, ჩატბოტები, ვირტუალური ასისტენტები, ხელოვნური ინტელექტი.

**შესავალი.** ბოლო წლებში ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ დახვეწილი მოსაუბრე აგენტების წარმოქმნა გამოიწვია (ე.წ. ჩატბოტები). ჩატბოტებმა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომლებიც გენერაციულ წინასწარ მომზადებულ ტრანს-ფორმატორებზე არიან დაფუძნებული, სხვადასხვა სფეროში დიდი პერსპექტივა აჩვენეს. ამ სფეროებს შორისაა განათლება და უცხო ენის შესწავლის პროცესი. თუმცა, კომუნიკატორების მიზნით შექმნილ ჩატბოტებს ჯერ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანიათ. შესაძლოა, მათ ბუნებრივ დანიშნულებას წარმოადგენს ის, რომ ენის შემსწავლელისათვის გახდეს პარტნიორი სწავლის პროცესში. ამიტომ, ეფექტურ და პერსონიფიცირებულ სასწავლო პროგრამებზე მზარდი მოთხოვნილებების გამო მკვლევრებმა და პედაგოგებმა დაიწყეს ჩატბოტების ინტეგრირების პოტენციალის შესწავლა ენის სწავლებაში, რათა გააუმჯობესონ სტუდენტების ჩართულობა ენის დაუფლებაში.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს რეალობა ჰორიზონტზე უკვე ათ წელზე მეტია მოსჩანს, მაინც არ არსებობს სრული მტკიცებულება იმისა, რომ მოსაუბრე აგენტების გამოყენებით ენის სწავლის შესაძლებლობების ოქროს ხანა უკვე დადგა. თუმცა ავტორთა ჯგუფის (Li et al., 2020:1-15), თანახმად GPT -ზე დაფუძნებულმა ჩატბოტებმა აჩვენეს ადამიანის მსგავსი პასუხების გენერირების და კოჰერენტული საუბრების უზრუნველყოფის უნარი, დაეხმარონ ენის შემსწავლელთ ინტერაქციული და კომუნიკაციური დავალებების შესრულებისას.

ჩატბოტები და ვირტუალური ასისტენტები უმაღლესი განათლების ყოველდღიურ რეალობად იქცა აშშ-სა და ევროპაში. ტექნავიოს (Technavio), პროგნოზით, უახლოეს მომავალში უნივერსიტეტებში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემები უფრო აქტიურად დაინერგება (<https://www.technavio.com/report/artificial-intelligence-market-in-the-education-sector-industry-analysis>).

კვლევის „ხელოვნური ინტელექტი უმაღლესი განათლებაში, თანამედროვე გამოყენება და მომავალი აპლიკაციები“ ავტორები აღნიშნავენ, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესში დავალებების ფართო სპექტრში (Klutka et al., 2018:20-30). ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია სხვადასხვა სიმულატორების გამოყენებით. მაგალითად, M-Write პლატფორმის პროგრამა აფასებს სტუდენტთა მიღებულ ცოდნას და იმავდროულად მომხმარებლებს ასწავლის აკადემიური წერის წესს. თუმცა, ყველაზე წარმატებულ პროდუქტებს განავითარებენ უნივერსიტეტების სტარტაპერები,

რომელთა შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა და მასწავლებლებმა.

ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტიული მიმართულებაა ავტომატიზაციის სისტემები, რომლებიც სასწავლო პროცესის ყველა ელემენტს აკონტროლებენ. ბევრი ამერიკული და ჩინური პროგრამა ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში ტესტირების რეჟიმშია. ამერიკული საგანმანათლებლო პლატფორმა სტელიკი (Stellix) უნივერსიტეტებს სასწავლო პროცესის სრულ ავტომატიზაციას ჰპირდება. პროექტი მიზნად ისახავს შეცვალოს შეზღუდული ინსტრუმენტები, რომლებსაც უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ. პლატფორმის მთავარი მიზანია: დავეხმაროთ სტუდენტებს, მაქსიმუმი მიიღონ სკოლებიდან, დავეხმაროთ მრჩეველებს სტრატეგიული სახელმძღვანელოების მიწოდებასა და ხელმძღვანელებს - მოსწავლეების წარმატებაში.

რა ხდება საქართველოში ხელოვნური ინტელექტის დანერგვასთან დაკავშირებით? განათლების რეფორმის ფარგლებში, სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია ტექნოლოგიების განვითარება და ხელოვნური ინტელექტის, როგორც განათლების კომპონენტის, დანერგვა. განათლების ყოფილი მინისტრის მ. ბატიაშვილის განცხადებით, პროექტი საშუალებას მისცემს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას და დანერგვას საქართველოს განათლების სისტემაში, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მნიშვნელოვან პლატფორმაზე. ის უხელმძღვანელებს პროექტს-რეგიონის პირველი ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტის ორგანიზებას თბილისში, საქართველოს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე(<https://www.interpressnews.ge/ka/article/746917-mixeil-batiashvili-btu-ai-momavlis-ganatl-bis-produktebs-sascavlo-processhi-nergavs/>)

**თემის აქტუალობა.** გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ინგლისური ენის შესწავლა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. კვლევა მიზნად ისახავს ჩატბოტების როგორც დამატებითი ინსტრუმენტის, პოტენციალის ანალიზს ინგლისური ენის სწავლება/სწავლის პროცესში. როგორც საერთაშორისო ენა, ინგლისური გახდა ძირითადი ინსტრუმენტი გლობალური კომუნიკაციისა და თანამშრომლობისათვის და ამ ენის ცოდნა და შესწავლა არის გადამწყვეტი უნარი პიროვნული განვითარებისა და გაზრდისათვის. თუმცა, ინგლისურის ტრადიციული სწავლება ზოგჯერ საგანმანათლებლო რესურსების არათანაბრად განაწილებას და სწავლების უდრეკი მეთოდების გამოყენებას მოიცავს. ამჟამინდელი ინგლისური ენის სწავლება მთელ მსოფლიოში სახელმძღვანელოებზე გადაჭარბებული დამოკიდებულებით და ასევე სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლის არასაკმარისი უნარით ხასიათდება (Sun, 2023:8-103). ენის სწავლება უნდა ფოკუსირდეს სტუდენტების ყოვლისმომცველი უნარების განვითარებაზე, რათა ენა გამოიყენონ პრაქტიკაში, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარებთან ერთად. უნდა გატარდეს რეფორმები მასწავლებელთა მომზადებას და საგანმანათლებლო მასალების შემუშავებაში. აქედან გამომდინარე, ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება ინგლისურის სწავლების ხარისხისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად გადამწყვეტია, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე განათლების სფერო. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია პირველ რიგში ახორციელებს მანქანურ სწავლებას დიდი მონაცემების ანალიზის და დამუშავებით, რაც უზრუნველყოფს ინტელექტუალურ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სფეროებისათვის. ამ სისტემას შეუძლია სტუდენტებს მიაწოდოს შესაბამისი სასწავლო სტრატეგიები, გააძლიეროს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და უზრუნველყოს დახმარება სასწავლო მიზნების მისაღწევად. ინგლისური ენის სწავლებაში ინტელექტუალურმა ტექნოლოგიებმა თავისი უნიკალური უპირატესობის გამო სწავლების ხარისხის ამაღლების ახალი შესაძლებლობები გახსნა. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის ინტეგრირება ინგლისურის სწავლებაში უნივერსიტეტის დონეზე არა მხოლოდ გაამარტივებს პროცესს, არამედ სტუდენტებისათვის უფრო შედეგიან სასწავლო ინსტრუმენტს ქმნის.

მეცნიერები ამოცანების ოთხ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: 1. სტუდენტების შერჩევა და მიღება; 2. სწავლის დაჩქარება; 3. სტუდენტური დავალებები; 4. საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია და ადაპტაცია (Klutka et al., idem)

სტატიაში ჩვენ განვიხილავთ სასწავლო პროცესის ძირითადი ამოცანების მეორე ასპექტს. მოვიყვანოთ ავტომატური შინაარსის განვითარების მაგალითი - ყველაზე ჭკვიანი სასწავლო სერვისი. ინსტრუმენტი აანალიზებს ტექსტურ დოკუმენტებს და მათზე დაყრდნობით შეუძლია შექმნას პრეზენტაციები ილუსტრაციებით, გრაფიკებით, ვიქტორინებით და ტესტებით. შესაძლებელია ყველა სტუდენტური პროექტის რედაქტირება და ბიბლიოთეკაში შენახვა. რაც შეეხება პერსონალიზებულ სწავლებას, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ეხმარება მოსწავლის დონის განსაზღვრას და მისთვის პერსონალიზებული სასწავლო გეგმის შექმნას. უცხო ენების შესასწავლად თვალსაჩინო მაგალითია აპლიკაცია დუოლინგვო. თავდაპირველად ხდება ტესტირება, შემდეგ აპლიკაცია მოსწავლისათვის შესაფერისი სირთულის სავარჯიშოებს ეძებს, შემდეგ კი მოსწავლის მიერ დასრულებული თითოეული გაკვეთილის, მის მიერ დაშვებული შეცდომების და პროგრესის საფუძველზე დუოლინგვო ირჩევს სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოსწორებას და დონის გაუმჯობესებას. აპლიკაციას ასევე ჩამენებული აქვს მეტყველების ამოცნობის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ივარჯიშონ წარმოთქმის უნარზე.

მკვლევრები გამუდმებით აღნიშნავენ ინტერაქციისა და უკუკავშირის მნიშვნელო-ბას ენის სწავლის პროცესში და ასევე ჩატბოტების შესაძლებლობას, უზრუნველყონ პერსონალიზებული და მყისიერი პასუხები მოსწავლის შეკითხვებსა და სავარჯიშოებზე. GPT- ზე დაფუძნებული ჩატბოტების ეს მახასიათებლები პერსპექტიულია ინგლისური ენის შესწავლის პროცესში, როცა სამიზნე ენაზე კომუნიკაციური კომპეტენცია და ინტერაქცია აუცილებელია უნარების განვითარებისათვის. ამგვარად, ჩატბოტები არიან ენის შესწავლის თანამედროვე დამატებითი პარტნიორები (Fryer, 2006 :8-14).

არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის (AI) ამომწურავი განმარტება (Mitchell, 2019) ისინი იცვლებიან დროთა განმავლობაში (Holmes & Tuomi, 2023:542-570) თუმცა, ჩვენ ამოსავლად ავიღებთ გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის განმარტებას, სადაც AI-აღნიშნავს „სისტემებს, რომლებსაც შეუძლიათ მონაცემთა და ინფორმაციის დამუშავება ინტელექტუალური ქცევის მსგავსი გზით, რაც, როგორც წესი მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა მსჯელობა, სწავლა, აღქმა, პროგნოზირება, დაგეგმვა ან კონტროლი“. (United Nations., 2023:10).

ინგლისური ენის სწავლების ტრადიციული მეთოდები, როგორც წესი ეყრდნობა საკლასო ინსტრუქციებს და სტატიკურ სასწავლო მასალებს, GPT-ზე დაფუძნებული ჩატბოტების ინტეგრაცია დინამიური და ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობას იძლევა. როგორც ე. გარსია-პენალვო აღნიშნავს (Garcia-Penalvo, 2023:1-9 (<https://doi.org/10.14201/eks.31279>)) ტექნოლოგიურად გამდიდრებულ ენის შესწავლის გარემოებებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ პერსონალიზებული სასწავლო პროგრამები, მოერგონ სწავლის სხვადასხვა სტილს და უზრუნველყონ დროული შეფასება, რაც ხელს უწყობს ენის სწავლის პროცესში მიზნის მიღწევას.

ტერმინი ხელოვნური ინტელექტი (AI) გულისხმობს ინტელექტის ჩართულობას, ჩატი GPT არის „სტოქასტური თუთიყუში“, ტერმინი, რომელიც შექმნა ე. ბენდერმა (Bender et al., 2021:610-623) (<https://doi.org/10.1145/3442188.3445922>), რაც გულისხმობდა, რომ ჩატჯიპიტის შეუძლია გააანალიზოს ტექსტური მონაცემები იდენტიფიცირებული შაბლონებისათვის, რათა მოახდინოს პასუხების გენერირება, მაგრამ მას რეალური ცოდნა არ გააჩნია (Stening, 2023:1-9) (<https://news.northeastern.edu/2023/04/25/artificial-intelligence-development-innovationsafety/>).

პოტენციური უპირატესობის მიუხედავად ჩატჯიპიტზე დაფუძნებული ჩატბოტების ეფექტური ინტეგრაცია ინგლისური ენის სწავლის პროცესში მოითხოვს დაკვირვებას და ემპირიულ მტკიცებულებებს. ჩვენი კვლევის მიზანია, მოკრძალებული წვლილი

შევიტანოთ მზარდი ლიტერატურის ანალიზსა და სინთეზში ტექნოლოგიით გამყარებულ ენობრივ განათლებაში ინგლისური ენის შესწავლის კონტექსტში.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით ავლინონოთ თემის სიახლე, რამაც უამრავი ავტორის ყურადღება მიიპყრო. თუმცა, ჩვენ ამჟამად საკითხის სიახლის გამო ამომწურავად ვერ შევძლებთ გამოვყოთ ამ დარგის წამყვანი ექსპერტების მოსაზრებები ან მეთოდოლოგიურ და სხვა ჰიპოტეზებთან დაკავშირებული გარკვეული მიდგომები. ჩვენ მხოლოდ ლიტერატურის ანალიზით და სხვადასხვა მკვლევართა შორის არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო და განსხვავებული შეხედულებების აღნიშვნით შემოვიფარგლებით. ჩვენ წარმოვადგენთ ისეთი ჩატბოტების გამოყენებას სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის ინგლისური ენის სხვადასხვა ასპექტში, როგორცაა ჩატი GPT და Chat AI. ასევე აღსანიშნავია, რომ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ჩატბოტებს გააჩნიათ პოტენციალი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ უცხო ენის სწავლის პროცესი, რადგან გაცილებით უფრო მოსახერხებელი და ხელმისაწვდომია, ასევე, ხაზგასმით არის აღნიშნული ჩატბოტების გამოყენების პოტენციალი განათლებაში.

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით ჰიპოტეზა არ წამოყენებულა და ყურადღება გამახვილებულია განათლებაში ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ჩატბოტების გამოყენებაზე (Karpov, 2023:50-57).

ამერიკელი მ.დოდოგოვიკი, ავტორი წიგნისა „ხელოვნური ინტელექტი მეორე ენის შესწავლისას“ იკვლევს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მეორე ენის სწავლების პროცესში. ის აქცენტს აკეთებს სტუდენტების მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზზე, რათა დაეხმაროს მათ ამ შეცდომების შესწორებაში. პარალელურად, მ. დოდოგოვიკმა წარმოადგინა „ინტელექტუალური აკადემიური ინგლისურის სწავლების სისტემის“ დანერგვის გეგმა. ამ სისტემის დანერგვის მეთოდი ძალიან პრაქტიკულია (Dodigovic, 2005: 1-30). ჩვენთვის ღირებულია მ.დოდოგოვიკის პრაქტიკული გამოცდილება, რადგან ის სასარგებლოა პედაგოგებისათვის, რომლებსაც მეორე ენის სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვა სურთ. მ.გ. ტიმსი აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო ხელოვნური ინტელექტი ძირითადად საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ სასწავლო პროცესში კომპიუტერების და საგანმანათლებლო პლატფორმების საშუალებით, ამასთან ეხმარება მასწავლებლებს სწავლების პროცესი უფრო ნაყოფიერი გახადონ. ის ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მომავალში ხელოვნური ინტელექტის ძალა შერწყმული უნდა იყოს რობოტექნიკის მიღწევებთან და სასწავლო გარემოში სენსორული მონიტორინგის მოწყობილობების უფრო ფართოდ გამოყენებასთან (Timms, 2005 :701-712).

მიუხედავად მნიშვნელოვანი შესაძლებლობისა, ჩატჯიპიტი ჩამოუვარდება ადამიანის შემეცნებას და ენობრივ გენერირებას. მასწავლებლებს ურჩევენ აქტიურად ჩაერთონ ჩატბოტების ოპერაციების და მექანიზმების შესახებ არსებულ დისკუსიებში, ასევე მათ გამოყენებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და გამოწვევების შესახებ. ეს დისკუსიები საფუძველს უქმნის სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბებას და გამოყენებას. პედაგოგებს და აკადემიურ დაწესებულებებს მოუწოდებენ აზროვნება გადაიტანონ სწავლების და შეფასების მეთოდების ადაპტირებაზე გარდაუვალი ტექნოლოგიური წინსვლის მოლოდინში.

**კვლევის მეთოდები.** ჩვენი კვლევის მეთოდები მოიცავს ინგლისური ენის სწავლების პროცესში ლიტერატურის და სიტუაციების ანალიზს, ემპირიული კვლევის მეთოდებს, ინტერვიუებს და სხვა. ემპირიულ მეთოდად გამოვიყენეთ ექსპერიმენტული სასწავლო გეგმა. სასწავლო ობიექტად შევარჩიეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტები. ექსპერიმენტის მიზანი იყო უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლებისას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის ეფექტიანობის შემოწმება.

**ექსპერიმენტის მიზანი და მნიშვნელობა.** ექსპერიმენტული სწავლების დიზაინი მიზნად ისახავდა ერთი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლები-

სას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების რეალური ზეგავლენის შესწავლას. ექსპერიმენტის მიზანი იყო ინგლისური ენის შესწავლის პროცესში 20 სტუდენტისაგან შემდგარი ჯგუფის პრუდუქტიული უნარების - საუბრის და წერის უნარების გაუმჯობესება. ექსპერიმენტის ძირითადი მიმართულებები: ექსპერიმენტული სასწავლო შინაარსი შემუშავდა ინგლისური ენის სწავლების პროგრამის საფუძველზე, რომელსაც chat-ის და ask AI -ის გამოყენებით გარკვეული დავალებების შესრულება დაემატა. ამ კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტებმა შესძლეს გამდიდრებული ლექსიკის და წინადადებების ნიმუშების გამოყენება.

**კვლევის შედეგები.** როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები დაეხმარა სტუდენტებს ენის პრაქტიკაში გამოყენებაში და ინტერვიუებმა შესაძლებელი გახადა სტუდენტების კმაყოფილების მაღალი ხარისხი chat-ის და ask AI-ის გამოყენებით, ისევე როგორც ტექნიკური ინოვაციების დანერგვა გაკვეთილების მომზადების პროცესში და შედეგების ეფექტიანობა.

**დასკვნა.** ამგვარად GPT-ზე დაფუძნებული ჩატბოტები უნივერსალურად აჩვენებენ პასუხების გენერირების უნარს თანმიმდევრული საუბრების შენარჩუნებისას. ეს ტექნიკური ინოვაცია საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესში ინტერაქტიული და კომუნიკაციური ამოცანების შესრულებისას გამოიყენოს GPT-ზე დაფუძნებული ჩატბოტები. საქართველოში გაჩნდა ახალი შესაძლებლობა, შეავსოს სწავლების ტრადიციული მეთოდები და გაუმჯობესოს სწავლის ეფექტიანობა. როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები მიესადაგება ინგლისური ენის შესწავლას და ზრდის სტუდენტების ინტერესს სწავლისადმი. ამკარა პოტენციური უპირატესობის მიუხედავად, GPT-ზე დაფუძნებული ჩატბოტების ეფექტიანი ინტეგრაცია ენის სწავლებაში ყურადღებით შესწავლას და შემდგომ ემპირიულ მტკიცებულებებს მოითხოვს.

#### ლიტერატურა:

Bender, E.M., Gebru, T., McMillan-Major, A., & Shmitchell, S. (2021). On the dangers of stochastic parrots: Can language models be too big? 2021 ACM Conference on Fairness, Accountability, and Transparency (FAccT '21), New York. 610–623 (<https://doi.org/10.1145/3442188.3445922>) (accessed 26.01, 2024).

Dodigovic M. Application of Artificial Intelligence in Second Language Teaching // World Book Publishing Company. USA. – 2012. – P. 1–30.

Fryer L., Carpenter R., EMERGING TECHNOLOGIES Bots as Language Learning Tools, Language Learning & Technology <http://ilt.msu.edu/vol10num3/emerging/>, September 2006, Volume 10, Number 3, pp.8-14 <https://core.ac.uk/download/pdf/84321063.pdf>

García-Peñalvo, F.J., 2023. The perception of Artificial Intelligence in educational contexts after the launch of ChatGPT: Disruption or panic? Education in the Knowledge Society, 24, 1-9 (<https://doi.org/10.14201/eks.31279>)(accessed 26.01, 2024)

Holmes, W., & Tuomi, I. (2022). State of the art and practice in AI in education. European Journal of Education, 57(4), 542–570. <https://doi.org/10.1111/ejed.12533>

Karpov A. G. Investigation of the Possibility of Using AI in Teaching Foreign Languages// Современное образование: проблемы, решения, тенденции развития: сборник статей VII Международной научно практической конференции (8 июня 2023 г.). – Петрозаводск : МЦНП «НОВАЯ НАУКА», 2023. – с.52-27. С. 52-57. URL: <https://m.sciencen.org/assets/Kontent/Konferencii/Arhiv-konferencij/KOF-822.pdf#page=52>

Klutka, J., Ackerly, N., & Magda, A. J. (2018). Artificial Intelligence in Higher Education: Current Uses and Future Applications. Learning House.

Lee, N., Mikesell, L., Joaquin, A. D., Mates, A., & Schumann, J., 2009). The interactional instinct: The evolution and acquisition of language. Oxford University Press. Lo, C. K. (2023). What is the impact of ChatGPT on education? A rapid review of the literature. Education Sciences, 13(410), 1-15 (<https://doi.org/10.3390/educsci13040410>).

Mitchell, M., 2019. Artificial intelligence: A guide for thinking humans. Farrar, Straus, and Giroux.



Stening, T. (2023, April 25). 'We are a center of experimentation and innovation.' President Joseph E. Aoun addresses buzz around generative AI. Northeastern Global News (<https://news.northeastern.edu/2023/04/25/artificial-intelligence-development-innovation-safety/>)(accessed 26.01, 2024).

Sun Yuxuan, Research of the usage of artificial intelligence in teaching English at a university in China // Scientific-methodological electronic journal "Koncept". – 2023. – No. 12. – P. 88–103. – URL: <https://e-koncept.ru/2023/231128.htm>. DOI: 10.24412/2304-120X-2023-11128

Timms M. J. Letting artificial intelligence in education out of the box: educational cobots and smart classrooms // International Journal of Artificial Intelligence in Education. – 2016. – № 2. – P. 701–712. – URL: [https://www.researchgate.net/publication/290648563\\_Letting\\_Artificial\\_Intelligence\\_in\\_Education\\_Out\\_of\\_the\\_Box\\_Educational\\_Cobots\\_and\\_Smart\\_Classrooms](https://www.researchgate.net/publication/290648563_Letting_Artificial_Intelligence_in_Education_Out_of_the_Box_Educational_Cobots_and_Smart_Classrooms)

United Nations Educational, Scientific, and Cultural Organization. (2023). ChatGPT and artificial intelligence in higher education: Quick start guide. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000385146>

<https://www.technavio.com/report/artificial-intelligence-market-in-the-education-sector-industry-analysis>

<https://www.interpressnews.ge/ka/article/746917-mixeil-batiashvili-btu-ai-momavlis-ganatilebis-produktebs-sascavlo-processhi-nergavs/>

**Leila Diasamidze; Teona Tedoradze**

Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

[leila.diasamidze@bsu.edu.ge](mailto:leila.diasamidze@bsu.edu.ge) [tedoradze.t@gmail.com](mailto:tedoradze.t@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.15>

## **Application of GPT Models in English Language Teaching**

### **Abstract**

The article provides a general overview of works devoted to the use of educational systems based on artificial intelligence. In particular, we are talking about the field of teaching English in higher education. This paper provides data on the use of chatbots and virtual assistants in higher education systems in Georgia, the USA, Europe and Asia (China). The types of artificial intelligence technologies already introduced into language practice are considered: text, image, speech recognition, speech synthesis and natural language understanding. Examples of specific use of artificial intelligence technologies are also provided as illustrative material, along with their effectiveness in teaching English at the university. The advantage of integrating GPT-based chatbots compared to traditional methods of teaching English is shown. While the latter is based on classroom learning and static materials, modern technologies make it possible to create a dynamic and adaptive learning environment.

**Key words:** English Language Teaching, a dynamic and adaptive learning environment.

**ბელა დურგლიშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

bela.dirglisvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.67>**მარადიული მისტერია ჯემალ ქარჩხაძის ლექსში  
„წიგნი ა მოსესი“**

მკითხველი საზოგადოება გამოჩენილ ქართველ პროზაიკოსად და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ფენომენის მატარებელ დიდ ავტორად აღიარებს ჯემალ ქარჩხაძეს, რომლის შემოქმედება, რაც დრო გავა, უფრო მეტ შარავანდედსა და მიზიდულობას შეიძენს თაობებისათვის.

მწერლის სააზროვნო სივრცე კიდევ ერთ განსხვავებულ ჰორიზონტს სთავაზობს მკითხველს ჯემალ ქარჩხაძის საოცარი და რთული განზომილებების შესაცნობად მისი სულ ბოლო წიგნით, რომელიც მწერლის გამოუქვეყნებელი ტექსტებისაგან შედგება და რომელთაგან ნაწილი დასრულებული მოთხრობებია, ნაწილი კი დაუსრულებელი.

და რაოდენ სასიამოვნო და ამავე დროს დამაფიქრებელია, რომ წიგნის პირველივე ფურცლებზე გამომცემლობა გვთავაზობს ჯემალ ქარჩხაძის ერთადერთ პოეტურ ნაწარმოებს, სახელად „წიგნი ა მოსესი“. ამკარაა, რომ შემთხვევითი არაა სიტყვები, მწერალმა რომ გააცხადა თავის პუბლიცისტურ წერილში: „ქართველი კაცის არსებაში სიტყვა ბუნებრივად იღებს ლექსის სახეს, ლექსი ჩვენ სისხლივით დაგვიდის ძარღვებში.“

თავად ლექსი, ერთგვარ გამაერთიანებლად აღიქმება ქართველი კაცისათვის და მით უფრო, ისეთი ლექსი, რომელშიც საერთო იდეალზე და მიზანზეა საუბარი. „პოეტური სახეები, როგორც ჩანს, აზროვნების არაცნობიერ ფორმებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც ფსიქოლოგები არქეტიპებს უწოდებენ. მძაფრი ემოციური შინაარსით გაჯერებული ეს სახეები თავისებურად ასახავენ სამყაროს შინაგან სტრუქტურას. მაგრამ რანაირადაც არ უნდა ვხსნიდეთ გაგების ამ ფორმებს, სახეებისა და მსგავსებების ენა, ალბათ, ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც ყველასათვის გასაგები გზით შეიძლება მივუახლოვდეთ „ერთს“. თუ საზოგადოების ჰარმონია „ერთის“, ანუ იმ გამაერთიანებელი პრინციპის საყოველთაოდ მიღებულ განმარტებაზეა დაფუძნებული, რომელიც იმალება მოვლენათა მრავალფეროვნების მიღმა, მაშინ პოეზიის ენა აქ უფრო არსებითი უნდა იყოს, ვიდრე მეცნიერების ენა.“ – წერდა ნობელის პრემიის ლაურეატი, დიდი გერმანელი მეცნიერი ვერნერ ჰაიზენბერგი.

არქეტიპულ სახეთა სისტემა ქართული მწერლობის სააზროვნო ველში ბუნებრივად არსებობს და, მართლაც, ზედმიწევნით გამოსახავს სამყაროს შინაგან სტრუქტურას. მძაფრად და საინტერესოდ წარმოჩნდება ეს სისტემა როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში.

„მწერალზე ყოველთვის ხანდაზმულ ენას, – აღნიშნავს იოსებ ბროდსკი, – ამავე დროს, აქვს უზარმაზარი ცენტრიდანული ენერჯიაც, ბოძებული დროის პოტენციალით – ესე იგი მთელი წინამდებარე დროით და ეს პოტენციალი განისაზღვრება არა იმდენად ამ ენაზე მოლაპარაკე ერის რაოდენობრივი შემადგენლობით, თუცა ამითაც განისაზღვრება, რამდენადაც ამ ენაზე დაწერილი ლექსის თვისებრივი რაობით.“

ლექსის თვისებრივ რაობაში კი უსათუოდ ვგულისხმობთ იმას, რომ პოეზიას ახასიათებს ძლიერი ლტოლვა ზევნობიერისა და მისტიკურისაკენ, იდუმალისაკენ. თავის პუბლიცისტურ წერილში „მონოლოგი დიალოგიდან“ ჯემალ ქარჩხაძე აღნიშნავს, რომ „ადამიანის სულიერი აქტივობა მძლავრი ვულკანური რხევაა, რომელსაც ერთი ბოლო უკიდურეს მისტიციზმში აქვს გადგმული, მეორე – უკიდურეს რაციონალიზმში.“

ჩვენი გამორჩეული მოაზროვნის ამ ლექსშიც ზევნობიერის, მარადიული დროის ქრონოტოპული მოდელის კოორდინატებია გამოკვეთილი და ამიტომაც, შეუძლებელია სათაურიდანვე ძველი აღთქმის მამამთავარი და წინასწარმეტყველი მოსე არ გავიხსენოთ. ჯემალ ქარჩხაძე მიიჩნევს, რომ ძველი აღთქმაში „...ისეთი სადა, მშვიდი დიდებულებით დიდებული სინათლე დგას, ყოვლისმომცველი და უძრავი, შეიძლება ითქვას, ტრანსცენდენტული სინათლე(განსაკუთრებით მოსეს ხუთწიგნეულში), ხან კი მუხტის დაძაბულობა ისეთ გაუგონარ სიმაღლეს აღწევს და სულის ყველა ფენას ისეთი ელვით ანათებს(ვთქვათ, ეკლესიასტე), როგორც სხვაგან იშვიათად თუ სადმე შემხვედრია.“

ამ ყოვლისმომცველი და უძრავი დიდებული სინათლის, უჩვეულო მუსიკისა და სურათების შემცველი თეთრი ლექსის მთავარი მოქმედი პირი პატარა ბიჭია, რომელიც ქმნის. მართალია, „ღმერთს არაფრით ჰგავდა,“ – დაბეჯითებით გვამცნობს ავტორი დასაწყისიდანვე, მაგრამ ის, რაც ღმერთს ამსგავსებს, მხოლოდ განზრახვაა – ახალი არსებების შექმნის განზრახვა.

მთელი სამყარო ელოდება მისგან ამ ქმედებას. პატარა ბიჭის მიერ გამოძერწილი თიხის კაცუნები ნაკადულის პირას ამაოდ ელიან თავიანთ შემქნელს. მათ ხომ არ იციან:

„მერე რაღა უნდა ქნა,

როცა უკვე გამოძერწილი და შექმნილი ხარ.“

მაგრამ პატარა ბიჭები, ჯემალ ქარჩხაძის აზრით, „ღმერთებივით არიან, მომავლით სულდგმულობენ“. თიხის კაცუნების შემქმნელებს ახალი მისია ელოდებათ, ახალ სივრცეებს ელტვიან.

„რაც არ შეუქმნიათ, ის აინტერესებთ,

რაც შექმნეს, ის აღარ ეკითხებათ.“

ჭრელი პეპლების მდევნელი პატარა ბიჭი – შემოქმედის ერთგვარი არტსიმბოლოა, რომელიც პოეტის, მწერლის განმსაზღვრელ განზოგადებულ სახედ გამოდგება მარადიული შემოქმედებითი მისიის გამო. ამავე დროს იგი თითქოს სამყაროს იმ უზენაეს ძალასაც განასახიერებს, რომელსაც მიწიერი ვნებებით გარშემორტყმული ადამიანის თვალსაწიერი ვეღარ ამჩნევს და მიტოვებულ „თიხის კაცუნად“ აღაქმევინებს თავს.

ჯემალ ქარჩხაძის მსოფლხედვა არსებობისა და გადარჩენის მთავარ ფორმულას სწვდება – ღმერთი – სამყარო – ადამიანი – ქმნალობა.

მწერლის შემოქმედებითი სამყარო ხომ იმ იდუმალ ენაზე მეტყველებს, რომელიც მან დიდი ხანია აღმოაჩინა და რომელიც მარადიული იგავური ენაა. პოეზიაში ამ იგავური ენის სიმბოლური ნიშნების გარეშე, კასირერის აზრით, „ადამიანის ცხოვრება გაუტოლდებოდა ჯურღმულში ტყვეობას პლატონის ცნობილი შედარების მსგავსად. ადამიანის არსებობა ჩაიკეტებოდა მისი ბიოლოგიური და პრაქტიკული ინტერესების ჩარჩოებში; იგი ვერ ჰპოვებდა გზას „იდეთა სამყაროსაკენ“, რაც მას სხვადასხვა მხრივ: რელიგიის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და მეცნიერების კუთხით გადაეშლება.“

ეს იგავური ენა, რომელიც ამ პოეტურ განაცხადშიცაა გამოკვეთილი, ერთსა და იმავე დროს ბიბლიურ დროშიც გვაბრუნებს და თანამედროვე სამყაროს შეუცნობელი პოეტური პროცესების თანამონაწილედაც გვაგრძნობინებს თავს.

შესაქმეს ისტორია და მოსეს სვლა აღთქმული ქვეყნისაკენ, – აი, ის ინტერტექსტობრივი გამოძახილი, რომელიც მწერლის მითოპოეტური ენობრივი კონტექსტებით ამოიცნობა ამ პოეტურ ტექსტში.

შემთხვევითი არაა, რომ ჯემალ ქარჩხაძე ლექსის ფორმად თეთრი ლექსის ფორმატს ირჩევს. ფორმას, რომელიც მუდმივად თითქოს თან ხელიდან გისხლტება და თან თანმდევი

პოეტური რიტმით ერთდროულად უძველეს და უახლეს პოეტურ მუსიკას იტევს თავის თავში.

შეუძლებელია, მწერლის მოთხრობა „იგი“ არ გაგვახსენდეს ამ ლექსის წაკითხვისას. მწერლის შემოქმედების ერთი უმთავრესი იგავური სახე, რომელსაც სწორედ ქმნადობის, შემოქმედებითობის ნიჭი მოსავს, მთავარი გმირი–იგია. იგის, როგორც სამყაროს სულის პრეისტორიული ქმნადობის გამომხატველ არსებასა და ლექსის პატარა ბიჭს ბევრი რამ ანათესავებთ.

გარკვეული მითოპოეტური კონტექსტითა და არქეტიპული თვალსაზრისით, „იგის“ იგი სწორედ მოსეა, აღთქმულ ქვეყანაში თავისი ხალხის, თავისი ტომის შემყვანი. მოსეს მსგავსად მანაც ისეთი კოლოსალური ძალისხმევა გამოავლინა, რომ თავისი ფიზიკურ – სულიერი კონსტრუქციის მდგრადი განმტკიცებით (ფიზიკურ–სულიერი გამართულობით) შეძლო სამყაროს მოწყობის მომავლის პერსპექტიულ მოდელში თავისი თანატომელების ახალი ყოფა განესაზღვრა.

პატარა ბიჭი მზისა და ნაკადულის დახმარებით, ჭრელი პეპლების ფარფატში თავისი განზრახვის შესრულებას მაინც ახერხებს.

„სამყარო გაიტრუნა,  
სამყარო გაინაბა,  
სუნი დატრიალდა მისტერიის.“

ეს მისტერია მას შემდეგ აღესრულება, რაც პირველი ადამიანი მოეველინა სამყაროს. ამ მისტერიის მთავარი გმირი – თიხის კაცუნა კი გამუდმებით იბრძვის, რომ თავისი დანიშნულება შეიცილოს და აღასრულოს.

მოსეს მისია ხალხის ყველა ჭეშმარიტ გულშემატკივარსა და ჭირისუფალს გაუნაწილებია და უტარებია დრო და დრო, ვინ როგორ შეძლო ეს მისია განებორციელებინა, მეტნაკლებად საკაცობრიო ისტორია გვამცნობს.

ჯემალ ქარჩხაძე, როგორც მწერალი და ადამიანი, თავადაც ამგვარი მისიის აღმასრულებლად მოიაზრებს საკუთარ თავს და მისი ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ მოსაზრების ნათელი დასტურია.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალმა ძალზე კარგად უწყის, რომ ადამიანი ყოველთვის ვერ აღწევს ღვთებრივი თავისუფლების შეგრძნებას, უძნელდება პიროვნული დამოუკიდებლობის უმაღლეს საზომს მიუახლოვდეს, რაც ლექსშიც თვალნათლივანა ჩვენები:

„დაიბნენ თიხის კაცუნები,  
ხან იქით მიტრიალდნენ,  
ხან აქეთ მოტრიალდნენ,  
ბრმა თვალებით ბიჭს დაუწყეს ძებნა,  
ვინც შეგვქმნა და ვინც გამოგვძერწა,  
მანვე გვითხრასო, მერე რაღა უნდა ქნა,  
როცა უკვე გამოძერწილი და შექმნილი ხარ“,

მას მაინც სჯერა, რომ ადამიანი მოწოდებულია თავის თავში ეძიოს მოსე, გაბედულად აუყვეს მთის მწვერვალისაკენ სავალ ბილიკს უფალთან შესახვედრად და „ბრმა თვალების“ მიუხედავად, შეძლოს ნათლის აღქმა და და გათავისება. ესაა სწორედ ადამიანის რაობა და მისი ღმერთთან თანამყოფობის მისტერიის არსი.

ერნესტ კასირერი იმოწმებს პასკალს და აღნიშნავს, რომ ადამიანის რაობის განსაზღვრისას „საკუთარ თავს ვერ შევიცნობთ ამ მიუწვდომელი მისტერიის გარეშე. ამ უფსკრულშია გამონასკვული ჩვენი არსებობის კვანძი. ასე რომ ადამიანი ისევე გაუგებარია ამ მისტერიის გარეშე, როგორც ეს მისტერიაა მიუწვდომელი ადამიანისათვის.“

ცნობილი ქართული სიმღერის ხალხური ტექსტის სიტყვებისა არ იყოს – „პატარა ბიჭი დამეკარგა, წითელპერანგა, ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?“ – ჯემალ ქარჩხაძე ადამიანის შინაგან სამყაროში ღვთის ძიების მარადიულ მოტივსაც შეგვახსენებს,

მასზე ნოსტალგიის ორიგინალურ ფორმასაც პოულობს და სეკულარული, გაუჩინარებული ღმერთის მოძიებისა და მის წიაღში დაბრუნების მტკივნეული და ნეტარი განცდით ავსებს მკითხველის სულს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბროდსკი იოსიფ, ლექციები, „თუ უკან მოვიხედავ“, ნობელის პრემიის ლაურეატები, ინტელექტი, 2011, გვ. 43
2. კასირერი ერნესტ, „რა არის ადამიანი?“, თბილისი, 1983, გამომცემლობა განათლება
3. ქარჩხაძე ჯემალ „უცნობი ქარჩხაძე“, 2020. ქარჩხაძის გამომცემლობა, გვ. 8-10
4. ქარჩხაძე ჯემალ, პუბლიცისტიკა, 2005, ქარჩხაძის გამომცემლობა
5. ჰაიზენბერგი ვერნერ, „მშვენიერება ჭეშმარიტების ბრწყინვაა“, 2011, გამომცემლობა ინტელექტი

---

**ЕРАНОВСКА ЭЛЬЖБЕТА**

ВШЕХНИЦА ПОЛЬСКАЯ ШКОЛА ВЫСШАЯ В ВАРШАВЕ

Республика Польша

elzbieta.jeranowska@op.pl

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.16>

## ОСОБЕННОСТИ МЕЖЪЯЗЫКОВОЙ ИНТЕРФЕРЕНЦИИ БЛИЗКОРОДСТВЕННЫХ ЯЗЫКОВ НА ПРИМЕРЕ ИЗУЧЕНИЯ ПОЛЬСКОГО ЯЗЫКА НОСИТЕЛЯМИ РУССКОГО ЯЗЫКА

*Ключевые слова:* польский язык, русский язык, межъязыковая интерференция, ошибки.

Межъязыковая интерференция или лингвистическая интерференция, известная также под названием перенос [9], это взаимодействие языковых систем – системы родного и системы иностранного языка. Изучаемый иностранный язык накладывается всеми закономерностями своей структуры на родной язык учащихся. Иностранному языку требуется перестройка у каждого отдельного студента, школьника и т.п. привычных ему стереотипов, сложившихся на базе структуры родного языка. В течение всего времени, пока будет происходить эта перестройка, студент будет вносить в свою речь на иностранном языке типичные для родного языка закономерности на всех уровнях структуры языка. Естественно, что все носители данного родного языка будут допускать одни и те же ошибки, которые в силу их природы могут быть названы типовыми или, что более точно их характеризует, типологическими. Это, прежде всего, проявляется на тех компонентах структуры иностранного языка, которые либо совершенно отсутствуют в родном языке учащегося, либо, хотя и представлены там, имеют лишь некоторое сходство с аналогичными фактами родного языка. Таким образом возникает особое явление, известное под названием интерференции языков [1. С.249-250]. Само это понятие уже использовалось в 20-е годы XX века, однако широкое признание понятие и термин интерференция получили лишь после выхода в свет в 1953 г. монографии У.Вайнрайха «Языковые контакты». Типология интерференции представляет собой определенную лингвистическую проблему, так как лингвисты рассматривают это явление с разных точек зрения, оперируя различным терминологическим аппаратом, и единого мнения на этот счет до сих пор нет. [5. С.141] У.Вайнрайх выделяет фонетическую, грамматическую и лексическую интерференции, а в работах других ученых можно встретить интерференцию, рассматриваемую с точки зрения синтаксиса, морфологии, семантики, стилистики и ряда других. Это понимание интерференции У.Вайнрайх далее расширяет в своей книге. Он пишет, что языковой контакт невозможно понять и описать, пользуясь только лингвистическим анализом, поскольку он требует описания широкого психологического и социокультурного контекста. Поэтому необходимо, прежде всего, точно определить условия, в которых происходит взаимодействие языков, и те механизмы, с помощью которых оно осуществляется. Такую задачу нельзя решить, пользуясь только данными обычного лингвистического описания, здесь необходимо учитывать экстралингвистический контекст [2. С.26].

Следует учитывать особенности двуязычных групп, являющиеся релевантными при изучении интерференции, такие как например: размер двуязычной группы; стереотипное отношение говорящих к каждому из двух языков – его престиж; отношение к культуре каждого из двух языковых сообществ; отношение к двуязычию как таковому; отношение между двуязычной группой; терпимость или нетерпимость к явлениям смешения языков и к неправильностям речи на каждом из них; а также, например, пол говорящего, положение в обществе, и т.д. [10]; или индивидуальные особенности [7. С.107-113]; или даже участие левого или правого полушарий мозга в процессе речи [4. С.60-85]. Межъязыковая интерференция может работать и в обратном направлении, оказывая негативное влияние на родной язык.

Причины возникновения наиболее типичных языковых ошибок, возникающих вследствие межъязыковой интерференции, будем рассматривать в узком лингвистическом аспекте, а именно, как отступление от языковой нормы, которую устанавливает норма литературного языка и узус, обусловленное взаимодействием структур и структурных элементов в процессе обучения польскому языку как иностранному. Норма — это совокупность стабильных и унифицированных языковых средств и правил их употребления, сознательно фиксируемых и культивируемых обществом, является специфическим признаком литературного языка [8. С.337].

В узус входят те языковые элементы, которые довольно часто выступают в текстах определенного типа и определенной группы общества. Ими являются в равной степени как те слова, их формы и соединения, которые получили всеобщее одобрение и входят в языковую норму, так и те, которые такого одобрения еще не получили и могут шокировать некоторых членов данного общества, но тем не менее имеют общепринятое и регулярное употребление. В состав узуса, однако, не входят языковые индивидуализмы, появляющиеся редко и не регулярно, даже если они соответствуют языковым правилам. Известно, что литературные нормы не всегда совпадают с языковым узусом. Изменение норм происходит в русле общего направления языковой эволюции [3].

Примеры типичных ошибок, возникающих на почве наложения языковых правил родного русского языка в процессе изучения польского на начальном уровне обучения.

#### 1. В области лексики

**Межъязыковые омонимы.** В самом широком смысле межъязыковой омонимией можно назвать то, что формально идентично, но семантически различно в близкородственных языках в структуре языковых уровней одного порядка. Естественно, что процент таких схождений между родственными языками гораздо выше, чем между языками, не имеющими общих отношений [6. С.14]. Иногда для этого явления используют название «ложные друзья переводчика» (*faux amis*), хотя «... *многие лексикологи, в силу метафоричности понятия „ложные друзья переводчика“, не считают его лингвистическим термином в строгом смысле слова ...*» [12. С.11]. Единого, общепринятого определения до сих пор нет, но все-таки фразу «ложные друзья переводчика» принято считать, как явление значительно большее, чем межъязыковые омонимы. Исторически это понятие появилось в результате взаимовлияния разных языков. Они также часто возникают между языками, имеющими общие корни, но тоже могут встречаться и между языками разных языковых семей, например, в ситуации независимого развития языка, то есть, когда слово в языке само выбирает свое существование [13].

Исследования переходных явлений, характеризующихся сочетанием дифференциальных признаков разных категорий в одном аспекте языка и речи, позволяют ответить на вопросы, связанные с формальным разбором сходной лексики близкородственных языков. Межъязыковыми омонимами считаются наборы слов часто совпадающих в обоих языках по графической и звуковой форме, но имеют разные значения. К примерам можно зачислить такие пары как:

русское: *урод* (brzydal)  
русское: *гадать* (wróżyć)  
русское: *люстра* (zyrandol)

польское: *uroda* (красота)  
польское: *gadać* (говорить)  
польское: *lustro* (зеркало)

Таких примеров существует великое множество. Этим свидетельством может быть уже далеко не новый Słownik wyrazów o podobnym brzmieniu a odmiennym znaczeniu w języku rosyjskim i polskim [11], а также Rosyjsko-polski słownik homonimów międzyjęzykowych [12].

**Архаизмы.** Польский язык сохраняет старые славянские формы, поэтому многие редкие в современном русском обиходе поэтические архаизмы являются в польском языке общеупотребительными словами, например: Польские слова современного употребления: *usta, oczy*. Русские архаизмы: *уста, очи*.

Однако ошибки, принадлежащие к этой группе, не всегда являются следствием интерференции.

**Обращения и вежливые фразы.** В польском языке в единственном числе всегда применяются обращения в 3-м лице: Pan (господин), Pani (госпожа), например: *Szanowna Pani Nowak* (Уважаемая госпожа Новак).

Во множественном числе, однако, используется форма Państwo «господа», которая в русском языке наряду с эквивалентом господина имеет также соответствие семья, семейство или нулевой эквивалент. Кроме того в русском языке, в отличие от польского, в уважительной форме используется множественное лицо по отношению к одному человеку, например:

*Светлана, дайте мне, пожалуйста, книгу*, на польском языке: *Pani Swietlano, proszę dać mi książkę*.

## 2. В области фонетики и фонологии

Здесь главное место занимают различия в природе ударения. Как известно, в польском языке (за некоторыми исключениями) оно фиксировано на предпоследнем слоге, в русском оно не имеет фиксированной позиции. Это расхождение является источником частых ошибок, например: польское: *ma – tu -sia*, русское: *ма –моч-ка*).

Что касается системы звуков и фонем, то здесь обращает на себя внимание отсутствие в русском языке носовых гласных (при артикуляции которых воздух идёт не только через ротовую полость, но и через носовую), в результате чего у лиц, для которых польский не является родным, наблюдается замена  $\epsilon=[\tilde{e}]$  и  $\alpha=[\tilde{o}]$  звукосочетаниями [en] и [on], например *jenzyk* вместо *język*, или полная потеря «носовости», напр. в окончании слова: *spaceruje* вместо *spaceruje*.

Кроме того, отмечаются ошибочная замена польского (l) твердым русским (л).

## 3. В области грамматического строя

Здесь наиболее важными с точки зрения интерференции являются следующие расхождения:

- Слова, совпадающие по значению и частично по форме, имеют разную родовую принадлежность. К примерам можно зачислить такие пары как:

польское:	польское:
<i>Analiza</i> (женский род)	<i>Анализ</i> (мужской род)
<i>Zamsz</i> (мужской род)	<i>Замша</i> (женский род)

- Родовое окончание во множественном числе прилагательных и глаголов различается по двум родам. В русском же языке во множественном числе есть только одно общее окончание для всех трех родов, Примеры для сравнения:

польское:	<i>Dziewczęta śpiewa-ły piosenkę.</i>
	<i>Dzieci pojecha-ły na wycieczkę.</i>
русское:	<i>Девушки поеха-ли на экскурсию.</i>
	<i>Ребята пе-ли песню.</i>



польское: *Wese-li chłopcy*  
*Weso-le dziewczynki*  
русское: *Веселые мальчики.*  
*Веселые девушки*

В польском языке личные местоимения при глаголах, как правило, опускаются. На категорию лица указывает окончание. Под влиянием русского языка, в котором в определенных условиях личные местоимения сохраняются, возникают ошибочные конструкции типа: *Wszystko co on robił* (вместо *co robił*).

В прошедшем времени все польские глаголы изменяются не только по родам и числам, как в русском языке, но и по лицам, Примеры для сравнения:

польское: *Uczniowie czyta-li książkę* – 3 лицо множественного числа  
*Czyta-liśmy książkę* - 1 лицо множественного числа  
*Czyta-liście książkę* - 2 лицо множественного числа  
русское: *Ученики чита-ли книгу*– 3 лицо множественного числа  
*Мы чита-ли книгу* - 1 лицо множественного числа  
*Вы чита-ли книгу* - 2 лицо множественного числа

Особенно заметны различия в употреблении предлогов. Русскому предлогу *через* в сочетании с существительными, обозначающими какой-либо отрезок времени (через минуту, через год ...), соответствуют польские предлоги *za-* и *po-*. Предлог *za-* употребляется, если речь идет о действии в будущем, *po-* если действие уже совершилось, например:

*Ona przyjdzie za godzinę*      *Она придет через час*  
*Ona przyszła po godzinie*      *Она пришла через час*

Проведенный выборочный анализ позволяет прийти к выводам, что явления межъязыковой интерференции наблюдаются на разных уровнях языка, а также во всех языковых аспектах. Ложное подобие среди родственных языков является источником большинства интерференционных ошибок. Хотя общие корни и общий язык-предок внес в каждый возникший на его почве язык большое количество совпадений в лексике, однако, на протяжении самостоятельного многовекового языкового развития обычно происходят достаточно существенные изменения, которые различают их на всех уровнях языковой системы.

Можно ли избежать возникновения межъязыковой интерференции во время обучения польскому языку как иностранному? Несомненно, избежать явления межъязыковой интерференции невозможно. Эффективным методом ее ограничения является подчеркивание языковых контрастов, т.е. системных расхождений между восточнославянскими (русский язык) и западнославянскими (польский язык) языками. Сравнительный анализ должен касаться всех уровней изучения языка.

### Литература:

1. Аракин В.Д. (1979): Сравнительная типология английского и русского языков. Издательство Просвещение. Ленинград.
2. Вайнрайх У. (1979): Языковые контакты. Пер. с англ. Издательство при Киев. Университете. Киев.
3. Горбачевич К.С. (1978): Вариантность слова и языковая норма. Наука, Ленинградское отделение. Ленинград
4. Завьялова М.В. (2001): Исследование речевых механизмов при билингвизме (на материале ассоциативного эксперимента с литовско-русскими билингвами) // Вопросы языкознания, № 5. С.60-85.
5. Ерцегович Я. (2021): История проблематики языковой интерференции // Материалы Международной научно-практической конференции «Славянская культура: истоки, традиции, взаимодействие. XXII Кирилло-Мефодиевские чтения». Государственный институт русского языка им. А.С. Пушкина. Москва. С.140-143.

6. Кусаль К. (2006): Автореферат диссертации Русско-польская межъязыковая омонимия и паронимия, Издательство СПб. Санкт-Петербург.
7. Шаяхметова А. (2002): Русский язык и детский билингвизм // *Studia rossica Posnaniensia*. Т. XXX. Poznań. С.107-113.
8. Ярцева В.Н. главный ред (2000): Большой энциклопедический словарь. Языкознание. Издательство Большая Российская энциклопедия. Москва.
9. Hofmański W. (2015): Transfer ujemny a kompetencja językowa. *Język polski w nauczaniu Słowian*. Karolinum. Praha.
10. Janicki K. (1982): *The foreigner`s language in a sociolinguistic perspective*. Wydawnictwo UAM. Poznań.
11. Koziński I. (1954): *Słownik wyrazów o podobnym brzmieniu a odmiennym znaczeniu w języku rosyjskim i polskim*. PZWS. Warszawa.
12. Kusal K. (2002): *Rosyjsko-polski słownik homonimów międzyjęzykowych*. Wydawnictwo Uniwersytetu Wrocławskiego. Wrocław.
13. [Электронный ресурс] URL: <https://translator-school.com/blog/lozhnye-druzya-perevodchika> [дата обращения: 03.02.2024].

**Jeranowska Elżbieta**

Poland

elzbieta.jeranowska@op.pl

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.16>

## **Features of Interlanguage Interference of Closely Related Languages by the example of Studying Polish Language by Russian Speakers**

### Abstract

This article discusses typical language errors which occurred as a result of interlingual interference in the process of Polish learning by native Russian speakers. The main source for the article is the author's experience in teaching Polish as a foreign language as part of a project funded by the International Organization for Migration (IOM). The purpose of the study was to find the regularities in the phenomena of interlingual interference of closely related languages.

**Key words:** the Polish language, the Russian language, linguistic interference, errors.

**Ekaterine Vatsadze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[tamunaalpaidze@gmail.com](mailto:tamunaalpaidze@gmail.com)[tamar.alphaidze@atsu.edu.ge](mailto:tamar.alphaidze@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.17>

## Tiger versus Panda Parenting in raising self-esteem

*Non Scholae sed vitae discimus*

During the history of mankind the focus of existence varied according to epoch and mindset spread. However, the main tool for surviving, obtaining and maintaining happiness has been a clear mind and body.

Education is all-encompassing means which stands on two main pillars- educational institutions and parents.

The consensus among many is that the upbringing of children holds immense importance for their growth. Essentially, education revolves around the combination of school and home environments. While there may be divergent views on the approaches utilized, there's a shared recognition that the educational techniques employed in schools significantly shape the prospects of children.

To grasp the essence of childhood in contemporary times, it's essential to comprehend the dynamics of parenting in the 21st century. Parents and caregivers play a pivotal role in shaping the lives and daily encounters of children, thereby exerting a significant influence on their cognitive, academic, and socio-emotional growth, especially on their self-esteem (Bornstein, 2019). They also have a major impact on children's health and well-being.

Parenting, both historically and presently, remains a complex and arduous endeavor. The evolution of family dynamics over time has introduced novel hurdles for parents, prompting contemplation on whether approaches to child-rearing should also evolve. Burns and Gottschalk (2019) highlight this in their research. Presently, there exists an array of support services and parenting resources, accessible through offline avenues as well as digital platforms such as blogs, campaigns, parenting programs, and other services.

Over the past fifty years, the world has undergone profound transformations, reshaping the expectations and experiences surrounding parental roles. During this period, there has been a decline in fertility and marriage rates, coupled with an increase in divorce rates and the prevalence of single-parent households (OECD, 2011). Furthermore, the legalization of same-sex marriage has gained momentum across OECD countries (OECD, 2016), leading to a diversification of family structures and living arrangements, including unmarried or divorced families, single parents, and same-sex parents.

With diminishing family stability, many children now encounter varying living situations throughout their formative years, often transitioning between households due to shared custody agreements. Additionally, contemporary parents tend to be older, better educated, and have fewer children (Bongaarts, Mensch, & Blanc, 2017). The landscape of parenting has further evolved with

an increasing number of mothers balancing work and child-rearing responsibilities (Miho & Thévenon, 2020).

In this paper I will look at different categories and dimensions of parenting and discuss which parent category tiger or panda provides child's self-esteem and well-being better.

"The Battle Hymn of the Tiger Mother" (Chua, 2011) is a book authored by Amy Chua, a Chinese woman, which ignited nationwide discussions about the merits and drawbacks of child-rearing practices. Rather than a parenting guide, the book serves as a memoir, yet it prompted widespread reactions, prompting reflection on whether adopting a "Tiger Mom" approach is the optimal method for raising children.

Chua vividly portrays her children's structured after-school routines, including rigorous piano and violin practice, and an insistence on achieving only the highest grades, namely an A. Employing stern language, candidness, strict regulations, and lofty expectations, Chua navigates the cultural clash while bringing up her two daughters in America. As a firm adherent of traditional Chinese parenting values, she endeavors to instill in her daughters the same discipline and work ethic she was raised with, contrasting with the more lenient approach prevalent in American culture. Chua criticizes what she perceives as the tendency in American parenting styles to produce "soft" and "entitled" children (Schulte, 2012).

While Chua's eldest child thrives under these demanding conditions, her younger daughter rebels, prompting some to question whether this authoritarian approach truly constitutes the best way to nurture a child.

Adding to this ongoing debate is the emergence of the Panda Dad. Alan Paul, a journalist and father, takes center stage as the advocate for an alternative approach to parenting. Unlike the Tiger Mom, Paul is a Westerner raising his three children in China. He vocally opposes the Tiger Mom philosophy and gained prominence through his article "Tiger Mom meet Panda Dad" published in the online Wall Street Journal (Paul, 2011). Paul advocates for unstructured play, emphasizing the importance of love, affection, and fostering independence in children.

These contrasting examples of somewhat extreme parenting styles merely scratch the surface of the myriad approaches to raising children.

Both ways of childrearing could lead to upbringing a successful child. But the concept of success is not simple. The main part of success and happiness is self-esteem as the perception of the surrounding world is individual and correct self-esteem helps us in this process.

The concept of parenting styles was first delineated by Diana Baumrind in the 1970s. Parenting style pertains to the behaviors and approaches employed by parents to regulate and socialize their children (Lightfoot, Cole & Cole, 2009). In her seminal study conducted in 1971, Baumrind utilized interviews and observations with parents and children to identify three distinct parenting styles based on levels of demandingness (control, supervision, maturity demands) and responsiveness (warmth, acceptance, involvement).

These parenting styles were categorized as authoritarian, authoritative, and permissive. Authoritarian parenting is characterized by a rigid, black-and-white approach where adherence to rules is non-negotiable, often enforced with consequences. Parents exhibiting this style tend to be strict and demanding, lacking in warmth and responsiveness towards their children. The Tiger Mom serves as a prime example of a parent embodying this authoritarian parenting style.

Indeed, the authoritative parenting style also emphasizes the establishment of rules and expectations, but it differs from authoritarian parenting in its approach to enforcement. While authoritative parents expect adherence to rules, they are more open to discussing the rationale behind those rules and consider their children's perspectives. Unlike authoritarian parents who may simply enforce punishment, authoritative parents engage in supportive dialogue with their children when addressing issues. This style of parenting fosters a more communicative and collaborative

relationship between parents and children, where discussions and explanations are valued alongside discipline.

Permissive parenting is characterized by a high level of responsiveness from parents and low demands placed on children. In contrast to authoritarian and authoritative styles, permissive parents are more lenient and indulgent, often avoiding regular discipline. They prioritize open communication and nurturing relationships with their children.

The Panda Dad exemplifies this permissive parenting style through his emphasis on unstructured play, affection, and fostering independence in children. By adopting a more relaxed approach to discipline and rules, permissive parents aim to encourage autonomy and self-expression in their children.

In 1983, researchers Maccoby and Martin conducted a reassessment of the three parenting styles identified by Baumrind, incorporating demandingness and responsiveness as key measures. Their findings suggested the presence of additional parenting styles beyond those initially described. Specifically, Maccoby and Martin divided the permissive style into two distinct approaches based on observed levels of demandingness and responsiveness. As a result, they introduced the permissive and neglectful labels to categorize these variations in parenting.

Subsequently, the widely acknowledged framework expanded to encompass four distinct parenting styles: authoritative (high on demandingness and responsiveness), authoritarian (high on demandingness but low on responsiveness), permissive (low on demandingness but high on responsiveness), and neglectful (low on both demandingness and responsiveness) (Maccoby & Martin, 1983). This classification provides a comprehensive understanding of the various approaches to parenting and their impact on child development.

Research conducted later by Steinberg et al. (1994) provided further support for the four-dimensional typology of parenting styles established by Maccoby and Martin. Additionally, their study delved into the potential effects of these parenting styles on children's development.

Steinberg and colleagues discovered that children raised by authoritative parents tended to exhibit greater competence across social, emotional, and academic domains compared to children from families with other parenting styles. Conversely, children with authoritarian parents demonstrated lower levels of well-being, while those with indulgent parents showed high levels of well-being but lower academic achievement. Moreover, the research revealed that children with neglectful parents displayed the lowest levels of competence across all areas assessed.

These findings highlight a significant correlation between parenting styles and the personal qualities exhibited by children, emphasizing the critical role that parenting approaches play in shaping children's development and well-being.

Many researchers have looked for connections between parenting styles and personal traits. For example, previous studies have explored the link between self-esteem and parenting styles. Most studies show there is indeed a connection between the two. There appears to be a correlation between certain parenting styles and higher or lower levels of global self-esteem in children (Hosogi et al., 2012). This leads us to the question of what self-esteem means in this context.

Self-esteem is indeed an extensively researched topic, encompassing various facets of self-perception. At its core, self-esteem refers to an individual's overall evaluation of their own worth and value (Lightfoot, Cole & Cole, 2009). This broad definition encapsulates what can be termed as global self-esteem, taking into account both internal and external factors that contribute to one's sense of self-worth.

Internal factors influencing self-esteem include emotions, genetic predispositions, and personality traits, all of which shape an individual's perception of themselves. External factors, on the other hand, encompass specific life events, family dynamics, career achievements, and other external circumstances that can impact one's self-esteem. Together, these internal and external factors interact to form an individual's overall assessment of their own value and worthiness.

Indeed, the concept of self-esteem encompasses several distinct types, each with its own characteristics and influences. Trait self-esteem refers to the enduring level of regard an individual has for themselves over time (Gilovich, Keltner & Nisbett, 2006). This aspect of self-esteem tends to remain relatively stable throughout one's lifetime, akin to a personality trait (Block & Robins, 1993).

In contrast, state self-esteem is more fluid and susceptible to fluctuations based on immediate feelings and situational factors (Heatherton & Polivy, 1991). This type of self-esteem reflects how an individual feels about themselves at a particular moment in time and can vary in response to changing circumstances.

Additionally, there are more specific types of self-esteem, such as academic self-esteem, which pertains to an individual's sense of self-worth based on their academic performance (Valizadeh, 2012). In this case, one's feelings of self-esteem may be contingent upon their achievements or failures in the academic domain. These various types of self-esteem provide a nuanced understanding of how individuals perceive and evaluate themselves in different contexts and situations.

Self-esteem can be cultivated through various means, as Branden (1969) suggests, primarily through individuals' beliefs and their awareness of their thoughts, emotions, and actions. Its significance lies in its contribution to healthy human development. Abraham Maslow identified self-esteem as a fundamental human motivation, placing it high in his hierarchy of needs. According to Maslow's framework, after fulfilling physiological, safety, social, and esteem needs, individuals can strive for self-actualization to realize their full potential (Maslow, 1987). This hierarchy underscores the importance of self-esteem, which can serve as a gauge for parenting effectiveness and overall success. It's evident that self-esteem can be viewed from various perspectives and within diverse contexts.

A study done by Hosogi et al. in 2012 focusing on children showed that the environment where children are raised contributes deeply to the development of their self-esteem. This means that everything from school and family dynamics to socioeconomic status and parenting styles affect children greatly. Additionally another past study suggests more precisely that nurturing and supportive parenting styles could improve children's self-esteem (Yang & Liang, 2008)

Martínez and García in 2007 found that children of indulgent (panda)parents had the highest levels of self-esteem while children of authoritarian (tiger)parents had the lowest. Another study done later by Martínez and García (2008) found that adolescents with indulgent panda parents had equal or higher levels of self-esteem than adolescents with authoritative (tiger) parents. The research additionally showed that adolescents with authoritarian(tiger) and neglectful parents had the lowest levels of self-esteem. Alternatively, Garcia and Gracia (2009) found that both the children of indulgent parenting style as well as the authoritative parenting styles had the highest levels of self-esteem. It was also concluded in 2007 that the authoritative and indulgent parents' children scored highest on levels of self-esteem. Based on these results it is somewhat unclear which of the parenting styles can be labeled most successful on the basis of the child's self-esteem, therefore more research is needed.

While considering the effects of these traits on self-esteem it is important to look at the potential changes in self-esteem over time. Self-esteem changes due to different factors such as age, career, retirement, health issues. One's self-esteem over time has been studied a multitude of times with varying outcomes. The most popular finding is that self-esteem increases throughout adolescence to middle adulthood where it begins to decrease as one enters old age (Orth, Robins & Widaman, 2012). It is important to consider potential confounding variables within these results, such as success in one's career or family life or decrease in health. It is possible that the results partly reflect accomplishment of age specific challenges such as completing levels of school, marriage, children, physical complications, retirement, or sickness.

Another study arrived at the same conclusion of an increase in self-esteem throughout adolescence, and additionally notes that gender did not make a difference in the expected trajectories (Erol & Orth, 2011). When looking simply at the adolescent stage, results mostly show a general increase in self-esteem throughout adolescence (Orth, Robins & Widaman, 2012). Similarly, it is essential to look at possible confounding variables affecting this increase in self-esteem during adolescence. One variable that was found to have an important effect is education level. It was found that as education level increases so does level of self-esteem (Hallsten, Rudman, & Gustavsson, 2012).

When considering the factors influencing fluctuations in self-esteem and its developmental trajectory, it's pertinent to acknowledge the potential evolution of parenting styles over time. This recognition is crucial because different parenting approaches may exert varying impacts on a child's self-esteem throughout their growth and maturation process.

It is widely accepted that an individual's needs evolve as they progress through development, and it follows logically that parenting styles would likewise adapt. Surprisingly, this possibility was not fully considered when establishing the four primary parenting styles. Why wouldn't a parent shift from one style to another as their child matures? A study conducted by Wentzel (1994) delves into the significance of parenting styles across time. Wentzel's findings indicate that the importance of parenting style initially intensifies during the period from infancy to preschool. As the child progresses to elementary school, the significance of parenting style can vary depending on the parent's focal point. It might heighten if the emphasis is on discipline or education, diminish if attention is directed towards responsiveness or sensitivity, or remain consistent with the preschool stage if the primary focus is on overall welfare or protection. Eventually, as the child enters late adolescence and early adulthood, the significance of parenting styles and techniques diminishes (Wentzel, 1994). These findings suggest that parenting styles should adapt to meet the evolving needs of the child at different stages of development.

According to categories mentioned above, I happened to use authoritative, and panda parenting. I also think that I was on the edge of tiger parenting upbringing my first child. Due to experience gained and oversensitivity and sense of empathy of my second child, I used panda parenting style. I firmly state that it has raised her self-esteem and confidence. Thus, improved her well-being and success at school.

In conclusion, considering the modern life requirements, rat-race, socio-emotional conditions of human beings and main goal of our existence- self-esteem and well-being, from above mentioned categories of parenting (authoritative, authoritarian- or tiger parenting, permissive- panda parenting, neglecting) panda parenting contributes much more.

#### Reference

1. Baumrind, D. (1971). Current patterns of parental authority. *Developmental Psychology Monograph*, 4 (1,Pt.2).
2. Block, J., & Robins, R. W. (1993). A longitudinal study of consistency and change in self-esteem from early adolescence to early adulthood. *Child Development*, 64(3), 909-923. doi:10.2307/1131226
3. Bongaarts, J., B. Mensch and A. Blanc (2017), "Trends in the age at reproductive transitions in the developing world: The role of education", *Population Studies*, Vol. 71/2, pp. 139-154, <http://dx.doi.org/10.1080/00324728.2017.1291986>
4. Bornstein, M. (ed.) (2019), *Handbook of Parenting: Volume I: Children and Parenting*, Routledge, New York, <http://dx.doi.org/doi.org/10.4324/9780429440847>.
5. Branden, N. (1969). *The psychology of self-esteem*. New York: Bantam.
6. Burns, T. and F. Gottschalk (2019), *Educating 21st Century Children: Emotional Well-being in the Digital Age*, OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/20769679>.

7. Chua, A. (2011). Battle hymn of the tiger mother. Retrieved from <http://amychua.com/>
8. Erol, R., & Orth, U. (2011). Self-esteem development from age 14 to 30 years: A longitudinal study. *Journal Of Personality And Social Psychology*, 101(3), 607-619. doi:10.1037/a0024299
9. Gilovich, T., Keltner, D., Nisbett, R. (2006). *Social psychology*. New York: W.W. Norton & Company
10. Hallsten, L., Rudman, A., & Gustavsson, P. (2012). Does contingent self-esteem increase during higher education?. *Self And Identity*, 11(2), 223-236. doi:10.1080/15298868.2010.544872
11. Heatherton, T. F., & Polivy, J. (1991). Development and validation of a scale for measuring state self-esteem. *Journal Of Personality And Social Psychology*, 60(6), 895-910. doi:10.1037/0022-3514.60.6.895
12. Hosogi, M., Okada, A., Fuji, C., Noguchi, K., & Watanabe, K. (2012). Importance and usefulness of evaluating self-esteem in children. *Biopsychosocial Medicine*, 6doi:10.1186/1751-0759-6-9
13. Lightfoot, C., Cole, M., Cole, S. (2009). *The development of children*. New York: Worth Publishers.
14. Maccoby, E.E., & Martin, J.A. (1983). Socialization in the context of the family: Parentchild interaction. In P.H. Mussen (Ed.), *Handbook of child psychology*. Vol. 4: Socialization, personality, and social development (pp. 1-101). New York: Wiley
15. Maslow A. H. (1987). *Motivation and Personality* (3rd ed.). New York: Harper & Row.
16. Martínez, I., & García, J. (2007). Impact of parenting styles on adolescents' selfesteem and internalization of values in Spain. *The Spanish Journal Of Psychology*, 10(2), 338-348.
17. Martínez, I., & García, J. (2008). Internalization of values and self-esteem among Brazilian teenagers from authoritative, indulgent, authoritarian, and neglectful homes. *Family Therapy*, 35(1), 43-59.
18. Miho, A. and O. Thévenon (2020), "Treating all children equally?: Why policies should adapt to evolving family living arrangements", *OECD Social, Employment and Migration Working Papers*, Vol. 240, pp. 1-43, <https://dx.doi.org/10.1787/83307d97-en>.
19. Orth, U., Robins, R. W., & Widaman, K. F. (2012). Life-span development of selfesteem and its effects on important life outcomes. *Journal Of Personality And Social Psychology*, 102(6), 1271-1288. doi:10.1037/a0025558
20. Paul, A. (2011). Tiger mom...meet panda dad. Retrieved from <http://blogs.wsj.com/ideas-market/2011/03/29/tiger-mom-meet-panda-dad/>
21. Schulte, B. (2012). What's so bad about American parents anyway?. Retrieved from [http://www.washingtonpost.com/opinions/whats-so-bad-about-american-parents-anyway/2012/02/27/gIQAa1vFnR\\_story.html](http://www.washingtonpost.com/opinions/whats-so-bad-about-american-parents-anyway/2012/02/27/gIQAa1vFnR_story.html)
22. Steinberg, L., Lamborn, S.D., Darling, N., Mounts, N.S., & Dornbusch, S.M. (1994). Over-Time Changes in Adjustment and Competence among Adolescence from Authoritative, Authoritarian, Indulgent, and Neglectful Families. *Child Development*, 65(3), 754-770.
23. Valizadeh, S. (2012). Parenting styles and academic achievement: Mediating role of selfconcept or self-esteem?. *Journal Of Iranian Psychologists*, 8(30), 143-161.
24. Wentzel, K. R. (1994). Family functioning and academic achievement in middle school: A social-emotional perspective. *Journal of Early Adolescence*, 14, 268-291.
25. Yang, F., & Liang, N. (2008). A study on the influence of early experiences on adolescents' implicit self-esteem. *Psychological Science (China)*, 31(3), 556-561.



Врона-Малска Иоанна, Болеста-Врона Божена

Академия прикладных наук в Варшаве

Варшава, Польша

b.bolesta.wrona@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.18>

## МЕТОДИКА ПРЕПОДАВАНИЯ ПОЛЬСКОГО ЯЗЫКА КАК ИНОСТРАННОГО

Общее определение понятия методика *преподавания иностранного языка*<sup>1</sup> состоит в том, что это раздел детальной дидактики, занимающийся поиском эффективных способов преподавания конкретного предмета путем анализа целей, содержания, методов и организационных форм обучения. Это практическая дисциплина, посвященная методам преподавания избранного содержания. Методика преподавания иностранных языков базируется, в том числе, на опыте преподавания, заключающемся в выявлении методов и средств, позволяющих учащимся освоить данное содержание.

На сегодняшний день не существует четкого определения понятия *методики преподавания иностранных языков*, особенно если речь идет об изучении языков, происходящих из далеких культур. Сама концепция зачастую определяется и понимается по-разному в разных странах. Иногда это связано с внутренними условиями: системой образования, общим или историческим подходом жителей к обучению иностранным языкам, иногда также с экономическими и социальными потребностями отдельных социальных групп.

На сегодняшний день понятие *методика преподавания иностранного языка* часто исследуется с использованием современных методов и анализируется с помощью другого подхода, затем и теряется четкое определение этого термина. Некоторые лингвисты принимают, что: «Методика обучения иностранным языкам представляет собой систему знаний о закономерностях процесса обучения неродному языку и о путях воздействия на этот процесс с целью его оптимизации. Методика обучения иностранному языку открывает и обосновывает закономерности обучения иностранному языку. Исторически сложились две функционально различные методики: общая и частная методики. Общая методика, как правило, посвящена изучению закономерностей и особенностей процесса обучения иностранному языку независимо от того, о каком иностранном языке идет речь. (...) Таким образом, частная методика исследует обучение тем языковым и речевым явлениям, которые являются специфичными для конкретного изучаемого иностранного языка»<sup>2</sup>.

В Польше не только в последние годы, но и особенно в XX веке изучается методика изучения иностранных языков. Возможно, этот процесс был вызван географическим положением нашей страны, но нам следует помнить и о социальных условиях и различных типах исторических процессов, происходивших в Европе на протяжении веков.

Одним из первых исследователей был педагог и дидактик Винцентий. Оконь<sup>3</sup>, учитывая то, что конкретные методы соответствуют конкретной практической деятельности, он разделил их на четыре группы.

<sup>1</sup> Определение основано на тексте: <https://pl.wikipedia.org/wiki/Metodyka> [18.02.2024]

<sup>2</sup> Методика обучения иностранным языкам. Учебное пособие для студентов Института математики и механики им. Н.И. Лобачевского по направлению «педагогическое образование (с двумя профилями подготовки)», ред. Д.Ф.Хакимзянова, Казань 2016, с. 7.

<sup>3</sup> Оконь, Винцентий, Основы проблемного обучения, Издательство Просвещение, Москва 1968 г.

Первыми из них являются методы усвоения знаний, которые предполагают передачу знаний таким образом, чтобы вызвать интерес обучающихся и привести к их вовлечению. В эту группу автор включил беседу, обсуждение и работу с книгой. Другой отдельный сборник назывался «Метод самостоятельного поиска знаний» и включал в себя: «Классический проблемный метод: кейс-метод, ситуационный метод, мозговой штурм, микрообучение, дидактические игры». Эти методы предполагают соответствующее представление способов самостоятельного решения когнитивных задач. Идея состоит в том, что учащиеся могут сами решать проблемы, используя ранее полученные знания. Третья группа включает методы валоризации, известные также как экспозиционные, импрессионистические и экспрессивные методы. Эти методы вызывают эмоциональную вовлеченность студента и стимулируют его развитие как конкретной личности. Последнюю группу в классификации В. Оконя составляют практические/упражняющие методы, предполагающие умение использовать полученные знания для выполнения практических задач.

Над методикой преподавания также работал польский гуманист и педагог Чеслав Куписевич. Имеющуюся совокупность методов обучения он разделил на методы, основанные на наблюдении, т. е. на так называемые визуальные осмотры, включающие демонстрацию и измерение. Эти методы предполагают «демонстрацию учащимся природных объектов или их моделей, а также конкретных явлений, событий или процессов и соответствующее объяснение их особенностей». Они также позволяют нам определить количество/размер изучаемых реалий. Другая группа методов, описанная автором, основана на использовании слов и также называется вербальным методом. В эту группу входит беседа, описание, рассказ, лекция, обсуждение и работа с книгой. По Ч. Куписевича<sup>1</sup> выделена также группа методов обучения, основанных на практической деятельности учащихся, т. е. лабораторный метод, позволяющий проводить эксперименты, и методы практических занятий, «предполагающие применение знаний при решении практических задач».

В польском преподавании также принято делить методы обучения на две группы. Первый относится к теоретическому обучению и включает в себя: лекцию, беседу, обсуждение, описание, рассказ, объяснение. Вторая группа, практических метод обучения, это: развитие умений, демонстрация, упражнение, инструкция, инсценировка.

Выдающиеся европейские педагоги также изучали концепцию методики, которая до сих пор используется в преподавании иностранных языков, например: Первой попыткой разделения методов обучения является систематизация, сделанная в 1960-х годах Л.Дж.Лернер<sup>2</sup> и М.Н.Скаткина<sup>3</sup>. Следует отметить, что эти методы используются в преподавании и сегодня. Учитывая современные реалии образования, педагоги Л.Дж. Лернер и М.Н. Скаткин выделил и описал группу объяснительно-демонстративных методов, называемых также репродуктивным методом, суть которого выражается в том, что знания предоставляются обучающимся в «готовом» виде. Учитель различными способами организует восприятие учащимися этих знаний. Учащиеся получают, понимают и сохраняют предоставленную информацию. В эту группу входят методы, действительно передающие большой объем информации, но не развивающие мышление, направленное на самостоятельное решение задач и совершенствование творческого мышления, такие как: лекции, шоу, публикации/чтения, радио- и телепрограммы. Проблемный метод — еще одна группа, выделенная Л.Дж. Лернер и М.Н. Скаткина, заключающийся в том, что под руководством учителя учащиеся самостоятельно решают проблемы, возникающие при выполнении заданий. В эту группу входили: лекции, работа с книгой, эксперименты, наблюдения и поездки. В следующую группу методов вошли «самостоятельная работа ученика, беседа, конструирование и моделирование». Важной особенностью этой группы является самостоятельное приобретение знаний. Учитель организует поиск новой информации, используя указанные выше методы. Это группа методов, названных авторами классификации, частично поисковых. В этом случае под руководством учителя учащиеся создают намеченные знания, рассуждая самостоятельно, решая возникающие

---

<sup>1</sup> Ч. Куписевич, Основы общей дидактики: учебное пособие, пер. О. В. Долженко, Изд. Высш. Школа, Москва 1986 г.

<sup>2</sup> Педагогика: Учебное пособие, Под ред. В.А.Сластенина, Издательский центр «Академия», Москва 2004.

<sup>3</sup> Орлов, А. А. Научное наследие М.Н. Скаткина и инновационные процессы в современном образовании / А. А. Орлов // Педагогика. — 2016. — № 1. — С. 107-116.

познавательные задачи, создавая и разрешая спорные ситуации. Студенты анализируют контент и делают выводы, создавая прочные знания. Последняя группа методов, Л.Дж. Лернер и М.Н. Скаткин называл исследования «позволяющими студентам постепенно знакомиться с принципами и отдельными этапами научных исследований, т.е. изучать литературу по анализируемой проблеме, составлять план исследования, проверять и развивать полученные результаты». Здесь следует подчеркнуть, что преподаватель вместе с учащимися формулирует задачу, которую необходимо решить в течение определенного времени, а учащиеся самостоятельно получают знания, рассматривая задачу, сравнивая различные варианты. Деятельность учителя сводится к «техническому» управлению процессом решения поставленных задач. Приведенная выше классификация несовершенна, например, преподавателей беспокоит «искусственное отделение группы проблемных методов от исследовательских методов, подобно тому, как классификация лекции на разные группы методов»<sup>1</sup>. Однако это первая классификация методов обучения, которая, безусловно, способствовала дальнейшему развитию и последующим попыткам систематизировать знания о методах работы, позволяющих добиться эффективного образования.

Систематикой методов обучения занимается также немецкий педагог Франк Л. Клигберг. Прежде всего, он классифицирует методы обучения, сочетая их с формами сотрудничества в обучении. Он различает «индивидуальное, групповое, фронтальное и партнерское обучение». Он также пишет о методах монолога, к которым относятся: «лекция, рассказ и показ», и о методах диалога как всех видов разговора.

В последние годы в учебной „жизни Польши” появилось много нового. Исчезли из системы образования гимназии, что повлияло на изменение учебных программ во всей системе начального и среднего образования.

Большое количество детей и молодых из соседних стран прошли квалификацию и адаптировались в польской системе образования. Это привело к использованию новых методов обучения и их проверке с точки зрения качества и количества полученных знаний, особенно когда речь идет об изучении польского языка как иностранного. Также большое количество взрослых, которые приехали в нашу страну и их интерес к изучению польского языка как иностранного привели к развитию языковых школ, которые организуют курсы польского языка на разных уровнях и для разных возрастных групп.

По данным исследований по изучению иностранного языка, в том числе польского как иностранного, появляется все больше информации о том, что скорость изучения и правильное использование иностранного языка зависит от знания культуры и поведения общества, которое на нем говорит. Это означает, что предоставление учащимся информации о развитии, обычаях, современном поведении и обо всем культурном наследии имеет большое значение для эффективности обучения иностранному языку.

Здесь мы хотим сказать о некоторых традиционных подходах к передаче знаний о польской культуре при преподавании польского языка как иностранного.

Древнейший подход, используемый в обучении культуре, называется фактологическим или когнитивным. Понимая специфику процесса обучения иностранному языку с точки зрения когнитивного подхода, возникает определенная закономерность обучения. При когнитивном подходе основная цель изучения польской культуры и польского языка – подготовить человека, который будет не только свободно владеть иностранным, польским языком, но и понимать менталитет поляков, иных способов понимания окружающего мира и готовности к полноценному участию в культурно ином обществе.

В 1970-е годы был разработан коммуникативный подход, целью которого было обучение иностранному языку до такой степени, чтобы учащийся мог говорить на нем, на уровне его носителя. Основная предпосылка этого подхода – равное изучение языка и культурных знаний.

---

<sup>1</sup> Glottodydaktyka - nauczanie języka polskiego jako obcego, materiały audio i video, Wyższa Szkoła Kształcenia Zawodowego we Wrocławiu: <https://studia-online.pl/> [27.02.2023]

Целью обучения является развитие навыков и компетенций, как в области лингвистики, так и в области культуры.

В середине 1980-х годов в Западной Европе начал развиваться межкультурный подход к обучению иностранным языкам, что было вызвано не языковыми фактами (формирование Европейского сообщества), создавались мультикультурные общества, и увеличивалась миграция. Этот подход предполагал, что знание о других культурах вызывает чувствительность к инаковости и позволяет понять поведение других людей.

Межкультурная компетенция позволяет узнать о собственной и чужой культуре, что помогает сравнивать культуры и лучше понимать коннотации, ассоциации и контексты, происходящие в разных языках, и может способствовать изменению стереотипов мышления.

Как показывает наш анализ, когда мы говорим о методике преподавания иностранного языка, мы имеем в виду изучение целенаправленно и систематически применяемых методов управления работой студентов, изучающих польский язык как иностранный. Приведенная выше информация показывает, что существует множество методов преподавания польского языка и польской культуры, но есть и специфическая реальность, которую мы должны учитывать при принятии решения о том или ином способе преподавания польского языка как иностранного. Решая использовать тот или иной метод, мы должны помнить, что наш успех зависит, в том числе, от его правильного выбора. От правильной оценки способностей учащихся, наших знаний и педагогических навыков и, что наиболее важно в настоящее время, полного доступа к аудиовизуальным и электронным средствам, например Интернету, которые облегчают получение знаний. Важным элементом преподавания польского языка и культуры является умение учителя вызвать интерес не только к самому иностранному языку, но и к истории, традициям и предметам материальной и духовной культуры. Поиск эффективных способов управления педагогами процессом изучения польского языка и культуры предполагает анализ методики преподавания.

Понимая, что каждый вид знаний требует разных методов его преподавания, мы должны помнить, что при планировании хотя бы одного учебного курса польского языка и культуры мы должны обеспечить гармоничное сочетание различных методов. Использование одного метода даже на одном занятии, особенно среди молодежи, может привести к снижению активности. При обучении иностранному языку мы должны следить за тем, чтобы каждый используемый метод способствовал развитию различных навыков, умений, развивал предрасположенности, например: восприимчивость, наблюдательность, воображение, мышление, рассуждение и т. д.

Подводя итог нашему изложению, хотелось бы отметить, что существует множество методик, изучающих методологию польского языка как культуры. К ним можем, например, причислить методический эксперимент; констатирующий; обучающий и контрольный. Все они могут протекать в обычных, естественных условиях работы учителя или более строгих специально организованных условиях. Все эти мероприятия необходимы для того, чтобы в конечном итоге достичь ожидаемых высоких результатов от преподавания польского языка и культуры.

Современное состояние исследований ясно подтверждает, что преподавание польского языка без закрепления знаний о культуре и современных реалиях является неполным. В реальных условиях это не работает, изучающие польский язык не могут в полной мере использовать возможности окружающего мира. Они могут очень хорошо знать грамматику и орфографию, но им будет сложно общаться, например, со сверстниками.

Основным фактором, определяющим по методике преподавания родного и иностранных языков, является тот факт, что родной язык, как пишет Л. Гроховский: „... w odróżnieniu od języka ojczystego, stanowi on (język obcy) przedmiot poznania, a nie narzędzie, za pomocą którego uczniowie przyswajają sobie określoną wiedzę”<sup>1</sup> ‘...в отличие от родного языка он (иностраный язык) является объектом познания, а не инструментом, с помощью которого учащиеся приобретают конкретные знания’.

---

<sup>1</sup> L. Grochowski, *Metodyka nauczania języka rosyjskiego*, Wyd. PWN, Warszawa 1971, c. 9.

## Библиография

- Куписевич Ч., Основы общей дидактики: учебное пособие, пер. О. В. Долженко, Изд. Высш. Школа, Москва 1986 г
- Методика обучения иностранным языкам. Учебное пособие для студентов, Института математики и механики им. Н.И. Лобачевского по направлению «педагогическое образование (с двумя профилями подготовки)», ред. Д.Ф.Хакимзянова, Казань 2016, с. 7.
- Оконь Ч, Основы проблемного обучения, Издательство Просвещение, Москва 1968 г.
- Орлов, А. А. Научное наследие М.Н. Скаткина и инновационные процессы в современном образовании / А. А. Орлов // Педагогика. — 2016. — № 1. — С. 107-116.
- Bolesta-Wrona B., Scharakteryzuj metodykę nauczania kultury polskiej - praca dyplomowa, Białystok/Wrocław 2023 r - L. Grochowski, Metodyka nauczania języka rosyjskiego, Wyd. PWN, Warszawa 1971, с. 9.
- Определение основано на тексте: <https://pl.wikipedia.org/wiki/Metodyka> [18.02.2024]
- Glottodydaktyka - nauczanie języka polskiego jako obcego, materiały audio i video, Wyższa Szkoła Kształcenia Zawodowego we Wrocławiu: <https://studia-online.pl/> [27.02.2023]

**Wrona-Malska Joanna, Bolesta -Wrona Bozena**

Wszechnica Polska

Warsaw, Poland

b.bolesta.wrona@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.18>

### **Methodology For teaching Polish As a Foreign Language**

#### Abstract

In our paper, we would like to analyze some of the foreign language teaching methods used so far. We also pay special attention to the impact of the environment and cultural phenomena on the speed and quality of learning Polish as a foreign language. We base our research primarily on groups of people learning Polish whose native language is any Slavic language.

Research of this type can be used primarily by universities that teach Polish as a foreign language and then offer continuation of education at higher education. These analyzes can also support the effectiveness of Polish as a foreign language courses organized by language schools.

**Keywords:** methodology, foreign language, Polish language, Polish culture, teaching methods.

რუსუდან ზეკალაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისი, საქართველო

rusudan.zekalashvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.19>

ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა ზოგიერთი არასწორი ფორმა ქართულში

**საკვანძო სიტყვები:** ორვალენტიანი ზმნა, გარდაუვალ ზმნა, ზმნის არასწორი ფორმები

ნებისმიერი ენა გარკვეული დროის განმავლობაში მეტ-ნაკლებად იცვლება. მართალია, ეს ყველაზე ნაკლებად ეხება ენის გრამატიკულ წყობას, მაგრამ სახელთა ბრუნებისას ან ზმნათა უღლებებისას მეტყველებაში შეიძლება გამოიყენებოდეს არასალიტერატურო ფორმები. ცვლილებათა მიზეზი მრავალგვარია: სალიტერატუროსგან განსხვავებული ფორმების გამოყენება დიალექტებში, ანალოგია სხვა ენობრივ მოვლენებთან, რომელიმე ფორმასთან მიმსგავსება და ამის გამო აღრევა ან უნიფიკაცია ზეპირმეტყველების გავლენით. არაა გამორიცხული, რომ იდიოლექტური ცალკეული შემთხვევა გავრცელდეს კიდევ.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ გარდაუვალ ორვალენტიან ზმნათა მესამე სერიის მწკრივების წარმოების დროს შემჩნეულ ზოგიერთ არასალიტერატურო ფორმას<sup>1</sup>. **ახალ ქართულში** ძველ ქართულთან შედარებით ამ მწკრივთა წარმოება შეცვლილია: მართალია, **აბსოლუტურ** ზმნებში პირველ თურმეობითი დარჩა **აღწერითი** წარმოება, მაგრამ პირველი პირის ნიშანი, გარდა მეშველი ზმნისა, გაჩნდა მიმღეობაშიც (ზმნისწინის შემდეგ): გამზადებულ ვარ > გავმზადებულვარ... მეორე თურმეობითი მეშველ ზმნაში დაიკარგა პირველი პირის პრეფიქსი, მიმღეობას კი ჩაემატა: გამზადებულ ვიყავი > გავმზადებულიყავი... [ამის შესახებ: ა. შანიძე 1973: 453-457].

**რელატიური** ზმნების პირველი თურმეობითი **აღწერითი** გახდა: **საწყისი + ყოფნა** მეშველი ზმნა: **დავმალავივარ, დამალვიხარ, დამალვია...** II თურმეობითსა და III კავშირებითში მასდარზე დამყარებულ ფუძეს ახალ ქართულში დარჩა **-ოდ** სავრცობი: **დავმალოდი, დამალოდი, დამალოდა...** დავმალოდე, დამალოდე, დამალოდეს, მოვსწრებოდი, მოვსწრებოდე...

ქართული ენის ზოგ აღმოსავლურ დიალექტში ორვალენტიანი გარდაუვალ ზმნების **-ოდ** სავრცობიანი წარმოება II თურმეობითსა და III კავშირებითში ჩანაცვლებულია მეშველზმნიანი წარმოებით: „დაჰხვედრიყო||დაჰხვედომიყო... დასავლეთ საქართველოს დიალექტებში უპირატესობა ეძლევა **-ოდ** სუფიქსიან წარმოებას: დახვედროდა“ [ბ. ჯორბენაძე 1989: 217]. ქართული დიალექტების კორპუსში ასეთი წარმოების მაგალითები დამოწმებულია ქართლურში, კახურში, ფშაურში, თუშურში და სხვ.

<sup>1</sup> მესამე სერიის მწკრივთა წარმოება ძველსა და ახალ ქართულში თუ დიალექტებში იმდენად საინტერესოა, რომ ამის შესახებ მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. მაგ.: ლ. ბარამიძე 1964; ქ. მოწინიძე 1960; ი. იმნაიშვილი 1982; ა. შანიძე 1973; 1976; ყ. ფეიქრიშვილი 1974; მისივე 2007; ზ. სარჯველაძე 1997; ა. არაბული 1984; გ. გოგოლაშვილი 1988; ბ. ჯორბენაძე 1989; გ. გოგოლაშვილი და სხვ. 2016.

მაგ.: ქართულში (გამოდსდრომიყო, გაშჩენიყო, დამძინებოყო), კახურში (გამოდდგომიყო, გაძთავებოყო, გაძქცევიყო, დასდებოყო), ფშაურში (გაძხარებოყო, გასცილებოყო, დაგრომიყო, დამკარგვიყო, დამტვრევიყო, დასწდომიყო), მთიულურ-გუდამაყრულში (დამტვრევიყო), თუშურში (გამოხქევიყო, გამოჰყოლიყო, გახარებოყო, დაზდებოყო, დამხვევიყო, დასწევიყო), მოხეურში (გასჭიროებოყო), ფერეიდნულში (გაჰხარებოყო)<sup>1</sup> და სხვ.

მესამე სერიის ფორმათა წარმოებაში არსებული სხვაობის გამო საჭირო გახდა სალიტერატურო ენის ნორმის შემუშავება: „ოდ-ით წარმოება სავსებით კანონიერია და გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; ისტორიული ქართულის ისტორიული ტრადიცია მას უჭერს მხარს. ამდენად, უნდა დარჩეს -ოდ-ით წარმოება“ [ჩიქოვაძე, 1970:214]. მართებულ ფორმებად დასახელებულია: შეჰკითხებოდი, შეჰკითხებოდა; დავსდგომოდი, დავსჯდომოდი, გავსჩენოდი... დასდგომოდი... და არა: შევეკითხებოყავ, დავდგომოყავ...

ამ ბოლო დროს მასმედიის ენაში, განსაკუთრებით – ჟურნალისტთა ზეპირ გამოსვლებსა და ზეპირ სასაუბრო მეტყველებაში შეინიშნება, რომ გარდაუვალ ორვალენტიან ზმნათა მესამე სერიის ფორმებში ზოგჯერ იშლება მიჯნა ერთვალენტიან ზმნებთან, კერძოდ, ორვალენტიან ზმნებთანაც გვხვდება წარსული დროის საობიექტო მიმღობა + მეშველი ზმნა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მიმღობიან და მასდარიან ფორმათა შორის სხვაობა ძალზე მცირეა: -ლ მიმღობის მაწარმოებლის თანხმონითი ნაწილია (-ილ>-ლ), რომელსაც ანალოგიით იყენებენ რელატიურ ზმნებთანაც, შედარებით იშვიათად – -ულ სუფიქსიან ფორმებთან. აღრევის საფრთხე უფრო დიდია, თუკი შესაბამისი ფუძის ერთვალენტიანი ფორმები საერთოდ არ გამოიყენება ან იშვიათია: ავეყები (მე მას). პირველ თურმეობითში უნდა იყოს: ავეყოლივარ (მასდარზე დამყარებული ფუძე + მეშველი ზმნა: ა(ვ)ყოლ(ა)+ი+ვარ, ა(ვ)ყოლიხარ, ა(ვ)ყოლია...). ეს ზმნა აბსოლუტური ფორმით არ გვხვდება: ავეყოლილვარ\*, აყოლილხარ\*, აყოლილა\*, ამიტომ რელატიურ ზმნათა წარმოება ერთვალენტიანების ანალოგიით ჩანაცვლებულია მიმღობური ფორმით. უნდა იყოს: მე მას ავეყოლივარ, შენ მას აჰყოლიხარ, ის მას აჰყოლია... ასევე: ავეყოლოდი, აჰყოლოდი, აჰყოლოდა... ავეყოლოდე, აჰყოლოდე, აჰყოლოდეს... მაგრამ იყენებენ შემდეგ ფორმებს: ავეყოლილვარ, აჰყოლილხარ, აჰყოლილა... ავეყოლილიყავი, აჰყოლილიყავი, აჰყოლილიყო... ავეყოლილიყო, აჰყოლილიყო, აჰყოლილიყოს...

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მსგავსი წარმოება დიალექტური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და მისი გავლენით გავრცელდა. დიალექტურ კორპუსში იძებნება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, ისიც ჩაწერილი XX საუკუნის I ნახევარში, ძირითადად, კახურ, სამცხურ-ჯავახურ და თუშურ ტექსტებში:

„ვინა ხარ, ქალო, დიაცო? რასა ძჩადიხარ მაგასა? ლახამ პატარა ბალღებსა, არ შახვედრილხარ მაგრებსა“ (კახური, 1949); „ტყეში ხშირად დავდივარ და კარგათ ვიცი ფუტკრის წესები. მაგალითათ, აქ რომ ფუტკარი გამირჩევნია, გავყოლილვარ უკან და შვიდ ვერსზე წასულა“ (კახური, 1936); „შუადამი ხანი რო მოიდა, გემეღვიძა ამ ქალ, დაუძახა ქმარ და თქო: ეხლა კი მოვძაგებულვარ“ (კახური, 1949); „ერთხელ უდელებს თესლეული გადაუტანიათ გურიაში. იქ შეხვედრილა ერთი მოხუცებული დედაკაცი“ (სამცხურ-ჯავახური, 1937); „მეორე დღეს ავიდნეს თვალმოვლებადა'დ ვირნიკოი'დ ჩვენ ლაზარე ბიძოც მოსრულეზ დახვედრილიყვნეს“ (თუშური, 1984).

მსგავსი ფორმები დადასტურებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში, მხატვრულ და მასმედიის ტექსტებში, ჟურნალისტთა ზეპირ გამოსვლებში, ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში. ერთი შეხედვით, ჩანს, რომ მსგავსი დარღვევა უფრო მეტად ახასიათებს ე. წ. ენიან ვნებითებს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება დონიანი და უნიშნო ვნებითების ორვალენტიან ზმნებთანაც (დ. მელიქიშვილის ტერმინოლოგიით, ესაა მეორე დიათეზის რელატიური ზმნები).

<sup>1</sup> ამ ფორმათა შესახებ დიალექტებში იხ. ბ. ჯორბენაძე 1989: 235, 284, 308, 371, 481.

<sup>2</sup> საილუსტრაციო მასალა ამოწერილია ქართული დიალექტური კორპუსიდან (ქდკ).

ცხადია, ყველა ორვალენტური ზმნის III სერიის ფორმები არაა გადასული მიმღებურ წარმოებაზე. გამოიკვეთა რამდენიმე ფუძე, რომლებთანაც სხვადასხვა ზმნისწინიან ფორმაში უფრო ხშირია ასეთი დარღვევა.

მეშველზმნიანი ფორმები უფრო ხშირია შემდეგ ზმნებთან: **მიხედება, მოშორდება, ეწევა, გადაწყვეტა, აწყვეტა, მიჰყვება, დაემხო, ჩაეძიება, შერჩება...** კორპუსის მასალიდან 2 მაგალითი დადასტურდა ილია ჭავჭავაძის ტექსტებშიც, ასევე: გ. ლეონიძის, ვ. ბარნოვის, ჭ. ამირეჯიბისა და ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ნაწარმოებებში:

„გულისყური მქონია – მივხედრილვარ, ხსოვნა მქონია, გონებაში ჩამრჩენია“ (ი.ჭავ., *გლახის ნაამბობი*); „გამოქცეულხარ, მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა“ (ი.ჭავ., *მუშა*); „რამდენ ირმის ჯოგს გადავყოლილვარ“ (გ.ლეონ.); „ჯერ ვერა ვწეულვარ სურვილს“ (ვ.ბარნ., *ტრფობა წამებული*); „თუმც დაახლოებით, მაგრამ მაინც სწორად მივხედრილვარ“ (ჭ.ამირ., *გრაფისეგედი*); „ამის დარდს არ ავყოლილვარ“ (ჭ.ამირ., *მოსე ზამთარაძე*); „რას აყოლილხარ ამ ბაცნებს“ (ლ. მესხი); „შაბი და შალაფი/ ძეძვნარს ზე აყოლილა – მწვანედ შეუფუთავს“ (დ. ივარდ.); „ჯერ კიდევ ირწევი, ტირიფო, ჩაწულხარ რუხისწყლის ნაპირებს“ (დ. ივარდ.); „მე აღარ ჩავძიებულვარ მის ამჟამინდელ საქმიანობას“ (დ. შველიძე); „არ იდარდოთ, საქმეს მოვაგვარებო და ბოლომდე არ მივყოლილვართ“ (ა. გეგენავა); „მის სიყვარულს გადავყვებოდი, კი გამიჭირდა, მაგრამ გადაყოლით არ გადავყოლილვარ“ (თ. გურჯინთახი, *ბუხარი*); „წარსულში მოვიძიე ამბები ფერადები, ბავშვობას შერჩენილხარ ძვირფას თვლად“ (ლ. მანველი). **თარგმანებში:** „შემდეგში არა ერთხელ დავბრუნებულვარ მას გონების თვალით“ (დიკენსი, *თარგმ.*); „არასდროს მოვწყვეტილვარ მიწას“ (ფ. ფაროხზადი, *თარგმ.*); „ჩემს დღეში არ შევხედრილვარ კაცს“ (ჯ. სელინჯერი, *თარგმ.*).

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მოძიებული მაგალითების მიხედვით, ყველაზე გავრცელებულია **ყოლა** ზმნის ორვალენტური ფორმები **პირველ თურმეობითში:** ავყოლილვარ (ავყოლილვართ, აყოლილხარ, აყოლილა/ აყოლილან), მივყოლილვარ (მივყოლილვართ, მიყოლილხარ), მოვყოლილვარ, დავყოლილვარ, გადავყოლილვარ (გადაყოლილხარ, გადაყოლილა), ავყოლილხართ... ასევე დადასტურდა ზმნებიც: ყველაზე გავრცელებულია პირველი თურმეობითის ფორმები, მხოლოდ თითო-ორთა მაგალითია მეორე თურმეობითში, ხოლო მესამე კავშირებითი არ აღმოჩნდა:

#### **პირველი თურმეობითი:**

„ფეხის ხმას არასდროს ავყოლილვარ“ (ახ. თაობა, 2005); „მოდას არასოდეს ავყოლილვართ (ახ. ვერსია, 2003); „ქართველი ხალხი, აყოლილა რა ამ რუსულ ცრურწმენას“ (ახ. ივერია, 2002); „მისტერ ჯეიმს მარტინის რჩევას არ აყოლილან“ (2009); „მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არ მივყოლილვარ (რეზონანსი, 2009); „რამდენი მინახავს, გადაყოლილხარ, სად არ მიყოლილხარ, შენი დიდი გავლენით“ (შანსი, 2001); „ტ. ა-ის რაზმი ნამეტანი გადაყოლილა ამ ყველაფრის აღნიშვნას“ (2011); „მორცხვობთ და ქვეყნისა ჩვევას არ ავყოლილხართ“ (სარბიელი, 2007)...

სხვა ზმნური ფორმები: შევხედრილვარ შემოვრჩენილვარ შევჩეხილვარ, მოვწყვეტილვარ და სხვ.

„ცხელ ხაზზე ორჯერ, სამჯერ და უფრო მეტჯერაც დამირეკია, როდესაც შევხედრილვარ ქუჩაში ბავშვს“ (ვეისბუკი); „ალბათ, შევხედრილხართ ადამიანებს“ (დილის გაზეთი, 2000); „მთაში შევჩეხილვარ დათვს პირისპირ“ (ზ. სულაკაური, 2010); „არასდროს არ შემოვრჩენილვარ მზიურს გვიანობამდე“ (24 საათი, 2006); „ხანდახან ფეხბურთელების კლუბების სტატისტიკურ ბაზასაც კი დავყრდნობილვარ“ (სარბიელი, 2007)...

დადასტურდა -ულ სუფიქსიანი მიმღებური წარმოებაც: დავნებებულვარ (დანებებულვარ, დავნებებულვართ), დავშორებულვართ, მოვშორებულვართ, განვშორებულვართ, გავცი-ლებულვართ, დავცილებულვართ (ერთმანეთს), შევგუებულვართ (შეგუებულხარ), დავბრუნებულვართ (მას), ჩავძიებულვართ, მოშორებულხარ, ჩაწულხარ, შდადევენებულან,

<sup>1</sup> მსგავსი ფორმა დადასტურებულია ქველშიც: ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ლომოურის, გიორგი ლეონიძის ტექსტებიდან ამოღებულ საილუსტრაციო მასალაში.

<sup>2</sup> ეს ფორმა ერთვალენტური ზმნად ჩვეულებრივია: „სწეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“ (ა. წერ.).



შევრიგებულ-ვარ(თ), დავკვირვებულვარ, ჩავძიებულვარ, შევსწრებულვარ, დავახლოე-ბულვარ, დავთანხმე-ბულვართ, დავნათესავებულვარ(თ), დავხარბებულვარ...

მაგ.: „არასოდეს შეგვგუებულვარ ა-მის სეპარატისტულ რეჟიმს“ (7 დღე, 2004); „უცებ ხვდები, შეგვგუებულხარ სიკვდილს“ (მოამბე, 2001); „ბოლომდე მაინც არ შევჩვეულვარ გაჭირვების ყურებას“ (საქ. რესპუბლიკა, 2008); „ამაზე ათჯერ უფრო ძლიერი რეჟიმები მოშორებულან“ (გურია TV, 2023); „მართალი ბრძანდებით, არ ჩავძიებულვარ რისთვისაც ბოდიშს გიხდით“ (ვიკიპედია);

#### მეორე თურმეობითი:

„როგორ დაგრთეს ნება, რომ ნაკრებს ჩამოშორებულიყავი“ (სარბიელი, 2005); „ეს უკანასკნელები იძულებულები გახდნენ ჩამოშორებულიყვნენ ნ. ბ-ს“ (ჯი-ეიჩ-ენი, 2010);

„სადმე ხომ არ შევხვედრილიყავით“ (ტელეგადაცემა, 04.02.2024) და სხვ.

შეიძლება დაისვას კითხვა: მაინც რამ შეუწყო ხელი ამ აღწერითი წარმოების განვითარებას? ხშირად რომელიმე ფორმა ზეპირ მეტყველებაში ჩნდება დიალექტის გავლენით, მაგრამ დასახელებულ მაგალითებში ასე არაა, რადგან მსგავსი ფორმაწარმოება დიალექტებში მხოლოდ თითო-ოროლა დადასტურდა, ისიც საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩაწერილ ტექსტებში. ამის ბრალი ისიცაა, რომ ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნები, საერთოდ, იშვიათად გამოიყენება. ამდენად, არაა სავარაუდო დიალექტური ფორმების გავლენა ზეპირ მეტყველებაზე. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი:

- ✓ ერთპირიან ზმნათა გავრცელებულობა ორპირიანთან შედარებით;
- ✓ ანალოგია აბსოლუტურ ზმნათა წარმოებასთან;
- ✓ ორვალენტიან გარდაუვალ ზმნათა მესამე სერიის ფორმათა უნიფიკაცია ერთვალენტიანთან და მეშველი ზმნების გამოყენება ორგანულ წარმოებაში;
- ✓ ზმნის ფორმის არასწორი აღქმა და ერთ- და ორვალენტიან ზმნათა აღრევა;

#### ლიტერატურა:

არაბული ა. (1984): ავთანდილ არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი: მეცნიერება, 1984.

ბარამიძე ლ. (1964): ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1964, გვ. 95-150.

გოგოლაშვილი გ. (1988): გიორგი გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა (რედ. ბ. ჯორბენაძე), თბილისი: მეცნიერება, 1988.

გოგოლაშვილი და სხვ. (2016): გიორგი გოგოლაშვილი, ნინო შარაშენიძე, გიორგი ცოცანიძე, ნინო ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. II. დიალექტები (გიორგი გოგოლაშვილის რედაქციით), თბილისი, 2016.

იმნაიშვილი (1982): ივანე იმნაიშვილი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები III სერიაში, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982.

სარჯველაძე ზ. (1997): ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ) (რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.

ფეიქრიშვილი ჟ. (1974): ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, თურმეობითის მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 1974, №4 (ემდგენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვარლამ თოფურიას ხსოვნას), გვ. 37-52.

ფეიქრიშვილი ჟ. (2007): ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში (რედ. ივ. ქავთარაძე), თბილისი: ჯანსუღ ღვინჯილია, 2007.

შანიძე ა. (1973): აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

შანიძე ა. (1976): აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა (რედ. ი. იმნაიშვილი), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1976.

ჩიქოზავა ა. (1970): არნოლდ ჩიქოზავა, ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი: მეცნიერება, 1970.

ძონენიძე ქ. (1960): ქეთევან ძონენიძე, თურმეობითი მეორის ერთი თავისებურება ზემოიმერულში: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXII, ქუთაისი, 1960, გვ. 113-117.

ჯორბენაძე ბ. (1983): ბესარიონ ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში (რედ. ა. კიზირია), თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1983.

ჯორბენაძე ბ. (1989): ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I (რედ. გ. გოგოლაშვილი), თბილისი: მეცნიერება, 1989.

#### კორპუსები:

ქვე: ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/simple-query> (წვდომა: 14.02.2024)

ქდე: ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/> (წვდომა: 14.02.2024)

**Rusudan Zekalashvili**

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

rusudan.zekalashvili@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.19>

### About Some Wrong Forms of the Georgian Bivalent Non-transitive Verbs

In oral discourse, especially in the public speech of journalists, when using intransitive bivalent Georgian verbs in their third series forms, the correct structure of the verbs is violated. Sometimes the norm of the literary language is not observed, and instead of the infinitive stem, the past object participles are used in all three tense forms of the third series:

*Participle + var (I am)/ – viq'avi (I was)/ – viq'o – may I were...*

In the conjugation forms such as the II resultative (II turmeobiti) and third conditional (III kavshirebiti) instead of the correct infinitive **stem + -od** (the vowel at the end of a verb as so-called savrtsobi), the auxiliary verbs “were” and “was” are added to the objective past participles: instead of organic forms of the verb, descriptive forms are used. For example, instead of the correct form of this word – *ავყოლივარ – avq'olivar*, the incorrect form *ავყოლილვარ – avq'olilvar* is used, the second consonant **ლ – l** is not necessary here; *შევკხვილავი – shevkhvilavi*, *ავყოლილიყო – avq'oliliq'o* – *შევკხვილვარ – shevkhvedrilvar* – these forms are wrong (their right forms are *ავყოლივარ – avq'olivar*, *ავყოლიოდი – avq'olodi*, *ავყოლიოდე – avq'olode* *შევკხვილვარ – shevkhvedrilvar*), and so on. The majority of the participles are produced using the suffix **-ილ -il**, though there are also cases of using the suffix **-ულ -ul**.

Part of the verbs given below are not confirmed as univalent, for example, the forms with some preverbs in the case of the verb *ავყვები – avq'vebi*: *ავყოლილვარ – avq'olilvar*, *მიყოლილვარ – mivq'olilvar*, *გამოყოლილვარ – gamovq'olilvar* or other examples: *მივკხვილვარ – mivkhvedrilvar*, *დავმხობილვარ – davmkhobilvar*, *ჩავძიებულვარ – chavdziebulvar*, *შევრჩენილვარ – shevrchenilvar...*

For example, *დავბრუნებულვარ – davbrunebulvar* – is one-valent verb (*დავბრუნებულვარ – davbrunebulvar*) it means ‘I return (to)’, *დავბრუნებივარ ჩემს საქმეს – davbrunebivar chems sakmes* – ‘I returned to my job’ – it is bi-valent form. But it is mistaken when we meet the form *დავბრუნებულვარ ჩემს საქმეს – davbrunebulvar chems sakmes*, here one-valent and bivalent forms are confused.

The use of the above forms is the result of the unification tendencies when conjugating intransitive relative verbs in the third series.

Such word formations surely are not yet given as a system, so we hope it will not happen. According to the norms of the Georgian literary language, the use of participles in bivalent intransitive Georgian verbs is unacceptable, therefore such facts require special attention to avoid leveling existing differences with monovalent verbs.

**Key Words:** Bivalent verbs, Non-transitive Verbs, Some Wrong Forms of verbs.

**ნინო თავიდაშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nino.tavidashvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.20>**უცხოური ენის სწავლების მაკროსტრატეგიები პოსტმეთოდურ ეპოქაში**

**საკვანძო სიტყვები:** უცხოური ენის სწავლება, მაკროსტრატეგიები, პოსტმეთოდური ეპოქა

უცხოური ენის სწავლების მეთოდმა თავისი არსებობის მანძილზე, ცვალებადი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესების შესაბამისად, მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. დღეს არაერთი ენის სწავლების მეთოდოლოგია დგას განვითარების მაღალ საფეხურზე, თუმცა, აშკარაა, რომ კაცობრიობას არასოდეს შეუქმნია მეთოდი, რომელიც იდეალურად მოერგებოდა ნებისმიერ საგანმანათლებლო მიზანსა და გარემოს. ამიტომ ექვქვემ დგება მეთოდის, როგორც სწავლების ხერხის ეფექტურობა და მიმდინარეობს დისკუსია სასწავლო პროცესის მიმართ მისი შემზღვევლი გავლენის შესახებ. ალტერნატიული მეთოდის აღმოჩენის ტრადიციულ ამოცანას ცვლის მეთოდის ალტერნატივის შექმნის პერსპექტივა, რაც საფუძვლად ედება პოსტმეთოდური პედაგოგიური სისტემის ფორმირებას (B. Kumaravadivelu 2006, 170). პოსტმეთოდური პედაგოგია დოგმატური ხასიათის პრინციპების ერთობლიობა კი არ არის, არამედ ზოგადი მიმართულებებისა და რეკომენდაციების სისტემა, რომელიც ცდილობს განთავისუფლდეს პედაგოგიური მეთოდის შემზღვევლი გავლენისაგან.

პოსტმეთოდური პედაგოგიური სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს სამი პედაგოგიური პარამეტრი: სპეციფიკურობა, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა და ალბათობის პრინციპი.

სპეციფიკურობის ცნების განმარტებისას საჭიროა მივუთითოთ, რომ პედაგოგიური სისტემის წარმატების საიდუმლო უკავშირდება მის შესაბამისობას პედაგოგთა და ენის შემსწავლელთა კონკრეტული ჯგუფის კონკრეტულ მიზნებთან, კონკრეტული ინსტიტუციური კონტექსტისა და სოციოკულტურული გარემოს თავისებურებებთან. სპეციფიკური სიტუაციების საფუძვლიანი ინტერპრეტაციის გარეშე შეუძლებელია მყარი, სიცოცხლისუნარიანი პედაგოგიური სისტემის შექმნა. პედაგოგიური თვალსაზრისით სპეციფიკურობის პარამეტრი, ერთდროულად, მიზანიც არის და პროცესიც. ლოკალური ინტერესებისა და მოთხოვნების კრიტიკული შესწავლა გზას უხსნის შესაბამის კვლევა-ძიებას. მასწავლებელი დამოუკიდებლად, ან კოლეგებთან ერთად აკვირდება თავის პედაგოგიურ საქმიანობას, აფასებს მიღწეულ შედეგს, აფიქსირებს პრობლემებს, შეიმუშავებს მათი გადაჭრის ხერხებს და ნერგავს პრაქტიკაში. სისტემატური მონიტორინგის, პრობლემატური საკითხების განსჯისა და მოგვარების საფუძველზე ყალიბდება არსებულ კონტექსტზე, ანუ ადგილობრივ თავისებურებებზე მორგებული პედაგოგიური ცოდნა, რასაც მოსდევს დასახული მიზნის განხორციელება - სპეციფიკური პედაგოგიკის ფორმირება.

სპეციფიკურობის პარამეტრთან მჭიდრო კავშირშია თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის იდეა, რომელიც პოსტმეთოდური პედაგოგიური სისტემის მეორე განზომილებას

წარმოადგენს. თეორიული და პრაქტიკული სფეროების ტრადიციული გამიჯვნა საფუძვლად უდევს განსხვავებას პროფესიონალურ და პერსონალურ თეორიებს შორის. პირველ მათგანს დარგის ექსპერტები ქმნიან, ხოლო მეორე პედაგოგის მიერ პროფესიონალური თეორიის ინტერპრეტაციის და პრაქტიკული რეალიზების შედეგია. პოსტმეთოდური პედაგოგიკა თეორიასა და პრაქტიკას ურთიერთგანმამართებელ და ურთიერთგანმავითარებელ თვისებებზე დამყარებულ განუყოფელ მთლიანობად მოიაზრებს (D. Freeman 1998,16). მასასადამე, მეორე პარამეტრი გულისხმობს ხელოვნური დიქტომიის ლიკვიდაციას, რაც პედაგოგს შესაძლებლობას აძლევს შექმნას ახალი თეორია საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაზე დაყრდნობით და შემდეგ ეს თეორია დაწეროს პრაქტიკაში.

სისტემის მესამე პედაგოგიური პარამეტრი, ალბათობის პრინციპი, ძირითადად ჩამოყალიბდა ბრაზილიელი მეცნიერის - პ. ფრეირის შრომებზე დაყრდნობით. აქ უარყოფილია ენის შესწავლის ცნების ვიწრო გაგება, რომელიც შემოიფარგლება ლინგვისტური ფუნქციური ელემენტებით საგანმანათლებლო გარემოს მიკროკოსმოსში - საკლასო ოთახსა, თუ აუდიტორიაში. ალბათობის კონცეფცია სცილდება აღნიშნულ ჩარჩოებს და მოიცავს მაკროკოსმოსს - ყველა შესაძლო სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორს, რომელიც ენის შემსწავლელს შემოაქვს მიკროკოსმოსში. სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გამოცდილება დიდწილად განსაზღვრავს სწავლების შინაარსსა და ხასიათს. მას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი სასწავლო პროცესის გარდასაქმნელად ადგილობრივი ინტერესების შესატყვისად.

აღნიშნული პარამეტრების სპეციფიკიდან გამომდინარე სახეზეა საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა - ენის შემსწავლელის, მასწავლებლისა და განათლების ექსპერტის აქტიური როლი და მნიშვნელოვნად გაზრდილი პასუხისმგებლობა პოსტმეთოდურ ეპოქაში.

ენის შემსწავლელი სარგებლობს ფართო ავტონომიით. იგი თავად მართავს საკუთარ სასწავლო საქმიანობას მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით. ავტონომიურობა უზრუნველყოფს ენის შემსწავლელის სათანადო კოგნიტური უნარ-ჩვევების, აკადემიური ცოდნის და სოციალურ-პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებას, რის შედეგადაც ენის შემსწავლელი წარმატებით ართმევს თავს არსებული სასწავლო შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისა და შექმნილი სირთულეების დაძლევის ამოცანას.

საგანმანათლებლო პროცესის მომდევნო მონაწილის - პედაგოგის - ფუნქციების ფორმირების ისტორია მოიცავს სამ ძირითად ეტაპს, რომელთაც შეესატყვისება მასწავლებლის განსხვავებული როლები: პასიური სპეციალისტის, რეფლექსიური პრაქტიკოსისა და გარდამქმნელი ინტელექტუალის. პასიური სპეციალისტის ფუნქცია განათლების ექსპერტის მიერ შემუშავებული თეორიული და პრაქტიკული მასალის ათვისებით და ენის შემსწავლელთათვის უცვლელი სახით გადაცემით შემოიფარგლება. პასიური შემსრულებლის როლისადმი კრიტიკული განწყობის შედეგია რეფლექსიური პრაქტიკოსის როლის ჩამოყალიბება. აქ ეფექტური სწავლება მოიაზრება არა როგორც წინასწარ შემუშავებული სასწავლო პროცედურების ერთობლიობა, არამედ როგორც კონტექსტს მაქსიმალურად მორგებული ქმედება, რომლის დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკულ აზროვნებას, კრეატიულობას და არსებული სიტუაციის სწორად აღქმას. რეფლექსიური პრაქტიკოსი ფლობს უნარს კრიტიკულად და შემოქმედებითად შეხედოს მიღებულ ცოდნას, ჩასწვდეს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, განავითაროს საკუთარი პრინციპები და შეაფასოს მოსალოდნელი შედეგები. მასწავლებლის, როგორც პასიური სპეციალისტის როლის შემდეგ რეფლექსიური პრაქტიკოსის როლის ფორმირება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა იგი, მეტწილად, ინტროსპექტიული კონცეფციაა. მოცემულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მასწავლებლის პერსონალურ შესაძლებლობებს და ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს პედაგოგის საქმიანობაზე. აღნიშნული ფაქტორების მნიშვნელობის

აქცენტირება დაედო საფუძვლად მასწავლებლის, როგორც გარდამქმნელი ინტელექტუალის როლის განვითარებას. იდეის მხარდამჭერები (H.A. Giroux 1988, J. L. Kincheloe 1993, Apple 1995, McLaren 1995) ეყრდნობიან პ. ფრეირის შრომებს დემოკრატიული საგანმანათლებლო პროცესის მეშვეობით პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიღწევის და ინდივიდუალიზმის გაძლიერების შესახებ (P. Freire 1970, 1998). კონცეფციის მიხედვით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს როგორც აკადემიური წინსვლა, ისე პიროვნების გარდაქმნა არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სწორად გასააზრებლად.

საგანმანათლებლო პროცესის მესამე მონაწილის - განათლების ექსპერტის როლი, ტრადიციული გაგებით, ემიჯნება მასწავლებლისას და გულისხმობს იმ ძირითადი თეორიული და პრაქტიკული პრინციპების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე პედაგოგი წარმართავს საქმიანობას. ეკონომიკურ ტერმინებს თუ მივმართავთ, ექსპერტი ქმნის საგანმანათლებლო პროდუქტს, მასწავლებელი კი მოიხმარს. მაგრამ პოსტმეთოდური პედაგოგიკა აფართოებს მასწავლებლის უფლება-მოვალეობების სფეროს: მასწავლებელი სარგებლობს ავტონომიით და თავადაც ხდება თეორეტიკოსი. მისი სახით ექსპერტის წინაშე პასიური სუბიექტი კი არ დგას, არამედ პარტნიორი. ექსპერტისა და პედაგოგის ინტერაქცია აქტიური დიალოგის ხასიათს ატარებს.

კვლევითი საქმიანობა პოსტმეთოდური პედაგოგიური სისტემის განუყოფელი ნაწილია, მასში ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილე. მაშასადამე, თუ ტრადიციული მოსაზრების თანახმად კვლევა ექსპერტის პრეროგატივაა, პოსტმეთოდურ ეპოქაში შესაბამისი პასუხისმგებლობის სფეროები ნაწილდება ექსპერტს, მასწავლებელსა და ენის შემსწავლელს შორის.

პოსტმეთოდური პედაგოგიკა ტრადიციულ მეთოდს უპირისპირებს ათ მაკროსტრატეგიას, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე პედაგოგის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. თითოეული მაკროსტრატეგია წარმოადგენს ზოგად პრინციპს, რომელიც ემყარება უცხოური ენის სწავლება-დაუფლებების ემპირიულ, თეორიულ და პედაგოგიურ ცოდნას და გამოცდილებას - ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკის, კოგნიტური ფსიქოლოგიის, უცხოური ენის დაუფლების მეთოდის და კრიტიკული პედაგოგიკის კვლევების შედეგებს.

პირველი მაკროსტრატეგია - სასწავლო შესაძლებლობათა სპექტრის გაფართოება - უარყოფს სწავლებისა და სწავლის ცნებების გამიჯვნას. ტრადიციული გაგებით სწავლება განიხილება, როგორც სასწავლო შესაძლებლობების შემქმნელი აქტივობა, ხოლო სწავლა - როგორც აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენების პროცესი - ე.ი. მასწავლებელი ქმნის რესურსებს, მოსწავლე კი მოიხმარს მათ. პოსტმეთოდური პედაგოგიკა ენის სწავლებას აღიქვამს სოციალურ მოვლენად, რომელიც მასწავლებლისა და ენის შემსწავლელის აქტიური თანამშრომლობის შედეგია. სასწავლო შესაძლებლობების შექმნისას მასწავლებელი იცავს ბალანსს მენეჯერისა და მედიატორის როლებს შორის. პირველი გულისხმობს სწავლების ძირითადი მიზნების ჩამოყალიბებას მოსწავლის ცოდნის დონის მაქსიმალური გათვალისწინებით, ხოლო მეორე - სასწავლო საქმიანობის სისტემატურ კონტროლსა და შეფასებას. მოსწავლე მართო პედაგოგის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო შესაძლებლობებს კი არ იყენებს, არამედ თავადაც ქმნის მათ. პედაგოგი კი ორივე ტიპის შესაძლებლობებზე დაყრდნობით აყალიბებს სასწავლო შესაძლებლობათა ფართო სპექტრს.

მეორე მაკროსტრატეგია გულისხმობს აქტიურ ინტერაქციას სასწავლო პროცესის მონაწილეთა შორის. შეხედულებების ურთიერთგაზიარება ენის შემსწავლელს აძლევს შანსს ღრმად ჩასწვდნენ შესასწავლი მასალის არსს და განავითარონ ენობრივი უნარ-ჩვევები. მოსწავლე, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებელთან და ჯგუფის წევრებთან, აფართოებს საკუთარი შესაძლებლობების არეალს, ყურადღებას ამახვილებს ლინგვისტური ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებაზე და კომუნიკაციის უმთავრეს საშუალებებზე.

ინტერაქციის წარუმატებლობას ხშირად განაპირობებს პერცეპტუალური შეუსაბამობა, ანუ შეუსაბამობა პედაგოგის მიზანსა და ენის შემსწავლელის მიერ ამ მიზნის ინტერპრეტაციას შორის. იკვეთება რამდენიმე სფერო, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პერცეპტუალურ შეუსაბამობას: კოგნიტური, კომუნიკაციური, ლინგვისტური, სტრატეგიული, კულტურული, ინსტრუქციული და ა.შ. ცხადია, რომ მეცადინეობის მიმდინარეობისას შეუძლებელია ყველა სახის პერცეპტუალური შეუსაბამობის დაფიქსირება და დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, მაგრამ საკითხის საფუძვლიანად შესწავლა დაეხმარება პედაგოგს მინიმუმამდე დაიყვანოს შეუსაბამობათა რიცხვი, რასაც ითვალისწინებს პოსტმეთოდური სისტემის მესამე მაკროსტრატეგია.

მეოთხე მაკროსტრატეგია უკავშირდება ენის შემსწავლელის ავტონომიას. ავტონომიურობის მოსაპოვებლად, ე.ი. სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებელი და ეფექტური მართვისათვის მოსწავლეს, პირველყოვლისა, სჭირდება „სწავლის სწავლა“, ანუ სათანადო სტრატეგიების გამომუშავება და დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება. წარმატებული მოსწავლე, ჩვეულებრივ, ფლობს მრავალფეროვან სტრატეგიებს და მან იცის, რომელი მათგანი გამოიყენოს კონკრეტული პრობლემის გადაჭრისას. წარუმატებელი მოსწავლის სასწავლო სტრატეგიათა მარაგი მწირია. აღნიშნული მიმართულებით პედაგოგის პასუხისმგებლობა გულისხმობს ენის შემსწავლელის სტრატეგიულ წვრთნას.

მეხუთე მაკროსტრატეგია გულისხმობს შესასწავლი ენის როგორც ფორმალური, ისე ფუნქციონალური ბუნების საფუძვლიან გააზრებას და მისი როლის განსაზღვრას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უცხოური ენის სწავლებისადმი ტრადიციული მიდგომის მიხედვით მთავარი ყურადღება გადატანილი იყო ენის ფორმალურ ასპექტებზე, დასწავლის აქტსა და კონკრეტულ პრინციპებზე; თანამედროვე მიდგომა კი კონცენტრირებას ახდენს ენის ფუნქციონალურ მახასიათებლებზე. აქცენტი კეთდება შესასწავლი მასალის ანალიზზე, ზოგად პრინციპებსა და მიღებული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევებზე.

მეექვსე მაკროსტრატეგია - უცხოური ენის სწავლებისას ინტუიციური ევრისტიკის გააქტიურება - გულისხმობს ენობრივი ნორმების დაუფლებას მათი აღმოჩენის გზით. აღნიშნული პრინციპი ენის ემპირიულ შესწავლაზეა ორიენტირებული და უარყოფს მასწავლებლის მიერ შესასწავლი მასალის აშკარა ახსნა-განმარტებას. ენის შემსწავლელს ეძლევა შანსი დამოუკიდებლად ჩასწვდეს ამა თუ იმ ენობრივი სისტემის კანონზომიერებებს და იპოვოს პასუხი მისთვის საინტერესო კითხვაზე. მასწავლებელი სათანადო აქტივობების გამოყენებით გზას უხსნის მოსწავლის შემოქმედებით უნარს და ქმნის ხელსაყრელ ლინგვისტურ გარემოს, რათა გაააქტიუროს ინტუიციური ევრისტიკა, რომელიც ნიშანდობლივია ნებისმიერი ნორმალურად განვითარებული ინდივიდისათვის (A. Macintyre 1970, 108). დასახელებული კონცეფცია წარმოადგენს ინტუიციის, როგორც თანდაყოლილი უნარისა და ევრისტიკის, როგორც ახლის აღმოჩენის მომენტის სინთეზს.

მეშვიდე მაკროსტრატეგია ხაზს უსვამს კონტექსტის როლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას შესასწავლი მასალის ათვისების თვალსაზრისით და მოუწოდებს მასწავლებელს ნებისმიერი ლინგვისტური ფორმა წარმოადგინოს ლოგიკურ კონტექსტში და არა იზოლირებულად. კონტექსტი იქმნება სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული მოვლენების ურთიერთქმედების შედეგად და მოსწავლეს ენის ინტეგრირებულ ბუნებას აცნობს.

უცხოური ენის ბუნების წვდომა გულისხმობს არა მარტო ფონოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული კომპონენტების მუდმივი ურთიერთქმედების გააზრებას, არამედ იმ ენობრივი უნარ-ჩვევების ინტეგრირების აღიარებას, რომლებიც ტრადიციულად გამიჯნულია ერთმანეთისგან კითხვის, წერის, საუბრის და მოსმენის სახით. პოსტმეთოდური პედაგოგიკა უარყოფს აღნიშნულ გამიჯვნას. იგი წარმოაჩენს ენობრივ უნარ-ჩვევებს შორის არსებულ მჭიდრო ასოციაციურ კავშირს როგორც კოგნიტური, ისე კომუნიკაციური თვალსაზრისით. ამრიგად, მერვე მაკროსტრატეგია ითვალისწინებს კითხვის, წერის, საუბრის და მოსმენის ინტეგრირებულ სწავლებას.

მეცხრე მაკროსტრატეგია კულტურული ცოდნის თვალსაწიერის გაფართოებას ეხება. ენის შემსწავლელისთვის შესასწავლი ენის გარემომცველი კულტური გარემოს გაცნობა ყოველთვის წარმოადგენდა მასწავლებლის უმნიშვნელოვანეს მიზანს. თუმცა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მოსწავლე ფლობს გარკვეულ კულტურულ კომპეტენციას და თავადაც შეუძლია იყოს კულტურული ინფორმანტი - ე.ი. გაუზიაროს მასწავლებელსა და ჯგუფის წევრებს თავისი ცოდნა და წვლილი შეიტანოს უცხოური რეალობის აღქმა-გააზრებაში.

პოსტმეთოდური პედაგოგიური სისტემის ბოლო - მეათე მაკროსტრატეგია ეფუძნება კრიტიკულ პედაგოგიკას, რომელიც გამოკვეთს სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროცესში და ადასტურებს, რომ შეუძლებელია სასწავლო გარემოს გამიჯვნა მათი დინამიკისგან. სწორედ სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი განსაზღვრავს განათლების სისტემის მოთხოვნებს და სტანდარტებს, ენის შემსწავლელის მიზნებს და მოტივაციას. მეათე მაკროსტრატეგიის არსი მასწავლებლისა და ენის შემსწავლელისთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საგანმანათ-ლებლო გარემოს თავისებურებების წვდომის უნარის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

ზემოთ წარმოდგენილი მაკროსტრატეგიების სისტემა რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს. იგი საჭიროებს მუდმივ დახვეწა-განვითარებას, ეფექტურობის რეგულარულ შემოწმებას და შესატყვისი მიკროსტრატეგიების შემუშავებას, რაც თითოეული მასწავლებლის კომპეტენციაში შედის.

პოსტმეთოდური პედაგოგიკის ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურებაა პიროვნების ინდივიდუალიზმზე, შემოქმედებითობაზე, ინიციატივასა და არჩევანის თავისუფლებაზე დამყარებული სწრაფვა პროფესიონალიზმისკენ, რაც სავსებით შეესატყვისება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მიმართ.

#### ლიტერატურა:

1. Apple M. (1995): Education and power. New York.
2. Freeman D. (1998): Understanding teacher research. Boston.
3. Freire P. (1998): Pedagogy of the heart. New York.
4. Freire P. (1970): Pedagogy of the oppressed. New York.
5. Giroux H.A. (1988): Schooling and the struggle for public life: Critical pedagogy in the modern age. Minneapolis.
6. Kincheloe J.L. (1993): Toward a critical politics of teacher thinking: Mapping the postmodern. Westport. CT.
7. Kumaravadivelu B. (2006): Understanding Language Teaching: From Method to Postmethod. Lawrence Erlbaum Associates. London.
8. Macintyre A. (1970): Noam Chomsky's view of language. In M. Lester (Ed.), Readings in applied transformational grammar. New York.
9. McLaren P. (1995): Critical pedagogy and predatory culture: Oppositional politics in the postmodern era. New York.

## **Macrostrategies for Foreign Language Teaching in Postmethod Era**

### **Abstract**

The methodology of foreign language teaching has undergone numerous significant changes throughout its existence in accordance with the changing social and political, economic and cultural interests. At present, a number of language teaching methodologies have reached a considerably high level of development. Nevertheless, it is obvious that humankind has never created a method that perfectly fits any kind of educational goal and environment. The effectiveness of the method as a teaching technique has been questioned and there is an ongoing discussion about its limiting influence on the teaching process leading to the development of post method pedagogy – the pedagogical system formed as a consequence of the contradictory processes accompanying the development of foreign language teaching methodology over the past decades. Post method pedagogy is not a set of dogmatic principles, but a system of general directions and recommendations - a system which tries to free itself from the limiting influence of the pedagogical method.

There are three fundamental parameters of post method pedagogy: specificity (the compatibility of the pedagogical system with the peculiarities of the existing educational, sociocultural and political environment), the unity of theory and practice (rejection of the conventional separation of theoretical and practical areas of teaching) and the principle of probability (considering the probability of the influence of numerous external factors on the educational process and applying it in accordance with the goals of education). The study also emphasizes the active role and considerably increased responsibility of the language learner, teacher and education expert in the post method era.

The major aim of the study is to analyze recommendatory macrostrategies giving specific directions to the aforementioned pedagogical parameters. These macrostrategies include: expanding the spectrum of learning opportunities, effective interaction of the participants of the learning process, minimizing perceptual inconsistencies, learner autonomy, insights into the nature of the target language, activating intuitive heuristics, enhancing the role of context, integrating language skills, raising cultural awareness and social and political compatibility.

The system of macrostrategies presented above is of a recommendatory nature. It requires constant refinement, regular checking of effectiveness and development of relevant microstrategies (specific ways of implementing the macrostrategies in practice), which is within the competence of each teacher.

The most important feature of post method pedagogy is aspiration for professionalism based on individualism, creativity, initiative and freedom of choice, which fully corresponds to the requirements of the modern democratic society for the participants of the educational process.

**Key words:** Foreign Language Teaching , Macrostrategies, Postmethod Era



## ვახტანგ თევდორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Vakhtang.tevdoradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.21>

## არაბთა დღეების კომპოზიცია

**საკვანძო სიტყვები:** არაბული ლიტერატურა, ეპიკური ძეგლები, "არაბთა დღეები".

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია წინააღმდეგობრივი ეპიკური ძეგლები, რომელთა შორის ყურადღების ღირსია ხალხური ხელოვნების ზეპირი, ფასდაუდებელი, უნიკალური ლიტერატურული ნიმუშები. არაბებისთვის ერთ-ერთი ასეთი ძეგლია ტომობრივი ლეგენდები, რომელმაც შუა საუკუნეებში მიიღო სახელწოდება "აიამ ალ-არაბი" ("არაბთა დღეები"). ეს არის ლეგენდების კრებული არაბული ტომების და ცალკეული გმირების შესახებ. ის ასევე უნიკალურია მასში ჩასმული პოეტური პასაჟებით, ამიტომ წარმოადგენს როგორც ლიტერატურულ, ასევე ისტორიულ წყაროს. კრებულის ზოგიერთი შემადგენელი ელემენტის შესწავლამ დაამტკიცა არაბული ეპოსის არსებობა, რომელიც შეიძლება დაისვას მსოფლიო ეპიკური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებთან ერთად. გარდა ამისა, „არაბთა დღეები“ იყო და კვლავაც რჩება საგანძურად, რომელიც ისევ ემსახურება ბევრ პოეტსა და მწერალს, არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც.

ისლამამდელ პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე შენარჩუნდა და განვითარდა მდიდარი ეპიკური ტრადიცია, რომელიც არის არაბული საგმირო ეპოსის ერთიანი და რთული მთლიანობის ორგანული ნაწილი, თუმცა ჯერ არ ქცეულა კლასიკურ ნიმუშად. მოგვიანებით შექმნილი „არაბული ხალხური რომანები“ ამ ტრადიციის ბუნებრივი გაგრძელებაა, რომელიც იზრდებოდა წინარე ნიადაგზე. უწყვეტობა წმინდა კულტურულ ხასიათს ატარებდა, გამოხატავდა ისტორიული კავშირის გაცნობიერებას არაბულ წარსულთან. ეპოსი არ ეკუთვნის ერთ დროს, იგი მრავალი თაობის საკუთრებაა.

"არაბთა დღეების" გადმოცემები გვიხატავს არაბების ცხოვრების მთელ ეპოქას - ტომობრივი ურთიერთობების ეპოქას, რითაც წარმოადგენს ფასდაუდებელ ისტორიულ ძეგლს. მისი არც ერთი თავი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ დგას, ერთმანეთს ავსებენ, ერთად გვიხატავენ ისლამამდელი პერიოდს, თითოეული მათგანი არის სრული, და ერთმანეთთან თუ სხვა, მოდევნო ამბებთან დაკავშირებული. ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც უწყვეტი ჯაჭვი. თავის წიგნში "არაბული ხალხური რომანი" ნ. იბრაგიმოვი წერს: "პერიოდიზაციის/ციკლებად დაწყობის უმარტივესი შემთხვევა გამოწვეულია ხალხურ გადმოცემებში ამა თუ იმ გმირისადმი ინტერესის ზრდით, რომელიც გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში წარმოიქმნება, ის არის განსხვავებული ნარატივების ერთობლიობა, მაგალითად გმირის ცალკეულ საგმირო საქმეებზე პროზაული და პოეტური ამბების ერთობლიობა. ამიტომ იქმნება ერთი სიუჟეტური ხაზი, სადაც ეს სიუჟეტები ხანდახან დუბლირებულია უმნიშვნელო ვარიანტებით" (Н.Ибрагимов). სხვა მეცნიერთა აზრით, კი პერიოდიზაციის/ციკლებად დაწყობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან ამა თუ იმ გმირზე გაფანტული/მიმოფანტული ლეგენდები და გადმოცემები ერთიანდება ციკლებად და ერთი ცენტრალური ფიგურის ირგვლივ ჯგუფდება. არის ასეთი თეორიაც, ციკლებად დაწყობა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად სახედ: ბიოგრაფიული, გენეალოგიური და ერთი

საერთო თემის გარშემო. ეპოსში, როგორც წესი ხდება მიმოფანტული ამბების გაერთიანება ერთი გმირის ან ერთი ტომის გარშემო. ასეთი გადმოცემები გმირობებზე იწყობა თავად გმირის ცხოვრების გარშემო - დაბადებიდან მის გმირულად გარდაცვალებამდე. მოგვიანებით ეს ბიოგრაფიული წყობა იცვლება გენეალოგიურით, რომელიც სრულდება გმირის გმირულად გარდაცვალებით და მისი თანატოლების შურისძიებით.

ჩვენს მიერ განხილული ძეგლის პერიოდიზაცია/ციკლებად დაყოფა ხდება გადმოცემათა სტრუქტურული ერთიანობით, რომლებიც ერთ ყალიბში არიან მოქცეულნი, რადგან არიან ერთი თემის ირგვლივ დაწერილები, ერთი დღე კავშირშია მეორესთან, ამ შემთხვევაში ერთი დღე გეოგრაფიულადაც დაკავშირებულია მეორესთან. ასევე გადმოცემას/წყაროს ემატებოდა ახალი ინფორმაციები, ჩნდებოდა ახალი ამბები და მოვლენები, ამიტომ ეს გადმოცემა/წყარო სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და დასასრული არ ჩანდა.

კრებული "არაბთა დღეები" არის არამარტო ისლამამდელი არაბული პოეზიის პირველი ნაწარმოები, არამედ ამ პერიოდის ისტორიული წყაროც. ის ცნობილი იყო მთელ არაბეთის ნახევარკუნძულზე, ითვლებოდა და ითვლება არაბთა სიმდიდრედ. სავარაუდოდ არსებობდა კიდევ სხვა ასეთივე კრებულები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მათშიც ასევე აღწერილი იქნებოდა ტომთაშორისი გაუთავებელი დაპირისპირებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ისლამამდელ არაბეთში.

ისმის კითხვა: რა კრიტერიუმებით აირჩიეს ჩამწერებმა გადმოცემების დიდი რაოდენობიდან საუკეთესო ამბები, რომლებმაც მიიღეს არსებობის უფლება? სავარაუდოდ ინახებოდა და "ცოცხლობდა" მხოლოდ ის გადმოცემები, რომლებშიც აღწერილი იყო ბრძოლები, საგმირო საქმეები და ისინი ამით გამოირჩეოდნენ სხვა ამბებისაგან. შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ფაქტორი, რამაც განაპირობა ყოველივე ზემოთ თქმული. პირველი ფაქტორი უპირობოდ იქნებოდა იმ ამბის შეტანა კრებულში, რომელშიდაც აღწერილი იყო ბრძოლა გამოჩენილი პირის მონაწილეობით, მაგალითად "ჰალიმის დღე" და "აინ უზაგი". ამ გადმოცემებში მოხსენიებულია იმ პერიოდის გამოჩენილი მმართველები ალ-მუნზირ იბნ მასადა და ალ-ჰარის იბნ ჯაბალი, "უქაზის დღე" თავად მოციქულ მუჰამედის მონაწილეობით. გადმოცემათა არჩევის მეორე ფაქტორი იქნებოდა ამ ამბებში იმ პერიოდისათვის გამორჩეული რომელიმე პოეტის მონაწილეობა, რომელიც ლექსებს უძღვნის თავის თანატომელების საგმირო საქმეებს. ასეთები იყვნენ ისლამამდელი პერიოდის გამოჩენილი პოეტები ანთარა და მისი ლექსი "დაჰისისა და ღაბრას დღეები", იმრუ ლ-კაისის "ჰუჯრის დღე", ალ-ხანსა "ჰაუზას პირველი დღე" და ა.შ. მესამე ფაქტორი იქნებოდა ტომებს შორის გაგრძელებული შეტაკებები, რომლებიც ზოგჯერ ათეული წლები გრძელდებოდა. მაგალითად "ალ-ფიჯარის ომი", "ბასუსის ომი" და "დაჰისისა და ღაბრას დღეები". მეოთხე ფაქტორს შეიძლება მივაწეროთ ის, რომ ბრძოლები, რომლებიც მიწერილი არიან ამა თუ იმ დღეს, მათ დიდი როლი შეასრულეს არაბთა ისტორიაში, ჰქონდათ რაღაც გადმწყვეტი დატვირთვა. მაგალითად "ზუკაირის დღე", როდესაც არაბთა გაერთიანებულმა ტომებმა დიდი დარტყმა მიიყენეს ირანის ჯარს, ან "ჰაზაზის დღე", როდესაც სამხრეთ არაბულმა ტომებმა დაამარცხეს ჩრდილოეთ არაბული ტომები და მათი ბატონობიდან გათავისუფლდნენ. რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები არ იყო ერთპიროვნულად განმაპირობებელი. საბოლოოდ ჩვენამდე მოაღწია იმ გადმოცემებმა, რომლებმაც გაუძლეს დროს, ყველა ცენზურასა და კრიტიკას.

ისლამამდელი პერიოდის არაბული ლიტერატურის ყველა მკვლევარი აღნიშნავს ამ პერიოდში ტექსტების ორი ტიპოლოგიურად საპირისპირო ხაზის არსებობას. პირველი განისაზღვრება როგორც მითოლოგიური, ხოლო მეორე ამბების ზეპირი გადმოცემები. ზოგიერთის აზრით, მითები მთლიან სისტემას წარმოადგენენ, რომელთა ტერმინებში მთელი არაბული სამყარო აღიქმება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მითები ეს არის ამ სამყაროს გააზრება, მაგრამ არ არის ზეპირსიტყვიერების ჟანრი. ისინი არ არიან სიუჟეტურები, და საერთოდ ძნელად არიან აღწერილები ჩვენთვის ცნობილი მახასიათებლებით. ასეთ ტექსტებს აქვთ დასაწყისი და დასასრული, აღიქმებიან როგორც ერთიანი, მაგრამ სულ

განმეორებადად, სინქრონში არიან ბუნების ციკლურ მოვლენებთან. ახლა განვიხილოთ მეორე ხაზი, გადმოცემები, რომლებიც სრულად ანგრევენ მითოლოგიურ ტექსტებს და სავსე არიან ცხოვრებისეული მოვლენებით, ამბების აღწერები ყურადღებას იქცევენ ორიგინალურობით. ამ ტექსტებს უკვე აქვთ სიუჟეტები, რომლებთანაც კავშირშია გადმოცემები. მაგალითად, "ჰალიმის დღე", მან მიღო სახელწოდება ალ-ჰარისი იბნ ჯაბალ ალ-დასსანის ქალიშვილის სახელის საპატივცემულოდ, რომელმაც გაიმარჯვა ალ-მუნზირთან ბრძოლაში. ალ-ჰარისის ქალიშვილმა წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ის თავისი მომხიბვლელი მოტივაციას აძლევდა მამის მეზრდოლებს. აქ შეიძლება გამოვიყენოთ "1001 ღამის" სიუჟეტი - როდესაც ტომის მმართველი ბრძოლაში გამოჩენილ მეომარს თავისი ქალიშვილის ხელს ჰპირდებოდა. გმირის არჩევის კატეგორიაში, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ყოფილიყო ყველაფერი განსაკუთრებული, აშკარად გამორჩეული თვისებები, რაც სავსებით ცხადია დიდ ყურადღებას იმსახურებდა (أيام العرب في الجاهلية).

"არაბთა დღეებში" ასევე არის ტომთა შორისი კონფლიქტები, რომლებიც დადიან სისხლის აღებამდე, შურისძიებამდე, ტომიდან გაგდებამდე. ყველა ცალკეულ ამბავში მოქმედებები დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, ამიტომ ასეთი "დღეების" სისტემატიზაცია შეუძლებელი იყო. წამყვანი პერსონაჟების რაიმე დეტალები მოხსენიებული იყო მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე, რათა გახსნილიყო მთავარი, კონფლიქტის არსი.

"არაბთა დღეები", სხვა წყაროებთან შედარებით, უფრო ახლოს არის არაბთა ცხოვრების წესებთან, მათ ყოველდღიურობასთან, ამიტომ ჩვენამდე მოაქვთ მართლაც მომხდარი კონფლიქტებისა და შეტაკებების ამბები. მისი პერსონაჟები და გმირები ნამდვილად მოღვაწეობდნენ მითითებულ ეპოქაში. კრებულის ავტორი დარწმუნებულია ამ ამბების სისწორესა და ავთენტურობაში, ისევე როგორც წიგნის მაშინდელი მსმენელები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში ჩაწერილი არის ბევრი გამოგონილი ამბავიც. მაგალითად, გადმოცემებში ხალხთან ერთად არიან ჯინები, რომლებიც განსაზღვრავენ ბრძოლათა შედეგებს. ასევე მთავარი ადგილი უჭირავს წინაწარმეტყველურ სიზმრებს. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი აღიქმება გადმოცემებთან, ამბებთან, დიალოგებთან ერთად ერთ კონტექსტში, როგორც რეალური. მაგალითად, ერთ-ერთ გადმოცემაში ნათქვამია, რომ მთავარ გმირს ჰყავდა ჯინი, რომელიც მას ყველაფერზე ესაუბრებოდა, უწინასწარმეტყველა, რომ მოიგებდა სანამღეოს და მიიღებდა ათას აქლემს, და ზუსტად ასეც მოხდა. ასეთი გადმოცემები მრავლად გვხვდება შუა საუკუნეების არაბულ გადმოცემებში.

ისლამამდელ არაბულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბედისწერის თემას. სწორედ მასთან მჭიდრო კავშირშია წინასწარმეტყველება, მკითხაობა და ხილვები. ბედი, ეს არის ძალა, რომელიც სულ თან დაყვება ადამიანს, იცავს მას, ხელმწიფობს ცოცხალ თუ მკვდარ ბუნებაზე. ყველა ადამიანს აქვს თავისი ბედი, რომელიც არ არის დამოკიდებული მის შინაგან თუ გარეგან თვისებებზე (ვ.თევდორაძე). სწორედ ამიტომ, გამორჩეული და ბრძენი მეომრები საბოლოოდ მარცხს ბედთან განიცდიან. ამის ნათელი მაგალითია ისლამამდელი არაბული პოეზიის მეფედ წოდებულის იმრუ ლ-კაისის გარდაცვალება. როდესაც მან მამის მკვლელობის ამბავი გაიგო, დიდხანს ფიქრობდა, სანამ შურისძიებას გადაწყვეტდა. ამავდროულად მამასა და შვილს შორის ურთიერთობა გაწყვეტილი იყო. მამას არ მოსწონდა იმრუ ლ-კაისის დამოკიდებულება პოეზიისადმი, რადგან ისლამამდელ პერიოდში უფლისწულებისათვის ლექსების წერა შეუფერებლად იყო მიჩნეული. უფროსმა ძმებმა უარი თქვეს შურისძიებაზე. სწორედ ამიტომ უარყოფილ შვილს ხვდა წილად ეს გაეკეთებინა. შურისძიების დაწყებამდე, იმრუ ლ-კაისმა გადაწყვიტა ერთ-ერთი კერპისაგან მიეღო თანხმობა, რომელიც მდებარეობდა თაბალაში (ადგილი მექისა და იემენის გზაზე). ამ კერპს დიდი გავლენა ჰქონდა ბედუინთა ტომებზე. მარჩიელობა (მკითხაობა) ხდებოდა სამი ისრის მეშვეობით. ის, ვინც მკითხაობდა, ქვიშაში ჩარჭობილი სამი ისრიდან ერთი უნდა ამოეღო. ერთი ისარი იყო "მზრძანებელი", ე.ი. თანხმობას აძლევდა ემოქმედა, მეორე – "უარყოფელი" ე.ი. მოუწოდებდა თავი შეეკავებინა მოქმედებისაგან, მესამე – "ჩასაფრებოდა" ე.ი. დალოდებოდა შესაფერ დროს. სამჯერ იმარჩიელა იმრუ ლ-

კაისმა და სამივეჯერ “უარყოფა” მიიღო. განრისხებულმა აიღო ისრები კერპს თავში ესროლა და მიაძახა: “მამაშენი, რომ მოეკლათ, მაშინ არ შემეწინააღმდეგებოდი და შურისძიებისათვის თანხმობასაც მომცემდი” (И.М.Филштинский).

გადმოცემებში ჩანს, რომ იმრუ ლ-კაისს ყველა და ყველაფერი უარს ეუბნებოდა შურისძიებაზე, ზოგჯერ სთავაზობდნენ მიეღო სამეფო გამოსასყიდოც, მაგრამ ბედმა მას სხვა რამ მოუშადა: მაინც გადაწყვიტა შური ეძია, რის გამოც მტერმა დაიწყო მისი დევნა და დევნილობისას პოეტი მივიდა ერთ პიროვნებასთან, სახელად ას-სამაულთან, რომელსაც თხოვა, რომ მიეწერა ალ-ჰარის იბნ აბი შამირ დასსანიდისათვის სირიაში, რათა ის მას ბიზანტიაში ჩასვლაში დახმარებოდა. კეისარმა დიდი პატივით მიიღო და დაიახლოვა იმრუ ლ-კაისი. დანიშნა ჯარის მეთაურად და საზღვარზე გააგზავნა. წასვლის შემდეგ კეისარს მოახსენეს – არაბები ცბიერი ხალხია, შენ არ იქნები უსაფრთხოდ, მან თუ თავის მიზანს მიაღწია, შეიძლება შენს წინააღმდეგ გაილაშქროს შენივე არმიით. მეორე ვერსიით, ერთმა ადამიანმა ასადის ტომიდან, სახელად ათ-თამახმა, დაიწყო მზაკვრობა პოეტის წინააღმდეგ, რადგან იმრუ ლ-კაისს მისი ძმა ჰყავდა მოკლული. მან იუსტინიანეს მოახსენა – იმრუ ლ-კაისი მომხიზვლელი და გარყვნილია, როდესაც ის წავა, დაიწყებს მტკიცებას, რომ სასიყვარულო ურთიერთობაში შევიდა შენს ქალიშვილთან და შეთხზავს მასზე ლექსებს, რითაც შენ შეურაცყოფას მოგაყენებს. კეისარმა პოეტს მოწამლული, ოქროთი მორთული მოსასხამი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ ის ბედნიერად ეტარებინა. იმრუ ლ-კაისმა ჩაიგვა იგი დიდი სიხარულით, შხამმა მაშინვე იმოქმედა და კანი გაძვრა (2008 كتاب الأغاني). თუ კარგად გავანალიზებთ იმრუ ლ-კაისის ცხოვრებას, ჩანს, რომ ის თვითონ ქმნის სიტუაციებს და თავად ახდენს ზეგავლენას ამბებზე. ისრებით მჩხიბაობის ეპიზოდით, ის საზოგადოებას მის მომავალს ამცნობს, ანუ ჩანს ეს ეპიზოდი არის წინასწარმეტყველური, ანუ მან თავიდანვე გაგვაგებინა თავისი მომავალი, თუ რა ბედი ეწეოდა მას შურისძიების შემთხვევაში. ეს კი მატებს გადმოცემას დამაბულობას და ინტერესს, ყველას უჩნდება სურვილი გაიგოს, თუ რას მოუშადა მას ბედი მომავალში.

სწორედ ასეთია გადმოცემა იმრუ ლ-კაისზე, რომელიც მარცხდება ბედთან ჭიდილისას, მიუხედავად მისი წარმომავლობისა თუ კარგი თვისებებისა, თანახმად ისლამამდელ პოეზიაში არის გაბატონებული აზრისა, ბედთან ყველა უძლურია, მას ვერსად დაემალეები, ის ყველგან არის ჩასაფრებული, არავინ იცის თუ როდის გიმუხთლებს და გაგიყვანს ამ ქვეყნიდან.

"არაბთა დღეებში" აღწერილი ამბავი "ჰუჯრის დღე", საინტერესოა თავისი სიუჟეტებით, სადაც აღწერილია მოღალატე მეფის ბედისწერა, შურიანი ადამიანის, მოწამლული ტანსაცმლის. ეს ყველაფერი სავსებით ახლოს არის ზღაპართან. ამ გადმოცემის განხილვისას მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ სიუჟეტური მოტივების განვითარების თანმიმდევრობა, რომლებიც ასახავენ იმდროინდელი საზოგადოების განვითარების ეტაპებს.

"არაბთა დღეები" არ არის თავისუფალი მხატვრული ლიტერატურული წიგნი/ კრებული, მასში არ არის გადმოცემული ავტორისეული პოზიციები. ეს კი გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ გადმოცემათა და პერსონაჟთა თვისებებისა თუ ხასიათების ობიექტურობაზე. სწორედ ამიტომ ეს თვისებები, რომლებიც ერთმანეთთან კავშირში თუ მსგავსებაში არ არიან, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არიან იმ პერიოდის (იგ. ისლამამდელი) შემოქმედების ნიმუშები, ავთენტურები. აქ ძირითადი მოთხოვნები არის სიზუსტის დაცვა, რაც მახასიათებელია მთლიანად მთელი არაბული ეპოსისათვის.

ცნობილი მეცნიერი შიდფარი წიგნში "არაბული კლასიკური ლიტერატურის ხატოვანი სისტემა" წერს "ნამდვილი და გამოგონილი" ამბების ურთიერთმიმართებაზე, რაც მახასიათებელია სარაინდო ეპოსისათვის, ასეთი ურთიერთმიმართება გასდევს "არაბთა დღეებს" ყველა გადმოცემაში. ზუსტად არის აღწერილი და მოხსენიებული შეტაკებისას მებრძოლთა რაოდენობა, მათი ხასიათისა თუ ფიზიკურობის მახასიათებლები (Б.Шидфар). მაგალითად "ჰაუზას პირველ დღეში" ქალი ჯუჰაინის ტომიდან აღწერს მუავიას და მის მხლებლებს ბანუ მურრადან. "ალ-ლივას დღე" აქ არის ტომის აღწერაც, საუბარია იმაზე, თუ როგორ

ესხმოდნენ ჯუჰანის და ნასრის ტომები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ მუავია იბნ ბაჰრის შვილები ლატაფანის ტომს, დაამარცხეს ისინი და ხელთ დიდი ნადავლი იგდეს.

გადმოცემებში მთავარ როლს თამაშობენ გეოგრაფიული ტოპონიმები. როდესაც მსმენელი გაიგონებს მისთვის ნაცნობი ადგილის სახელს, მას მაშინვე იპყრობს დადებითი ემოციები, სიხარული მშობლიური ან თუნდაც ნაცნობი ადგილის მიმართ. მის წარმოსახვაში სრულიად ხდება იმ ადგილზე მომხდარი ამ გადმოცემის სურათის აღდგენა, ასევე ამ ადგილის სილამაზე, დასახლება, მთები. აზრობრივად ის ასევე ამატებს იმას, რაც გამორჩა აღწერაში გადმოცემს.

მიუხედავად იმისა, რომ "არაბთა დღეები" არის არაბული ლიტერატურის უნიკალური ეპიკური ჟანრი, მასში მაინც არის რიგი განმასხვავებელი მახასიათებლები, მაგალითად აქ ვერ ვიპოვით ეპიკური ჟანრისათვის მახასიათებელ გაზვიადებაა, გმირის შესაძლებლობები არ სცილდება ადამიანურ შესაძლებლობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გადმოცემებიდან შემორჩენილია მხოლოდ ამბის გმირების ან მმართველების სახელები, ზოგჯერ ეს სახელები გადატანილნი არიან სხვა გარემოებასა და დროში. ამიტომ ეპიკური დრო "არაბთა დღეებისა" არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეალური ან ფანტასტიკური. ის არის მკაცრად განსაზღვრული ისტორიული, რომელიც ნამდვილად იყო. სწორედ ამიტომ გმირები არ არიან დაჯილდოვებულნი გამოგონილი სახელებით, ამბები კი ხდება ნამდვილად არსებულ გეოგრაფიულ გარემოებებში, დასახლებებში, ქალაქებში. ამიტომ "არაბთა დღეები" არის უნიკალური ჭურჭელი ისლამამდელი არაბული ლიტერატურისა და ზოგადად არაბთა ისტორიისა, რომელმაც თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების არაბული კულტურის განვითარებაზე.

### ბიბლიოგრაფია

1. أيام العرب في الجاهلية 2005. محمد أحمد جاد المولى بك وعلى محمد البجاوى ومحمد أبو الفضل إبراهيم، بيروت
2. كتاب الاغانى ابي الفرج الاصفهاني علي بن الحسين. دار صادر بيروت 2008.
3. თევდორაძე ვ. 2013, ჰიქმა (ქართული შესატყვისებით) ისლამამდელ არაბულ პოეზიაში, ილია ჭავჭავაძის სახელობის, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიდწლეული V. 153-157
4. Brill\_-The\_Encyclopaedia\_of\_Islam\_Vol\_4.
5. Ибрагимов Н. 1984, Арабский народный роман. [издательство наука](#).
6. Филштинский И.М. 1977. Арабская литература в средние века. Словесное искусство арабов в древности и раннем средние веков. Москва.
7. Шидфар Б, 1974, Образная система арабской классической литературы VI-XII вв.

**Vakhtang Tevdoradze**  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.21>

### The Composition of "AYYĀM al-‘ARAB" (Days of the Arabs)

#### Abstract

"AYYĀM al-‘ARAB (The Days of the Arabs) is one of the most reliable and unique sources of the pre-Islamic Arab world, known throughout the Arabian Peninsula, which has stood the test of time and become a national treasure of Arabic literature. The main reason for this is that its narratives focus

not only on the daily life of the Arabs, but also on the changes in the lifestyle of the Arab tribes, which were ingrained in the consciousness of the Arabs themselves. The reality of the time, the conflicts, the heroes, the characters who really worked during the Jahiliyya period and played an important role in the formation of society, are accurately portrayed here. In short, there is no unity of real and fictional stories, as happens in various epic monuments, everything is real and the accuracy of the narratives is preserved. As for "AYYĀM al-‘ARAB" (The Days of the Arabs) as a literary monument, here in the prose part there is the so-called "symbiosis", the unity of prose and poetry. Most of the stories are prose, and the emotional background of these stories is conveyed in poetry. The style, the internal integrity, is business, that is, characters are described, news, battles, etc. are conveyed. It is not frozen at one point, but develops according to the factor of time and epoch. All this is conveyed briefly at first glance, but very specifically.

**Key words:** Arabian Literature, "AYYĀM al-‘ARAB" (Days of the Arabs)

**Ekaterine Topuria**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Ekaterine.topuria@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.22>

## Functional-Systematic forms in Public Speeches of Politicians

**Key words:** Functional-Systematic form, Public Speeches, Politicians

Political discourse appears to be a matter of linguistic study for the recent period as lives of millions have been influenced as much by the political orientation and consequently leaders in many countries.

Stylistic markers in advertisement texts play a crucial role in influencing voters during elections. These markers are linguistic and rhetorical devices intentionally used to create a certain tone, convey a message and evoke specific emotions among voters.

The aim of the article is to detect and define the emotive language, rhetorical questions, examples of repetition, positive and negative framing, using repetition and analogies in the speeches of modern world and national political leaders.

The theoretical background of judgement the stylistic markers for the political discourse is based on the TODA theory (textually oriented discourse analysis) by Norman Fairclough and the Cognitive Load Theory (CLT) was developed by educational psychologist John Sweller. Sweller introduced the theory in the 1980s, and it has since become influential in the field of educational psychology. The main premise of Cognitive Load Theory is that learning is more effective when the cognitive load (the mental effort required to process information) is managed appropriately.

Also Frame Semantics, on the other which is a linguistic and cognitive theory developed by Charles J. Fillmore. It deals with how words and expressions evoke mental frames or conceptual structures which help individuals understand and interpret meanings.

Cognitive Load Theory (CLT) develops the understanding of the cognitive processes involved in learning, educators can design instructional materials and methods that optimize the learning experience for students. Parallely Frame Semantics represent knowledge and structures that organize our understanding of experience, events, or concepts. It can influence how instructional materials are designed to manage cognitive load.

According to the discussed theoretical background I have grouped the following semantic and cognitive groups of modern political utterances: 1) The semantic group, which involves a group of *emotive language* patterns which appear to be impact to voters' emotions, fostering connection with the message; Such as using *inclusive language* to create the sense of unity and shared identity and *rhetorical questions* to engage the audience and encourage reflection on key points of the utterance. Thus our orientation has been more structure oriented and group 2) *The cognitive group of patterns involve a group of stylistic devices as mental impulses encouraging the increase of memorability of the political message. Thus, collecting the better speech impacts on memory while voting at elections. Repetition* of problematic and popular lexical items for the target audience using

*metaphors* and *analogies*. Thus, judging the cognitive staff we are oriented on linguistic items activating mental impulses for better memorizing of political slogans. In this case we have chosen the speeches of Joe Biden and Salome Zourabishvili as the political leaders of western values in different historically diversified political context of purely western and post Soviet spheres. The studied material once again proved that the target and policy may similarly impact the society with the correctly chosen linguistic techniques and linguistic items raising the memorability of the message.

The empiric practical part of the article implies the modern textual examples of political speeches by the president of the US Barak Obama, Joe Biden, Salome Zourabishvili the president of Georgia and former Prime minister of Georgia Bizina Ivanishvili.

In conclusion we can declare that the selection of specific discourse tools can carry ideological weight over the voters. The influence of the named stylistic markers on voters may vary based on factors such as cultural background, political ideology, and individual preferences.

Successful political campaigns often carefully craft their messages using combination of these markers to appeal to a broad audience while targeting specific demographics.

TODA appears to be the theoretical bias for the further scientific analysis of the text of advertisement. Textually oriented discourse analysis involves examining the structure and language of a text to understand how meaning is constructed and conveyed. In the context of advertisements this approach helps analyze how linguistic choices contribute to the overall persuasive and communicative goals of the ad. TODA covers different aspects of the textual components for the further linguistic, namely stylistic and syntactic analysis. Here are some key aspects to consider in textually oriented discourse analysis of advertisements: such as lexical choices, analyzing the use of words and vocabulary, connotations and associations of specific words;

The speeches of Barak Obama appear to be emotionally marked and are characterized with the certain lexical peculiarities. Obama's speeches are known for their emotional resonance and ability to connect with a wide range of people.

One can always find the concepts of hope, change, unity, inspiration, progress and inclusion in his speeches. Phrase like "audacity of hope" resonated with many people during the 2008 presidential campaign. The promise for the better future often accrued in Obama's speech. With the concepts of unity. The words like "we", "unity", "together" emphasize the importance of collective action. Emphasizing the need of change he often speaks about the promise for the better future with progress, cooperation spirit of mutual respect, mutual interests in our global world. His speech at the United Nations General Assembly in September 24, 2014 appears to be the best demonstration of the mentioned viewpoint.

"We choose hope over fear. We see the future not as something out of our control. But as something we can shape for the better through concerted and collective effort."

"This speaks to a central question of our global age: whether we will solve our problems together, in a spirit of mutual interests and mutual respect, or whether we descend into destructive rivalries of the past"

"We gain from cooperation than conquest"

Nations General Assembly the 24<sup>th</sup> of September, 2014

Bizina Ivanishvili like Barak Obama in his prominent career provided us with many examples of emotive lexis that a political leader might use to emphasize unity and national cohesion. Among the following aspects of his speech characteristics such as emphasizing the harmony, solidarity, shared destiny, national pride, sense of unity I have distinguished the common priorities with the international American leader Barak Obama. As we can see the unity, harmony, standing together in search of the brighter and better future of his nation appear to be the common background of judgement of the emotive lexis of Bizina Ivanishvili as well. The phrases like "stand together",



“peaceful coexistence” contribute to the overall theme of unity; also employing the language “we”, “us” rather than divisive language helps create a sense of a collective identity.

“We are obliged to maximally reduce risks to avoid all possible provocations that may harm stability and peaceful development of the country. We should unite Georgia and use all international mechanisms for that. We must bring Abkhaz and Ossetian brothers back to us peacefully, with trust, reconciliation and respect,”

"Georgia is the civilization of *The Knight in the Panther's Skin*, where the acceptance of that which is foreign and the coexistence of different cultures is a part of our identity, rather than something that has been established through declarations.

"I'm sure that the day will come when we will celebrate Georgia's accession to the European Union at the same location, at this symbolic place on Freedom Square, and we will all say that historic justice has been restored and that we have achieved our goal!

As the frame Semantics and Cognitive Load Theory prove the emotive lexis namely figurative language comprises the presence of metaphors, similes or other stylistic devices as they can enhance the persuasive impact upon the target audience we have chosen the rhetorical effectiveness of slogans and taglines which can examine how they contribute to the overall message. Repetition can identify repeated words or phrases and create a memorable impact. The outcomes of the research once again proves that the language items appear to be affective tools for tailoring the speech to the target audience during the election period appealing to emotion, logic or authority. Usually such kind effective speech elements motivate voters while voting at elections.

“ We all assembled here today, express the support of the state institutions, all political forces and our citizens”

“Undoubtedly, unprecedented international solidarity and unity are achieved due to Ukraine”.

“We all shall understand, realize and get prepared for every possible scenario instead of passively waiting for the future. It is the duty of us all towards our country”.

The annual speech of President of Georgia in the Parliament .The 14<sup>th</sup> of March, 2022

Cognitive linguistics emphasizes embodied cognition, suggesting that our bodily experiences shape the way we think. Engage multiple senses while studying\_\_ read the text out loud, visualize concepts, and even act certain parts. This multisensory approach can enhance memory.

Cognitive linguistics proposes that our understanding of events is organized into mental frames. Break down the text into key frames or scenarios and mentally visualize each one. This helps create a coherent structure for information. Making it easier to remember. Usually it concerns the narration of personal life experience of the politician that may become remarkable and memorable for the audience.

"We should know the good, the bad, the truth of who we are. That's what great nations do and we're a great nation, the greatest of all nations. We're not perfect, but at our best we learn from our past and we look to the future."

Biden speech in Charleston slamming white supremacists interrupted by protestors

The 8<sup>th</sup> of January, 2024

“Thank you, thank you, thank you. Governor Shapiro, you’re doing a fantastic job. You’re one of the \_\_you’re one of the stars among governors these days. And I think whatever you want to do, you’re going to be able to get done.

I want to thank you all. Look, my friend Tom Wolf, who has been a friend for a long time, and Eddie Rendell \_\_ I \_\_ I keep calling him Eddie, and maybe \_\_ I hope you don’t mind, Ed.

I think he’s around here somewhere \_ Rendell. And a big thanks to my friend Chris Coons. It’s a \_\_ it” s good to be almost home.

You know the truth of the matter is \_\_ the truth of the matter is you guys in Philadelphia have been the backbone of every one of my campaigns since I started \_\_ not because I was a Scranton boy and not because I lived down the road in Claymont, Delaware, but because you \_\_ you helped

just stepped up. You helped. Back when I first started , you know, Delaware had \_\_ there was no television station that Delaware had. It was all Philly. And It was expensive to get on Philly from little old Delaware. But you all stepped up for me from the very beginning \_\_ from the time I was 29 years old United States senator.

And to all the members of Congress \_\_ you know, „Adeleine Dean has become a really good friend, Chris Deluzio, Dwight Evans has been around with me fro a while, Chrissy Houlahan, and Mary Scanlon\_\_ you know, I want to thank you for their partnership \_\_ and I mean their partnerships. They’ve stepped in the House when it mattered. They’ve stepped up in the House”

Remarks by President Biden at a campaign Reception/Philadelphia, PA

The 11<sup>th</sup> of December, 2023

Thus, politicians can support to construct a narrative of progress , crisis or resilience to support a political agenda. Analyzing the political texts of Georgian and international political leaders have conditioned my choice of the empiric bias of the research. The political texts of Bizina Ivanishvili, Salome Zourabishvili, Barak Obama and Joe Biden have clearly shown the perspectives of semantical items through the emotional lexical bank and cognitive linguistic process in search of future voters at election in pre-election period. The right choice of the linguistic items may appear to be the most influential for the audience and determining for the political leaders to win as many votes as possible. The novelty of the article has once again proved that the political leaders usually use the same linguistic patterns and syntactic functions to catch the voters attention to gain the votes at elections. The concepts of unity. Integrity and collaboration appear to be the best ground for building the better future for any nation .The discussed examples show how Georgian politicians in post Soviet world follow the same track within the respect to build a new society with the western values.

### Reference:

1. Baldó, R. M. P. (2022). Metaphor and irony on reviews for Spanish and American Prisons. *International Journal of Society, Culture & Language*, 10(1), 1-4. <https://doi.org/10.22034/ijsc.2022.539054.2377> Barber, J. D. (2017). *The presidential character: Predicting performance in the White House*. Routledge. <https://doi.org/10.4324/9781351223706>
2. Bets, M. V. (2012). Axiological correlation of the text of an information-analytical article and commentary in the virtual space of the Runet [Doctoral dissertation, Kemerovo State University]. *Human and Science*. <https://cheloveknauka.com/aksiologicheskaya-sootnesennostteksta-informatsionno-analiticheskoytati-i-komentariya-v-virtualnomprostranstve-runet>
3. Cho, J., Gil de Zuniga, H., Rojas, H., & Shah, D. (2003). Beyond access: The digital divide and Internet use and gratification. *IT & Society*, 1(4), 46-72.
4. Engesser, S., Ernst, N., Esser, F., & Büchel, F. (2017). Populism and social media: How politicians spread a fragmented ideology. *Information, Communication & Society*, 20(8), 1109-1126. <https://doi.org/http://dx.doi.org/10.1080/1369118x.2016.1207697>
5. Gennaro, C., & Dutton, W. H. (2007). Reconfiguring friendships: Social relationships and the Internet. *Information, Communication and Society*, 10(5), 591-618. <https://doi.org/http://dx.doi.org/10.1080/13691180701657949>
6. Gennaro, G., & Ash, E. (2022). Emotion and reason in political language. *The Economic Journal*, 132(643), 1037- 1059. <https://doi.org/10.1093/ej/ueab104>

## პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი რეზიუმე

პოლიტიკური დისკურსი როგორც ლინგვისტური ფენომენი საინტერესოა მსოფლიო პოლიტიკური ლიდერებისთვის. სტატიის მიზანია დაანახოს ფართო საზოგადოებას როგორც პროფესიული ისე პრაქტიკოს პოლიტიკოსთა საჭიროება უკეთ გაათვითცნობიერონ სარეკლამო ტექსტის როგორც პოლიტიკური დისკურსის ნაირსახეობის მნიშვნელობა.

სტატიაში წარმოდგენილი თეორიული კვლევა ეყრდნობა ტექსტზე ორიენტირებული დისკურსის ანალიზს, რომლის ავტორია ნორმან ფეირლოუგი (Norman Fairclough) და კოგნიტური თეორიის ავტორის ჯონ სველერის (John Sweller) თეორიებს. პირველი თეორია დაგვეხმარა დაგვეძებმა თეორიული საფუძველი სწორად გამართული სარეკლამო ტექსტის მახასიათებლების სტილისტური ანალიზისათვის და მეორე თეორია დაგვეხმარა დაგვემტკიცებინა რომ რაც უკეთ გაგებულა ადმის დონეზე მსმენელისათვის მეტად ახდენს ზეგავლენას არჩევნების პერიოდში ხმის მიცემისას.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკოსი, საჯარო გამოსვლა, ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

## სოფიო იმედაძე, მაია შიშინაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველოSophio [imedadze@atsu.edu.ge](mailto:imedadze@atsu.edu.ge); [maishishinashvili@yahoo.de](mailto:maishishinashvili@yahoo.de)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.23>არაბულ-სპარსული წარმოშობის მცენარეთა სახელები სულხან-საბა  
ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით (7)

**საკვანძო სიტყვები:** სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“ მცენარეთა სახელები, არაბული ენა, სპარსული ენა

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“ წარმოდგენილ მცენარეთა სახელებს ავტორის მიერ მითითებული აქვს წარმომავლობა (სპარსულია, არაბულია, თათრულია, ქართული არ არის, სხვათა ენაა და ა. შ.), ზოგიც მითითების გარეშე დატოვებული და მას ავტორი ქართულ სიტყვად მიიჩნევს.

სტატია წარმოადგენს ჩვენი კვლევის მეშვიდე ნაწილს, სადაც განვიხილავთ ქართული ალფაბეტის ტ, ფ, ქ და ყ ასოებით დაწყებულ იმ მცენარეთა სახელებს, რომელთაც აღმოსავლური, კერძოდ არაბულ-სპარსული, ეტიმოლოგია უდასტურდება.

**ტარხუნა – (ბალ.) სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვიან Z. (საბა 1993:134).**

„ტარხუნა [Artemisia dracunculis] სპეციფიკური ცხარე გემოს მქონე სურნელოვანი მწვანელივით; აქვს ხაზური ან ხაზურ-ლანცეტა ფოთლები“ (ქეგლ 1986).

ტარხუნა (სპ. თარხუნ, ან ტარხუნ იგ. მნიშ). Artemisia Dracunculus L (უსწორო კარაბადინი 1940:514); სპარს. მცენ. эстрагонь (რუბინაშვილი 1984: 1216). ირან. ترخون ტარხუნ – Artemisia Dracunculus L. (იადიგარ-დაუდი 1938:723). „ტარხუნა Rus. тархун, эстрагон, L. Artemisia dracunculus L. რაჭული, ლეჩხუმური – ტალხუნა. Synonym: ტალხუნა“ (მაყაშვილი 1961).

ტარხუნა – მცენარე, რომელიც იხსნება წყალში, მარილსა და რძეში ترخون (ალ თუნჯი 1988:116); არაბ. ფორმა ترخون /tarkhæn ბალახი, რომელსაც საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ (ბაშბიში: 134). არაბულ-სპარსული ეტიმოლოგია უდასტურდება ჯონსონის ლექსიკონში ტარხუნა, მწვანელის მნიშვნელობით (ჯონსონი 1852: 815). მოხსენიებულია ყურანშიც. ესაა სურნელოვანი მცენარე, რომელიც საჭმელად გამოიყენება (ალ-ვასიტი). ترخون /tarkhæn არაბიზებული ფორმა. მცენარეა, რომელიც ხორცთან გამოიყენება (მუჰიტი, ლისანუ-ლ ყარაბი).

სპარსულ ლექსიკონებში ტარხუნა წარმოდგენილია تلخون // ترخون // طرخون (თარხუნ//თალხუნ//ტარხუნ) ფორმით: „ტარხუნა (Artemisia dracunculus)“ (რუბინაშვილი 1964, ტ.1: 364). „ტარხუნა, სამკურნალო და საკვები მცენარე“ (ენსაფფური 1377: 212). „არაბიზ. რთულყვავილოვანთა ოჯახის მცენარეა, სწორმდგომი, მისი ბუჩქის სიმაღლე ერთ მეტრამდე აღწევს. მისი ფოთლები გრძელი, წვრილი და სურნელოვანია, აქვს პიკანტური და სასიამოვნო გემო. მისი ყვავილები ყვითელი ფერისაა და პატარა სუმბულების ფორმის განთავსებული არიან ერთ ღეროზე“ (მოინი 1375: 1067). „არაბიზ. Estragon მცენარეა, რომლის ფესვს عاقرقرا -ს უწოდებენ“ (დეჰხოდა 1342: 15413). „ترخان (თარხან), ترخ (თარხ) მცენარეა, რომელსაც სწორი, წვრილი ღეროები და გრძელი, ვიწრო, სურნელოვანი და ცოტა

მდაფრგემოიანი ფოთლები აქვს, საკვებ მწვანილად გამოიყენება და მას ნედლად მიირთმევენ. მადისადმძვრელია და სწრაფად მოსანელებელი, სასარგებლოა გულისტკივილის მოსახსნელად და ყაბზობის საწინააღმდეგოდ, არაბულად طرخس ტარხუნ-ს უწოდებენ“ (ომიდი 1389: 667).

ტარხუნას ფონეტიკური განვითარების გზა ასეთია: სპ. თარხუნ (თალხუნ) -> არაბიზ. ტარხუნ -> ქართ. ტარხუნა (ტალხუნა). ფშვინვიერი თ იქცა მკვეთრ ტ-დ, ხოლო სიტყვის ბოლოს განვითარდა ა ხმოვანი.

#### **უდი – (ხე) ხეა სუნ(ნ)ელი ZABCb (საბა 1993: 155)**

„უდი იგივეა, რაც საბრი“ (ქეგლ 1986)

უდი – (არ. უ'დ) ალოი, ალვა. Aloë s. Aloës L (უსწორო კარაბადინი 1940:515).

„ხეა სუნნელი“ (ქილილა და დამანა: 1031); სურნელოვანი ხეა; ალოე (რუსუდანინი 1957:772). უდი –არ. اءء უდ– ალოი – Aloë s. Aloës L (იადიგარ დაუდი 1938:723). იქვეა უდი ჰინდი, უდის შარბათი, უდის მაჯუნი, უდისალაბ.

ხე, ალოეს ხე, კარგსურნელოვანი (ლეინი ტ.5:2190). ალოეს ხე, არაბ. اءء الصليب/yædu's salx ხის სახლი, რომელსაც ჰქვია fawania. ხე, რომელზეც ცეცხლი ვერ ზემოქმედებს. ნაფოტი, რომელიც კვადრატებად იშლება. იყენებენ როგორც ამულეტს შფოთიანი აშლილობის დროს (ჯონსონი 1852:882). ერთგვარი ხე, წვრილი თუ სქელი, სველი თუ მშრალი (ალ–ვასიტი 2004:635).

არაბული წარმომავლობა უდასტურდება სპარსული ლექსიკონების მიხედვითაც: اءء („უდი) „ალოეს ხე (Aloexyluma gallochum)“ (რუბინჩიკი, 1964 ტ. 2: 196). „ინდური ალოე, აგარის ხე, სამოთხის ხე; ყავისფერი და სურნელოვანი ხე, რომელსაც ცეცხლში ყრიან სასიამოვნო სუნის გამოსაცემად და მის მასალას სამშენებლოდაც იყენებენ“ (ენსაფფური 1377: 727). „არაბ. პარკოსანთა ოჯახის ხეა, რომლის სამშობლო ინდოეთი და ჩინეთია... ამ მცენარის ხის დაწვა სასიამოვნო სუნს გამოყოფს, რაც განპირობებულია ხის უჯრედებში არსებული ფისოვანი და ცხიმოვანი წვენიტ. ხის ფერი ყავისფერია და ასევე გამოიყენება ხის ნაკეთობების დასამზადებლად“ (მოინი 1375: 2363). „არაბ. “ (დეჰხოდა 1342: 16431). „არაბ. ხე, რომელიც იზრდება ინდოეთსა და ბირმაში. მისი ხე ყავისფერი და სურნელოვანია და ცეცხლში ყრიან, რომ სურნელი გამოყოს“ (ომიდი 1389: 1739).

არაბ. 'უდ -> სპ. 'უდ -> ქართ. უდი. ფარინგალური მჟღერი ნაპრალოვანი გ-ის ექვივალენტი ქართულში არ არის და არაბულიდან შემოსულ სიტყვებში უმეტეს შემთხვევაში იკარგება (შდრ.: არაბ. اءء 'ალამ -> ქართ. ალამი).

#### **ფისტა – (ხე) თურქი(ა) ენაა, ქართულად ბუსტული ჰქვია ZAB (საბა 1993:193)**

„ფისტა იგივეა, რაც ფსტა. ფსტა [Pistacia vera] ტანმორჩილი რთულფოთოლა ხე; ისხამს მშრალ, თეთრ გლუვნაჭუჭიან მოგრძო ნაყოფს, რომელსაც მომწვანო, გემრიელი გული აქვს...(სინონ. ბუსტული)“ (ქეგლ 1986).

ფუსტული//ფუსტუცი ნუშსავით, ფუსტუსკას ეძახიან რუსნი; მოაქვსთ აქ (პეტერბურგში) სპარსეთიდან, ლავკებში რომ იკითხო, აქ ბევრია გასასყიდი G. + ეს ნუშსავით არის, მაგრამ წვრილი გული მწვანე აქვს,ქერქი, ესე იგი ნაჭუჭი – თეთრი. ხორასანში მოდის ეს ხილი. საქართველოში არ არის. სპარსეთიდან მოაქვსთ საქართველოშიაც და აქაცა და ლავკებში ჰყიდიან პეტერბურგს. რუსნი ფისტაშკას ეძახიან H (თ. ბაგრატიონი1979:133).

ფუსტუცი – იგივე ფუსტუცი, ან ფუსტული. ფუსტუცი (სპ. ფუსტუცი) იგივე ფუსტული, фисташка. Pistacia Vera L. (უსწორო კარაბადინი 1940:518). ფისტა – სპარს. ბუსტული фисташковое дерево или пиодъ (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1306). ფისტა – ფუსტული فستق–ფუსტუცი –იგ. მწ.Pistacie მცენარისგან Pistacia Vera L. (იადიგარ დაუდი 1938:725). ფუსტუცი ირან. فستق–ფუსტუცი (წიგნი სააქიმოი 329). „ფსტა, ბუსტული Rus. фисташка настоящая L. Pistacia vera L. მესხური – ფისტილი; რაფიელ ერისთავი – ფუსტული; ქანური – ფისტიკი. Synonym: ფისტა, ფისტილი“ (მაყაშვილი 1961).

فستق /fustuq – ცნობილი გემრიელი მარცვლოვანი. ავტორი ფიქრობს, რომ მისი სამშობლო თურქეთია. გავრცელდა ლექსემა ბერძნულში PISTAKION და ინგლისურში PISTACIA. არაბიზებული ფორმა სპარსულად უნდა ჩაიწეროს هسته ფისტა. ა/h იცვლება ʿ/q – ით (ალ თუნჯი 1988:123).

فستق /fustuq სპარსული პისტაკ –იდან წარმოდგარია. არაბიზებული, ცნობილი ხის ნაყოფი, რომელიც კარგია ღვიძლისთვის, კუჭისთვის, კოლიკასა და პირის ღრუს სუნისთვის. არაა ცნობილი, იზრდება თუ არა არაბულ ქვეყნებში (ლეინი ტ.6:2395; ლისანუ–ლ ყარაბი; მუჰიტტი; ალ ვასიტი).

სპარსულ ლექსიკონებში ფისტა هسته (ფესთე(-ა) ფორმითაა წარმოდგენილი: „1. ფსტას ხე (Pistacia), 2. ფსტას ნაყოფი“ (რუბინჩიკი 1964, ტ.1: 299). „ფსტასებრთა ოჯახის ხის ნაყოფი თხელი და მყარი ნაჭუჭით, რომელსაც თხილისა და ნუშისგვარი მსხვილი, გემრიელი გული აქვს“ (ენსაფფური 1377: 171). „[არაბ. فستقا ბერძ. pistakion] თუთუბოსებთა ოჯახის ხე, რომელიც განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს. ველურად იზრდება სირიასა და ავღანეთში (ირანშიც ხორასნის ჩრდილოეთ ნაწილში ველური სახით გვხვდება) და ქერმანში, აზერბაიჯანში, ყაზვინსა და დამღანში ფართოდ არის გაშენებული“ (მოინი 1375: 784). „Pistacia Vera, Pistacia Narbonensis(ლათ.), Pistache (ფრ.) სახელწოდება ხილისა, რომლის ხე გაშენებულია ირანის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის დამღანში, ყაზვინში, რაფსანჰანში და არდესთანში, ხოლო მარავე თაფეში ის ველურად იზრდება. მისი ქერქი გამოიყენება საღებავებისთვის“ (დეჰხოდა 1342: 5613). „მარცვალა, რომელსაც მაგარი კანი აქვს. მისი გული მწვანეა, გემრიელი, ნოყიერი და ცხიმოვანი. შეიცავს B1 და B2 ვიტამინებს. ფსტას ხე ზომიერ კლიმატში იზრდება ირანის სხვადასხვა კუთხეში: დამღანი, ყაზვილი, რაფსანჯანი, არდესთანი“ (ომიდი 1389: 556).

როგორც ჩანს, ქართული ფსტა//ფისტა უნდა მომდინარეობდეს სპარსული سبه ფესთა//ფესთე ფორმიდან. ფშვინვიერმა თ-მ მოგვცა მკვეთრი ტ: სპ. ფესთა -> ქართ. ფსტა//ფისტა. ხოლო ფსტას სინონიმური ბუსტული//ფუსტული//ფუსტუკი უნდა მომდინარეობდეს سبه-ს არაბიზებული ფორმიდან فستق ქუსთუყ.

#### **ქაფური – ხეა ინდოეთს, დაჰკოდენ, ქაფურს გამოიღეს ZAB (საბა 1993: 217).**

„ქაფური [არაბ. ქაფურ] ქაფურის [Cinnamomum camphora] თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე ხე დაფნისებრთა ოჯახისა; ხის ყოველი ნაწილი შეიცავს ქაფურს; ჩვენში ხარობს აჭარასა და აფხაზეთში“ (ქეგლ 1986).

ქაფური – (სპ. ქაქურ – იგ. მნიშ.) Camphora მცენარისაგან Camphora Officinarum L. იქვე მითითებულია ქაფურის მალამო, ქაფურის ყურსი (უსწორო კარაბადინი 1940:520). ქაფურისაებრი – ქაფურისებრი თეთრი (რუსუდანიანი 1957:780). არაბ. كافور ქაქური – ქაფური – ნადულის ხის შედედებული ქაფი, იგ. მნიშვნ (შაჰ–ნამე 1916:836). ქაფური (= ორ. كافك) ქაფური; თეთრის სინონიმი აღმოსავლურ პოეზიაში (ვისრამიანი 1962:751) გვხვდება ამირანდარეჯანიანში: იგი სახლი ქაფურისა იყო (836). ქაფური – არაბ. შედედებული ქაფი ნადულის ხისა, камфора (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1329). ქაფური – არ. كافر ქაქურ იგ.მნ. – Camphora მცენარისაგან Camphora Officinarum N. v. E. (იადიგარ–დაუდი 1938:726). ქაფური – كافر 1. ქაფური (შდრ.) 2. სამოთხის მდინარის სახელი (გ. წერეთელი). ქაფური –არაბ. كافر იგივე მნიშვნ. (წიგნი სააქიმოი: 330). ხისებრი მცენარე, რომელიც რეჰანს და გვირილას ჰგავს. ინდოეთისა და ჩინეთის მთებში. მისი ტოტი თეთრია, მტკრევადი, რომლის ღრუშიც ქაფურია. ინდური სიტყვაა, ძირიდან كاف/kaṅa (ალ თუნჯი 1988:131). სუნი, არომატი, რომელიც აქვს მთის ხეს, რომელიც ხარობს ინდოეთისა და ჩინეთის მთებში. დიდ განშტოებიანია. ქერქი თეთრია. ძალიან რბილი და მსუბუქი. მის გულშია შიგნით ქაფური. მისი სპარსული სახელწოდებაა كاف/kaṅa. იყენებენ მედიცინაში (ბაშბიში: 136). კამფორი, იყენებენ პარფიუმერიაში. ხისგან მიღებული ინდოეთისა და ჩინეთის ზღვების მთებიდან (ლეინი ტ.7:2622).

კამფორი ქაფური: ხე დაფნისებრთა ოჯახიდან, რომელიც შეიცავს გამჭვირვალე კრისტალურ ნივთიერებას, მოთეთრო ფერის. მას აქვს არომატული სუნი, გემო მწარე. ის

ცნობილია როგორც ქაფური და აქვს მრავალი სახეობა (ალ ვასიტი 2004: 792). იყენებენ მედიცინაში (ალ-ლანი).

ქაფური სპარსულ ლექსიკონებში كافور (ქაფურ) كامفر (ქამქარ) ფორმითაა წარმოდგენილი: „1. ქაფური: 2. ქაფურის ხე (Laurus camphora)“ (რუბინჩიკი 1964, ტ. 2: 299). „თეთრი ფერის მცენარეული წამალი, მკვეთრი, სასიამოვნო სუნითა და სამკურნალო და ანტისეპტიკური თვისებებით, რომელიც მიიღება ამავე სახელწოდების დაფნისებრთა ოჯახის ხისგან“ (ენსაფფური 1377: 844). „[ფალ. Kāpūr = არაბ. كافور სანს. kappūra] ორი სახის მცენარის სახელი, რომელთაგან ერთს Cinnomomum camphora და მეორეს Dryobalanops camphora ეწოდება და ორივე ჯიშის ხე იაპონიაში, ჩინეთში, კუნძილ სუმატრაზე, ინდოეთში იზრდება. ხის ქერქზე ბზარების გაჩენით ხეების ღრეობიდან ქაფურს იღებენ“ (მოინი 1375: 2848). „არაბ., მრ. რ. كافير/كافور სურნელოვანი მცენარე, რომლის ყვავილი ჰგავს ქრიზანთემას. ინდურად მას „ქაბურ“-ს უწოდებენ...“ (დეჰხოდა 1342: 18056). „ფალ. Kāpur كافر ქამქარ, სურნელოვანი და თეთრი წამალი, რომელიც მიიღება ზოგიერთი მცენარისგან, განსაკუთრებით ცნობილი ქაფურის ხისგან. ქაფურის ხე აზიის ჩრდილოეთში, ინდოეთის ჩრდილოეთ მთიან რაიონში, ჩინეთში და იაპონიაში იზრდება. სიმაღლე 50 მეტრამდე და გარშემოწერილობა 2 მეტრამდე აღწევს. მისი ყვავილები პატარა და თეთრია, ფოთლები - ოვალური და მწვანეა, განსაკუთრებული სურნელი აქვს. ქაფური ზოგჯერ ხის ნახეთქებიდან დაკრისტალებული სახით გამოდის. ხის ფოთლებიდანაც იღებენ ქაფურს“ (ომიდი 1389: 1932).

როგორც ვხედავთ, ქაფურს ფონეტიკური ცვლილება არ განუცდია. რადგან არაბულ-სპარსული ლაბიო-დენტალი ყრუ ف-ს შესაბამისი ფონემა ქართულში არ მოგვეპოვება, იგი ძირითადად გადმოდის წყვილბაგისმიერი ხშული ფ-ით (შდრ. არაბ. سفه სუფრა -> სპ. სოქრა(ე) -> ქართ. სუფრა).

**ქურქუმა - (4,14 ქება) ყვავილია, სუნ(ნ)ელი, ყვითელი (+და ZA) ორტაბახი ZAB; ყვავილია სულნელი და ორტაბახი; გრიგოლის 12 ექვსთა დღე: “რამეთუ განყვითლებული ფერი შეწუხებულისა, ქურქუმისა სახე იქმნების” E (საბა 1993: 241).**

„ქურქუმა [Curcuma aromatica] სამხრეთ აზიაში გავრცელებული ბალახოვანი მცენარე; მის ფესურებში ყვითელი საღებავია; ფესურებს იყენებენ საჭმლის შესაკაზმავად“ (ქეგლ 1986). „ქურქუმა Rus. Куркума L. Curcuma aromatica L“ (მაყაშვილი 1961).

كركر/kurkum - ზაფრანა, ზამბახი (ალ თუნჯი 1988:134).

كركر/كركر kurkub/kurkum სინონიმური ფორმებია. ტკბილსურნელოვანი მცენარე (ლეინი ტ.7: 2607). ზაფრანა, ყვითელია (ჯონსონი 1852:1005).

ინდური სამკურნალო მცენარე, მისი ფესვები გამოიყენება როგორც ტკბილეული და მკვეთრი ყვითელი საღებავი (ალ ვასიტი 2004:784). ქურქუმა ზაფრანის არაბული სახელწოდებაა. ქურქუმანი კი წამალი, რომელიც კურკუმას მიეწერება, მცენარეს, რომელიც ჰგავს ძირას, რომელსაც წამლებში ურევვენ (ლისანუ-ლ ყარაბი).

სპარსული ლექსიკონების მიხედვითაც ქურქუმას ძირითადად არაბული წარმომავლობა უდასტურდება: كركر (ქორქომ) „ქურქუმა, ყვითელი Curcuma“ (რუბინჩიკი 1964, ტ. 2: 320). „ებრ. ზაფრანა“ (ენსაფფური 1377: 865). „[არაბ., ებრ. Karkom, არამ. Kūrke mā] 1. ზაფრანა (ლათ. Crocus sativa), 2. ინდური ზაფრანა (ლათ. Curcuma long), 3. ჯანჯაფილი“ (მოინი 1375: 2949). „ზაფრანა, ლეისი განმარტავს, რომ ეს არის ზაფრანა, ხოლო აბუ უმარი ამბობს, რომ كركر და كركر არის ბოსტნეული, რომელიც ჰგავს ზაფრანას“ (დეჰხოდა 1342: 18277). „არაბ. ზაფრანა“ (ომიდი 1389: 1959).

როგორც ვხედავთ, სრული ფონეტიკური დამთხვევა ხდება: არაბ. ქურქუმ // სპ. ქორქომ -> ქართ. ქურქუმა. სიტყვის ბოლოს მოხდა ა ხმოვნის განვითარება.

**ყარამფილი - (ხე) მიხაკი ZABC ყარამფილის ყუავილი ZAB (საბა 1993: 263)**

„ყარამფილი იგივეა, რაც მიხაკი“ (ქეგლ 1986).

ყარამფილი (იოს. გაბაშვილი, ანბანთქება) სურნელი ყვავილი არის X, 248 ნახე მიხაკი (თ. ბაგრატიონი 1978:138). მიხაკი - რუსნი ეძახიან ღვოზდიკა, სპარსნი - ყარამფილ. ეს

სუნნელი ყვავილი არის (იქვე: 85). „მიხაკის ხე, მიხაკი Rus. гвоздичное дерево L. *Syzygium aromaticum* (L.) Merril et Perry (= *Caryophyllus aromaticus* L., *Eugenia caryophyllata* Thnb.). ქართლური – ყარამფილი; სულხან-საბა-ორბელიანი – კარიოფილა“ (მაყაშვილი 1961).

ყარამფული (არ. ყარანჭულ) *Caryophylli* მცენარისაგან *Caryophyllus Aromaticus* L. იგივე მიხაკი (უსწორო კარაბადინი 1940: 523). ყარამფილი – (ოსმ.) კარიოფილა, მიხაკი, гвоздика (დ. ჩუბინაშვილი 1984). ყარფალის წყალი – უნდა იყოს ყარანჭულის წყალი ანუ მიხაკის (იადიგარ დაუდი 1938:727). قارنفل/qurunful ცნობილი მცენარე. იტყვიან, ის ბერძნული წარმომავლობისაა KARUO'PPULON, მაგრამ სინამდვილეში, ის ინდური წარმოშობისაა (ალ თუნჯი 1988:127).

არაბ. قارنفل/qaranful - მიხაკი, ყვავილი; სპარს. قارنفل ბაზილიკის სახეობა (ჯონსონი 1852:960). ინდური მცენარე, რომელიც არაბულ მიწაზე არ იზრდება (ლისანუ-ლ ყარაბი).

მიხაკი, მიხაკისებრთა ოჯახიდან. ის მოჰყავთ თბილ ქვეყნებში. და მის გამომშრალ ყვავილის ფოთლებს იყენებენ როგორც ტკბილეულს (ალ-ვასიტი 2004:731). მცენარე, რომლის ყვავილებსაც კრეფენ, სანამ გაიშლება. მერე აშრობენ. ეს ძალიან კარგი ტკბილეულია. არის თეთრი-იასამნისფერი შეფერილობით (ალ-ღანი). ხალხური დასახელება მიხაკი. სამშობლო ჩინეთი, ინდოეთი, ტროპიკული და სუბტროპიკული რეგიონები (ბოტანიკური ლექსიკონი).

მიხაკი. ხის ნაყოფი ინდოეთის ქვედა ნაწილში. ყველაზე საუკეთესო და გემრიელი სანელებელი. ზოგიერთს აქვს ყვავილები და ეწოდება მამრობითი, ზოგიერთს აქვს ნაყოფი და ეწოდება მდედრობითი. მისი ყვავილი უფრო გონიერია. ორივე სასიამოვნოა, იწოვს ნესტს, ასუფთავებს ტვინსა და გულს, ატონიზირებს, სასარგებლოა გულისცემისთვის, მხედველობისთვის, გონების დაბნელებისთვის, გემოვნებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის (მუჰიტის ლექსიკონი).

ყარამფილი სპარსულ ლექსიკონებში ძირითადად არაბიზებულ ფორმადაა მიჩნეული: قارنفل (ყარანჭოლ) „თურქული მიხაკი, წვერიანი მიხაკი (*Dianthus barbatus*)“ (რუბინჩიკი 1964, ტ. 2: 265). „ბერძ. მცენარე დეკორატიული მიხაკი, რომლის ყვავილები სხვადასხვა ფერისაა“ (ენსაფფური 1377: 815). „[არაბიზ. ბერძ. Karuophulon] ორლებნიანთა კლასის მიხაკისებრთა ოჯახის მცენარე. ერთწლიანი მცენარეა, თუმცა გააჩნია რამდენიმე მრავალწლიანი სახეობა. მისი ფოთლები გრძელი და წვეტიანია, ხოლო ყვავილები – წითელი ან ვარდისფერი... მიხაკისაგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ ერთი ყვავილი აქვს, ყარამფილის ყვავილები ღეროს ბოლოში ყვავილედის სახითაა განლაგებული...“ (მოინი 1375: 2666-2667). „არაბიზ. მიხაკი. ეს არის ხის ნაყოფი ან ყვავილი, რომელიც გვხვდება ინდოეთის კუნძულებზე...ყვავილია, რომელიც ინდოეთიდან მოდის. სახელწოდება მომდინარეობს كرك قارنفل (ქარან ფჰულ)-დან, რაც ინდურ ენაზე 'ყურის ყვავილს' ნიშნავს. ინდოელი ქალები ამ ყვავილებს ყურის ნახვრეტში იყრიდნენ, რომ არ შეხორცებოდათ. სპარსულად მას მიხაკს უწოდებენ და ყარამფოლ არაბიზებული ფორმაა“ (დეჰხოდა 1342: 17519). „არაბ. قارنفل ყარანჭულ, „ბერძნულიდან შემოსული“, მცენარეა, მიხაკების ოჯახიდან, მისი ბუჩქი დაბალია და გრძელი ფოთლები აქვს. ყვავილები ვარდისფერია და 5 გვირგვინის ფურცელი აქვს“ (ომიდი 1389: 1886).

ყარამფილის ფონეტიკური სახეცვლილება ასეთია: არაბ. قارنفل ყარანჭულ -> სპ. ყარანჭოლ -> ქართ. ყარამფილი. არაბულ-სპარსული ლაბიო-დენტალი ყრუ f-ს შესაბამისი ფონემის ქართულში არ არსებობის გამო, იგი გადმოვიდა წყვილბაგისმიერი ხშული ფ-ით.



### ლიტერატურა:

1. აბულაძე ილ. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. აბულაძე ილ. (1938). „ვისრამიანი“, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და ვ. კეკელიძის რედაქციით. ლექსიკონი ი. აბულაძის. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
3. აბულაძე იუსტ. (1916). შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. აბულაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ქართლი“.
4. ალ-ვასიტი (2004) – المعجم الوسيط الطبعة الرابعة مكتب الشروق الدولية
5. ალ-თუნჯი (1988). معجم المعربات الفارسية في اللغة العربية. دمشق: التونجي م.
6. ბაგრატიონები დავით და იოანე (1967). ლექსიკოგრაფიული ნაშრომები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“
7. ბაგრატიონი თ. (1979). წიგნი ლექსიკონი, „მეცნიერება“. თბილისი.
8. ბაგრატიონი ი. (ბატონიშვილი) 1986 - საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი - ტექსტი გამ. მოამზადეს თინა ენუქიძემ და ნანა კიკნაძემ; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „მეცნიერება“, 1986.
9. ბარანოვი ხ. (1984): Арабско-русский словарь, „Издатель русский язык“. Москва.
10. გირგასი ვ.გ. (2006): Арабско-русский словарь к корану и хадисам, М-СП, 2006, „ДИЛЯ“ Москва.
11. გორგიჯანიძე, ფ. (1941). ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი. გამოსცა ვ. ფუთურაძემ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
12. دهخدا علی اکبر، لغت نامه دهخدا، مؤسسه انتشارات دانشگاه تهران، 1342 (1342).
13. ენსაფფური ღ. (1377) - انصاف پور غلامرضا، کامل فرهنگ فارسی (یا فرهنگ دری برای ملل ایرانی: تاجیک، افغان، خوارزم، فارسی زبانان از بنگال و هند و پاکستان تا قفقاز و آسیای غربی کرد). تهران. 1377
14. „ვეფხისტყაოსნის“ მასალები - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი.
15. იადიგარ-დაუდი (1938). ლადო კოტეტიშვილის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბილისი: „საქ. ბიომედიკა“
16. კობიძე დ. (1983). შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების მესამე ტომის ლექსიკონი, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. ტ. I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
17. ლეინი ე.ვ. (1865-1893): Lane E.W., Arabic-English Lexicon, "Frederick Ungar Publishing Co." New-York.
18. ლეკიაშვილი ვ. (1992): ორიენტალიზმები ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი
19. „მამათა ცხოვრებანი“ 1975 - ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნაიშვილმა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
20. მაყაშვილი ალ. (1961). ბოტანიკური ლექსიკონი. მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
21. მოინი მ. ა. (1966): M.A. Mo'in, Persian Dictionary, Tehran, "Amir qabir".
22. მოინი მ. (1375) - معین، محمد. فرهنگ فارسی (متوسط). مؤسسه انتشارات امیر کبیر. تهران. 1375
23. ნეიმანი ალ., - ქართულ სინონიმთა ლექსიკონი
24. ომიდი ჰ. 1389 - 1389 عمید حسن، فرهنگ فارسی عمید، انتشارات مجید،
25. ოსმალურ - თურქული ლექსიკონი (2007). Osmanlı Türkçesi Sözlüğü. Ankara: Beşineî Basım

26. რუბინჩიკი იუ. ა. (1964): Рубинчик Ю. А.Персидско-русский словарь, I, II, изд. „Русский язык, Москва
27. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ.I , II, თბილისი 1991 და 1993: „მერანი“.
28. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ტ. I- VIII (პროფ. არნ.ჩიქობავას საერთო რედაქციით), თბილისი 1950-64:„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
29. ქანანელი (1940). უსწორო კარაბადინი. ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა. თბილისი: „საქმედგამი“
30. ქილილა და დამანა (1940). „ქილილა და დამანა“ სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა: „მერანი“
31. ჩუბინაშვილი დ. (1984): ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
32. ჩუბინაშვილი ნ. (1971–73) – „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (ალ.დლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით), ტ.I-II, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“
33. „წიგნი სააქიმოდ“ (1936). კოტეტიშვილი ლ. (1936). „მედიცინა ძველ საქართველოში XIII საუკუნე“. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, სამედიცინო სექტორი.
34. ჯონსონი (1852) - Jonson F. (1852), A Dictionary Persian, Arabic and English. London: Published under the Patronage of the Honourable East-india company.

**Sophio Imedadze, Maia ShiShinashvili**

Akaki Tsereteli State university

Kutaisi Georgia

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.23>

### **The names of the Arab-Persian origin plants according to Sulkhan-Saba Orbeliani “Georgian Dictionary” (7)**

#### Abstract

There is a vocabulary of oriental origin, the plant names that are sorted by the author, next to the word according to species (tree, grass, flowers) in Sulkhan-Saba Orbeliani’s "Georgian Vocabulary".

As with other lexical units, Sulkhan-Saba points to the origin of different plants (Persian, Arabian, Tatar, not Georgian, other language, etc.), some are left without reference and the author considers them as a Georgian word.

The aim of the work is to identify the names of Arab-Persian origin plants in Sulkhan-Saba Orbeliani’s "Georgian Vocabulary", to indicate their etymological origin and ways of settlement in Georgian language.

This paper is the seventh part of our study. The names of plants beginning with the letters of the Georgian alphabet “t-gh”, which are confirmed by the Eastern, in particular, Arabic-Persian etymology.

In this regard we will study Georgian-Eastern linguistic relations. All lexical items will be checked in the etymological dictionaries of the respective languages and dialects, we will determine and use the phonetic regularities that are bases of the phonetic conclusions of the vowels and consonants between the words of the unrelated languages.

**Key words:** Sulkhan-Saba Orbeliani, “Georgian Dictionary”, Plants, Persian, Arabian Persian, Arabian Languages.

ნანა იობიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nana.iobishvili@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.24>

## გასართობი თოქშოუსა და ახალი ამბების ზოგადი სტრუქტურული შედარება

**საკვანძო სიტყვები:** თოქშოუს ინტერვიუ, ახალი ამბების ინტერვიუ, გადაცემის გამხსნელი სიგნალები, გადაცემის დახურვა, საუბრის ანალიზი (CA).

პროტოტიპული ახალი ამბების ინტერვიუს აღწერით საშუალება გვძლევს განვასხვავოთ ახალი ამბების ინტერვიუ თოქშოუს ინტერვიუსაგან. გთავაზობთ მონაწილეების, თემატიკის და პროტოტიპული ინტერვიუს ფორმის აღწერას. **ინტერვიუერი (Interviewer-IR)** არის პროფესიონალი ჟურნალისტი და არა მიკერძოებული ადვოკატი ან ცნობილი ადამიანების გამართობი. **რესპოდენტებს (რეციპიენტებს) (Interviewee-IE)** აქვთ გარკვეული კავშირი ბოლოდროინდელ ახალ ამბებთან, როგორც პირველადი მონაწილეები (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეები), ან ინფორმირებული კომენტატორები (მაგალითად, სერტიფიცირებული ექსპერტები). აუდიტორია არ თამაშობს აქტიურ როლს ინტერაქციაში. დისკუსია ჩვეულებრივ ფოკუსირდება ბოლოდროინდელი ახალი ამბების მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ძალიან ფორმალური ხასიათისაა და უპირველესად იმართება კითხვა-პასუხის რეჟიმში (კლეიმენი და ჰერიტეჯი, 2002:7).

ახალი ამბების ინტერვიუს ასპექტების განხილვა კარგი საწყისია ახალი ამბებისა და თოქშოუს ინტერვიუების შედარებისათვის. რითაც ცხადი გახდება, რომ თუ ჩვენ ყოველდღიურ საუბარს და ახალი ამბების ინტერაქციას კონტინუუმის ორ ბოლოში განვათავსებთ, თოქშოუ იქნებოდა სადმე შუალედში. მიუხედავად იმისა, რომ თოქშოუ ახალი ამბების ინტერვიუსთან უფრო ახლოსაა, მათ ჩვეულებრივი საუბარის თვისებებიც აქვთ.

განსხვავებების განხილვისას მიზანშეწონილია გამოვყოთ ანალიზის ორი დონე: ინტერვიუს **გარემო (ჩარჩო)** და თავად საუბრის სტრუქტურა. **გარემოში (ჩარჩოში)** შედის ინტერვიუერისა და რესპოდენტის (რეციპიენტის) პროფესიული როლი, აუდიტორიის როლი და ატმოსფეროს (ვითარების) ტიპი. როდესაც თავად საუბრის სტრუქტურას ვხედავთ, შეიმჩნევა განსხვავებები ჯერის აღების სისტემებში. **გახსნები (დასაწყისები)** და **დახურვები** განსხვავდება, ისევე როგორც ინტერვიუერისა და რესპოდენტის (რეციპიენტის) მონაწილეობა საუბარში. I დონე კონტექსტის სოციოლოგიური კონცეფციის მსგავსია და აქცენტს აკეთებს გარემოზე; იმ ასპექტებს, რასაც თოქშოუს კონტინუუმში (სათავსოში) შესვლისას ვნახავთ. II დონე უფრო მეტად კონცენტრირებულია მონაწილის ამ კონტინუუმში (სათავსოში) ორიენტირებაზე.

პროტოტიპული ახალი ამბების ინტერვიუს აღწერაში ს. კლეიმანმა და ჯ. ჰერიტეჯმა აღნიშნეს, რომ ახალი ამბების ინტერვიუერი პროფესიონალი ჟურნალისტი. გასართობი თოქშოუს წამყვანები, როგორც წესი, არიან ტელეწამყვანები ან კომიკოსები, მაგალითად ჯონათან როსი არის სატელევიზიო და რადიო წამყვანი, ხოლო ჯეი ლენო მაღალი დონის

იუმორისტი და სატელევიზიო ფიგურა. ისინი უფრო მეტად არიან დაკავშირებული გასართობ ინდუსტრიასთან, ვიდრე ინფორმაციის სამყაროსთან. შესაბამისად, გამოკითხული სტუმრებიც ასევე განსხვავდებიან. ახალი ამბების ინტერვიუები, როგორც წესი, ინტერვიუს იღებენ კოლეგა ჟურნალისტისგან, რომელიც სტუდიაში შემოდის ან ახალი ამბების გასაშუქებლად ადგილზე იმყოფება. რესპონდენტი შესაძლოა ასევე იყოს პოლიტიკოსი, პროფესორი ან კრიტიკოსი, რომელსაც ახალი ამბების შესახებ ეკითხებიან პროფესიულ აზრს. ამ უკანასკნელი ჯგუფის საერთო მახასიათებელია ის, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც ავტორიტეტული ფუნქცია აქვთ. ამ ჯგუფის წევრი ხშირად გასართობ თოქშოუშიც ჩნდება. მისი გარემო განსხვავებულია ახალი ამბების ინტერვიუსაგან.

ქ. ილი წერს, რომ ექსპერტებისგან განსხვავებით, რომლებსაც ახალი ამბებისა და პოლიტიკურ ინტერვიუებში კითხვებს უსვამენ და კონსულტაციებისათვის მიმართავენ და რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, თითქმის მხოლოდ თავიანთი ინსტიტუციური როლის შემსრულებელი არიან, გასართობ თოქშოუში მონაწილე სტუმრები და ექსპერტები ჩვეულებრივ, რადიკალურად განსხვავებულ ინსტიტუციურ როლს ასრულებენ, ისინი ნაწილობრივ თავიანთ პროფესიულ როლებს ასრულებენ, ნაწილობრივ კი, როგორც ჩვეულებრივი პიროვნებები - სოციალურ/პირად როლებს (ილი, 2001:231).

ახალი ამბების ინტერვიუში ექსპერტებს, პოლიტიკოსებსა და კრიტიკოსებს ეკითხებიან მოსაზრებებს ახალი ამბების შესახებ. გასართობ თოქშოუებშიც ასევე მათ სთხოვენ პროფესიულ მოსაზრებებს; ამასთან, ისინი მოწვეულნი არიან, რათა დამატებით ისაუბრონ საზოგადო ინტერესის სფეროებზე, როგორცაა პირადი ცხოვრება და იმჟამინდელი საქმიანობა. ახალი ამბების ინტერვიუში უფრო ფორმალური ატმოსფეროა, ხოლო გასართობ თოქშოუში უფრო არაფორმალური და გასართობი. ხშირ შემთხვევაში თოქშოუს სტუმრები კარგად იცნობენ გასართობ სამყაროს. მათი უმრავლესობა მსახიობი, რეჟისორი, კომიკოსი, წამყვანი, მუსიკოსი, სპორტსმენი და ა.შ. არიან.

საუბრის ანალიზის (CA) ფარგლებში უფრო საინტერესოა ის, რომ საუბრის სტრუქტურა ახალი ამბების ინტერვიუებში განსხვავდება თოქშოუებისგან. ი. ჰატჩი აღნიშნავს, რომ საუბრის ანალიზი (CA) აჩვენებს იმას, რომ სამაუწყებლო საუბრის შუამავლობა არის სამაუწყებლო მოსაუბრეების აქტიური სამუშაო, მნიშვნელობა არ აქვს იქნება ეს საზოგადო თუ პროფესიონალური, რომელიც სრულდება საუბრის თანმიმდევრობისა და ჯერის მონაცვლეობის სტრუქტურით (ჰატჩი, 2006:163).

ახალი ამბების ინტერვიუებში ჯერის აღების სისტემა წინასწარ არის განაწილებული: ინტერვიუები შემოიფარგლებიან კითხვების დასმით, ხოლო მოპასუხე მხარეები - რესპოდენტები (რეციპიენტები) პასუხობენ. გასართობი თოქშოუებიც ასევე შედგება კითხვებისა და პასუხისგან, მაგრამ ჯერების განაწილება განსხვავებულადაა შემუშავებული. ასეთ საუბარში ინტერვიუერი და მოპასუხე მხარე ნაკლებად შეზღუდულნი არიან.

დ. გრეიტბახის აზრით, ეს განპირობებულია სხვადასხვა აუდიტორიის ჩვეულებებით. მაშინ, როდესაც ახალი ამბების ინტერვიუში აუდიტორია პირველადი მიმღები პირია, თოქშოუს ინტერვიუებში ხშირად დაგეგმილია სატელევიზიო ან რადიო აუდიტორიის მიენიჭოს მსმენელის როლი (გრეიტბახი, 1988:424). ამ მოსაზრებას აჟღერებენ ასევე ჯ. ჰერიტეჯი და ს. კლეიმენი, როდესაც ამბობენ, რომ ახალი ამბების ინტერვიუებში ის აუდიტორიაა, რომლისთვისაც იქმნება ინტერვიუ (ჰერიტეჯი და კლეიმენი, 2010:29). რა თქმა უნდა, თოქშოუებში აუდიტორიის განსხვავებულ როლს გარკვეული შედეგები მოაქვს.

ერთ-ერთი ასეთი შედეგი გახლავთ გაგრძელებების (continuers) გამოყენება. ახალი ამბების ინტერვიუები არ იყენებენ მათ, ხოლო თოქშოუს წამყვანები კი. გაგრძელებები (continuers) - ნიშანს აძლევს პასიურ მიმღებს ან მსმენელს. ე. შეგლოფი განმარტავს გაგრძელებებს (continuers), როგორც ქცევით ნიშნებს (behavioural tokens) - მაგალითად, აჰ ჰაჰ, მმ ჰმ და ჰო (uh huh, mm hm, and yeah) - რომელთაც ადრესატები (რეციპიენტები) რეგულარულად იყენებენ გადასვლის (რელევანტურ) შესაბამის ადგილებში, საუბრის ფართო ერთეულის

განმავლობაში (შეგლოფი, 1982; გრეითბახი, 1988:411). ამ ნიშნებს წინ უძღვის და მოსდევს მორიგეობით (ჯერის ალებით) ამბის გადმოცემა. გაგრძელებლები მიუთითებენ, რომ მსმენელი უსმენს და ის არ აპირებს სასაუბრო სიტყვით გამოსვლას. მათ გამოყენებას აქვს ორი მიზანი: პირველ რიგში, თოქშოუს წამყვანები იყენებენ გაგრძელებლებს (continuers), მათი, როგორც ძირითადი მიმღებების როლის დასამტკიცებლად. მეორეც, წამყვანები აჩვენებენ, რომ ისინი ყურადღებას აქცევენ სტუმრის ნათქვამს. ისინი ამ ნიშნებს იყენებენ გადასვლის (რელევანტურ) შესაბამის ადგილებში იმის მისანიშნებლად, რომ ისინი კვლავ მისდევენ (უსმენენ) და რომ მოსაუბრეს შეუძლია გააგრძელოს თავისი ამბავი.

გასართობი თოქშოუს სტუმრები ხშირად წარმოადგენენ პირადი გამოცდილების ამბებს. ეს ამბები არის მრავალერთეულიანი, საუბრის გაფართოებული ჯერები (multi-unit, extended turns at talk) (ლიდიკოუტი, 2007:279). მართალია, ახალი ამბების ინტერვიუებშიც გვხვდება მრავალერთეულიანი საუბარი (multi-units at talk), მაგალითად, როდესაც ინტერვიუერი ახსენებს მომხდარს. ამასთან, ეს მონაცვლეობები არ არის თოქშოუებში ამბების თხრობის ხერხის სადარი. ისტორიები (ამბები) ხშირად ხდება და ისინი მოგვითხრობენ ერთგვარ პირად გამოცდილებას ან როგორც ჯ. ტორნბოროუ ამბობს, სატელევიზიო თოქშოუების ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისება არის საზოგადო გამოცდილების ნარატივიზაცია (ტორნბოროუ, 2001:117).

გასართობი თოქშოუს ინტერაქცია ყოველდღიური დისკურსისგან იმით განსხვავდება, რომ ასეთ თოქშოუებში ხშირად არის იმის პრაქტიკა, რომ არ მოხდეს ამბის შესავლის თავდაპირველად წარდგენა. ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ სტუმრები თვლიან, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ამბების მოყოლა, რადგან ისინი სწორედ ამისათვის არიან იქ. შესაბამისად, თოქშოუს წამყვანები იყენებენ არა მხოლოდ გაგრძელებლებს, არამედ შეფასებებს და მოწონებას. მასპინძლები, როგორც წესი, ადგენენ შეფასებებსა და კომენტარებს, როდესაც პირადი გამოცდილების ამბებს იზიარებენ. ამასთან, როდესაც საჯარო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი დაპირისპირების საკითხები წამოიჭრება, ისინი ჩვეულებრივ მათი ამ საგნების გამოყენებაში უფრო მეტად დაცულნი არიან (გრეითბახი, 1988:425).

როდესაც პირადი გამოცდილების ამბებია მოთხრობილი, სამეტყველო სიტუაცია ახლოსაა ყოველდღიური საუბრის (everyday conversation) სიტუაციასთან. ეს არის სიტუაცია, რომელშიც მონაწილეები ამგვარ კომენტარებსა და შეფასებებს წარმოქმნიან. სიტუაცია, რომელშიც განიხილება საჯარო პოლიტიკის საკითხები, ასახავს ინსტიტუციურ საუბარს და თუ ინტერვიუერები წარმოადგენენ შეფასებებს ამ ტიპის სიტუაციებში, ეს მათი „პროფესიული მთლიანობის კომპრომეტირებას მოახდენს“ (გრეითბახი, 1988:425). დ. გრეითბახმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ გაგრძელებების გამოყენება მეტწილად ნეიტრალურია, შეფასებები კი არა;

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება ახალი ამბების ინტერვიუებისა და თოქშოუების სტრუქტურას, ცხადი ხდება ახალი ამბების ინტერვიუების გახსნისა და დახურვის თოქშოუებთან შედარებისას. ს. კლეიმენი და ჯ. ჰერიტეჯი წერენ, რომ, ინტერვიუერებსა და რესპოდენტს (რეციპიენტს) შორის ინტერაქციულ გაცვლებზე უფრო მეტად ჩვეულებრივი გახსნები შედგება მხოლოდ ინტერვიუერის (IR) მიერ წარმოებული გახანგრძლივებული მონოლოგისგან, რომ საუბრის დაწყების ნაკადი პირდაპირ მიმართულია უფრო მეტად აუდიტორიაზე, ვიდრე რესპოდენტზე (რეციპიენტზე) (IE) (კლეიმენი და ჰერიტეჯი, 2002:59).

როდესაც ახალი ამბების ინტერვიუს გახსნას აღწერენ, ს. კლეიმენი და ჯ. ჰერიტეჯი ამტკიცებენ, რომ ინტერვიუს მონაწილე მხარეები მხოლოდ იშვიათად ესალმებიან - **hellos and good evenings (გამარჯობა და საღამო მშვიდობის)**, ასევე არ არსებობს პირადი კითხვები, როგორცაა - **How are you? - „როგორ ხარ?“**. ამასთან, უფრო ხშირია სხვაგვარი მისალმებები. ხშირია ისეთი არავერბალური ნიშნების გაცვლა, როგორცაა ხელის ჩამორთმევა და გადაკოცნა. ხშირად მონაწილეები ერთმანეთს სხვადასხვა სიტყვებს ეუბნებიან, მაგრამ ეს

არ ისმის, რადგან შესავალი მუსიკა ფარავს საუბარს.

დახურვისას კი თოქშოუები მჭიდროდ უკავშირდება ახალი ამბების ინტერვიუებს. ს. კლეიმენი და ჯ. ჰერიტეჯი აღნიშნავენ, რომ ახალი ამბების ინტერვიუებისათვის მიზანშეწონილია ჰქონდეთ დრო, რომ შეწყვიტონ შეხვედრა დროის წინასწარ განსაზღვრულ მონაკვეთში ან ბევრად არ გადააშორონ მას. ასე იმიტომ ხდება, რომ ახალი ამბების ინტერვიუ მაუწყებლობის დაგეგმვის მოთხოვნების შესაბამისად შეზღუდულია დროში. გასართობი თოქშოუს წამყვანები სამაუწყებლო საუბრების დროის შეზღუდვების შესახებ ინფორმირებულობას ავლენენ კომერციული შესვენების გამოცხადებისას და ინტერვიუს დასრულებისას. მართლაც, ახალი ამბების ინტერვიუებშიც ინტერვიუერი განსაზღვრავს როდის დასრულდება საუბარი. ეს რადიკალურად განსხვავდება ჩვეულებრივი საუბრისგან, სადაც საუბრის დასასრული ჩვეულებრივ წინასწარ არ არის განსაზღვრული (კლეიმენი და ჰერიტეჯი, 2002:73).

ჩვეულებრივი საუბრების დახურვა ხდება რიტუალიზებული დამშვიდობებების გაცვლით, როგორცაა „ნახვამდის“ - ‘goodbye’ ან მისი ეკვივალენტები. ეს ასე არ ხდება ახალი ამბების ინტერვიუებში, როგორც ს. კლეიმენი და ჯ. ჰერიტეჯი აღნიშნავენ, ახალი ამბების ინტერვიუების დახურვა, პირიქით, გამოირჩევა რიტუალიზებული გამოსამშვიდობებლების არარსებობით. ასევე გასართობ თოქშოუებშიც. გასართობი თოქშოუს დახურვა ჰგავს ახალი ამბების ინტერვიუების დახურვას, სადაც მაღლიერების გამოხატვა - არის რეაქცია და აღვიძებს მათ როლზე დაფუძნებულ თვითმყოფადობას და იმ ამოცანას, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ (კლეიმენი და ჰერიტეჯი, 2002:74). ამასთან, მაღლიერების გამოხატვის სახეები განსხვავდება ახალი ამბების ინტერვიუებისაგან. ახალ ამბებში ინტერვიუერი, როგორც წესი, ძალიან მოკლედ მაღლობას უხდის თავის რესპოდენტს (რეციპიენტს). კიდევ ერთი განსხვავება, რომელიც გასართობი თოქშოუს დასრულებას ახასიათებს და განსხვავდება ახალი ამბების ინტერვიუებისგან არის ის, რომ წამყვანი და სტუმარი ხშირად ხელს ართმევენ ერთმანეთს. როგორც წესი ეს არ ხდება ახალი ამბების ინტერვიუებში.

და ბოლოს თოქშოუები განსხვავდება ახალი ამბების ინტერვიუებისაგან მრავალი თვალსაზრისით. თოქშოუები გასართობი სახეობაა. შესაბამისად, თოქშოუს წამყვანი პროფესიონალი ჟურნალისტი არ არის, საუბარი გასართობია და სტუმრები გასართობი ინდუსტრიის წარმომადგენლები. თოქშოუებში აუდიტორიას პირადად არ მიმართავენ; ამიტომ ინტერვიუერი იყენებს გაგრძელებებს და წარმოადგენს შეფასებებს საჭიროების შემთხვევაში. ჯერის აღების სისტემა არ არის მისი მკაცრი გაგებით წინასწარ განაწილებული და მოიცავს უფრო ხშირად მრავალ ერთეულიან ჯერებს. ახალი ამბების ინტერვიუების გახსნისგან განსხვავებით, თოქშოუების გახსნა საკმაოდ პირადია. ახალი ამბების ინტერვიუების გახსნის მსგავსად, თოქშოუები იწყება შესავლით, რომელიც მიმართულია აუდიტორიისაკენ. ახალი ამბების ინტერვიუების დახურვისგან განსხვავებით, თოქშოუს წამყვანები აქებენ თავიანთ სტუმრებს და ხელს ართმევენ. ახალი ამბების ინტერვიუების დახურვის მსგავსად, თოქშოუს წამყვანი დამშვიდობების ნაცვლად მაღლობას უხდის თავის სტუმარს და სტუმრის საპასუხო რეაქცია აქაც შეზღუდულია.

გასართობი თოქშოუს ინტერვიუებში წამყვანი იყენებს უამრავ სამეტყველო ტაქტიკას, რომლებიც აუცილებელია ინტერაქციის ორგანიზებისთვის. კომუნიკაციის დაწყებისა და შეწყვეტის, მეტყველების ინიციატივის დათმობისა და შენარჩუნების ტაქტიკა ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებულია. სამეტყველო ტაქტიკის არჩევანი დამოკიდებულია დისკურსის ტიპზე, კომუნიკატორთა ურთიერთობებსა და ინტერაქციის სტადიაზე.

შეჯამების სახით გვსურს, აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი მახასიათებელი წარმატებული საუბრისა და ინტერაქციისა არის ჯერის დაცვა. ამგვარად, იგი მეტნაკლებად კარგადაა შენარჩუნებული გასართობ შოუებში თუ მას შევადარებთ პოლიტიკურ თოქშოუებს, რომლებიც ხშირად გადაიზრდება ხოლმე ცხარე კამათში და აღარავინ იცავს რიგობითობის კულტურას, შეიძლება ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც კი

მიაყენონ მოსაუბრეებმა ერთმანეთს და წამყვანიც ვეღარ აკონტროლებს დიალოგს. ამდენად, თავაზიანი რეგისტრის შენარჩუნება გასართობი შოუების დროს უფრო ადვილია, განსაკუთრებით კი მონაწილეებისა და წამყვანთა მისალმება-დამშვი-დობების დროს.

#### ლიტერატურა:

1. გრეთბახი დევიდი, 1988. Greatbatch David, 1988. *A turn-taking system for British news interviews*. *Language in Society* 17, 401-430.
2. ილი კორნელია, 2001. Ilie Cornelia, 2001. *Semi-institutional discourse: The case of talk shows*. *Journal of Pragmatics* 33. 209-254.
3. კლეიმანი სტივენი და ჯონ ჰერიტეჯი, 2002. Clayman, Steven & John Heritage. 2002. *The news interview. Journalists and public figures on the air*. Cambridge: Cambridge University Press.
4. ლიდიკოუტი ანტონი, 2007. Liddicoat Anthony, 2007. *An introduction to Conversation Analysis*. London: Continuum.
5. ტორნბოროუ ჯოანა, 2001. Thornborrow Joanna, 2001. *Has it ever happened to you? Talk show stories as mediated performance*. In Andrew Tolson (ed.), *Television talk shows. Discourse, performance, spectacle*, 117-137. Mahwah: Erlbaum.
6. ჰატჩბი იანი, 2006. Hutchby Ian, 2006. *Media talk. Conversation Analysis and the study of broadcasting*. Milton Keynes: Open University Press.

Nana Iobishvili

Akaki Tsereteli State University  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.24>

### A general structural comparison of entertainment talk show and news interview

#### Abstract

The presented article, as one of the interesting and relevant topics, deals with the general structural comparison of entertainment talk shows and news interview. Although television talk shows are clearly created in an institutional setting, the conversation in these shows is less regulated and more spontaneous than in other interactive events that usually take place in a television studio. For example, such as political debates and news interviews. Television shows are shaped by economics and politics, the profit interests of media companies, and the political interests of states. Television shows are much more than commodities and state instruments of cultural nationalism.

Interactions in entertainment talk shows share some of the characteristics of everyday conversation that are not presented in other types of broadcast conversations. In entertainment talk shows, you can't plan everything in advance, and the situational interaction often takes a completely unexpected form. By discussing and analyzing these and other issues, we would like to make a general structural comparison of entertainment talk shows and news interview.

**Keywords:** talk show interview, news interview, talk show opening, talk show closing, conversation analysis (CA).

## თამარი ირემადე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[Tamar.iremadze@atsu.edu.ge](mailto:Tamar.iremadze@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.25>

## „მე ვაგროვებ ოსირისის ნაწილებს“: ეზრა პაუნდის მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკისათვის

**საკვანძო სიტყვები:** ზღვაოსანი, „ოსირისის“ ციკლი, „ახალი მეთოდი“, „მეტყველი დეტალი“

ეზრა პაუნდის შემოქმედება მთლიანად ეხმიანება მოდერნიზმის პრინციპებს. აქ ვხვდებით სრულ თანხვედრას ამ უზარმაზარი მოძრაობისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და ავტორის შემოქმედებას შორის, რაც რადიკალურ ენობრივ-სტილურ ექსპერიმენტებთან ერთად ტრადიციისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაში, ტრადიციის განახლების მცდელობაშიც ვლინდება. ძველ ტრადიციასთან განახლება პაუნდმა მოახერხა თარგმანების მეშვეობით.

პაუნდის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურება მკაფიოდ გამოვლინდა ძველინგლისური/ანგლო-საქსური პოეზიის შედევრის, ზღვაოსანი-ს (*The Seafarer*) თანამედროვე ინგლისურ თარგმანში. ამ თარგმანით იხსნება პაუნდის თარგმანებისა და ესეების ციკლი საერთო სათაურით *მე ვაგროვებ ოსირისის კიდურებს (I Gather the Limbs of Osiris)*<sup>1</sup>, რომელიც 1911-1912 წლებში სერიულად ქვეყნდებოდა ჟურნალში *The New Age* (პაუნდი 1911 (ა): 107).. *ოსირისის* ციკლში ზღვაოსანი-ს თარგმანთან ერთად შედის არნო დანიელისა<sup>2</sup> და გვიდო კავალკანტის<sup>3</sup> ლექსების თარგმანებიც, რომლებსაც თან ერთვის ავტორის კომენტარები პოეზიის მიზნებსა და მეთოდებზე. ზღვაოსანი-ს პუბლიკაციას წინ უძღვის რედაქტორის განმარტებითი შენიშვნა, რომ ამ ციკლის საშუალებით პაუნდს სურს თავისი „კვლევა-ძიების ახალი მეთოდის“ („New Method” in Scholarship”) ილუსტრირება. თავად პაუნდი ამ „ახალ მეთოდს“ „მეტყველ დეტალს“ („Luminous Detail”) უწოდებს - „მეთოდს,

<sup>1</sup> ოსირისი - ძველევგიპტურ მითოლოგიაში ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება, მცენარეულობისა და წყლის ღმერთი, მიცვალებულთა მფარველი და მსაჯული. მითის მიხედვით, ოსირისი მოუკლავს ძმას - სეთის, უდაბნოს ბოროტ ღვთაებას, მისი გვამი 40 ნაწილად დაუყვია და მთელ ეგვიპტეში მიმოუბნევია. ოსირისის მეუღლეს, ისიდას, შეუგროვებია ქმრის გვამის ნაწილები და გაუცოცხლებია იგი. ბერძნულ-რომაულ ეპოქაში ოსირისის კულტი ფართოდ გავრცელდა ეგვიპტის ფარგლებს გარეთ. ოსირისის კულტი მკვდარი და აღმდგარი ღვთაების ბუნებას განასახიერებდა.

<sup>2</sup> არნო დანიელი (Arnaut Daniel, 1180 – 1200) - მე-12 საუკუნის ოქსიტანიელი ტრუბადური, რომელსაც დანტე „ჩემზე დიდ ოსტატს“ („miglior fabbro”) უწოდებდა, ხოლო პეტრარკა - „სამიჯნურო პოეზიის დიდოსტატს“ („gran maestro d’amore”). ეზრა პაუნდს ის ყველა დროის უდიდეს პოეტად მიაჩნდა (პაუნდი 1910: 13-32).

<sup>3</sup> გვიდო კავალკანტი (Guido Cavalcanti, 1250/1259? – 1300) - მე-13 საუკუნის იტალიელი პოეტი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა დანტე ალიგიერზე. ე. წ. „ახალი ტბილი სტილის“ (Dolce stil novo) წარმომადგენელი.



რომელიც ყველაზე მძაფრად უპირისპირდება დღესდღეობით გაბატონებულ მრავლობითი დეტალის (“multitudinous detail”)<sup>1</sup> მეთოდს და სენტიმენტისა (“sentiment”) და განზოგადოების (“generalization”) ძველ მეთოდს“ (პაუნდი 1911 (ბ): 130). „მეტყველი დეტალის“ ნიმუშად პაუნდს მოჰყავს ერთი წინადადება იაკობ ბურკჰარდტის<sup>2</sup> წიგნიდან: „წელს ვენეციელებმა უარი თქვეს მილანელებთან ომზე, ვინაიდან მიხვდნენ, რომ ვერანაირი ომი მყიდველსა და გამყიდველს შორის ვერც ერთს ვერ მოუტანს სარგებელს“ (პაუნდი 1911 (ბ): 130).<sup>3</sup> ამ ერთი წინადადებით ბურკჰარდტი ახერხებს, მომზადებულ მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს ეპოქის შესახებ - იგი გამჭვირვალედ მიანიშნებს, რომ ესაა შუა საუკუნეებიდან რენესანსზე გარდამავალი ფაზა. ჩვენ შეიძლება უამრავი დეტალი (“multitudinous detail”) ვიცოდეთ ამ გარდამავალი ისტორიული ეტაპის შესახებ, მაგრამ ვერ ჩავწვდეთ დროის სულს და იდეოლოგიურ გარდატეხას იმდროინდელ ვენეციელთა ცხოვრებაში, რასაც ნიჭიერი მკვლევარი ერთი “მეტყველი დეტალის” საშუალებით აღწევს. პაუნდისათვის „მეტყველი დეტალი“ ის ძვირფასი ქვაა, რომელიც პოეტმა თუ მკვლევარმა დახვეწილი გემოვნების, განსწავლულობის, გამჭრიახობისა და დაკვირვებული მხერის წყალობით ისტორიისა და ლიტერატურის აუწყველ საბადოში უნდა აღმოაჩინოს, „ტალახისაგან“ („მრავლობითი დეტალისაგან“) გამოარჩიოს ანუ ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს იმგვარი მწახნაგებლის აქტიურ მონაწილეობას, რომელსაც ძალუძს „ტალახში ჩამარხული“ ძვირფასი ქვის ამოცნობა, შეფასება და გამომხეურება. ამ მეტაფორებში იგულისხმება დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების უშველებელ ოკეანეში იშვიათი ძვირფასი ქვების - მიჩქმალული შედევრების - ძიება და ანთოლოგიზაცია. განსხვავება „მრავლობით დეტალსა“ და „მეტყველ დეტალს“ შორის მათ ღირებულებაშია. ეს უკანასკნელი იმდენად მრავლისმთქმელია, რომ იგი მეყსეულად კონტექსტუალიზდება და შუქს ჰფენს ისტორიის მოცემული მომენტის ტემპორალურ „თანმიმდევრობას“, „მიზეზსა“ და „შედეგს“ (პაუნდი 2011 (ბ): 130-131).<sup>4</sup> *ოსირისის* ციკლის თარგმანები სწორედ ამგვარი „მეტყველი დეტალებია“, ის ძვირფასი ქვებია, რომლებიც პოეტმა „შეაგროვა“ და „გააცოცხლა“ ისევე, როგორც ისიღამ ოსირისის დანაწევრებული სხეულის ნაწილები.

პაუნდი მიზნად ისახავდა შეექმნა ე. წ. ეგზეგეტიკური თარგმანი, რომელიც დედნის შინაარსთან ერთად მის მუსიკალობასაც გადმოსცემდა. მისი თარგმანი მკითხველს დედანთან აბრუნებს და უშუალოდ ადაქმენინებს მას. ამგვარი თარგმანის წყალობით მკითხველმა თავიდან უნდა შეიგრძნოს ორიგინალის სიცხადე და მისი ლექსთწყობის უნიკალურობა. „მეტყველი დეტალის“ მეთოდი გულისხმობს დაკარგული ტრადიცი/ებ/ის აღდგენა-გაცოცხლებას ახალი პოეტური ჟღერადობის საშუალებით. სწორედ ასეთი „მეტყველი დეტალის“ ნიმუშია *ზღვაოსანიც* - ქრისტიანობამდელი ანგლო-საქსური ინგლისის პოეტური რეპრეზენტაცია.

<sup>1</sup> “მეტყველი დეტალის” უპირატესობის ხაზგასასმელად პაუნდი ამ ტერმინს, „მრავლობითი დეტალისაგან“ განსხვავებით, დიდი ასოებით წერს. ჩვეულებრივ დიდი ასოებით იწერება ისეთი დამკვიდრებული მხატვრული მიმდინარეობების სახელწოდებები, როგორცაა „რომანტიზმი“ (“Romanticism”), „სიმბოლიზმი“ (“Symbolism”) ან „დადაიზმი“ (“Dadaism”); ამიტომაც, ტერმინების “New Method” და “Luminous Detail” კაპიტალიზაციით პაუნდი მათ ლეგიტიმიზაციას ცდილობს (იხ. ირემამე 2019: 95).

<sup>2</sup> იაკობ ბურკჰარდტი (Carl Jacob Christoph Burckhardt (1818 – 1897) - გავლენიანი შვეიცარიელი ხელოვნებათმცოდნე და კულტუროლოგი, ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის მკვლევარი.

<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რომ პაუნდი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ეს წინადადება ბურკჰარდტთან გვხვდება და მის კონკრეტულ წყაროს არ ასახელებს, შეგვიძლია დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ იგი აღებულია ბურკჰარდტის წიგნიდან *რენესანსული კულტურა იტალიაში (Die Cultur der Renaissance in Italien, 1860)*, რომელიც მე-19 საუკუნეში იტალიური რენესანსის ყველაზე გავლენიან ინტერპრეტაციად ითვლებოდა და დღემდე ანგარიშგასაწევ ნაშრომად რჩება (ბურკჰარდტი 1990).

<sup>4</sup> ამ საკითხს მთელი თავი „ეზრა პაუნდის „ახალი მეთოდი“ და იმაჟიზმის ესთეტიკა: “The Luminous Detail“ ეთმობა თამარ ირემამდის დისერტაციაში *იმაჟიზმის ესთეტიკა და ეზრა პაუნდის ადრეული პოეზია, 1911-1915* (ირემამე 2019: 89 – 126).

*ოსირისის* ციკლის თარგმანების დროს, პაუნდის მიზანი მკითხველზე ორიგინალის მსგავსი შთაბეჭდილების მოხდენა იყო. საამისოდ იგი არქაიზმებს იყენებს და ცდილობს, შეინარჩუნოს ორიგინალის სალექსო ფორმა. როგორც მაიკლ ელიგზანდერი აღნიშნავს, *ზღვაოსანის* რიტმიკა და ფსიქიკური ენერგია დედნის ტექსტის ექვივალენტურია და არა - იდენტური (ელიგზანდერი 1994: 71).

*ოსირისის* ციკლის თარგმანები მკაფიოდ ადასტურებს პაუნდის დაინტერესებას ძველი ინგლისური პოეზიით. კრის ჯოუნსი არ ეთანხმება იმ მკვლევრებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პაუნდი დილეთანტი იყო ძველ ინგლისურ ენაში და გამოუქვეყნებელ სარქივო მასალებზე დაყრდნობით აჩვენებს, რომ პაუნდს თავისუფლად შეეძლო ძველი ინგლისური ტექსტების კითხვა და გაგება. წიგნში მთელი თავი ეთმობა პაუნდის ლექსთწყობაზე ძველი ინგლისური პოეზიის ზეგავლენის შესწავლას, ასევე *ზღვაოსანისა* და *კანტო I*-ის პროსოდიული ურთიერთმიმართების ანალიზს. ჯოუნსის აზრით, პაუნდისათვის ძველი ინგლისური პოეზია იყო კულტურული ჰიბრიდულობის გამოხატულება, რასაც პოეტი ხაზს უსვამს მისი ასოცირებით ძველბერძნულ, გელურ/გაელიკურ და ჩინურ პოეზიასთან. როგორც მკვლევარი ასკვნის, პაუნდის ფენოლოზას<sup>1</sup> შემდგომი, ვორტიცისტული<sup>2</sup> პოეზია წარმოსდგება არა მარტო ჩინური იდეოგრაფიიდან<sup>3</sup>, არამედ ნაწილობრივ ძველი ინგლისური პოეტური ლექსიკიდანაც (ჯოუნსი 2006: 17-67).

*ოსირისის* ციკლის თარგმანების, მათ შორის *ზღვაოსანი*-ის პაუნდისეული თარგმანის შეფასებები ლიტერატურულ კრიტიკაში მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, კენეთ სიზამი მიიჩნევს, რომ თარგმანი სავსეა უხეში შეცდომებით, ყოველგვარ კავშირს წყვეტს დედანთან და, ფაქტობრივად, უნიკალურ ნაწარმოებად გვევლინება (სიზამი 1954: 409). დიამეტრალურად საპირისპირო პოზიცია უჭირავთ კრიტიკოსებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოეტმა იცოდა, რასაც აკეთებდა და ზემოაღნიშნული „უხეში შეცდომები“ ავტორის მიზანმიმართული პოეტური ეფექტებია, რაც საზოგადოდ ახასიათებს მის პოეზიას. სტივენ ადამსის აზრით, *ზღვაოსანი* იმიტაცია ან პერიფრაზირება კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი თარგმანია, რომელსაც დედანთან საკმაოდ კომპლექსური კავშირი აქვს (ადამსი 1976: 128).

---

<sup>1</sup> ერნესტ ფრანსისკო ფენოლოზა (Ernest Francisco Fenollosa, 1853 – 1908) - ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე, ორიენტალისტი, ტრადიციული იაპონური ხელოვნების სპეციალისტი, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი ტოკიოს საიმპერიო უნივერსიტეტში. ფენოლოზას ნაწერებმა დიდი გავლენა იქონია პაუნდის ადრეული მხატვრული მეთოდის ჩამოყალიბებაზე.

<sup>2</sup> ვორტიციზმი - ხანმოკლე (1912-15) ლიტერატურული და სახელოვნო მიმდინარეობა ინგლისში, რომელიც ჩამოაყალიბა უინდემ ლუისმა. იგი ცდილობს ხელოვნებისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესის ერთმანეთთან დაკავშირებას, უპირისპირდება მე-19 საუკუნის ხელოვნების სენტიმენტალურობას, განადიდებს მანქანის ენერგიას და მანქანის მიერ ნაწარმოებ პროდუქციას, აფუძნებს ძალადობის კულტს. ვიზუალურ ხელოვნებაში ვორტიცისტული კომპოზიციები აბსტრაქტული და მახვილწახნაგოვანია, რაშიც კუბიზმისა და ფუტურიზმის ზეგავლენა ვლინდება. ეზრა პაუნდი ცენტრალურ როლს თამაშობდა ვორტიცისტულ მოძრაობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იგი ჩამოშორდა იმაჟისტ პოეტთა დაჯგუფებას. 1914 წელს უინდემ ლუისმა ჟურნალში *BLAST* გამოაქვეყნა ეზრა პაუნდის წერილი “Vortex”, სადაც ჩამოყალიბებულია ვორტიციზმის ესთეტიკური არსი (პაუნდი 1914: 153-155).

<sup>3</sup> იდეოგრამა - ჩინური წერილობითი სისტემის ასო-ნიშანი. იდეოგრამის აგების პრინციპი საფუძვლად დაედო პაუნდის „იდეოგრამულ“ (“ideogrammic”), თუ „იდეოგრაფულ“ (“ideographic”) მეთოდს, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ. „იდეოგრამული მეთოდის“ არსი აბსტრაქტული ცნების/შინაარსის კონკრეტული სახეებით გამოსახვაში მდგომარეობს. წიგნში *კითხვის ანბანი* (1934) პაუნდი განმარტავს, თუ როგორ ჩამოაყალიბდა ჩინური იეროგლიფები აბსტრაქტული ცნებების კონკრეტული ვიზუალური სურათ-ხატებით გადმოცემის გზით (პაუნდი 1991: 21-22). (დაწვრილებით იხ. ირემადე 2019: 147-160).

პაუნდის თარგმანების შეფასებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია თვით პოეტის დამოკიდებულება მთარგმნელობითი ხელოვნებისადმი, მთარგმნელის მისიისადმი, დედნისადმი მიდგომის მისეული კრიტერიუმები. პაუნდი განმარტავს: მეკითხებიან, უფრო ზღვაოსანთან დაკავშირებით, ვიდრე არნოს პოეზიასთან, თუ ეს თარგმანი რა დოზითაა ჩემი საკუთარი და რა დოზით - დედნისეული. ზღვაოსანი, ჩემი აზრით, თითქმის იმდენადვე ზუსტია, რამდენადც ნებისმიერი თარგმანი შეიძლება იყოს. არნოს ლექსების თარგმნისას არსად მიგრძენია, რომ ჩემი ფუნქცია ტექსტის „ორნამენტებით“ შემკობა იყო. მიუხედავად ამისა, ახლა, როცა გადმოვეცი მისი რითმითა სქემების ბუნება, შესაძლოა უფრო ზუსტად შევძლო მისი ენის სტილის ჩვენება ერთი პროზაული თარგმანის საშუალებით. ყველა ლექსს გარეგნული სიმეტრიის მიღმა უნდა ჰქონდეს შინაგანი აზრი-ფორმა ან, სულ მცირე, აზრის განვითარება. ეს ფორმა, რა თქმა უნდა, შეიძლება იმდენადვე სრულყოფილად გამოვლინდეს პროზაულ ვერსიაში, რამდენადვე პოეტურში. (პაუნდი 1912: 369)

აქ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი „სიზუსტის“ ცნების პაუნდისეული გაგებაა. პოეტური თარგმანი დედნის „რითმითა სქემების ბუნების“ შენარჩუნების საშუალებას იძლევა, თუმცა პოეტისათვის ეს არ არის თარგმანის სიზუსტის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი - პროზაულ თარგმანში შესაძლებელია დედნის ენისა და სტილისტიკის მეტი სიზუსტით გადმოტანა. თარგმანის სიზუსტის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არც დედნის „გარეგნული სიმეტრიის“ შენარჩუნებას აქვს. მთავარია ლექსის „შინაგანი აზრი-ფორმის“ მაქსიმალურად სრულყოფილად გადმოტანა, რასაც წარმატებულად ახერხებს პაუნდი *ოსირისის* ციკლის თარგმანებში, კერძოდ, *ზღვაოსანში*.

იმ პერიოდში, როცა *ზღვაოსანს* თარგმნის (1911), პაუნდი იმაჟისტური მოძრაობის ცენტრალური ფიგურაა და გატაცებულია ჩინური დამწერლობის იდეოგრაფიული სისტემით და ტრადიციული იაპონური პოეტური ფორმებით. *ზღვაოსანს* უფრო მეტი საერთო აქვს იმაჟიზმთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. *ზღვაოსანი* ისეთნაირადვე უკავშირდება იმაჟიზმის ესთეტიკურ თეორიას, როგორც იაპონური ნოს პიესები, ოღონდ იმაჟიზმის მოკლე, მინიატურული პოეტური ფორმებისაგან<sup>1</sup> განსხვავებით, ესაა უფრო ვრცელი ტექსტი ერთი ცენტრალური/საკვანძო სურათ-ხატით, რომელიც თავის ირგვლივ აჯგუფებს სხვა გარემომცველ დეტალებს.

*ოსირისის* ციკლის თარგმანების შემთხვევაში, როცა საქმე ეხებოდა ანგლო-საქსური ლექსის მეტრიკის პრობლემებს, პაუნდი რთული არჩევანის წინაშე იდგა: მას ან უკვე კარგად ნაცნობი სალექსო საზომები (მაგ., თეთრი ლექსი) უნდა გამოეყენებინა, ან დედნის მეტრულ-რიტმული სტრუქტურის თარგმნის მორგებული ახალი ფორმა გამოეგონებინა. საქმე ისაა, რომ პაუნდამდე არ არსებობდა ოთხმახვილიანი ალიტერაციული სტრიქონის ცოცხალი ექვივალენტი. პაუნდის მიერ შექმნილ ვერსიფიკაციულ ექვივალენტს მაღალ შეფასებას აძლევს ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზიის მეტრი ტომას სტერნზ ელიოტი: უმნიშვნელო მიღწევა არაა გაცოცხლო ალიტერაციული ლექსი: შესაძლოა *ზღვაოსანი* ალიტერაციული ლექსის ერთადერთი წარმატებული ნიმუშია: შესაძლოა *ზღვაოსანი* თანამედროვე ინგლისურ ენაზე ოდესმე დაწერილი ალიტერაციული ლექსის ერთადერთი წარმატებული ნიმუშია. ესაა ალიტერაციული ლექსი, რომელიც უბრალოდ ჰქვიანური *tour de force* კი არ არის, არამედ იგი ამ სალექსო ფორმის განვითარების ახალ შესაძლებლობებს გვთავაზოვს. (ელიოტი 1917: 45)<sup>2</sup>

პაუნდის მთარგმნელობითი ტექნიკის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „აბსოლუტური რიტმის“ პაუნდისეული ცნების გათვალისწინება. პოეტს მიაჩნდა, რომ „აბსოლუტური რიტმი“ და „თავისუფალი ლექსი“ არა ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ ექვივალენტური ტერმინები იყო, ხოლო პოეზია მაშინ ხდებოდა ყველაზე „თავისუფალი“, როცა უმაღლეს ექსპრესიულობას აღწევდა, რიტმი და შინაარსი კი ერთ განუყოფელ

<sup>1</sup> იმაჟისტები ხშირად მიმართავდნენ ტრადიციული იაპონური პოეზიის მოკლე სალექსო ფორმებს - ჰაიკუს და ტანკას.

<sup>2</sup> წლების შემდეგ ელიოტი აღნიშნავდა, რომ *ზღვაოსანი* ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენდა მაშინდელ ახალგაზრდა საინტერესო პოეტებზე (ელიოტი 1917: 38). პაუნდის ინოვაციური ლექსთწყობის თავისებურებები თავად ელიოტმაც გამოიყენა პოემაში *ოთხი კვარტეტი* (*Four Quartets*, 1943).

მთლიანობად იქცეოდა. 1912 წელს ჰაროლდ მონროს ჟურნალში *Poetry and Drama* გამოქვეყნებულ ესეში პაუნდი აღნიშნავდა: „მე მჯერა აბსოლუტური რიტმის, რიტმის, ანუ პოეზიის, რომელიც ზუსტად შეესატყვისება გამოსახატავ ემოციასა თუ ემოციის შუქრდილს“ (ციტ. პრეტი 2001: 33).

პაუნდი ყოველთვის ფიქრობდა, რომ ზუსტი თარგმანი გულისხმობდა ორიგინალის ბგერწერისა და რიტმიკის ზუსტი ექვივალენტის შექმნას, მისი ჟღერადობის რეპროდუქციას. პოეტი ხშირად ივიწყებს სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობას ბგერითი ეფექტის გამო. სწორედ ეს მისტიკური რიტმიკაა ის „აბსოლუტური რიტმი“, რომელსაც პაუნდი ხშირად იყენებს *ზღვაოსანში* და იმაჟისტურ თავისუფალ ლექსშიც. გასაოცარია პოეტის ოსტატობა, როცა ის იდუმალი სიზუსტით აცოცხლებს სათარგმნი სტრიქონის კადანსს და რიტმიკას:

Hrim hrusan band, haegl feoll on eorban {...}

Frost froze the land, hail fell on earth then {...} (პაუნდი 1911 (ა): 107, სტრ. 33)

ამ შემთხვევაში რიტმიკა ძირითადად დაცულია, მაგრამ ძველი ინგლისური სიტყვები “lastum” და “winemaegum” კარგავენ მეტაფორულ მნიშვნელობას პაუნდის თარგმანში.

*ოსირისის* ციკლის თარგმანები შემდეგი სპეციფიკით გამოირჩევა: ზოგან პოეტი თითქოს ვირგილიუსის ნახევარ სტრიქონებს ზამავს, კვაზი-ვირგილიუსისეულ სტრიქონებს მიმართავს. *ზღვაოსანში*, უმრავლეს შემთხვევაში, პაუნდი ცდილობს გაათანაბროს დედნისა და თარგმანის სტრიქონებში მახვილთა და მარცვალთა რაოდენობა. პაუნდის სტრიქონები, მჭიდროა ისინი, თუ თავისუფალი, ნელი, თუ სწრაფი, სრულ ჰარმონიაშია დედანთან. მისი გადახვევებიც ტაეპის შემჭიდროვების სურვილითაა განპირობებული, რადგან პაუნდის ახალ მეტრულ სისტემაში ზედმეტად ბევრი მსუბუქი მარცვალი სტრიქონში ორაზროვნებას იწვევს - ძნელი გასარჩევია, თუ სად უნდა დაისვას მახვილი. პაუნდს აგრეთვე ახასიათებს გრძელი წინადადებების დაყოფა შედარებით მოკლე ერთეულებად, მისი სტილი ხასიათდება ერთგვარი დანაწევრებულობით. ძველი ინგლისური ლექსის რიტმიკა გამოხატულად დადმავალი იყო და სტრიქონების უმეტესობას საწყისი ძლიერი მახვილი ჰქონდა, ჩვეულებრივ, ქნარით გამოხატული. ცალკეულ სიტყვებსაც გააჩნდათ მახვილი პირველ მარცვალზე. შესამაბისად, ძველი ინგლისური სალექსო სტრიქონები სრულდება უმახვილო მარცვლით, რაც ლექსში ქმნის დადმავალ რიტმს სტრიქონის ბოლოს და სიმსუბუქესა და გრაციოზულობას ანიჭებს მას. ამ რიტმული ფენომენის გამო ელეგიური განწყობილება ორგანულია ანგლო-საქსური პოეზიისათვის. მსგავსი დადმავალი რიტმი თანამედროვე ინგლისურში არაბუნებრივად ჟღერს და დედნისეული რიტმიკის თარგმანში შენარჩუნება პაუნდისთვისაც საკმაოდ რთული ამოცანა იყო, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. ვერც ერთმა სხვა მთარგმნელმა ვერ შეძლო მსგავსი ოსტატობითა და წარმატებით შეენარჩუნებინა დედნის რიტმიკის ეს თავისებურება - სხვა თარგმანებში მაინც აღმავალი რიტმი ჭარბობს.

ამრიგად, *მე ვაგროვებ ოსირისის კიდურებს*, ფაქტობრივად, წარმოადგენს პაუნდის ადრეული, იმაჟისტური პოეზიის - როგორც მისი ორიგინალური შემოქმედების, ასევე მთარგმნელობითი საქმიანობის - ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ამავედროულად იმაჟიზმის ესთეტიკური თეორიის საფუძვლადაც გვევლინება. ფაქტობრივად, პაუნდის იმაჟისტური კონცეფციები და კონცეპტები ესეების ამ სერიიდან იღებს სათავეს.

## ლიტერატურა

ადამსი 1976: Adams, Stephen J. (1976). “A Case for Pound's "Seafarer"” *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 9, No. 2: Literature and Ideas: 127-146.

ბურკჰარდტი 1990: Burckhardt, Jacob (1990). *The Civilization of Renaissance in Italy*. Trans. S. G. C. Middlemore. Ed. Peter Murray. London: Penguin Books.

ელიგზანდერი 1994: Alexander, Michael J. (1994). "Old English Poetry into Modern English Verse". *Translation and Literature*, Vol. 3: 69-75.

ელიოტი 1917: Eliot, Thomas Stearns (1917). *Ezra Pound: His Metric and His Poetry*. New York: Alfred A. Knopf.

ირემამე 2019: ირემამე, თამარი (2019). იმაჟიზმის ესთეტიკა და ეზრა პაუნდის ადრეული პოეზია, 1911-1915. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ქუთაისი, 2019.  
[https://cdn.atsu.edu.ge/files/Studies/dissertation/2019/The%20Aesthetics%20of%20Imagism%20and%20the%20Early%20Poetry%20of%20Ezra%20Pound%20\(1911-1915\).pdf](https://cdn.atsu.edu.ge/files/Studies/dissertation/2019/The%20Aesthetics%20of%20Imagism%20and%20the%20Early%20Poetry%20of%20Ezra%20Pound%20(1911-1915).pdf)

პაუნდი 1991: Pound, Ezra. (1991). *ABC of Reading*. London: Faber & Faber. The Ezra Pound Society: Works by Ezra Pound Online.  
[https://monoskop.org/images/a/a4/Pound\\_Ezra\\_ABC\\_of\\_Reading.pdf](https://monoskop.org/images/a/a4/Pound_Ezra_ABC_of_Reading.pdf) Accessed Aug 18, 2023.

პაუნდი 1914: Pound, Ezra (1914). "Vortex". *Blast*, No. 1, June 20<sup>th</sup>: 153-155.  
<https://drive.google.com/file/d/0B99lZen-cTSUy1WZG9LZUxmbGc/view?resourcekey=0-kvw4AupCHYQlcT-LhpLfwA> Accessed Aug 31, 2023.

პაუნდი 1912: Pound, Ezra (1912). "I Gather the Limbs of Osiris - XI." *The New Age*, Vol. X, No. 16, February 15: 369-370. The Modernist Journals Project.  
<https://modjourn.org/issue/bdr439725/> Accessed Aug 19, 2023.

პაუნდი 1911 (ა): Pound, Ezra (1911). "I Gather the Limbs of Osiris: The Seafarer." *The New Age*, Vol. X, No. 5, November 30: 107. The Modernist Journals Project.  
<https://modjourn.org/issue/bdr439432/> Accessed Aug 18, 2023.

პაუნდი 1911 (ბ): Pound, Ezra (1911). "I Gather the Limbs of Osiris: A Rather Dull Introduction." *The New Age*, Vol. X, No. 6, December 7: 130-131. The Modernist Journals Project.  
<https://modjourn.org/issue/bdr439458/> Accessed Aug 18, 2023.

პაუნდი 1910: Pound, Ezra (1910). "Il Miglior Fabbro". Chapter II in: Ezra Pound. *The Spirit of Romance: An Attempt to Define Somewhat the Charm of the Pre-Renaissance Literature of Latin Europe*. London: J. M. Dent & Sons, Ltd.: 13-32.

პრეტი 2001: Pratt, William (2001). "Introduction". In: William Pratt (ed.). *The Imagist Poem: Modern Poetry in Miniature*. A New Expanded Anthology. Ashland, Oregon: Story Line Press: 19-44.

სიზამი 1954: Sisam, Kenneth. (1954). "Mr. Pound and the *Seafarer*". *Times Literary Supplement*, No. 2734, June 25: 409.

ჯოუნსი 2006: Jones, Chris (2006). *Strange Likeness: The Use of Old English in Twentieth-Century Poetry*. Oxford: Oxford University Press.

**მარინა კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი**

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

[marine.kobeshavidze@tsu.ge](mailto:marine.kobeshavidze@tsu.ge)[nino.chrikishvili@tsu.ge](mailto:nino.chrikishvili@tsu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.26>**ალ-ანდალუსის ქრისტიანებიდან მოსარაბებამდე.  
Jarchas - ლირიკური პოეზიის უძველესი ნიმუშები ესპანეთში****საკვანძო სიტყვები:** არაბული ლიტერატურა, ალ-ანდალუსი, მოსარაბი.

არაბთა გამოჩენით პირენეის ნახევარკუნძულზე ესპანეთის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო. გუადალეტეს ბრძოლაში (711) მეფე როდრიგოს დამარცხებას, ჯერ კორდობის და ტოლედოს აღება მოჰყვა, ხოლო შემდეგ არაბთა მიერ თითქმის მთელი ნახევარკუნძულის დაპყრობა. ერთადერთი მხარე, რომელიც არაბებს გადაურჩა იყო კანტაბრიის მთები და მისი შემოგარენი. სწორედ ამ მხარეს შეაფარეს თავი ვესტგოთმა დიდებულებმა, შექმნეს იქ ასტურიის სამეფო და დაიწყეს ბრძოლა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. რეკონკისტამ რვა საუკუნე გასტანა და 1492 წელს გრანადის აღებით დასრულდა.

არაბებმა დაპყრობილ ტერიტორიას „ალ-ანდალუსი“ უწოდეს. ბუნებრივია, არაბებმა პირენეის ნახევარკუნძულზე შეიტანეს საკუთარი წეს-ჩვეულებები, რელიგია და ენა, რომელიც ისლამური ესპანეთის ოფიციალური ენა გახდა. რაც შეეხება რელიგიას, არაბთა ბატონობის დასაწყისში ისლამის ძალდატანებით გავრცელებას ან ქრისტიანი (de origen hispanovisigodo) და იუდეველი (judíos) მოსახლეობის დევნას ადგილი არ ჰქონია. არაბებმა მოსახლეობას არჩევანის საშუალება მისცეს. თუ ალ-ანდალუსის „ურწმუნოები“ (ქრისტიანები და იუდეველები/ებრაელები) აღიარებდნენ ისლამს როგორც „ჭეშმარიტ რჯულს“, მათ მიიღებდნენ მუსლიმურ თემში და მიანიჭებდნენ იმავე უფლებებს, რაც ალ-ანდალუსის დანარჩენ მუსულმანებს ჰქონდათ, ხოლო თუ „ურწმუნო“ შეინარჩუნებდა საკუთარ რჯულს, მას თავი უნდა გამოეცხადებინა მუსლიმანი გამგებლის ქვეშევრდომად და როგორც მუსულმანთა მიწაზე უცხო სარწმუნოების აღმსარებელს რელიგიური გადასახადის გადახდა უნდა ეკისრა. ამ შემთხვევაში ისინი ხდებოდნენ ზიმიები – მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი. ზიმიებს ჰქონდათ ქონების შეუვალობის და სასამართლო კანონმდებლობის ხელშეუხებლობის გარანტია. თუმცა, ზიმიებისთვის არსებობდა გარკვეული აკრძალვებიც, მაგალითად: ეკრძალებოდათ ყურანის გაკიცხვა, მუსულმანის სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა, მუსულმანის გამარცვა, ომის დროს მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ.

მშვიდობიან გარემოში დაიწყო ალ-ანდალუსის მუსულმანების, ქრისტიანების და იუდეველების/ებრაელების თანაცხოვრება. თუმცა, ტოლერანტობას, რომელსაც ისინი არამუსულმანების მიმართ იჩენდნენ, კონკრეტული პრაგმატული მოსაზრება ედო საფუძვლად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ-ანდალუსის ქრისტიანები, ისევე როგორც იუდეველები, რელიგიურ გადასახადს (ჯიზიას) იხდიდნენ. მათი გამუსულმანება ჯიზიას

გადამხდელთა რიცხვის შემცირებას ნიშნავდა, რაც არაბ მმართველებს არ აწყობდათ (ჯიზიადან მიღებული შემოსავალი საამიროს შემოსავლის მთავარი წყარო იყო). ბუნებრივია, რომ ისლამის ძალდატანებით გავრცელება და ქრისტიანთა და იუდეველთა მასიური გაქრისტიანება კორდობის საამიროს დიდ ეკონომიკურ შემოსავალს დაუკარგავდა. ამიტომაც არ ავრცელებდნენ ისლამს ძალდატანებით.

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ალ-ანდალუსში საგადასახადო სისტემა დამძიმდა. ერთი მხრივ, დამძიმდა რელიგიური გადასახადი (ჯიზია), რომელსაც ქრისტიანები (და ებრაელები) იხდიდნენ, ხოლო მეორე მხრივ, გაჩნდა ახალი გადასახადები, რომელიც უნდა გადაეხადა ყველას, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა. აღნიშნულს დაემატა ისიც, რომ იწყება დისკრიმინაციული დამოკიდებულება ქრისტიანების (ასევე იუდეველების) მიმართ (მაგალითად, აეკრძალათ ცხენზე ჯდომა, ხმლის ტარება. შეზღუდვები დაწესდა ზიმიების ტანსაცმლის და ვარცხნილობის შესახებაც). ალ-ანდალუსის ქრისტიანი მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, იმ მიზნით, რომ რელიგიური გადასახადისგან მაინც გათავისუფლებულიყვნენ და თავი აერიდებინათ მათ მიმართ არსებული დამამცირებელი დამოკიდებულებისათვის, მიიღო ისლამი. ალ-ანდალუსის გამუსულმანებულ ქრისტიანებს მულადები (იგივე ნეომუსულმანები) ეწოდათ. მათ წინაპრების რელიგიასთან ერთად ენაც მიივიწყეს და არაბულ ენასა და ისლამურ ტრადიციებზე გადავიდნენ.

საგადასახადო სისტემის დამძიმებას ალ-ანდალუსში რელიგიური პოლიტიკის გამკაცრება მოჰყვა. მას შემდეგ, რაც არაბებმა შემოიღეს სხვადასხვა გადასახადები და ეს გადასახადები დააკისრეს ყველას – მუსულმანსაც, ქრისტიანსაც და იუდეველსაც, გადასახადებიდან უკვე დიდი შემოსავალი შევიდა საამიროს ხაზინაში. შესაბამისად, ქრისტიანის და ებრაელის მიერ გადახდილ რელიგიურ გადასახადს დიდ ფინანსურ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდნენ. საამიროში ზიმიების საჭიროებას ვეღარ ხედავენ. დღის წესრიგში მათი სწრაფი გამუსულმანების საკითხი დადგა.


კორდობის საამიროს სრული ისლამიზაცია აბდ-არ-რაჰმან II-ის (822-852) მთავარი მიზანი იყო. მან ზიმიებს არაერთი ახალი აკრძალვა დაუწესა, მათ შორის საეკლესიო რიტუალების ჩატარება და რელიგიური სიმბოლოების ტარება, რასაც ალ-ანდალუსის ზიმიებთან დაპირისპირება მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქრისტიანები, რომლებიც ხედავდნენ რაოდენ დიდ საფრთხეში იყო ქრისტიანობა და ზოგადად ქრისტიანული კულტურა, ხმა აიმაღლეს მუსულმანების და ისლამის წინააღმდეგ. ურჩ ქრისტიანებს მუსულმანებმა თავები დააყრვეინეს. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ესპანეთის ისტორიაში „Mártires mozárabes de Córdoba“-ს სახელწოდებით შესული ეპიზოდი. ალ-ანდალუსის ქრისტიანების ერთმა ჯგუფმა, შედგებოდა დაახლოებით 50 ქრისტიანისგან, პროტესტის ნიშნად მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა სიცოცხლე.

ზიმიების მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა XII საუკუნეში. ჩრდილოეთით მომძლავრებული ქრისტიანული სამეფოების წინსვლას მხოლოდ საკუთარი ძალებით ვეღარ აჩერებდნენ სამხრეთის ტაიფები (კორდობის სახალიფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ისლამური სამეფოები) და მათაც დახმარება ჩრდილოეთ აფრიკის მუსულმანებს სთხოვეს. პირენეის ნახევარკუნძულზე ტაიფების დასახმარებლად გადასული ფანატიკოსი ალმორავიდები და ალმოჰადები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც ქრისტიანულ კულტურასთან იყო კავშირში. დაიწყეს ქრისტიანების დევნაც (ასევე დევნიან ებრაელებს). ალ-ანდალუსის ქრისტიანები ჩრდილოეთის ქრისტიანულ სამეფოებში გადადიან და თან მიაქვთ „los conocimientos culturales, artísticos y científicos árabes“, რაც ალ-ანდალუსში ცხოვრებისას დააგროვეს. ალ-ანდალუსის ქრისტიანებმა წაიღეს საკუთარი ენაც, რომელიც არაბულის დიდ გავლენას განიცდიდა. სწორედ ალ-ანდალუსის ქრისტიანების ენიდან შევიდა კასტილიურ, და არა მარტო კასტილიურ, ენაში ესოდენ დიდი რაოდენობით არაბიზმები. ჩრდილოეთით გახიზნულმა ალ-ანდალუსის ქრისტიანებმა დროთა განმავლობაში მიივიწყეს საკუთარი ენა და მიიღეს იმ სამეფოს ენა, რომელშიც ცხოვრობდნენ. XV საუკუნიდან მათი ენა (მოსარაბული) საერთოდ გაქრა.

ჩრდილოეთით გადასულ ალ-ანდალუსის ქრისტიანებს დანარჩენმა ქრისტიანებმა უწოდეს მოსარაბები, რაც „გაარაბებულს“ ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ მოსარაბები იყვნენ ქრისტიანები და ამავდროულად მათ მოახერხეს საკუთარი ენის შენარჩუნება, არაბულ გარემოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრებამ მათზე მაინც მოახდინა გარკვეული კულტურული გავლენა. ამრიგად, ტერმინი „მოსარაბები“ ესპანეთის ქრისტიანულ სამეფოებში შექმნილი ტერმინია და ის არ გვხვდება ალ-ანდალუსში ჩაწერილ არაბულ ტექსტებში. პირველი დოკუმენტი, სადაც ტერმინი „მოსარაბები“ დაფიქსირდა, დათარიღებულია 1024 წლით და ის ლეონის სამეფოშია ჩაწერილი.

დავუბრუნდეთ პერიოდს, როცა მოსარაბები ჯერ კიდევ ალ-ანდალუსში ცხოვრობდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ-ანდალუსში ცხოვრებისას მოსარაბებმა ენის შენარჩუნებაც მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ ისწავლეს არაბული, და არაბული იყო ენა, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყენებდნენ, მოსარაბებმა შეინარჩუნეს საკუთარი ენაც, თუმცა მისი გამოყენება ხდებოდა საყოფაცხოვრება დონეზე, ოჯახურ გარემოში. მოსარაბთა ენა იყო ლათინური ენისგან მომდინარე ერთ-ერთი რომანული ენა, რომელზეც, პირენეის ნახევარკუნძულის სხვა რომანული ენებისგან განსხვავებით, დიდი იყო არაბული ენის გავლენა. როგორც ხოსე მარია სოლა-სოლე წერს, მოსარაბთა ენა შედგებოდა 40% არაბული და 60% ლათინური ძირის ლექსიკური ერთეულებისგან. სოლა-სოლე წერს იმასაც, რომ არაბული ლექსიკური ერთეულები მეტწილად არსებით სახელებს წარმოადგენდა, ხოლო ლათინური ძირის სიტყვები იყო ზმნები. მოსარაბულ ენას რამონ მენენდეს პიდალი „romance andalusí“-ს უწოდებდა.

მოსარაბთა ენის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი იყო ცნობილი, რადგან მეცნიერებს არ ჰქონდათ მოსარაბულ ენაზე შესრულებული ტექსტი. ყველაფერი შეიცვალა XX საუკუნის 50-იან წლებში, როცა მეცნიერებმა შუა საუკუნეების უცნობი ხელნაწერები აღმოაჩინეს. ხელნაწერების კლასიკური არაბულით ჩაწერილი ნაწილი (მუვაშაჰი) მალევე ამოიკითხეს, მაგრამ ვერაფერი გაუგეს ხელნაწერის მეორე ნაწილს (ვგულისხმობთ დასკვნით ნაწილს – „jarchas“), რომელიც ასევე არაბული ასოებით იყო ჩაწერილი, მაგრამ აშკარა იყო, რომ საქმე არა არაბულ ენასთან (როგორც მუვაშაჰის შემთხვევაში), არამედ სხვა ენასთან ჰქონდათ. მეცნიერებმა „გასაღებს“ მალე მიაკვლიეს. ტექსტში ჩასვეს გამოტოვებული ხმოვნები და მიიღეს ლირიკული პოეზიის უმშვენიერესი ნიმუშები. დადგინდა, რომ ხელნაწერის აღნიშნული ნაწილი მოსარაბულ ენაზე იყო შესრულებული. სავარაუდოდ თარიღად კი განისაზღვრა XI საუკუნე. აი, როგორი სტრუქტურის იყო აღმოჩენილი ტექსტები:



Moaxaja en árabe

Jarcha en mozárabe

და მაინც, რა არის „las jarchas“? „Las jarchas“ არის ისლამური ესპანეთი ქრისტიანების (მოსარაბების) ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომელსაც საკუთარ, მოსარაბულ ენაზე ქმნიდნენ. ჩრდილოეთის ქრისტიანულ სამეფოებში პოპულარული ეპიკური პოემებისგან განსხვავებით (poesía épica popular), მოსარაბების მიერ შექმნილი ხალხური პოეზიის ნიმუშები ლირიკული შინაარსის იყო (poesía lírica popular). მოსარაბების ხალხური პოეზია მეტწილად აგებული იყო სიყვარულთან დაკავშირებულ ტანჯვაზე, იმ ემოციებსა და გრძნობებზე, რაც ადამიანს სატრფოს არყოფნის (ausencia), სატრფოს ავადმყოფობის ან



სატრფოსთან განშორების დროს უჩნდებოდა. ამ ემოციებისა და გრძნობების გამომხატველი ყოველთვის ქალია, რომელიც მთელ თავის დარდს და ტკივილს უზიარებს დედას, დას ან მეგობარს. გამოყენებული ენა სტილისტურადაც საინტერესოა, მაგალითად, ერთ-ერთი ამონარიდში ვკითხულობთ, როგორ ადარებს ქალი სატრფოს მზის სხივს – „*un rayo del sol*“. ხალხური პოეზიის სპეციფიციკიდან გამომდინარე, მოსარაბთა პოეზიის აღნიშნული ნიმუშების ავტორთა ვინაობა უცნობია. თუმცა, ვარაუდობენ, რომ მათი უმრავლესობა ქალის შექნილია. და თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ შუა საუკუნეების ალ-ანდალუსში ქალს შეეძლო ღიად გამოეხატა თავის სურვილები და ხედვა სიყვარულზე. გამოდის, რომ შუა საუკუნეების ისლამურ ალ-ანდალუსში ქალს ჰქონდა არა მარტო გამოხატვის თავისუფლება, არამედ შეეძლო ეთქვა საკუთარი სიტყვა „*en un sector cultural*“, რაც მუსულმანური ქვეყნების დიდ ნაწილში დღემდე დაუძლეველი პრობლემაა.

მოსარაბების ხალხური პოეზია ალ-ანდალუსში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ლირიკული პოეზიის ამ ნიმუშებით აღფრთოვანებულნი იყვნენ ალ-ანდალუსის ცნობილი არაბი პოეტებიც (მაგალითად: ალმუთამიდი, რომელიც ამავდროულად სევილიის მმართველი იყო). მათთვის „*las jarchas*“ იყო ერთგვარი შთაგონების წყარო. ალ-ანდალუსის არაბი პოეტები ჯერ იღებდნენ მოსარაბების ხალხური პოეზიიდან ერთ ფრაგმენტს, შემდეგ კი ამ ფრაგმენტით შთაგონებულები არაბულ ენაზე ქმნიდნენ ასევე ლირიკული შინაარსის ლექსს (მუვაშაჰს), ხოლო მის დასკვნით, გამაგვირგვინებელ ნაწილად მოსარაბების ხალხური პოეზიიდან აღებულ ფრაგმენტს იყენებდნენ. ლექსს, რომელსაც არაბი პოეტები მოსარაბთა ხალხური პოეზიის ფრაგმენტზე აგებდნენ, ერქვა მუვაშაჰი<sup>1</sup> (ესპ. *moaxaja*), ხოლო მუვაშაჰის დამაგვირგვინებელ (დასკვნით) ნაწილს, აღებულს მოსარაბების ხალხური პოეზიიდან, უწოდებენ „*las jarchas*“, რაც არაბულად ნიშნავს „დასასრულს“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუვაშაჰი არაბულ ენაზე (კლასიკური, ლიტერატურული არაბული) იქმნებოდა და იწერებოდა. არაბული დამწერლობის გამოყენებით (*aljamía*) და წესებით (ხმოვნების გარეშე) ხდებოდა დასკვნითი ნაწილის, მოსარაბული ნაწილის (*las jarchas*) ჩაწერაც.

დასასრულს მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

Jarchas en mozárabe (transcripción)	Traducción al castellano/español
Tanto amare, tanto amare, Habib, tanto amare! Enfermaron olios nidios E dolen tan male.	Tanto amar, tanto amar, Amado, tanto amar. Enfermaron [mis] ojos brillantes Y duelen tanto.
Garid vos, ay yermanelas Com contener e meu mali? Sin el habib non vivreyu Ed volarei demandari.	Decidme, ya hermanillas, Cómo contener mi pesar? Sin el amado no viviré Y volaré a bucarlo.
Gar, que farayu? Com vivrayu? Est al-habib espero Por él morrayu.	Dime, qué hare? Cómo viviré? A mi amado espero, Por él moriré.

<sup>1</sup> მუვაშაჰი - არაბული ლირიკული პოეზიის ერთ-ერთი ჟანრი, გავრცელებული არაბულ ესპანეთში.

ამრიგად, “las jarchas” არის რომანულ ენაზე (ესპანეთის) შექმნილი ლირიკული პოეზიის უძველესი ნიმუშები, რომელიც ალ-ანდალუსის არაბმა პოეტებმა შემოგვინახეს. მოსარაბთა ხალხური პოეზიიდან აღებული ფრაგმენტების საკუთარ პოეზიაში გამოყენებით ალ-ანდალუსის არაბმა პოეტებმა ისინი დაკარგვისგან იხსნეს და სამუდამოდ შემოუნახეს მომავალ თაობებს.

#### ლიტერატურა:

1. კუცია, მეტრეველი, სანიკიძე, სვანიძე, ჯაფარიძე (1999): ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. ნეკერი
2. ტიკაძე მ. (2008): არაბთა ისტორია (V-XV). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. ჭანტურიშვილი პ. (2022): ქრისტიანების სტატუსი ადრეულ ისლამში (დისერტაცია), თბილისი
4. Alvar C. Breve historia de la literatura española, Alianza editorial, 2011
5. Sola-Sole J.M. Corpus de poesía mozárabe (las harga-s andalusies), Barcelona, Ediciones Hispam, 1973
6. Sola-Sole J.M. Las jarchas romances y sus moaxajas, Mad

**Marina Kobeshavidze, Nino Chrikishvili**

Iv.Javakhishvili State University, Tbilisi, Georgia

[marine.kobeshavidze@tsu.ge](mailto:marine.kobeshavidze@tsu.ge)

[nino.chrikishvili@tsu.ge](mailto:nino.chrikishvili@tsu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.26>

### **From the Christians of Al-Andalus to the mosarabs Jarchas – the oldest examples of lyric poetry in Spain**

#### Abstract

Mosarabs were Christians of Islamic Spain who coexisted peacefully with Muslims until the XIIth century. The Mosarabs also had their own language. Their language was one of the Romance languages devided from Latin, which, unlike the other Romance languages of the Iberian Peninsula, was hevily influenced by Arabic.

„Las jarchas“ are samples of the folk poetry of the Christians of Islamic Spain, which the Mosarabs composed in their own language. Unlike the epic poems popular in the Christian kingdoms of the north, the poetry of the Mosarababs was lyrical in content. The Arab poets of al—Andalus saved the poetry of the Mosarabs from being lost and preserved it for us.

**Key words:** Mosarabs, Romance languages, al—Andalus

**ნონა კოპალიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nona.kopaliani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.27>

## შეფასების კატეგორიის კვლევის ძირითადი პრობლემები ლინგვისტიკაში

**საკვანძო სიტყვები:** შეფასების კატეგორია, შეფასების ტიპები, შეფასების მარკერები ურთიერთობების პროცესში ადამიანი აფასებს სხვა ადამიანების საქმიანობას, მოქმედებებს, ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. შეფასების მოვლენას (ფენომენს), როგორც სამყაროსთან ადამიანის დამოკიდებულების, ურთიერთმოქმედების მნიშვნელოვან ასპექტს, მეცნიერების მრავალი დარგი შეისწავლის, როგორცაა: ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ეთიკა, რომელთა წარმომადგენლები შეფასებას განსაზღვრავენ, როგორც საკუთრივ ადამიანის კატეგორიას.

ერთი მხრივ, შეფასება განპირობებულია ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ბუნებით, მისი განცდებით, მეორე მხრივ, იგი განსაზღვრავს ადამიანის აზროვნებას, მის საქმიანობას, დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა და გარესამყაროს ობიექტების მიმართ, ადამიანის მიმართ ხელოვნების აღქმას და ა.შ.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში მიჩნეულია, რომ შეფასება განუყოფლად არის დაკავშირებული შემეცნების პროცესთან: „ნებისმიერ შემეცნებით პროცესში ხდება საგნების სხვადასხვა თვისებებისა და მათ შორის არსებული კავშირების ასახვა, ობიექტის ხატის ფორმირება“ [დობლაევი 1984: 5].

ფილოსოფიურმა მიმართულებამ, რომელიც ეხება შეფასების პრობლემებს, ანუ აქსიოლოგიამ, რომელსაც ჯერ კიდევ სოკრატემ ჩაუყარა საფუძველი, შეიმუშავა მთელი დოქტრინა ღირებულებების ბუნების, ანუ რეალობის ადგილის შესახებ ღირებულებითი სამყაროს სტრუქტურაში.

ადამიანის გონებაში ფორმირებული და ენაში ასახული შეფასებითი სისტემა არაერთი ლინგვისტის, ლინგვოკულტუროლოგის, კონცეპტოლოგის და სხვ. მეცნიერის ინტერესის საგანია. ლინგვისტიკის სფეროში ამ ფენომენის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს შეფასების, როგორც ენის კატეგორიისა და მისი როლის განსაზღვრა ადამიანის, როგორც ენის მატარებლის, ცხოვრებაში. შეფასების კატეგორია საკმაოდ სრულადაა აღწერილი ენათმეცნიერებაში: განსაზღვრულია შეფასებითი მნიშვნელობების მრავალმხრივი პრობლემატიკა, ტექსტში მათი გამოხატვის საშუალებებისა და ფუნქციონის თავისებურებები.

შეფასება განისაზღვრება, როგორც კავშირი, რომელიც არსებობს მოსაუბრის/მსმენელის ღირებულებით ორიენტაციასა და სიტყვით აღნიშნულ რეალიას შორის, რომელსაც იგი დადებითად ან უარყოფითად აფასებს რაღაც გარკვეულ საფუძველზე, სამყაროს იმ სურათის „სტანდარტების“ შესაბამისად, რომელიც საფუძველად უდევს შეფასების ნორმებს [თელია 1986: 22–23]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეფასება არის კავშირი, რომელიც მყარდება ადამიანის ღირებულებით ორიენტაციასა და აღნიშნულ რეალიას შორის.

ლინგვისტიკაში შეფასების კატეგორიის აღსანიშნად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენება. როგორც ჩანს, ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ მკვლევარები მას განსხვავებული პოზიციებიდან, სხვადასხვა რაკურსით შეისწავლიან. ერთი და იმავე კატეგორიის აღსანიშნად, მაგალითად, ჰალიდეი იყენებს ტერმინს *attitude* (დამოკიდებულება) [ჰალიდეი 2014], მარტინი და უაიტი - ტერმინს *appraisal* (შეფასება) [მარტინი, უაიტი 2005], ბიბერი და კონრადი, ჩარლზი, ჯოუნსტონი, ენგელბრეტსონი მას აღნიშნავენ, როგორც *stance* (პოზიცია) [ბიბერი 1999, ჩარლზი 2004, ენგელბრეტსონი 2007], ხოლო ჰანსტონი, თომპსონი, და ლემკი იყენებენ ტერმინს *evaluation* (შეფასება) [ჰანსტონი 2008; თომპსონი, ჰანსტონი 2000; ლემკი 1998].

რუსულ ენათმეცნიერებაში ძირითადად ტერმინი *оценка, категория оценки* (შეფასება) გამოიყენება [თელია 1986, დმიტრიევა 2018, შახოვსკი 1994 და სხვ.]. თუმცა აქაც ვხვდებით ისეთი პარალელური ტერმინების გამოყენებას (იგივე ცნების გამოსახატად), როგორცაა: *эмоциональное значение, эмоциональная окраска* (ემოციური მნიშვნელობა, ემოციური შეფერილობა).

დ. დმიტრიევა შეფასების კატეგორიის შესწავლაში რამდენიმე მიდგომას გამოჰყოფს: კონტრასტულს, ლექსიკო-გრამატიკულს და დისკურსულს [დმიტრიევა 2018]. კონტრასტული მიდგომის მომხრეები შეფასებად თვლიან ყველაფერს, რაც ტექსტის ნორმებს სცდება, რითაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტექსტისკენ (anything which departs from the norm of the text acts evaluatively by drawing attention to itself and also to the material which surrounds it). შეფასებისადმი ამ მიდგომის წარმომადგენელს, ლ. პოლანს, შეფასების გამოხატვის საილუსტრაციოდ მოჰყავს რთული წინადადებებისაგან შემდგარი ტექსტის მაგალითი, სადაც შეფასება სხვადასხვა საშუალებებითაა გამოხატული. ლ. პოლანი შეფასების გამოხატვის ენობრივ საშუალებებად მიიჩნევს: საკვანძო სიტყვების ან ფრაზების გამეორებას, არაპირდაპირი მეტყველების გამოყენებას, მოდიფიკატორთა გამოყენებას, ემოციურ პაუზებს (suspension of the action by retarding discussion), მახვილს, უარყოფით გამოთქმებს [პოლანი 1988: 38]. რ. ჰანტი და დ. ვიპონდის გამოყოფენ შეფასების სამ ძირითად ტიპს და დისკურსში ნორმიდან გადახვევის სამ ვარიანტს, რომლებიც შეესაბამება შეფასების ტიპებს. პირველი ტიპი, მათი აზრით, არის შეფასებები დისკურსში (discourse evaluations), ანუ გამოხატვის აშკარა, მარკირებული ხერხები, როგორცაა, მაგალითად, სიტყვა *crowded* წინადადებაში *“they crowded into our narrow little hall”*, ნაცვლად *“they came into our narrow little hall”*. მეორე ტიპი არის შეფასებები მოთხრობაში (story evaluations), ანუ განსაკუთრებული მოვლენები, პერსონაჟები, აღწერილობები ან ლოკაციები თხრობაში. მესამე ტიპი არის შეფასებები თხრობაში (telling evaluations), ანუ ერთი შეხედვით შეუსაბამო ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით საკვანძო აღმოჩნდება [ჰანტი, ვიპონდი 1986].

ს. ჰანსტონი შეფასებისადმი კონტრასტული მიდგომის ნაკლოვანებებზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით: 1) ლ. პოლანისა და უ. ლაბოვის მიერ გამოყოფილი შეფასების საშუალებები მხოლოდ მოთხრობებს მიესადაგება; 2) შეფასება დისკურსისთვის უფრო არის დამახასიათებელი, ვიდრე წინადადებებისა და მათი შედარებისთვის; 3) რაც უფრო მეტი ხერხია გამოყენებული გარკვეულ ტექსტში შეფასების გადმოსაცემად, მით უფრო ნაკლებად გამჭვირვალეა შეფასების საზღვრები [ჰანსტონი 2008: 59-60].

ლექსიკურ-გრამატიკული, ანუ სისტემური ფუნქციური მიმართულების ფარგლებში გამოჰყოფენ მნიშვნელობის სამ ტიპს: ტექსტუალურს (textual), აზროვნების (ideational) და პიროვნებათშორის (interpersonal). ამ მიდგომის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მ. ჰალიდეის აზრით, მოდალობა ენაში აისახება შეფასების მეშვეობით. მ. ჰალიდეი და მისი მიმდევრები - ჯ. მარტინი, პ. უაიტი - იკვლევენ მეტაფუნქციებს (ენის ფუნქციებს), მათ რეალიზაციას და სტრუქტურებს ენაში. მათი აზრით, ენობრივ სტრუქტურებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს შეფასება, რომელსაც. ს. პონტონი, მ. ჰალიდეის მსგავსად, ტერმინით *tenor* (მიმართება, დამოკიდებულება) აღნიშნავს. ავტორი შეფასების სამ ნიშან-თვისებას გამოჰყოფს, ესენია: გავლენა (power), კონტაქტი (contact) და აფექტი (affect).

გავლენაში მკვლევარი მოიაზრებს იერარქიულ და არაიერარქიულ დამოკიდებულებებს დისკურსის მონაწილეთა შორის. კონტაქტში იგულისხმება, თუ რამდენად კარგად იცნობენ მოსაუბრეები ერთმანეთს და რამდენად აინტერესებთ ერთმანეთი. აფექტი არის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება მოსაუბრის მიმართ [ჰანსტონი, 2008:199]. თუკი ლექსიკურ-გრამატიკული მიდგომისას მკვლევართათვის მნიშვნელოვანია ლექსიკისა და გრამატიკის შეფასებით ასპექტების დადგენა, დისკურსულ მიდგომაში შეფასება განიხილება, როგორც დისკურსის ელემენტი.

ჯ. სინკლერი, ს. ჰანსტონი, ჯ. თომპსონი თვლიან, რომ შეფასება, როგორც დისკურსის კომპონენტი, გავლენას ახდენს დამოკიდებულებაზე, ურთიერთქმედების ანალიზსა და სხვ. მათი აზრით, შეფასება დისკურსში სამ ფუნქციას ასრულებს: 1) შეფასებით გამოიხატება მოსაუბრის აზრი, სოციალური ჯგუფის ფასეულობათა სისტემა; 2) შეფასების მეშვეობით ხდება დისკურსის მონაწილეთა შორის ურთიერთობის აგება-შენარჩუნება; 3) შეფასება - დისკურსის ორგანიზების განუყოფელი ნაწილია.

შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე სემანტიკური/სემასიოლოგიური მიდგომა. სემანტიკის თვალსაზრისით, შეფასება გულისხმობს ენობრივი გამონათქვამების მნიშვნელობის ღირებულებით ასპექტს, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას შემდეგი სახით: A (შეფასების სუბიექტი) თვლის, რომ B (შეფასების ობიექტი) კარგია / ცუდია [ვოლფი 2006: 5]. ფასეულობათა ერთობლიობა ქმნის სამყაროს ფასეულობათა სურათს, რომელიც სოციუმის ენობრივი სურათის ნაწილია. ამ მიმართულების წარმომადგენელთა ნაშრომებში ხაზგასმით აღინიშნება, რომ არსებობს ფასეულობათა სისტემები, რომლებიც საერთოა ყველა ხალხისთვის (ყველა ენისთვის), თუმცა არსებობს ეროვნული ფასეულობები, აგრეთვე კოლექტიური და ინდივიდუალურიც. სამყაროს ფასეულობითი სურათი კულტურის თავისებურებებითაა განპირობებული, თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათი აქვს, რომელიც მხოლოდ მოცემული კულტურისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას მსოფლიო კულტურაში [პისანოვა 1997: 4].

შეფასების კატეგორიის კვლევა **კომინიკაციური** მიდგომის ფარგლებშიც ხორციელდება. მისი წარმომადგენლები იკვლევენ შეფასების გამოყენების პირობებსა და კომუნიკაციურ მიზნებს სამეტყველო აქტებში [თელია 1986, შახოვსკი 1994, ტოკარევა 2005].

შეფასებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გვხვდება შეფასებასთან დაკავშირებული არაერთი ცნება და ტერმინი, რომლებსაც აქვთ მსგავსი მახასიათებლები და რომლებიც წარმოადგენს შეფასების **მომიჯნავე ცნებებს**. ასეთი ცნებებია: მოდალობა, დეიქსისი, ემოციები, ემოციურობა, ექსპრესიულობა, ღირებულებები, ნორმები და სხვ.

ამრიგად, ღირებულების ლინგვისტური შესწავლის მიზნით უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე განხორციელებული მრავალი ნაშრომის ანალიზი ცხადყოფს აქტიურ ინტერესს ამ კატეგორიისადმი ენათმეცნიერების სხვადასხვა სფეროში. შეფასების კატეგორიისადმი, მისი მოცულობისადმი, ფარგლებისადმი, გამომხატველი საშუალებებისადმი მრავალფეროვანი მიდგომები, განსხვავებული შეხედულებები და თვით მისი აღმნიშვნელი ტერმინების სიმრავლე ადასტურებს ამ კატეგორიის შესწავლის აქტუალურობას.

#### ლიტერატურა:

1. **ბიბერი 1999** - Biber D., Johansson S., Leech G., Conrad S. and Finegan E. (1999). The Longman grammar of spoken and written English. Lon-don: Longman. 1203 pp.
2. **ბოლდირევი 2015** - Болдырев Н.Н. (1995). Функциональная категоризация английского глагола: дис. ... д-ра филол. наук. - СПб.
3. **დმითრევა 2018** - Дмитриева Д. Ю. (2018). Лингвокогнитивный подход к проблеме категоризации интел-лектуальных способностей человека [Электронный ресурс] : монография / Д. Ю. Дмитриева, А. С. Самигуллина. – Электрон. текст. дан. – Краснодар : Изда-тельский дом «ХОРС», 2018. – 152 с.

4. თელაია 1986 - Телия В. Н. (1986). Коннотативный аспект семантики номинатив-ных единиц / В. Н. Телия ; отв. ред. А. А. Уфимцева. – М.: Наука. – 143 с.
5. ენგელბრეტსონი 2007 - Englebretson R. (2007). Stancetaking: an introduction // Stancetaking in discourse: subjectivity, evaluation, interaction/edited by R. Englebretson. Amsterdam / Philadelphia: John Benjamins Publishing Company. Pp. 1–26.
6. თომპსონი, ჰანსტონი 2000 - Thompson G., Hunston S. Evaluation: an introduction (2000) // Evaluation in text: authorial stance and the construction of dis-course / edited by S. Hunston and G. Thompson. Oxford Uni-versity Press. Pp. 1–22.
7. ლემკეი 1998 - Lemke J. L. (1998). Resources for attitudinal meaning: evaluative orientations in text semantics // Functions of Language. No 5(1). Pp. 33–56.
8. მარტინი, უაიტი 2005 - Martin J. R. and P.R.R. White (2005). The language of evaluation. Appraisal in English. Palgrave Macmillan. 278 pp.
9. პისანოვი 1997 – Писанова Т.В. (1997). Национально-культурные аспекты оценочной семантики: эстетические и этические оценки / Т.В. Писанова. — М.: Изд-во ИКАР. -320 с.
10. პოლანი 1988 – Polanyi L. (1988). A formal model of the structure of discourse / L. Polanyi // Journal of Pragmatics. – 1988. – Vol. 12, no. 5–6. – P. 601–638.
11. ტოკარევა 2005 – Токарева Е. Н. (2005). Специфика выражения оценки в гендерном дискурсе (на материале современного английского языка): дис. ... канд. филол. н.: 10.02.04 /–Уфа. –205с.
12. ჩარლზი 2004 - Charles M. (2004). The author’s voice in academic writing with reference to theses in politics and materials sciences. Ph. D. dissertation, Department of English, University of Birmingham.
13. შახოვსკი 1994 - Шаховский В. И. (1994.). Типы значений эмотивной лексики // Вопросы языкознания. – № 1. – С. 20–25.
14. ჰალიდაი 2014 - Halliday M.A.K. Halliday’s introduction to functional gram-mar: 4th edition/ M.A.K. Halliday and Christian Matthiessen. Routledge, 2014. 808 pp.
15. ჰანსტონი 2008 - Hunston S. (2008). The evaluation of status in multi-modal speech / Functions of language. No 15(1). Pp. 64–83.
16. ჰანტი, ვიპონდი 1986 - Hunt R. A., Vipond D. 1986. Text and Talk. An Interdisciplinary Journal of Language, Discourse and Communication Studies. – Vol. 6, no. 1. – P. 53–71.

**Nona Kopaliani**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

nona.kopaliani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.27>

## **Basic Problems of evaluative category research in Linguistic**

### **Abstract**

The report discusses the actuality of the evaluation category research and the main problems that are of special interest to linguists. The paper talks about the different views in linguistics that are related to assessment systems, assessment categories and assessment norms; It represents various terms denoting the category of evaluation and all related concepts of evaluation that are widely used in linguistics. In the work, several approaches that are sharply defined in the process of studying evaluation categories are distinguished. Among them the most defined ones are lexical-grammatical, discursive and communicative; in the paper assessment types and underlying characteristics are also characterized.

**Key words:** evaluation category, assessment types, assessment markers

**შორენა ლაზარიაშვილი**

ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თელავი, საქართველო

[lazariashvilishorena@yahoo.com](mailto:lazariashvilishorena@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.28>

**ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება**

**შესავალი.** ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უფ-ლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ფორმაა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება მმართველობის ორგანოთა მიერ ნებით გან-საზღვრული მოქმედებაა, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარ-მოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენაა მიმართული [3-2005]. სწორედ ამიტომ, ადმინისტრ-აციული ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო მარეგულირებელი საკანონმდებლო სა-ფუძველი უნდა იყოს სამართლებრივად გამართული და არაორაზროვანი.

საქართველოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში-სზაკ) მიღებას ხანგრძლივი ისტორია არ გააჩნია და ბუნებრივია, იკვეთება ისეთი სადავო საკითხები, რომ-ლებიც განმარტებასა და დაზუსტებას საჭიროებენ [11-2014]. შესაბამისად, სტატიაში განხილული იქნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრობლემურ-ი საკითხები. ასევე, განხილული იქნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ანალო-გიური ინსტიტუტის ფუნქციონირების მექანიზმი, რადგან ქართული ადმინისტრაციული სამართალი გერმანული სისტემის მსგავსად არის დარეგულირებული [9- 2013].

**ადმინისტრაციული ხელშეკრულების წარმოშობა.** სზაკ-ი 1999 წლის 25 ივნისს იქნა მიღე-ბული. ამ კოდექსის თანახმად საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ახალი ინსტიტუტი - ადმინისტრაციული გარიგება (სზაკ-ის მუხლი 2.1 (ზ)).

გარიგებისა და ხელშეკრულების ცნებათა სისტემის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნე-ლოვანესი დამახასიათებელი თავისებურებაა გერმანული სამართლის ოჯახში შემავალი მართლწესრიგისთვის. ქართული სამოქალაქო კოდექსი სწორედ ამ „ოჯახის წევრია“ და სრულად იზიარებს გერმანული დოგმატიკოსების მიერ XIX საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბებული ნების გამოვლენის დოქტრინას [7-2014].

ყველაზე გავრცელებული ფორმის გარიგება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, თუმცა ცივილისტები „გარიგებას“ უფრო ფართო მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევენ და განიხილავენ, როგორც კერძო (სუბიექტური) და საჯარო (ობიექტური) ნების გამოვლენის შედეგს. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლების კომენტარებში ფართოდაა განმარტებული „გარიგების“ ცნება, შინაარსი და სახეები. გარიგების შესახებ კომენტარებში აღნიშნულია, რომ „გარიგება“ ძველ დროში არ იყო მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი მოვლენა. ტერმინი „გარიგება“ გამოყენებულია, როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალში. ამის წარმოსაჩენად ჩაწერილია ქართული სამართლის ძეგლის სახელ-წოდება- „ხელმწიფის კარის გარიგება“ (რომელიც XIV საუკუნით თარიღდება) [3-2005].

2005 წლის 24 ივნისს, სზაკ-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციული გარიგების ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა და ჩამოყალიბდა ადმი-ნისტრაციული ხელშეკრულების ფორმით (საქართველოს კანონი სზაკ-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2005).

საკანონმდებლო რეგულირების შემდეგ, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ფართოდ გამოიყენება ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაში, მაგრამ ამ სფეროში საკანონმდებლო ბაზის ხარვეზის გამო [8-2012], რაც გამოწვეულია სზაკ-ის დაჩქარებული ტემპით მიღების გამო [9-2013], ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამოყენების დროს, ხშირად იქმნება სამართლებრივი პრობლემები და გაუგებრობები [8-2012]. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამოყენების დროს ყველაზე ხშირად პრობლემური ხდება ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა გამიჯვნის საკითხი.

#### **ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა საკანონმდებლო დეფინიცია**

##### ***ადმინისტრაციული ხელშეკრულება ქართული კანონმდებლობის მიხედვით.***

შესავალში უკვე აღნიშნა, რომ სტატიის ძირითადი საკვლევი თემაა ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ამიტომაც, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმება ამ ტერმინში. ქართული საკანონმდებლო დეფინიციის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება (სზაკ-ის მუხლი 2.1 (ზ)). ადმინისტრაციული ხელშეკრულების ასეთი განმარტება შესაძლებლობას გვაძლევს, რომ იგი დავეყთ ორ შემადგენელ ნაწილად: ადმინისტრაციული ორგანო და საჯარო უფლებამოსილებები [6-2010]. მოქმედი სზაკ-ის შესაბამისად, იმისათვის, რომ ხელშეკრულება ადმინისტრაციულად იქნას მიჩნეული, იგი უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ პირობებს. საკითხის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების განმარტებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს. სზაკ-ის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს (სზაკ-ის მუხლი 2.1 (ა)).

ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს მიჯნავს სამთავრობო, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებისაგან. ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგება მოიცავს მხოლოდ იმ ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო მმართველობის სისტემის შენადგენლობაში შედიან. ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციური გაგება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებს, ორგანიზაციულ-სამართლებრივი გაგებით, ასევე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს [3-2005].

აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში არსებობს ტერმინი „საჯარო ხელისუფლების მატარებელი“, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა ყველა ის პირი, ვინც აღჭურვილია საჯარო სამართლებრივი ძალაუფლებით, ანუ ვისაც გადაცემული აქვს საჯარო ძალაუფლების ტარების და გამოყენების უფლება [5-2014].

რაც შეეხება მეორე შემადგენელ ნაწილს - საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, მისი ლეგალური დეფინიცია არ არსებობს. ამ ინსტიტუტის განსაზღვრა შესაძლებელია კანონმდებლის ნებისა და სამართლის პრინციპების სისტემური განმარტებით [10-2015]. ადმინისტრაციული ხელშეკრულების განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ ადმინის-



ტრაციული ხელშეკრულება იდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით (სზაკ-ის მუხლი 2.1 (ზ)). სწორედ ეს არის ის მთავარი ხელჩასაჭიდი რამ, რაც საშუალებას გვაძლევს კერძო და ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამოიჯვინოს. თუმცა, აქაც ყურადღება გასამახვილებელი, რადგან ცალსახად იმის თქმა არის თუ არა კონკრეტული შემთხვევა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, არც ისე იოლი გამოსაკვლევია [15-2013].

საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაზე საუბრისას აღსანიშნავია, თუ რამდენადაა სამართლებრივი ქმედება განხორციელებული საჯარო მიზნის მისაღწევად. თუმცა, რას ნიშნავს განსაზღვრება-„საჯარო მიზანი“ ეს არც იურიდიულ დოქტრინაში და არც კანონმდებლობაში არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა საჯარო მიზნის მისაღწევად განხორციელებული საჯარო უფლებამოსილება [15-2013].

საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული პირის უფლებები წარმოშობს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი პირების საჯარო ვალდებულებას - სრულად უზრუნველყონ პირის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინება №[ბს-455-443\(კ-13\)](#)).

*ადმინისტრაციული ხელშეკრულება გერმანული კანონმდებლობის მიხედვით. ქართულ და გერმანულ სამართალს შორის კავშირი, შესაძლებელს ხდის შევადაროთ თუ როგორაა რეგულირებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ინსტიტუტი გერმანიის ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით.*

„ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ გერმანიის ფედერაციული კანონი სამართლებრივად აწესრიგებს საჯარო სამართლებრივ ხელშეკრულებას და ადგენს, რომ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს სამართლებრივ ურთიერთობას არის საჯარო სამართლებრივი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამართლებრივ ნორმებს. (Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), (§54)) ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს ადმინისტრაციული აქტის ნაცვლად იმავე საკითხზე, რომელზეც აქტის გამოცემა სურდა, დადოს საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულება [3-2005]. გერმანული სამართლის თანახმად, საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულებით მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა საჯარო სამართლის სფეროში. ეს კატეგორიები ადმინისტრაციული ხელშეკრულების არსს განაპირობებს, ანუ ყურადღება გამახვილებულია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით რეგულირებაზე [3-2005].

„ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ გერმანიის ფედერაციული კანონის §1 და §9 პარაგრაფებით დადგენილია გენერალური ფარგლები ადმინისტრაციული (მმართველობის) ორგანოების საჯარო სამართლებრივი საქმიანობისა და ადმინისტრაციული წარმოების არსის შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ კანონით რეგულირებულ საჯარო სამართლებრივ სფეროში რომელი ხელშეკრულება მიიჩნევა ადმინისტრაციულად. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ხელშეკრულება, რომელიც ადმინისტრაციულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს. როგორც გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაშია მითითებული, საჯარო სამართალზე მინიშნება განაპირობებს ადმინისტრაციული გარიგებების ფარგლების გამოიჯვინოს კერძო სამართლებრივი გარიგებებისაგან [3-2005].

სზაკ-ით ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონკრეტული სახეები განსაზღვრული არ არის. სამაგიეროდ ეს საკითხი უცხო არ არის გერმანიის კანონმდებლობისთვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ კანონი არ ახდენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა სრულ სისტემატიზაციას, მაგრამ

კანონში ადმინისტრაციული ხელშეკრულების ორი ფორმა მაინც არის მოხსენიებული: მორიგების ხელშეკრულება (Vergleichsvertrag) (VwVfG - §55) და გაცვლის ხელშეკრულება (Austauschvertrag) (VwVfG - §56). სწორედ ამის გამოა, რომ სამართლებრივ ლიტერატურაში ასეთ ხელშეკრულებებს განსაკუთრებულ ხელშეკრულებებს უწოდებენ [3-2005].

ადმინისტრაციული ორგანო მორიგების ხელშეკრულების დადების შემთხვევაში იღებს ვალდებულებას იმოქმედოს ხელშეკრულებით აღებული და ხელშეკრულების პარტნიორთან შეთანხმებული ვალდებულების შესაბამისად. ასეთი ხელშეკრულების მიზანია არსებული რთული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების, წინააღმდეგობებისა და გაურკვევლობების გადალახვა მოხდეს მხარეთა ორმხრივი დათმობის (მორიგების) გზით [3- 2005].

ხოლო გაცვლის ხელშეკრულების დადების დროს, ადმინისტრაციული ორგანო და მისი პარტნიორი იღებენ შემხვედრ ვალდებულებებს მოქალაქის უფლებების დაცვის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ასეთი ხელშეკრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობის დროს. მოქალაქის მიერ აღებული შემხვედრი ვალდებულება - მიმართული უნდა იყოს კონკრეტული მიზნის მისაღწევად, უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესის დაცვას, უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს და უშუალო კავშირში უნდა იყოს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან [3-2005].

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, სზაკ-ის 68-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად (სზაკ-ის მუხლი 68). ამ შემთხვევაში, თუ გერმანიის ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმებს გავითვალისწინებთ შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად არის დადებული შეიძლება ჰქონდეს როგორც მორიგების, ისე გაცვლის ხელშეკრულების ფორმა, მაგრამ საქართველოში ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონკრეტულ სახეებზე საუბარი მხოლოდ თეორიული მსჯელობის საკითხია [3-2005]. სასურველი იქნება, თუ სზაკ-ითაც დაკონკრეტებული იქნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების სახეები, ისევე როგორც ეს გერმანიის ადმინისტრაციულ კანონმდებლობაშია მოცემული.

#### **ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებები.**

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საქმიანობის პროცესში გამოიყენოს როგორც საჯარო სამართლებრივი, ისე კერძო სამართლებრივი ფორმა. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რა შემთხვევაშია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს [4- 2008].

კერძო და საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის გამიჯვნის საკითხი თითქოს თეორიულად პრობლემას არ წარმოადგენს. მეცნიერებმა გარკვევით მოახდინეს სამართლის დაყოფა საჯარო და კერძო სამართლის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა მაინც გარკვეულ სირთულეებს იწვევს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ „კერძო და საჯარო სამართალი არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებულნი“ [15-2013].

კერძო და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას ყველაზე კარგად მიჯნავს „საჯარო მიზანი“. ასევე ყურადღების გამახვილებაა საჭირო ხელშეკრულების საგანზეც, თუ რა საკითხთან დაკავშირებითაა ხელშეკრულება დადებული. სწორედ საჯარო მიზნისა და ხელშეკრულების საგნის კომპლექსურად განხილვა იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციული ხელშეკრულების სწორად გაგების და სხვა ხელშეკრულებებისაგან გამიჯვნის საკითხებზე [15-2013].

ხელშეკრულების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თუ სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნება ობიექტურად უნდა განისაზღვროს. ხელშეკრულების მხარეების სუბიექტური შეხედულება არსებითი არ არის. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს, როგორც კომპეტენ-

ცია, ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალება. ასეთ შემთხვევაში ის ნორმატიული აქტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს ქმედების უფლებამოსილებას, ინფორმაციას გვაძლევს მისი საქმიანობის ფორმის სამართლებრივ ბუნებაზე [4-2008], ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება - შეარჩიოს ყველაზე მისაღები საქმიანობის ფორმა (სზაკ-ის მუხლი 2.1 (ლ), მისი ნება განსაზღვრავს საქმიანობის ფორმის (ხელშეკრულების) სამართლებრივ ბუნებას (საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება) [4-2008] .

ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც განსჯადობის, ისე - სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე. სწორედ, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა. ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში საჯარო ინტერესების დამცველი მხარე (ადმინისტრაციული ორგანო) უფლებამოსილია, დაარღვიოს პრინციპი “bona fides exigit ut, quod convenit fiat” (კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარემ ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს). ამ პრინციპის გვერდის ავლას განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას აძლევს, შეცვალოს შეთანხმებული პირობები და ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, გააკონტროლოს შესრულება და მოახდინოს ხელშეკრულების შეწყვეტა საჯარო ინტერესიდან გამომდინარე [10-2015].

სასამართლო პრაქტიკაშიც ყურადღება გამახვილებულია განსჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტის მნიშვნელობაზე. ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას პრინციპზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე [13].

როგორც უკვე აღინიშნა, ხელშეკრულების მიზანი უნდა განისაზღვროს მისი შინაარსიდან გამომდინარე. არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა წარმოდგენილი, როდესაც იგი ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს და მოქალაქის საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს ადგენს [6-2010].

ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ორგანიზაციული ხასიათისაა, რამდენადაც თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაა ორგანიზაციული. მათი მიზანია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა და საჯარო-სამართლებრივი ინტერესის განხორციელება. ხელშეკრულებათა გამიჯვნის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ ხელშეკრულებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის დროს ვისი ინტერესი დგას უფრო მაღალ დონეზე: ერთეულების კერძო ინტერესები, თუ საჯარო ინტერესები (ინტერესთა თეორია)[6-2010].

**დასკვნა.** სტატიაში განხილულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ცნება და ზოგადი დახასიათება გერმანიის კანონმდებლობის მაგალითზე დაყრდნობით. თუ რამდენად მნიშვნელოვანი და პრობლემატურია ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებ-რივი ბუნების დადგენა. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიღება მოხდა ძალიან დაჩქარებული ტემპებით და სწორედ ამის გამოა, რომ არ არის ზუსტად და გასაგებად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება. ამიტომ, იქმნება ბევრი პრობლემა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა გამიჯვნასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც განსჯადობის, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე. ამიტომ სასურველი იქნება, სზაკ-ში შევიდეს ცვლილება

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ინსტიტუტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და განისაზღვროს ადმინისტრაციული ხელშეკრულების კონკრეტული სახეები, რათა თავიდან იქნას აცილებული სტატიაში განხილული პრობლემები.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=0>> [12.02.2024].
2. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26968?publication=0>> [12.02.2024].
3. ადგიშვილი ზ., გავარდამიშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., (2005). ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი.
4. კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., (2008). ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი.
5. მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., (2014). ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.
6. ტურავა პ., წვეპლაძე ნ., (2010). ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი.
7. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანიძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., (2014), სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
8. გაბაიძე დ., (2012). 2-14, ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეცვლა და გაუქმება, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა, იხ. <<http://www.library.court.ge/upload/23822012-07-29.pdf>> [12.02.2024].
9. ვინტერი გ., (2013). ადმინისტრაციული სამართლის განვითარება და სამართლებრივი კონსულტაცია საქართველოს, როგორც გარდამავალი ქვეყნის მაგალითზე, ჟურნალი „ადმინისტრაციული სამართალი“, 1/2013, 67-85.
10. კივილაშვილი გ., (2015). მიზანი, როგორც ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის კრიტერიუმი, სამართლის ჟურნალი №2, 165-185.
11. მარინაშვილი მ., (2014). ადმინისტრაციულ დავებში სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების გამოყენება, ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“, №4(43), 111-116.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის განჩინება N-[ბს-455-443\(კ-13\)](#).
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინება N-[ბს-31-27\(კ-13\)](#).
14. Verwaltungsverfahrensgesetz (VwVfG), <<https://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/>> [12.02.2024].
15. გიორგაძე ლ., კერზო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გამიჯვნის პრობლემა ტენდერის მაგალითზე, ჟურნალი „თანამედროვე სამართლის მიმოხილვა“, #1, 2013, გვ. 51-62.

**Shorena Lazariashvili**  
GogebaSvili State university  
Telavi, Georgia  
lazariashvilishorena@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.28>

## **Legal Nature of the Administrative Contract**

### **Abstract**

The administrative contract is one of the important legal forms of the exercise of authority by the administrative body. The conclusion of an administrative contract by the governing bodies is a voluntary action aimed at the creation, change or termination of a specific legal relationship. It is very important to determine the legal nature of the administrative contract, because the separation of the administrative and civil contract has practical importance, both at the stage of the jurisdiction and the contractual relationship.

**Key words:** Administrative Contract, Legal Nature

**ლელა მალულარია**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

Lelamagularia26@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.29>**„თანამედროვე ენათმეცნიერების გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემები“****საკვანძო სიტყვები:** თანამედროვე ენათმეცნიერება, გნოსეოლოგია, მეთოდოლოგია

როდესაც საუბარს ვიწყებთ ენათმეცნიერებაზე, ენის წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპებზე, პირველ რიგში ალბათ ყველას ბაბილონის გოდოლი და ენის წარმოშობის ბიბლიური განმარტება გვახსენდება. თუმცა, გარდა ამისა, სხვადასხვა ენებში არსებობს განსხვავებული იგავები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. და რა თქმა უნდა, არსებობს ფილოსოფიური განმარტებებიც. თუმცა, ვერცერთი ზემოთ თქმული კრიტიკას ვერ უძლებს. მაშინ, როცა ამდენი მოსაზრება და კვლევა-ძიება არსებობს ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით, ნათელი ხდება, რამდენად დიდი მნიშვნელობა და ზეგავლენა აქვს ენას კაცობრიობის ისტორიაში.

მიუხედავად ზემოთხსენებული არაერთი ისტორიისა, არ არსებობს არანაირი ლოგიკური და დასაბუთებული ახსნა იმისა, თუ საიდან წარმოიშვა ენები და როგორ განვითარდა თითოეული. მაგრამ ფაქტია, რომ ენა იქცა მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ საკვლევ ობიექტად, მთელი მისი რიგი საკითხებით და ეს პროცესი მიმდინარეობს დღემდე და ალბათ, შეუძლებელია როდესმე ამოიწუ-როს, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ენა ცოცხალი ორგანიზმია. თანამედროვეობის ცვლილებებთან ერთად კვდება და იზადება ახალი ენები, იცვლიან ფორმას, შინაარსს, დამწერლობას და ფეხს უწყობენ ყოველდღიურობას.

ზოგადად, ენათმეცნიერებას საფუძველი ძველ ინდოეთსა და საბერძნეთში ჩაეყარა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ IV საუკუნეში. მას შემდეგ ენათმეცნიერებას განვითარება არ შეუწყვეტია. მისი ისტორიული თვალსაზრისი კი XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, რაც ბოპის ნაშრომი გამოქვეყნდა. იმდროინდელი და დღევანდელი ენათმეცნიერება კი რა თქმა უნდა ერთიდაიგივე არ არის.

ენათმეცნიერება ძალიან ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში არსებული ენების სტრუქტურის მეცნიერულ შესწავლას. ენებს შორის ბგერების, სიტყვების, წინადადებებისა და მნიშვნელობების ანალიზს. იგი მოიცავს ქვედარგებს, როგორცაა ფონეტიკა, ფონოლოგია, გრამატიკა, სემანტიკა. ენათმეცნიერები ცდილობენ გაიგონ როგორ იქმნება და ფუნქციონირებს ენები და როგორ იყენებენ მათ სხვადასხვა საზოგადოებაში. თუმცა, ამჯერად ჩვენ განვიხილავთ მის გნოსეოლოგიურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს.

ენის ათვისების მეთოდოლოგია ძალიან მრავალფეროვანია მისი განვითარების ეტაპების თვალსაზრისით. მაგალითად, თუკი შედარებისთვის ავიღებთ, საბჭოთა კავშირის დროინდელ საქართველოში უცხო ენების სწავლის ძირითად მეთოდს წარმოადგენდა გრამატიკულ-მთარგმნე-ლობითი მეთოდი, რაც გულისხმობდა გრამატიკული წესების დაზეპირებას და წინადადებებისა და სიტყვების თარგმნას. ენის ათვისებას, როგორც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, სამეტყველო დანიშნულება არ გააჩნდა.

რაც შეეხება თანამედროვე სწავლების სტილს, რა თქმა უნდა საბჭოთა პერიოდის შემდეგ განვითარდა და დაიხვეწა სწავლების მეთოდოლოგია. უცხო ენის სწავლების მთავარ მიზნად იქცა ამ ენაზე კომუნიკაცია და უცხო ქვეყნის კულტურის გაცნობა. სასწავლო პროცესში ყურადღება ეთმობა ენის ოთხივე მიმართულებას (მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი), შესაბამისად გამრავალფეროვნდა სასწავლო მეთოდებიც. სწავლა-სწავლების პროცესში ენის ათვისების ყველაზე გავრცელებული მეთოდებია:

- გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი
- პირდაპირი მეთოდი
- აუდიო-ლინგვალური მეთოდი
- აუდიო-ვიზუალური მეთოდი
- შერეული მეთოდი
- დრამის მეთოდი
- კომუნიკაციური დიდაქტიკა
- ინტერკულტურული მიდგომები
- TPR

სასწავლო მეთოდთა მრავალფეროვნების მიუხედავად, ენათმეცნიერებაში მუდმივად იჩენს თავს სხვადასხვა სახის პრობლემები, რაც გამოწვეულია ცხოვრების სტილის ცვლადობის, ეკონომიკური ფაქტორების, ერების მრავალფეროვნებისა თუ სხვადასხვა არაერთი საკითხით, თუმცა პრაქტიკული ენათმეცნიერების ძირეულ პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა ისწავლებოდეს (შინაარსი); როგორ უნდა ისწავლებოდეს (სასწავლო მეთოდები); და რა წარმოადგენს სასწავლო მიზანს (რისთვის მჭირდება).

თუკი ავიღებთ საქართველოს მაგალითს და განვიხილავთ ზემოთხსენებული პრობლემების ჭრილში, შეიძლება ითქვას, რომ ენის სწავლების პოლიტიკა საფუძვლიანად ვერ აკმაყოფილებს ვერცერთ მიმართულებას, რასაც ენის მეთოდოლოგიური პრობლემებიდან მივყავართ მის გნოსეო-ლოგიურ პრობლემამდე. ეს არის ჯაჭვური რეაქცია, რომელიც შეიძლება მოგვარებულ იქნეს ასევე მხოლოდ ჯაჭვური პრინციპით. მხოლოდ ერთი რგოლის გაუმჯობესება, ვერ გამოასწორებს მთლიან, სისტემურ პრობლემას, რაც ენათმეცნიერებასთანაა კავშირში.

ენის კურიკულუმის განვითარების პერსპექტივიდან, სასწავლო მეთოდების არჩევანი, მხოლოდ ერთი ეტაპია სისტემაში განხორციელებული ურთიერთდაკავშირებული კურიკულუმების განვითარების აქტივობებისა. სასწავლო მიდგომების, მეთოდების და აქტივობების შერჩევა ჩვეულებრივ ხდება ენობრივი პროგრამის დიზაინის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებამდე უნდა მოხდეს სილაბუსის, სასწავლო მეთოდებისა და მასალის არჩევანი. ამისათვის წინასწარ უნდა იყოს გამოკვლეული თუ რა მიზანს ემსახურება ენის ათვისება, როგორ უნდა იყოს ის მსმენელებისთვის მიწოდებული, რა წინარე ცოდნა გააჩნია სამიზნე აუდიტორიას და ა.შ. ასეთი ინფორმაცია საფუძველს იძლევა ხარისხიანი კურიკულუმების შემუშავებისათვის, რადგან ეს პროცესი საჭიროებს მონაცემთა ანალიზს, მიზნების სწორად შემუშავებას, სასწავლო აქტივობების შერჩევას და ენის პროგრამის შედეგების შეფასებას.

ცალკე გამოვყოფთ შეფასების ნაწილს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, მეცნიერების ყველა დარგში. რადგან თუ არ მოხდა ნებისმიერი ნაშრომის შეფასება, მონიტორინგი და მონაცემთა გადახარისხება, შეუძლებელია რომელიმე დარგის განვითარება. რაც შეეხება, უშუალოდ ენათმეცნიერების მეთოდოლოგიურ ნაწილს, ყველა სასწავლო მიმართულებაზე (სასკოლო, საუნივერსიტეტო) სისტემატიურად უნდა ხდებოდეს თითოეული სასწავლო მეთოდის შეფასება, რათა გავიგოთ რამდენად მიიღწევა პროგრამის მიზნები და არის თუ არა ესა თუ ის მეთოდი ეფექტური.

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს მონაცემთა შეგროვება. ხშირად რთულია სანდო მონაცემების შეგროვება შეზღუდული დოკუმენტაციის ფონზე ან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ ენებს. ასევე, სანდოობის ხარისხზე გავლენას ახდენს ეთიკური მოსაზრებები, რადგან ლინგვისტური კვლევების ჩატარება, განსაკუთრებით კი ადამიანური სუბიექტების მონაწილეობით, წამოჭრის ეთიკურ საკითხებს კონფიდენციალურობასთან და კულტურულ სენსიტიურობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ხშირად საქმე გვაქვს მკვლევარის სუბიექტურობასთან და მიკერძოებასთან ლინგვისტურ ანალიზში.

თანამედროვე ენათმეცნიერება რამდენიმე გნოსეოლოგიური პრობლემის წინაშე დგას. ესენია: ენობრივი უნივერსალის შესწავლა სხვადასხვა კულტურებში, კოგნიტური მეცნიერების ინტეგრაცია ლინგვისტურ თეორიებში. ასევე, გამოთვლითი ლინგვისტიკის ზრდა წარმოქმნის გამოწვევებს ადამიანის ენის გაგებისა და მანქანური ენის დამუშავების შესაძლებლობებთან თანხვედრისას.

ასევე აღსანიშნავია ენების ისტორიული რეკონსტრუქცია, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ენის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გნოსეოლოგიური პრობლემა. ენების განვითარების და სახეცვლილების შესახებ ხშირად არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია და დასკვნების გაკეთება გვიწევს შეზღუდული მონაცემებიდან გამომდინარე, რაც იწვევს გაურკვევლობას და დებატებს.

ენათმეცნიერებაში არსებული იმ გამოწვევების მოსაგვარებლად, რაც ზემოთ არის ნახსენები, აუცილებელია რამდენიმე იმ ძირეული საკითხის გათვალისწინება, რომელიც იქნება ყოვლის-მომცველი. მაგალითად ასეთია: ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარება, რათა მოხდეს ურთიერთ თანამშრომლობა და სხვადასხვა დისციპლინების შერწყმა, რომ კვლევები იყოს სიღრმი-სეული და უძლებდეს კრიტიკას. ემპირიული კვლევების ჩატარება ენის სტრუქტურის, გამოყენების, შექმნისა და დამუშავების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. კულტურათაშორისი და ლინგვისტური შედარება, რათა მოხდეს სხვადასხვა ენების ლინგვისტური მახასიათებლების დადგენა. კრიტიკული ანალიზი, კვლევის რეფლექსიების კრიტიკული ანალიზის წახალისება პრობლემის უკეთ გამოსაკვეთად და გადასაფასებლად. უწყვეტი დიალოგი, რაც გულისხმობს ენობ-რივ საზოგადოებაში მიმდინარე იდეების ხელშეწყობას კონფერენციების, სემინარების, ფორუმების მეშვეობით რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა და ინტელექტუალური ზრდა.

ეს ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი მიდგომები მეცნიერებს დაეხმარება, როგორც ენის ბუნების გაგებასთან დაკავშირებული გნოსეოლოგიური გამოწვევების, ასევე მის ეფექტურ შესწავლასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური გამოწვევების მოგვარებაში.

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. ლარსენ დ. ტექნიკები და პრინციპები ენის სწავლებაში II. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა. ინგლისი.
  2. რიჩარდს ჯ. და როჯერს თ. მიდგომები და მეთოდები ენის სწავლებაში. კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა.
  3. შავერდაშვილი ე. (2014): უცხოური ენების სწავლების საფუძვლები I. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.
- [4.https://geofilologia.wordpress.com/](https://geofilologia.wordpress.com/) (2015): ფილოლოგი// „ენათმეცნიერების საგანი და ენის ფუნქციები“



**Maghularia Lela**

Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

[Lelamagularia26@gmail.com](mailto:Lelamagularia26@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.29>

## **Methodological and epistemological problems of modern linguistics**

### **Abstract**

There is discussed the Linguistics in the current work as one of the most important direction of science. Its constituent subfields are also listed there because of more concreteness and better understanding of how broad linguistics is.

It is clear that studies related to linguistics are different for different languages and countries. It is impossible to discuss the examples of all countries in one conference topic, therefore, based on the current reality, I have given as an example the methodological aspects of the linguistics of Georgia during the Soviet Union and now. The main directions of what the methodical issues should serve are also allocated.

In addition, I discussed the issue of the curriculum as one of the most important documents in the process of language acquisition and talked about the necessary stages for its development and proper preparation.

What is more, when we consider methodological and epistemological problems in linguistics, we can not ignore such issues as are: evaluation, data collection, data reliability, cultural aspects, historical reconstruction of languages.

Based on the existing problems, I made a summery analysis in the conclusion and discussed the possible ways to solve them.

**Key words:** Modern Linguistic, Methodological and epistemological problems

**თამარ მახარობლიძე**


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.30>

**ბრუნვათა სისტემის შესახებ ქართულ ჟესტურ ენაში<sup>1</sup>**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ჟესტური ენა, ჟესტური ენები, ფლექსია, აფიქსები ჟესტურში

ცნობილია, რომ ჟესტურ ენებში არ არის ბრუნვათა სისტემები, თუმცა ამ ენების ზოგი სპეციალისტი, ისეთი ცნობილი ლინგვისტი, მაგალითად, როგორცაა ირიტ მიერი (2003) ცდილობდა ამ სისტემის გამოვლენას. ზოგადად, ჟესტურ ენებს ახასიათებთ თანადროული და არა სეგემენტური მორფოლოგია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ენები წმინდად სინქრონული მორფოლოგიის ენებია. ჩვენ განვსაზღვრეთ ჟესტის, როგორც აფიქსის პარამეტრები (მახარობლიძე & არჩვაძე 2022). ჟესტი რომ ჩაითვალოს გრამატიკულ აფიქსად, საჭიროა ეს ჟესტი იყოს დელექსიკალიზებული, ჰქონდეს კონკრეტული მორფო-სემანტიკა, მყარი ადგილი და შესაძლოა იყოს ეროზირებული ან სახეცვლილი ერთი ან რამდენიმე ფონოლოგიური მახასიათებლით.

საგულისხმოა, რომ ქართულ ჟესტურ ენაში აღინიშნება ბრუნვათა სისტემის ფუნქციონირება. კერძოდ, ქართული ჟესტური ენის დესკრიფციული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ფლექსიის შემდეგი მარკირებული ფორმები:



სურ.1 ბრუნვათა მარკირებული ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში

ამრიგად, ამ მარკირებულ ფორმებს ემატება არამარკირებული ნომინატივი, რომელიც არის ამ ოპოზიციის სრულუფლებიანი წევრი და ვიღებთ კარგად ჩამოყალიბებულ ბრუნვათა შემდეგ სისტემას:

1. ნომინატივი

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [ FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

2. ერგატივი
3. დატივი
4. გენიტივი
5. ვოკატივი

მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ბრუნვის მარკერი უკან მოჰყვება არსებით სახელს და აქვს მყარი ადგილი. ასევე ყველა ფორმა არის დელექსიკალიზებული. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ნომინატივი (იხ. სურათი 2), როგორც უნიშნო წევრი, ზოგადი ტიპოლოგიური სახეა ჟესტურ ენებში და აქ არანაირი კითხვები არ წარმოიშობა. რაც შეეხება ერგატივს (იხ. სურათი 3), ეს არის ადამიანის გამომხატველი ნიშანი, რომლის დელექსიკალიზაციაც ხდება. მას აქვს მყარი ადგილი, ის უშუალოდ მოჰყვება არსებითი სახელის აღმნიშვნელ ჟესტს. ეს ბრუნვა ქართული სამეტყველო ენის გავლენით არის ქართულ ჟესტურ ენაში გაჩენილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ არ ხდება ბრმა გავლენა. ქართულ სამეტყველო ენაში ერგატივი შეუძლია მიიღოს ნებისმიერი კლასის სახელმა, ხოლო ჟესტურში კი მხოლოდ ადამიანის კლასი მიიღებს ამ ბრუნვას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ეს ენა გაპიროვნების შემთხვევაშიც კი არ დააყენებს სხვა სულიერ სახელს ერგატივში. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მოაზროვნე სუბიექტის როლს ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბებაში ზოგადად. ქართულ ჟესტურ ენაში სინტაქსურად ერგატიული სისტემის იგივე მოდელი გვაქვს, რაც ქართულ სამეტყველო ენაში. ეს ბრუნვა თავს იჩენს როგორც სუბიექტის ბრუნვა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფარდ ფორმებთან.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ერგატიული ბრუნვის გამოყენება იშვიათია ქართულ ჟესტურ ენაში. ეს ბრუნვა სამეტყველო ქართულის გავლენით არის შემოსული და ყრუთა თემის მხოლოდ მცირე რაოდენობა გამოიყენებს ამ ბრუნვას.



### კაცი არის

სურ. 2. ნომინატივი



### კაცმა დასაბა

სურ. 3. ერგატივი

დატივი (იხ. სურათი 4) არის განსაზღვრული, როგორც ირიბი ობიექტის ბრუნვა. დატივის ნიშანი წარმოშობით დეიქტიური ფორმაა, თუმცა როგორც ბრუნვის ნიშანი ის

უკვე აღარ არის დეიქტიური. თავისთავად, ერგატივისა და დატივის ეს ფუნქციები თავისი მნიშვნელობით ათავისუფლებს სიტყვათა რიგს წინადადებაში. დატივი ირიბი ობიექტის ბრუნვაა და აქაც ხდება ქართული სამეტყველო ენის სინტაქსური ფორმატის გამეორება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრუნვა მხოლოდ სულიერი ვინ კლასის არსებით სახელებთან გვხვდება სამეტყველო ქართული ენისგან განსხვავებით. ასევე, დატიური ბრუნვა არ იმეორებს იმ მდიდარ სემანტიკას, რაც მას გააჩნია სამეტყველო ქართულში, სადაც მას შეუძლია აწარმოოს დროისა და ადგილის აღმნიშვნელი ფორმები, ასევე გამოხატოს პირდაპირი ობიექტი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან.



### კახს მიჰვანი

სურ. 4. დატივი

გენეტივი (იხ. სურათი 5) ზოგადად არის კუთვნილებითობის გამოხატველი სემანტიკის მქონე ბრუნვა. ამ თვალსაზრისით, ის ბრუნვა ორგანულია ყველა ენისთვის, სადაც იგი თავს იჩენს. ამ კუთხით, არც ქართული ჟესტური ენაა გამონაკლისი. ეს ბრუნვა არ გაჩენილა სამეტყველო ქართული ენის გავლენით. წარმოდგენილი გენეტივის მარკერი ყოველთვის იყო ქართულ ჟესტურ ენაში და ფუნქციონირებდა როგორც კუთვნილების ნიშანი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს გენეტივის მარკერი თავდაპირველად მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან იჩენდა თავს, ბოლო პერიოდში კი ამ ნიშნის გამოყენების არეალი გაიზარდა და ახლა ეს ნიშანი გვხვდება სხვა სულიერ არსებით სახელებთანაც, თუმცა შედარებით იშვიათად. გენეტივის ნიშანი წარმოშობით კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმიდან მოდის (შენი, ა/ი/მისი, თქვენი, ა/ი/მათი), რაც, თავისთავად, მოგვაგონებს სამეტყველო ენებში ბრუნვის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობის სკაკითხებს. უნდა ითქვას, რომ გენეტივის მარკერი შედარებით დაბლა, მკერდის არეში და ოდნავ ქვევით იწარმოება, მაშინ, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები მხრების და სახის დოენეზუა წარმოდგენილი. ჟესტის ლოკაცია ერთ-ერთი ფონოლოგიური პარამეტრია ჟესტურ ენებში და ამგვარი სხვაობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ეს ჟესტი (გენეტივის მარკერი) არის გრამატიკული ნიშანი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ გენეტივის ნიშანი შესაძლოა მოსდევდეს არა უშუალოდ პოსესორს, არამედ ფლობის საგანსაც. ეს განპირობებულია შემდეგი ორი გარემოებით:

1. როდესაც გვაქვს ადამიანი და ნივთი (ან სხვა სულიერი, მაგ. ცხოველი ან ფრინველი), აქ ცხადია, პოსესორი იქნება ადამიანი. ამიტომაც ენა უშვებს ამ ტიპის გადაადგილებას. როდესაც ორი ვინ კლასის საგანია მოცემული, აქ გენეტივის ნიშანი აუცილებლად დაერთვის უშუალოდ მფლობელს (მაგ. *სტუდენტის ძმა* იქნება წარმოდგენილი შემდეგნაირად: 'სტუდენტი, პოსესიურობის ნიშანი/ანუ გენეტივის ნიშანი ძმა')
2. ქართული ჟესტური ენა სტანდარტიზაციის გარეშეა, რაც თემის წევრებს აძლევს სხვადასხვა ფორმების გამოყენების საშუალებას.



## კანის ნიშნი

სურ. 5. გენიტივი

ვოკატივი (იხ. სურ. 6) ზოგადად არის იმპერატიული ბრუნვა, როგორც ამას აღნიშნავენ ქესტური ენის მკვლევარები (Donati, C., G. Barberà, C. Branchini, C. Cecchetto, C. Geraci & J. Quer. 2017 და სხ.) გასაგებია, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე (ეს არის კომუნიკანტის მოხმობის ფორმა. კომუნიკანტი, კი მხოლოდ ადამიანია), ეს ბრუნვაც მხოლოდ ადამიანის კლასის არსებით სახელებთან შეიძლება შეგვხვდეს.



## კანო

სურ. 6. ვოკატივი

ამრიგად, ქართულ ქესტურ ენაში წარმოდგენილი ბრუნება მხოლოდ ადამიანის კლასის სახელებისთვისაა განკუთვნილი.

**ლიტარატურა:**

1. მახარობლიძე თ. (2015) ქართული ქესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
2. მახარობლიძე თ. (2019) ქართული ქესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
3. მახარობლიძე თ. (2015) ქართული ქესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
4. Börstell, Calle (2016) Taking it PERSONally The form and function of the case-marked pronoun OBJ-PRO in Swedish Sign Language. Poster presented at the 12th International Conference on Theoretical Issues in Sign Language Research La Trobe University, Melbourne January 4–7, 2016 [file:///C:/Users/User/Downloads/borstell2016\\_poster.pdf](file:///C:/Users/User/Downloads/borstell2016_poster.pdf)
5. Börstell, Calle (2017) Object marking in the signed modality Verbal and nominal strategies in Swedish Sign Language and other sign languages. PHD dissertation. University of Stockholm.

6. Donati C., G. Barbera, C. Branchini, C. Cecchetto, C. Geraci, J. Quer. 2017. Searching for imperative in European sign languages. In Van Olmen, D. and S. Heinold (eds.). *Imperatives and Other Directive Strategies*, 111- 155. Amsterdam: John Benjamins.
7. Meir, Irit. 2003. Grammaticalization and modality: The emergence of a case-marked pronoun in Israeli Sign Language. *Journal of Linguistics* 39(1). 109–140. doi: 10.1017/S0022226702001664.

**Tamar Makharoblidze**

*Ilia State University*

tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.30>

### **On Case system in Georgian Sign Language <sup>1</sup>**

Georgian Sign Language (GESL) is a language of Deaf and Hard of Hearing people (DHH) in Georgia. As a language of former Soviet space, it still has a considerable influence from Russian Sign Language (RSL), especially on its lexical level. Usually, sign languages (SL) do not have case marking. One of the few studies that claim the existence of case marking in SL is Meir (2003), who argues that Israeli Sign Language (ISL) features a case marking pronoun, which is grammaticalized from the sign PERSON — the regular index pronoun directed in space at either the signer/addressee or a location in space. Meir found that there are several relevant differences between the signs PERSON and the case-marked pronoun labeled PRO[bC]. Meir (2003) considers, that ‘ISL agreement verbs is a manifestation of the dative case’. She outlines, that ‘marking case distinctions on the verb is very different from the more usual mechanism of case-marking in spoken languages, namely, by marking the nominal arguments’. Makharoblidze (2012, 2015) and Börstell (2015, 2016, 2017) had trials to describe case marking in SL.

The descriptive investigations of Georgian Sign Language - GESL reveal that this sign language is crucially different in this respect, as it has a rich system of case marking. I argue that there are five cases in GESL - nominative, ergative, dative, genitive and vocative, and they are used only for human class nouns. Nominative case is zero-marked. The other four markers are depicted in Table 1. In GESL case markers do not move in space in difference from the same type markers of other categories.

**Keywords:** GESL, Georgian Sign language, sign languages, flexion, affixes in sign languages

---

<sup>1</sup> This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. [The Georgian Sign language nominal morphology]

**შორენა მახაჩაძე**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

shorena.makhachadze@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.31>**დიგიმოდერნისტული კრებული  
/ნიკა ფუტკარაძის „დუმბლის ქარაგმები“/**

XXI საუკუნის დასაწყისი გამოირჩევა იმით, რომ პოსტმოდერნიზმის ისეთი ცნობილი თეორეტიკოსები, როგორებიც არიან ლინდა ხატჩონი (2002), იჰაბ ჰასანი (2003) და ალან კირბი (2006) მსჯელობენ პოსტმოდერნის ეპოქის დასასრულსა და ხელოვნებაში მისი შესაძლებლობების ამოწურვის შესახებ. ამის პარალელურად წარმოიშვა უამრავი თეორია, რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ დაიჭირონ პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ადგილი. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ცდილობენ, წინარე კულტურული დომინანტა //პარადიგმა ჩაანაცვლონ ახლით.

ამ ახალ კულტურულ პარადიგმებს შორის ერთ-ერთი საინტერესოა დიგიმოდერნიზმი, რომელიც, ძირითადად, იმით განსხვავდება ჩვენ მიერ ადრე გაანალიზებული მეტამოდერნიზმიდან (მახაჩაძე, 2020:), რომ ის ეხება არა მხოლოდ ხელოვნების სფეროს, არამედ - ახალ ტექნოლოგიებსაც, ანუ იმ ტექნოლოგიურ რევოლუციას, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს XXI საუკუნეში საზოგადოების ყველა სფეროზე, ადამიანის სოციალურ ცხოვრებაზე, მათ შორის, ხელოვნებასა და კულტურაზე.

ალან კირბის აზრით, დიგიმოდერნისტულმა ტექსტმა ახალი კულტურული პარადიგმის ეპოქაში იცვალა სახე: გახდა ციფრული. მისი ზუსტი დაკვირვებით, ტექსტის ცნება გაფართოვდა და მასში იგულისხმება კომპიუტერული თამაშები, ტელეშოუები, რადიოგადაცემები, პოდკასტები, სოციალური ქსელები, ბლოგები და სხვა ინტერნეტმომსახურება. როგორც წესი, ასეთი „ტექსტი“ მიმართულია მომავლისაკენ: მას აქვს დასაწყისი, მაგრამ, შესაძლოა, არ ჰქონდეს დასასრული. დიგიმოდერნისტული ტექსტი მუდმივად ვითარდება, ივსება, სტიქიურობა მისი ერთ-ერთი ნიშანია, რადგან ტექსტის განვითარების მიმართულება არაა კონკრეტულად განსაზღვრული (კირბი, 2009:).

ავტორი, რომლის სიკვდილი პოსტსტრუქტურალიზმმა აღიარა ჯერ კიდევ 1994 წელს როლან ბარტის პირით (ბარტი, 1989:), კვლავ ჩნდება დიგიმოდერნიზმში, ოღონდ ის უკვე ინდივიდუალური ფიგურა კი აღარაა, არამედ ადამიანების გაერთიანების წევრია, რომლის ცალკეული წარმომადგენელი დამოუკიდებლად აღარაა მნიშვნელოვანი, ისინი ერთად ქმნიან რაღაც პროდუქტს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ტექსტის დაწერას, როგორც შემოქმედებით პროცესს, ცვლის ტექსტის დაბეჭდვა, მისი მუსიკალურ-მხატვრულ-ქორეოგრაფიული გაფორმება, ანუ ტექსტები ხდება ვიდეორგოლების შთამაგონებელიცა და შემადგენელი ნაწილიც. ასე რომ, ციფრული ტექნოლოგიები უშუალოდ მონაწილეობს და მოქმედებს ტექსტების შექმნისა და აღქმის პროცესზე. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ ნიკა ფუტკარაძის ლექსების კრებული „დუმბლის ქარაგმები“ (2022) დიგიმოდერნისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი

მერცხალია. მასში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი პოეტის, ნიკა ფუტკარაძის, ასაკის შესაფერისად, გულწრფელი, უშუალო, „ახალი რომანტიზმით“ შეფერილი ლირიკული სტრიქონები, მისი ძმის, ნიჭიერი მუსიკოსის, გიორგი ფუტკარაძის საავტორო როკ-კომპოზიციები, სანდრო ნებიერიძის, ასევე, საავტორო კლასიკური მუსიკა, ყველაფერი ეს გაერთიანებულია ვიდეოკლიპებში, ვიდეოარტებში (ოპერატორი - ანრი ფუტკარაძე), რომელთა ნახვის საშუალებაც მკითხველს აქვს წიგნში განთავსებული QR კოდების მეშვეობით Youtube არხზე. ამ კლიპებში გამოყენებულია ახალგაზრდა ფერმწერის, იოსებ ჯორბენაძის, მხატვრობა, სესილი დავითაძის ქორეოგრაფია. ფაქტია, რომ პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, ქორეოგრაფიის, კინოხელოვნების ერთ სივრცეში - ერთ წიგნში თავმოყრა, მათი ორგანული სინთეზი წარმოუდგენელია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე.

ეს ვიდეოკლიპები კი ნამდვილად შთამბეჭდავია, მაგალითად, პირველივე, ლექსის - „შენი შინ უფრო შორია“ (ფუტკარაძე, 2022:9) *[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]* - ქვემოთ მოთავსებული QR კოდის საშუალებით რომ შეხვალთ მითითებულ არხზე, მართლაც, გემოვნებით, ნიჭიერად გაკეთებულ ვიდეოკლიპს ნახავთ, თან დარწმუნდებით, რომ ეს არაა ხელოვნების სხვადასხვა სფეროს თვითმიზნური გაერთიანება, ის გვეხმარება ლექსის ქვეტექსტების ამოკითხვაში, უფრო მძაფრად შეგვაგრძნობინებს პოეტის ემოციას. მასში ერთმანეთს ერწყმის ბუნებისა და ადამიანის, ისტორიისა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხები, ხაზგასმულია დღევანდელი საქართველოს ყველაზე დიდი სატკივარი - საკუთარ მიწაზე საზღვრებგამრავლებული, „შინს“ დანატრებული, სამშობლოში ხიზნად ქცეული ადამიანების ტრაგედია - ეკლიანი მავთულხლართები საკუთარი კერის მონახულების საშუალებას რომ არ აძლევს, ყველაფერს კი აგვირგვინებს ქართველთა მიერ ერის მამის - ილიას მკვლელობის ტვირთის სიმძიმე, სწორედ ამ მარადიულ მკვლელობასა თუ თვითმკვლელობაშია ქვეყნის ყველა უბედურების სათავე:

„არაფერია უცვლელი, დღეს - ხე, ხვალ - თეთრი ფურცელი,  
რომელზეც დაიწერება - გთხოვ, გაუფრთხილდი ბუნებას,  
შენი შინ უფრო შორია, ამ თეატრს ისე უცქერი,  
თითქოს შენს ტუჩებს ცრემლების სიმლაშე ესალბუნება.  
შენი შინ უფრო შორია, შარაზე შური ხშირია,  
როცა შინამდე მივიდა, მაშინ მოუკლავთ ილია.  
შინამდე ვერ მიღწეული, შუა გზაზე მოკლეს ილია.“ (9)

ისევე როგორც სუროს სამოსში გახვეული სახლის კედლები, ნიკა ფუტკარაძის ზოგიერთი ლექსიცა და მის საფუძველზე შექმნილი კლიპიც, მართლაც, ეპიტაფიად შერჩება დაცარიელებულ, დანგრეულ ქართულ სოფლებს.

როგორც ვნახეთ, ნიკა ფუტკარაძის პოეზიისთვის არც დიგიმოდერნიზმია უცხო და არც მეტამოდერნისტული განწყობებია მიუღებელი, მით უმეტეს, რომ დიგიმოდერნიზმის ესთეტიკა, გარკვეულწილად, მსგავსია მეტამოდერნისტული ტენდენციებისა. ორივეს ახასიათებს გულწრფელობა, რეალისტურობა, დაუსრულებელი ნარატივები. ალან კირბი დიგიმოდერნიზმში ინფანტილურობას ხედავს, რაც, ვფიქრობთ, არცთუ ისე შორსაა მეტამოდერნისტული განათლებული გულუბრყვილობიდან, არც პრაგმატული იდეალიზმი და ზომიერი ფანატიზმი, არც „ახალი რომანტიზმი“ არ აკლიათ ამ მიმდინარეობებს. რა თქმა უნდა, ემოციათა, განწყობათა პოლუსებს შორის მერყეობას მხოლოდ მეტამოდერნიზმის მიმდევრები აღიარებენ, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ერთმანეთს არ გამოირიცხავენ, პირიქით - ავსებენ, ეს ორი მიმართულება სრულყოფს ეპოქის ხატს და ხელოვნებაში, კულტურაში, საზოგადოებაში შესაბამისი ახალი ტენდენციების საერთო სურათს - ამის ნათელი მაგალითია ნიკა ფუტკარაძის დიგიმოდერნისტული კრებული „დუმილის ქარაგმები“, რომელიც საკმაოდ



მრავალფეროვანი პრობლემატიკით გამოირჩევა, ეს არცაა გასაკვირი, ხელოვანისთვის ხომ „პოეტი ღმერთის თარჯიმანია, ადამიანის სულის მთარგმნელი“ (24). ამას ის წარმატებით ახერხებს; ახალგაზრდა შემოქმედს არც „წვიმის ავტოგრაფების“ წაკითხვა უჭირს, არც - სატრფოს სულის დუმილის ქარაგმების გაშიფრვა, არც - ზღვის მიერ გამორიყული ნიჟარების შხუილის მოსმენა, არც - „ბატიბუტივით ხეების ტანზე დასკდარი უხეში, დამზრალი კანის“ (18) დანახვა, არც - ქორფა გოგონას „შროშანივით შრიალა ტანის“ (40), თვალეზში ჩაღვრილი „ციდა იებისა“ (62) თუ „ხორბლისფერ თმაში გამოძერწილი კისრის“ (41) მშვენიერებისა და სატრფოს „ნიკაპიდან მხრამდე გაბმული გაზაფხულის სურნელის“ (83) შეგრძნება, არც - ზღვაში ჩაშვებული დაღლილი მზის განუმეორებელი სილამაზის აღქმა, რომელიც „ოქროს თევზივით გახსნის ლაყურებს“ (34), არც - „ქართული მიწის ღვინისფერი ჩოხით“ (85) - ვენახის ნახვით მოგვრილი ალტაცების გადმოცემა...

საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი ნიკა ფუტკარადის უპირველესი საფიქრალ-სატკივარია, რადგან „სამშობლოს ავი ამინდი ჭირხლავს - იზიდავს ათას სვავსა და ჭილყვავს“ (45), არადა, თავად იმ ქართველების წარმომადგენელია, ვისაც „სხვის ქვეყანაში კოშკის აგებას ... წინაპრის ოდა“ (80) ურჩევნია.

შემთხვევით არ უძღვნის ნიკა ფუტკარადე ლექსებს ზურაბ გორგილამეს, ვისი შემოქმედების „ნაპირებთან გამოირიყა შეუცნობელი სიტყვის საბადო“ (22), „უკვდავ თვითმკვლელს“ (28) - გალაკტიონს, ამიტომაც არაერთ ლექსში გაიეღვებს საქართველოს მარადიული, თანამდევით სულის - ილიას ლანდი, რომლის ტრაგიკული ბედის გამო სამშობლოს მიწის ყველა „გოჯი წიწამურია“ (24), სწორედ მათ შესთხოვს პოეტი: „მომასმენინე წმინდა ქართული, შეზავებული ცოლიკაურთან!“... „ნაპრაღზე, კლდეზე თუნდ ხიდზე ბეწვის, ღმერთო, ქართული გზებით მატარე!“ (38)

ამიტომაც ასეთი გულისტკივილით აღნიშნავს ქართველთა ერთ მახინჯ თვისებას: უცხოურის გაფეტიშებას, საკუთარის, ეროვნულის დაუფასებლობას, რაც კარგად ჩანს ნიკა ფუტკარადის საყვედურიან სტრიქონებში:

„აი ია“ და „აი, წიგნი“, შენ თვალს არიდებ,  
ვერ წვდები აზრებს, იღრუბლები ისევ და ელავ,  
კითხულობ მარკესს, ბორხესს, დანტეს თუ მაინ რიდებს,  
არ იცი ნოდარ დუმბაძე და ვაჟა-ფშაველა!“ (47)

ამ ნიჰილიზმის ძირებსაც ღრმად სწვდება და აანალიზებს ჭაბუკი პოეტი: მასკულტურის, რობოტებისა და ადამიანის გაუფასურების ეპოქაში, როცა:

„ამ საუკუნეს მიაქვს სტამბიდან,  
ადამიანი - დიდი ტირაჟით!..  
დღეს პოეტების იზრდება რიცხვი,  
დასანაყრებლად... მაკულატურის!“ (37)

დიგიმოდერნისტულ, ხელოვნური ინტელექტის გაბატონების საუკუნეში გასაკვირი არაა, რომ:

„ვარსკვლავებივით წყდებიან სივრცეს,  
ვერ შემჩნეული გენიოსები.“ (41)

ადამიანში ქრება რწმენის ნაპერწკალი, უფლის სახლიც გამოკეტილია, თუმცა მაინც მას მიმართავენ ვედრებით:

„გადაარჩინე შენი წილი მკვდარი პლანეტა,  
ლამის სისხლივით გაუთეთრდა რწმენა მარღვებში,  
ადრე რაზავდნენ ტაძრის კარებს, მტერმა დაღეწა,  
ახლა არავინ აღარაა კარის გამღები.“ (79)

წინაპართა ცოდვები თანდათან უფრო ამძიმებს კაცობრიობას, თუმცა ხსნა ისევ ზეცაშია:

„თუმც ზეცა მაინც გვინაწილებს, როგორც სეფისკვერს,  
გადანახულ მზეს - საკურნებლად სულის და ხორცის.“ (79)

ხელოვანისათვის სიცოცხლე ქმნის დროა, შთაგონებით წვის დროა, რადგან სწამს, რომ „როცა არ დავწერ, არ ვიქნები ცოცხალი, ალბათ“ (57):

„სულ ყველა სიკვდილს - ნაადრევი სიკვდილი ჰქვია, ხოლო სიცოცხლეს ამ სიკვდილის დაპაუზება.“ (56)

ამ „დაპაუზებულ“ დროს კი მხოლოდ შემოქმედება თუ შეავსებს, პოეტს ხომ სათქმელი არასოდეს გამოეღევა, ამიტომაც ამბობს:

„რაც კი აქამდე დამიწერია, დასაწერელის ჩრდილია მხოლოდ.“ (60)

როგორც ვნახეთ, ნიკა ფუტკარაძის საანალიზო კრებული - „დუმილის ქარაგმები“ - თანამედროვეობისთვის საჭირობოროტო პრობლემების დასმითაც გამოირჩევა და ამით ის მეტამოდერნისტული მიმართულების საინტერესო ნიმუშსაც წარმოადგენს. დიგიმოდერნიზმი და მეტამოდერნიზმი კი, ფაქტობრივად, ერთი მედლის ორი მხარეა: ეს ტერმინები ერთსა და იმავე - პოსტპოსტმოდერნისტულ ეპოქასა და ახალი კულტურული პარადიგმის სხვადასხვა მხარეს წარმოგვიდგენს: ალან კირბის ტერმინი ამ მიმართულების ციფრულ ხასიათზე აკეთებს აქცენტს, ხოლო მეტამოდერნიზმი (ვერმიულენი და აკერუ, 2011:) (ტერნერი, 2011:) ხელოვნების, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის სფეროში გაჩენილ ახალ ტენდენციებზე მიგვანიშნებს. ეს ტენდენციები მკვეთრად ჩანს ნიკა ფუტკარაძის კრებულში. მასში იგრძნობა ახალგაზრდა ხელოვანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, თავისი ქვეყნის ისტორიისა და თანამედროვეობისადმი, ზოგადადამიანური პრობლემებისადმი. მისი ხედვა მრავალი მიმართულებითაა გამახვილებული და თავისი ემოციების გადმოსაცემად ოსტატურად იყენებს არა მხოლოდ სიტყვას, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინსტრუმენტებსაც იშველიებს: მელოდიას, ფერს, ქორეოგრაფიას. ნიკა ფუტკარაძის ექსპერიმენტულ-დიგიმოდერნისტული კრებულიც ამ ერთობლიობის მშვენიერი სინთეზის პროდუქტია.

#### ლიტერატურა:

ბარტი რ. (1989:), „რჩეული ნაშრომები. სემიოტიკა. პოეტიკა“, მოსკოვი.

Барт Р. (1989:) Избранные работы. Семиотика. Поэтика, М.

კირბი ა. (2012:) პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდეგ. 10.02.2012.

იხ. <http://a-library.org/alan-kirby-postmodernizmissikvdili/#sthash.vyn6V2jb.dpbsy>

კირბი ა. (2009:) დიგიმოდერნიზმი. როგორ ანადგურებს ახალი ტექნოლოგიები პოსტმოდერნს და ჩვენი კულტურის ხელახალი კონფიგურაცია. ნიუ-იორკი, ლონდონი.

Kirby, A. (2009). Digimodernism. How New Technologies Dismantle the Postmodern and Reconfigure Our Culture. New York, London.

მახაჭაძე შ. (2020:) პოსტმოდერნისტული თუ მეტამოდერნისტული პოეზია? /როინ აბუსელიძის კრებულის - „მიწის პოეტის მსხვერპლი“ - მიხედვით/, სმა, აარ რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები №6, გვ.127-133. გამ. ბათუმი, 2020, ISSN -2449-2507;

„მეტამოდერნიზმი და ახალი კულტურული პარადიგმა“, ტერნერი ლ. (2011:) ტერნერი ლიუკი, მეტამოდერნისტი//მანიფესტი, იხ. <http://www.metamodernism.org>

Turner L. (2011:) Turner Luke, METAMODERNIST // MANIFESTO, იხ. <http://www.metamodernism.org/>

ფუტკარაძე ნ. (2022:) „დუმილის ქარაგმები“. გამ. „ივერიონი“. თბილისი.

**Shorena Makhachadze**  
Shota Rustaveli State University  
Batumi, Georgia  
shorena.makhachadze@bsu.edu.ge  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.31>

**Digimodernist collection**  
**/Nika Putkaradze's "Echoes of Stillness"/**

Abstract

The dawn of the XXI century is distinguished by discussions among postmodern theorists about the culmination of the postmodern era and exploring the limits of its influence in the realm of art. Concurrently, numerous theories have emerged, each aspiring to succeed the postmodernist narrative. This signifies a shift towards supplanting the prevailing cultural paradigm with a novel one. Among these emerging cultural paradigms, Digimodernism stands out as particularly intriguing. It diverges from previously analyzed metamodernism in its broader scope, encompassing not only the arts but also embracing the revolutionary wave of new technologies. These technologies exert a profound influence across all facets of society in the XXI century, including arts and culture. In the era marked by new cultural paradigms, the essence of Digimodernist texts has evolved; they have adopted a digital persona.

Nika Futkaradze's "Echoes of Stillness" (2022) is a prime exemplar of the Digimodernist movement. The collection harmoniously blends youthful and sincere lyrical expressions, infused with a "new romanticism," with the original rock compositions of his brother, the talented musician Giorgi Futkaradze, and classical music by Sandro Nebieridze. This amalgamation finds its visual representation in video art and clips, directed by Anri Futkaradze, accessible through QR codes in the book linking to a YouTube channel. These videos feature the artwork of young painter Ioseb Jorbenadze and the choreography of Sesili Davitadze. It's a fact that organic synthesis of poetry, music, painting, choreography, and cinematic art, is a synthesis unattainable without the integration of contemporary digital technologies. Nika Futkaradze's analytical compilation "Echoes of Stillness" addresses pressing contemporary issues, positioning it as a noteworthy contribution to the metamodernist discourse. It can be said, Digimodernism and metamodernism represent two facets of the same coin, reflecting different aspects of the post-postmodern era and the emerging cultural paradigm. Alan Kirby's term highlights the digital nature of this trend, while metamodernism, as defined by Vermeulen, Akeru, and Turner, focuses on new tendencies within the literary arts. These movements are vividly apparent in Futkaradze's work, which captures the artist's nuanced perspective on global, historical, and contemporary dilemmas. His multifaceted vision employs not just words but a symphony of artistic elements—melody, color, and movement—making his Digimodernist collection a testament to the beautiful synthesis of these diverse forms.

## რუსუდან მიქაუტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[Rusudan.mikautadze@atsu.edu.ge](mailto:Rusudan.mikautadze@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.32>**ელიზაბეტ კეიდი სტენტონი და კატო მიქელაძე-ფემინისტური მოძრაობის ფუძემდებლები აშშ-სა და საქართველოში**

**საკვანძო სიტყვები:** ფემინიზმი, სუფრაჟიზმი, თანასწორუფლებიანობა, „სენტიმენტების დეკლარაცია“, „ხმა ქართველი ქალისა“

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლამ მწყობრი სახე XVIII ს II ნახევარსა და XIX საუკუნეში მიიღო, როცა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ქალებმა გააცნობიერეს თავიანთი შესაძლებლობები და ლიბერალური და ეგალიტარული იდეოლოგიების გაძლიერების ფონზე დაიწყეს თავიანთი მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელიც შეეხებოდა განათლების ხელმისაწვდომობას, კერძო საკუთრების ფლობას, განქორწინების უფლებას და მთავარს, მათთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას, უპირველეს. ყოვლისა, კი საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებას. ეს მოთხოვნები მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მონობის საკითხებთან და აბოლიციონისტურ მოძრაობასთან.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას მიუძღვნეს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამერიკელმა ელიზაბეტ კეიდი სტენტონმა და ქართველმა კატო მიქელაძემ. მართალია, მათი მოღვაწეობა ქრონოლოგიურად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მათი იდეები, პათოსი, ბრძოლის გზები და ბიოგრაფიის გარკვეული მონაკვეთები ერთმანეთის მსგავსია.

ქალთა საკითხის წინ წამოსაწევად ორივე მათგანისთვის მთავარი იყო ქალთათვის უმაღლესი განათლების მიღებაზე წვდომა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო არგუმენტურებული პასუხის გაცემა იმ მამაკაცებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის კონგრესსა, სენატში, დამფუძნებელ კრებასა თუ გაზეთების ფურცლებზე, ვინც ქალს საზოგადოებაში მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა და მხოლოდ დიასახლისად მოიაზრებდა. ამის შესახებ კეიდი სტენტონი წერდა, რომ როდესაც მან მამას ესაუბრა ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე, მან ასეთი პასუხი გასცა: „უკეთესი იქნებოდა მას ესწავლა დიასახლისობა და პუდინგების და პეროგების ცხობა“. ელიზაბეტმა არ გაიზიარა მამის რჩევა. მას აბსურდად ეჩვენებოდა მამაკაცების თანაბრად სწავლის შეუძლებლობა. ის მიიჩნევდა, რომ სრულყოფილი განათლების არქონა იგივე იყო რაც თვალების დათხრა. 1830 წელს მან მოახერხა მამის დათანხმება წასულიყო სასწავლებლად ქალთათვის პირველ უმაღლეს სასწავლებელში-სემინარიაში ნიუ იორკის შტატის ქ. ტროაში. აქ ის ეუფლებოდა თეოლოგიას, ლიტერატურას, რიტორიკას, დახელოვნდა ორატორულ ხელოვნებაში, მაგრამ ყველაზე მეტად მას იზიდავდა იურისპრუდენცია და მთელ თავისუფალ დროს უთმობდა სამართლის შესწავლას. რაც უფრო მეტად ეცნობოდა ელიზაბეტი აშშ-ს კანონმდებლობას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ კანონები, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციისკენ იყო მიმართული, უნდა შეცვლილიყო.

მსგავს წინააღმდეგობებს წააწყდა კატო მიქელაძეც განათლების მიღების სურვილისას, თუმცა მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, იგი ჯერ რუსეთში გაემგზავრა სასწავლებლად ახლადგახსნილ პედაგოგიურ კურსებზე, 1906 წელს კი

გადავიდა შვეიცარიაში, შემდეგ კი მეცენატ ზუბალაშვილის მხარდაჭერით პარიზში, სადაც დაყო სამი წელი და სადაც პირველად გაეცნო ქალთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ევროპულ გამოცდილებას. 1911 წელს იგი ჩაირიცხა ბრიუსელის უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და განსაკუთრებით მოიხიბლა ფემინიზმით და მარქსიზმით.

ორივე ქალბატონმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, რომელთა შორის უპირველესი საარჩევნო ხმის მოპოვების უფლება იყო. 1848 წელს სენეკა ფოლზში ჩატარებულმა ყრილობამ მიიღო სტენტონის მიერ წარდგენილი დეკლარაცია, რომელიც ცნობილია „სენტიმენტების დეკლარაციის“ სახელწოდებით. „სენტიმენტების დეკლარაცია“ იწყება ყველა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის მტკიცებით და იმეორებს, რომ ორივე სქესს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ სწრაფვის განუყოფელი უფლებები. იგი ამტკიცებს, რომ ქალები დაჩაგრულნი არიან ხელისუფლებისა და პატრიარქალური საზოგადოების მიერ, რომლის ნაწილიც ისინი არიან. გარდა ამისა დეკლარაცია ქალთათვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების გარდა მოითხოვდა ქალთათვის განათლებისა და სამუშაო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, ეკლესიის შიგნით მეტი ძალაუფლების ქონას და საკუთარი ქონებისა და ფულის კონტროლის უფლებას.

( [https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203\\_0.pdf](https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203_0.pdf))

დეკლარაციის ტექსტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული "დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან". ელიზაბეტმა მხოლოდ ოდნავ შეასწორა ის, რათა მოხსენიებულ ყოფილიყო სიტყვა ქალი და ამით შექმნა ძლიერი არგუმენტი ქალთა უფლებების უზრუნველსაყოფად. „...რადგან ქალები თავს მიიჩნევენ შეურაცხყოფილად, დაჩაგრულად და თაღლითურად მოტყუებულად თავიანთ უწმინდეს უფლებებში, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ დაუყოვნებლივ მიეცეთ ყველა უფლება. და პრივილეგია, რომლებიც ეკუთვნით მათ, როგორც შეერთებული შტატების მოქალაქეებს“. იგი მოითხოვდა თანაბარ უფლებებს ყველა ადამიანის მიმართ, მიუხედავად სქესისა. იგი აღნიშნავდა, რომ ამ უფლებების უარყოფისას ისინი უარყოფენ "დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" მოცემულ უფლებებს.

( [https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203\\_0.pdf](https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203_0.pdf))

„სენტიმენტების დეკლარაციაში“ გაჟღერებული მეორე სასიცოცხლო არგუმენტი ეხებოდა დისკრიმინაციულ კანონებს, რომლებიც განაპირობებდნენ არათანაბარ სოციალურ წესრიგს. სტენტონი ამტკიცებდა, რომ ქალები ექვემდებარებოდნენ უსამართლო საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლებიც ზღუდავდნენ მათ უფლებამოსილებას, მათთვის ეკონომიკურ პერსპექტივებს და თვითრეალიზაციისკენ სწრაფვას. ეს არგუმენტი ავლენდა ურთიერთკავშირის სამართლებრივ და სოციალურ სტრუქტურებს შორის, ხაზს უსვამდა იმას, თუ როგორ შეიძლება კანონებმა ასახონ და გაამლიერონ გენდერული უთანასწორობა და გააგრძელონ ქალთა დამორჩილება.

სამართლებრივი დისკრიმინაციის საკითხს უკავშირდებოდა ქონების საკუთრებასა და მართვაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მოთხოვნა. დოკუმენტი ამტკიცებდა, რომ ქალებს უნდა მინიჭებოდათ იგივე უფლებები, რაც მამაკაცებს ამ სფეროში, რაც მათ საშუალებას მისცემდა უფლება ქონოდათ თავიანთი აქტივებისა და ეკონომიკური რესურსების გამოყენებისა და განკარგვისა. ქალთათვის საკუთრების უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებით, სტენტონი ხაზს უსვამდა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობის აუცილებლობას, როგორც გზას ფართო სოციალური და პოლიტიკური თანასწორობისკენ.

კიდევ ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ეხებოდა მამაკაცებსა და ქალებს შორის ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისას ხელფასების სხვაობას. სტენტონი ამტკიცებდა, რომ ქალები სისტემურად არასაკმარისად იყვნენ დაფასებულნი და არასაკმარის ანაზღაურებას იღებდნენ მამაკაცებთან შედარებით თანაბარი შრომისთვის, ის ხაზს უსვამდა ქალების მიმართ განხორციელებული ეკონომიკური უსამართლობის აღიარებისა

და გამოსწორების აუცილებლობას და ეკონომიკური თვითკმარობის ბარიერების დემონტაჟს.

დეკლარაციის ისტორიული კონტექსტი მნიშვნელოვანია, რადგან ის დაიწერა აბოლიციონისტური მოძრაობის და ეპოქის მზარდი რეფორმისტული სულისკვეთების ფონზე. ამერიკის რევოლუციის იდეალებით შთაგონებული სტენტონი და ქალთა უფლებების სხვა დამცველები ცდილობდნენ ამ პრინციპების გავრცელებას ქალებზე და მოითხოვდნენ, რომ ისინი აღიარებულიყვნენ თანასწორ მოქალაქეებად. სენეკა ფოლზისის შეკრებაზე, სადაც წარმოდგენილი იყო „სენტიმენტების დეკლარაცია“, იყო ქალთა უფლებების პირველი კონვენცია, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა უფრო ორგანიზებული და ერთიანი ქალთა უფლებების მოძრაობის წამოწყებაში. ამ დოკუმენტის საშუალებით შესაძლებელი გახდა ქალებს ჩაოყალიბებინათ გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის სწორი ტრაექტორია.

ზუსტად მსგავსი მოთხოვნები ჩამოაყალიბა კატო მიქელამემ მის მიერ დაარსებულ ქალთა გაზეთში „ხმა ქართველი ქალისა“. მისი შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდებოდა მაშინდელი ფემინისტური მოძრაობების ძირითად მოთხოვნებს, თუმა მასში გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური თავისებურებები. გაზეთის პირველსავე ნომერში მან გამოაქვეყნა „მოწოდება ქალებისადმი“, სადაც მოუწოდებდა მათ გამოფხიზლებულიყვნენ და ბრძოლით მოეპოვებინათ თავიანთი უფლებები. ისინი უნდა გაერთინებულიყვნენ და მოეთხოვათ საარჩევნო ხმის უფლება, ისინი უნდა დამდგარიყვნენ პარტიულ ინტერესებზე მაღლა, რადგან ქალთა სწორუფლებიანობის საკითხი ზეპარტიული საკითხი იყო. (გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“ # 2. 1917).

1917 წლის მარტში მისი ინიციატივით შეიქმნა ქალთა კლუბი და „ქალთა სწორუფლებიანობის ლიგა“. ქალთა კლუბის პროგრამა 17 პუნქტისაგან შედგებოდა, სადაც გაცხადებული იყო, რომ ქალთა კლუბი მხრას უჭერდა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას და მოქალაქე-ობრივ უფლებებს. ისინი მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრებისგან დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და და ფარული კენჭისყრის უფლებებით განურჩევლად სქესისა“. პუნქტი 10 მოითხოვდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების გადახედვას და სქესთა სასჯელის სხვადასხვაობის გაუქმებას ერთიდაიგივე დანა-შაულისთვის, პუნქტი 13 ითვალისწინებდა მემკვიდრეობითი პროვილეგიების გაუქმებას, რათა ქალებს და ვაჟებს ერთნაირი წილი ქონოდათ დედ-მამის ქონებაზე. პუნქტი 14 - ცოლ-ქმრის ერთნაირ უფლებას შვილებზე და ოჯახის შინაურ საქმეებზე. პუნქტი 15 - აღზრდა-განათლების თანაბრობას ორივე სქესისთვის. პუნქტი 16 - სქესთა თანასწორი ანაზღაურება ერთი და იგივე შრომისათვის (გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 36, 1917).

თავიანთი იდეების ხორცშესასხმელად ორივე ქალბატონი გამოვიდა ინიციატივით შეექმნათ ქალთა კავშირები სხვადასხვა ქალაქებსა და შტატებში და მოეთხოვათ საარჩევნო ხმის უფლება, სწორუფლებიანობა მამაკაცებთან, ჩართულობა სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამ მიზნით ორივე მათგანი, თანამოზრებთან ერთად დადიოდნენ დაბა-ქალაქებში და ატარებდნენ ლექციებს.

ამის დასტურია დეკლარაციის შემსწავლელთა (ოლივია ჰეჩი, ქეროლან სტენმერცი, ქლოე კლუსმანი, სარა ბიელი, გრეის დიარინგი, ჰანა დოლი, სოფი ნიდჰამი, კლივია შორტი და ა.შ) აზრი, რომლებიც შენიშნავდნენ, რომ ელიზაბეტი ოსტატურად იყენებდა პათოსს, რიტორიკულ მიმართვას, რათა გავლენა მოეხდინა აუდიტორიის ემოციებსა და გამოეწვია თანაგრძნობა. ის იყენებდა ემოციური კონოტაციით დატვირთულ სიტყვებსა და ფრაზებს, როგორცაა „უზურპაციები, სისასტიკე და სიცრუე, უსამართლობა, ჩაგვრა“. ეს ემოციურად დატვირთული ტერმინები ქალებს შორის იწვევდა სიბრაზის და აღშფოთების გრძნობებს, მიზნად ისახავდა ამ საკითხის მიმართ თანაგრძნობის გამოწვევას და აიძულებდა სენატორ და კონგრესმენ მამაკაცებს მიეღოთ ზომები ქალების მიმართ არსებული უსამართლობის

წინააღმდეგ. თავის გამოსვლებში ცალკეული ქალების გამოცდილების ისტორიების გაზიარებით, იგი რაზმავდა ქალებს თავიანთი უფლებების დაცვის აუცილებლობისათვის და მოუწოდებდა მათ საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული იმ ნორმების გადაფასებისაკენ, რომლებიც მიმართული იყო ქალთა წინააღმდეგ (<https://aplogosblog.wordpress.com/2017/01/20/declaration-of-sentiments-and-resolutions-by-elizabeth-cady-stanton/>)

ორატორული ნიჭით გამორჩეოდა კატო მიქელამეც. ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას მან აღაფრთოვანა აკაკი როცა სტუდენტებმა მას შეხვედრა მოუწყვეს და იქ კატო სიტყვით გამოვიდა. მოგვიანებით, როცა ქუთაისში ლექციების კითხვა დაიწყო ქალთა სწორუფლებიანობის საკითხებთან დაკავშირებით, ის დამსწრე აუდიტორიას ადვილად იმორჩილებდა. მარიამ გარიყული თავის „მოგონებებში“ აღნიშნავს, რომ მისი ლექციები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, მას ესწრებოდნენ „სხვადასხვა წოდების, ყოველი ხარისხის, კლასისა და ეროვნების ქალები... კრებაზე სიტყვით გამოვიდა კატო მიქელამე, გადაისვა ხელი შეჭადარავებულ თმებზე, გონიერებით სავსე თვალები მიმოავლო თეატრს და აუღელვებლივ, დინჯად დაიწყო. ლაპარაკის კილოში ფრანგული აქცენტის გავლენა ეტყობოდა...ერთობ მიმზიდველი სახე ჰქონდა კატოს საუბრის დროს. იმ კრებაზე კატომ შესანიშნავად ილაპარაკა“ (თ. მელაშვილი. 2013, გვ. 15). ზოგადად ორივე ორატორის გამოსვლა გაბედული და თავდაჯერებული იყო, ისტორიული და მიმდინარე არგუმენტებით გაჯერებული, კამათში აგრესიული ელემენტების ჩართვით ცდილობენ მსმენელამდე მიეტანათ მთავარი მესიჯი: „დღეს ჩვენ ვთესავთ ზამთრის ხორბალს, რომელიც მომავალ გაზაფხულზე ამოვა. მათ სხვა ხელები მოიძიან და დატკბებიან“.

კეიდი სტენტონი ვერ მოესწრო სუფრაჟისტების გამარჯვებას შეერთებულ შტატებში, იგი 1902 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა, მანამ, სანამ ქალები მიიღებდნენ ხმის უფლებას, თუმცა მისი გამბედაობის და ბრძოლების გარეშე არ იქნებოდა ხმის უფლება ამერიკელი ქალებისთვის. ამიტომაც მას დამაარსებელ დედას უწოდებენ. მას არასოდეს ეპარებოდა ეჭვი, რომ ქალებს შეეძლოთ საარჩევნო უფლების მოპოვება. 1920 წელს აშშ კონსტიტუციაში მიღებულ იქნა მე-19 შესწორება, რომლითაც ქალებმა მიიღეს საარჩევნო უფლებები.

რაც შეეხება კატო მიქელამეს, საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ ქალებისა და მამაკაცების გათანაბრება სახელმწიფოს პოლიტიკა გახდა და სახელმწიფო ნომენკლატურის მიერ იყო მართული. ამით შეწყდა ყველა სახის სამოქალაქო ინიციატივა და აქტივიზმი. კატო მიქელამე წერდა: “1921 წლიდან მე ხელოვნურად დამამუნჯეს“. მართალია საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება აღნიშნავდა, რომ ქალები და მამაკაცები გათანაბრებულები იყვნენ ყველა სფეროში, მაგრამ ქალები ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმოდგენილნი იყვნენ საშუალო რგოლებში, მაშინ როდესაც მამაკაცებს თითქმის ყველა უმაღლესი პოსტი ეჭირათ. საბჭოთა კავშირში არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ ქალთა პრობლემა გადაჭრის პროცესში იყო და ფემინიზმის ყოველგვარი გამოვლინება ნეგატიურ ბურჟუაზიულ მოძრაობად აღიქმებოდა (თ.კიკნაძე, ნ. დონაძე, 2006. გვ. 85).

1920-იანი წლებიდან კატო მიქელამემ ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. წერდა ქალთა სახეების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, ქართულ მითოლოგიაზე, აკრიტიკებდა ცისფერყანწელების შემოქმედებას, თუმცა განსხვავებით კეიდი სტენტონის მოღვაწეობიდან მისი ფემინისტური პუბლიცისტიკა დავიწყებას მიეცა.

ელიზაბეტ კეიდი სტენტონმა ს. ენტონთან და სხვა აქტივისტ ქალებთან ერთად შექმნა „ქალთა სუფრაჟისტული ისტორიის“ ექვსტომეული, რომელშიც დეტალურად იყო გადმოცემული ქალთა მოძრაობის ისტორიის თითოეული ფურცელი ცალკეული შტატების მიხედვით, პირადი წერილები, ქალთა საჯარო გამოსვლების, პრესის მასალები, გამომხატურებები, იმ ქალების ღვაწლი, რომელთა შესახებ შეიძლება არაფერი ცოდნოდა მომავალ თაობებს. ეს ტომეულები წარმოადგენდა ამერიკელ ქალთა აქტივიზმის ენციკლოპედიას, რომელშიც ნაჩვენებია იყო ყველა ნიუანსი, თუ როგორ მოახერხეს ქალებმა

დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად მოეპოვებინათ ხმის უფლება და გამხდარიყვნენ თანაბარუფლებიანი მამაკაცებთან.

ამერიკაშიც და საქართველოშიც ქალთა მოძრაობის განვითარების საერთო ხაზების გვერდით არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. საქართველოში ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის ინსტიტუციონალიზაცია, იგი ქალთა მხოლოდ ვიწრო წრეებს შეეხო და მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობა დასავლური ტენდენციების კონტექსტში ვითარდებოდა, გასაბჭოებასთან ერთად შეწყდა, თუმცა მას შემდეგ რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო და დემოკრატიული მშენებლობის გზას დაადგა, ქალებმა გააცნობიერეს თავიანთი მნიშვნელობა როგორც სოციალურ-კულტურულ, ისე პოლიტიკურ სფეროში და სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ცდილობენ სახელმწიფო და საკანონმდებლო დონეზე გადაჭრილ იქნას ქალთათვის ბევრი საჭირობო საკითხი.

### ლიტერატურა:

1. თ.კიკნაძე, ნ. დონაძე. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი თბ., 2006.
2. თ. მელაშვილი. ხმა ქართველი ქალისა. თბ., 2013
3. გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“ # 2. 1917
4. გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“ ,36, 1917
5. [https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203\\_0.pdf](https://www.womenshistory.org/sites/default/files/document/2019-08/Day%203_0.pdf) ნანახია 20.01.2024
6. <https://aplogosblog.wordpress.com/2017/01/20/declaration-of-sentiments-and-resolutions-by-elizabeth-cady-stanton/> ნანახია 20.01.2024

**Rusudan Mikautadze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.32>

### **Elizabeth Cady Stanton and Kato Mikeladze - Founders of the Feminist Movement in the USA and Georgia**

#### Abstract

The article discusses the suffragist ideas of two feminist women: American Elizabeth Cady Stanton and Georgian Kato Mikeladze. Despite the chronological difference in their activities, they have much in common. Both of them demanded access to education for women, ownership of private property, the right to divorce and, most importantly, to grant them political rights. Above all, to get the right to vote. They fought against the discriminatory laws that gave women a secondary role in all fields. Both of them were distinguished by excellent oratorical talent and managed to attract the attention of the audience with their confident and sometimes aggressive speeches. Through their efforts it was possible to actualize the women's issue, which finally changed the laws in favor of women. Above all, they were given the right to vote.

**Key words:** Feminism, Suffragism, equality, “Declaration of Sentiments”, “Voice of a Georgian Woman.



მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Manana.mikadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.33>

## ოტია იოსელიანის სიმფონია ლექსიკონისათვის - თანამედროვე ტენდენციები და ძირითადი სტრუქტურული ტიპები

საკვანძო სიტყვები: ოტია იოსელიანი, სიმფონია-ლექსიკონი, ენის ლექსიკური ფონდი

კარგა ხანია, რაც ქართულ მეცნიერებაში გაჩნდა მოთხოვნა ამა თუ იმ მწერლის სიმფონია ლექსიკონის შესაქმნელად. სიმფონია-ლექსიკონი, რომელშიც სრულად აღინუსხება ამა თუ იმ მწერლის, ან რომელიმე ცალკეული თხზულების ლექსიკა. ამგვარ ლექსიკონს სიმფონიურ ლექსიკონს უწოდებენ. გამოიყენება აგრეთვე ტერმინი ს-ლექსიკონი, რომელიც იმით განსხვავდება სიმფონიისგან, რომ ამ უკანასკნელში სახელწოდების სიტყვაფორმათა სტატისტიკასთან ერთად, სიტყვის განმარტებაც არის წარმოდგენილი (ა. შანიძე). სიმფონია გულისხმობს მოცემულ სალექსიკონო ერთეულთან შესაბამისი ფუძის სიტყვაფორმათა სრულ თავმოყრას. ამ თვალსაზრისით სიმფონია სიხშირულ მონაცემებსაც შეიცავს. სიმფონიის თითოეულ სიტყვაფორმას შეიძლება ახლდეს მოკლე ილუსტრაცია.

ქართულმა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ უკვე შექმნა გარკვეული ტრადიცია ძეგლების სიმფონია-ლექსიკონების შედგენისა, მაგალითად, უკვე არსებობს პროფ. ივანე იმნაიშვილის მიერ შედგენილი "ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი" (თბ., 1948-1949), აკად. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, (თბ.,1956), ენათმეცნიერების ინსტიტუტმა შეადგინა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი“, ასევე „ქართლის ცხოვრების სიმფონია“ (თბ.,1986), თსუ-ს მიერ შედგენილია „ახალი აღთქმის წიგნთა სიმფონია-ლექსიკონი“ კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ შედგენილია „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლთა სიმფონია-ლექსიკონი“ (თბ., 1987), თ. და ც. სანიკიძეების მიერ შედგენილია „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი“, ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილია „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“ (თბ., 1980), მიხეილ ალავეძემ შეადგინა „დავით კლდიაშვილის ლექსიკონი“ (ქუთაისი, 1981).

მწერლის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა მეტად შრომატევადი და მეცნიერებისათვის აქტიურად გამოსაყენებელი საქმეა, რომელიც ამდიდრებს ენის ლექსიკურ ფონდს და არ აძლევს არც ერთ სიტყვას დაკარგვისა და მივიწყების საშუალებას.

ქართველ მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია XX საუკუნის პროზაიკოსს ოტია იოსელიანს, თავისი მდიდარი სალექსიკონო კორპუსით, სინონიმთა უხვი გალარვით, იდიომთა და ფრაზეოლოგიზმთა სიუხვით, ამოუწურავი დიალექტოლოგიური ცნებებით, დიალექტში შემონახული, მწერლის მიერ მოპოვებული მხატვრული ტექსტის მეშვეობით სალიტერატურო ენაში შემოტანილი სიტყვები ფაქტობრივად ენის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს. ოტია იოსელიანის მხატვრულ თხზულებებში წარმოჩენილი ორიგინალური სიტყვა-თქმების საფუძველი სწორედ დიალექტური ლექსიკაა, ზოგჯერ - ქართველური ენობრივი მასალაც. ამ სიტყვებს თავად

მწერალი „ბეზიას ლექსიკონს“ ეწოდებს. სოციუმის ენობრივი ხატი საუკეთესოდ აკუმულირდება ფრაზეოლოგიზმებში. ფრაზა იდიომა არის არა მხოლოდ მეტაფორული აზროვნების შედეგი, არამედ საზოგადოებაში მის მიერ დაგროვილი გამოცდილების, წარმოდგენებისა და ყოფითი ჩვეულებების ენაში აღბეჭდვის საშუალებაც.

მწერლის სიმფონია ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, არის იმ ლექსიკური მასალის ამსახველი, გარკვეული წესით დალაგებული და განმარტებული სიტყვები თუ გამოთქმები. რომლებსაც ესა თუ ის შემოქმედი აქტიურად გამოიყენებს. ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ბევრი საინტერესო დიალექტური ფორმა სწორედ მწერლის ენაში წარმოჩნდება.

მწერლის სპეციფიკური ენობრივი ნაკადი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ასახული სხვადასხვა ლექსიკონსა თუ კრებულში, სადაც ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია არა მარტო როგორც საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვათა საილუსტრაციო მასალა, არამედ - როგორც დიალექტურ მონაცემთა სანდო წყაროც. მაგრამ მწერლის ლექსიკონის შედგენას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ სრულად არის თავმოყრილი ყველა ის სიტყვა თუ გამოთქმა, რომელსაც შემოქმედი გამოიყენებს.

ლექსიკონში წარმოდგენილ ლექსიკურ ნიმუშებზე გაკეთებული საკვალიფიკაციო ნიშნების ნუსხა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. საკუთრივ ლექსიკური (ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული) კვალიფიკაციები, რომლებიც იძლევა სალექსიკონო ერთეულების სემანტიკური სტატუსისა და მიმართებების დახასიათებას (საპირისპირო... კნინობითი... სპეციალური...);

2. სტილისტიკური, რომლებიც ასახავს სიტყვის ფუნქციონალურსა და ემოციურ-შეფასებით ასპექტებს (ფიგურალური... პოეტური... ვულგარული...).

3. გრამატიკული, რომელთა დანიშნულებაა ქართული სალიტერატურო ენის ფორმალურებთან ძირითადი სისტემის (შესაბამისად - სტრუქტურების) წარმოდგენა (გარდამავალ-გარდაუვალი, სტატიკური, სუბიექტური ქცევა...).

4. მორფოლოგიური დამუშავება გულისხმობს სიტყვათა მორფოლოგიურ სემენტაციას, ფორმაუცვლელი სიტყვები აისახებიან თავისი ერთადერთი ფორმით, ხოლო ფორმაცვალაბადები (სახელები ტრადიციულად - მხ. რიცვის სახელობითი ბრუნვით. რაც შეეხება ზმნებს, მათ წარმოვადგენთ მესამე პირის ფორმით, ხოლო მაგალითებს როგორც ტექსტებშია მოცემული დალაგებულს სერიებისა და მწკრივების მიხედვით სუბიექტური და ობიექტური წყობით. რამეთუ კონტექსტი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს სემანტიკურ ნიუანსს.

ოტია იოსელიანის სიმფონია-ლექსიკონში სიტყვები განლაგდება იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც შეიმუშავეს ჩვენმა დიდმა ენათმეცნიერებმა აკაკი შანიძემ და ივანე იმნაიშვილმა.

**სახელები ბრუნვათა მიხედვით** იქნება მოცემული: წრფელობითი, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. ამასთან გავითვალისწინებთ შემდეგს: თუ ხმოვანფუძიან სახელს ახლავს წრფელობითი მდგომი მსაზღვრელი, სახელის ფორმას მივიჩნევთ წრფელობითად, ხოლო თუ სახელობითი მდგომი მსაზღვრელია, მაშინ სახელის ფორმას სახელობითად ჩავთვლით. სწორედ ამიტომ გარეგნულად ერთგვარი ფორმები (მაგალითად **მამა** ტიპისა) სხვადასხვა ადგილას მოხვდება იმის მიხედვით, წრფელობითია საგულვებელი, თუ – სახელობითი.

ემფატიკურხმოვნიან ფორმებს განვათავსებთ გაუვრცობელ ფორმათა შემდგომ

ცალკე მდგომი თანდებულიანი ფორმები არ გამოიყოფა და ისინი გათანაბრდება მარტივი ბრუნვების ფორმებთან. საერთოდ ჯერ განვათავსებთ ბრუნვის მარტივ ფორმას, შემდგომ გავრცობილს, შემდეგ თანდებულიანს, ბოლოს კი ნაწილაკიანს.

მრავლობითი რიცხვის ფორმებს განვალაგებთ (ჯერ **ებიანს**, შემდგომ **ნართანანს**) მხოლოდითი რიცხვის ფორმათა შემდგომ.

ზმნური ფორმების დალაგების დროს ამოსავალ ფორმად მივიჩნევთ ზმნის მესამე პირის ფორმას აწმყოს მწკრივში, ზმნები განლაგდება სერიებისა და მწკრივების მიხედვით ჯერ სუბიექტური წყობის, შემდეგ ობიექტური წყობის ზმნები.

ცალკე გამოვყოფთ **ანთროპონიმებს** (ადამიანის სახელსა და გვარებს), **ტოპონიმებს** (გეოგრაფიულ სახელებს), **ეთნიკურ** სახელებს, **არქაიზმებსა** და **ნეოლოგიზმებს**.

სიტყვის ფუნქციურ-სტილისტიკური ღირებულება წარმოადგენს მის ერთ-ერთ არსებით თვისებას, რომელიც აუცილებლად საჭიროებს ლექსიკოგრაფიულ ინტერპრეტაციას. ლექსიკოგრაფიულ საშუალებას/ხერხს, რომელიც აღინიშნება ლექსიკური ერთეულის ფუნქციურ-სტილისტიკური თვისებურება, წარმოადგენს სტილისტიკური კვალიფიკაცია, რომელიც მოცემულია სიტყვის განმარტებაში შეკვეცით - თავისებური სტილისტიკური მარკერი. ამგვარი მარკერების მეშვეობით ლექსიკონი ასრულებს თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას - კოდიფიცირების ფუნქციას.

სტილისტიკური მარკერების სისტემის პრობლემა და ამ სიტყვის უნიფიცირების საკითხი წარმოადგენს როგორც კონტრასტულ ლექსიკოგრაფიის, ასევე მთლიანად კონტრასტული ლინგვისტიკის კარდინალურ საკითხებს.

ოტია იოსელიანი 910 ნაწარმოების ავტორია: რომანები, მოთხრობები, ნოველები, პიესები, ლექსები. ყველა ეს ნაწარმოები დამუშავდა წარმოდგენილი მეთოდით.

**Manana Mikadze**

Akaki Tsereteli State University

[Manana.mikadze@atsu.edu.ge](mailto:Manana.mikadze@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.33>

## **Otia Ioseliani's symphony for the dictionary – modern trends and basic structural types**

### **Abstract**

It has been a long time since there has been a demand in Georgian science to create a symphony dictionary of this or that writer. Symphony-dictionary is a dictionary in which the vocabulary of this or that writer or any individual works is fully listed. Such a dictionary is called a symphonic dictionary.

Compliting a writer's Symphony-dictionary is a very time-consuming and actively used work for scientists, which enriches the lexical fund of the language and does not allow a single word to be lost or forgotten.

A special place among Georgian writers has Otia Ioseliani with his rich lexical corpus, abundant gallery of synonyms, abundance of idioms and phrases, inexhaustible dialectological concepts. The basis of ther original words-sayings presented in the artistic works of Otia Ioseliani is precisely the dialect vocabulary, sometimes also the georgian language material.

Otia Ioseliani is the author of 910 works: novels, stories, plays, poems. All these works were processed using the presented method.

**Key words:** Otia Ioseliani, Symphony-dictionary, lexical fund of the language

## ნანა მრევლიშვილი, თინათინ ჯიქურაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

[nan.mrevlishvili@ug.edu.ge](mailto:nan.mrevlishvili@ug.edu.ge)[t.jikurashvili@ug.edu.ge](mailto:t.jikurashvili@ug.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.34>**შუშანიკის წამების გვიანდელი რედაქციები**

საკვანძო სიტყვები: იაკობ ცურტაველი, „შუშანიკის წამება“, სხვადასხვა გამოცემა

*შუშანიკის წამება* ქართული ორიგინალური მწერლობის პირველი ძეგლია, ამდენად, გასაკვირი არაა, რომ იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ V საუკუნეში დაწერილი ამ ჰაგიოგრაფიული თხზულების მიმართ დიდი მეცნიერული ინტერესი არსებობს. სხვადასხვა პერიოდში *წამება* რამდენჯერმე გამოიცა. პირველი პუბლიკაცია მ. საბინინს ეკუთვნის, რომელმაც ტექსტი 1882 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა (საბინინი, 1882, 181–191), თუმცა ეს გამოცემა სამეცნიერო ინტერესებს ნაკლებად პასუხობს, გაურკვეველია ისიც, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვით გამოიცა ტექსტი. შემდეგი გამოცემა შესრულდა ს. გორგაძის მიერ. მან თხზულება 1917 წელს ქუთაისში გამოაქვეყნა ოთხი ხელნაწერის მიხედვით – A 95, A 130, A 170, A 176 (გორგაძე, 1917).

კრიტიკული აპარატის დართვით გამართული სამეცნიერო გამოცემის მომზადება უკავშირდება ი. აბულაძის სახელს, რომელმაც 1938 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი (აბულაძე, 1938), სადაც შევიდა *შუშანიკის წამების* ვრცელი რედაქციის ტექსტი, დადგენილი რვა ხელნაწერის (A 95, A 130, A 170, A 176, H 2077, H 1672, S 3637, H 137) მიხედვით. ამასთან, გამოცემაში გამოქვეყნებულია ყველა ქართული, სომხური და ასევე სვინაქსარული რედაქცია. ეს შრომა განმეორებით, უკვე თერთმეტივე ხელნაწერის გათვალისწინებით, გამოიცა 1978 წელს (აბულაძე, 1978).

ისევ ი. აბულაძის ხელმძღვანელობით 1963 წელს გამოიცა *შუშანიკის წამების* ვრცელი რედაქცია უკვე თერთმეტივე ხელნაწერის გათვალისწინებით. კრიტიკული ტექსტი ამ გამოცემაში წინასთან შედარებით (1938 წ.) რამდენადმე შეცვლილია (აბულაძე, 1963).

*წამების* ბოლო გამოცემა ეკუთვნის ე. ჭელიძეს, რომელმაც 2008 წელს გამოსცა *შუშანიკის წამება* თხზულების ყველა არსებული ნუსხის მიხედვით (ჭელიძე, 2008).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გამოცემაში წარმოდგენილია მხოლოდ *შუშანიკის წამების* იაკობ ხუცესისეული ტექსტი (ი. აბულაძემ გამოაქვეყნა, ასევე, *წამების* ვრცელი სომხური რედაქცია, ქართული და სომხური სვინაქსარულ რედაქციები), ჰაგიოგრაფიული ძეგლის გვიანდელი ქართული რედაქციები კი ამ გამოცემებში გათვალისწინებული არ ყოფილა.

გვიანდელ რედაქციებს ვუწოდებთ XVIII საუკუნეში კათალიკოს ანტონ I ბაგრატიონის მიერ *მარტირიკაში* შეტანილ *შუშანიკის წამებას* და ანტონის ტექსტზე დაყრდნობით შექმნილ იოანე ბატონიშვილის რედაქციას, რომელიც მან *კალმასობაში* ჩაურთო. ვფიქრობთ, *შუშანიკის წამების* სრულყოფილი გამოცემისთვის აუცილებელია იაკობ ხუცესის ტექსტთან ერთად ამ ორი რედაქციის გათვალისწინებაც.

სწორედ ამის გამო *შუშანიკის წამების* მე-5 კრიტიკულ გამოცემაში, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტში

მომზადდა, შევიტანეთ ანტონ I-ისა და იოანე ბატონშვილის რედაქციებიც. ამასთან, ამ გამოცემაში მკითხველს პირველად ექნება საშუალება გაეცნოს იოანე ბატონიშვილის *კალმასობაში* ჩართულ *შუმანიკის წამების ტექსტს*.

ანტონ I-ის „წიგნი მარტირიკა, შესხმა და ისტორია ქრისტესთვის ვნებულთა მოწამეთა ქართულთა და სხუათა“ სულ 20 თხზულებისგან (*სიტყუა*) შედგება. მეოთხე ტექსტად წარმოდგენილია *შუმანიკის წამების* ანტონისეული რედაქცია სათაურით: *შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა წმიდისა დიდისა მოწამისა, რანთა დედოფლისა სუსანნისა, ზედწოდებით შუმანიკისა*.

*შუმანიკის წამებას* ისევე, როგორც *მარტირიკაში* შესულ სხვა თხზულებებს, ახლავს ანტონ კათალიკოსის მიერვე შედგენილი იამბიკო.

*მარტირიკის* დაწერის თარიღად კ. კეკელიძე 1769 წელს მიიჩნევს (კეკელიძე, 1960, 381), თუმცა ნ. ჯანაშიამ არგუმენტირებულად აჩვენა, რომ ანტონის ეს შრომა იწერებოდა 1768-1769 წლებში და რომ მისი დიდი ნაწილი 1768 წელს უკვე უნდა არსებულიყო (ჯანაშია, 1975, 75). სწორედ 1768 წელს, ანტონის მუშაობის პარალელურად უნდა იყოს გადაწერილი S 1272 ხელნაწერი (ე. ი. ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ნუსხა *მარტირიკისა*). თუმცა, როგორც *მარტირიკის* გამომცემლები, ე. გაბიძაშვილი და მ. ქავთარია მიუთითებენ, „S 1272 ხელნაწერი არ არის სათანადოდ გაფორმებული ცალი, იგი ჯერ კიდევ მწერლის ლაბორატორიის ეგზემპლარია“ (გაბიძაშვილი, ქავთარია, 1980, 436). დასრულებულ ეგზემპლარს კი, წინასიტყვაობით გაფორმებულსა და ავტორის საბოლოო ნების ამსახველს, Q 78, 1769 წლით დათარიღებული ხელნაწერი წარმოადგენს. ამასთან, Q 78 ერთადერთია *მარტირიკის* სრულ ხელნაწერთაგან, რომელიც ნუსხურითაა შესრულებული. დანარჩენი ხელნაწერები მხედრულითაა გადაწერილი.

*მარტირიკა* სრულად დაცულია ჩვენამდე მოღწეულ შვიდ ხელნაწერში. ყველა მათგანი კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ესენია: Q 78 (1769 წ.), S 1272 (1768 წ.), S 2988 (1790 წ.), S 3638 (1799 წ.), A 1484 (1806 წ.), H 907 (1821 წ.), H 990 (XIX ს.).

ანტონის რედაქცია, რასაკვირველია, ეყრდნობა იაკობ ხუცესის ქართულ რედაქციას (ქართული ვრცელი რედაქცია). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, *შუმანიკის წამების* ავტორად იაკობ ხუცესს პირველად სწორედ ანტონ კათალიკოსი ასახელებს (აბულაძე, 1938, 07). ანტონ I-ს სხვადასხვა ტიპის ცვლილებები შეაქვს იაკობ ხუცესისეულ ტექსტში. ანალიზებს რა ანტონისეულ ცვლილებებს და მათ მიზანდასახულობას, ნ. ჯანაშია აღნიშნავს: „ნათლად ჩანს მისი (ანტონის - ავტ.) ტენდენცია შეალამაზოს *შუმანიკის* სახე და უფრო უარყოფითად დახატოს ვარსკენისა“ (ჯანაშია, 1975, 98). მკვლევარი დეტალურად აჩვენებს მსგავს კონტექსტებს, ამიტომ ჩვენ მათ აღარ შევხებით.

იაკობ ხუცესის ტექსტის გარდა, ანტონი, როგორც ჩანს, კარგად იცნობს და იყენებს სომხურ წყაროებსაც. ამის შესახებ კი *წამების* შესავალ ნაწილში თავადვე წერს: „უწყებულ ვართ ისტორიკოსთაგან სომეხთასა და სათთუეოისაგან მეტაფრასისა მათისა...“ [ანტ. პროლ.]. სწორედ სომხური წყაროებიდან აუღია ანტონს თხრობა *შუმანიკის* მშობლებისა, წინაპრების, *შუმანიკის* ბავშვობისა და ქორწინების შესახებ.

ანტონ I-ის *მარტირიკის* სრული ტექსტი 1980 წელს ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სერიის VI წიგნში გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ (გაბიძაშვილი, ქავთარია, 1980). გამოცემაში გამოყენებულია *მარტირიკის* მხოლოდ 2 ხელნაწერი: Q 78 (1769 წ.) და S 1272 (1768-69 წწ.), რომლებიც შესაბამისად A და B ლიტერებითაა აღნიშნული. რაც შეეხება დანარჩენ ნუსხებს, როგორც გამომცემლები მიუთითებენ, ისინი „გვიანდელია, ორთოგრაფიული სიჭრელისა და ლაფსუსების მეტს არაფერს იძლევიან“ (გაბიძაშვილი, ქავთარია, 1980, 1) და ამიტომ მათი ჩვენება გამოცემაში ასახული არაა. ვფიქრობთ, გვიანდელი ნუსხების ამგვარი მკაცრი შეფასება და გადაჭრით თქმა იმისა, რომ *მარტირიკის* დანარჩენი ხუთი სრული ნუსხა მხოლოდ ორთოგრაფიულ

სიჭრელეს გვიჩვენებს, არ შეიძლება. თანაც ისინი, როგორც ვნახეთ, არც ისეთი გვიანდელი ხელნაწერებია, რომ მათი უგულუბელყოფა გამართლებული იყოს. თუმცა გვესმის, რომ *მარტირიკის* სრული ტექსტის გამოცემისას ყველა ხელნაწერის გათვალისწინება მკვლევრებს სამუშაოს გაურთულებდა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ გამოსაცემად მომზადდა *შუმანიკის წამების* გვიანდელი რედაქციები. ამ გამოცემაში ტექსტის დასადგენად პირველადაა გამოყენებული თხზულების ყველა – შვიდივე – ხელნაწერი. ტექსტის დადგენისას უპირატესობა მიენიჭა A და B ხელნაწერებს, როგორც უძველეს წყაროებს, თუმცა კრიტიკულ აპარატში მითითებულია ყველა ხელნაწერის განსხვავებული წაკითხვები, მათ შორის ორთოგრაფიული განსხვავებები. ვფიქრობთ, ამ იკითხვისების ჩვენება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ტექსტის ისტორიისთვის თვალის მისადევნებლად, მეორე მხრივ კი – *მარტირიკის* ხელნაწერთა ურთიერთ-მიმართების დასადგენად.

ანტონს ტექსტში ჩართული აქვს მრავალი ციტატა და პერიფრაზი ბიბლიური წიგნებიდან. ასეთ შემთხვევებში აშეიხვევა მითითებული დამოწმებული წიგნის სახელი (შემოკლებით), თავი და მუხლი. ეს მითითებები *მარტირიკის* შემცველ შვიდსავე ხელნაწერში მეორდება მეტ-ნაკლები ცვლილებებით. ანტონ კათალიკოსის მიერ თხზულების ტექსტში ჩართული ციტატებისა თუ პერიფრაზების ბიბლიური წყაროები მრავალფეროვანია. ესენია:<sup>1</sup> გამოსვლათა (გამოს.), ფსალმუნი (ფსალ.), სოლომონის იგავები (იგავ./იგავი), ეკლესიასტე (ეკკლეს.), ქებათა ქება (ქება), სიბრძნე ისუ ზირაქისა (ზირაქ.), ესაიას წინასწარმეტყველება (ისაია), იერემიას წინასწარმეტყველება (იერემ.), დანიელის წინასწარმეტყველება (დანიელ.), ზაქარიას წინასწარმეტყველება (ზაქარ.), მათეს სახარება (მათ.), მარკოზის სახარება (მარკ.), კორინთელთა მიმართ 1-ლი ეპისტოლე (1 კორ.), კორინთელთა მიმართ მე2 ეპისტოლე (2 კორ.), ტიმოთეს მიმართ მე-2 ეპისტოლე (2 ტიმოთ.), ებრაელთა მიმართ ეპისტოლე (ებრაე.), აპოკალიფსი (აპოკალ.).

რაკი ეს თავისებურება ანტონის ტექსტის მახასიათებელია, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ დამოწმებები წარმოგვედგინა იმგვარადვე, ისეთივე შემოკლებებით, როგორც ეს ძირითად ხელნაწერად აღებულ Q 78-შია წარმოდგენილი. დანარჩენი ხელნაწერების ჩვენებები კი, როგორც ტექსტის იკითხვისების შემთხვევაში, დამოწმებების შემთხვევაშიც სქოლიო-შია ნაჩვენები. ერთადერთი ცვლილება, რომელიც ამ მხრივ შევიტანეთ, არის ის, რომ ხელნაწერისეული, აშიაზე მიწერილი დამოწმებანი ჩვენს ტექსტში ავსახეთ სათანადო ადგილას.

*მარტირიკაში* შესული *შუმანიკის წამების* ტექსტი არცერთ ხელნაწერში არ არის დაყოფილი თავებად. თუმცა, მკითხველისთვის ადვილი რომ ყოფილიყო იაკობ ხუცესისეული და ანტონის რედაქციის კონკრეტული მონაკვეთების შედარება, საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტი თავებად დაგვეყო იაკობ ხუცესის თხზულების თავების შესაბამისად. ასევე, ცალკე გამოვყავით პროლოგი, რომელიც თხზულების ერთგვარ შესავალს წარმოადგენს და სადაც, ფილოსოფიურ-დოგმატიკური ხასიათის თხრობის გარდა, მოცემულია ცნობები *შუმანიკის* ბავშვობისა და მისი ქორწინების შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც *შუმანიკის წამების* ტექსტი არ არის თავებად დაყოფილი არც ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ხელნაწერში (პარხლის მრავალთავი, A 95, X ს.) და არც – გვიანდელ ნუსხებში. იაკობ ხუცესის *შუმანიკის წამების* თავებად დაყოფა ეკუთვნის მის პირველ გამომცემელს – ს. გორგაძეს (გორგაძე, 1917).

ანტონ I ტექსტში იყენებს სხვადასხვა დიაკრიტიკულ ნიშანს. აქ გვხვდება უმარცვლო უ-ს აღმნიშვნელი სიბრჯგუს ნიშანი (^); მკვეთრი მახვილები, მაგ.: „ცოცხლად გამოჰხატონ ნივთი მყოფი მართებითად“ (Q 78, 122); ანთროპონიმების გაუფორმებელი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი – კლებული (°), მაგ.: „ხოლო სხუამან ქელკვა° (წმიდამან ვარდან°) და

<sup>1</sup> ფრჩხილებში ვუჩვენებთ ამ წიგნების შემოკლებებს ანტონ I-ის *მარტირიკის* Q 78 (A) ხელნაწერის მიხედვით.

მეუღლემან მისმან, მშობელთა მართალთა, ასწავეს საღმრთოდ ჰსჯული“ (Q 78, 125); ასევე, ორ და მეტფუძიანი კომპოზიციების შესაერთებლად გამოყენებულია რკალისებური ნიშანი – გარემორთხმული, მაგ.: „იტყვს ღმრთის \_ მეტყუწლი კეთილ \_წესიერ \_სიტყუაობითსა შინა“ (Q 78, 120).

შუშანიკის წამების ამბავი აღწერილია იოანე ბატონიშვილის *კალმასობაშიც*, რომელსაც ავტორი *ხუმარსწავლას* უწოდებს. იოანე ბაგრატიონის ეს შრომა დაიწერა 1813-1828 წლებში.

*კალმასობა* ანუ *ხუმარსწავლა* შვიდ ხელნაწერშია დაცული. ყველა მათგანი კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ეს ხელნაწერებია: H 2170, Q 720, Q 577, S 5374, S 5375, H 2153, H 2134. თუმცა, ამ ხელნაწერთაგან *შუშანიკის წამების* ტექსტი დაუცავს მხოლოდ H 2170 ხელნაწერს, რომელიც იოანე ბატონიშვილს ავტოგრაფს წარმოადგენს (*შუშანიკის წამება* მოთავსებულია 279v-287v გვერდებზე). ამავე ხელნაწერის *შუშანიკის წამების* ტექსტს ეყრდნობა და გარკვეული ცვლილებებით იმეორებს *კალმასობიდან* გამოკრებილ ჰაგიოგრაფიულ კრებულში (S 3687, XIX ს.) შესული თხრობაც შუშანიკის შესახებ (*წამების* ტექსტს უკავია 40r-61v გვერდები). ორივე ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით.

იოანე ბატონიშვილის *კალმასობა* პირველად XIX ს.-ის 60-იან წლებში გამოქვეყნდა ორ ტომად (ბაქრაძე, 1862, 1867). შემდგომი გამოცემა კი, ასევე ორ ტომად, XX საუკუნეში შესრულდა (კეკელიძე, ბარამიძე, 1936, 1948). არცერთ ამ პუბლიკაციაში არ არის შეტანილი *კალმასობის* წმინდანთა ცხოვრების ნაწილი. ამდენად, *შუშანიკის წამების* იოანე ბატონიშვილისეული ვერსია პირველად მომზადდა გამოსაცემად და გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში.

კრიტიკული ტექსტის დასადგენად ზემოხსენებული ორი ხელნაწერი გამოვიყენეთ. ძირითად ტექსტად აღებულია იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფული ნუსხა H 2170, რომელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ, ხოლო S 3687 ხელნაწერი აღვნიშნულია B ლიტერით.

ამ ორი ხელნაწერის ტექსტის შედარებამ გვიჩვენა, რომ, მართლია B ხელნაწერი A-ს ეყრდნობა, მას იღებს საფუძვლად, მაგრამ გადამწერ/რედაქტორს მაინც მრავალი ცვლილება შეაქვს მასში, დაწყებული ორთოგრაფიული სხვაობებიდან, დამთავრებული დიდი მონაკვეთების კლება-მატებით. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

A – მსმენელი ეპისკოპოსი იგი დუმნა (Vთ.).

B – ეპისკოპოსი მსმენელი ესევითარისა უზნობისა მის წმინდისა და ნეტარისა დედოფლისაგან, სდუმნა.

A – ინებეს მოყუანებად შუშანიკისა (VIთ.).

B – მაშინ ბრძანა მიყვანება წმინდისა და ნეტარისა შუშანიკისაცა, ცოლისა თვისისა.

A – ...რათა ადრე მოკვდესო სიყმილისაგან (IXთ.).

B – ...რათამცა მოესწრაფოს სიკუდილი სიმშობისა გამო.

მსგავსი ნიმუშების მოხმობა მრავლად შეიძლება, თუმცა, ვფიქრობთ, სურათი ისედაც ნათელია. ეს სხვაობები A და B ხელნაწერს შორის იმდენად თვალშისაცემია, რომ, შესაძლოა, გამართლებული ყოფილიყო გამოცემაში ამ ორი ტექსტის პარალელურ ვერსიებად წარმოდგენაც. თუმცა, რამდენადაც ისინი ერთ რედაქციულ ჯგუფში ერთიანდება, ძირითად ტექსტად ავიღეთ იოანე ბატონიშვილისეული რედაქცია, ხოლო ამ ორ ხელნაწერს შორის არსებული კითხვა-სხვაობები კრიტიკულ აპარატში ჩავიტანეთ.

იოანე ბატონიშვილი შუშანიკის მოწამეობრივი ღვაწლის აღწერისას ეყრდნობა ანტონ კათალიკოსის რედაქციას. თუმცა ანტონისეული რთული და ფილოსოფიურ-დოგმატიკური ხასიათის ტერმინოლოგიით დატვირთული ტექსტი იოანემ გაამარტივა და ისე შეიტანა *კალმასობაში*. შეიძლება ითქვას, რომ *შუშანიკის წამების* იოანესეული თხრობა შემოკლებული ვერსიაა ანტონისეული რედაქციისა. იოანე ბატონიშვილს მთელი თხრობის განმავლობაში არცერთი ისეთი ცნობა არ აქვს დამატებული, რომელიც ანტონთან არ გვხვდება. ეს სურათი იცვლება მხოლოდ ბოლო თავში, სადაც შუშანიკის გარდაცვალებისა და შემდგომი

მოვლენების შესახებაა მოთხოვნილი. განსხვავებით ანტონისეული რედაქციისგან, იოანე ბატონიშვილის *კალმასობა* (უფრო ზუსტად - *კალმასობიდან* გამოკრებილი ნუსხა - S 3687), ასახელებს შუშანიკის გარდაცვალების წელსაც.

შუშანიკის წამების იოანე ბატონიშვილისეული ვერსიის შემცველი ორივე ნუსხა	
A	B
აღესრულა წმინდა მოწამე შუშანიკ თვესა ოკდომბერსა ათშვიდმეტსა წელსა ქრისტეს შობიდან (H 2170, 287r).	ესსახედ აღესრულა წმინდა მოწამე, დედოფალი შუშანიკ, თვესა ოკდომბერსა ჩვიდმეტსა რიცხვსა, წელსა ქრისტეს შობიდან 558-სა შინა (S 3687, 60v).

როგორც ჩანს, A ხელნაწერში გამორჩენილია შუშანიკის გარდაცვალების თარიღი, რომელიც B ხელნაწერს დაუცავს.

შემდეგ განსხვავებას ანტონისეულ და იოანე ბატონიშვილისეულ ტექსტებს შორის ქმნის შუშანიკის საბოლოო განსასვენებლის დასახელება. ბოლო თავში ანტონ კათალიკოსი გვაცნობებს შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ მეფე ბაკურის შურისძიების შესახებ. ამ ცნობის წყარო ანტონისთვის *ქართლის ცხოვრება* გამხდარა: „იტყვს ძველი უკუე მათიანე ჩუენი, ვითარმედ: „მეფემან ბაკურ წარმოიხუნა ნაწილნი წმინდისა სუსანნასანი დიდითა პატივითა ცორტავს“. ხოლო მე ვჰგონებ, ვითარმედ ეკლესია იგი, სადაცა იტყვს ხუცესი იაკობ დაფლუასა წმინდისა სუსანნასა, არს ცორტავს“ (ანტ. XX თ.) – აქ, როგორც ვხედავთ, ანტონი ეჭვქვეშ აყენებს მეფე ბაკურის მიერ შუშანიკის წმინდა ნაწილების ცურტავში გადმოსვენების ამბავს, რადგან, მისი აზრით, ეკლესია, რომელზეც იაკობ ხუცესი საუბრობს თხზულებაში და რომლის ეზოშიც დაკრძალეს წმინდანი, ისედაც ცურტავში მდებარეობდა. იოანე ბატონიშვილის *კალმასობაში* კი ვკითხულობთ: „იტყვის ძველი უკუე მათიანე ჩუენი, ვითარმედ მეფემან ბაკურ წარმოიხუნა ნაწილნი წმინდისა სუსანნასანი დიდითა პატივითა ცორტავს, ვითარცა იტყვის ხუცესი იაკობ დაფლუასა წმინდისასა ეკლესიასა შინა ცორტავს“ (ინ. XX თ.) – კალმასობის ცნობა წინააღმდეგობრივი გამოდის, რადგან ანტონის ტექსტიდან ამოღებულია ფრაზა „ხოლო მე ვჰგონებ...“. საისტორიო მწერლობაში (*ქართლის ცხოვრებაში*) დადასტურებული ცნობის შემდეგ იოანე ბატონიშვილი წერს: „ხოლო მოთხოვნილისამებრ, მეფემან თამარ მოასვენებინა გუამი წმინდისა ამის შუშანიკ დედოფლისა, და დასდევს ლუსკუმასა შინა მარჯვენით-კერძო ტფილისის ქალაქის სასახლის ეკლესიასა შინა, მეტეხად წოდებულსა, წმინდისა ღმრთისმშობლის დაუჯდომელობის ეკლესიასა შინა“ (ინ. XX თ.). პირველად სწორედ *კალმასობაში* ვხვდებით შუშანიკის უკანასკნელ განსასვენებლად მეტეხის ტაძრის დასახელებას. „მოთხოვნილისამებრ“ ალბათ უნდა ნიშნავდეს გადმოცემით, ზეპირი ტრადიციის გზით ჩვენამდე მოღწეულ ინფორმაციას. როგორც ჩანს, ხალხში ასეთი გადმოცემა ყოფილა გავრცელებული და სწორედ ეს ასახა *კალმასობაში* იოანე ბატონიშვილმა.

იოანე ბატონიშვილის *კალმასობაში* შესული შუშანიკის წამების ტექსტის შედარებამ ანტონ I-ის *მარტირიკის* ხელნაწერებთან აჩვენა, რომ იოანე ბატონიშვილს უსარგებლია *მარტირიკის* Q 78 ხელნაწერით. ამას აჩვენებს ერთი კონტექსტი თხზულებისა, რომელშიც საუბარია სპარსი მეფის გადაწყვეტილებაზე - გამაზდენებულ ვარსქენს მიათხოვოს ასული. ეს ეპიზოდი *შუშანიკის წამების* იაკობ ხუცესისეულ ტექსტში ასეა გადმოცემული: „მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“ (Iთ.). რაკი იაკობ ხუცესი არ აკონკრეტებს რომელი მეფის ასულზეა საუბარი, ანტონ I ორ ვერსიას გვთავაზობს: „მჰსმენელმან მეფემან მხიარულქმნილმან ვასქენ ბოროტმჰაზრუელისა თხოვათა და აღთქმათათვს, მიუბოძა ცოლად ასული ანუ თვისი და ანუ პირველ მისა ყოფილისა ვისმე სპარსთა მეფისა“ (ანტ. Iთ.). ასეთი ტექსტი გვაქვს *მარტირიკის* ექვს ხელნაწერში. მხოლოდ



ერთი, A ხელნაწერი (Q78), გვიჩვენებს ამგვარ წაკითხვას: „მიუბოძა ცოლად ასული ანუ დად თვის და ანუ პირველ მისა ყოფილისა ვისმე სპარსთა მეფისა“ (Q 78, 128). იოანე ბატონიშვილის ტექსტში ვკითხულობთ: „მიუბოძა ცოლად ასული თვისი. ხოლო რომელნიმე ჰსწერენ დასა თვისისა მიცემასა“ (ინ. Iთ.). ვარსკენისათვის სპარსეთის მეფის დის ცოლად მითხოვების ვერსია, როგორც ვთქვით, მხოლოდ ერთ ხელნაწერში იკითხება და ესაა სწორედ *მარტივი* ე. წ. საბოლოო ვერსია, ავტორის ხელიდან გამოსული ეგზემპლარი (Q 78). შესაბამისად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე ბატონიშვილი უშუალოდ იცნობდა ამ ხელნაწერს.

როგორც აღვნიშნეთ, *კალმასობაში* შესული *შუმანიკის წამების* ტექსტი მზადაა გამოსაცემად. გამოცემაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული და ასახული ხელნაწერების ვითარება. კრიტიკულ აპარატში მითითებულია ყველა განსხვავებული იკითხვისი, მათ შორის, ფონეტიკურ-ორთოგრაფიული განსხვავებანი. შენარჩუნებულია ხელნაწერისეული ორთოგრაფია. მათ შორის, სალიტერატურო ენის ნორმებით არასწორად მიჩნეული ფორმებიც (მაგალითად, მრჩობლი პრეფიქსი ზმნებში), თუ ასეთ ფორმას გვიჩვენებს ორივე ხელნაწერი, ხოლო თუ ერთ მათგანში მაინც სწორი ფორმაა წარმოდგენილი, ძირითად ტექსტში მას ვტოვებთ, მეორეს კი აპარატში ავსახავთ.

ანტონის რედაქციაზე საუბრისას უკვე ავხსენით, თუ რატომ გახდა საჭირო ახალი გამოცემისას ტექსტის თავებად დაყოფა. ამავე მიზეზით დავყავით თავებად იოანე ბატონიშვილისეული ტექსტიც. ეს შესაძლებლობას მისცემს მკითხველს მარტივად შეუდაროს ერთმანეთს იაკობ ხუცესის, ანტონ I კათალიკოსისა და იოანე ბატონიშვილის რედაქციები.

#### ლიტერატურა:

1. აბულაძე, ი. (რედ.) (1938/78). იაკობ ცურტაველი, მარტვილობად შუმანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938/1978
2. აბულაძე, ი. (რედ.) (1963), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
3. ბაქრაძე, დ. (რედ.) (1862). კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა, ნაწილი პირუჭლი, ქართულთ-იმერთ საზოგადოების მონდობილობით; გამოცემული „ცისკრის“ რედაქციისაგან, წინათქმა დიმ. ბაქრაძისა, ტფილისი, კერესელიძის ტიპოგრაფია.
4. ბაქრაძე, დ. (რედ.) (1867). კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა, ნაწილი მეორე, ქართულთ-იმერთ საზოგადოების მონდობილობით, გამოცემული „ცისკრის“ რედაქციისაგან, წინათქმა დიმ. ბაქრაძისა, ტფილისი, კერესელიძის ტიპოგრაფია.
5. გაბიძაშვილი, ე., ქავთარია, მ., (რედ.) (1980). წიგნი მარტივიკა – შესხმა და ისტორია ქრისტესთვს ვნებულთა მოწამეთა ქართულთა და სხუათა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ. რედ. მ. შანიძე). წიგნი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი VI. თბილისი: „მეცნიერება“.
6. გორგაძე, ს. (რედ.) (1917). იაკობ ხუცესი. წამებად წმიდისა შუმანიკისი (ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები). ქუთაისი: ქმწკვს-ის ქუთაისის განყოფილების სტამბა.
7. კეკელიძე, კ., ბარამიძე ა., (რედ.) (1936), იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. I, თბილისი: სახელგამი.

8. კეკელიძე, კ., ბარამიძე ა., (რედ) (1948). იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. II, თბილისი: სახელგამი.
9. კეკელიძე, კ. (1960). ქართული ლიტერატურის ისტორია (ძველი მწერლობა). წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად. ტ. I. თბილისი: „მეცნიერება“.
10. საბინინი, მ. (რედ.). (1882). საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი: მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიის ტიპოგრაფია.
11. ჭელიძე, ე. (რედ.) (2008). ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა (ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ე. ჭელიძემ). I. თბილისი: „ივირონი“.
12. ჯანაშია, ნ. (1975). „მუშანკის წამების“ სომხური რედაქციების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. „მრავალთავი“. V. თბილისი: „მეცნიერება“. გვ. 108-118.

**Nana Mrevlishvili, Tinatin Jikurashvili**

Georgian University

Tbilisi, Georgia

[nan.mrevlishvili@ug.edu.ge](mailto:nan.mrevlishvili@ug.edu.ge)

[t.jikurashvili@ug.edu.ge](mailto:t.jikurashvili@ug.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.34>

### **Later editions of Shushanik tortures**

#### **Abstract**

The Tortures of Shushaniki is the first monument of original Georgian writing, so it is not surprising that there is a great scientific interest in these hagiographic works written by Jacob Khutsesi (Tsurtaveli) in the 5th century. Since 1917, the work has been published several times, although the research interest of scientists has always been primarily the text of Jacob Khutsesi. The later editions of the tortures were left out of special attention.

We call the later editions the tortures of Shushanik, included in Martyrika by the Catholic Anton I Bagration in the 18th century, and the edition of Ioane Batonishvili, based on Anton's text, which he included in his penmanship.

Antony, of course, relies on the Georgian edition of Yakob Khutsesi (Georgian extensive edition), however, he seems to be familiar with and uses Armenian sources as well.

The story of Shushanik's torture is also described in Ioane Batonishvili's penmanship, which the author calls humor study. This work of Ioane Bagration was written in 1813-1828.

Ioane Batonishvili, while describing Shushanik's martyrdom, relies on the edition of Anton Katalikos. However, John simplified Antony's text, loaded with complex and philosophical-dogmatic terminology, and included it in his penmanship. It can be said that the Johannine narrative of Shushanik's torture is an abridged version of the Antonine redaction. For the first time, it is in Kalmasoba that we find the name of Metekhi Cathedral, the last resting place of Shushanik.

The review discusses the relationship between the later editions of Shushanik's Tortures, and the changes that Anton I and Ioane Batonishvili made in the works of Jacob Khucsis.

**Key words:** Iakob Tsurtaveli, “Shushanik's torture”, different editions

**ლიდა ობოლაძე, ანა ფიფია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო  
lidaoboladze@yahoo.com

pipiaanna75@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.35>**მოტივაცია და მოტივაციის ამალღების საშუალებები****საკვანძო სიტყვები:** მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

მოტივაცია არის იმპულსი/სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისაკენ უბიძგებს და ამ ქმედებებს გარკვეული მიზნის მიღწევისაკენ მიმართავს. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც ბევრს მეცადინეობს, კეთილსინდისიერად ეკიდება სასწავლო პროცესს, ორიენტირებულია კარგი ნიშნების მიღებაზე, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მაღალმოტივირებული. მოტივაცია განაპირობებს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებას. მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს მისი გარემო. ეს შეიძლება იყოს მშობლები, თანატოლები, მიმზიდველი სასწავლო გარემო. თუმცა, მოსწავლეების მოტივირების თვალსაზრისით, მასწავლებლის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია.

მოტივაციის ამალღებაზე სისტემატური მუშაობა დიდწილად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მოსწრებას და სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ და სახალისოდ წარმართვას (1,85).

გამოარჩევნ შინაგან და გარეგან მოტივაციას. განვიხილოთ მაგალითები.

**სიტუაცია 1.**

ინგლისური ენის გაკვეთილია. მასწავლებელს მოსწავლეებისთვის შემოაქვს ცხრილი, რომელშიც ჩასმულია სიტყვები, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა მეტყველების ნაწილს. ამის შემდეგ მასწავლებელი ინსტრუქციას აძლევს თითოეულ მოსწავლეს: „იფიქრეთ და გამოიცანით რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება მოცემული სიტყვები“.

**სქემა I**

fly	teach	the	bad	or
your	horse	with	quickly	careful
learn	on	it	yours	because
that	good	now	pen	extremely

**სიტუაცია 2.**

მეორდება პირველი სიტუაცია, ოღონდ მასწავლებელი, იმის გარდა რომ მოსწავლეებს სთხოვს მეტყველების ნაწილების განსაზღვრას, გარკვეულ მოლოდინს უქმნის: „რომელი თქვენგანიც უფრო მალე გაართმევს თავს მოცემულ დავალებას, და ასევე საკუთარ

მაგალითებში გამოიყენებს მოცემულ სიტყვებს, დაიმსახურებს უმაღლეს შეფასებას და გამოცხადდება დღევანდელი გაკვეთილის ლიდერად".

ორივე შემთხვევაში მასწავლებელს ერთი მიზანი ამოძრავებს, აამაღლოს მოსწავლეებში მოტივაციის შეგრძნება. პირველი შემთხვევა შინაგანი მოტივაციის მაგალითის ნიმუშია. აქ პედაგოგი მოსწავლეებს უღვიძებს თავმოყვარეობას და მათ აზროვნებისკენ, ფიქრისკენ უბიძგებს. აქ განსაზღვრულია ის შინაგანი ინტერესი, რომელიც მოსწავლეს სიამოვნებას ანიჭებს. ეს სიამოვნება მის ქმედებებს დასახული მიზნისაკენ მიმართავს. აქ გარეშე ფაქტორები (ნიშანი, შექება, ჯილდო და სხვ.) თითქმის უმნიშვნელოა.

შინაგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა, რომელიც შიგნიდან არის გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების თუ რაღაცის აღმოჩენის სურვილით (3, 57).

მეორე შემთხვევა სიტუაციურად იმავეს გვიამბობს, რასაც პირველი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მასწავლებელი გარე ფაქტორის/ფაქტორების შემოტანით ცდილობს, მოსწავლეებში გაამძაფროს მიზნის მიღწევის სურვილი და მათი მოქმედებებიც აქეთ მიმართოს.

გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისაკენ სწრაფვა, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეში შინაგანი მოტივაციის გაღვიძება აკადემიურ შედეგებზე განსაკუთრებით დადებით გავლენას ახდენს, აუცილებელია მასწავლებელი იყენებდეს გარეგანი მოტივაციის სტრატეგიებსაც.

მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ I-III კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი შინაგანად არის მოტივირებული, თუმცა მესამე კლასიდან შინაგანი ინტერესი მნიშვნელოვნად კლებულობს და მოსწავლეები უფრო დიდ ანგარიშს უწევენ გარე ფაქტორებს, მაგალითად, წარმატების მიღწევას მხოლოდ იმ საგნებში, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად სჭირდებათ (1, 105).

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, გარე ფაქტორებიც უძლურია, რადგან მასალა რთულდება, მოსწავლეებისათვის უფრო მოსაწყენი ხდება საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლე კარგავს სწავლის მოტივაციას. სწორედ აქ იკვეთება მასწავლებლის განსაკუთრებული როლი, რომ იზრუნოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაციის ამაღლებაზე (2, 205). ასევე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იცოდეს, რომ სწავლის მოტივაციის ამაღლება უკავშირდება მოსწავლის სხვა საჭიროებებს.

შინაგანი მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ: დავალების მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით შერჩევა;

- გარკვეულ შემთხვევაში მათთვის არჩევანის უფლების მინიჭება;
- თავისი აზრით, თუნდაც საწინააღმდეგო მოსაზრების თამამად გამოხატვის შესაძლებლობა;
- თამაში ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში;

დავასახელებთ იმ სტრატეგიებს, რომლებსაც მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს გარეგანი ამაღლების მიზნით:

- გარკვეული ჯილდოს, საჩუქრის შეთავაზება კარგი ან გაუმჯობესებული შედეგებისათვის (მაგალითად, ყველაზე მაღალი ნიშანი, ან კონკრეტული ტექსტიდან გათავისუფლება და ა. შ.);
- წერილობითი ან სიტყვიერი შექება, რომელიც არის არა ზოგადად (მაგალითად, არა უბრალოდ „კარგი გოგო ხარ“, არამედ უფრო კონკრეტულად „ყოჩაღ, შენ ამ მასალის ცოდნა ნათლად დაგვანახე შენ მიერ შედგენილ წინადადებებში“);
- შეჯიბრების მოწყობა (კლასში, პარალელურ ჯგუფში ან სხვა სკოლების მოსწავლეებთან).

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანია ნიჭიერი ბავშვების მოტივაციაც. ხშირად ხდება, რომ ნიჭიერ ბავშვებს სწავლაში დაბალი შედეგები აქვთ, რისი ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ მოტივაციის არარსებობაა.

### სიტუაცია 3

„უილიამ შექსპირის ცხოვრების“ შესწავლის დაწყებისას, მოსწავლეები მასწავლებელს ეწუწუნებიან და უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ტექსტი საკმაოდ დიდი და რთულია. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს შინაგანი ან გარეგანი მოტივაციის სტრატეგია.

გთავაზობთ ორ ვარიანტს:

1. სანამ მასწავლებელი ტექსტის ახსნას დაიწყებდა, გადაწყვიტა ბავშვებისათვის შექსპირის პიესებზე გადაღებული ვიდეოფილმები ეჩვენებინა; გაეცნო მათთვის იმდროინდელი ცხოვრების შესახებ. მასწავლებელმა შეგნებულად გადაუხვია სასწავლო გეგმას და ორი-სამი გაკვეთილის განმავლობაში ტექსტის ახსნა არ დაუწყო. მესამე გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეები დაინტერესდნენ და თვითონ მოითხოვეს ტექსტის შესწავლა.

2. მასწავლებელი მოსწავლეებს დაპირდა, რომ ვინც ყველაზე კარგად ისწავლიდა ტექსტს, დააჯილდოვებდა შექსპირის პიესებით. ამის შემდეგ მოსწავლეები მონდომებით შეუდგნენ ტექსტის შესწავლას.

როგორც მაგალითი გვიჩვენებს, „უილიამ შექსპირის ცხოვრების“ შესწავლისას მოტივაციის ორივე სტრატეგია წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა, თუ მოსწავლეს ხშირად ვპირბედით ჯილდოს, ანუ გარეგანი მოტივირების გზას მივმართავთ, შეიძლება ამ გზით შინაგანი მოტივაცია თანდათან დაუქვეითდეს და ყოველთვის ჯილდოს, ნიშნის ან სხვა რამის საფასურად გააკეთოს კონკრეტული დავალება. კვლევები მიუთითებენ, რომ როდესაც მასწავლებლები ხშირად იყენებენ გარეგან მოტივაციას, სხვა შემთხვევაში მოსწავლეები გულგრილები ხდებიან სწავლის მიმართ.

ჩატარდა ექსპერიმენტი: გამოიყენეს თამაში სკოლის ბავშვებთან, რომელიც მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ. ცოტა ხნის შემდეგ თამაშში წარმატებულ ბავშვებს საჩუქრები დაურიგეს. შემდეგ შეწყვიტეს. მათ ჩამოუყალიბდათ განწყობა, რომ ისინი უკვე არა გართობის მიზნით, არამედ საჩუქრებისათვის თამაშობდნენ.

პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. აქ მოსწავლის ხასიათი, მისი ბუნება და ასაკი გადამწყვეტ როლს თამაშობს (4, 103). ზოგს გარეგანი მოტივაციის ფორმები უფრო მეტი ენთუზიაზმით აღავსებს, ვიდრე შინაგანი. ამიტომაც, როგორც წესი, სწორედ მათი შეზავებითა და ვარიანტებით მიიღწევა სასურველი, მაქსიმალური შედეგი.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

- პედაგოგი სისტემატურად და გეგმაზომიერად უნდა მუშაობდეს მოტივაციის ამაღლებაზე. ამ ტიპის სამუშაოები მას მიზნობრივად და თანმიმდევრულად უნდა ჰქონდეს დაგეგმილი სასწავლო პროგრამებში;
- პედაგოგმა მოტივაციის ორივე ფორმას უნდა მიმართოს. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შინაგანი მოტივაცია ბევრად უფრო მდგრადია და მოსწავლეთა განვითარებას განსაკუთრებით უწყობს ხელს;
- მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებელმა მრავალგვარ სტრატეგიას შეიძლება მიმართოს, მაგრამ ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ასაკობრივი ჯგუფისა და კონკრეტული მოსწავლის ხასიათის თუ მუშაობის სტილის თავისებურებებს.

მოტივაციის ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა პიროვნული ურთიერთობები. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე კარგი პიროვნული ურთიერთობების დამყარებაში:

სამართლიანობა

სანამ მოსწავლე არ დაინახავს, რომ მასწავლებელი სამართლიანია ისეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს, როგორცაა დავალების რაოდენობა, აკადემიური

მოსწრების შეფასება, მოსწავლეთა დახმარება, დისციპლინური საკითხების განსჯა და ა. შ. მოსწავლე ვერ მოეწონება ის.

**გარეგნობა.** მოწესრიგებული და დახვეწილი მასწავლებელი, მოსწავლეებს შთააგონებს პატივისცემას არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების, არამედ იმ საგნის მიმართაც, რომელსაც იგი ასწავლის.

**იუმორი.** თავისუფალი, გახსნილი, იუმორისტული რეაქციები გარკვეულ სიტუაციებში მასწავლებელს ხიზლს სძენს, აახლოებს მოსწავლესთან.

**თავაზიანობა.** თავაზიანობის გამოვლენა პატივისცემის დაფიქსირების ყველაზე მკაფიო ჟესტია და ხელს უწყობს სიმპათიის გაღვივებას.

**სიხალისე.** მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა უკეთ წარიმართება, როდესაც მასწავლებელი არის სადა, ხალასი ადამიანი, რომლის ნაამბობიც პიროვნულ გამოცდილებებს, შეგრძნებებს ეყრდნობა.

**ურთიერთობების აღდგენა.** სადამსჯელო ღონისძიების გატარება ურთიერთობას ჩიხში აქცევს. ამგვარი ქმედებების შემდეგ უმნიშვნელოვანესია მოსწავლემ იცოდეს, რომ მასწავლებელი ყოველთვის მზადაა, გადადგას პირველი ნაბიჯი ურთიერთობის აღდგენისაკენ.

**აქტიური მოსმენა.** აქტიური მოსმენა ნიშნავს რეაგირებას, კითხვების დასმას, პოზიტიურ გამოხმაურებას მოსწავლეების ნააზრევზე, როცა მასწავლებელი მოსწავლეს აგრძნობინებს, რომ მათი პოზიცია მას ესმის.

მაშასადამე, კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებით მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეში ღირსების გრძნობის ამაღლებას და მოტივაციის გაზრდას.

#### ლიტერატურა

1. Armstrog, T. (2000). Multiple intelligences in the classroom (2<sup>nd</sup> ed).
2. Berk, L. E. (2002). Infants, children, and adolescents (4<sup>th</sup> ed). Boston, M A. Allyn - Bacon.
3. Noddings, N. (2007). Philosophy of Education. Colorado: Westview Press.
4. Santrock, J. W. (2001). Child development (9<sup>th</sup> ed.). Boston: M A: McGraw-Hill.

**Lida Oboladze, Ana Pipia**

Akaki Tsereteli State University

[pipiaanna75@gmail.com](mailto:pipiaanna75@gmail.com)

[lidaoboladze@yahoo.com](mailto:lidaoboladze@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.35>

### Motivation and Ways to Increase Motivation

#### Abstract

The article highlights major points in the significance of increasing students' motivation, also, of obtaining strategies and powers of motivation. Motivation is an impulse, a desire, the inner process of having a tendency to cause a person to act in a particular way to achieve a desirable goal in life. A student who works hard, who deals with the work in a refreshingly appealing way throughout the academic year and who is orientated towards getting high points, can be characterized as highly-motivated. Accordingly, motivation reflects students' abilities and aptitudes to work in a successful way. The surrounding, including parents, peers, attractive academic atmosphere also defines students' motivation. However, teachers are supposed to play major role in giving students high motivation.

**Key words:** motivation, Internal and external motivation.

ლელა ონიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Onianilela@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.36>

## ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა კულტურის ასპექტში

**საკვანძო სიტყვები:** ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, კულტურა.

სტატიაში განხილულია ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიმართება კულტურასთან. ამჟამინდელ ლინგვისტიკაში დომინირებს ენის ისეთი ხედვა, რომელიც ენას უკავშირებს ადამიანური სინამდვილის სხვა ფენომენებს-ძირითადად კულტურას. ამიტომ ამ ახალ პარადიგმას, როგორც წესი, უწოდებენ „ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას“, ანუ ენის ისეთ ხედვას, რომელიც მას არსებითად უკავშირებს კულტურას. ლინგვისტური აზროვნების ამგვარმა განვითარებამ გამოიწვია ის, რომ ენობრივმა ნიშანმა გაიფართოვა თავისი სტრუქტურა- იგი არ „გაჩერებულა“ ორპლანიან სტრუქტურაზე. ხოლო ნიშნის სამგანზომილებიან სტრუქტურაში თითოეული მისი განზომილება, სხვადასხვა პარადიგმის დონეზე სხვადასხვა სტატუსს იკავებს.

ტექსტის სტრუქტურის ჩვენი კვლევის პრაქტიკულ-ანალიტიკურმა ასპექტმა უნდა მოახდინოს აქამდე ჩვენს მიერ გამოთქმული თეორიულ მოსაზრებათა აქტუალიზაცია, მათი გაერთიანება ერთ მთლიან ანალიტიკურ სისტემაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს ჩვენს მიერ დაკავებულ თეორიულ პოზიტივითა ერთის მხრივ აქტუალიზაცია, მეორეს მხრივ - კი - სინთეზი. მაგრამ სანამ ჩვენ შევუდგებოდით ამ სინთეზის პრაქტიკულ რეალიზაციას, გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: ჩვენ შევიტანეთ გარკვეული და ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი კორექტივები რეფერენტული სტრუქტურის იმ კონცეფციაში, რომელიც დღეისთვის წარმო-დგენილია და გარკვეული სახით დომინირებს კიდევ ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიაში. ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ მხატვრული ტექსტის სტრუქტურულ ასპექტთა კვლევისას, რომელსაც ჩვენ ინტერპარადიგმულობას ვუწოდებთ; ამ ეტაპზე უკვე აუცილებელი ხდება ხაზგასმით ითქვას: ინტერდისციპლინურობა და ინტერპარადიგმულობა წარმოადგენენ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს.

კონკრეტული მხატვრული ტექსტის ანალიტიკური კვლევა უნდა ეფუძნებოდეს აქამდე ჩვენ მიერ გამოთქმულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოსაზრებათა სინთეზს; მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს სინთეზი და, რაც მთავარია, რამ უნდა მოახდინოს იგი? ამ კითხვის პასუხი ასეთია: ეს სინთეზი უნდა მოახდინოს ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიურმა მიდგომამ, ამიტომ არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა ეწოდოს ჩვენს მიერ ჩასატარებელ ანალიზს „ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი“. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ყველა ის თეორიული და მეთოდოლოგიური მოსაზრება, რომლებიც აქამდე ფიგურირებდნენ ჩვენს ნაშრომში, უნდა დაექვემდებარონ ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას და იქც-ნენ ამ მიდგომის სტრუქტურულ ელემენტებად; ბ) მეორე მომენტი კი ისაა, რომ მიუხედავად ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩვენ მიერ ხაზგასმული

დომინანტური სტატუსი-სა, ჯერ არ გვქონია ამ ცნების დეფინიცია, რომელიც წარმოადგენს ტერმინ „ლინგვოკულტურ-როლოგიის“ ცენტრალურ ელემენტს, ე.ი. არ გვქონია კულტურის დეფინიცია. ამგვარი დეფინიციის გარეშე კი ბუნებრივია, თვით ლინგვოკულტუროლოგია როგორც კვლევითი პარადიგმა ვერ შეიძენს რეალურ შინაარსს.

როგორც ცნობილია, არსებობს კულტურის ცნების მრავალი დეფინიცია. მათ შორის ჩვენ ამოვირჩევთ ისეთს, რომელიც ხასიათდება როგორც შინაარსობრივი სიფართოვით, ისე კონკრეტულობითაც, რადგანაც მიგვაჩნია, რომ სწორედ თვისობრივად ამგვარ დეფინიციას შეუძლია იქცეს ამ სინთზის განხორციელების საშუალებად, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენ დავეყრდნობით კულტურის იმ განსაზღვრას, რომელსაც იძლევა კ.ხორუმენკო თავისსავე „ენციკლოპედიური ლექსიკონი“. გამოვეყოფთ ამ ფენომენის მისეული განმარტების სამ ასპექტს და მივიჩნევთ, რომ ტექსტის ჩვენეული ანალიზი-სათვის მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს: 1) კულტურის განსაზღვრის პირველ ასპექტში ხაზგასმულია ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ის მომენტი, რომელიც გვიჩვენებს მის მნიშვნელობას **თაობათა ურთიერთმიმართების** თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით კულტურა განისაზღვრება როგორც სოციალურად შექმნილ და თაობიდან თაობაში გადაცემულ სიმბოლოთა, იდეათა, ღირებულებათა, ჩვეულებათა, რწმენათა და ტრადიციათა, ქცევის ნორმათა და წესებთა ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ადამიანები ახდენენ მათი არსებობისათვის აუცილებელ ქმედებათა ორგანიზებას (Чиргишенко, 1997:228-229).

2) განსაზღვრის მეორე ასპექტში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ კულტურა უპირისპირდება ბუნებას როგორც ადამიანების მიერ შექმნილი და არა თავისთავად შექმნილი და არა თავისთავად არსებული გარემო: „კულტურა“ ნიშნავს არსებობისა და თვითრეალიზაციის ადამიანთა მიერ შექმნილ ხელოვნურ სფეროს როგორც სოციალურ ურთიერთ-ზემოქმედებათა და ქცევის რეგულირების წყაროს (იქვე).

3) მესამე ასპექტი ხაზს უსვამს კულტურის ადამიანთან მიმართების მომენტს „რომ კულტურის სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი: იგი ქმნის, ინახავს და ავრცელებს მის მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებებს“ (იქვე).

ჩვენთვის უშუალო ინტერესს წარმოადგენს არა იმდენად კულტურა, არამედ ის მიმართება რომელიც არსებობს ენასა და კულტურას შორის და რომელიც მიჩნეულ იქნას **ლინგვოკულტუროლოგიის** კვლევის საგნად, ამიტომ ჩვენ გავითვალისწინებთ კულტურის ზემოთ მოცემულ განმარტებას მის სამსავე ასპექტში, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება ის, თუ როგორ აირეკლება კულტურა როგორც ამგვარად გაგებული ფენომენი გასაანალიზებელი ტექსტის **რეფერენტულ სტრუქტურაში**.

ჩვენ იმიზანის ინგლისურენოვანი მცირე პროზის ორი ნიმუშის ანალიზი. ა) რეფერენტული სტრუქტურის იმ კონცეფციას, რომელსაც გვთავაზობს ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორია, კერძოდ კი მისი ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა ლ.ნოზდრინა, ბ) ამავე დროს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი კორექტივები შევიტანეთ ხსენებულ კონცეფციაში, უფრო მეტიც –მოვახდინეთ მისი **კონცეპტუალური ტრანსფორმაცია**, რაზეც არა ერთხელ მივუთითეთ. ორივე ამ მომენტის გათვალისწინებით, და რაც მთავარია, იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტთა ჩვენეული ანალიზი უნდა ატარებდეს **ლინგვოკულტუროლოგიურ** ხასიათს, გვსურს გამოვეყოთ ამ ანალიზისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ძირითადი მომენტები:

ა) ჩვენი აზრით, რეფერენტული სტრუქტურის ცნება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ფართო შინაარსისა და მნიშვნელობის ცნებას, როგორიცაა ტექსტში წარმოდგენილი **სამყაროს** (ვგულისხმობ „ნაწარმოების სამყაროს“ იმ გაგებით, როგორც ჩვენ იგი დავესესხეთ ლიტერატურათმცოდნეობას), მაგრამ თუ გვსურს არა მარტო დავესესხოთ ლიტერატურათმცოდნეობას „ნაწარმოების სამყაროს“ ცნება, არამედ ვაქციოთ კიდეც იგი მხატვრული ნარატივის ანალიზის ეფექტურ საშუალებად, მაშინ უნდა მოვახდინოთ მისი ორმხრივი **კონცეპტუალური ტრანსპორმაცია**, რაც ნიშნავს შემდეგს:



ბ) კულტურის ცნებიდან გამომდინარე „ნაწარმოების სამყარო“ გაგებულ უნდა იქნას **კულტურულ სამყაროდ**. უნდა მივიჩნიოთ, რომ ნარატივის ცნებით ნაგულისხმევი თხრობითი „ინსტანციები“ ე.ი. მთხრობელი – ადრესანტიც და მკითხველი – ადრესატიც ეკუთვნის ერთი და იგივე კულტურულ სამყაროს, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთგაგება, და შესაბამისად, ვერ შედგებოდა ნარატივი, როგორც კომუნიკაციური ფენომენი. ასევე უნდა მივიჩნიოთ, რომ თუ თხოვა ხორციელდება პირველ პირში, სიუჟეტში ჩართული პერსონაჟებიც ეკუთვნიან იგივე კულტურულ სამყაროს, რომელსაც ეკუთვნიან ზემოხსენებული ადრესანტი და ადრესატიც ბ) კულტურის ზემოთ მოცემული განსაზღვრიდან გამომდინარე როგორც მთხრობელი-ადრესანტი და მკითხველი-ადრესატი, ისე სიუჟეტში მონაწილე ყველა პერსონაჟი უნდა მივიჩნიოთ იმ კულტურულ სუბიექტად, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან.

გ) კულტურული სამყარო წარმოადგენს ერთდროულად **რეფერენტულ სივრცეს**, რომელსაც ბუნებრივია, აქვს რეფერენტული სტრუქტურა იმ გაგებით, როგორც ეს ცნება ფიგურირებს ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში.

### ლიტერატურა:

1. ნ. თევდორაძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 2016
2. გ. ლეზანძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 2004
3. К. Хорушенко, “Культурология“. Энциклопедический Словарь. Ростов-на-Дону. “Феникс“ 1997

**Lela Oniani**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Onianilela@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.36>

### Linguoculturological paradigm in the aspect of Culture

#### Abstract

Article aims to discuss the interrelation of Linguoculturological paradigm in the aspect of Culturology. In modern linguistics language is connected with the phenomena of cultura, this new vision of language is called linguoculturological paradigm.

The first and main argument implies paradigmatic status of linguoculturology as a research trend. Modern understanding of a text and structure has linguosemiotical character based on the understanding of literary works as literary communication. This point requiring synthesis of linguistics and literary theory.

According to the context of culture, we should consider „literary world” as cultural world, which represents Referential space and is considered from linguoculturological paradigm

**Key words:** Linguoculturological paradigm, Culture

**ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

Nino.orjonikidze@atsu.edu.ge maia.akhvlediani@atsu.edu.ge

**ლალი აბდალაძე**

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი  
ზუგდიდი, საქართველო

abdaladzelali@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.37>

**საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერთობლივი საქმიანობა სკოლამდელებში  
ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების მიზნით**

**საკვანძო სიტყვები:** ჯანმრთელობა, ურთიერთშეთანხმება, თანმიმდევრულობა, მხარდაჭერა, გამოცდილება

საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა, მისი განვითარების ტემპები ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს ადამიანისა და მისი ჯანმრთელობის წინაშე. თანამედროვე ადამიანი განათლებულ პიროვნებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ფლობს ჯანმრთელობის კულტურას. ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ დაავადების არარსებობა; ეს არის ოპტიმალური შრომისუნარიანობის, ემოციური ტონუსის მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს მომავლისთვის ფუნდამენტის შექმნას.

სკოლამდელი ასაკი გადამწყვეტია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძვლის ფორმირებაში. სწორედ ამ პერიოდში ხდება ორგანოების ინტენსიური განვითარება და სხეულის ფუნქციური სისტემის ფორმირება, ყალიბდება პიროვნების ძირითადი თვისებები და ხასიათი. ამჟამად, არასახარბიელო ეკოლოგიური და სოციალური პირობების ფონზე ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. საბავშვო ბაღის კურსდამთავრებულთა უმეტესობა სკოლაში სწავლისთვის არასაკმარისად მომზადებული მოდის ფსიქოფიზიკური და სოციალური ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

სამეცნიერო კვლევების შედეგები მოწმობს, რომ ბოლო წლებში ბავშვთა ჯანმრთელობის გაუარესების ტენდენცია მდგრადი გახდა. იზრდება საჭმლის მომწოდებელი ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დარღვევების მქონე ბავშვების რიცხვი (სქოლიოზი, შარდსასქესო სისტემის, ენდოკრინული სისტემის და სხვ. დარღვევები). ბაღიდან სკოლაში მოსულმა ბავშვებმა იციან კითხვა, თვლა, თუმცა ღარიბი სენსორული გამოცდილება, ხელების სუსტად განვითარებული მოტორიკა აქვთ; ბევრ მათგანს არა აქვთ გამომუშავებული ისეთი აუცილებელი ფიზიკური თვისებები, როგორცაა: ძალისხმევის დამაბვა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, საკუთარი ემოციური მდგომარეობის ელემენტარული კორექტირება, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა, ანუ ის ინდიკატორები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითაღზრდასთან.

სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებში იზრდება წარუმატებლობის შფოთვითი მოლოდინის დონე, რაც ამძიმებს ქცევით და ნეიროფსიქოლოგიურ ანომალიებს, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ქცევის ანტისოციალურ ფორმებს. ასეთი ბავშვები სწრაფად იღლებიან; ხდება მათი ფუნქციური შესაძლებლობების დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ სკოლამდელთა ჯანმრთელობაზე, არამედ მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

უდავოა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების, სწავლისა და აღზრდისთვის ხელსაყრელი პირობები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მჭიდრო ურთიერთქმედება ორ სოციალურ ინსტიტუტს - საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის. ა. ს. მაკარენკოს თვალსაზრისით, სანამ მასწავლებლები მშობლებს ადანაშაულებენ ცუდი აღზრდის გამო, ხოლო მშობლები მასწავლებლებს თავიანთი შვილების წარუმატებლობის მიზეზად თვლიან, აღზრდის შედეგები ვერ იქნება ეფექტური.

თუ მშობლები და მასწავლებლები გააერთიანებენ ძალისხმევას და უზრუნველყოფენ ბავშვის დაცვას, ემოციურ კომფორტს, საინტერესო და შინაარსობრივ ცხოვრებას საბავშვო ბაღში და სახლში, მაშინ თამამად იქნება შესაძლებელი იმის თქმა, რომ ბავშვის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, მის სასარგებლოდ არის. მაგრამ თუ მშობლები შეწყვეტენ აქტიურ მონაწილეობას იმ სირთულეების გადაჭრაში, რომლებსაც მათი შვილები აწყდებიან, მაშინ მომავალში მათ შეიძლება შეექმნათ სამწუხარო შედეგები, რაც გავლენას მოახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე.

სკოლამდელი დაწესებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში. აქ ის იღებს დაწყებით განათლებას, იძენს სხვა ბავშვებთან და უფროსებთან ურთიერთობის და საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარს. თუმცა, რამდენად ეფექტურად აითვისებს ბავშვი ამ უნარებს, დამოკიდებულია ოჯახის დამოკიდებულებაზე სკოლამდელი დაწესებულების მიმართ.

მშობლების ინტერესის მიუხედავად შვილების ჯანმრთელობის შენარჩუნების მიმართ, ისინი ხშირად ვერ ახერხებენ მრავალი საკითხისა და წარმოქმნილი პრობლემის კომპეტენტურად გადაჭრას, მით უფრო, რომ ბევრი ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს საბავშვო ბაღში ატარებს. ამიტომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ოჯახს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მასწავლებლებისა და მშობლების თანამედროვე საქმიანობას ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჰიგიენური და ფიზიკური კულტურის საფუძვლების ჩამოყალიბების მიზნით, არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ სოციალურ მნიშვნელობა აქვს, რადგან ბავშვების ჯანმრთელობა - ქვეყნის მომავალი, მისი ეროვნული უსაფრთხოების საფუძველია.

სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებაში საბავშვო ბაღი წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს, რომელიც კომპლექსურად წარმართავს ამ მიმართულებას და წარმართავს ძალისხმევას ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ოჯახური კულტურის აღზრდისა და მშობლებში ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის. ბავშვების ჯანმრთელობის მაჩვენებლების დადებითი დინამიკის უზრუნველყოფა და მათი ორიენტაცია ჯანსაღი ცხოვრების წესზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უწყვეტობა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ოჯახში, მშობლებისა და მასწავლებლების ერთობლივი მიზანმიმართული ძალისხმევით.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია განათლების ერთიანი მოთხოვნების არსებობა როგორც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ოჯახში.

აღმზრდელებისა და ოჯახების მიზანი უნდა იყოს ერთიანი საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და გამაჯანსაღებელი სივრცის - „საბავშვო ბაღი - ოჯახი“ - შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლებსა და მშობლებს შორის მაქსიმალური ურთიერთქმედების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

– ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და განმტკიცების სფეროში მშობლების ცოდნის დონის ამაღლება სისტემატური პედაგოგიური და სამედიცინო განათლების მეშვეობით;

– აღსაზრდელთა მშობლების ინტერესის ამაღლება შვილებთან ერთად ფიზიკულტურულ და გამაჯანსაღებელ აქტივობებში მონაწილეობისადმი;

– ოჯახში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ოჯახებს შორის ერთობლივი მუშაობის პრინციპები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ერთიანობა - გულისხმობს აღმზრდელისა და მშობლების ორიენტაციას ჯანმრთელი ბავშვის აღზრდაზე: მშობლები იცნობენ ბავშვის ფიზიკური განვითარების მიზნით საბავშვო ბაღის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, მათ შინაარსს, მეთოდებსა და ტექნიკას, ხოლო მასწავლებელი იყენებს ოჯახის საუკეთესო გამოცდილებას ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობის მხრივ.

2. მუშაობის სისტემატურობა და თანმიმდევრულობა - აისახება გრძელვადიან დაგეგმარებაში მთელი წლის განმავლობაში და მოცემულ ჯგუფში ბავშვის ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ბავშვისა და თითოეული ოჯახის მიმართ - ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების დონის, მშობლების ინფორმირებულობის ხარისხის გათვალისწინებით.

4. მასწავლებელსა და მშობელს შორის ურთიერთნდობა და ურთიერთდახმარება - გულისხმობს არა მხოლოდ პოზიტიურ კრიტიკას, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებას ოჯახში, ხოლო მშობლებისა - ბაღში.

მოსწავლეთა ოჯახებთან წარმატებული ურთიერთობისთვის, სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლები ჰარმონიულად უთავსებენ ერთმანეთს სხვადასხვა ტრადიციულ (ინდივიდუალური საუბრები, კითხვარები, მშობელთა კრებები, ზეპირი კონსულტაციები და სხვ.) და ინოვაციურ ფორმებს, რომლებიც გულისხმობენ მშობლების აქტიურ პოზიციას, პარტნიორობას პედაგოგებთან, ინიციატიურობას თანამშრომლობის პროცესში, მიღებული ცოდნის გამოყენებას ოჯახურ გარემოში.

მასწავლებლებისა და მშობლების ინდივიდუალური მუშაობის ინოვაციურ ფორმებს შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგალითად, აქცია „ჩვენი ოჯახის ჯანსაღი ცხოვრების წესი“ (საოჯახო პლაკატების მოფიქრება და დამზადება თემაზე „ბედნიერი დასვენების დღე ჩვენს ოჯახში“), „ჯანმრთელი ოჯახის საიდუმლოებები“ (ჯანსაღი კერძების მომზადება ოჯახური რეცეპტების მიხედვით). მშობლებთან მუშაობის კოლექტიურ ფორმებად შეიძლება განხილულ იქნას: ღია კარის დღეები (მშობლებს შეუძლიათ დაესწრონ ნებისმიერ გაკვეთილს, მიიღონ მონაწილეობა იმ დღეს სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაში). ზოგიერთ ბაღში წარმატებით ბრუნდება და ტრადიციად იქცევა შაბათ-კვირის ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და ოჯახის ერთიანობა ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების საკითხებში მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი აღმზრდელობითი მუშაობის მიზნები და ამოცანები კარგად ესმით არა მხოლოდ აღმზრდელებს, პედაგოგებს, არამედ მშობლებსაც; როდესაც ოჯახი იცნობს საბავშვო ბაღში ფიზიკური აღზრდისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითად შინაარსს, მეთოდებსა და

ტექნიკას. ხოლო მასწავლებლები იყენებენ ჯანსაღი ცხოვრების წესის საუკეთესო ოჯახურ გამოცდილებას.

### ლიტერატურა:

1. Маркова Т.А., Детский сад и семья / под ред.– М.: Просвещение, 1986.
2. Рунова М.А. Двигательная активность ребенка в детском саду: Пособие для педагогов дошкольных учреждений. – М.: Мозайка-Синтез, 2000.
3. Радионова Т. П. Здоровьесберегающие технологии в ДОУ: методич. пособие. – М, ТЦ Сфера, 2007. <https://infourok.ru/zdorovesberegayushie-tehnologii-v-dou-5187517.html>
4. Халетова С.С. и др. Основы здорового образа жизни. – Йошкар-Ола, 1997.
5. Вавилова Е.Н. Развитие основных движений у детей 3-7 лет. Система работы. – М., 2007.
6. Соловьева Н.И. Чаленко И.А. Здоровый образ жизни. Сценарии спортивно-театрализованных праздников. – М.: «Школьная Пресса», 2008.
7. როუიანი თან. ჯანსაღი ცხოვრების წესი საბავშვო ბაღში: აღზრდის მეთოდის აღწერა, მიზანი, შედეგი. <https://minikar.ru/ka/health/zozh-v-detskom-sadu-opisanie-metoda-vospitaniya-cel-rezultat-proekt-my-za/>

**Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani**

Akaki Tsereteli State university  
Kutaisi, Georgia

[Nino.orjonikidze@atsu.edu.ge](mailto:Nino.orjonikidze@atsu.edu.ge) [maia.akhvlediani@atsu.edu.ge](mailto:maia.akhvlediani@atsu.edu.ge)

**Lali Abdaladze**

Zugdidi, Shota Meskhia State teaching University  
Zugdidi, Georgia

[abdaladzelali@gmail.com](mailto:abdaladzelali@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.37>

## **Joint activity of kindergarten and family in order to form a healthy lifestyle in preschoolers**

### Abstract

Health culture is an important challenge of modern times. Preschool age is crucial in forming the foundation of physical and mental health. Scientific studies show that the trend of children's health deterioration has become sustainable in recent years. In children with poor health, the level of anxious expectation of failure increases, which in turn leads to antisocial forms of behavior. Favorable results can be achieved only with the mutual agreement of two social institutions - kindergarten and family, on the basis of which health is maintained and strengthened, healthy lifestyle is formed, and the foundations of hygienic and physical culture are formed.

It is very important to have uniform requirements for education. Unity, systematicity and consistency of parents and educators, individual approach and mutual trust between teacher and parent. And the result is achieved when the family knows the basic content and techniques of working in kindergarten, and teachers use the best family experience of a healthy lifestyle.

**Keywords:** health, mutual agreement, consistency, support, experience

ირმა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Irma.rusadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.38>

## ადამიანის ფაქტორი ენის ფრაზეოლოგიაში

**საკვანძო სიტყვები:** ენა და კულტურა, ლინგვოკულტუროლოგია, ფრაზეოლოგია, ადამიანის ფაქტორი, ენობრივი ერთეულები, ეთნოლინგვისტიკა

ჩვენს ყოველდღიურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ კულტურული რეალიების გათვალისწინებას, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ერის კულტურის ხალხისათვის, ვინაიდან ენა, გარდა იმისა, რომ ის არის თავისი პირდაპირი ფუნქციის განმხორციელებელი, ურთიერთობის საშუალება და აზროვნების იარაღი, ამავე დროს არის ადამიანისა და ერის შინაგანი სულიერი განწყობის შინაგანი სამყაროს გამოხატვის საშუალება, ერის მთავარი კულტურული მონაპოვარი, ანუ ერის კულტურის პროდუქტი. იგი ამავედროულად არის ერთიანი სამყაროს სხვადასხვა დონეზე აღქმისა და გადმოცემის ინსტრუმენტი.

გამომდინარე იქედან, რომ ადამიანის კულტურის განვითარება შესაძლებელი ხდება კომუნიკაციის წყალობით, ხოლო კომუნიკაცია – კი ენის წყალობით, საფუძველს გვაძლევს თამამად ვისაუბროთ ენისა და კულტურის იმ მჭიდრო ურთიერთკავშირზე, რომლის საშუალებითაც გარე სამყარო სხვადასხვაგვარად აღიქმევა სხვადასხვა კულტურაში. ენა არის ერის სულიერი მდგომარეობის ამსახველი და საზოგადოებრივი მოვლენა, რომლის ფორმების პროცესი ერის კულტურის დრმა ფესვებს უკავშირდება.

ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ადამიანი, რომელიც თავისი გასაოცარი გამომხატველობითი ძალისა და უნარის მეშვეობით შესაძლებელს ხდის ენაში გამოხატოს ის შინაგანი კულტურა, რომელიც ინდივიდუალურ ზეგავლენას ახდენს ენის ხასიათსა და თვისებებზე.

ენაში ასახვას პოულობს ადამიანის შემოქმედებითი (შემეცნებითი) მოღვაწეობის მთელი მრავალფეროვნება, რომლის შედეგების მკვიდრდება ენაში; ენაში ასახება იმ პირობების უსასრულო მრავალფეროვნება, რომლებშიც ხდება ადამიანის მიერ ცნობების, ცოდნის დაგროვება სამყაროს შესახებ - ხალხის ბუნებრივი თავისებურებები, მისი საზოგადოებრივი მოწყობა, ისტორიული ბედი, ცხოვრებისეული პრაქტიკა (ე. კოსერიუ) - ყველაფერი, რაც ტრანსმუტაციური სახით, სიმბოლური ინტერპრეტაციით წარმოადგენს ნაციონალური ლინგვოკულტურის საგანს. მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეულები: „სისხლს აიღებს“, „სისხლის ანგარიშს გაასწორებს“, „სისხლი მართებს“ წარმოიქმნა იმ უძველესი ტრადიციის საფუძველზე, რომელიც არსებობდა საქართველოს ერთ-ერთ მხარეში - სვანეთში და გულისხმობდა შურისძიების მიზნით მტრის გვარის მამაკაცის მოკვლას.

ენის ფრაზეოლოგიური ფონდი წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს ხალხის კულტურისა და მენტალიტეტის შესახებ, ფრაზეოლოგიური ერთეულებში

დაფიქსირებულია ხალხის წარმოდგენები მითებზე, წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე, ჩვევებზე, მორალზე, ქცევაზე და ა.შ. ისინი ყოველთვის ასახავენ ხალხის შეხედულებებს, საზოგადოებრივ წყობას, ეპოქის იდეოლოგიას.

ადამიანის მიერ სამყაროს შეცნობა დინამიურია; სამყაროს კონცეპტუალური სურათი იცვლება, ხოლო სამყაროს ენობრივი სურათი უფრო სტაბილურია, იგი დიდხანს ინარჩუნებს სამყაროს შემეცნების სხვადასხვა ეტაპზე არსებულ სახეებს, წარმოდგენებს. ამიტომ ხშირად ადამიანი თავის მეტყველებაში იყენებს ისეთ ერთეულებს, რომელთა წარმოშობა მის წინაპართა განსხვავებულ მსოფლმხედველობას, მათ მიერ სამყაროს განსხვავებულ ხედვას ეფუძნებოდა. მაგალითად, ხშირად გამოიყენება ფრაზეოლოგიზმი „გულზე ხელი დაიდუ (და ისე თქვი)“, რომლის მნიშვნელობაც განისაზღვრება როგორც „გულწრფელად, სიმართლის თქმა“. ცხადია, მოსაუბრე ამ ფრაზეოლოგიზმის წარმოთქმისას არ აცნობიერებს, რომ ეს ენობრივი ერთეული სიმბოლურად უკავშირდება ჟესტს, რომელიც ძველად გამოიყენებოდა როგორც ფიცის, გულწრფელობაში დარწმუნების ნიშანი.

სამყაროს ენობრივი სურათი აყალიბებს ადამიანის სამყაროსადმი (ბუნების, ცხოველებისადმი, საკუთარი თავის, როგორც სამყაროს ელემენტისადმი) დამოკიდებულების ტიპს. იგი განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, მისი ქცევის ნორმებს. ყველა ენა ასახავს სამყაროს აღქმისა და ორგანიზების („კონცეპტუალიზაციის“) გარკვეულ ხერხს. ენაში გადმოცემული მნიშვნელობები გაერთიანებულია შეხედულებათა ერთიან სისტემაში, თავისებურ კოლექტიურ ფილოსოფიაში, რომელსაც ენის ყველა მატარებელი იზიარებს.

კულტურას ქმნის ადამიანი, პიროვნება; სწორედ პიროვნებაში წამოიწევს წინა პლანზე ადამიანის სოციალური ბუნება, ხოლო ადამიანი წარმოადგენს სოციოკულტურული ცხოვრების სუბიექტს.

პიროვნება უნდა იქნას განხილული ხალხის, ეთნოსის კულტურული ტრადიციის პერსპექტივაში, რადგან ადამიანში ადამიანის დაბადებისათვის საჭიროა კულტურულ-ანთროპოლოგიური პროტოტიპი, რომლის ჩამოყალიბებაც კულტურის ფარგლებში ხდება.

ადამიანი ყოველთვის ეყრდნობა იმას, რაც მას რეალურად გააჩნია. სიღრმისეულ კვლევას, შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნებისმიერი იდია, რომლის აღმოცენება ან განხორციელება ადამიანების მისწრაფებებს ახალ ასპარეზს უჩვენებს. თავისი განვითარების უკვე ადრეულ ხანებში ადამიანი ტოვებს მიმდინარე მომენტის საზღვრებს და არ კმაყოფილდება მხოლოდ მგრძნობიარე ტკბობით. შულიერი ძალის გასაოცარი მოქმედება არ შემოიფარგლება აზრის არეალით თუ რაიმე წარმოსახვით. ის დიდ ზეგავლენას ახდენს ხასიათის ფორმირებაზე. დამიანური სულის და ხასიათის სწრაფად მზარდ სიახლოვეს, რაც ზოგად მნიშვნელოვანი ქმედითობის წყარო არის, შეუძლია აამაღლოს ადამიანთა მოდგმა მის უმაღლეს ღირსებამდე და სწორედ ენა, რომლითაც ადამიანები უზიარებენ ერთმანეთს გარეგან ჩანაფიქრებს თუ შინაგან გულისტკივილს აერთიანებს სულ სხვადასხვა ინდივიდუალობებს და მჭიდრო ცხოველ კავშირში დგას ხასიათთან. სწორედ ენას, მთელი თავისი გაუგებარი ჰარმონიით ძალუმს ხორცი შეასხას სულიერი მოქმედების იერსახეს.

ენა ადამიანის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს აჩვენებს. ყოველი ენის წარმატება მისი პირველადი შინაგანი ჩარჩოს მონაცემებიდან არის შესაძლებელი. ცივილიზაცია ხალხური წიაღიდან შეიძლება აღმოცენდეს, რომელიც მის სულიერ აღმავლობაზე მოწმობს და რომელიც თავისთავად ამოუხსნელია.

სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათის კვლევა ძალზედ მნიშვნელოვანია. რადგან იგი წარმოადგენს ეთნოსის მიერ სამყაროს ხედვის კომპონენტს, ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობაში ხდება ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ფაქტების ფიქსირება, ამა თუ იმ სოციუმის მორალური, ეთნიკური და ესთეტიკური ორიენტაციის ასახვა. სხვადასხვა ტიპის ფრაზეოლოგიზმების, გააჩნია:

„მრავალგანზომილებიანი“ სტრუქტურა, რომელიც ცნებითი საფუძვლის გარდა, შეიცავს სოციო-ფისქოკულტურულ ნაწილს, რომელიც მოიაზრება და განიცდება ენის მატარებლის მიერ და რომელიც მოიცავს ემოციებს, შეფასებებს, ნაციონალურ სახეებსა და კონოტაციებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კულტურისათვის. (Маглова В.Л., 2004, 236 с).

ახალი პარადიგმის ფარგლებში, რომელიც საშუალებას იძლევა ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზისათვის, ეს უკანასკნელნი განიხილება როგორც ენობრივი ინფორმატიული ნიშნები, რომლებიც წარმოაჩენენ ხალხის კულტურის თავისებურებებს, როგორც მენტალური ლექსიკონის ერთეულები, რომლებიც ადამიანთა ერთობის მეხსიერებაში ინახება. ენის სწორედ ფრაზეოლოგიური სუბდონე ასახავს ყველაზე ექსპლიციტურად ეთნოსის შემეცნებითი და ემოციური გამოცდილების სპეციფიკას, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ნიშნებს.

ფრაზეოლოგია ლექსიკოლოგიის ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს იგი შეისწავლის სიტყვათა ჯგუფებს, რომლებიც სტრუქტურის სტაბილურობითა და გადატანითი მნიშვნელობით ხასიათდებიან. თანამედროვე ენის ფრაზეოლოგია მკვლევარების მიერ მთელი რიგი პრინციპების მიხედვით არის სისტემატიზირებული.

თანამედროვე ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება, აგრეთვე ამ ენობრივ ერთეულებში აირეკლება ერის ეროვნული და სოციალური თავისებურებანი და ვლინდება ერის პოეტური სული. ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას.

ფრაზეოლოგიზმები რთულ ენობრივ ერთეულებს წამოადგენს. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ისინი წარმოადგენენ მყარ გამოთქმებს.

ენის გამოსახველ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრაზეოლოგიურ ერთეულებს. ფრაზეოლოგიზმებში შემჭიდროებული სახით გადმოიცემა გრძნობებისა და აზრების რთული კომპლექსი. ამიტომ მათთვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ორგანიზაცია ყველა დონეზე. ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც პირველი მწერლის, პუბლიცისტის, პოლიტიკოსის მიერ წარმოიქმნება, ან ადამიანთა ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფის პირობებში იქმნება, როგორც გარესამყაროსათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა, მიმართებათა გადმოცემის შედეგი, იძენენ ფრაზეოლოგიურობის სტატუსს, თუკი დაცულია ფრაზეოლოგიურ ფონდში მათი ჩართვის აუცილებელი პირობა - ისინი ენის მატარებლებისათვის ფართოდ გამოყენებად, ხატოვან ერთეულად იცქევიან. კომუნიკაციურ აქტში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისათვის ადრესატის და ადრესატიც უნდა ფლობდეს კულტურულ და ენობრივ კოდს, რაც იძლევა ფრაზეოლოგიური ერთეულის ამოცნობის, შემდეგ კი მისი მნიშვნელობის გაგების, სწორად გაშიფრვისა და ინტერპრეტაციის საშუალებას.

თანამედროვე მეცნიერების ინტერესის საგანს წარმოადგენს უკვე არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, ანუ კონკრეტული ადამიანი, ცნობიერების, ენის მატარებელი, რომელსაც გააჩნია რთული შინაგანი სამყარო და გარკვეული დამოკიდებულება ბედისადმი, გარე სამყაროსადმი, საკუთარი თავისადმი, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია სამყაროში, იგი გამუდმებით შედის დიალოგში სამყაროსთან, საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან. ადამიანი - სოციალური არსებაა, მასში „ადამიანური“ წარმოიქმნება მისი ცხოვრების შედეგად საზოგადოების პირობებში, კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის პირობებში. ადამიანის ცხოვრება მთელი მისი თავისებურებებით, იმით არის განპირობებული, რომ იგი საზოგადოების წევრია, ხოლო ეს თავისებურებები სხვადასხვაგვარი ასპექტებით აისახება, ამიტომ სწორედ მათი ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს, ამათუ იმ ერის კულტურას. „კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი“. (თ.გამყრელიძე. 2003. გვ.462)



ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას იკვლევს ეთნოლინგვისტიკა. დარგი, რომელიც კულტურის, ხალხის ფსიქოლოგიის, მითოლოგიის კვლევისას იყენებს ლინგვისტურ მეთოდებს. ეთნოლინგვისტიკის ინტერესთა სფეროს განეკუთვნება აგრეთვე კავშირები, რომლებიც ენის ფუნქციონირებისა და ევოლუციის პროცესში მყარდება ენობრივ, ეთნოკულტურულ და ეთნოფსიქოლოგიურ ფაქტორებს შორის.

ადამიანის ფაქტორი ენის ფრაზეოლოგიაში არის მრავალმხრივი, რომელიც მოიცავს ადამიანის შემეცნების, კულტურისა და კომუნიკაციის რთულ ურთიერთკავშირს. მიუხედავად იმისა, რომ ენა თავად არის ადამიანის შემეცნების პროდუქტი, ფრაზეოლოგია უფრო ღრმად იკვლევს იმას, თუ როგორ იყენებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ ადამიანები ამ ენობრივ ერთეულებს სხვადასხვა კონტექსტში.

ენის ფრაზეოლოგიაში დიდ როლს ასრულებს ადამიანის ფაქტორი; ფრაზეოლოგიური ერთეულების უმეტესობა სემანტიკურად უკავშირდება ადამიანს, მისი მოღვაწეობს სხვადასხვა სფეროს, გარდა ამისა, ადამიანი ცდილობს „ადამიანური“ ნიშან-თვისებები მიანიჭოს გარე სამყაროს ობიექტებს, მათ შორის, უსულოსაც. ჯერ კიდევ შ. ბალი ამტკიცებდა, რომ ადამიანის გონების არასრულყოფილება იმაშიც ვლინდება, რომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს „გაასულიეროს“ ყველაფერი, რაც მის ირგლივა. მას არ ძალუძს წარმოიდგინოს, რომ ბუნება მკვდარი და უსულოა; მისი წარმოსახვა მუდამ მიაწერს ხოლმე გარე სამყაროს საგნებს იმ თვისებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მისი პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი ვ. გ. გაკს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს შ. ბალის გამოხატვაში: „რადგან ადამიანის ყურადღების ცენტრში თვითონ ის იმყოფება, აქედან მომდინარეობს მისი მუდმივი სწრაფვა, აღწეროს გარე სამყაროს საკუთარი თავის მსგავსად. ენობრივი ანთროპოცენტრიზმი პირველყოფილი აზროვნების გადმონაშთი კი არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, არამედ ენაში ნომინაციის საშუალებათა განვითარების ზოგადი კანონია“. ენობრივი ანთროპომორფიზმი ჩვეულებრივ, მოიაზრება, როგორც ადამიანური ნიშან-თვისებების მინიჭება ბუნების, საგნებისა და მოვლენებისათვის, ციური სხეულების, ცხოველების და მითოლოგიური არსებობისათვის.

ანთროპოცენტრიზმი როგორც კვლევის პრიციპი, იმაში მდგომარეობს, რომ სამეცნიერო კვლევის ობიექტები პირველ რიგში შეისწავლება იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი ადამიანისათვის, როგორია მათი ფუნქციები ადამიანის პიროვნების განვითარებისა და სრულყოფისათვის. ადამიანი იქცევა ათვლის წერტილად ამა თუ იმ მოვლენათა ანალიზის დროს, იგი ჩართულია ამ ანალიზში, განსაზღვრავს მის პერსპექტივებსა და საბოლოო მიზნებს. (Курьякова Е.С., 1995).

ე.ს. კურიაკოვას სამართლიანად მიაჩნია, რომ ლინგვისტიკას შეუძლია ახსნას თავისი საკვლევი ობიექტი - ენა - მაგრამ არა მხოლოდ „საკუთარ თავში და საკუთარი თავისთვის“, არამედ ადამიანისა და იმ სამყაროს უფრო ღრმა ახსნა-გაგებისათვის, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს (Курьякова Е.С. 1995). ამიტომ ენა გამოდის ხან ასახსნელი ობიექტის, ხან კი ამხსნელი სუბიექტის როლში ისეთ ფენომენებთან მიმართებაში, როგორიცაა ცნობიერება, აზროვნება, საზოგადოება, კულტურა და სხვ.

ენა - ეს არის ის, რაც კულტურაში ადამიანის არსებობის ზედაპირზე იმყოფება, ამიტომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების, ურთიერთმოქმედების საკითხი ენათმეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ამ პრობლემის გადაწყვეტის პირველი მცდელობა ეკუთვნის ვ. ჰუმბოლდტს, რომლის კონცეფციის ძირითადი დებულებები. შეიძლება წარმოადგენილ იქნას შემდეგი სახით: 1) მატერიალური და სულიერი კულტურა აისახება ენაში; 2) ნებისმიერი კულტურა არის ეროვნული, მისი ეროვნული ხასიათი გამოიხატება ენაში სამყაროს განსაკუთრებული ხედვის მეშვეობით; ენისათვის დამახასიათებელია თითოეული ხალხისათვის სპეციფიკური შინაგანი ფორმა; 3) ენის შინაგანი ფორმა წარმოადგენს ხალხის სულის, მისი კულტურის გამოხატულებას; 4) ენა წარმოადგენს შუალედურ რგოლს ადამიანსა და მის გარშემო არსებულ სამყაროს შორის. ვ.

ჰუმბოლდტის კონცეფციამ თავისებური ასახვა ჰპოვა ა.ა. პო-ტეზნიას, შ. ბალის, ჟ. ვანდრიესის, ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს, რ. ო. იაკობსონისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ენა და სინამდვილე სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსნი არიან, ჯერ კიდევ ლ. ელმსლევის მიერ იქნა გამოთქმული; იგი აღნიშნავდა, რომ ენის სტრუქტურა შეიძლება გაიგივდეს სინამდვილის სტრუქტურასთან, ან ადებულ იქნას როგორც როგორც მისი მეტ-ნაკლებად დეფორმირებული ასახვა (Ельмеслев Л. 1992).

XIX საუკუნის გამოჩენილ მეცნიერთა მიერ (ვ. ჰუმბოლდტი, ა.ა. პოტეზნია და სხვ.) ენა მოიაზრებოდა როგორც სულიერი ძალა, როგორც გარემო, რომლის გარეშეც ადამიანი არ არსებობს; ადამიანი ცხოვრობს ენის გარემოცვაში, ენობრივ გარემოში. როგორც ვ. ფონ ჰუმბოლდტი წერდა, ენა არის სამყარო, რომელიც არსებობს გარე მოვლენათა სამყაროსა და ადამიანის შინაგან სამყაროს შორის (Гумбольдт В. 1984).

აქედან გამომდინარე, ენა არ არსებობს ჩვენს გარეშე, როგორც ობიექტური მოცემულობა, იგი თვითონ ჩვენში, ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მეხსიერებაშია;

ვ.ა. მასლოვა წერს, რომ ადამიანი მოიაზრება როგორც გარკვეული ეროვნების, მენტალობისა და ენის მატარებელი, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ მოღვაწეობაში ეროვნული ერთობის სხვა წარმომადგენლებთან (Мослова В.С. 1991).

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. ჰუმბოლდტი ენას ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. ჰუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა. იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება (გამყრელიძე 2003, 465)

ამრიგად, ენა წარმოადგენს კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის იარაღს, იგი არის კულტურის სახე; ენა მკაფიოდ გამოხატავს ნაციონალური მენტალობის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს და დღეს, თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ ვითარებაში, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოება მიდის გლობალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანი და მისი ფაქტორი ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიაში და ამავე დროს წარმოგვიდგენს ცალკეული კულტურის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას. ენის ფრაზეოლოგია განხილულია კულტურასთან, ადამიანის აზროვნებასთან, ფსიქიკასთან და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას კი უპირველესად, განსაზღვრავს ადამიანი თავისი მენტალობით, ემოციებით. ადამიანის ფაქტორი ენის ფრაზეოლოგიაში დინამიურია და მუდმივად ვითარდება. დროთა განმავლობაში ჩნდება ახალი ფრაზეები სოციალური, ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებების საპასუხოდ, რაც ასახავს ენის ადაპტირებას და კრეატიულობას.

#### ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე ზ, შადური, ი., შენგელაია, ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
2. ლებანიძე გ. *კულტუროლოგიის საფუძვლები*. თბილისი. 2004
3. Белл Г.П. Социоллингвистика (Цели, Методы и Проблемы) Москва, 1980
4. Гумбольдт В. Избранные труды по языкознанию, М., 1984).
5. Ельмеслев Л. *Общее языкознание*. М., 1992
6. Кубрякова Е.С. Эволюция лингвистических идей во второй половине 20 века//Язык и наука конца 20 века. М., 1995
7. Маслова В.Л., *Когнитивная лингвистика: Учеб. пособие*, минск, 2004, 236 с).
8. Мослова В.С. *Связь мифа и языка//Фразеология в контексте культуры*. М., 1991).

9. Cowie, A. P. *Phraseology*. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. R. Asher, Oxford: Pergamon Press, 1994.
10. Green, G. M. *How to get people to do things with words*. New York: Academic Press, 1975.

**Irma Rusadze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[Irma.rusadze@atsu.edu.ge](mailto:Irma.rusadze@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.38>

## **The Human Factor in Language Phraseology**

### **Abstract**

In this paper special emphasis is on the human factor in language phraseology where the subject of interest is not just a person, but a person that is, a concrete person, a bearer of consciousness who has a complex inner world and a certain attitude to fate, to the outside world, to himself. He has a special place in the world.

The human factor plays a big role in the phraseology of the language. Phraseologisms arise spontaneously, independently of each other, in different periods and in different languages. Their common basis is the common physical and psychological characteristics of a person, the common conditions of development.

The human factor in language phraseology is dynamic and constantly evolving. New phrases emerge over time in response to social, technological and cultural changes, reflecting the adaptability and creativity of the language.

**Key Words:** Language and Culture, Lingoculturology, Phraseology, The Human Factor, Language Units, Ethnolinguistics,

ინგა სანიკიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

Inga.sanikidze@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.39>

## რუსთველური „სისხლი“ და რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“

**საკვანძო სიტყვები:** შოთა რუსთაველი, „პოემა ვეფხისტყაოსანი“, ლექსიკური ერთეული „სისხლი“

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგანაა შენიშნული, რომ XII საუკუნის პოლიტიკურ-სოციალური რეალობის ასახვა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ ქარგაში არცთუ უმნიშვნელო პლასტს ქმნის. ამასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა, რომელმაც სხვა მეცნიერთა მსგავსად, პოემაში ისტორიულ მოვლენათა ამოკითხვა სცადა, წერდა: „როგორც ირკვევა, ვეფხისტყაოსანში გაირჩევა ისტორიული სინამდვილის ანარეკლი. ვიმეორებთ, ეს სრულია-დაც არ ნიშნავს იმას, რომ ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვქონდეს ისტორიული ამბების უბრალო ქრონიკა“ [ინგოროყვა 1963: 211]. არისტოტელეს „დიდი ეთიკისა“ არ იყოს, „მშვენიერება ზომიერებაშია“ და „მოაზრება არაა იგივე, რაც შეგრძნება. მაგალითად, მხედველობით არ შეიძლება ხედვის გარდა სხვა რამის კეთება. სმენითაც, სმენის გარდა, სხვა არა შეიძლება რა... ამიტომ გადაწყვეტილების მიღება, აზროვნებაში ხდება“ [არისტოტელე 1994: 28]. გამომდინარე ნათქვამიდან, შევეცდებით, რუსთველის აზროვნების ფენებში არც ჩვენ გამოვიძიოთ მხოლოდ რეალისტური ფაქტები, რადგან იკვეთება, რომ კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნის გონი გამოგნებელ მხატვრულ ნასკვებს ქმნის. უპირველესად ის, მსოფლიო გენია, მიუყვება ანტიკურ სწავლებას. სასწორი, მასზე დამაგრებული პინებიცა და კილოგრამობა-გრამობის მზომველი ერთეულებიც საკუთარ მფლობელობაში აქვს და ისიც წონის, წონის და ქარგავს.

და მართლაც, ეპოსში ნატურალისტურ კოპირებას რომ არ უნდა ვეძიებდეთ, უდავოა. კვლევის ეს მიმართულება უცილობლად შეგვიყვანს ჩიხში, მაგრამ არც ის ივარგებს, ეპოქასა და მასში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს თვალი არ გავუსწოროთ. საფუძველშივე ვიტყვით იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალური ფიგურის, ტარიელის, წინარე სახედ დემეტრე [დემნა] უფლისწულს მოვიაზრებთ, ამგვარი მიდგომა კი ნამდვილად არ არის უცხო ქართული სამეცნიერო ლიტერატურისათვის.

ახლა მცირეოდენად გადავავლოთ თვალი ქართულ საისტორიო თხზულებებს. „ისტო-რიანი და აზმანის“ წყაროზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერს: დავითის სიკვდილის შემდგომ „შემონაზონებულს დემეტრეს პირი კვლავ სამეფო ცხოვრებისაკენ უბრუნებია და თავის თანამოსაყდრედ სახელმწიფო ტახტზე თავისი საყვარელი შვილი გიორგი III დაუსვამს. ამის შემდეგ დემეტრეს დიდხანს ადარ უცოცხლია“ [ჯავახიშვილი 1983: 226]. წყაროში არ ჩანს, რამ მოუსწრაფა დენი დემეტრეს – სიბერემ, ჯანმრთელობის გაუარესებამ თუ სინდისის ქენ-ჯნამ, რომელიც ყველაზე უღვთო კაცშიც კი გაჩნდებოდა გარიყული შვილისა და ქვეყნის პირდაპირი მემკვიდრის სრულიად გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდგომ. პირველი ორი რამ – სიბერე ან ჯანმრთელობის

გაუარესება – რომ ყოფილიყო მისი სიკვდილის მიზეზი, ვფიქრობთ, რომ „ისტორიანი და აზმანის“ მიკერძოებული ავტორი ამას უცილობლად გვეტყოდა და კიდევ ერთ გამართლებას მოუძებნიდა უკანონო და, ჩვენი აზრით, უსინდისო ქცევას. ცხადია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ ვიცით. რასაც უპირობოდ ვხვდებით, ეს მომხრეობა და ხოტბა-შესხმაა გიორგი III-ის დინასტიური ხაზისა, მისივე შთამომავლობის ერთადერთობის გამართლება და მეტაფორული, თუმცა მაინც მკრეხელური, მცდელობა მეფე თამარის სამეხის დოგმატთან გატოლებისა – „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამეხისაგან ოთხად თანააღზავებულისა, რომელი ეთეროან იქმნა კელმწიფეთა შორის“ [„ისტორიანი და აზმანი“ 1959: 3].

შენიშნულია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში არსად არ არის თქმული, რომ თამარი წარმოადგენს ამა თუ იმ (გნებავთ, მეოთხე) ჰიპოსტასს ანუ ტერმინი ჰიპოსტასი და მისი ქართული ეკვივალენტები (პირი, გვამოვნება) ხსენებულ ძეგლში არ არის“ [ჭელიძე 2011]. მეცნიერის აზრით, საქმე მეტაფორულ აზროვნებასთან გვაქვს. ასე რომ, „ზემორე პოემებიც (იგულისხმება „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ - ი.ს.) ისევე, როგორც „ისტორიანი და აზმანი“, თამარის შესახებ მხოლოდ მეტაფორულად გვესაუბრებიან და არანაირად – პირდაპირი გაგებით“ [იქვე]. ეჭვმიუტანელი ისტორიული ფაქტია ის, რომ „საქართველოში არასდროს დასმულა საკითხი თამარის მეოთხე ჰიპოსტასობისა ან თუ მისი სულიწმინდობისა და ღვთისმშობლობის შესახებ“, როგორც ამას თავისი ნაშრომის ბოლოს ე. ჭელიძე დაასკვნის. არც ის არის სადავო, რომ ავტორი მეტაფორულად გვესაუბრება, მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ ეს მეტაფორა მოჩანს გადაჭარბებულ-მიუღებელი. „სამეხისაგან ოთხად თანააღზავებული“ სხვას არაფერს შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა მათთან თანამდგომსა და აღზევებულს, არა ჰიპოსტასს, მაგრამ სამეხასთან მდგომს (ყურადღება უნდა მიექცეს ზმნიზედური წარმოშობის თანა'სა და ქვემოდან ზემოთა მიმართულების გამომხატველ აღ-ზმნისწინს, რომლებიც ერთ სიტყვაში მოიყრის თავს [თანააღზავებულისა]. თამარის მეოთხე ჰიპოსტასობის შესახებ საყურადღებო მსჯელობაა მოცემული ლ. წერეთლის ნაშრომშიც, თუმცა ავტორი მემატაიანეთა ტექსტების სხვა კონტექსტებს შეეხება და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყაროებში დადასტურებული „სამი ყრმის“ გააზრებას. საკითხი შუასაუკუნეობრივი საღვთისმეტყველო აზროვნებისა და ბიბლიურ-ევანგელისტური სახისმეტყველების რაკურსშია განხილული, დასკვნა კი ასეთია: „გამოვრიცხავთ თამარის „ცხოვრებაში“ მემატაიანის მიერ მეფის „სამეხის მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოცხადების მცდელობას“ [წერეთელი 2006: 338].

მსჯელობის ამ ნაწილში ჩვენი მთავარი მიზანი „ისტორიანი და აზმანის“ უცნობი ავტორის ტენდენციურობის დანახვაა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ შეფასებისას არ დაგვირღვევია ობიექტურობის საზღვრები, როცა უცნობ მემატაიანეს გიორგი III-ის დინასტიური ხაზისადმი მიკერძოებული ვუწოდეთ, ხოლო მის მიერ წარმოთქმულ მეფის ქებაში მკრეხელური აზრი ამოვიკითხეთ.

თამაზ ჭილაძე სხვა საკითხებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ დამკვეთის ვინაობის გარ-კვევას ცდილობს, რადგან, ჩვენი აზრითაც, ეს გამორჩეულად ააშკარავებს ავტორის მხატვრულ ნაბიჯებს, რომელიც უკვე მარგალიტად ქვეულ პოემაში გამოიყენა. მკვლევარი წერს: „ის უფრო საინტერესოა, თუ ვინ არის პოემის დამკვეთი. მე, პირადად, ის შეხედულება უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, რომლის მიხედვითაც დამკვეთი თამარი კი არ არის, არამედ – თამარის მამა, მეფე გიორგი III“ [ჭილაძე 2014: 61], გიორგი III-ის გარდაცვალების თარიღად კი საისტორიო მეცნიერება ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით 1184 წელს დებს, ხოლო თამარის თანამოსაყდრეობა 1178-1179 წლებითაა დათარიღებული [ჯავახიშვილი 1983: 244]. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „გიორგი მეფეს თავისი ასული, დიდებული თამარი, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე 1178-1179 წ. დაუსვამს“ და იქვე აზუსტებს: „გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად 1184 წ. სდებენ აგრეთვე ვარდანი, სტეფანოზ ორბელიანი და სხვადასხვა ქართული კვანკლოსებიც.

დასასრულ, გიორგი III გარდაცვალებას 1184 წ. ადასტურებს სანაჰინის მონასტრის სომხური წარწერაც [ჯავახიშვილი 1983: 244].

სავარაუდოდ, სწორედ ეს 1179-1184 წლებია დროის ის შუალედი, როცა უკვე სახელმწიფო-ვეტიკული პოეტი „ბრძანების“ შესრულებას შეუდგა. სამეფო სამჭედლოში მრავალგზის დაშვებული „გრდემლი“ რუსთველის თანხმობის საფუძველი შეიქნა და გაუტყეხელი ალმასიც კი „გატეხა“ [„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“: 10, 5]<sup>1</sup>. რაშია საქმე? ნუთუ რუსთველს შინაგანმა ძლიერებამ თუ პრინციპულობამ უღალატა? როგორც ჩანს, მან კარგად მოიფიქრა, რა უნდა უნდა გამოეტანა სააშკარაოზე, როგორი მხატვრული სამოსი მოუხდებოდა მისსავე ნააზრევს და როგორ უნდა შეეყვანა „შეცდომაში“ დამკვეთი, რომლისგანაც საბოლოო-ოდ ფარსისა და ფარისევლობის ხატი გამოაქანდაკა.

ძნელია, ამ გადასახედიდან მეფე თამარის ან გიორგი III-ის დის, რუსუდანის, სინდისად წოდებულ შინაგან ხმებზეც ვისაუბროთ, მაგრამ მაინც ვიტყვით მცირეოდენს – ნუთუ გადამწვარი სამართალი მათში წუხილს საერთოდ არ იწვევდა? რუსუდანმა თამარი გაზარდა, მაგრამ დემნაც ხომ ძმისშვილი იყო, ასაკოვნებას მიწევნილი ობოლი უფლისწული, რომლის სამეფო ტახტის დასაკავებლად გამოთქმულ პრეტენზიას გიორგი III-მ დასაჭურისებით უპა-სუხა და, სტეფანოზ ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარ შეუზრალელობას ასეთი ფორმულირება მისცა: „ნუ იყოფინ, – თქვა, სამკვიდრებელი მისი“ [ორბელიანი 1978: A, 51]. რაც ყველაზე მეტად აძრწუნებდა გიორგის, ის მოიმოქმედა – საბეჭდავი დაადო დემნასა და მის სამეფო მოდგმას, გამრავლების საშუალება გადაუკეტა, ფერფლად აქცია. ასეთ შემთხვევაში სფინქსობა აღარ დაიშვებოდა, მისი ფერფლიდან აღდგენის შანსი ნულის ტოლი იყო.

საისტორიო წყაროები არაფერს ამბობს იმაზეც, თუ რა სამართლებრივი გზა გაიარა დემნასადმი წაყენებულმა ბრალდებამ აჯანყებაში მონაწილეობის გამო და ვინ გამოუტანა მას თვალთა დათხრისა და დასაჭურისების სასჯელი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ [XIV ს.] მიხედვით ირკვევა, რომ ქვეყანაში „სააჯო კარი“ მოქმედებდა, რომელშიც ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, დავით აღმაშენებლის მიერ ცალკე დაწესებულებად ქცეული „სამართალი სამე-უფო“<sup>2</sup> შედიოდა. „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს“ [გარიგება 1965: 81], ხოლო, ივ. ჯავახიშვილისავე განმარტებით, როგორც ჩანს, „ამ „სამეფო სამართლის“ მსაჯულებს ჰქონ-დათ შვიდეულის დანარჩენი დღეები ორშაბათს შემდგომ საქმეებისა და აჯა-საჩივრების განსახილველად“ [ჯავახიშვილი 1984: 341-342]. ვფიქრობთ, რომ სააჯო კარსაც რომ გამოეტანა საბრალდებო დასკვნა დემეტრე უფლისწულისათვის (მკვეთრად მიუღებელი დასაჭურისების სასჯელია), ეს მაინც გიორგი III-ის პიროვნული პოზიციის შედეგად მოხდებოდა. მართალია, შ. მესხია „ისტორიანი და აზმანის“ სხვა (კერძოდ, „ერთნებობისა და თანადგომის“) საკითხზე მსჯელობს, მაგრამ საყურადღებოდ ამბობს, რომ სწორედ გიორგი III-ისთვის იყო დამახასია-თებელი სამეფო ხელისუფლების „ერთპიროვნულად, თვითმპყრობელური მეთოდებით“ მართვა [მესხია 1979: 66].

და რა უნდა ვიფიქროთ – ის, რომ დავით აღმაშენებლის პირდაპირი და თან მამრობითი ხაზის იავარქმნის თუნდაც მორალური მხარე რუსუდანს არ აწუხებდა?! მამის საქციელზე ერთხელაც არ მიუთითებია უკვე მოწიფული თამარისათვის. მმაც [დავით V-ც] ხომ, სავარაუ-დოდ, გიორგიმ მოუკლა... ნუთუ, „ზე-პირ“ სიცილი და სადღაც, გულის სიღრმეში, მიკუჭული, საიდუმლოდ შენახული ვაება [„მე თუ ზე-პირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმალ ვა“: 84, 405] არასდროს დასტყობია მას, როგორც მეფის გადაწყვეტილებების შემსწრესა და თვითმხილ-ველს, სხვაგვარად ხომ ისიც დაუნდობლად

<sup>1</sup> სტრიქონები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ყოველ ჯერზე დამოწმებულია 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან, მითითებულია გვერდი და სტროფის ნომერი.

გაიწირობდა<sup>1</sup>. ლოგიკურია, რომ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ შიში დიდი იქნებოდა. არისტოტელესი არ იყოს: „კაცი უშიშარი მაშინ კი არ არის, როცა საერთოდ არა აქვს შიში“-ო [არისტოტელე 1994: 31] და, ალბათ, დავარ-რუსუდანსაც ეშინოდა, მეტადრე მაშინ, როცა ხედავდა, რომ ეს ძლიერება სისასტიკეზე იყო აღმოცენებული, და, როცა მართლმსაჯულება არა თუ სთვლემდა, არამედ საღათას ძილით ეძინა. სავარაუდოდ, თამარსაც ეშინოდა მამისა (ნესტანის სიფრთხილესა და შიშშეპარულ მოქმედებებზე სხვაგან ვისაუბრებთ), მაგრამ რაღაც მაინც ითქმებოდა კულუარულად ან სულაც ინტიმურად აღმზრდელსა და აღზრდილს შორის. სინდიყის სიმძიმე აქვს ცოდვას. ბევრი ვერაფერი შვებაა, თუკი შენ თავად არა ხარ ამ ცოდვის შემოქმედი, შენი სისხლი და ხორცი ხომ არის? და რა შესძელი შენ, რითი გადაუდექი წინ? რა მოიმოქმედე? საბოლოოდ, გამოდის, რომ ვერაფერი... ფიზიკურმა ძალამ და სამეფო ტახტის არდათმობის გამმაგებულმა სურვილმა, უკეთურმა ქცევამ გაჯობა და დაგადუმა, მსხვერპლად გაქცია. იქნებ, ეს არის ერთ-ერთი საყრდენი დავარის მხატვრული სახისა. არც მის გონიერებას გამორჩებოდა მიჯნურობის სენშეყრილი ნესტანის წრიალი, ასმათის მიმოსვლა და იქნებ იმ ბეჭედსაც მოჰკრა თვალი, ნესტანის მიერ დაწერილი პირველი სასიყვარულო უსტარის მიტანის შემდგომ ტარიელისგან მადლობის ნიშნად შეთავაზებული ოქროს ჯამიდან მორიდებით რომ აიღო ყმა ქალმა [„ასმათს მივართვი რჩეული თვალი ოქროსა ჯამითა;.. / ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა“: 77, 378]. ალბათ, ყველაფერი იცოდა და შინაგანად თანაუგრძნობდა მიჯნურებს და არა მხოლოდ არ ებრძოდა ამ სიყვარულს, არამედ – ახალგაზრდა წყვილში ასეთი გრძნობის არსებობა კიდევ სიამოვნებდა თავად გაუხარელს, ოდესღაც ქაჯეთში გათხოვილსა და დაქვრივებულს. დავარს თითქოსდა ებრალება ტარიელი, არც კი ახსენებს მის სახელს მაშინ, როცა მჭეპარე რისხვით თავს ატყდება ნესტანს – „საქმრო რად მოაკვლევინე?“-ო, ეუბნება და მკვლელობის ცოდვის მიღმა ტოვებს მას. სხვა შემთხვევაში პოეტი მცირეოდენად გადაითამაშებდა რითმას, მარცლოვანებას შემატებდა, ზმნას მრავლობით რიცხვში დასვამდა და „მოკალითო“, იტყოდა. რუსთველური „სისხლი უბრალო“ გამორჩეულად ამახსოვრდება მკითხველს და, მართლაც, ბრალეულობის ნატამალი არ შეურია შოთამ ამ გენიალურ შესიტყვებაში. ვფიქრობთ, რომ ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს „სისხლი უბრალო“ სწორედ ფარსადანს ათქმევინა, კაცს, რომე-ლიც ამ ცოდვის თავიდათავი იყო [„ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?“ 113, 555] და ამით კიდევ ერთი სასიკვდილო ისარი დაასვა გულზე მის ფარსეველობას. ფარსადანისაგან განსხვავებით, დავარმა კარგად იცის მნიშვნელობა უცოდველობა-უბრალო-ებისა, ამიტომაც ერთგვარი ტაბუ დაადო ტარიელსა და მის სახელს იმ განკითხვის ჟამს, რომელიც საკუთარ ძმასაც მოუწყო და ნესტანსაც, სიტყვაც არ წამოსცდენია სარიდანის ვაჟზე. ეს ნამდვილად იქნებოდა დავარის სისუსტე, არაკეთილგონიერება და თვალაკრული თემიდას „სამართალი“. ნესტანის აღმზრდელი მამიდის საბრალდებო დასკვნა ტარიელს მხოლოდ ირიბად შეეხო (ნესტანის ძებნაში გათანგა), სხვა მხრივ ცის მცოდნე ქალს იოტისოდენა საყვედურიც არ გამოუთქვამს მის ბრალზე.

ახლა „სისხლის“ საკითხთან დაკავშირებით შევჩერდებით. მ. კეკელია ძველი ქართული სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით საგანგებოდ შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებულ „სისხლთა დენის“ საკითხს და აღნიშნავს: „ძველ

<sup>1</sup> უცილობელი ისტორიული ფაქტია, რომ რუსუდანი თამარის გამზრდელი მამიდაა. „წარმოიყვანეს სამშუღლით... [დაჲ] მეფისა დედოფალი რუსუდან თანა გაზრდილითა მისითა [იგულისხმება თამარი – ი.ს.]“- წერს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი. ცნობილია, რომ რუსუდანმა „მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისია შეასრულა ელდიგუზ ათაბაგთან გიორგი III-ის შეთანხმებაში ქ. ანისის გამო (დაახლოებით, 1165 წ.)“ [მეტრეველი 2012: 417]. ამრიგად, რუსუდანი, სულთანთა ცოლყოფილი, საქართველოში უკვე XII ს-ის 60-იან წლებში ჩანს, ამიტომ ის თამარის გაზრდას ადრეული ასაკიდანვე უნდა იწყებდეს და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ 70-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული მწვავე პოლიტიკური მოვლენები თუ საზოგადოებრივი დაპირისპირებანი მის თვალწინ ხდებოდა.

ქართულ სამართალში „სისხლთა დენა“ – სოციალური შინაარსის მატარებელი, სისხლის ფასთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინია (სოციალურად ტოლთ ერთნაირი ფასის „სისხლი სდით“), ხოლო პოემის ტაეჰს – „უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით“ [112, 550] – ამგვარად გაიაზრებს: „სისხლი არ ემართა ჩემი ისე მოვკალი საბრალო. თუმცა მართებული იყო ასე მოვქცეულიყავ, მოვკალი მისებრი ღირსების (= ფასის) სისხლის მქონემ (=მდებმა)“ [კეკელია 1985: 11-12]. ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული ტაეჰის მ. კეკელიასეული წაკითხვა არსებითად სწორია, თუმცა „ხმდა სისხლისა დენით“ (ანუ საჭირო იყო სისხლთა დენა), ჩვენი აზრით, ასე უნდა განიმარტოს – „მართებული იყო ასე მოვქცეულიყავ“. ზმნა „ხმდა“ [ის] III პირში დასმულ სუბიექტს შეიწყობს და არა – I პირისას, რაც მას ზოგად შინაარსს ანიჭებს [შდრ. ზოგადი შინაარსით გამოყენებული ზმნა „ხამს“ [/საჭიროა] – „ხამს მიჯნური ხანიერი...“; ან: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“]. ამგვარად, „ხმდა სისხლთა დენით“, ანუ საჭირო იყო სისხლთა დენა, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ვალდებულება, ვალი თუ თანანადები მაინცადამაინც ტარიელს უნდა ეკისრა, ანუ უმართებულოა ფრაზის პირველი პირით განმარტება. ტარიელის მხრიდან აქ იმის ხაზგასმა ხდება, რომ ხვარაზმშას „სისხლთა დენა“ საჭიროებით იყო გამოწვეული (რა თქმა უნდა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე), ის ვიღაცას უნდა გაეკეთებინა, მან კი ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებ-რივი საქმე ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრესა და მიჯნურთან შეთანხმებით ინდოეთის საკეთილ-დღეოდ ივალა, თანამდები შეიქნა „უბრალო სისხლისა“. ვფიქრობთ, რომ განსახილველ სტრიქონში შორისდებული „გლახ“ (თანამედროვე შინაარსობრივი ეკვივალენტით „ვაი“) ასევე საყურადღებოა. ჩვენი აზრით, ის მკვლელობის გამო ტარიელის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს თხრობის მომენტში და გმირის ქრისტიანული სინანულით გამოწვეული შემახი-ლია, რომელიც ორგანულად ერწყმის სახელმწიფოებრივი საჭიროებით ნაკარნახებ არცთუ სასიამოვნო მოქმედებას.

„ვეფხისტყაოსანში“ ტერმინ „სისხლის“ გააზრებასთან დაკავშირებით საინტერესო თვალსაზრისს ავითარებს მ. კარბელაშვილიც და პოემის იმ ეპიზოდსაც შეეხება, რომელშიც ფიქსირდება შესიტყვება „სისხლი უბრალო“. მეცნიერი წერს: „ვეფხისტყაოსნის არაერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ხვარაზმშას შვილის „სისხლი უბრალო“... ვალია, რომელიც შურის-ძიებისკენ მოუწოდებს ხვარაზმელებს, რის გამოც იქმნება ხვარაზმიდან ინდოეთზე სამხედრო თავდასხმის საფრთხე, და, მაშასადამე, რაც უფრო ძლიერია ხვარაზმი (მკითხველისა თუ მკვლევარის აღქმაში), მით უარესი ინდოეთისათვის!“ [კარბელაშვილი 2016: 21]. ავტორის თვალსაზრისით, ნესტანის მიერ „უსისხლოდ“ მოკვლის რჩევა „ზნეობრივი ვალის დარღვევაა“ და „მხოლოდ გაუგებრობას შეიძლება მიეწეროს მისი პატრიოტიზმად გამოცხადება“ [იქვე: 22]. და რადგან პოემაში მართლაც არ არსებობს „გრძნობისა და მოვალეობის, პირადულისა და სახელმწიფოებრივის ანტითეზა“, როგორც ამას მ. კარბელაშვილი შენიშნავს, ვფიქრობთ, რომ „სისხლი უბრალო“, როგორც უცოდველი სისხლი, რუსთველის მსოფლმხედველობის ის ნაწილია, რომელიც დასახელებულ კონტექსტში სახელმწიფოებრივი აზროვნებით იხსნება. მიჯნურთა ნაბიჯი გათვლილი მოჩანს, რადგან პოემის ქარგაში ვერც ხვარაზმელთა შურისძი-ებას ვხვდებით და ვერც მათგან მომდინარე სხვა სახის პრობლემას, რომელიც ინდოეთს ატყდება თავს. მიზნით გამართლებული საშუალება [„მიზანი ამართლებს საშუალებას“ – ნ. მაკიაველი] სასიძოს მკვლელობის საფუძველი უნდა იყოს, სახელმწიფოებრივი აზროვნებით განსაზღვრული მოქმედების წინაპირობა, სპარსთა არგახასებით გამართლებული. ვფიქრობთ, რომ „სისხლის“ თემა „ვეფხისტყაოსნის“ დამოუკიდებელი კონცეპტია, თუმცა არც ისეთი, რომ ის პოემის მთლიან სათქმელთან გადაჯაჭვული არ იყოს.

დავარის დუმილი და მისი უმოქმედობა ტექსტის იმ ადგილამდე, სადაც მისივე თვით-მკვლელობის სცენა იშლება, შესამლებელია ამ „შავი ქალის“ შიშსაც მივაწეროთ, მაგრამ ახლა რაღა დარჩენია მას, ძმა მაინც მოკლავს, ოღონდ „ცუდად“, ანუ ფუჭი ბრალდებით, სრულიად უდანაშაულოს [„არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ, რა



გაქნევიანე?“ [118, 571]. და ისევ „უბრალო სისხლის“ თემამ წამოიწია, რომლის დავიწყებას, ვფიქრობთ, რომ პოემა არ გვაძლევს.

ვფიქრობთ, რომ რუსთველის პოემაში მნიშვნელოვან ბიძგებს ისტორიული ვითარება იწვევს. XII საუკუნის II ნახევრის საქართველოში სისხლის გუბეები დგას. უმძიმესია ერთ-ერთ საისტორიო წყაროში დახატული ორბელიანთა ამოწყვეტის ენით აღუწერელი სინამდვილის ხილვა. რაც არ უნდა გადამეტებული იყოს მემატიაანის ცნობა, ვფიქრობთ, რომ მოვლენის მასშტაბი მაინც სახეზეა. სტ. ორბელიანი იუწყება, როგორ გათამამებულა იოვანე ორბელიანი (საქმე 1078 წლის დემნა-ორბელთა აჯანყებას შეეხება), როცა გიორგი III-ს ფიცი დაუდია, რომ არას ავნებდა აჯანყებულს, მისულა მეფესთან, „ხოლო მეფემან განიხარა დიდად ფრიად და პირველისაებრ შეიწყნარა სიყვარულით და პატივ-სცა დიდითა პატივითა, ვიდრე ხელთ იგდო ყოველნი ძენი და ნათესავი ტომი მისნი“, შემდეგ კი სასიკვდილოდ მისცაო ორბელიანები და „ყოველი ტომ-ნათესავი მისი და ყოველივე ყრმა-წული და დედანი თანასწორად აღხოცნა და წარსწყმიდნა, რომელნიმე მოშობით და რომელნიმე წყალთა შთაგდებით და რომელნიმე კლდეთა გარდატევეებით და ამისათვის ამოიღო სახლისაგან ქართლისა სახელნი მათნი“ [ორბელიანი 1978: A, 51-52]; მერე კი უბრძანებია „ეკლესიელთათვის“ დაეწერათ ის, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა, არ იყო „ჭეშმარიტი მიზეზი“ და ცილი დასწამაო ორბელეებს. აჯანყების მოთავეთა სიკვდილით დასჯა ან თვალების დათხრა ქართული მართლმსაჯულების საქმეა, მაგრამ უდანაშაულო დედებისა და ყმაწვილებისა კი რა მოგახსენოთ... მართა-ლია, ამ მოვლენასთან დაკავშირებით ლაშა გიორგისდროინდელი მატიაანე სხვაგვარი ინტერ-პრეტაციით წერს, მაგრამ, როგორც არაერთ შემთხვევაში, აქაც მისივე მწირსიტყვაობა სისხლის იმ გუბესა თუ მდინარეს უნდა მალავდეს, რომელიც შესაძლებელია გიორგი III-მ უცოდველი ქალებისა და ყმაწვილებით დააყენა. წყაროში ვკითხულობთ, რომ ლორეს ციხიდან „გამოასხნა ორბელნი მეფემან, და იპყრნა და დაკოცნა“ – ეს არის და ეს კომენტარი ორბელთა იავარქმნის შესახებ. ცხადია, რომ მცირე ფორმატი (ერთი წინადადება) მოვლენის ფართო ტილოს ვერ ხატავს, ამიტომ მკითხველში კიდევ უფრო მეტ ეჭვს აღძრავს. სტეფანოზ ორბელიანი გარკვეულწილად მართალი უნდა იყოს.

ფარსადანის მხრიდან დის მკვლელობის მუქარა-მცდელობაც ისეთივე „უბრალო სისხლი“ მოჩანს, როგორც – ხვარაზმელი სასიძოსი. როგორ უმოწყალოდ იფიცებს ინდოთ მეფე საკუთარ თავს – „მას მოვკვლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!“ [116, 567] და შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც უშურველად იმეტებს მისთვის, გარყვნილებასა და სიბილწის სწავლებას აბრალებს [„მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?“ 116,567]. გვაეჭვებს თან'იანი მრავლობითის ფორმით გადმოცემული თხზული სახელის ფორმა „ბოზ-კუროთა“. აშკარაა, რომ ფარსადანი მრუშობის ობიექტებად დავარის გარდა სხვა ქალს ან ქალებსაც გულისხმობს, რომლებიც ნესტანის აღზრდითა თუ მოვლით იყვნენ დაკავებულნი. ისინი ტექსტში არ ჩანან, არც სიკვდილით დასჯა ემუქრებათ, ამიტომ მათზე ვერაფერს ვიტყვით. სასიკვდილო განაჩენი მხოლოდ დავარის მისამართით გაისმის და გასაგებია რატომაც – ფარსადანი დედმამიშვილისა და მისი მოდგმის მკვლეელია ისევე, როგორც დემეტრე I-ის უმცროსი ვაჟი გიორგი III. რაც არ უნდა საქართველოს გაერთიანების სურვილით გავამართლოთ მისი ქმედებანი და თავგასული ფეოდალების დასჯა დავუდოთ საფუძვლად მისსავე ქცევას (ეს კი ნამდვილად არის მისი პოლიტიკის შეუცდომელი ნაწილი), ამავე ქცევის მორალურ ნაწილს გამართლება ნაკლებად მოეძებნება. ის ძმის მკვლეელია (სომეხ მემატიაანეებზე დაყრდნობით), ხოლო ძმიშვილისა – ქართული და სომხური წყაროებით დადასტურებული ფაქტებით.

დავარის მიერ წარმოთქმული და კითხვით წინადადებად ფორმულირებული ერთი ფრაზაც იქცევს ყურადღებას – „ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევიანე?“ [118, 571],- ეკითხება ნესტანს. ტექსტის ამ მონაკვეთში არც ექსპრესიული ლექსიკური ერთეული „სისხლი“ გვანებებს თავს და არც „სისხლის მდინარე“ – „გასისხლმდინარდა“. სისხლით ზღვევა – აი, რა ამღვრევს და აშფოთებს რუსთველს და თანაც ერთი კაცისა კი არა, მდინარედ

ქცეული ბევრისა. დავარმა, სასიძოს მკვლელობაში სრულიად უდანაშაულოდ, საკუთარი სისხლით უნდა გადაიხადოს ჩადენილი ცოდვის სანაცვლო, ცოდვა კი განკითხვას ითხოვს. საქმე ოსტა-ტურ აბსტრაქციასთან, აზრის განზოგადებასთან უნდა გვექონდეს. რუსთველის მსოფლხედ-ვით, დავით V-ის, რუსუდანის უფროსი ძმის, სავარაუდო მოკვდინება დასაც სისხლით ხომ არ მოეკითხება თუნდაც იმ მდუმარების ან რეალური ძალის არმქონე თუ გაუპროტესტებელი ქმედებების გამო, რომლებიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ხილული იყო სამეფო კართან დაახლოებული პირებისათვის და, აბა, რუსთველის ვირტუალურ გონიერებას როგორ დარჩე-ბოდა შეუმჩნეველი მცირეოდენი დეტალიც კი, დემეტრე-დემნა უფლისწულის გაუბედურების ცოდვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამკარაა, რომ ამ ნაწილს მეტი ტკივილი ახლავს, მეტი შემზარაობა, ამიტომაც ისმის განგაშის ზარები პოემის ქსოვილებიდან, რომლებშიც ექსპრესი-ული ლექსიკური ერთეული „სისხლი“ თავის სათქმელს ამბობს. დავარ-რუსუდანი ჩადენილი ცოდვების უტყვი თანამონაწილეა, ბრძენქალი, რომელსაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, ხმის ამოღება სიცოცხლის ფასი დაუჯდებოდა, გაჩუმება არჩია, თქმას ზოგჯერ „არათქმა“ რომ სჯო-ბდა, კარგად იცოდა [„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“: 147, 742], მაგრამ რუსთველური ზღვევა მას თვითმკვლელობად დაუჯდა, უსამართლო განაჩენის მიღებას საკუთარი თავის წარწყმედა ამჯობინა.

ვფიქრობთ, რომ რუსთველის მსოფლმხედველობის, როგორც მთლიანობის, დანახვა ნამდვილად გაჭირდება იმ შემთხვევაში, თუკი პოემის თითოეულ მიკროკონცეპტს, თითოე-ულ მხატვრულ ინტერპრეტაციას თავისი მნიშვნელობა არ მიეცა. „სისხლი“ ერთ-ერთი მათგანია და იმ გენიალური მთელის ნაწილი, რომელსაც თავად რუსთველმა უწოდა „ობოლი მარგა-ლიტი“; ამ ლექსიკური ერთეულის მხატვრულმა ინტერპრეტაციამ კი არა მხოლოდ ლინგვის-ტური, არამედ ლიტერატურული დისკურსიც მოითხოვა და ისტორიულიც. ჩანს, რომ პოემის მაგისტრალური ხაზზე განლაგებულ თითოეულ დეტალსა თუ მხატვრულ პასაჟს თავისი ფუნქცია აქვს, ხოლო „სისხლის“ ექსპრესია პირდაპირ უკავშირდება დემნა უფლისწულის თავს დატრიალებულ და ეპოქაში განვითარებულ მტკივნეულ ისტორიულ ფაქტებს.

#### ლიტერატურა:

1. **არისტოტელე (1994):** დიდი ეთიკა [თ. კუკავას გამოცემა]. გამომცემლობის მითითების გარეშე. თბილისი.
2. **გარიგება 1965:** „გარიგება ხელმწიფის კარისა“. ქართული სამართლის ძეგლები [ი.დოლიძის გამოცემა]. II. 80-97. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
3. **ინგოროყვა პ. (1963):** რუსთველიანა. თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. I. 7- 254. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
4. **ისტორიანი და აზმანი (1959):** ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. „ქართლის ცხოვრება“ [ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა]. II. 1-114. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
5. **კარბელაშვილი მ. (2016):** რამდენიმე იურიდიული ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“. კრებული: ტერმინი, ცნება და პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“. 7-13. გამომცემლობა „მწიგნობარი“. თბილისი.
6. **კეკელია მ. (1985):** „სისხლის დენით“ შინაარსისათვის ვეფხისტყაოსანში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია). N1. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
7. **მესხია შ. (1979):** საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
8. **მეტრეველი რ. (2012):** თამარის გამეფება. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად. II. 418-420. გამომცემლობა „პალიტრა“. თბილისი.

9. **ორბელიანი სტ. (1978):** სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. საქართველოს ისტორიის წყაროები. 4 [ ე. ცაგარეიშვილის გამოცემა]. გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი.
10. **რუსთაველი (1966):** „ვეფხისტყაოსანი“ [მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი]. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.
11. **წერეთელი ლ. (2006):** „სამთა ყრმათა ბაბილონს“ (თამარ მეფის „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ ცნობის ათეისტური თეორია). კრებული: შოთა მესხია 90 [საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი]. გამომცემლობა „ნეკერი“. თბილისი.
12. **ჭელიძე ე. (2011):** წმ. თამარ მეფის ე.წ. მეოთხე ჰიპოსტასობისა და „ბუნებითი“ ღმერთობის შესახებ - [http://library.church.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=812%3A2018-12-01-09-21-46&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka](http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=812%3A2018-12-01-09-21-46&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka)
13. **ჭილაძე თ. (2014):** ვარდის ფურცლობის ნიშანი. კრებული: „უკვდავების ათინათი“ [წერილები, ესეები]. რედ. ზ. კვარაცხელია. 42-201. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი.
14. **ჯავახიშვილი ივ. (1983):** ქართველი ერის ისტორია [თხზულებანი 12 ტომად]. II. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
15. **ჯავახიშვილი ივ. (1984):** ქართული სამართლის ისტორია [თხზულებანი 12 ტომად]. VII. თსუ გამომცემლობა. თბილისი.

**Inga Sanikidze**

Iv.Javakhishvili State University

inga.sanikidze@tsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.39>

### **Rustaveli's „Blood“ and some Significant Contexts in the „The Knight in the Panther“**

#### **Abstract**

It has been numerously noted in the Georgian scientific literature that the reflection of the historical reality of the 12<sup>th</sup> century creates quite significant segments in the plot of the *Knight in the Panther*. We will initially say that in our opinion the central character of the *Knight in the Panther's Skin* - Tariel, is the prototype of Prince Demetre [Demna]. Historical sources clearly show that King Giorgi III responded to the orphan Prince's claim for the Royal Throne by gouging out his eyes and castrating him. We believe, the lexical element „Blood“ used by Rustveli in different chapters of the epic poem is directly connected with the misfortune and tragic events that befell upon Prince Demna in the second half of the 12<sup>th</sup> century. M. Kekelia also specifically touches on the issue of „Bloodshed“ used in different contexts of *The Knight in the Panther* and notes: „In ancient Georgian Law, „bloodshed“ is a legal term related to the price of blood, carrying a social content.“

The verse of the poem – „**I killed the youth without shedding blood, eh, though his blood cried out as it shed**“ („**უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლისა დენით**“) [112, 550] – should be read as follows: „It was needed make them bleed“, which means that this obligation, debt or sin should have been borne specifically by Tariel. Lexical observation of the cited verse shows that to make Khvaramza „bleed“ was to be done out of necessity (of course based on state interest). It had to be done by someone and Tariel, in agreement with his beloved, took responsibility for this important task for the benefit of India. The use of interjection „glakh“ (with the modern meaning of – „eh“). We believe, it expresses Tariel's mental state at the moment of the narration, due to the

murder committed and it is an exclamation caused by the Christian repentance of the character, which organically merges with the unpleasant action dictated by the state's needs.

Historical sources tell us that in the era of Rustveli, there were streams of blood of the „sinners“ and of the „innocents“. We believe that the notice of Stefanoz Orbeliani is enough to prove the aforementioned. According to him, Giorgi III mercilessly executed not only the Orbelians who participated in the rebellion, but also their entire relatives, the boys of the Orbeliani family and their mothers. Of course, executing the leaders of the rebellion or gouging out their eyes was a matter of Georgian justice, but in our opinion, it was the result of excessive ruthlessness against innocent mothers and boys.

We think that Farsadani's threat-attempt to execute his sister is just as „common bloodshed“ as that of Khvarazmeli's son-in-law to be. The death sentence from the brother's side is heard only in the address of Davari, which is clear why - Parsadani is the murderer of his sibling and his family, just like Giorgi III, youngest son of Demetre I [indeed, he is the murderer of his brother based on the Armenian chroniclers and of his nephews - according to the facts provided in Georgian and Armenian sources].

To make them pay with blood - this is what worries Rustveli and not just one man, but many; that is why the lexical element „blood“ is presented to us with special expressiveness in many passages of the epic poem.

**Key words:** Shota Rustaveli, Poem “*The Knight in the Panther*” lexical unit „Blood“

**რამაზ სვანიძე**

აკაკი წერელის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Ramaz.svanidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.40>

**პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სარეკლამო რგოლების  
შედარებითი ანალიზის შესახებ  
(2013 წლის საპარლამენტო არჩევნები)**

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სარეკლამო რგოლები, საპარლამენტო არჩევნები

მოხსენებაში განხილული იქნება მე-18 ბუნდესთაგის არჩევნების ფარგლებში გერმანული პარტიების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სარეკლამო რგოლები. აღნიშნული არჩევნები ჩატარდა 2013 წლის 22 სექტემბერს. ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ (ცდუ) და ქრისტიან-სოციალურმა კავშირმა (ცსუ) სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან (სპდ) ერთად შეადგინეს კოალიციური მთავრობა. შესაბამისად, ანგელა მერკელის მესამე კაბინეტში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეცვალა თავისუფალი დემოკრატიული პარტია (ფდპ). ამ მოწვევის პარლამენტში კვლავ ოპოზიციას წარმოადგენდნენ გაერთიანება 90/მწვანეები და მემარცხენე პარტია. გერმანიისათვის ალტერნატიულმა პარტიამ (აფდ) დაარსების წელს ვერ მოახერხა ბუნდესთაგში შესვლა.

საარჩევნო რგოლი გრძელდება დაახლოებით ერთი წუთი და 30 წამი. ამ მოკლე ვიდეოფორმატში ცდილობდნენ პარტიები ამომრჩეველთან ძირითადი პოსტულატების მიტანას. დარწმუნებითი სტრატეგიები მოიცავს როგორც ენობრივ, ასევე ნონ- და პარავერბალურ საშუალებებს. რეჟისურის ნაწილს წარმოადგენს ასევე კამერის ხედი, რომელიც განაწვრცობს სათქმელს და ემოციურობის ასამაღლებად მარკირებას უკეთებს მულტიმოდალურ ტექსტს. თვისებრივი მეთოდის საშუალებით დადგინდა, რომელი მულტიმოდალური საშუალებები დომინირებს თითოეულ პარტიასთან, რომელი განაპირობებს ეფექტურ და მიზანზე ორიენტირებულ კომუნიკაციას.

საარჩევნო სარეკლამო რგოლების<sup>1</sup> სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

პარტია	ხანგრძლივობა	სიტყვების რაოდენობა	სიტყვები წამებში	სიტყვები წუთში	შედარებითი სიხშირე
--------	--------------	---------------------	------------------	----------------	--------------------

<sup>1</sup> ენობრივი ნიმუშები აღებულია YouTube ვიდეორგოლებიდან (3./22./26.08.2013) და გამოყოფილია დახრილი შრიფტით. მახვილიანი სიტყვები ავტორის მიერ მუქადაა მონიშნული. ცდუ:

<https://www.youtube.com/watch?v=Mk06yfbXQYg>, ცსუ: [https://www.youtube.com/watch?v=1VFstDizY\\_0](https://www.youtube.com/watch?v=1VFstDizY_0),

ფდპ: <https://www.youtube.com/watch?v=qUrMdzPaBo8>, სპდ:

[https://www.youtube.com/watch?v=n\\_VBj\\_W5-Q](https://www.youtube.com/watch?v=n_VBj_W5-Q), გაერთიანება 90/მწვანეები:

<https://www.youtube.com/watch?v=NwOcVbGn7Qs>, მემარცხენე პარტია:

<https://www.youtube.com/watch?v=LCvUFWHrBhs>, აფდ: <https://www.youtube.com/watch?v=uf63oBNVbk0>, 8.12.2023.

	სდპ (SPD)	1:19	266	3,37	202,2	0,187
	აფდ (AfD)	1:30	243	2,7	162	0,170
	გაერთიანება 90/მწვანეები (Bündnis 90/Die Grünen)	1:32	228	2,48	148,8	0,16
	ცსუ (CSU)	1:00	136	2,27	136	0,095
	მემარცხენე პარტია (Die Linke)	1:33	190	2,04	122,4	0,133
	ფდპ (FDP)	1:30	173	1,92	115,2	0,121
	ცდუ (CDU)	1:32	189	1,24	74,4	0,133
	საერთო ჯამი		1425			

როგორც ცხრილიდან ჩანს, სპდ იყენებს ყველაზე მეტ სიტყვას წუთში, ფდპ და ცდუ ყველაზე ეკონომიურად მიმართავენ ვერბალურ მასალას. ერთ-ერთი განმარტებული ფაქტორი, ალბათ, ისიცაა, რომ ვიდეორგოლებში მთავარი აქცენტი წამყვან კანდიდატებზეა გამახვილებული.

ვიდრე საარჩევნო სარეკლამო რგოლებს გავაანალიზებთ, მოკლედ მიმოვიხილავთ არსებულ კვლევებს. შიჰა და სკრობლიზი აღნიშნავენ, რომ საარჩევნო სარეკლამო რგოლები ნაკლებადაა შესწავლილი. აქედან გამომდინარე, ისინი გერმანიის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სარეკლამო რგოლებს 2017 წლის საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავენ:

Neben dem gesprochenen Wort und den gezeigten Bildern liegt der Fokus auch auf ästhetischen Elementen und der Interpretation im Gesamtkontext der Spots. Eine besondere Berücksichtigung finden neben strategischen Aspekten auch symbolische Elemente sowie Gemeinsamkeiten und Unterschiede der Spots. In einem abschließenden Fazit erfolgt eine vergleichende Zusammenfassung der Ergebnisse. (Schicha/Skroblies 2017: 3)

ჰაბშიდი და რუმანი მულტიმედიალურ ჭრილში იკვლევენ 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებისადმი მიძღვნილ ცსუ-სა და სპდ-ს სარეკლამო რგოლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრები აღნიშნული პარტიების ვიდეორგოლებს პრაქტიკულ ნაწილში ფრაგმენტულად განიხილავენ. (Habscheid/Rumann 2017: 627-650)

ქვემოთ გავაანალიზებთ ცდუ-სა და ფდპ-ს სარეკლამო რგოლებს 2013 წლის საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში. ცდუ კონცენტრირდება მთავარ კანდიდატზე ანგელა მერკელზე, რომელიც ოთახში შავი ფერის სავარძელში ზის. პირველ წინადადებაში ის ააქტიურებს საშიშროების ტოპოსს<sup>1</sup>, რადგანაც იყენებს გამონათქვამს „auf dem Spiel stehen“<sup>2</sup>: *Es gibt Momente, da steht viel auf dem Spiel, in der Eurokrise zum Beispiel.*[1] სიტყვის *Eurokrise* წარმოთქმისას ღიმილიანი სახე სერიოზული გამომეტყველებით ეცვლება. ახლო ხედი თანდათანობითი გაზრდით გამოირჩევა. ეს მულტიმედიალური სტრუქტურა მეორე წინადადებაშიც გრძელდება: *Off betreten wir auch Neuland.* [2] მესამე წინადადება სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს, რაც განსხვავებული ხედითაა გაფორმებული: *1. Als Kanzlerin*

<sup>1</sup> არგუმენტაციული ანალიზისთვის იხ. Wengeler (2012, 2003), Kienpointner (1996, 1992) და Egger (2006).

<sup>2</sup> „auf dem Spiel stehen: in Gefahr sein, verloren zu gehen, Schaden zu nehmen o. Ä.“ <https://www.duden.de/rechtschreibung/Spiel>, 14.01.2024.

*treffe ich Entscheidungen*, [გადიდებული ხედი] 2. *für unser Land*, [ახლო ხედი] 3. *für die Menschen in Deutschland*. [დეტალური ხედი] პირველ ორ სიტყვათა ჯგუფს ანგელა მერკელი დიდი სერიოზულობით წარმოთქვამს, მესამეს - ღიმილით. მომდევნო სცენაში აივანზე მდგომი პოლიტიკოსი ხელებს ერთმანეთზე გადააჭდობს. ამასთანავე მშენებარე ობიექტის ბუნდოვანი სურათია ნაჩვენები. ამ მოკლე ეპიზოდის შემდეგ ისევ სავარძელში გადაინაცვლებს. ანგელა მერკელი მიმართავს რეკურენციის ხერხს და იმეორებს ფრაზას *das Richtige. Ich muss sicher sein*, [მერკელი კადრს მიღმა] *dass wir auch das Richtige tun*. [ახლო ხედი] *Das Richtige ist nicht immer, was am lautesten gefordert wird*. [ახლო ხედი] *Das Richtige ist, was am Ende den Menschen hilft*. [გადიდებული ხედი] [4-6] კონსტრუქცია  $x+muss+y$  გამოხატავს აუცილებელ მიზეზს შემდგომი ქმედებისთვის. ანაფორის საშუალებით პოლიტიკოსი პოპულისტურ მოთხოვნებს იმპლიციტურად უპირისპირებს გონივრულ, პასუხისმგებლობით აღსავსე და შედეგზე ორიენტირებულ სამთავრობო ქმედებას. მომდევნო სცენაში ანგელა მერკელი ისევ აივანზე დგას და მშენებარე ობიექტს გაჰყურებს. მეშვიდე წინადადება ხედების მონაცვლეობით გამოირჩევა, რაც ვერბალურ ნაწილს მეტ დინამიზმს სძენს: *Deutschland steht heute* [მერკელი კადრს მიღმა] *gut da*: [ახლო ხედი] *eine starke Wirtschaft*, [გადიდებული ხედი] *mehr Menschen in Beschäftigung* [ახლო ხედი] *als je zuvor* [გადიდებული ხედი]. [7] ანგელა მერკელი ამ ნაწილს ერთობლიობის ტოპოსით აჯამებს: *Das haben* [ახლო ხედი] *wir gemeinsam geschafft* [გადიდებული ხედი]. [9] მეათე წინადადებაში პოლიტიკოსი საშიშროების ტოპოსს აფორმებს გამონათქვამით „etwas aufs Spiel setzen“<sup>1</sup> და წინადადების ჩარჩოს მიღმა მდგომი, განკერძოებული წინდებულიანი ფრაზით: *Das darf jetzt nicht aufs Spiel gesetzt werden* [ახლო ხედი] [ჰაუზა] *durch höhere Steuern und mehr Belastung* [გადიდებული ხედი]. [10] პირველი ნაწილი ორმაგადაა ნეგირებული: ნეგაციით *nicht* და არავერბალური საშუალებით - თავის აქეთ-იქეთ გაქნევით. წინდებულიანი ფრაზა ასევე ორმაგადაა მარკირებული - პაუზითა და ხედის ცვლილებით, რაც ემოციურ ეფექტს ზრდის. ამასთანავე ანგელა მერკელს აქვს ძალიან სერიოზული გამომეტყველება. გადიდებული ხედი და განსაკუთრებული სერიოზულობა მომდევნო წინადადებაშიც უცვლელი რჩება, რომელშიც არარეალური ვარაუდი ზმნური უარყოფითაა გადმოცემული: *Das wäre nicht gut für Deutschland*. [11]

ვიდეორგოლის კულმინაციას წარმოადგენს მე-ნაცვალსახელიანი პარალელური წინადადებები, რომელშიც მოთხოვნებია ჩამოყალიბებული: *Ich will [...]*. ეს სეკვენცია იწყება შემდეგი წინადადებით: *Ich will, dass wir auch* [დეტალური ხედი] *in Zukunft gemeinsam erfolgreich sind durch gute Arbeit und neue Ideen* [ახლო ხედი]. [12] მოდალური ზმნა *wollen* კომბინირებულია მხოლოებითი რიცხვის პირველ პირთან და ხაზს უსვამს ანგელა მერკელზე კონცენტრაციას გრამატიკულ დონეზე. აივანზე მდგომი მომღიძარი პოლიტიკოსის ხმა სიყვარულით ჟღერს და უკანა ფონი დაბინდულია: *Ich will, dass wir ein faires Land sind* [გადიდებული ხედი, მერკელი საუბრობს ძალიან სერიოზული გამომეტყველებითა და ხმით]. [13] *Ich will ein Land*, [გადიდებული ხედი] *in dem die Stärkeren den Schwächeren helfen* [ახლო ხედი]. [14] *Ich will ein Land, in dem die belohnt werden, die etwas leisten* [ახლო ხედი]. [15] *Ein Land, in dem wir unseren Kindern die besten Chancen bieten* [გადიდებული ხედი]. [16] უნდა აღინიშნოს, რომ *ein faires Land* პოლიტიკოსისთვის, პირველ რიგში, ნიშნავს სოციალურ სახელმწიფოს, რომელშიც მზრუნველობა და მხარდაჭერა არავის აკლია. [12-16] მე-16 წინადადებაში შეგნებულად არ არის გამოყენებული მოდალურ ზმნიანი კონსტრუქცია *Ich will...*, რაც ემოციურ ზეგავლენას ზრდის. ეს ემოციური მუხტი მცირეხნიანი, არავერბალური პაუზისას დეტალური ხედიტაა მარკირებული. მე-17 წინადადება აჯამებს მოდალურ ზმნიან კონსტრუქციებს და ამზადებს დირექტიულ სამეტყველო აქტს: *Das ist mein Ziel als Kanzlerin* [გადიდებული ხედი]. [17] *Dafür bitte ich Sie um Ihre Unterstützung* [ახლო ხედი]. [18] ახლო ხედი ხაზს უსვამს

<sup>1</sup> „etwas aufs Spiel setzen: (etwas [leichtfertig] riskieren, in Gefahr bringen.“  
<https://www.duden.de/rechtschreibung/Spiel>, 14.01.2024.

პოლიტიკოსის ჟესტიკულაციას, რაც მის ენერგიულ და გამბედავ ხასიათს კიდევ უფრო წარმოაჩენს. შემდეგ წინადადებას ანგელა მერკელი კადრს მიღმა ამბობს: *Am 22. September mit beiden Stimmen für die CDU.* [19] ნომინალური ფრაზა *Beide Stimmen* ვიზუალურ დონეზეც მარკირებულია. დიდი თეთრი ასოებითაა დაწერილი ფორთოხლისფერ ფონზე. ცდუ გამოსახულია პატარა წითელი ასოებით თეთრ ფონზე და გვერდით წარმოდგენილია ნაციონალური სიმბოლიკა - გერმანიის დროშა. სლოგანი *Gemeinsam erfolgreich* დაწერილია წვრილი შავი დახრილი ასოებით. ვიდეორგოლის ბოლოს ანგელა მერკელი წარმოთქვამს მის ცნობილ გამონათქვამს *Gemeinsam schaffen wir das* [ახლო ხედი] [20], რომელიც დაკავშირებულია ამავე ვიდეორგოლში გაქდერებულ იმავე ფრაზასთან წარსულ დროში *Das haben wir gemeinsam geschafft.* ამ ხერხით პოლიტიკოსი აკავშირებს აწმყოსა და მომავალში განსახორციელებელ მოქმედებას წარსულში განხორციელებულ წარმატებულ ქმედებებთან, რითაც მიღწეულია შედეგზე ორიენტირებული, დროში განფენილი კონტინუუმი. ახლო ხედი წარმოაჩენს ანგელა მერკელის მიმიკას. ის თბილი, იმედით აღსავსე ხმითა და გაბრწყინებული თვალებით წარმოთქვამს ბოლო ფრაზას.

ცდუ-ს საარჩევნო სარეკლამო რგოლის საპირისპიროდ ფდპ-ს ვიდეორგოლი იწყება პანორამული ხედით. სურათები (მზის ამოსვლა, მწვანე მდელო, სოფლის ხედი უკანა ფონზე, სატელევიზიო ანძა ალექსანდერპლაცზე, მეგაპოლისი, ამწეები, ნავსადგური ამწეებით) ქმნის პოზიტიურ ატმოსფეროს. ვიზუალური დასაწყისი ამზადებს ფონს სამთავრობო მოღვაწეობის დადებითი ანგარიშისთვის, რომელსაც წარადგენს კადრს მიღმა მოსაუბრე მამაკაცის ხმით: *1, 6 Millionen neue Arbeitsplätze in vier Jahren. Jährliche Exporte in Höhe von 1000 Milliarden Euro. Ausgeglichenen Haushalt schon 2014. Deutschland geht es gut.* [1-4] პანორამული ხედი აჩვენებს ნავსადგურს ამწეებით. ამ კადრს მოსდევს ნახევრად ტოტალური ხედი, რომელიც წარმოადგენს შენობაში მოსიარულე ადამიანებს. ტოტალური ხედით ნაჩვენებია ადამიანები, ასევე ყვითელი და თეთრი ფერის ტრამვაი მეგაპოლისში. [1] ნახევრად ტოტალური ხედით შემდეგი სცენებია წარმოჩენილი: შემდუღებელი აწარმოებს შესადუღებელ სამუშაოებს. ამწე ტვირთავს კონტეინერებს, რომლებიც სატვირთო გემს გადააქვს. [2] დეტალური ხედით ნაჩვენებია ზემოთკენ მოძრავი საფონდო ბირჟის მრუდეები. ამერიკული, ნახევრად ახლო და ახლო ხედით ინსცენირებულია ყოველდღიური სიტუაცია ფერმერთა ბაზარსა და საცხოვრებელში. [3-4]

პოზიტიური შესავლის შემდეგ წარმოდგენილია მთავარი კანდიდატი რაინერ ბრიუდერლე საუზმობისას საცხობის კაფეში. პოლიტიკოსს უკეთია ყვითელი ფერის ჰალსტუხი. ის მოსვამს ყავას და ფინჯანს დებს სასაუზმე მაგიდაზე. ნაწილისა და მთელის მიმართების პარადიგმის ფარგლებში რაინერ ბრიუდერლე აყალიბებს არგუმენტს და აგრძელებს კადრს მიღმა მოსაუბრის სემანტიკურ ჯაჭვს: *Ich möchte, dass es auch Ihnen gut geht.* [5] მახვილი პირის ნაცვალსახელებზე, გადიდებული ხედით ნაჩვენებია პოლიტიკოსის მიმიკა (ღიმილი, თავის დაქნევა, წარბების აწევა) დაპირების შესრულების გარანტიას იძლევა. [5] კადრს მიღმა მოსაუბრე აღწერს გზასა და დაპირების ადრესატებს: *Der Wohlstand muss bei den Menschen ankommen, die ihn täglich schaffen. Bei Ihnen.* [6-7] ვიდეორგოლში ვხედავთ გამყიდველს ყვავილების მაღაზიაში, შემდუღებლებს, მშენებელს, კონსტრუქტორს [6-8] პოლიტიკოსი აგრძელებს სემანტიკურ ჯაჭვს. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მუქად მარკირებული სიტყვები ემოციურ დონეზე ოპოზიციურ წყვილს წარმოადგენს: *Ein Handwerker, Facharbeiter,* [რაინერ ბრიუდერლე კადრს მიღმა] *eine Designerin* [ახლო ხედი] – *also die Mitte in Deutschland ist in den Augen von Rot-Grün reich.* [გადიდებული ხედი]. [8] გადიდებული ხედი მთელი ემოციურობით წარმოაჩენს რაინერ ბრიუდერლეს სერიოზულ გამომეტყველებას, რასაც ემატება გაბრაზების ნიშნად ზემოთ აწეული წარბები: *Das ist Unsinn.* [9] მომდევნო წინადადებაში კონტექსტის ჩვენების მიზნით გადიდებული ხედი ახლო ხედში გადადის, რომელსაც დეტალური ხედი ცვლის. ბოლო ცვლილება ფრაზეოლოგიზმით გამოწვეულ ემოციას ზრდის და ვიზუალურად წარმოადგენს ხატოვან გამონათქვამს: *Menschen, die hart arbeiten, denen darf man* [ახლო



ხედი] *nicht die Butter vom Brot nehmen* [კადრში ჩანს ერთ ნაჭერ შავ პურზე კარაქის გადასმა, დეტალური ხედი]. [10] ონლაინ-ლექსიკონში მყარი გამონათქვამი „jemandem die Butter vom Brot nehmen“ შემდეგნაირად არის ახსნილი: „einer Person etwas Wichtiges wegnehmen.“<sup>1</sup> შესაბამისად, გასაგებია ის ემოცია, რომელიც აღნიშნული სცენის მულტიმოდალურ წარმოჩენას უკავშირდება. ვიდეორგოლის კულმინაცია იწყება დაპირებით: *Mit der FDP gibt es keine neuen Steuern* [გადიდებული ხედი], *keine Steuern auf die Steuern*. [ახლო ხედი] [11] ამის შემდეგ ფორმულირებულია დანარჩენი დაპირებები კადრს მიღმა მოსაუბრის მიერ: *Der Mittelstand wird entlastet. Der Soli wird abgeschafft. Löhne und Renten werden weiter steigen. Der Euro bleibt sicher. Privates bleibt privat. Bildung und Aufstieg bleibt für jeden erreichbar*. [12-17] როგორც მარკირებიდან ჩანს, უმეტესწილად არსებითი სახელები ატარებენ მთავარ მახვილს. ვიზუალური მხარე შემდეგნაირად გამოიყურება: მოხუცი დურგალი სახელოსნოში, ორი კარგ ხასიათზე მყოფი ქალი საყიდლების ჩანთებით, კმაყოფილი პენსიონრები შვილიშვილთან ერთად, ახალგაზრდა ბედნიერი წყვილი რესტორანში, მხიარული ახალგაზრდები სმარტფონით საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მეცნიერი კვლევისას და სამი სტუდენტი ქალი მიგრაციული ფონით. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი პოლიტიკური რეფორმები პასიური პარალელური კონსტრუქციებით არის ვერბალიზირებული. პოლიტიკური კურსის სტაბილურობა ლექსიკური პარალელიზმებით *x bleibt y* გადმოიცემა. [12-17] გრამატიკული და ლექსიკური პარალელიზმების სეკვენცია შეჯამებულია მე-18 წინადადებაში კადრს მიღმა მოსაუბრის მიერ: *Deutschland bleibt stark*. ეს გამოთქმა იმპლიციტურად მოიაზრებს, რომ გერმანია წარმატებული სახელმწიფოა და თუ ამომრჩევლები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, წარმატების ისტორია გაგრძელდება.

რაინერ ბრიუდერლე აკრიტიკებს მოწინააღმდეგე პარტიებს: *Rot-Rot-Grün ist nicht das Gelbe vom Ei*. [19] პოლიტიკოსი იყენებს სასაუბრო მეტყველების გამონათქვამს „[nicht] das Gelbe vom Ei sein“, რომელიც ონლაინ დუდენის მიხედვით შემდეგნაირად არის განმარტებული: „[nicht] das Beste, Vorteilhafteste sein.“<sup>2</sup> ნეგატიური კამპანია<sup>3</sup>, რომელიც შემდგომში დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი, იმპლიციტურად მიუთითებს, რომ მოწინააღმდეგე პარტიების არჩევამ შეიძლება სახელმწიფო არასტაბილურობამდე მიიყვანოს.

მომდევნო სეკვენციის შესავალ ნაწილში ახლო ხედი გადადის გადიდებულ ხედში, რითაც მეორე კულმინაციური წერტილია ვიზუალურად მარკირებული: *Sie haben am 22. September die Wahl*. [20] რაინერ ბრიუდერლე აყალიბებს არგუმენტებს ოპოზიციური წყვილების სახით, რომლებშიც მოწინააღმდეგის პოზიცია ნეგატიურად და საკუთარი პოზიტიურადაა წარმოდგენილი. ანაფორები ემოციურ დამაბულობას კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს: *Rot-Rot-Grüne Schuldenmacherei* [გადიდებული ხედი] *oder solide Finanzen*. [ახლო ხედი] [21] *Rot-Rot-Grüne Steuererhöhung oder Entlastung*. [ახლო ხედი] [22] *Rot-Rot-Grüne Bevormundung* [ახლო ხედი] *oder persönliche Freiheit*. [გადიდებული ხედი] [23] ანაფორული სეკვენცია *Nur mit uns* აჯამებს წინა ეპიზოდის მოჩვენებით ალტერნატივებს, რომელსაც კადრს მიღმა მოსაუბრე და რაინერ ბრიუდერლე ერთად წარმოადგენენ: [კადრს მიღმა მოსაუბრე] *Nur mit uns gibt es vier weitere gute Jahre*. ამავედროულად ნაჩვენებია, როგორ ატარებენ მშობლები შვილებთან თავისუფალ დროს. ვიზუალური სურათ-ხატები ალტერნატივის არარსებობის დატამებითი მარკერია. [24] რაინერ ბრიუდერლე მთელ ემოციურ მუხტს დებს დასკვნით ფრაზაში: *Nur mit uns*, [ახლო ხედი] *bleibt Deutschland stark*. [გადიდებული ხედი] [25] კადრს მიღმა მოსაუბრე წარმოთქვამს ფდპ-ს სლოგანს: *Nur mit uns. FDP*, რომელიც წერილობითი სახითაც არის წარმოდგენილი. წერილობითი ტექსტი სამი კომპონენტისგან შედგება: 1. *Nur mit uns*. 2. *FDP*. 3. *Die Liberalen*. პირველი და მესამე

<sup>1</sup> „jemandem die Butter vom Brot nehmen“ beim Online-Wörterbuch Wortbedeutung.info (21.1.2024) URL: [https://www.wortbedeutung.info/jemandem\\_die\\_Butter\\_vom\\_Brot\\_nehmen/](https://www.wortbedeutung.info/jemandem_die_Butter_vom_Brot_nehmen/)

<sup>2</sup> [https://www.duden.de/rechtschreibung/Gelbe\\_Eigelb](https://www.duden.de/rechtschreibung/Gelbe_Eigelb), 27.01.2024

<sup>3</sup> ნეგატიურ კამპანიასთან დაკავშირებით იხ. Stuckelberger 2019, Wehling 2009.

ნაწილი ყვითელი ფერთაა წარმოდგენილი ლურჯ ფონზე, მეორე ნაწილი - ლურჯი ფერით ყვითელ ფონზე. [26] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყვითელი ფერი ამ ვიდეორგოლში მკვეთრად დომინანტია. ეს გასაგებია, რადგან ეს პარტია, ძირითადად, ამ ფერთან ასოცირდება, თუმცა ლურჯიც მნიშვნელოვანია. (შდრ. Baron 2010) ბოლო ფრაზას რაინერ ბრიუდერლე კადრს მიღმა და კადრში წარმოთქვამს: *Übrigens: [კადრს მიღმა] Zweitstimme FDP.* [გადიდებული ხედი] [27] პირველ ნაწილში პოლიტიკოსი წიწაკის კონტინერსა და სამარილეს ერთად დგამს მაგიდაზე. ისინი სიმბოლურად პირველ და მეორე ხმას გამოხატავენ. რადგანაც მეორე ხმა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ის მარკირებულია როგორც პარავერბალურად, ასევე ვიზუალურად. პოლიტიკოსის ხმა თბილად ჟღერს. პირველ სტრიქონში წერია სლოგანი, რომელიც ზემოთ იყო გაანალიზებული. მეორე სტრიქონში ჩანს X ნიშანი, მეორე ხმა და FDP თეთრი შრიფტით ვარდისფერ ფონზე, რაც ასევე ამომრჩევლისადმი მოწოდებას შეიცავს.

მუსიკა ორივე ვიდეორგოლში გაფორმებულია მხიარული ელემენტებით, რომლებიც სასიამოვნო სიტუაციას ქმნის.

შეჯამების სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიდეორგოლებში პარტიები ცდილობენ მოიპოვონ ამომრჩეველთა ხმები. საარჩევნო სარეკლამო რგოლის დროითი ლიმიტი შეადგენს დაახლოებით 1 წუთსა და 30 წამს. სპდ მიმართავს ყველაზე მეტ სიტყვას წუთში, ბოლო ადგილზე დგას ფდპ და ცდუ. დროის შეზღუდულობის გამო დარწმუნებითი სტრატეგიები გაფორმებულია როგორც ვერბალური, ნონ- და პარავერბალური საშუალებებით, ასევე კამერის ხედით. ეს სხვადასხვა დონეები კოორდინირებულად გამოიყენება აქტიორების მიერ. ცდუ-ს შემთხვევაში ამ ფაქტორებმა წარმატება განაპირობა, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, წამყვანი კანდიდატის ცნობადობაზეა აქცენტი გაკეთებული. შესაბამისად, ვიდეორგოლის დინამიკურობა მხოლოდ ანგელა მერკელთანაა დაკავშირებული. ასევე აღსანიშნავია, რომ უმეტესწილად თავიდან იქნა არიდებული ნეგატიური კამპანია.

### ლიტერატურა

1. Baron, Sascha: Politische Farbenlehre. 29.06.2010. <https://www.dw.com/de/vom-image-der-deutschen-parteien/a-5739926>, 2.02.2024.
2. Eggler, Marcel: Argumentationsanalyse textlinguistisch. Argumentative Figuren für und wider den Golfkrieg von 1991. Tübingen: Niemeyer, 2006.
3. Habscheid, Stephan/Rumann, Horatiu: Wahlsports. In: Niehr, Thomas; Kilian, Jörg; Wengeler, Martin (Hrsg.): Handbuch Sprache und Politik. Bremen: Hempen, 2017. S. 627-650.
4. Kienpointner, Manfred: Vernünftig argumentieren. Regeln und Techniken der Diskussion. Reinbek: Rowohlt, 1996.
5. Kienpointner, Manfred: Alltagslogik. Struktur und Funktion von Argumentationsmustern. Stuttgart-Bad Cannstatt: frommann-holzboog, 1992.
6. Negenborn, Daniel: Die Einstellungsgröße. 13.03.2019. <https://www.filmmachen.de/film-grundlagen/bildgestaltung/einstellungsgroesse>, 15.12.2023.
7. Schicha, Christian; Skroblies, Miriam: Politik im Spot-Format – Rekonstruktion und Analyse von Wahlwerbespots ausgewählter Parteien zur Bundestagswahl 2017, Forschungspapier, 2017. Erschienen auf: [regierungsforschung.de](http://regierungsforschung.de)
8. Stuckelbeger, Simon. 2019. "Mobilizing and Chasing: The voter targeting of negative campaigning — Lessons from the Swiss case." Party Politics. Published electronically 28 May 2019. doi: <https://doi.org/10.1177/1354068819852252>
9. Wehling, Elisabeth: Politische Kommunikation, die ankommt. Eine neuro-linguistische Analyse des EU-Wahlkampfes. Friedrich Ebert Stiftung. 2009.

10. Wengeler, Martin: Topos und Diskurs – Möglichkeiten und Grenzen der topologischen Analyse gesellschaftlicher Analysen. In: Warnke, Ingo H. (Hrsg.): Diskurslinguistik nach Foucault: Theorie und Gegenstände. Berlin, New York: de Gruyter, 2012. S. 165-186.
11. Wengeler, Martin: Topos und Diskurs. Begründung einer argumentationsanalytischen Methode und ihre Anwendung auf den Migrationsdiskurs (1960 - 1985). Tübingen: Niemeyer, 2003.
12. ცაგარელი, ლევან (2010) ლიტერატურა და კონოხელოვნება. [Teaching Resource] <http://eprints.iliauni.edu.ge/1800/>, 10.12.2023.

**Ramaz Svanidze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.40>

### **On the comparative analysis of election commercials of political parties (2013 parliamentary elections)**

#### **Abstract**

The report discusses the election commercials of the German parties within the framework of the 18th Bundestag elections. The aforementioned elections took place on September 22, 2013. The election commercial lasts approximately one minute and 30 seconds. The SPD used the most words per minute, the FDP is in the second place to last and is followed by the CDU. As part of the multimodal analysis, CDU and FDP election commercials are analyzed in detail. In this short video format, the parties tried to bring their main postulates to the voters. The persuasion strategies were designed verbally as well as non-verbally and paraverbally. The directing also includes the camera view, which marks and complements multimodal codes to increase emotionality. The qualitative method is used to determine which multimodal means dominate the parties and which factors ensure effective and goal-oriented communication.

ნინო სოხაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Nino.sokhadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.41>

## ჰომო-საპიენსის როლი კაცობრიობის განვითარებაში

**საკვანძო სიტყვები:** ჰომო-საპიენსი, კაცობრიობა

კაცობრიობამ განვითარების საინტერესო გზა განვლო. ეს გზა არ იყო იოლი, იყო აუცილებელი, შეიძლება ითქვას, ძალდატანებითი.

ჰომო-საპიენსის ბევრი სახეობა არსებობს. როგორი იყო მათი ცხოვრება? ისინი შრომობდნენ, ჰქონდათ რელიგიური ტრადიციები, ზნეობრივი კრიტერიუმები.

დღევანდელი, ანუ თანამედროვე ადამიანის წინაპარი ჰომო-საპიენსია. სად ცხოვრობდა პირველი ჰომო-საპიენსი? აფრიკაში. ჩუმად, თავისთვის. უშვებდა შეცდომებს, ცდილობდა განვითარებას და ეს არც არის გასაკვირი. ის ხომ ადამიანი იყო. ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც შეუძლია აზროვნება და რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი არსებობა.

კლიმატის გამკაცრებამ ცხოვრება რთული გახადა. ადამიანებმა დაიწყეს ჯგუფებად ცხოვრება. გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენამ გამოიწვია სამუშაო იარაღების გართულება, იარაღის გართულება ცხოვრების განვითარებას.

იქმნება სხვადასხვა თემები, რომელთაგან უნდა გამოვეყოთ: მონადირეთა, მეთევზეთა და მოგვიანებით, მიწათმოქმედთა თემები. ასპარეზზე გამოდის ქვის ხანის, ნეოლითის ეპოქა. იქმნება მატრიარქატი, ესე იგი ქალი ხდება მთავარი ოჯახში და სოციალურ გარემოში.

აღზრდის ორგანიზებული ფორმა არ არსებობდა, ამას ასრულებდა მთელი თემი. რა იყო აღზრდის მიზანი? ახალგაზრდის მომზადება ცხოვრებისათვის. ამ დროს ბავშვის ქცევაში დიდ როლს ასრულებდა თამაში.

როცა არსებობდა თემური საზოგადოება, მისი პრინციპი იყო თანასწორობა. ცივილიზაციის სათავე ეს არის ახლო და შორეული აღმოსავლეთი. პირველად გაჩნდა სკოლები, რომლებსაც „ფირფიტების სახლი“ ერქვა. მანამ კი სწავლის გავრცელებული ფორმა იყო საოჯახო აღზრდა. სურათებით წერა იცვლება ლურსმული (სოლისებრი) დამწერლობით და უკვე აუცილებელია მასწავლებლის არსებობა.

რას ამზადებდა სკოლები? გადამწერებს და მათ საზოგადოება პატივს სცემდა.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სწავლა და განათლების მიღება მხოლოდ მდიდრებს შეეძლო. მოგვიანებით სკოლები დამოუკიდებელ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად გადაიქცნენ.

ყოველივე ამან მოამზადა საფუძველი პედაგოგიკის და უკვე ვხვდებით განათლების ხუროთმოძღვრებს იან კომენსკის, ჟან ჟაკ რუსოს, ჰერბარტს, ჯონ ლოკს.

მათი შეხედულებები საგანმანათლებლო პროცესზე, ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებზე, საოჯახო აღზრდაზე, მასწავლებელზე, სწავლების და აღზრდის

მეთოდებზე ფასდაუდებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე სკოლა ვითომ არ იყენებს მას. სინამდვილეში კი არის ძველი და ახალი რაღაც გაუგებრად შეფუთული.

როგორც უკვე ავლინებთ, საზოგადოებამ და ადამიანთა მოდგმამ ცხოვრების გრძელი და რთული გზა გაიარა. ეს გზა ძალიან კარგად აქვს მოცემული იუვალ ნოახ ჰარარს თავის ბესტსელერში: „საპიენსი - კაცობრიობის მოკლე ისტორია“, სადაც მწერალი აღნიშნავს, რომ დედამიწაზე ცხოვრობდა სხვადასხვა სახეობის ადამიანი.

ისინი ანუ ნეანდერტალელები, ზოგი თეთრკანიანი იყო, ზოგი ქერათმიანი, ფერადკანიანი და შავკანიანი.

გერმანიაში, ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვეს სპილოს ძვლის ქანდაკება. მას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქანდაკება. პირველი შინაური ცხოველი აღმოჩენილია ისრაელში. ნაპოვნია ნახატი ლასკოს მღვიმეში. ეს ნახატი ძალიან ბევრს გვეუბნება უძველეს ადამიანზე. არგენტინაში არსებობს ხელების გამოქვაბული. ბევრი შეეცადა მის ახსნას, მაგრამ ვერ შეძლო.

როცა ვსაუბრობთ კაცობრიობის განვლილ გზაზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ ბერძნულ მითოლოგიას. „პლატონი“ ძალიან საინტერესო წიგნია თამარ-ბარბარე თომასის ავტორობით, გვაწვდის ძალიან საინტერესო მასალას.

წიგნი იწყება ბერძენი ფილოსოფოსების სურათებით და საინტერესო ციტატით: „თუ კი ოდესმე შემდგარა ფილოსოფოსის და ტირანის დიალოგი, მეტწილად ტრაგიკულად დამთავრებულა“. ასე დამთავრდა პლატონის და სირაკუზელი ტირანის დიონისოს უფროსის დიალოგიც.

დიონისოსი: „მითხარი, ვინ არის შენი აზრით კაცთა შორის ყველაზე ბედნიერი?“

პლატონი: „სოკრატეა კაცთა შორის ყველაზე ბედნიერი?“

დიონისოსი: „მითხარი, რა არის ცხოველის ამოცანა?“

ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამბობს: „ათენი ჰეტერას ჰგავდა, მისი სილამაზით მოხიბლულნი გაშმაგებით ცდილობდნენ დაეუფლებინათ იგი, მაგრამ არავინ იყო მასზე დაქორწინების მსურველი“.

ბერძნულმა ფილოსოფიამ ძალიან დიდი გააკეთა მსოფლიო კულტურაში და ცივილიზაციაში. რომელი ერთი დავასახელო: სოკრატეს საუბრები, პლატონის სიბრძნე, არისტოტელეს ფილოსოფიური ქადაგებები, დემოსტენე, დემოკრიტე, პითაგორა, დიოგენე.

ესენი არიან ისინი, ვინც განავითარა მეცნიერებები, რომ არა ესენი, არ იქნებოდა თანამედროვე კულტურა, მეცნიერება. ბერძნულმა ფილოსოფიამ მისცა დასაბამი არაერთ ცივილიზაციას, რომლითაც ამაყობს მსოფლიო აზროვნება.

უნდა ავლინებოთ, რომ ამასვე ამბობს მწერალი ჰერასიც. ის ამბობს, რომ: „საპიენსისთვის ცხოვრება უფრო კომფორტულია, ვიდრე თანამედროვე ადამიანისთვის“.

დღევანდელი მდიდარი საზოგადოების ადამიანები კვირაში 40-45 საათს მუშაობენ, განვითარებად ქვეყნებში - 60-80 საათს, ხოლო საპიენსი 35 საათს მუშაობდა.

საპიენსს რჩებოდა დრო ბავშვებთან თამაშის, ურთიერთობის, დაფიქრების, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის.

თანამედროვე ადამიანი ყოველივე ამას მოკლებულია. მას დაავიწყდა, რა არის ურთიერთობა. მან იცის, რომ მის შვილებს, ოჯახს თანხა სჭირდება და ამისათვის ყველაფერს აკეთებს. მაგრამ მაინც გაუცხოებულია არამარტო შვილთან, მეუღლესთან, მეგობართან, ნათესავთან, არამედ საკუთარ თავთანაც.

მოვიყვან მაგალითს, რომელიც ჰერას აქვს მოყვანილი თავის წიგნში: „ოცდაათი ათასი წლის წინ ჩინელი შემგროვებელი ქალი სხვა ქალებთან ერთად გადიოდა სახლიდან, აგროვებდა სოკოს, საუბრობდნენ და ბევრი დრო რჩებოდათ. როცა საკვებს გააკეთებდნენ და საოჯახო საქმეს მორჩებოდნენ“.

დღეს, ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ადამიანს, ქალს დრო არ რჩება, დაღლილი, გამოღუული, აგრესიული იბრძვის თავისი და საკუთარი ოჯახის გადასარჩენად.

ჰომოსაპიენსმა ბევრი რამ გააკეთა, როგორც ჰარარი აღნიშნავს, მან დაამთავრა ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

ამდენად, ადამიანის განვითარების გზა, რთული და ამოუცნობი, როგორც თავად ადამიანი.

ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები იკვლევენ ადამიანს, უნდათ მათ არსში ჩაწვდომა. რა თქმა უნდა, ბევრი გაკეთდა ამ მხრივ, მაგრამ ჯერ მანც გზაშია ეს კვლევა.

ჰომოსაპიენსმა შეუძლებელი შეძლო. არ იყო იოლი და არც საკუთარი სურვილებიდან გამომდინარე, ის იყო იძულებითი, ძალდატანებითი და აუცილებელი.

რა იქნება მომავალში, „უკვე ტექნიკურ ადამიანს აქვს გასაკეთებელი ბევრი რამ“.

### ლიტერატურა

იუვალ ნოახ ჰარარი „საპიენსი. კაცობრიობის მოკლე ისტორია. სულაკაურის გამოცემა, 2020 წ.

რევაზ ბალანჩივაძე „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019 წ.

ი.ბასილაძე, ქ.ძოწენიძე, ნ.ჭოხონელიძე „განათლების, სწავლა-სწავლების და აღზრდის საკითხები“, ქუთაისი, 2021 წ.

**Nino Sokhadze**

Akaki Tseretli State University

Kutaisi, Georgia

Nino.sokhadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.41>

### **Homo-sapiens' role of developing mankind**

#### Abstract

Mankind has the difficult and interesting way of developing. This way was not easy, pleasant it was compulsory. The first man was various as the author has written in his book “Homo sapiens”.

The first man could change as natural areal as human consciousness.

This began when appeared a fire and this fallowed a lot of changes.

The greatest change was when people began thinking and he could start food, clothes exist.

Today we live the period of “Technological revolution”. When human and technics changed places.

What is the result? Human forgot thinking and in this period is the problem of individual and increase massive human.

The author finished his book with these words: “Human exist is very difficult”.

**Key words:** Homo-sapiens, Mankind

## მაკა სუსარიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

makamakasusareishvili@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.42>ექსპლიციტური რეფერენციის მხატვრული ფუნქცია ორჰან ფამუქის  
რომანში „წითური ქალი“

**საკვანძო სიტყვები:** ინტერტექსტუალობა, პოსტმოდერნიზმი, რეფერენცია, ექსპლიციტური მითითება.

ორჰან ფამუქის რომანი „წითური ქალი“ ლიტერატურული მითების საფუძველზე შექმნილი რომანია, რომელიც აღმოსავლური და დასავლური კულტურების ორი უდიდეს მითის გადამუშავებას წარმოადგენს და რომელიც სავსეა ინტერტექსტუალური ელემენტებით. ნაწარმოებში მითის განახლება, გაცოცხლება და მისი ახალ კონტექსტში მოთავსება ხდება თანამედროვე ცნობიერების ფარგლებში და ავტორი გვთავაზობს მითების ახლებურ ინტერპრეტაციას. ის ახდენს ნაცნობი სიუჟეტების ახლებურ გადათამაშებას, იყენებს კოლექტიურ არაცნობიერს – არქეტიპულ მეხსიერებას. ამგვარად, ორჰან ფამუქი მრავალხმიანი თხრობით მრავალშრიანი სტრუქტურის რომანს ქმნის, რომელიც ხიდია აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურებს შორის.

რომანი „წითური ქალი“ პოსტმოდერნისტულია, მასში პოსტმოდერნული რომანის ბევრი მახასიათებელი ვლინდება. ესენია: ინტერტექსტუალობა, მეტაფიქცია, რეალური ცოდნის დეფორმაცია, პლურალიზმი. ნაწარმოებში ინტერტექსტუალური დისკურსის ერთ-ერთ მეთოდს ექსპლიციტური რეფერენცია წარმოადგენს.

რეფერენცია ტექსტებს შორის მიმართების დამყარების მეთოდია, მითითების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ნაწარმოების სათაური, სტატიის სათაური, ავტორის სახელი. კუბილაი აქტულუმის სიტყვებით, ტექსტიდან ციტირების გარეშე მკითხველი იგზავნება პირდაპირ სხვა ტექსტზე. გარდა ამისა, რეფერენტი განიხილება როგორც გვერდითი ტექსტი (paratexte) ტექსტში (Aktulum 2000, 101-102).

ორჰან ფამუქი „წითურ ქალში“ სხვა ნაწარმოებებთან ურთიერთობას ძირითადად რეფერენტული მეთოდით ამყარებს. ინტერტექსტები, რომლებზეც ავტორი ამჟამად მიუთითებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ძირითადი ტექსტის ჩამოყალიბებაში.

„წითურ ქალში“ გამოყენებული უმნიშვნელოვანესი ინტერტექსტებია ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს ტრაგედია „მეფე ოიდიპოსი“ და აღმოსავლური ეპოსის უმნიშვნელოვანესი ძეგლი ფირდოუსის „შაჰნამე“.

რომანში „წითური ქალი“ მთავარი გმირი ჯემი ბერძენი მეფის ოიდიპოსის ისტორიას ასე უყვება ოსტატ მაჰმუდს:

„ოიდიპოსმა, რომელსაც წარმოადგენა არ ჰქონდა, რომ ხიდზე ჩხუბისას თავის მშობელი მამა, თებეს ხელმწიფე შემოაკვდა, მკვლელის მოძებნა ბრძანა. მცდელობა არც თვითონ დაუკლია. რაც უფრო ღრმად იკვლევდა, ხვდებოდა, რომ მამის მკვლეელი თავად იყო, მაგრამ ამაზე უარესი ელოდა – იმის გაგება, რომ ცოლად საკუთარი დედა ჰყავდა. როცა მიხვდა, რომ დედასთან იწვა, ოიდიპოსმა საკუთარი ხელით თვალები დაითხარა, შემდეგ კი იქაურობა მიატოვა და სხვა ქვეყანაში გადაიხვეწა“ (ფამუქი 2017,44).

ავტორი ამ ამბის მოყოლით მკითხველს პირდაპირ აგზავნის ბერძნული ტრაგედიის გმირთან. ამგვარად მწერალი აჩვენებს გზას, თუ როგორ განვითარდება მისი ტექსტი. ეს არის პირდაპირი მითითება იმაზე, რომ ჯემი ოიდიპოსის ბედს გაიზიარებს, იგი მკვლელი გახდება. რომანის შემდეგ ნაწილში ჯემისა და ოიდიპოსის ურთიერთობა პერსონაჟის გონებაში ასეა წარმოდგენილი: „ რელიგიურ თქმულებებს, წმინდა ყურანიდან ამოღებულ იგავებს ოსტატი მაჰმუდი ჭკუის სასწავლებლად მიყვებოდა, რაც არ მომწონდა. მეც სამაგიეროდ, ოიდიპოსის ამბავი ვუამბე, ბოლოს კი ამ ტრაგედიის გმირვით მოვიქეცი. ამის გამო აღმოჩნდა ოსტატი მაჰმუდი ჭის ფსკერზე - მოთხრობის, ლეგენდის გამო (ფამუქი 2017, 111)

შემდეგი ინტერტექსტი, რომელზეც ექსპლიციტურად მიუთითებს მწერალი, არის ფირდოუსის „შაჰნამე“. მთავარი გმირი ჯემი და მისი მეუღლე „შაჰნამეს“ ერთად კითხულობენ იმ ამბების დასავიწყებლად, რაც ჯემს თავს გადახდა. როსტომის ისტორია იდენტიფიცირებულია ჯემის ისტორიასთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწარმოების მეორე ნაწილში ჯემი ავლენს მზაობას შვილის მოსაკლავად, განსხვავება ის არის, რომ როსტომთან გაუცნობიერებელი მკვლელობაა, ჯემთან – გაცნობიერებული განზრახვა. ჯემი არის ორმაგი ბუნების პერსონაჟი. იგი იმეორებს ოიდიპოსის ისტორიას და ამით გამოხატავს დასავლურ კულტურასთან თანაზიარობას, მეტოქეობას მამასთან, აღმოსავლური კულტურის მახასიათებელი, მამის დომინანტობა კი იკვეთება „შაჰნამესთან კავშირში“.

რომანში ინტერტექსტუალური კავშირები აღნიშნულ ორ ნაწარმოებთან ღია რეფერენციით ხორციელდება, ნაწარმოებში ერთზე საუბრისას მეორე შეგნებულად არის ნახსენები ისინი ერთმანეთთანაა შედარებული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომანი ამ ორ ძირითად ნარატივზეა აგებული.

„ოიდიპოსის“ და „შაჰნამეს“ შემდეგ „წითური ქალში“ ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ტექსტი ყურანია. ორჰან ფამუქი თხრობას ამდიდრებს და აძლიერებს ყურანის სხვადასხვა აიების გამოყენებით. ნაწარმოებში ყურანის შესახებ პირველი მითითება არის წინასწარმეტყველ იოსების იგავი, რომელსაც ოსტატი მაჰმუდი უყვება ჯემს რომანის პირველი ნაწილის მერვე თავში:

„ჭის თხრის დაწყებიდან ერთი კვირის თავზე, ერთ საღამოს ოსტატმა მაჰმუდმა მშვენიერი იოსებისა და მისი ძმების ამბავი მიაშო. ყურადღებით მოვისმინე, როგორ უყვარდა მამას შვილებიდან ყველაზე მეტად იოსები, როგორ შურდათ ამის გამო ძმებს მისი და როგორ ჩააგდეს მოტყუებით ჭაში. ოსტატის დასკვნა სამუდამოდ დამამახსოვრდა.

-ჰო, იოსები ლამაზი და ძალიან ჭკვიანი იყო, მითხრა მან, – მაგრამ მამას შვილები არ უნდა გაერჩია. მამა სამართლიანი უნდა იყოს. უსამართლო მამა შვილს აბრმავებს“ (ფამუქი 2017, 39).

იოსები, რომელსაც მითითება ეხება, ისლამის ერთ-ერთი წინასწარმეტყველია. მის ისტორიას ყურანში ეთმობა მეთორმეტე სურა და მეექვსე აია. სურა მოგვითხრობს იოსების ცხოვრებაზე. მამის დამოკიდებულებამ იოსების მიმართ მისი ძმების შური და ეჭვიანობა გამოიწვია. ძმები, რომლებიც დედით სხვადასხვანი იყვნენ, გადაწყვეტენ მის მოკვლას, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრებენ და მას ჭაში აგდებენ. მამას კი ეუბნებიან, რომ იოსები მგელმა დაგლიჯა. წინასწარმეტყველი იაკობი, რომელსაც სჯერა, რომ იოსები მოკვდა, სევდიანდება და მონატრების გამო მხედველობას კარგავს. იოსებს ქარავანი გადაარჩენს, იგი ეგვიპტეში მოხვდება, დიდებულზე მონად გაიყიდება. აქ ცილისწამების გამო საპყრობილეში ჩასვამენ. იოსები ეგვიპტის მეფის სიზმრის ახსნის შედეგად საპყრობილედან გამოდის და მაღალ თანამდებობაზე ინიშნება. და ბოლოს, იგი მოგვითხრობს წინასწარმეტყველ იაკობის თვალების გახელასა და წინასწარმეტყველ იოსების მამასთან და ძმებთან ხანგრძლივი განშორების შემდეგ შეერთების შესახებ.

ყურანის ტექსტზე მითითებით ორჰან ფამუქს სურს გვითხრას, რომ მამა უნდა იყოს სამართლიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დაისჯება.



ამ სურის მოხსენიებით ნაწარმოებში და მასზე მითითებით (რეფერენციით) ორჰან ფამუქი ზემოთ მოხსენიებული ორი ტექსტისგან განსხვავებულ განზომილებას ჰმატებს მამა-შვილის ურთიერთობას, რაც მისი რომანის მთავარი თემაა. ამგვარად იგი აფართოებს და აძლიერებს ღირებულების/სამართლიანობის მნიშვნელობის ველს თხრობაში.

ნაწარმოებში კიდევ ერთი ექსპლიციტური მითითება ეხება რელიგიურ იგავს, წინასწარმეტყველ აბრაამის შესახებ. ამჯერად იგავს თეატრალური პიესის მსახიობები აცოცხლებენ:

„იბრაჰიმი დიდხანს ემუდარა ალაჰს, რომ მისთვის შვილი მიეცა. ბოლოს, როგორც იქნა, ვაჟი შეეძინა. ამასობაში ბიჭი გაიზარდა. იბრაჰიმმა მსახიობი ბავშვი – თავისი ვაჟი – ძირს დააწვინა, ყელზე დანა მიაბჯინა და წარმოთქვა გულში ჩამწვდომი სიტყვები მამაშვილობასა და მორჩილებაზე, რომლებმაც ყველაზე იმოქმედა (ფამუქი 2017,77).

წინასწარმეტყველი აბრაამის შვილის მსხვერპლად შეწირვის იგავს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იუდაიზმში, ქრისტიანობასა და ისლამში. იგავი მოთხრობილია ყურანის 37-ე სურის 99-ე და 109-ე აიებში. წინასწარმეტყველმა აბრაამმა თქვა: „უფალო ჩემო! ვაჟიშვილი მაჩუქე და მართალთა შორის ჩაითვალოს. ლოცვის მიღების შემდეგ მას კეთილზნაის ვაჟის შეძენა ვაუწყეთ“ (ყურანი მუჰამადისა 2022 გვ.). როცა გადადგა მოწიფულობის ხანაში და მამასთან ერთად სირბილის ასაკს მიაღწია, აბრაამმა ნახა სიზმარი: „შვილო ჩემო, მესიზმრა, ვითომცა შენი თავი მსხვერპლად შევქსწირე ღმერთსა, ცოტა განსაჯე, რას ფიქრობ? მამილო! ქმენ, რაც გებრძანება; თუ ღმერთმა იპრიანა, იხილო, ბედისწერა მტკიცედ ავიტანო. ხოლო როცა ორივენი ღვთის ნებას მიენდვენ და აბრაამმაც პირქვე მიწაზე წამოაწვინა იგი, ხმა ვყავთ მისდამი: აბრაამ! შენს ჩვენებას ერწმუნე შენ, ხოლო აი, როგორ დავაჯილდოებთ ქველთა (ყურანი მუჰამადისა 2022,25).

აბრაამის იგავით ნაჩვენებია მამის სისასტიკე, ასევე ნაციონალური იდენტობის განმსაზღვრელი ნიშნები – მორჩილება რელიგიისა და ტრადიციისადმი.

ორივე იგავით ნაჩვენებია მამა-შვილის ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც ორჰან ფამუქი მიგვანიშნებს კონფლიქტის შესახებ, იმაზე, რომ ურთიერთობა ჯგერსა და ოსტატ მაჰმუდს შორის მარტივი არ იქნება. ეს კი თავისთავად მეტყველებს სხვადასხვა კულტურულ ჭრილში დანახული კონფლიქტის სიღრმეზე.

ორჰან ფამუქი დიალოგში შედის სხვადასხვა მწერლებთან.

1985 წლის ზაფხულში ჯემი კითხულობს შემდეგ წიგნებს: ჟიულ ვერნის კლასიკურ სამეცნიერო-ფანტასტიკურ რომანს „მოგზაურობა მსოფლიოს ცენტრისკენ“ და ედგარ ალან პოს მოთხრობებს, პოეტურ ანთოლოგიებს, რომანებს, ოსმალთა მეომრების თავგადასავლებს და ზიგმუნდ ფროიდის კრებულს „თქვენი სიზმრები და ცხოვრება“. ეს ტექსტები რეფერენტ-ტექსტებთან მეტაფიქციურ კონტექსტშია. ენვერი „მამამისივით მათ წაიკითხავდა, მიხვდებოდა, მამამისი ახალგაზრდობაში რაზე ფიქრობდა და თავს მის ადგილას წარმოიდგენდა“ (ფამუქი 2017,232).

გარდა ამისა, ნაწარმოებში მოხსენიებულია ალადინის ჯადოსნური ლამპარი, ახლოაღმოსავლური წარმოშობის ხალხური ზღაპარი. ინტერტექსტუალური მარკერების როლს თამაშობენ შემდეგი წიგნებიც: „სირანო დე ბერჟერაკი“ – ცნობილი სასცენო პიესა, დაწერილი ფრანგი პოეტისა და დრამატურგის ედმონდ როსტანის მიერ; „ჰამლეტი“ – ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის უილიამ შექსპირის პიესა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახელი, ფრაზით „ყოფნა-არყოფნა“ და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლის ფიოდორ დოსტოევსკის რომანები „ძმები კარამაზოვები“ და „იდიოტი“.

დიქოტომიური წყვილები, დილემები, მამის ლოიალობა - ავტორიტეტი, აჯანყება, ტრადიცია-ინდივიდუალიზმი, მოდერნიზაცია-რელიგია, მამა-ერთგულეობა, დასავლეთ-აღმოსავლეთი, მამა-შვილი, ოსტატი-მოწაფე გვხვდება „ძმები კარამაზოვებში“ და წარმოადგენს „წითური ქალის“ ინტელექტუალურ ხერხემალს.

„ჩემი საცოლისთვის დაბადების დღის საჩუქრად დოსტოევსკის „მეზობელი კარამაზოვების“ ახალი თარგმანის ყიდვას ვაპირებდი, მაგრამ, როცა დავინახე, რომ მას წინასიტყვაობად ფროიდის წერილი უძლოდა, სადაც ის დოსტოევსკისა და მამის მკვლელობის განხილვისას ოიდიპოსსა და ჰამლეტსაც ეხებოდა, თავზარდაცემულმა წერილი იქვე წავიკითხე, წიგნი თაროზე დავაბრუნე და მის ნაცვლად „იდიოტი“ ვუყიდე, რომელსაც გულუბრყვილო და უმანკო მთავარი გმირი ჰყავს“ (ფამუქი 2017,115).

ნაწარმოებში იმავე კონტექსტშია მოხსენებული ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო. ენვერის თქმით: „თანამედროვე ადამიანი ქალაქის ტყეში გზააბნეული ადამიანია. ეს კი უმამობას ნიშნავს. თუმცა მამების ძებნაც ფუჭი საქმეა. თუ ადამიანი თანამედროვე ინდივიდია, ქალაქის ხალხმრავლობაში მამას ვერ მიაგნებს. მიაგნებს და ინდივიდი ვეღარ იქნება. მოდერნიზმის ფრანგმა გამოგონებელმა ჟან-ჟაკ რუსომ ეს მშვენივრად იცოდა. ოთხი შვილიც განგებ მიატოვა, თანამედროვეები რომ ყოფილიყვნენ. მათთვის მამობა არ გაუწევია. რუსო შვილების ბედით არც დაინტერესებულა, ერთხელაც არ მოუკითხავს“ (ფამუქი 2017,201).

როგორც ცნობილია, ჟან-ჟაკ რუსოს მოახლე ტერეზა ლევეასერისაგან ჰყავდა ხუთი შვილი. ბავშვები ჟან-ჟაკ რუსომ თავშესაფარს გადასცა, რასაც სიღარიბით ხსნიდა. რომანში ასევე ნახსენებია გერმანელი ფილოსოფოსი და მწერალი ფრიდრიხ ნიცშე.

„წითურ ქალში“ გვაქვს ისეთი რეფერენციები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია „მეფე ოიდიპოსთან“ და „შაჰნამესთან“ და ასევე რეფერენციები, რომელთაც საერთო არფერი აქვთ აღნიშნულ მითებთან. მაგალითად, ასეთია გერმანელ-ამერიკელი მწერლისა და პოლიტიკოსის კარლ ვიტფოგელის მონოგრაფია სახელწოდებით „აღმოსავლური დესპოტიზმი“, რომელიც ეხება არა ოჯახურ ურთიერთობებს, არამედ მმართველობის ავტორიტარულ რეჟიმს.

ორჰან ფამუქი ნაწარმოებში ზოგჯერ მკაფიო ექსპლიციტურ მითითებებს მიმართავს მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ავტორის ნაწარმოების სახელის ხსენებით, ზოგჯერ სიუჟეტის ან პერსონაჟების გამოყენებით.

ექსპლიციტური მითითებების მხატვრული ფუნქცია ტექსტის თემატური სიღრმის წარმოჩენა და ნარატივის გამდიდრებაა. რეფერენციის საშუალებით ავტორი ამრავალფეროვნებს რომანის ინტელექტუალურ ლანდშაფტს, ქმნის იდეების და ფორმების მიდიდარ გობელინს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ინტელექტუალურ ისე ემოციურ დონეზე. ექსპლიციტური მითითება ემსახურება პერსონაჟის ხასიათის გახნას და არის პერსონაჟის ქმედების განმსაზღვრელი.

### ლიტერატურა:

1. ფამუქი.ო. 2017. „წითური ქალი“ თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2. ფუკო, მ. 2004. „სიტყვები და საგნები“. თბილისი: დიოგენე.
3. Aktulum, K. 2000. *Metinlerarası İlişkiler*, Öteki Yayınevi, Ankara.
4. Ecevit, Y. 1996. „Orhan Pamuk“u Okumak, *Gerçek Yayınevi*. 1. Baskı, İstanbul.
5. Ecevit, Y. 1996. „Orhan Pamuk'un Romanlarında „Ana Bileşenler““. Varlık, Sayı: 1063. Nisan, İstanbul
6. Ecevit, Y. 2001. *Türk Romanında Postmodernist Açılımlar*. İstanbul: İletişim Yay.
7. Moran, B. 1999. Edebiyat Kuramları ve Eleştirisi, BASIM 1-27. BASKI 1999-2017, İstanbul .
8. Parla, J. 1995. „Sanat ve Yaşam Paradoksunda Bir Genç Adamın Sanatçı Olarak Portresi: Yeni Hayat““. Varlık, Sayı: 1049, Şubat, İstanbul.

**Artistic Function of Explicit Reference in Orhan Pamuk's Novel  
„The Red Haired Woman”**

**Abstract**

The novel 'The Red-Haired Woman' is of postmodernist nature, including intertextuality, metafiction, deformation of reality, and pluralism. Explicit referencing is one method of intertextual discourse employed within the work. The artistic function of explicit reference serves to deepen thematic complexity and enrich the narrative. By incorporating explicit references, the author enhances the intellectual landscape of the novel, fostering a deep conceptual dialogue and enabling readers to engage with a diverse array of textual elements. This multifaceted approach not only enriches the reader's understanding but also enhances the novel's accessibility."

**Key words:** postmodernism, intertextuality, reference, explicit reference

**საბა ტაველიშვილი, ვიქტორ ჩიკაიძე**

ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
[saba.tavelishvili@iliauni.edu.ge](mailto:saba.tavelishvili@iliauni.edu.ge)  
[viktor.chikaidze@iliauni.edu.ge](mailto:viktor.chikaidze@iliauni.edu.ge)  
<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.43>

**საქართველო თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები  
1990-92 წლებში**

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, თურქეთი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აღიარება, ჰიქმეთ ჩეთინი,

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები (კომუნისტი, 1990). ამავე წლის 14 ნოემბერს კი გაიმართა, ქვეყნის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელზეც საქართველოს უზენაეს საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია (ახალგაზრდა ივერიელი, 1990). დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება არჩეულ იქნა ისეთ დროსა და ისეთ პირობებში, როდესაც საქართველო ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა საბჭოთა იმპერიალიზმმა.

ახალ პოსტზე ზვიად გამსახურდიას მიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო. სწრაფად მიმდინარეობდა ეკონომიკური ვარდნა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1990 წელს საქართველოს ეკონომიკა 14.8 პროცენტით შემცირდა, 1991 წელს 21.1 პროცენტით, ხოლო 1992 წელს ისტორიული ნიშნულს -44.9 პროცენტს მიაღწია (The World Bank, 2023). პრობლემები იყო მწვავედ პოლარიზებულ საზოგადოებაშიც. 1989 წელს საქართველოში ორმოცდაათამდე პოლიტიკური ორგანიზაცია არსებობდა (შველიძე, 2008). რაც თავისთავად მიუთითებს საზოგადოების პოლიტიკურ სიჭრელეს.

საინტერესოა შექმნილი საერთაშორისო ვითარებაც. დასავლეთი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს არ აღიქვამდა როგორც საბჭოთა კავშირის ნაწილს. განსხვავებული მიდგომა იყო სხვა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მიმართ. ამის დასტურია აშშ-ს ექს-პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის არაოფიციალურ ვიზიტი თბილისში, რომელიც 1991 წლის 29 მარტს შედგა. ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრისას ნიქსონმა ხაზი გაუსვა, ვიზიტის არაოფიციალურ ხასიათს და განმარტა, რომ მისი საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანი იყო ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გაცნობა (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი, 1991). ძალზედ საყურადღებოა, აგრეთვე ჯორჯ ბუში უფროსის ვიზიტი უკრაინის დედაქალაქ კიევში. ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლას უკრაინაში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა, როგორც საერთაშორისო დონეზე ასევე საბჭოთა რესპუბლიკებშიც. ჯორჯ ბუშის კიევში გამოსვლა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ შემდეგნაირად შეაფასა - „ჯორჯ ბუში მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას?“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1990:1).

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა საერთაშორისო პირობებმა, აგრეთვე კავკასიაში არსებულმა ახალმა ვითარებამ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დიდი ცვლილებებს შეუწყო ხელი. თურქეთისთვის დიდი

მნიშვნელობის მოვლენა ამ პერიოდში იყო ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის თურქულენოვანმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადა.

არსებული საშინაო თუ საგარეო გამოწვევების ფონზე საჭირო და აუცილებელი გახდა საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობა, უნდა დაკომპლექტებულიყო მთავრობა და შექმნილიყო შესაბამისი სამინისტროები. დამოუკიდებელი ბიუროკრატიული აპარატის შექმნა აუცილებელი წინაპირობა იყო საერთაშორისო საზოგადოებასთან მაღალი დონის ოფიციალური ურთიერთობების დამყარების საქმეში.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოში გაიმართა რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც დააკომპლექტა სამინისტროები და მინისტრთა კაბინეტი. დადგენილების მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა გიორგი ხოშტარია (ახალგაზრდა ივერიელი, 1990). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ სრულად გადაიბარა საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა შენობა, დოკუმენტაცია და მთელი მატერიალური ქონება. ახლადშექმნილი საქართველოს დიპლომატიური კორპუსი იძულებული გახდა საკუთარი ძალებით, პირადი კონტაქტებითა და შეზღუდული სახსრებით დაემყარებინა ურთიერთობები უცხოეთის ქვეყნებთან. ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების დაკომპლექტებაში თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმაც.

საერთაშორისო არენაზე შექმნილმა ვითარებამ, ასევე ისტორიულმა, კულტურულმა და ეკონომიკურმა ასპექტებმა მთავარი როლი ითამაშეს, რომ საქართველოს ახლადშექმნილ დიპლომატიურ სამსახურს ძალისხმევა მიემართა, რეგიონისა და სხვა ქვეყნებთან, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისკენ. ვინაიდან თბილისში არ არსებოდა უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობები, ამიტომ პირველი ოფიციალური კონტაქტები უცხო ქვეყნის დიპლომატიურ მისიებთან, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკასთან დამყარდა მოსკოვში მდებარე საელჩოს საშუალებით.

პირველი სატელეფონო კონტაქტი თურქეთის საელჩოსთან მოსკოვში, შედგა 1991 წლის თებერვლის ბოლოს. სატელეფონო საუბრის მიზანს წარმოადგენდა შეხვედრის ორგანიზება თურქეთის საელჩოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პირებს შორის. ამავე წლის 3 მარტს, სამინისტროს ორკაციაანი დელეგაცია (მინისტრის მრჩეველი ვიქტორ ჩიკაიძე და პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კონსტანტინე ჟღენტი) შეხვდა თურქეთის ელჩს მოსკოვში ვოლკან ვურალსა და საელჩოს დესპანს ჰალილ აქინჯის. საუბარი შეეხო საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ასევე საქართველოს სწრაფვას დაემყარებინა თურქეთთან დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერთობები. შეხვედრის შედეგი იყო, რომ თურქეთის მთავრობამ განიზრახა დეტალურად შეესწავლა საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური ვითარება და მოემზადებინა რეკომენდაციები საქართველოს საერთაშორისო სუბიექტად ცნობის საკითხზე. (ვ. ჩიკაიძე, ინტერვიუ 2024)

აღნიშნულმა შეხვედრამ ბიძგი მისცა თურქეთისა და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლების ორმხრივი ვიზიტების განხორციელებას. მათ შორის აღსანიშნავია 1991 წლის ოქტომბრის ბოლოს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის (დიდი ეროვნული კრება) და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი დაემთხვა იმ დროს, როდესაც 1991 წლის ცნობილი 2 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მთლიანად საქართველოში და თბილისში სუფევდა სრული პოლიტიკური ანარქია. დელეგაციის მთავარი ამოცანა იყო საბოლოო დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცნობის საკითხზე. დელეგაციას ხელმძღვანელობდა თურქეთის

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რანგით ელჩი, ისმეთ ბირსენი. დელეგაციის წევრებმა პირველი შეხვედრა გამართეს საქართველოს პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან. შეხვედრამ უაღრესად გულთბილ გარემოში ჩაიარა. ამის შემდგომ დელეგაციის წევრები შეხვდნენ, აგრეთვე მაშინდელი ოპოზიციის წარმომადგენელს თენგიზ სიგუას და უკვე ოპოზიციაში მყოფ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს გიორგი ხოშტარას. (ვ. ჩიკაიძე, ინტერვიუ 2024)

დელეგაციის მიერ მომზადებული საბოლოო დასკვნის ტექსტი სამეცნიერო წრეებისთვის უცნობია, თუმცა აშკარაა მისი დადებითი შინაარსი, ამის დასტურია 1991 წლის 16 დეკემბერი, როდესაც აღნიშნული დელეგაციის ვიზიტის შემდეგ მოკლე დროში, თურქეთის რესპუბლიკამ საქართველო ოფიციალურად აღიარა, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. 1991 წლის 17 დეკემბერს, ქვეყნებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სატელეფონო კავშირის დამყარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთის მხარე იღებდა ვალდებულებას საქართველოსთვის გამოეყო სპეციალური აპარატურა და სადგურები (საქართველოს რესპუბლიკა, 1991). ამ შეთანხმებით საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებელი საერთაშორისო სატელეფონო კავშირი, რის შედეგადაც ქვეყანა ჩამოსცილდა მოსკოვის ცენტრალიზებულ სისტემას. ფაქტობრივად თურქეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ ქართულ ინსტიტუციებს, საშუალება მისცა დამოუკიდებლად დაემყარებინათ საერთაშორისო სატელეფონო კავშირი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილთან. საქართველოს ცნობის შემდგომი ნაბიჯი იყო უშუალო დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური გაფორმება მხარეთა შორის, რომელიც განხორციელდა 1992 წლის 21 მაისს. ამ დღეს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი. ვიზიტს საქართველოს ისტორიაში „ისტორიული მოვლენა ეწოდა“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1992:1). ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1992 წლამდე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, მართალია შეზღუდული რაოდენობისა და შინაარსის, მაგრამ მაინც არსებობდა ხელმოწერილი პროტოკოლები: „საბჭოთა საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროსთან 1990-1992 წწ. თანამშრომლობის პროტოკოლი“ (Resmi Gazete, 1991). თურქეთის ენერგეტიკის სამსახურსა და „გრუზელავენერგოს“ შორის ხელმოწერილი „პროტოკოლი თანამშრომლობის შესახებ“ (ტრაბზონი 11.11.1991წ.); პროტოკოლი 1991-1992 წწ. საქართველოსთვის მიწოდებული ელ. ენერჯის 1992 წელს თურქეთისთვის დაბრუნების შესახებ (1992 წ. 29 აპრილი, ანკარა); „თურქეთის რესპუბლიკის და საქართველოს მთავრობებს შორის სპეციალისტთა მომზადების შესახებ“ ხელმოწერილი პროტოკოლი (თბილისი, 01.05.1991); აქვე უნდა აღინიშნოს 1991 წლის 2 მაისის ზვიად გამსახურდიას შეხვედრა საქართველოში მყოფ თურქეთის დელეგაციასთან. მრავალრიცხოვან დელეგაციაში ომყოფებოდნენ როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ასევე მოქმედი პოლიტიკოსები. ზვიად გამსახურდიასთან ერთად, შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია და საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე თედო პაატაშვილი. შეხვედრაზე მხარეთა საუბარი შეეხო დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების საკითხსაც (საქართველოს რესპუბლიკა, 1991).

აღნიშნული დელეგაცია შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას. თენგიზ სიგუამ ხაზი გაუსვა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ინიციატივის მნიშვნელობას საქართველოსთვის და მზადყოფნა გამოთქვა თანამშრომლობაზე. აქვე ხაზი გაესვა ფაქტს, რომ თურქეთის რესპუბლიკამ უკვე დაიწყო ჰუმანიტარული მისია საქართველოში მიწისძვრით

დაზარალებულთა დასახმარებლად.<sup>1</sup> საქართველოში გამოგზავნილ იქნა პურის ფქვილი, კარვები, სურსათი და საბავშვო ტანსაცმელი. თურქეთის შინაგან საქმეთა კადრების გენერალურმა დირექტორმა, შინასი კუმმა, საქართველოს რესპუბლიკის ბანკის მმართველს ვლადიმერ პატეიშვილს გადასცა პირადი თანხა რაჭაში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად (საქართველოს რესპუბლიკა, 1991).

ურთიერთობების მჭიდრო და კეთილმეზობლურ ფაზაში გადასვლის მაჩვენებელია, 1992 წლის 30 ივლისს საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ვიზიტი, რომლის დროს გაფორმდა ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელს აწერს ედუარდ შევარდნაძე, ხოლო თურქეთის მხრიდან კი სულეიმან დემირელი, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

*„აღვითქვამთ, რომ თურქეთი ყოველთვის იქნება თავისა მეზობლის გვერდით. ჩვენ ერთი საზღვარი, ერთი ზღვა, ერთი ინტერესი გვაქვს. ჩვენი გზა მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული თანამშრომლობის გზა.“* (საქართველოს რესპუბლიკა, 1992:1)

აქ სრულდება დიპლომატიური ურთიერთობების პირველი, და საინტერესო ფაზა. მცდელობის მიუხედავად, სტატიის ავტორებს არ მიეცათ საშუალება გასცნობოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცულ საჯარო საარქივო მასალებს, რომლის საშუალებითაც, ვფიქრობთ უფრო ნათლად იქნებოდა წარმოჩენილი ახალი ქართული დიპლომატიური სამსახურის პირველი ნაბიჯები და წარმატებები.

#### ლიტერატურა:

- შველიძე, დ. (2008). *პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წწ.* თბილისი: უნივერსალი
- ახალგაზრდა ივერიელი (1990, ნოემბერი 15). ისტორიული მნიშვნელობის ახალგაზრდა ივერიელი, გვ. 1
- გაზეთი კომუნისტი (1990, ოქტომბერი 28). საქართველო არჩევანის წინაშე. კომუნისტი, გვ. 1
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი, (1991, მარტი 30).
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტთან ბატონ რიჩარდ ნიქსონთან. *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ. 1
- საქართველოს რესპუბლიკა. (1990 აგვისტო 3). ჯორჯ ბუში მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას? *საქართველოს რესპუბლიკა* გვ. 1.
- ახალგაზრდა ივერიელი, (1990, ნოემბერი 25). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ დაადგინა დაინიშნოს: *ახალგაზრდა ივერიელი*, გვ. 3.
- საქართველოს რესპუბლიკა (1991, მაისი 7). მიღება საქართველოს უზენაეს საბჭოში *საქართველოს რესპუბლიკა*, გვ.1
- სეისი, (1991, დეკემბერი 17). ხელი მოაწერეს შეთანხმებას. *საქართველოს რესპუბლიკა* გვ.1

<sup>1</sup> 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში რაჭისა და იმერეთის მუნიციპალიტეტში მოხდა მიწისძვრა რომელმაც დიდი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია.

საქართველოს რესპუბლიკა (1992, მაისი 22). ისტორიული მოვლენა *საქართველოს რესპუბლიკა გვ.1*

ტაველიშვილი, ს. (2023, იანვარი 28). ინტერვიუ ვიქტორ ჩიკაიძესთან 1990-91 წლების საქართველოს

დიპლომატიურ სამსახურზე

Resmi Gazete, (1991, Ocak 26). Türkiye Cumhuriyeti Sağlık Bakanlığı ile Gürcistan Sovyet Sosyalist Cumhuriyeti Sağlık Bakanlığı arasında, tıp ve sağlık alanında 1990-1992 yıllarına ilişkin işbirliği protokolü yapılmıştır. *Resmi Gazete*, 2:7

The World Bank. (2023). GDP Growth (Annual %) – Georgia. მოძიებული:

<https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?end=2022&locations=GE&start=1990>

**Saba Tavelishvili**

**Viktor Chikaidze**

Ilia State University, G.Tsereteli Institute of Oriental Studies

[saba.tavelishvili@iliauni.edu.ge](mailto:saba.tavelishvili@iliauni.edu.ge)

[viktor.chikaidze@iliauni.edu.ge](mailto:viktor.chikaidze@iliauni.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.43>

## **Diplomatic relations between Georgia and Turkey in 1990 - 92**

### **Abstract:**

Following the multi-party elections in Georgia in 1990, Zviad Gamsakhurdia assumed the role of chairman of the Supreme Council. The impact of the Soviet imperialist policy on Georgia led to severe consequences, including a rapid economic decline and the creation of a diverse and polarized society. The institutionalization of the government and the appointment of staff faced significant challenges. The Russian Federation, as the legal successor of the Soviet Union, took over the material and technical base, as well as the property of diplomatic missions located abroad.

On November 22, 1990, in Georgia ministries were appointed, with Giorgi Khoshtaria taking on the role of Minister of Foreign Affairs.

Despite the official signing of diplomatic relations between Georgia and Turkey on May 21, 1992, it is noteworthy to explore the contacts that predated this event. These interactions played a pivotal role in influencing the Turkish government's decision to recognize Georgia as an independent state and formalize various international agreements.

The article delves into the initial independent contact between the Ministry of Foreign Affairs of Georgia and the Republic of Turkey. It examines the thoughtful steps and efforts made by the diplomatic corps to establish Georgia as an independent entity in international relations and foster positive neighborly relations with its immediate neighbor.

**Key words:** Georgia, Turkey, Minister of Foreign Affairs, recognition, Hikmen Chetin



## ეკატერინე ფანგანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[Fangani1981@gmail.com](mailto:Fangani1981@gmail.com)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.44>

## მოქალაქის კონცეპტი რომან „აველუმში“

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი „მოქალაქე“ ოთარ ჭილაძე, „აველუმი“

ოთარ ჭილაძის რომანთაგან „აველუმი“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოციალური, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ქრონიკების აღწერით. აღნიშნული „ქრონიკები“ საბჭოთა კავშირისა და, მოგვიანებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალი ქვეყნების მოქალაქეებისთვის ნაცნობი სივრცის რეფლექსია-რეცეფციაა. რომანი უმდიდრეს მასალას იძლევა არა მხოლოდ ლიტერატორებისთვის, არამედ - ისტორიის მოყვარულთათვისაც, რადგან თემები, რომლებსაც მწერალი უღრმავდება (90-იანი წლების ქართველები), უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია.

რომანი 1995 წელს გამოიცა, საქართველოს უახლესი ისტორიის ბნელ ეპოქაში, მაშინ, როცა უკვე ნაგემ-ნაწვნივია საბჭოთა მარწუხებისაგან ქვეყნის გათავისუფლებისთვის მიღებული ყველა „ჯილდო თუ სასჯელი“ [ჭილაძე ო., 2007; 46], როცა მტრის ხატი ჯერ კიდევ ბუნდოვანია და გაუაზრებელი, როცა „მანეთად“ ნაყიდი საკმარისი სურსათის მოგონება/მონატრებას მეტი ფასი აქვს მავანთა ცნობიერებაში, ვიდრე საქართველოს სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში ჩახოცილი ახალგაზრდების სისხლს.

ჩავლილია იმპერიის მიერ ინსპირირებული ძმათაშორისი ომი თბილისში, უსასტიკესი და ულმობელი ომები ცხინვალსა და აფხაზეთში (რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომის ფრაგმენტები). ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ნაგრძნობი აქვს „მილიონერობის“ (ეროვნული ვალუტის გაუფასურების) „ხიბლი“ და სახლკარდაკარგულების, საკუთარი კუთხიდან გამოძევებული ადამიანების უმძიმესი სევდა იმზირება თავშესაფრად შეგულვებული შენობების სარკმლიდან.

მწერალი რომანს ქართველთა თავისუფლებისმოყვარე სულს უძღვნის. პირველივე თავში გვეუბნება, რომ „აველუმი“ შუმერული სიტყვაა და „თავისუფალ, სრულყოფილებიან მოქალაქეს“ ნიშნავს, სიტყვის წარმომავლობის უტყუარობას კი იმთავითვე ექვით ბურავს, რადგან დასაბუთების ერთადერთ წყაროს მისივე რვეული წარმოადგენს და ვერ გარკვეულა, ეს სიტყვა თავად გამოიგონა თუ ნამდვილია.

რომანის გმირი აველუმი კი, „ნამდვილად“ არსებობდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა, სწორედ თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო თუნდაც იმ ქვეყნისა, რომელიც წარმოსახვაში ჰქონდა საარსებოდ და სამოქმედოდ მონიშნული.

ეკა ცხადაძის თვალსაზრისით, „ოთარ ჭილაძის „აველუმი“ შემოქმედის ცხოვრებას ასახავს. მიზანი გახმაურებული რომანისა ასეთია - გვიჩვენოს ინტელექტუალის, სრულყოფილი მოქალაქის უმწიკვლო და ჩირქმოუცხები ყოფა, არსებობა და აღსასრული. მდგომარეობას ამუქებს, ყოფას გაუსაძლისს ხდის მინოსის ლაბირინთს მიმსგავსებული საბჭოთა იმპერიის არსის მხატვრული წარმოჩენა“ [ცხადაძე ე., 2002:4].

მაია ჯალიაშვილის დაკვირვებით, ტექსტის პერსონაჟი „დეჰეროიზდება - მითი წარმოიდგინება მრავალფეროვანი ნიუანსით - კონკრეტული სინამდვილე მისადაგებულია მითოსურთან, როგორც მარადიულის გამოვლენის ერთი შემთხვევა. მითიური გმირების

გზას „იმეორებენ“ რომანის პერსონაჟები ... მწერალი მინოსისა და დედალუსის ცხოვრების ფონზე მარადისობის შუქში გაატარებს წარმავალ დღევანდელობას [ჯალიაშვილი მ., 1997: 101].

მოქალაქის კონცეპტის განხილვა-გააზრებამდე მნიშვნელოვნად გვეჩვენება რომანთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევრის ნააზრევის გათვალისწინება. 2010 წლის ჟურნალ „კრიტიკის“ მეხუთე ნომერში, რომელიც ოთარ ჭილაძეს მიემძღვნა, ქართველი ლიტერატორების წერილებთან ერთად, წარმოდგენილია უცხოელი ლიტერატურათმცოდნეების შეფასებებიც.

გერმანელი მკვლევარი ლეონჰარდ კოშუტი წერილში „დაუსრულებელი გზა“ წერს: „ოთარ ჭილაძის „აველუმი“ არის დიდი, საკაცობრიო ისტორიის განზომილებათა სიღრმეში ჩამწვდომი, მსოფლიო ლიტერატურის გამამდიდრებელი რომანი“ [კაკაბაძე ნ., 1989: 8].

მკვლევარი გრიგორი ციოლკოვსკი წერილში „ოთარ ჭილაძის დიდი რომანი „აველუმი“ აღნიშნავს: „ჭილაძის რომანი არის ყოვლისმომცველი შემოფოთებისა და ფორიაქის დოკუმენტი, ცხადია, ჩვენ ვეცნობოდით და ვეცნობით, რაც ხდებოდა და ახლაც ხდება 1989 წლის შემდეგ საქართველოში. რომანის სუბტექსტი ორჭოფულად გვაუწყებს: უარესიცაა მოსალოდნელი, მაგრამ ეს არის მაინც აბსტრაქტული ცოდნა, რომელსაც ვიღებთ გაზეთის და ტელევიზიის ცნობებითა და უწყებებით, კომენტარებითა და მიმოხილვებით. თუკი გვინდა მოვუსმინოთ ავთენტური შემოფოთებისა და აფორიაქების ხმას, ჭილაძის რომანს უნდა მივმართოთ“ [კაკაბაძე ნ., 1989: 8].

კრიტიკოსი კრისტიანე ლიჰტენფელდი რადიოგამოსვლაში აღნიშნავდა: „ჩვენ წინაშე არაჩვეულებრივად მრავალფენიანი, უნივერსალური ნაწარმოები - პოეზიის, სასიყვარულო ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საკუთრივ ისტორიის, პუბლიცისტიკის, აფორისტიკის მხატვრული წნული, და, ალბათ, შემთხვევითი არ არის ეს მნიშვნელოვანი წიგნი აღმოსავლეთ ევროპაში გარდატეხის ჟამს, სწორედ საქართველოდან რომ მოვიდა - „იმპერიის“ განაპირა მხარიდან, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, მისი შემადგენელი ნაწილი, „ორმაგი ჩაგვრის“ რეგიონი იყო“ [კაკაბაძე ნ., 1989: 8].

ო. ჭილაძის შემოქმედების გამორჩეული მკვლევარი, მ. კვაჭანტირაძე წერილში „ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში“ აღნიშნავს, რომ ტრავმის გადალახვის კულტურა, როგორც ლიტერატურული რეფლექსია და მისი შესატყვისი ნარატივი-დაძაბული თხრობა-„დრაივი“, იწყება „მარტის მამალში“, გრძელდება „აველუმში“ და სრულდება „გოდორში“... ჭილაძე ყოველდღიურობის კონტექსტში კითხულობს ერის მუდმივ ისტორიულ დრამას“ [კვაჭანტირაძე მ., 2008: 60].

ნანა გაფრინდაშვილი, მაია მირესაშვილი, ნინო წერეთელი „აველუმს“ სრულიად მართებულად იხსენიებენ „საკულტო“ რომანად და ტექსტის „პრობლემემატიკით დაინტერესებულ მკითხველს [ურჩევნ], გაეცნოს ივანე ამირხანაშვილის, თამარ ბარბაქაძის, ლევან ბრეგაძის, ზაზა გოგიას, ემზარ კვიციანიშვილის, მანანა კვაჭანტირაძის, ნონა კუპრეიშვილის, ინგა მილორავას, ადა ნემსაძის, ნესტან რატიანის, რუსუდან ცანავას, ზოია ცხადაიას, მალხაზ ხარბედიას, მაია ჯალიაშვილის, მაკა ჯოხაძის ლიტერატურულ წერილებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს“ [გაფრინდაშვილი ნ., 2018: 141].

თავის მხრივ, ნანა გაფრინდაშვილი, მაია მირესაშვილი და ნინო წერეთელი რომანს განიხილავენ „პოსტკოლონიური რეფლექსიისა და იმაგოლოგიის ჭრილში“ და აანალიზებენ „ბინარული ოპოზიციური წყვილის - „თავისუფალი/დამონებული“ მენტალური შეუთავსებლობის პრობლემას“ [გაფრინდაშვილი ნ., 2018: 142].

მკვლევარ-მეცნიერთა მოსაზრებები ობიექტური და გასაზიარებელია - რომანი რეალობის „დაუნდობელი“, შეულამაზებელი ანარეკლია, ათწლეულების განმავლობაში ნანახი, ნაფიქრი და ნაგრძნობი მოვლენებისა, რაც სწორედაც რომ ტრავმულ მეხსიერებად უნდა დალექილიყო ავტორის წარმოსახვაში.

„აველუმი“ მწერლის ადრეული რომანებისგან გამოირჩევა არა მხოლოდ თემატიკითა და, ხშირ შემთხვევაში, ცნობიერების ნაკადის უწყვეტობით, თუ ღრმა ფსიქოლოგიური პერიპეტეხებით (რაც განსაკუთრებული სიმძაფრით სიზმრების პასაჟებში გამოიხატება), არამედ ტექსტში განსხვავებულია ლექსიკაც, წინადადებების რიტმიც (ხშირ შემთხვევაში, პოეზიას მიმსგავსებული) და პერსონაჟთა უცნაური „განლაგებაც“ მხატვრულ სივრცეში.

მწერლის მიერ ასახული ეპოქალური ქრონიკები საშუალებას აძლევს მკითხველს, დაინახოს აველუმის, როგორც მოქალაქის სახეობრივი ნაირგვარობა (ზემოთქმულში ვგულისხმობთ მოქალაქის კონცეპტის სამაზროვან გაგებას: აველუმი - იმპერიის მოქალაქე, აველუმი - ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქე და აველუმი - გამოგონილი/წარმოსახული ქვეყნის მოქალაქე).

აველუმის საარსებო და სამოქმედო არეალი დედამიწის „მეექვსედ ნაწილს“ (იმპერიის მეტაფორული სახელი) მოიცავდა, რეალური სამშობლო კი ოთხი კედლით იყო შემოსაზღვრული და ეს ყველაზე უკეთ აველუმმა იცოდა.

სამშობლო, იმპერიის სხვა მცხოვრებლების მსგავსად, აველუმს(აც) რუკიდან წაუშალეს. ეროვნულობის შეგრძნების გამძაფრებაში პერსონაჟს საკუთარი ქალიშვილი ეხმარება - ეკავატერინეკატო, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელი და, შესაბამისად, უფრო გამბედავი და მეზრდოლი, სხვაგვარად მოაზროვნე, მონის მენტალიტეტისგან შორსმდგარი არსებაა, რომელიც „აიძულებს“ მამას, რეალობა ხელახლა გაიაზროს და სახელი დაარქვას იმ ყოფას, რომელსაც თითქოს გაურბის.

ეკავატერინე/კატო აველუმს ასწავლის თავისუფლებას.

მწერალი უკიდურესად რეალისტურ პასაჟებს გვთავაზობს, გვამოგზაურებს 1989 წლის თბილისიდან „თბილისის ომამდე.“ „ხანი უნდობარი“ (გალაკტიონი) ყველაფერს შეჰხებია, ყველაფერი დაუდაღვს, „ყოვლისშემძლე“ კერპიც კი (მწერალი გულისხმობს ლენინის ქან-დაკს - ე.ფ.) გადმოუბრძანებია კვარცხლბეკიდან, ცალი ფეხი კი დარჩენია, მისი დაბრუნების ფიქრი რომ არ ჩაკვდეს ადამიანებში. „ხანი უნდობარივე“ ადამიანთა ნაკლოვანებებს ამოატივტივებს მუდამ ზედაპირზე, დაფარულს აშიშვლებს და გამოაქვს სააშკარაოზე.

ასე ემართებათ ოთარ ჭილაძის გმირებს იმ რეალობაში, რომელშიც მათ მწერალი აყენებს. ამიტომაც არ აკვირვებს მკითხველს რომანში გაჩენილი პლასტმასის ყვავილის, ერთი შეხედვით, უცნაური სიმბოლური დატვირთვა, არც ლეგიტიმურად მიჩნეული დასმენისა თუ „მოსმენის“ ეპიზოდები და ახალი თაობისთვის, საბედნიეროდ, უცნობი „ცეკა-ჩეკას“ ბნელი და პირქუში კაბინეტების არსი.

მწერალი აველუმის ბედს აკავშირებს ქვეყნის ბედთან, რადგან პირველი მეორის გარეშე წარმოუდგენელი და გაუგებარია. მწერლისთვის ყველაფერში დამნაშავე მაინც ადამიანია, გაორებული ბუნებით და შინაგანი სივრცეებით, ერთდროულად, კანის და აბელის მატა-რებელი საკუთარ არსებაში, ვისაც დრო და სივრცე არ ეკითხება, გაჩერდეს თუ გააგრძელოს სვლა ისევ გაზაფხულისკენ, ისევ ცვლილებებისკენ, რათა არსებული შეცვალოს და გარდაქმნას.

გარდაქმნის თუ გაქცევის ყველაზე ტრაგიკულ მცდელობას ოთარ ჭილაძე შთამბეჭდავი, შემადრწუნებელი სურათებით გადმოგვცემს - 9 აპრილს თბილისის ქუჩებში იმპერიის მარწუხებისაგან თავდახსნის მცდელობას თუ იმპერიისგანვე „თავხედობისთვის“ თავსდა-ტეხილი სასჯელის შედეგებს წარმოაჩენს: „ჯარისკაცები... ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, კიდევ დიდხანს ეყარნენ გაბინძურებულ ტანკებს შორის, ჯერ კიდევ მოურეცხავ მოედანზე, დარბეულთა, გაქცეულთა ფეხსაცმელებსა, ხელჩანთებსა, დახო-ცილთა სისხლის გუბებზე და საკუთარ ნარწყევში და გუნებაშიც არ უშვებდნენ (ამდენი ცოდნა არ აქვთ), ისტორიას რომ ეკუთვნოდნენ უკვე, უსახონი და უსახელონი, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, მეოცე საუკუნის მიწურულს, მაინც გადამლახავნი

გონებრივი სიჩლუნ-გის, სულიერი სიმხეცისა თუ ხორციელი სისასტიკის ნებისმიერი ზღვარისა“ [ჭილაძე ო., 2018: 227].

მწერალმა იცის, რომ სიბნელე, რომელიც არამხოლოდ ფიზიკურად არსებობს (ღამის სახით), უფრო ტრაგიკულია სულის და გონის სიბნელედ გამოვლენილი, და თანამემამულეთაც უმლის „მართლხედვაში“, მოძმეების დანახვის უნარს ართმევს, ვერც საკუთარ თავს მოააზრებინებს სხვის ხელში ბრმა იარაღად.

გადარჩენის, ბნელი ეპოქიდან გამოღწევის სურვილი იმდენად ძლიერია ადამიანებში, რომ გაუცნობიერებლად, ვიღაცის მიერ დაწერილი სცენარით, მენშევიკებისდროინდელი დროშების ფრიალით დაწყებულ ეროვნულ მოძრაობას დედაქალაქის ქუჩებში, დანგრეულ შენობებსა და ქერქვაცვნილ ჭადრებს შორის მოზუზუნე ტყვიებით ასრულებენ მამები.. შვილები... ძმები

რომანის მეორე თავში მწერალი აფრთხილებს მკითხველს, რომ მის მონათხრობში განცდას განსჯა სჭარბობს, ნამოქმედარს - ნაფიქრალი. ყოველივეს გადმოცემას ხერხი სჭირდება და აველუმის (პერსონაჟის) ნარატივი იმდენად ხშირად ემთხვევა მწერლისას, რომ ავტორისა და პერსონაჟის ერთმანეთისაგან გამიჯვნა-განცალკევება, ფაქტობრივად, შეუძლებელია (ამ ტექსტში განსაკუთრებული სიმკვეთრით, სიცხადით ისმის „ავტორის ხმა“ - რეფლექსირდება პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი უარსებითესი კატეგორია).

იმპერიაში ცხოვრებას მწერალი (და მისი ალტერ ეგო - აველუმი) ბორბალში გამოძწევადეული ციყვის შეკრულ, მოჯადოებულ წრეზე/წრეში ბრუნვას ადარებს. იმპერია ინგრევა, მაგრამ ინერციით ჯერაც ინარჩუნებს გამანადგურებელ ძალას და აველუმიც, იმპერიის სხვა მოქალაქეთა მსგავსად, ვითომ მოძრაავია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმული, მწერალი კაცი (მოგვაგონდება ზოგი პერსონალური თვისებაც თეიმურაზ ხევისთავისა, რომელიც, მიხეილ ჯავახიშვილის მინიშნებით, „რევოლუციის საქაჯავში გაჩანჩურდა“

მწერალი თვლის, რომ „პატარას სიკვდილით იწყება დიდის სიკვდილი“ [ჭილაძე ო., 2007, 271] ვფიქრობთ, ეს ფრაზა ყველაზე კარგად გამოხატავს აველუმის ქვეცნობიერ სურვილს, გარდაიცვალოს არა ხორციელად, არამედ - სულიერი გარდაცვალებით, რათა, მისი „სიკვდილის“ შემდეგ, იმპერიაც შეირყეს.

მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ იმპერია ისეთ ჰერმეტიულ სივრცეებშიც აღწევს, როგორცაა ოჯახი, ან პირადი სასიყვარულო ურთიერთობები. ამ მოსაზრების დამადასტურებელ ეპიზოდებში ვკითხულობთ, რომ იმპერია აველუმის პირად წერილებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ, თითოეულის ასლს ინახავს, „სადაც ჯერ არს.“

ბარათები, მართალია, ძირითადად, უცხოელი (ფრანგი) ქალისა და ქართველი მამაკაცის სასიყვარულო განცდებს აღწერენ, მაგრამ მაინც „მიღმა სამყაროდან“ არიან მოწერილნი.

მწერალი ტრაგიკულ-გროტესკული ტონით, იმავდროულად, დამახასიათებელი ოპტიმისტური ხედვით და შეფასებით ასკვნის, რომ სიყვარულია ის ძალა, რომელსაც ვერავითარი იმპერიული ზრახვა/თვალთვალი ვერ მოერევა და ვერასდროს დაამარცხებს. სიყვარული, როგორც აბსტრაქცია, გაბნეული არა მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა, არამედ, ზოგადად, ადამიანებს შორის, საერთოდ, მთელ სამყაროში: „აბსტრაქტულ ცნებას ვერაფერს დააკლებ ტყვია-წამლითა თუ საწამლავეთ, მეთვალყურეთა თუ დამსმენთა არმიებით. არადა, თუ იმ აბსტრაქტულ ცნებასაც არ მოსპობდა, ვერც თავს ჩათვლიდა ზესახელმწიფოდ, ქვეყნიერების ბატონ-პატრონად, რადგან ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სიყვარულია ერთადერთი მარადიული იმპერია, რომელსაც ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით ემონებოდნენ, ემონებიან და მომავალშიც დაემონებიან, თუკი საერთოდ გადარჩება ბატონი ადამი“ [ჭილაძე ო., 2018: 9].

რა ჩანაფიქრი შეიძლებოდა ჰქონოდა მწერალს, როცა რომანში დედამიწის სხვადასხვა სივრცეში მცხოვრები, განსხვავებული მენტალიტეტის მქონე პერსონაჟი ქალები

(ქართველი, რუსი, ფრანგი) შემოჰყავდა და მათი თვალთ აქმულს, ძირითადად, ეპისტოლური სტილით გადმოგვცემდა? ვფიქრობთ, ეს პლასტი სულაც არ ემსახურებოდა გადმოსაცემი ამბის „კიდევ უფრო გართულებას“, არამედ - სწორედ იმპერიის მიერ თავისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ყველა მცდელობის უსუსურობის ცხადყოფას ბელეტრისტულ ნარატივში.

აველუმი გამოგონილი, წარმოსახული ქვეყნის მოქალაქეცაა - შვილისგან მამისათვის გადაცემული სიბრძნე არღვევს დაკანონებულ პირობითობას, იყოს პირუკუ - მამამ ასწავლოს შვილს, რაც ცხოვრებისგან შეუუმეცნებია. ეკავატერინეკატო (პატარა უხეიროს მსგავსად - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), ინტუიციის დონეზე „შენაგრძნობ“ ცოდნას გადასცემს მშობელს და არა - გამოცდილებით და ცოდნით ნასაზრდოებს.

„აველუმში“ შვილის ბოხოქარი სული მარტივად იჭრება მამის გამოგონილ ქვეყანაში, რომელიც გამოგონილივე „სიმშვიდისა და წესრიგის ანარქია“ [ჭილაძე ო., 2007: 45], ის ადგილია, სადაც მწერალი-გმირი, უპირველესად, გამბედავია და სადაც მის თავისუფლებას ვერ ზღუდავს და ვერც აკონტროლებს გარედან, სულსმიდმიდან ატორლიალებული ვერნაირი „ფაქტორი.“

მწერლები მუდმივად ცდილობენ პერსონაჟთა შიგნით არსებული „იმპერიები“ წარმოუჩინონ მკითხველს, მაგრამ ხშირად მცდელობა ფრაგმენტულია და დანაწევრებული, აველუმის არსებასა თუ ფანტაზიაში არეკლილი ქვეყანა კი ნაზავია არსებულისა და სასურველის, რეალურის და გამონაგონის, სადაც იმაზე ოცნებაც კი შეიძლება, რასაც ყველაზე თამამ ფიქრებშიც კი ვერ გაივლებდა „რკინის ფარდის“ აქეთ დაჩენილი/ჩარჩენილი ადამიანი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მწერლის მიერ შემოთავაზებული კონცეპტი მოქალაქისა, ფაქტობრივად, სრულყოფილი სახით, პოსტსაბჭოთა ეპოქის ნაწარმოებთაგან მხოლოდ „აველუმის“ ქარგაშია რეფლექსირებული. კონცეპტის ამგვარი გააზრება, ვფიქრობთ, რომანის უკეთ აღქმასა და გაგებას ემსახურება.

უკიდურესად ფაქიზმა, პატრიოტულმა, მეამბოხე სულმა მწერლისა, რომელიც კალმით დაუღალავად იღვწოდა არსებულის შესაცვლელად და ქვეტექსტებსა და ალუზიებში არეკლავდა პირუთვნელ შეხედულებებსა თუ გამომადგინებელ მოწოდებებს, საბოლოოდ, უბრწყინვალესი რომანის სახე მიიღო.

ვაჟა-ფშაველა პუბლიცისტურ წერილში „ნიჭიერი მწერალი“ აღნიშნავდა: „რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია მწერალი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან. გენიოსი სდულს, ამ წუთისოფლის გაჩაღებულ ქურაში და, იმავე დროს, ეს წუთისოფელიც სდულს და იხარშება გენიოსის გულში“ [ვაჟა-ფშაველა, 1985: 341].

თუკი ვინმეს შეიძლება ეს სიტყვები მივუსადაგოთ თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის წარმომადგენელთაგან, უპირველესად, ვფიქრობთ, ოთარ ჭილაძეს, შეულამაზებელი, დაუნდობელი სიმართლით გაჟღენთილ, პიროვნულ-ეროვნული თავისუფლებისაკენ მუდმივი შინაგანი ლტოლვითა და ტკივილებით გადმოცემულ მხატვრულ ნააზრევს დიდი მწერლისა, რომელიც უნივერსალურ, ზოგადადამიანურ „საკითხავებზე“ დააფიქრებს მკითხველს.

პასაჟის მიწურულს აუცილებლად უნდა ვახსენოთ ტექსტის გამორჩეული დეტალიც, უნივერსალური პალინდრომი, რომელსაც ყურადღება მიაპყრო მკვლევარმა როზა დევდარიანმა ფრიად საინტერესოდ დასათაურებულ ესეში - „აველუმობიდან აბელუმობამდე“: „აველუმში“ ავბედიტად გამოკრთება ფრაზა: „აბელ, თოფი იფოთლება!“ პალინდრომი გამაფრთხილებლად ჟღერს რომანის დასაწყისშივე და მკითხველს არა მარტო იმას მოაგონებს, რომ აბელი პირველი მსხვერპლია, თავისივე ძმის ხელით გამეტებული, არამედ იმასაც, რომ, მას შემდეგ, რაც კაენმა აბელი მოკლა, აბელი ყოველდღე კვდება ამ ქვეყანაზე და თოფის „შეფოთვლაც“ აბელის უსასრულო მკვლელობის მაუწყებელია“ [დევდარიანი რ., 2010: 23].

ტრაგიკული პალინდრომით კიდევ ერთხელ გაესმის ხაზი ისტორიის მეტაისტორიულ კონცეპტს.

#### ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., წერეთელი მ., მენტალური შეუთავსებლობის პრობლემის იმაგოლოგიური ასპექტი ოთარ ჭილაძის „აველუმის“ მიხედვით, „იმაგოლოგია“: კულტურათა დიალოგის თავისებურებანი, თბილისი., 2018;
2. დევდარიანი რ., აველუმობიდან აბელუმობამდე, „წერილები“, ქუთაისი., 2010;
3. ვაჟა-ფშაველა, ნიჭიერი მწერალი, თბილისი., 1985;
4. კაკაბაძე ნ., „ოთარ ჭილაძის რომანების ევროპული რეზონანსი“, „ლიტერატურული საქართველო“, N12-13, 1989;
5. კვაჭანტირაძე მ., „განგაშის რომანები“, „ლიტერატურული პალიტრა“, N4 (43), 2008;
6. ცხადაძე ე., „აველუმი“- ორი იმპერიის აღსასრული, „ჩვენი მწერლობა“, 26 აპრილი-3 მაისი, 2002
7. ჭილაძე ო., „აველუმი“, „არეტე“, თბ., 2007;
8. ჯალიაშვილი მ., „საუკუნის ხატი“, „ცისკარი“ N8, გვ.92-101; 1997;

**Ekaterine Fangani**

Sokhumi State University

[Fangani1981@gmail.com](mailto:Fangani1981@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.44>

### The concept of a citizen in the novel Avelum

#### Abstract

The novel "Avelum" was published in 1995, in the dark epoch of the recent history of Georgia, when all the "rewards or punishments" for the liberation of the country from the shackles of the Soviet Union have already been settled. The imperial-inspired inter-fraternal war in Tbilisi, the brutal wars in Tskhinvali and Abkhazia - fragments of the undeclared Russia-Georgia war are over.

The writer dedicates the novel to the freedom-loving soul of Georgians. The very first chapter tells us that "Avelum" is a Sumerian word and means "free citizen having full rights." According to Eka Tskhadadze, "The aim of a widely known novel is to show the impeccable existence and decease of an intellectual, a perfect citizen. An artistic representation of the essence of the Soviet Empire similar to the Labyrinth of Minos makes the life unbearable."

According to Maia Jaliashvili, the character of the text is "deheroized. The writer spent his life in the light of eternity against the background of the lives of Minos and Daedalus". Nana Gaprindashvili, Maia Miresashvili, Nino Tsereteli rightly refer to "Avelum" as a "cult" novel and [advice], readers interested in the "problems of the text to get acquainted with the literary letters and scientific researches of Ivane Amirkhanashvili, Tamar Barbakadze, Levan Bregadze, Zaza Gogia, Emzar Kvitaishvili, Manana Kvatchantiradze, Nona Kupreishvili, Inga Milorava, Ada Nemsadze, Nestan Ratiani, Rusudan Tsanova, Zoya Tskhadaia, Malkhaz Kharbedia, Maia Jaliashvili, Maka Jokhadze." Researchers consider the novel in the context of "postcolonial reflection and imagology" and analyze the "problem of mental incompatibility of a binary opposition couple - " free / enslaved ".

The epoch-making chronicles portrayed by the writer allow the reader to see the species diversity of Avelum as a citizen (above we mean three understandings of the concept of citizen: Avelum - citizen of the empire, Avelum - citizen of the nation-state and Avelum - citizen of the fictional/imaginary country).

Avelum is also a citizen of an imaginary country - the wisdom passed from son to father breaks the legal condition, be on the contrary - the father teaches the son what he has learned from life. Ekaekaterinekato (like little Ukheiro - "A Man Was Going Down the Road ") transmits the knowledge "felt" at the level of intuition to the parent (and not - nourished by experience).

**Key Words:** Concept "citizen", "Avelumi", Otar Chiladze

## ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბათუმი, საქართველო

[natia.phartenadze@bsu.edu.ge](mailto:natia.phartenadze@bsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.45>

## წინადადების ტიპები და გამოხატვის საშუალებები სარეკლამო სლოგანებში

**საკვანძო სიტყვები:** წინადადების ტიპები, სარეკლამო სლოგანი

ნებისმიერი სარეკლამო ტექსტი, სლოგანი შედგება სიტყვათა შენაერთისგან, რომელიც ქმნის გარკვეული სახის წინადადებას. სწორედ წინადადებათა აგებულება, სიტყვათა წყობა და მოდალობა განსაზღვრავს სლოგანების სინტაქსურ სტრუქტურას.

სარეკლამო ტექსტებში ყველაზე ხშირად მარტივწინადადებიან სლოგანებს ვხვდებით და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სლოგანების შემქმნელებისათვის ამოსავალია ლაკონიურობა, სიტყვათა მინიმალური რაოდენობით აზრის სრულყოფილად გადმოცემა. როგორც წესი, ერთშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიც ერთი მთავარი წევრია, სხვა მთავარი წევრი არც არის და არც იგულისხმება. ყველაზე ხშირად ერთშემადგენლიანი წინადადებებით აღწერენ ხოლმე ბუნების მოვლენებს. მაგალითად: გარეთ ძლიერ წვიმს, თოვს, ქუხს, ელავს, გაზაფხულდა და ა. შ.

სარეკლამო სლოგანში პრაქტიკულად არ გამოიყენება ერთშემადგენლიანი წინადადებები, რომლებშიც ნახსენები იქნება რეკლამირებული საქონლის დასახელება და დახასიათება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათში არ არის ქვემდებარე, რომლის რეკლამირებაც ხდება.

ერთპირიანი ზმნით გადმოცემული შემასმენელი ქმნის ორშემადგენლიან მარტივ წინადადებას. ამ რიგის წინადადებებს ხშირად ვხვდებით სლოგანებად, **ორშემადგენლიანი წინადადებით** გადმოცემული სლოგანი შეიძლება იყოს გავრცობილიც და გაუვრცობელიც, სრულიც და უსრულიც. მოგეხსენებათ, „გავრცობილია წინადადება, რომელიც, გარდა მთავარი წევრებისა, შეიცავს ერთ ან რამდენიმე არამთავარ წევრს“ (კვაჭაძე, 2010:237), გაუვრცობელი კი მხოლოდ მთავარ წევრებს შეიცავს. „სრულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე აუცილებელი წევრი და კონტექსტისა თუ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად გადმოგვეცემს დამთავრებულ აზრს“ (კვაჭაძე, 2010:238), უსრულ წინადადებაში გამოტოვებული, მაგრამ ნაგულისხმევია მთავარი წევრი.

ორშემადგენლიანი წინადადებებით გადმოცემული სლოგანელი შეიძლება იყოს: **სრული გაუვრცობელი:** ცესკო - „განვითარება გრძელდება“; სილქნეტი - „ყველაფერი კავშირშია“; ბილანინი ყველაზე სწრაფი 4G ინტერნეტით - „ჩვენ შევიცვალეთ“.

მოცემული სლოგანები გადმოცემულია ორ-ორ წევრიანი წინადადებებით და ეს წევრები ქვემდებარე და შემასმენელია.

წევრთა განლაგების, წყობის, მხრივ კი ასეთი სურათია: არ შეგვხვედრია შემთხვევა, შემასმენელი იწყებდეს წინადადებას, როგორც წესი, შემასმენელი ყოველთვის მომდევნო პოზიციას იკავებს და ქვემდებარე უძღვის მას.

**სრული გავრცობილი:** სათამაშო ნაკრები - ქალთევზა ბარბი საპნის ბუმტებით- „ბარბისთან ერთად ყველაფერი შესაძლებელია“; ლუდი „ფასანაური“- „ლუდი არის ეს!“;

სარეცხი საშუალება „კასონი“- „ჩვენი სამუშაო თქვენზე ზრუნვაა“; შამპუნი „ჰეარგარი“- „თქვენი თმები ყოველთვის წესრიგშია“; საქართველოს ავიახაზები - „ჩვენთან ერთად მსოფლიო ახლოსაა“; სანელებელი „მაგი“ - „ნამდვილი ქათმის ბულიონი შეიძლება იყოს მხოლოდ ოქროსფერი“. წევრთა შედგენილობის მიხედვით მოცემულ სრულ წინადადებებში მთავარი წევრების გვერდით გვხვდება თითქმის ყველა არამთავარი წევრი. ისინი ძირითადად იწყებენ წინადადებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, დგანან შემასმენლის წინ.

**უსრული გავრცობილი:** ნატახტარი - „ერთად უკეთესია“; მწერების საწინააღმდეგო საშუალება „კომბატი“ - „უსაფრთხოა თქვენს სახლში“; ბი პლუსი (მოზილური ტელეფონი) - „ყველასთვის მოსახერხებელია“; ქოლგით ტოტალი - „იყავი მზად ყველაფრისთვის“;... მოცემულ მაგალითებში გამოტოვებულია ქვემდებარეები, თუმცა ის იგულისხმება და მათი აღდგენა ადვილად შეიძლება კონტექსტის გათვალისწინებით.

რაც შეეხება გაუვრცობელ და უსრულ ორშემადგენლიან წინადადებებს, სლოგანებში არ შეგვხვდრია და არც იყო მოსალოდნელი.

**სამშემადგენლიანი წინადადებები სლოგანებად.** ორპირიანი ზმნით გადმოცემული შემასმენელი ქმნის სამშემადგენლიან მარტივ წინადადებას. მსგავსად ორშემადგენლიანისა, სამშემადგენლიანებსაც საკმაოდ მრავლად ვხვდებით სლოგანებად.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სამშემადგენლიანი სლოგანების უმეტესობა ძახილის და ბრძანებითი წინადადებებია: *ტონალური კრემი კოკა-კოლა* - „იპოვე ჯადოსნური ბოთლი!“; *ვენუსი* - „იგრძენი თავი ქალღმერთად!“; *საღებავი „ლაივ“* - „შეაფხე ცხოვრება ფერით!“; *მაიონეზი „კაპშენი“* - „თვითონ აირჩიე მასწავლებელი!“; *ლოუმენის ტუჩსაცხი* - „აავსე ცხოვრება კოცნით!“; *ევროპა პლუსი* - „ჩართე მთელი მსოფლიო!“; *კუდპეინტი* - „ჩართე ფერი!“;...

ბრძანებითი წინადადება ყველგან წართქმითი შინაარსით არის გადმოცემული.

წევრთა განლაგების თვალსაზრისით შემასმენელი, ძირითადად, წინადადების საწყის პოზიციასა და აზრობრივ-ექსპრესიული დატვირთვაც სწორედ მასზე მოდის. შედარებით ნაკლებია ამ ჯგუფის თხრობითწინადადებიანი სლოგანები: *კონდიციონერი „ტოშიბა“* - „სუნთქვა ნიშნავს სიცოცხლეს“; *ლონდა* - „ლამაზ თმებს აქვს სახელი!“; *ლუდი „ქარვა“* - „ქალაქი გელოდება“..

ზემომოხმობილი სლოგანები წევრთა შედგენილობის მიხედვით ზოგჯერ სრულია (*„სუნთქვა ნიშნავს სიცოცხლეს“*; *„შესაძლებლობები აჭარბებს მოლოდინს“*; *„ხარისხი თვითონ ამბობს სათქმელს“*), უფრო ხშირად კი - უსრული (*„არჩენს ნებისმიერ ხველას“*; *„აძლიერებს იმუნიტეტს“*; *„მოაქვს სიხარული“*; *„რბილად ასუფთავებს გაჭედილ ცხვირს“*; *„უყვარს რომანტიკოსები“*; *„წვეთიც კი არ გიღალატებთ“*). უსრულ წინადადებებში გამოტოვებულია უმეტესად ქვემდებარე.

სამშემადგენლიანი სლოგანებში ყველაზე მცირე რაოდენობით კითხვითი და კითხვა-მიგების შინაარსის წინადადებები გვხვდება: *არაყი „აბსოლუტი“* - „შეძლებთ მეფურად დასხდომას?“, *დოშირაკი* - „თქვენ რატომ გიყვართ „დოშირაკი?“; *შოკოლადი „ტიკ-ტაკი“* - „გაქვს შესვენება? გაქვს „ტიკ-ტაკი“; *საღეჭი კანფეტები „მელერი“* - დრო გაქვს? - გაქვს „მელერი“...

სამშემადგენლიანი კითხვითი შინაარსის სლოგანები, როგორც წესი, წევრთა შედგენილობის მიხედვით უსრულია, გამოტოვებულია ხოლმე ქვემდებარე. წევრთა განლაგება ასეთია: როცა ქვემდებარე სახეზეა, ის იწყებს წინადადებას, ხოლო როცა გამოტოვებული და ნაგულისხმევია, შემასმენელი გადმოინაცვლებს წინ.

**ოთხშემადგენლიანი წინადადებები სლოგანებად.** სამპირიანი ზმნით გადმოცე-მული შემასმენელი ქმნის ოთხშემადგენლიან მარტივ წინადადებას. ოთხშემადგენლიანი მარტივი წინადადებები იშვიათად გვხვდება სლოგანებად. კერძოდ: *პემოსი* - „აშორებს ლაქებს ყველა ტიპის ქსოვილს“; *სარეცხი მანქანების ბრენდი „სკარლეტი“* - „ანდე მას შენი სახლი!“; *ქოლგითი* - „ანდეთ თქვენი კბილები კბილის პასტა ქოლგითს!“...



მოცემული მაგალითები ცხადყოფს, რომ რეკლამების შემქმნელები უპირატესობას ანიჭებენ ბრძანებით წინადადებებს, რადგან ამგვარი წინადადებები მეტად ზემოქმედებს სამიზნე ჯგუფზე. წევრთა შედგენილობის მიხედვით უსრულია, გამოტოვებული და ნაგულისხმევია ქვემდებარე. აღნიშნული ტიპის წინადადებები ძირითადად გავრცობილია.

**სახელდებითი წინადადებები სლოგანებად.** მტკიცების გარეშე აღნიშნულ საგანსა თუ მოვლენას სახელდებით წინადადებად მოიხსენიებენ. „ყოველთვის ერთშემადგენლიანია და საგანს ან მოვლენას აღნიშნავს მტკიცების გარეშე“ (კვაჭაძე, ქართული ენის ენციკლოპედია, 2008:577), რადგან სახელდებითი წინადადება წარმოადგენს სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ არსებით სახელს, მას ნომინატიურ წინადადებას უწოდებენ. ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სლოგანებად უხვად გვხვდება ნომინატიური წინადადებები ყოველთვის გავრცობილი ფორმით. როგორც წესი, სახელდებითი წინადადებას განავრცობს განსაზღვრება, რომელიც ზოგ შემთხვევაში ატრიბუტულია, ზოგჯერ კი - სუბსტანტიური. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ კარგად და მოხდენილად შერჩეულ განსაზღვრებაზეა დამოკიდებული სლოგანის შინაარსის სიძლიერე და ეფექტიანობა.

წარმოვადგენთ ერთ და რამდენიმე ატრიბუტულ და სუბსტანტიურ-განსაზღვრებიანი სახელდებითი წინადადებებით გადმოცემულ სლოგანებს: *ბარამბო-„უგემრიელესი კარამელი“; მულტიტაბსი - „ჭკვიანი ვიტამინები“; ლონდესტონი - „ჭკვიანი საღებავი“; კოკაკოლა ლაითი - „იდეალური ფიგურა“; ყავა „მილაგრო“- „ღვთაებრივი გემო“; მაიონეზი „ვიტალი ქუელითი“- „გემრიელი განწყობა“...*

ასევე ხშირია რამდენიმე ატრიბუტულ-განსაზღვრებიანი სლოგანებიც: *ნატახტარი - ალპენ ვოლდი - „თითოეული გემო ბედნიერებისათვის“; ლაქტო ჯი - „10 მილიარდი მეგობარი ბაქტერია“; ისი პარი - „თქვენი სურნელოვანი თანამგზავრი“; ნაბელავი - „ნატურალური მინერალური წყალი“; ნაბელავი-ლაიმი - „ევროპული ხარისხი გურიიდან“..*

სუბსტანტიურ-განსაზღვრებიანი სახელდებითი წინადადებებით გადმოცემული სლოგანები: *სტაროპრამენი - „პრალის განწყობა“; ვოლტარენი - „მომრავლის სიამოვნება“; კოკაკოლა - „სიამოვნების მაქსიმუმი“; ყავა „ამბასადორი“ - „ვნების სტიქია“; მეიბილაინი - „ბრილიანტის ბრწყინვალეობა“...*

ორმაგმსაზღვრელიანი - ატრიბუტულ და სუბსტანტიურ-განსაზღვრებიანი - სახელდებითი წინადადებებით გადმოცემული სლოგანები: *წვენი მინოტმეინი - „მზის წვენიანი გემო“; რერა - „ქართული ზღაპრის გემო“; ჩაი აჰმადი - „საუკეთესო ხარისხის ჩაი ინგლისიდან“; პე ეს პე - „ჩემი ოჯახის აფთიაქი“; ლუდი „მთიელი“ - „ქართული მთის ლუდი“...*

გარდა განსაზღვრებებისა, შედარებით ნაკლებად, გვხვდება სხვა წევრით გავრცობილი ნომინატიური წინადადებები სლოგანებად: *ჯი ემ ფარმა - „საქმით საქართველოს სამსახურში“; ლაქტო ჯი - „გონივრული სვლა გამარჯვებისკენ“; ლიპტონი - „გამამხნეველები ჩაი მთელი ოჯახისთვის“; კულა - „100% -ით ნატურალური“; ტრისა - „კბილის ჯაგრისები შევიცარიდან“; ნაბელავი - „ბუნებრივად სრულყოფილი“; პალმოლივი - „საპონი შხაპისთვის“; დირსი - „გარემო შენი სახლისთვის“...*

სახელდებითი წინადადებები ყველაზე ხშირად გამოიყენება სლოგანებად. გვხვდება ყოველთვის გავრცობილი ფორმით. დომინანტ სიტყვას ერთვის ატრიბუტული ან სუბსტანტიური განსაზღვრება. ნაკლები რაოდენობით, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როცა დომინანტ სიტყვას ორი განსაზღვრება ახლავს, მათგან ერთი სუბსტანტიურია, მეორე კი - ატრიბუტული ან გავრცობილია სხვა წევრით.

როგორც ვიცით, ნომინატიური წინადადება წარმოითქმის თხრობითი ან ძახილის ინტონაციით. წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში შეგვხვდა ძახილის მოდალობის სახელდებითი წინადადება, გაბატონებულია თხობითი მოდალობის ნომინატიური კონსტრუქციები.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა მარტივი კონსტრუქციებისა, სლოგანებად, თითქმის ყველა ტიპის წინადადება გვხვდება მეტ-ნაკლები სიხშირით.

**შერწყმული წინადადებები სლოგანებად.** „შერწყმული ანუ თანწყობილწევრებიანია წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს. იგი ორგვარია: ერთგვარწევრებიანი და არაერთგვარწევრებიანი“ (კვაჭაძე, 2010:259).

მარტივი წინადადების მსგავსი სიხშირით არა, თუმცა შერწყმულ წინადადებებსაც ვხვდებით სლოგანებად.

**ერთგვარშემასმენლიანი** შერწყმული წინადადებით გადმოცემული სლოგანებია: ცეზარი (სიგარეტის კოლოფის გამოსახულება) – „*დაინახე, ამოიჩიე, მიიღე!*“; ნატახტარის ლიმონათი – „*გასინჯე, გაგრილდი, იგრძენი, დაისვენე, დალიე!*“; მიკროსპრეი (ჰაერის გამწმენდი საშუალების ფლაკონის გამოსახულება) – „*ხელს ერთს შეახებ, გაასუფთავებ რამდენიმე საათით!*“; იპოსეა (კონსერვირებული პროდუქტების გამოსახულება) – „*გახსენი და შეჭამე!*“;...

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებებში ქვემდებარე წარმოდგენილი არ არის, თუმცა იგულისხმება. ერთგვარი წევრები კი ერთმანეთს უმეტესად უკავშიროდ უერთდება, რომელიც მეტ ექსპრესიულობას სძენს სლოგანებს, თუმცა იშვიათად გვხვდება მაჯგუფებელი და კავშირი ერთგვარ წევრთა შესაერთებლად.

**ერთგვარქვემდებარიანი** შერწყმული წინადადებით გადმოცემული სლოგანებია: მაჟიტელი (რძის პაკეტის გამოსახულება) – „*ექიმები და პედიატრები გვირჩევენ!*“ (აღნიშნულ სლოგანთან დაკავშირებით აუცილებელია, დავაზუსტოთ, რომ ლექსემები „ექიმი“ და „პედიატრი“ მოცემულ შემთხვევაში შეერთებულია და კავშირით, რაც არღვევს ფორმა-სახეობრივ ურთიერთობებს და შედეგად იქმნება არასწორი შეხედულება, რომ პედიატრს არ მოიცავს ექიმის ცნება); ფერერო რომე – „*გემოს დახვეწილობა და სრულყოფილება!*“; ლუქსი (მძინარე ახალგაზრდების გამოსახულება) – „*სიგრილე, სისუფთავე, ჰიგიენა!*“; „*ისიამოვნე სმარტფონით და დასაჩუქრდი!*“; გენტოსი (მწოლიარე ავადმყოფის გამოსახულება) – „*ნამდვილი მამაკაცის ჯანმრთელობა და ძალა!*“;..

ერთგვარქვემდებარიან შერწყმულ წინადადებებში ხშირად გამოტოვებულია „არის“ შემასმენელი. ამ ტიპის წინადადებები ერთი შეხედვით ჰგავს ნომინატიურ წინადადებებს, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელდებითი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლიანია, მასთან შემასმენელი არც არის და არც გამოტოვებულად გულისხმობს. დამოწმებულ მასალაში კი აშკარაა „არის“ შემასმენლის არსებობა. ამდენად, კონკრეტული სლოგანები სწორედ შემასმენელგამოტოვებულ ერთგვარქვემდებარიან შერწყმულ წინადადებად უნდა განვიხილოთ. ერთგვარი წევრები ხან უკავშიროდ, სასვენი ნიშნებით, უერთდება, ხან კი და კავშირით.

**ერთგვარგანსაზღვრებიანი** შერწყმული წინადადებით გადმოცემული სლოგანებია: მაჟიტელი (გამოსახულება ოჯახისა, რომელიც სვამს რძეს) – „*გემოსა და სარგებლის ჰარმონია!*“; ელემი (მამაკაცის გამოსახულება სიგარეტით „L&M“) – „*სამყარო კედლების, საზღვრების და ვიზების გარეშე!*“; ოლივა (ზეთის ქილის გამოსახულება) – „*უფრო ლამაზი, უფრო გემრიელი, უფრო არომატული!*“; სვისკაპიტალი – „*ყველაზე სწრაფი და მარტივი გამოსავალ!*“; ჰენკო (სარეცხი ფხვნილის კოლოფის გამოსახულება) – „*უფრო სუფთა! უფრო თეთრი! უფრო ნათელი!*“;...

ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებში გამოტოვებული და ნაგულისხმევია „არის“ შინაარსის მქონე შემასმენელი. ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია სასვენი ნიშნები (მძიმეები) და კავშირი, ერთ შემთხვევაში კი ერთგვარ წევრთა ჩამოთვლა-დაჯგუფებისას გამოყენებულია ძახილის ნიშნები სლოგანისათვის ექსპრესიულობის მინიჭების მიზნით.

იშვიათია **არაერთგვარწევრებიანი** შერწყმული წინადადება სლოგანებად: „*ლიბერთი ბანკი - ყველაზე და ყოველთვის!*“ და „*საპონი „ფა“ - „ნაზი დაცვა, უსასრულო სისუფთავე!*“.

პირველი სლოგანი შერწყმულია ორი სხვადასხვა სახის (ადგილის და დროის) გარემოებით; მეორე სლოგანი კი ნარევია, აერთიანებს ერთგვარ ქვემდებარეებსა და ერთგვარ განსაზღვრებებს.

შერწყმული წინადადებების სლოგანებად გამოყენების შემთხვევები რაოდენობრივად მხოლოდ მარტივი წინადადებების გამოყენების შემთხვევებს ჩამოუვარდება. ვხვდებით ერთგვარშემასმენლიან, ერთგვარქვემდებარიან, ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებებს სლოგანებად; ერთგვარქვემდებარიან და ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებებში გამოტოვებული და ნაგულისხმევია „არის“ შემასმენელი. ძალიან მცირეა არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადებების ნიმუშები სლოგანებად. რაც შეეხება კავშირიან და უკავშირო შეერთებას, ჭარბობს უკავშირო შერწყმული წინადადებები სლოგანებად.

**რთულწინადადებიანი სლოგანები.** „რთული ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან და აზრობრივ - ინტონაციურად ერთ მთლიან დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს“ (კვაჭაძე, 2010:339).

რთული წინადადებებით გადმოცემული სლოგანები არცთუ ისე ხშირია, ეს ეხება როგორც პარატაქსული, ისე ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით გადმოცემულ სლოგანებს. ეს ბუნებრივიცაა, სარეკლამო სლოგანი რაც შეიძლება სიტყვამცირე, ლაკონიური, ადვილად აღქმადი და დასამახსოვრებელი უნდა იყოს. სარეკლამო სლოგანი მასეზზეა ორიენტირებული და, თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ლექსიკურად საკმაოდ მწირია.

რთულ წინადადებებთან შედგენის ორ საშუალებას გამოყოფენ: პარატაქს ანუ თანწყობას და ჰიპოტაქს ანუ ქვეწყობას. თანწყობა გრამატიკულად თანასწორ წინადადებებთან შეკავშირებაა, ქვეწყობა კი გრამატიკულად უთანასწორო, გაბატონებული და დაქვემდებარებული კომპონენტ-წინადადებების შეკავშირებაა. სლოგანებად გვხვდება როგორც თანწყობილი, ისე ქვეწყობილი რთული წინადადებები. რაოდენობრივად რთული ქვეწყობილი წინადადებებით გადმოცემული სლოგანები მეტია, ვიდრე თანწყობილით. კერძოდ: აქტივი (ტაბლეტების გამოსახულება) – „*მოქმედებს შიგნიდან, შედეგი სახეზეა*“; წყალი „ბაკურიანი“ – „*შენ გრძნობ, სხვები ამჩნევენ*“; ემარკო (ორცხობილის გამოსახულება) – „*გემრიელია, არ მოიწყენ*“; *გასინჯე, იგრძენი...*

თანწყობილი წინადადების კომპონენტების შეერთება, ძირითადად, უკავშიროა.

**სრული კონსტრუქციის რთული ქვეწყობილი წინადადებები სლოგანებად.** რთული ქვეწყობილი წინადადებები სემანტიკურ-ფუნქციური თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა. ძირითადად გვხვდება დამატებითი დამოკიდებული წინადადებები, შედარებით ნაკლებად - განსაზღვრებითი ან გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები. თვალსაზრისითვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს: **გალინა ბლანკა** (სანელებლის პაკეტის გამოსახულება) – „*ჩვენ ვიცით, რას ვირჩევთ*“. აქ ჩნდება შემდეგი სახის ასოციაციური ინტერპრეტაციები: -ამ პროდუქტის ხარისხისა და გემოვნური თვისებების შესახებ მომხმარებელმა უკვე დიდი ხანია, იცის; - მომხმარებლები ხშირად ირჩევენ იმ საქონელს, რომელსაც იცნობენ, დიდად აფასებენ და უყვართ.

**ინტენსივი** (დეოდორანტის გამოსახულება) – „*შენ არასდროს იცი, როდის დამთავრდება შენი დღე*“. -ამ დეოდორანტით შეგიძლია, იყო მზად ნებისმიერი მოულოდნელობისთვის, მაშინაც კი, როცა ეს ხდება დღის ბოლოს; - დეოდორანტ „ინტენსივს“ ყოველთვის შეუძლია უზრუნველყოს სასიამოვნო სურნელი, სიგრისის შეგრძნება და ოფლისგან დაცვა მთელი დღის განმავლობაში, როდესაც არ უნდა დამთავრდეს იგი.

**ფაბერლიკი** (კოსმეტიკური საშუალებების გამოსახულება) – „*მე ვიცი, რა იქნება ხვალ*“. აქ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სახის ასოციაციური ინტერპრეტაციები: - ეს კოსმეტიკა განკუთვნილია ყოველდღიური მოხმარებისთვის; - „ფაბერლიკის“ ფირმის კოსმეტიკური საშუალებები გარწმუნებთ არა მარტო დღეს, არამედ ხვალაც.

**ნინელი** (კოსმეტიკური საშუალებების გამოსახულება) – „*რასაც ვხედავთ და ვეხებით, მოქმედებს ჩვენს გრძნობებსა და ემოციებზე*“: - „ნინელის“ კოსმეტიკა ნაყოფიერად მოქმედებს მომხმარებლის გრძნობებსა და ემოციებზე.

**ლაივი** (თმის საღებავის გამოსახულება) – „*წაშალე ჩარჩოები, რომლებიც ბოჭკავს წარმოსახვას*“: - „ლაივის“ სერია მომხმარებლებს სთავაზობს საღებავების ფერების ისეთ მდიდარ არჩევანს, რომლის წარმოდგენაც კი რთულია; - სერიის ფერები ისეთი ლამაზი, ნათელი და მიმზიდველია, რომ შეუძლებელია, ქალმა თავი შეიკავოს იმისგან, რათა მოსინჯოს რომელიმე, თუნდაც მისთვის ყველაზე მოულოდნელი ფერი.

**არასრული კონსტრუქციის (დამოკიდებული წინადადება მთავრის გარეშე) რთული ქვეწყობილი წინადადებები სლოგანებად.** არასრული კონსტრუქციის (დამოკიდებული წინადადება მთავრის გარეშე) წინადადებები, რომელსაც სხვაგვარად რედუცირებულ წინადადებებსაც კი უწოდებენ - არის უსრული წინადადებების სტილისტიკური ვარიანტი, რომლებშიც ესა თუ ის ფორმალური ერთეულები არის ვერბალიზებული არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იოლად აღდგება კონტექსტის ხარჯზე, არამედ გააძლიეროს ექსპრესია, იწვევს ინტერესს. ხშირად წარმოდგენილი დამოკიდებული ნაწილი რჩევა-რეკომენდაციის ხასიათისაა: „იყიდე ეს საქონელი“, ხოლო გამოკვეთილი ნაწილი - აცხადებს რჩევა-რეკომენდაციის რეალიზების ბუნებრივ შედეგს. მაგალითად: იოგურთი „რჩეული“ სოფლის ნობათი - „როდესაც გემრიელი სასარგებლოა“; მოკლე შავი კაბა (ტუალეტის წყლის ფლაკონის გამოსახულება) – „*რაც არასოდეს გადადის მოდიდან*“. სლოგანთან შეიძლება დავაკავშიროთ შემდეგი ასოციაციები: - ტუალეტის წყლის „მოკლე შავი კაბა“ სურნელი - ეს კლასიკა; - ტუალეტის წყალი „მოკლე შავი კაბა“ ღირსეულად შეიძლება დადგეს ისეთი შედეგების გვერდით, როგორცაა მაღამ შანელის „პატარა შავი კაბა“.

**ვივალთი** (ზეთის ბოთლის გამოსახულება) – „*რისი დამტკიცებაც იყო საჭირო*“.

ამ სლოგანის უხილავი ნაწილი შეიძლება შეესაბამებოდეს წინაპირობების გათვალისწინებას (პრესუპოზიციას): იყიდა, ჩაასხა, მიიღო საუკეთესო შედეგი და დარწმუნდა ზეთის მაღალ ხარისხში... ის ქმნის პროექციას განმარტებაზე, რომელიც მჟღავნდება რეალიზებულ-დაქვემდებარებულ ნაწილში „...რისი დამტკიცებაც იყო საჭირო“. **პეჟო** (ავტომობილის გამოსახულება) – „*რომ ავტომობილი ყოველთვის სიამოვნება იყოს*“. მოცემული რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი კომპონენტი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ... წარმოდგენილ დამოკიდებულ წინადადებას მივყავართ შედეგამდე: „...რომ ავტომობილი ყოველთვის სიამოვნება იყოს“. რეალიზებულია ისეთი ინტერპრეტაციები, როგორცაა: - ავტომობილი აღჭურვილია ყველა აუცილებელი პირობით კომფორტისა და მოხერხებულობისთვის, გამოირჩევა დახვეწილი დიზაინითა და სანდოობით; - ავტომობილი იმდენად კარგია, რომ სიამოვნებისა და კმაყოფილების გრძნობა ეუფლება მის მფლობელს.

**სტრესილსი** (ტაბლეტების გამოსახულება) – „*როცა გაციება ყელში გწვდება*“. სლოგანის გაუჩინარებული ნაწილი შეიძლება შეესაბამებოდეს შემდეგ წინაპირობების გათვალისწინებას (პრესუპოზიციას): იყიდე წამალი სტრესილსი, როცა დაგეწყება ყელის ტკივილი. შესაძლებელია შემდეგი სახის ასოციაციური ინტერპრეტაციები: - წამალი შესანიშნავად კურნავს ყელის ტკივილს; - იგი ეხმარება სწრაფად და გვერდითი ეფექტების გარეშე ამარცხებს გაციებას.

უსრული კონსტრუქციები იშვიათად გვხვდება პარატაქსულ კონსტრუქციებშიც. პარალელის გასავლებად შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: აიქარდი (ტელეფონის ბარათის გამოსახულება) – „*და მსოფლიო უფრო ახლოსაა*“. სლოგანში ვლინდება სხვადასხვა სახის ასოციაციური ინტერპრეტაციები: - თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ უზრუნველყონ ადამიანები უფრო სწრაფი, ხარისხიანი და საიმედო კავშირით დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან. - მსგავსი

კავშირით ადამიანი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, აღარ იგრძნობს თავს მარტო, სამყაროსგან, ცხოვრებისგან და სხვა ადამიანებისაგან მოწყვეტილად.

აეროფექტი (სადეჭი რეზინის შეფუთვის გამოსახულება) – „გემრიელია, ყელიც წესრიგშია“. სლოგანის გამოუთქმელი აზრი შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: - ამ სადეჭ რეზინს აქვს შესანიშნავი გემო; - იგი კარგად მოქმედებს ყელზე, ამსუბუქებს ტკივილს ანთების ან გაციების დროს.

უმთავრო, რედუცირებულ რთულ წინადადებებს, მართალია, მრავლად არ გვხვდება სლოგანებად, თუმცა ეფექტური და ექსპრესიულია, ვრცელ აზრს შეკუმშულად, მარტივად აწვდის მიმღებს და სწორედ ეს არის სლოგანის დანიშნულება.

როგორც დავინახეთ, სარეკლამო სლოგანების სფეროში ჩნდება სხვადასხვა ტიპები წინადადებისა, რომელთაგან თითოეული სტრატეგიულად არის შექმნილი, რათა გამოიწვიოს კონკრეტული პასუხები აუდიტორიის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ზემოჩამოთვლილი სარეკლამო სლოგანები შეიძლება სხვა კუთხითაც დავაჯგუფოთ. კერძოდ: 1. **აღწერითი სლოგანები** (პროდუქტის ან სერვისის მოკლედ აღწერა, სადაც ხაზი ესმება ძირითად მახასიათებლებს): „დაისვენე, მიირთვით კიტ-კეტ“...; 2. **იმპერატიული სლოგანები** (ბრძანება ან დავალება აუდიტორიას, დაუყოვნებელი მოქმედების წასახალისებლად): „უბრალოდ გააკეთე“ (Nike)...; 3. **დაკითხვითი სლოგანები** (აუდიტორიის ჩასართავად და ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად დასმული კითხვები): „რა არის თქვენს საფულეში?“ (კაპიტალი ერთი)...; 4. **მახილის სლოგანები** (ენტუზიაზმისა ან აღელვების გამოხატვა, რომლის მიზანია დასამახსოვრებელი ეფექტის შექმნა): „თითების გაწბილება“ (KFC)...; 5. **რიტმული სლოგანები** (რიტმისა და რიტმის გამოყენება მიმზიდველი და დასამახსოვრებელი ეფექტისთვის)...; 6. **მეტაფორული სლოგანები** (მეტაფორებისა და ანალოგიების გამოყენება უფრო ღრმა მნიშვნელობის გადმოსაცემად): „ნამდვილი რამ“ (კოკა-კოლა)...

დასასრულს, სარეკლამო სლოგანებში წინადადების ტიპებისა და გამოხატვის საშუალებების შესწავლა ავლენს ერთგვარ ურთიერთკავშირს ლინგვისტიკასა და მარკეტინგს შორის. რეკლამის სფეროში დეკლარაციული, იმპერატიული, კითხვითი და მახილის წინადადებების სირთულეების შესწავლამ გამოავლინა ენის მიზანმიმართული დამუშავება მომხმარებელთა ქცევაზე ზემოქმედების მიზნით. ენობრივი საშუალებების კრეატიული გამოყენება, როგორცაა: სიტყვების თამაში, წინადადების წყობა და ნათელი გამოსახულებები, ემსახურება რეკლამის განმთავსებლებს ყურადღების მიპყრობისა და დამაჯერებელი მესიჯების გადასაცემად. სლოგანებში გამოყენებული წინადადებების მრავალფეროვანი სტრუქტურისა და ექსპრესიული ტექნიკის გაგება არა მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს ლინგვისტურ ანალიზს, არამედ იძლევა ღირებულ შეხედულებებს სარეკლამო სფეროში ეფექტური კომუნიკაციისთვის.

#### ლიტერატურა:

1. კვაჭაძე, 2010 - კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მესამე შევსებული გამოცემა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
2. კვაჭაძე, 2008 - ქართული ენის ენციკლოპედია, თბილისი.
3. ენციკლოპედიური ლექსიკონი.  
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=14&t=dict&w1=%E1%83%96>
4. სამოქალაქო ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2008 - ი. მანჯავიძე, ლ. ლაბაური, მ. კვაჭაძე. თბილისი.

## **Types of sentences and means of expression in advertising slogans**

### **Abstract**

The syntactic structure of slogans is determined by the structure of sentences, word order and modality.

In advertising texts, we most often find slogans with simple sentence structure, since for slogan creators, brevity is the starting point to perfectly convey an idea using a minimum number of words. Therefore, nominal sentences predominate among them.

The number of cases of using complex sentences as slogans is lower compared to using simple ones. As slogans, there are subordinate sentences with homogeneous predicates, subjects and attributes. There are very few examples of the use of complex subordinate sentences with heterogeneous members as slogans. As for conjunctive and non-conjunctive formations, non-conjunctive sentences predominate in the slogans. In slogans conveyed by complex subordinate sentences, the dependent component-sentence most often follows the main one, i.e. the postpositional structure predominates, the interpositional structure is almost absent. As for function, additional subordinate clauses predominate here; other types of subordinate clauses are relatively less common. Although reduced complex sentences are not often found as slogans, they are effective and expressive, they convey a broad idea to the addressee in a concise and simple form, and this is the purpose of the slogan. The study of the types of sentences and means of expression in advertising slogans reveals a peculiar connection between linguistics and marketing. A research of the complexity of declarative, imperative, interrogative and exclamatory sentences in advertising has revealed the deliberate manipulation of language to influence consumer behavior. Creative use of language such as puns, sentence structure and bright images, helps advertisers attract attention and convey persuasive messages. Understanding the variety of sentence structure and expressive techniques used in slogans not only enriches our linguistic analysis, but also provides valuable information for effective communication in the advertising field.

**Key words:** Types of sentences, advertising slogans.

## თინათინ ფხალაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი[fkhaladzetiko@yahoo.com](mailto:fkhaladzetiko@yahoo.com)[tikopxaladeze@gmail.com](mailto:tikopxaladeze@gmail.com)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.46>**"წყვდიადის გული" როგორც კოლონიური გოტიკის ნიმუში****საკვანძო სიტყვები:** ჯოზეფ კონრადი, "წყვდიადის გული", კოლონიური გოტიკა.

ჯოზეფ კონრადი, პოლონური წარმოშობის ბრიტანელი რომანისტი, ხშირად განიხილება, როგორც ერთ-ერთი ადრეული მოდერნისტი მწერალი. საზღვაო თემატიკა, ანტიგმირები, ადამიანის სულის განსაცდელი, იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი მის ნამუშევრებში ერთ-ერთი მთავარი თემაა. მისი ყველაზე გამორჩეული თვისება თხრობის სტილია, რომელიც არაპირდაპირი, ტავტოლოგიური და ორაზროვანია. ქაოსურად მოთავსებული ზედსართავი სახელები, პუნქტუაცია, XIX საუკუნის რეალიზმის ელემენტები, პოეტური პროზა და სხვა მისი თხრობის დამახასიათებელი თვისებებია. ის იყო პირველი ინგლისელი მწერალი ინგლისურ ლიტერატურაში რომელმაც მის შემოქმედებაში შეიტანა არა-ინგლისური მგრძობელობა.

კოლონიალიზმი, რომელსაც ასევე მთავარი ადგილი უჭირავს კონრადის შემოქმედებაში და განსაკუთრებით მის ყველაზე ცნობილ ნოველაში „წყვდიადის გული“, არის პოლიტიკური და ისტორიული რეალობა, რომელშიც ქვეყანას ემორჩილება და პოლიტიკურად აკონტროლებს უფრო ძლიერი ქვეყანა, რომელიც ახორციელებს ექსპლუატაციას, ჰეგემონიას და ძალადობას, როგორც ფიზიკურ, ასევე ეპისტემურს. კოლონიალიზმი არის იმპერიალიზმის შედეგი, რომელშიც იმპერიული ერი იმპლანტირებულია კოლონიები შორეულ კონტინენტებსა თუ ტერიტორიებზე და მართავენ მათ მარიონეტების ან წარმომადგენლების მიერ. ეს არის პოლიტიკურად მღელვარე სისტემა, რომელიც სამყაროს ორობით დაპირისპირებად ყოფს: კოლონიზატორად და კოლონიზებულად. კულტურა მითვისებულია კოლონიაში კოლონიზატორთა უზენაესობის დასადასტურებლად. კოლონიალიზმი დამკვიდრდა სისტემური ძალადობის გზით გამუდმებული ეპისტემური ძალადობით.

პოსტკოლონიური ლიტერატურა ძირითადად შედგება ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დაწერილი ნაწარმოებებისგან. ჯერ კიდევ ბევრია დისკუსია იმ ავტორების სტატუსზე, რომლებიც წერდნენ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული მწერალი, რა თქმა უნდა, ჯოზეფ კონრადია, რომელსაც თანამედროვე მეცნიერთა უმეტესობა მიიჩნევს ერთ-ერთ პირველ პოსტკოლონიალურ მწერლად. მწერლად, რომელიც აკრიტიკებდა ევროპის იმპერიების ზოგჯერ დაუნდობელ და უაზრო კოლონიურ ექსპანსიას და "თეთრი კაცის ტვირთის" კონცეფცია.

ნამუშევრები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ, რა თქმა უნდა, ეხება კონრადის აფრიკულ გამოცდილებას, რაც ყველაზე კარგად და ნათლად სჩანს ნოველაში - „წყვდიადის გული.“

რაც შეეხება ამ ნაწარმოებების ანტიკოლონიურ ელფერს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი დაწერის დროს კონრადი სულაც არ იყო ერთადერთი მწერალი, რომელიც აკრიტიკებს ევროპულ პოლიტიკას კონგოს აუზში, რადგან უკვე იყო რამდენიმე

პუბლიკაცია, რომელიც ამხელდა და ნათელს ჰფენდა იმ სისასტიკეს, რომელიც ხდებოდა კონგოში მეფე ლეოპოლდის მიერ დაწესებული რეჟიმის პირობებში. (Hawthorn, Jeremy, 1973:101)

კონრადი არ ყოფილა პირველი ვინც თავის შემოქმედებაში შეეხო ახალ საჭირობოროტო თემას. კონგოს თავისუფალი სახელმწიფოს პირველი ფართო კრიტიკა დაწერა ჯორჯ ვაშინგტონ უილიამსმა, რომელიც იქ გაემგზავრა შეერთებული შტატებიდან, რათა ენახა, შეიძლებოდა თუ არა ცივილიზაციისათვის საჭირო სამუშაოების მინდობა შავკანიანი ამერიკელებისათვის. შეშინებულმა, მას შემდეგ რაც დაინახა, ღია წერილი მისწერა მეფე ლეოპოლდს, სადაც დეტალურად აღწერა ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილი იყო იმ რეჟიმის მიერ, რომელიც - მეფემ დააწესა კონგოში ( ძალადობა, ექსპლუატაცია ადგილობრივი მოსახლეობის, მონებით ვაჭრობა, ადგილობრივი ქალებზე სექსუალური ძალადობა და საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობის სრული ნაკლებობა). ამ წერილზე რეაქცია მყისიერი იყო: სტენლიმ და სხვებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ კონგოს კომერციულ ექსპლუატაციაში, გაავრცელეს ბრაზიანი განცხადებები, რომლებიც უარყოფდნენ ყველა ბრალდებას. თუმცა, უილიამსის წერილმა შემფოთება გამოიწვია ოფიციალურ ორგანოებში და 1891 წელს კონგო გახდა ბელგიის პარლამენტში დებატების საგანი. (Parry, Benita, 1987:102)

ხმა ასევე გაისმა ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ამერიკელმა ბაპტისტმა მისიონერმა, რომლის სახელი იყო ჯ.ბ. მერფი, დეტალურად მოგვითხრო „რეზინის სისტემის“ ბოროტმოქმედების შესახებ. ალფრედ პარმინტერმა - ბრიტანეთის მოქალაქემ, რომელიც მუშაობდა იმავე კომპანიაში, რომელშიც კონრადი მუშაობდა კონგოში - Reuters-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოაცხადა, რომ მან დაინახა ბელგიელი ოფიცერი, რომელიც ბრუნდებოდა ექსპედიციიდან და რომელსაც თან ჰქონდა ადამიანის რამდენიმე ყური ერთმანეთზე მიბმული. ასევე, შვედმა მისიონერმა, სიობლომმა გამოაქვეყნა კრიტიკული სტატიების სერია შვედურ ბაპტისტ ყოველკვირეულ ჟურნალში და გაუგზავნა მოხსენებები კონგოს ბალოლოს მისიას ლონდონში (Miller, J. Hillis, 1985 40). პრესის ინტერესი ამ საკითხზე გაიზარდა და - როგორც სვენ ლინდკვისტი წერს - 1896 წლის მაისში სიობლომის მოხსენებები კომენტარებული იყო ყოველთვიურ ჟურნალში Regions Beyond, რომელშიც ჟურნალისტები ხაზს უსვამდნენ გამოძიების აუცილებლობას.

პრესის ამ კომენტარებმა, თავის მხრივ, მიიპყრო სერ ჩარლზ დილკეს ყურადღება, კაბინეტის ყოფილი მდივნის, რომელმაც 1896 წლის ივლისში გამოაქვეყნა ძალიან კრიტიკული სტატია კონგოს შესახებ ახალ ჟურნალში სახელწოდებით Cosmopolis .საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმავე წელს და იმავე ჟურნალში კონრადმა გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა სათაურით „პროგრესის აურპოსტი“, რომელიც იყო მისი პირველი მხატვრული ნამუშევარი აფრიკაში და რომელიც ეხებოდა მის საკუთარ გამოცდილებას კონგოში. . სიუჟეტი ორი ჩვეულებრივი თეთრკანიანი მამაკაცის, კაიერტისა და კარლიერის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც აფრიკის შუაგულში, შორეულ სავაჭრო სადგურზე არიან გამოგზავნილი. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი კვალიფიკაცია ასეთი სამუშაოსთვის, მათ ამორებენ თავიანთ სამთავრობო თანამდებობებს სახლში და აგზავნიან უცნობ ქვეყანაში უდაბნოს „ცივილიზაციის“ და ვაჭრობის სტიმულირების მიზნით, ადგილობრივი ბაზრების დაარსების მისიით. ეს იქნება მოგების მაგიდა მშობლიური ქვეყნისთვის. თუმცა მალევე ცხადი ხდება, რომ ისინი სრულიად მოუმზადებელნი არიან და არ გააჩნიათ უნარი, გააკეთონ ის, რასაც მათგან მოელიან. უფრო მეტიც, მათი ქცევა შიშისა და დაუცველობის განცდის შედეგად გამოწვეული ქედმაღლობით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი აჩვენებენ, თითქოს შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, რაღაც შინაგანი ეუბნება მათ, რომ ასეთ პირობებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია: „თუნდაც წმინდა მატერიალურ პრობლემებთან ეფექტურ ბრძოლაში



საჭიროა მეტი გონების სიმშვიდე და უფრო მაღალი გამბედაობა, ვიდრე ადამიანებს გააჩნიათ .

კაიერტს და კარლიერს, არ გააჩნიათ მოტივაცია დასახული ამოცანების შესასრულებლად და დროთა განმავლობაში ხვდებიან, რომ მათი პოზიცია საკმაოდ უიმედოა. თუმცა, მათი ერთად გატარებული უსაქმურობის საათები და სრულ იზოლაციაში ცხოვრების ფაქტი, ორ მამაკაცს უფრო აახლოებს. კაიერტს და კარლიერს ეზიზღებათ სადგურის კაცების სიზარმაცე და მათი უუნარობა მაგრამ ისინი მოწყალენი არიან მათ მიმართ და შედარებით კეთილგანწყობით ეპყრობიან მათ, რითაც ავლენენ კომპლექსსა და მეცხრამეტე საუკუნის კოლონიური რეალობის წინააღმდეგობრივ ბუნებას.

შედეგად, მკითხველს არ უკვირს კარლიეს უაზრო სიკვდილი და კაიერტის თვითმკვლელობა. კონრადის დასკვნითი სტრიქონები გამოხატავს მის დამოკიდებულებას ევროპული ცივილიზაციის აფრიკაში შემოტანის იდეის მიმართ: არაადამიანური, ვიბრაციული და მოულოდნელი ყვირილი, რომელმაც ბასრი ისარივით გახვრიტა მწუხარების მიწის თეთრ საფარი. (Joseph Conrad,1979;34)

როგორც უკვე ავლინებთ, კოლონიზატორთა მიერ აფრიკის ექსპლუატაციის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელიც კიდევ უფრო მძვრად და თვალნათლივ სჩანს და განიხილება კონრადის დაუვიწყარ ნოველაში „წყვდიადის გული“ . საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი, ბევრჯერ იყო ნახსენები და მოხსენიებული პოსტკოლონიალური კრიტიკოსების მიერ და დღემდე იწვევს დიდი დაპირისპირებას.

„წყვდიადის გული“ არის 1899 წლის ნოველა თავისუფალ სახელმწიფოში მდინარე კონგოზე მოგზაურობის შესახებ . სიუჟეტი ეძღვნება ჩარლზ მარლოუს, ინგლისელ მეზღვაურს, რომლის მოგზაურობის მთავარ მიზნად დგას მდინარე კონგოზე მოგზაურობის დროს შეხვდეს კურცს, სპილოს ძვლით მოვაჭრე კაცს, რომელის სახელიც იქაურობას აზანზარებდა მაგრამ ბოლოს, გაგიჟდა. მარლოუ დაინიშნა ორთქლმავლის კაპიტანად სპილოს ძვლის სავაჭრო ნაგზე ერთ-ერთი ორგანიზაციისათვის. მდინარეზე მოგზაურობისას კომპანიის სადგურებზე ის აწყდება კორუფციას, უსამართლობას, წამებას, სიძულვილს, მონობას, ჩაგვრასა და დამცირებას. ის ასევე მოწმეა ადგილობრივების ექსპლუატაციისა და ჩაგვრისა კომპანიის აგენტების მიერ. ნოველა არის „თეთრი“ კაცის წარმოსახვითი თხრობა აფრიკაზე, ერთდროულად საზიზღარი და სასურველი. აფრიკა სტერეოტიპულია, რომლის პეიზაჟი წარმოიშვა თეთრკანიანი ადამიანების ორავროვანი დამოკიდებულებიდან ქვეყნისა და ადგილობრივების მიმართ. კონრადის აფრიკა არის ქვეყანა აუღებელი ტყეებით, მძვინვარე დოლებით (საკრავი ინსტრუმენტებით), პრიმიტიული წეს-ჩვეულებებით, უცარი მზის ჩასვლით, მტაცებლებითა და შავი წყლის ცხელებით. ის აღწერს აფრიკას მნიშვნელობის, არსის გარეშე, თანმიმდევრობისა და წესრიგის გარეშე, სადაც რაციონალური ადამიანები ცხოვრებას ასრულებენ იმედგაცრუებულები, უწევთ გადალახვა წყვდიადისა და სიველურის მაგრამ ბოლოს სიგიჟით ან სიკვდილით ასრულებენ. ბევრი უნახავს კომპანიის წარმომადგენლებს სათაო ოფისში კონგოზე წასული მაგრამ უკან დაბრუნებული, არავინ. აფრიკა, მისი ბუნებითა და მაცხოვრებლებით, არის ამოუცნობი და გამაგიჟებელი, საოცარი, რაც კარგად სჩანს „წყვდიადის გულში“ და ჰქმნის მისტიკურ და სხვადასხვა სახის კონფლიქტებს (კონრადის აფრიკა არის პეიზაჟი ხალხის გარეშე. ადგილობრივები გამოსახულნი არიან როგორც ირაციონალური და საშინელი, ყოველგვარი „ადამიანობისა“ ან „კულტურის“ კვალის გარეშე. აფრიკის ეს სტერეოტიპი ფართოდ არის გავრცელებული და დეჰუმანიზაციას უწევს აფრიკელებს. მთხრობელი მარლოუ უარყოფს აფრიკელების კაცობრიობას:

“Well you know that was the worst of it-this suspicion of them being inhuman” (Joseph Conrad 1979:68).

„წყვდიადის გულის“ გარჩევისას საინტერესოა ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე, რომლებიც უმეტეს ინტერპრეტაციებში ჩანს. მათგან პირველი არის ნოველის

სათაური. მეტაფორა „წყვდიადის გული“ არა მხოლოდ გვთავაზობს, რომ აფრიკა წარმოვიდგინოთ ღამის, პრიმიტიულ და იზოლირებულ შავ კონტინენტად, არამედ მიუთითებს არქეტიპურ ბოროტებაზე, რომელიც ფარულია ყველა ადამიანში. სათაური ასევე არის ირონიული კომენტარი 1876 წელს მეფე ლეოპოლდის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე, რომელმაც გამოაცხადა „წყვდიადის გატეხვის საჭიროება, რომელიც მოიცავს მთელ მოსახლეობას“. რაც შეეხება მოგზაურობის მოტივს, მეცნიერთა უმეტესობა აცხადებს, რომ კონრადის ნოველა არ არის მხოლოდ მარლოუს ექსპედიციის აღწერა მდინარე კონგოზე, არამედ არის მოგზაურობა დროში უკან იმ ადგილებში, რომლებსაც ჯერ კიდევ ბუნების იდუმალი ძალები მართავენ, ისევე როგორც ევროპელის მოგზაურობა საკუთარ გონებაში. კურცის შემთხვევაში, მოგზაურობა მთავრდება, როდესაც ის მიაღწევს უფსკრულის ფენებს, რომლებიც დათრგუნულია მისი ცივილიზებული ევროპული სუპერეგოს მიერ და განთავისუფლებულია ბუნების ველური, აბსოლუტური ძალის მიერ. თავის მხრივ, მარლოუ გველისმაგვარ მდინარეზე მოგზაურობს თავისი ნამდვილი „მე“-ს საძიებლად. (Parry, Benita.1987,45)

ჩინუა აჩებე, თავის ნაშრომში ამბობს, რომ როდესაც კონრადმა დაწერა „წყვდიადის გული“, ის დასცინოდა აფრიკულ პეიზაჟებს, ისევე როგორც აფრიკელ ხალხს. კონრადის ნოველაში - ნიგერიელი კრიტიკოსის აზრით - აფრიკული ქვეყანა ხდება განსხვავებული, უცხო სამყარო - ანტითეზა. ევროპული ცივილიზაციის - პრიმიტიული და სასტიკი ადგილი, სადაც პირველყოფილი ინსტინქტები სუფევს. სიუჟეტი იწყება მდუმარე მდინარე ტემზაზე, რომელიც, როგორც კონრადი წერს, ასევე იყო „დედამიწის ერთ-ერთი ბნელი ადგილი“ .. ამის შემდეგ კი მკითხველი მიჰყავთ შორეულ მდინარე კონგოში - იმ დროის ერთ-ერთ ბნელ ადგილას: „ამ მდინარეზე ასვლა სამყაროს ადრეულ საწყისებში დაბრუნებას ჰგავდა, როცა მცენარეულობა აჯანყდა დედამიწაზე და დიდი ხეები მეფეები იყვნენ. ცარიელი ნაკადი, დიდი სიჩუმე, აუღებელი ტყე“. იმ გამოცდილების ანალიზისად, რომელსაც მარლოუ მოგზაურობის დროს იძენს, ანალიზებინებს მას, რომ აფრიკის რეალობამ წარუშლელი კვალი დატოვა მის ფსიქიკაზე. პრობლემა, რომლის ხაზგასმაც აჩებეს სურს, არის ის, რომ თეთრკანიანი ადამიანების სულებში შავი კონტინენტი და მისი პირველყოფილი სამყარო ანთავისუფლებს ბოროტებას, რომელიც დათრგუნულია ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის მიერ ამ ადამიანებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ კონრადი იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ევროპელებს შორის, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ გამგზავრებულიყო კონგოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს (ე.ი. 1890 წელს) და საკუთარი თვალთ ენახა, თუ როგორ მიჰქონდათ ცივილიზაციის მიღწევები ცენტრში.

„წყვდიადის გული“ ნამდვილად შეიცავს აფრიკაში კოლონიალიზმის ძალიან მკაცრ კრიტიკას. მართლაც, მრავალი მეცნიერის აზრით, ეს არის ერთ-ერთი პირველი ტექსტი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც „პოსტკოლონიური“. იქ გატარებულმა თვეებმა კონრადს გააცნობიერებინა არა მხოლოდ კოლონიზატორთა სიხარბე და არაგულწრფელობა, რომლებიც მონდომებულნი იყვნენ რაც შეიძლება მეტის მიღება მოესწროთ უმოკლეს დროში, არამედ მათი ქმედებების ქაოტური ხასიათისა და აბსურდულობა. თუმცა, ყველაზე საშინელი გამოცდილება იყო აფრიკელების მიმართ ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ნახვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონრადი იყენებს თხრობის განსხვავებულ ტექნიკას და ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყვდიადის გულის გაგება-გააზრებაზე. ექსტრადი-ეგეტიკური მთხრობელი, რომელიც ასახავს ისტორიის ფონს, არის უსახელო პერსონაჟი, რომელიც ხვდება რამდენიმე სხვა ადამიანს ნელის ბორტზე, რათა მოუსმინოს „ზღაპარს“ მდინარე კონგოზე მოგზაურობის შესახებ, რომელსაც მარლოუ ყვება, რომელიც ცენტრალურია და იქ მყოფთათვის მნიშვნელოვანი მოასამენი სჩანს (Achebe, Chinua, 1979:2-12)

წყვედიადის გულის კრიტიკულ ინტერპრეტაციაში, აჩებე უშვებს სერიოზულ შეცდომას, როდესაც ცდილობს მარლოს ხმის იდენტიფიცირებას, როგორც თავად კონრადის ხმისა, მაგრამ ასეთი დასკვნები ახალი არ არის, იმის გათვალისწინებით, რომ კონრადსაც და მარლოუსსაც ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება.

#### ლიტერატურა :

- Achebe, Chinua. "An Image of Africa: Racism in Conrad's Heart of Darkness." Research in African Literatures. 9 (1978): 2-12. Print.
- Conrad, Joseph. Collected Edition of the Works of Joseph Conrad. London: J.M. Dent and Sons, 1955. Print. Heart of Darkness and Other Stories. London: Wardsworth Classics, 1995. Print.
- Hawthorn, Jeremy. Joseph Conrad: Language and Fictional Self-Consciousness. London: Edward Arnold, 1979. Print
- Miller, J. Hillis. "Heart of Darkness Revisited." Conrad Revisited. Ed. Ross C. Murfin. Alabama City: U of Alabama P, 1985: 31-50. Print.
- Aswin Prasanth III Sem M.A Sree Sankaracharya University of Sanskrit, Kalady, Kerala, ISSN 2320 – 6101.print 2016
- Parry, Benita. Conrad and Imperialism: Ideological Boundaries and Visionary Frontiers. London: Macmillan, 1987. Print.

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

[manana\\_qajaia@yahoo.com](mailto:manana_qajaia@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.47>

## გიორგი წერეთლის შემოქმედების ერთი ასპექტი აკაკის პუბლიცისტიკაში

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

**შესავალი.** ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების რთული და სათუთი, თითქმის შეუცნობელი მექანიზმის გაგებაში, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპისტოლარულ მეშვეობას, რადგან ადამიანის შინაგანი სამყარო ისე უშუალოდ არსად იჩენს თავს, როგორც პირად წერილებსა და დღიურებში. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ აკაკის გიორგი წერეთლისადმი დამოკიდებულების კიდევ ერთ ილუსტრაციად შეიძლება გამოდგეს მისი პირადი წერილიც. აკაკი წერს: „მეზარბეა შენი ჭაბუკური ენერგია, სული და გული, მაგრამ რომ მოხუცებულობის წინდახედულებას მოკლებულია, ეს მწყინს... მე კიდევ მაინც მიყვარს გიორგი წერეთელი (ნიკოლაძის არ იყოს) და მისი შეურაცხყოფა ჩემს შეურაცხყოფად მიმაჩნია“<sup>1</sup>.

საქართველოში, XIX საუკუნის მიწურულს, თუ კიდევ ვინმეს ჰქონდა შერჩენილი რაინდული სული, ეს, პირველ ყოვლისა, ქართველი მწერალი იყო. სწორედ ამიტომ, აკაკის მიერ გ. წერეთლის შეურაცხყოფის საკუთარ შეურაცხყოფად აღქმას მართლ მოხდენილ ფრაზად ვერ ჩავთვლით, როგორც ჩანს, ამ ორი შესანიშნავი პიროვნების სულიერ ერთობას საფუძველი ჰქონდა.

**ძირითადი ნაწილი.** გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ აკაკიმ დაბეჭდა ერთი პატარა წერილი, რომელშიც დიდი გულისტკივილით შეაფასა მწერლის გასვენება. ჩვენი აზრით, ამ შეფასებაში ყველაზე უკეთ გამოსჭვივის ის სერიოზული დამოკიდებულება, რომელსაც აკაკი გიორგი წერეთლის მხატვრული შემოქმედებისა და საერთოდ მისი პიროვნებისადმი ამჟღავნებდა. ეს წერილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური შემაჯამებელი რეზიუმე გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გ. წერეთლის ცხოვრებისა, რომლის ავტორიც - მისი დიდი თანამედროვე აკაკი წერეთელი, საფიქრალსა და განსასჯელს უტოვებს.

<sup>1</sup> აკაკი წერეთლის წერილი გიორგი წერეთლისადმი, 1893 წ., 3 ივნისი, საქ. სდმ გ. წერეთლისა და აკაკის არქივის მასალა N 16231

60-იანელებმა სამგლოვიარო ცერემონიალიც, ფაქტობრივად, ერში ღირსების შეგრძნების გამძაფრებისათვის გამოიყენეს. გავიხსენოთ თუნდაც დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, რომელიც ნაციონალური კონსოლიდაციისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის მკაფიო მაგალითად იქცა. ასევე დიდი მოქალაქეობრივი ჟღერადობა ჰქონდა ნ. ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებას. ამ სამგლოვიარო ცერემონიალმა დიდი პოეტის წამებული სული დაუბრუნა თავის ქვეყანას, მისთვის ეგზომ საყვარელ თბილისს და მისი შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გაძლიერებას შეუწყო ხელი, რაც, საბოლოო ჯამში, სამგლოვიარო ცერემონიალის მომწყობთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა. მხატვრულ შემოქმედებას ხომ ყველაზე უკეთ შეუძლია ერის განწყობილებათა რეგულირება, თვით ქვეცნობიერის სფეროს დონეზეც. როგორც ჩანს, 1900 წლის 16 იანვარს, გიორგი წერეთლის დაკრძალვის დღესაც, აკაკის აზრით, ასევე ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სამგლოვიარო ცერემონიალის და ამავე დროს, მასში გატარებული იყო თავისებური ზეამოცანაც - ერში ღირსების შეგრძნების გამძაფრება და თავად გ. წერეთლის შემოქმედებისადმი ინტერესის შემდგომი გაღვივება.

აკაკი აღნიშნულ წერილში თავდაპირველად იხსენებს ძველ ტრადიციას ქვეყნის მოჭირნახულე, დიდებული თავადების დაკრძალვისა, როდესაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ხალხი ქვეყნის გარდაცვლილ მეტოქეს „გულმტკივნეულად ეთხოვებოდა“<sup>1</sup>.

მწერალი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გიორგი წერეთლის გასვენებას „დაესწრნენ მხოლოდ ნამდვილი გულშემატკივრები და მათი რიცხვი უთვალავი იყო, სწორედ ისე, როგორც ძველად ხალხმა დამარხა თანამედროვე თავადი“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, აკაკი წერეთელს გიორგი წერეთელი სწორედ „თანამედროვე თავადად“, ანუ ხალხის მოჭირნახულედ ესახებოდა და სწორედ ამიტომ, აღნიშნული წერილის სათაურად „თანამედროვე თავადი“ შეარჩია და, ამასთან ერთად, საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო სიტყვა თავადის ეტიმოლოგიურ გარკვევას. მწერლის ამ კუთხით გამოთქმულ მოსაზრებებს, ალბათ, სპეციალისტები მთლიანად ვერ დაეთანხმებიან, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ზოგადად აკაკის შეხედულება ნამდვილად მისაღებია. იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად სერიოზულია აკაკის ვარაუდი, ვფიქრობთ, საკმარისია გავიხსენოთ სახარების ტექსტი, სადაც თავადი ქრისტეს მიმართავს: „და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან“ (ლუკა, 4,15). „და თავადმა ჰრქუა მათ: მარქუათ საქმე იგავი ესე: მკურნალი, განიკურნე თავი შენი და რავდენი გუესმა საქმე კაპერნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა“ (ლუკა, 4, 23).

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში იგრძნობოდა ზნეობრივ ღირებულებათა ერთგვარი ნიჰილისტური გადაფასების ტენდენციები. ბუნებრივია, აკაკის მახვილ თვალს არ გამოეპარა საზოგადოებაში იმხანად უკვე დაწყებული პროცესი და აღნიშნავდა: „... ნახავთ იმისთანა ტუტუცებსაც, რომლებიც ტრაბახობენ, ჩვენი ძველები, მადლობა ღმერთს, გამოჩენილი გვარის არ ყოფილანო და პატივი გვეცითო! დღეს თვითონ გლახაკებს, მამა-პაპის სიგლახე საკმარის ღირსებად მიაჩნიათ და პატივისცემას მოითხოვენ“<sup>3</sup>. მიუხედავად ასეთი „გლახაკების“ მომრავლებისა თანამედროვე საზოგადოებაში, აკაკი თვლის, რომ წინაპართა ხსოვნის პატივისცემელი ქართველი ერი „დღესაც მხოლოდ

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, თანამედროვე თავადი, ჟურნალი „აკაკის კრებული“, 1900 წ., N 2, განყ. 1, გვ. 1.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, თანამედროვე თავადი, ჟურნალი „აკაკის კრებული“, 1900 წ., N 2, განყ. 1, გვ. 4.

<sup>3</sup> აკაკი წერეთელი, თანამედროვე თავადი, ჟურნალი „აკაკის კრებული“, 1900 წ., N 2, განყ. 1, გვ. 4.

იმას სცემს პატივს და აღარებს თავადად, ვინც დღევანდელ საქმეს თავში უდგია და ქვეყანას გულწრფელად ემსახურება“<sup>1</sup>. აკაკის თქმით, ასეთი სტილის მოღვაწეებს, მიუხედავად სოციალური წარმოშობისა, ხალხი კაცობრიობით აფასებს და ამის დასადასტურებლად მას გ. წერეთლის გასვენება მიაჩნია, სადაც ნათლად გამოჩნდა ხალხის დაფასება, რადგან „დაბალმა ხალხმა“, ფესვმა - ეროვნების თვით დასდვა მას თავისი საკუთარი უტყუარი მსჯავრი...“<sup>2</sup>

აკაკის ზემოთ განხილულ წერილს, მართლაც აშკარად ეტყობოდა ობიექტური სიტუაციით (გარდაცვლილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი, მ. ქ.) გამოწვეული მაღალფარდოვანი სტილი, მაგრამ არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი, ამასთანავე, წარმოაჩენს აკაკის გ. წერეთელთან დამოკიდებულების საკვანძო საკითხებს. როგორც დავინახეთ, აკაკის აზრით, გ. წერეთელი არის თანამედროვე თავადი - ამ სიტყვის უძველესი მნიშვნელობის - მოთავის წინამძღოლის გაგებით, რომელსაც ეს ტიტული მისი „სადღეისო საქმეების“, ანუ იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საქმეების, თავში დგომისა და „ქვეყნის გულწრფელი სამსახურის გამო“ თავად ხალხმა დაუმტკიცა.

დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, „სადღეისო“, ანუ მის თანამედროვე ბევრ საქმეს გ. წერეთელი მართლაც ჩინებულად ედგა სათავეში, თუნდაც მისი „დროებისა“ და „კრებულის“ რედაქტორობა ან პედაგოგიური მოღვაწეობა გავიხსენოთ. რაც შეეხება ქვეყნის გულწრფელ სამსახურს, ალბათ, საქართველოს XIX საუკუნის ისტორიაშიც კი, იმ დროში, როდესაც ასე ხშირი იყო ქვეყნის გულსრფელი სამსახურის მაგალითები, ძნელად მოსაძებნია ისეთი უანგარო მოღვაწე, როგორც გიორგი წერეთელი იყო.

გ. წერეთლის დასაფლავებისას აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე. აკაკის სიტყვა ლაკონურობითა და აზრის სიღრმით გამოირჩევა. მწერალი იმედიანად ამბობს: „მოვა დრო, როდესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი შეგნებით და არა სხვების ხმის აყოლით დააფასებენ, და მაშინ გიორგის ნაწერების სიდიადე და სიკეთე გააკვირვებს ყველას“<sup>3</sup>.

აკაკი აქვე შეეხო ქართველთა ერთ მანკიერ მხარეს, საზოგადო მოღვაწეების დაუფასებლობასა და გაკრიტიკებას, რაც გიორგი წერეთელსაც საგრძნობლად ერგო, მიუხედავად თავისი უანგარო მოღვაწეობისა.

აკაკის ეკუთვნის გიორგი წერეთლის ერთი შესანიშნავი დახასიათებაც. მასში, ჩვენი აზრით, იგი ზუსტად, ადამიანის ფსიქიკის თავისებურებათა გათვალისწინებით იძლევა თანამოკალმის საკმაოდ საინტერესო პორტრეტს. აღსანიშნავია, რომ აკაკი ამ დახასიათებაში, რომელიც მწერალმა „ჩემი თავგადასავლის“ „წიგნში მოათავსა (1908 წ.), გ. წერეთლის უმთავრეს დადებით თვისებად შრომისმოყვარეობას ასახელებს: „გ. წერეთელი იმდენად მშრომელი იყო, რომ თავის დაღალვას ვეღარ შეატყობდა ხოლმე, როგორც ოჯახში ხელმოკლე კაცი, რომ ვეღარავინსა ხედავდა ჩვენში, ყოველიფერს თვითონ ეპოტინებოდა: რედაქტორიც იყო, გამომცემელიც, წერდა პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პროზებს, მოთხრობებს, რომანებს და კომედია-დრამებს. იმავე დროს ეპოტინებოდა ისტორიკოსობას, არქეოლოგობას, ფილოლოგიას და ბოლოს კომერციასაც“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>3</sup> აკაკი წერეთელი, სიტყვა გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე, ჟურნ. „კვალი“, 1900 წ., N 4, გვ. 56.

<sup>4</sup> აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1968 წ., გვ. 109.

როგორც ვხედავთ, აკაკი, ერთი მხრივ, გ. წერეთლის საოცარ შრომისმოყვარეობას არა მარტო ერთგვარ ახსნას უძებნის, არამედ მისი პიროვნული სტერეოტიპის ჩამოყალიბების უმთავრეს ობიექტურ პირობადაც სახავს. საქმის მკეთებელთა სიმცირე - აი რა იყო, აკაკის აზრით, მწერლის მართლაც რომ წრეგადასული შრომისმოყვარეობის მიზეზი.

აკაკის ერთგვარ ღიმილიან მიმართებას გ. წერეთლის მოღვაწეობის მრავალმხრივობისადმი კარგად გამოხატავს მის მიერ შექმნილი ზმნაც „ეპოტინებოდა“. „მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის, ზოგს ნიჭისა, ზოგს მოქანცვისა“<sup>1</sup>. საბოლოოდ ნაწარმოების მხატვრული ხარისხის დაბალი დონე - ასე შეიძლება გავხსნათ აკაკის მიერ ზუსტად ჩამოყალიბებული აზრი. აკაკის თქმით: „გ. წერეთლის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამოდენიმე ფუთი სილატალახი მოაშორო, რომ მერე გამოაჩინო რამდენიმე ოქროს მარცვალი. გიორგის თხზულებასაც, როცა გაიმტკიცება, ბევრი ხელის-ხელ საგოგმანებელი საგანი გამოაჩნდება, რომელიც საბოლოოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკობა იყო ... სხვები რომ არ ვახსენო, ამის დასამტკიცებლად მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ კმარა“<sup>2</sup>.

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსებს შორის ზოგჯერ საწინააღმდეგო მოსაზრებანია გამოთქმული - თუნდაც კიტა აბაშიზე გავისხენოთ, არ შეიძლება არ გაითვალისწინოთ აკაკის აზრი, ვფიქრობთ, მართლაც აუცილებელია, გ. წერეთლის შეფასებისას დიდი ყურადღებით გავაანალიზოთ მისი ნაწარმოებები, ხელაღებით ყველაფერი მოვლენად კი არ უნდა გამოვაცხადოთ, ან ყველაფერი დავიწუნოთ, არამედ მათი უდავო ღირსებანი წარმოვაჩინოთ; ამ მხრივ აკაკის ავტორიტეტი მხატვრული ნაწარმოების ღირსებათა შეფასებისას ნამდვილად მხედველობაშია მისაღები.

**დასკვნა.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. წერეთლის შემოქმედების ზოგიერთი სუსტი მხარე, აკაკის აზრით, ობიექტური გარემოებით, კერძოდ მწერლის დადლილობით არის გამოწვეული. „მგზავრის წიგნებს“ აკაკი აფასებს დადებითად, თან აჟღერებს, რომ შიგა და შიგ დადლილობის მიუხედავად, ერთი უკეთესი თხზულებათაგანია ქართულ ენაზე და პირველთაგანია 60-იანი წლების მოღვაწეებში.

აკაკისა და გიორგი წერეთლის მეგობრობის უტყუარი ფაქტია მათი ღრმა პატივისცემა და სიყვარული მოყოლებული სიყრმის წლებიდან.

ამრიგად, გიორგი წერეთელი იყო ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი. იგი ენერგიულად იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვანი, საჭირობოროტო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1958, გვ. 10.

## **One Aspect of Giorgi Tsereteli's Creativity in Akaki's Journalism**

### **Abstract**

Akaki Tsereteli and Giorgi Tsereteli are notable representatives of Georgian literature of the 19th century. The content of their civic beliefs is determined by the ideas of the national liberal movement. They are typical representatives of 60s.

Georgian society has always shown great interest in the presentation of works of Ilia Chavchavadze, Vazha-Pshavela, Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli and others. Of particular interest is the writer's relationship with the artists of his time, with the intelligentsia, with the general reader, as they say with the audience, and on the other hand, attention is drawn to how his art is valued and appreciated by the public; Finally, how professional literary criticism reacts to the fact of the writer's creative existence. In the works of researchers of the history of Georgian literature, a certain relationship to the critical material around G. Tsereteli is revealed from different angles.

Akaki Tsereteli's attitude towards Giorgi Tsereteli's work is interesting in this regard. What aspects did the great poet notice in his work, what made him a valuable writer for his time, i.e. what is the significance of G. Tsereteli's problems from a historical point of view.

The personal attitude of Akaki Tsereteli and Giorgi Tsereteli is also noteworthy. From childhood, throughout their lives, they treated each other with deep respect. Deepening of their personal relationship was facilitated by Akaki's intensive cooperation in "Kvali" magazine. As it is especially well noted by Akaki, one of the main reasons for the presence of works of less artistic value in G. Tsereteli's rich creative heritage is "fatigue".

Akaki, naturally, as a writer, felt better than anyone else G. Tsereteli's shortcomings, but at the same time, he appreciated the undoubted merits of his work. Akaki positively evaluates G. Tsereteli's "Traveler's Books" and says that it is one of the "best" works in the Georgian language and one of the first among the works of the 60s. Akaki's letter regarding Giorgi Tsereteli's death is also noteworthy. He assessed the writer's burial with great heartache.

In our opinion, the serious attitude that Akaki showed towards Giorgi Tsereteli's artistic creation and his personality in general is most visible in this assessment. This letter can be considered as a unique summary of the prominent Georgian writer and public figure G. Tsereteli's life, whose author - his great contemporary, Akaki Tsereteli, leaves a lot for thought and judgment.

**Key words:** Akaki Tsereteli, Giorgi Tsereteli, National liberal movement.



ლეილა ქველიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

[Leila.kvelidze@atsu.edu.ge](mailto:Leila.kvelidze@atsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.48>

## „ახალი პოეზიის“ განვითარების თავისებურება ეგვიპტეში (XX საუკუნის მეორე ნახევარი)

**საკვანძო სიტყვები:** „ახალი პოეზია“, ეგვიპტე

XX საუკუნის არაბულმა პოეზიამ განიცადა მნიშვნელოვანი თავისებრივი გარდაქმნები. 20-იანი წლებისათვის არაბულ ლიტერატურაში ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმი მკვიდრდება და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ შექმნეს ახალი ჟანრი ლექსი პროზად - „ში'რ მანსურ“. მოგვიანებით 40-იან წლებში ერაყში შეიქმნა ლექსთწყობის ახალი მოდიფიცირებული სისტემა „ალ-ში'რ ალ-ჰურ“- თავისუფალი ლექსი. მიუხედავად ამისა, იყო კრიტიკაც, რომ ახალი არაბული პოეზიის განვითარება შემოიფარგლა ვერსიფიკაციული მოვლენებით და ახალი პოეზიის განვითარების ფუნდამენტურ ასპექტებს არ მოიცავდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ახალი პოეზიის განვითარების პერსპექტივა გარკვეულწილად განიცდის ცვლილებებს და ეს განსაკუთრებით აისახა ეგვიპტურ პოეზიაში. რომანტიკოსი პოეტების ყურადღების მიღმა დარჩა სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთაპირისპირ აღმოჩნდა არაბული სამყარო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ამ პერიოდში აქტუალური ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწერლის ჩართულობის საკითხი და მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში არაბულ ლიტერატურაში მწერალთა ძველსა და ახალ თაობას შორის გაცხარდა კამათი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ეს ძირითად პროზას ეხებოდა. 50-იანი წლების შუახანებიდან კი აღნიშნული საკითხი უფრო მწვავედ განიხილება ეგვიპტურ პოეზიაში. პოეზიაში ცვლილებების დრო დადგა. პოეზიის განახლების პროცესი აქამდე ასოცირდებოდა არაბული ლექსის მეტრულ სისტემაში მიმდინარე ძირითად ცვლილებებთან. რაც შეეხება ლექსის თემატურ და შესაბამისად ფორმალურ ცვლილებებს, იგი ევროპული ახალი პოეზიის გავლენით დაიწყო არაბულ ლიტერატურაში და დაკავშირებული იყო საზოგადოების განვითარების სოციალ-პოლიტიკურ საკითხებთან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოეტის ჩართულობასთან. ამ ნიშნით დაიწყო ახალი პოეზიის განვითარება ეგვიპტეში და იგი ძირითადად მოიცავს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს. ეგვიპტეში „ახალი პოეზიის“ განვითარების სამ ძირითად პერიოდს გამოყოფენ, რომელიც მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება და მეოცე საუკუნის ბოლომდე აქტიურად მიმდინარეობს.

ეგვიპტეში „ახალი პოეზიის“ პირველი თაობის წარმომადგენლები არიან სალაჰ აბდ ალ-საბური და აჰმად აბდ ალ-მუთი ჰიჯაზი. აბდა ლ-საბურის (1927-1981) პირველი კრებული „ჩემი ქვეყნის ადამიანები“, რომელიც 1957 წელს გამოვიდა ბეირუთში, საპროგრამო დოკუმენტად იქცა ეგვიპტეში „ახალი პოეზიის“ წარმომადგენელთა პირველი თაობისათვის. ამ კრებულში ავტორი უპირველესად აქცენტს აკეთებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემებზე. პატრიოტული და სამოქალაქო თემატიკა მის პოეზიაში არატრადიციული სალექსო ფორმებით არის წარმოდგენილი. აბდ ალ-საბურის

თითქმის ყველა კრებული ("მე გეტყვით" 1961; "ძველი დროის რაინდის ოცნებები" 1964; „მოგზაურობა ღამეში“ 1970 წ.), პოეტის თხზულებათა ორტომეული (1972წ.) გამოქვეყნდა ბეირუთში. მხოლოდ ბოლო ორი კრებული ("ღამის ხეები", 1972 და „მოგონებანი“, 1979) გამოიცა კაიროში. 1960-იანი წლების პოეზიაში ავტორი ძირითადად მსჯელობს ფილოსოფიურ საკითხებზე და აშკარად ჩანს პოეტის ნიჰილისტური დამოკიდებულება ქვეყნის მომავლისადმი. კრებულში „ჩემი ცხოვრება პოეზიაში“ (1969) იგრძნობა დასავლური პოეზიის გავლენა და იგი ამავე დროს გაჯერებულია სუფიური ფილოსოფიის ელემენტებით. პოეტი აქტიურად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ საშუალებებს და უარს არ ამბობს სასაუბრო დიალექტური ენის გამოყენებაზეც. სალაჰ აბდ ალ-საბურისთვის უცხო იყო ლინგვისტური ექსპერიმენტები; ის ცდილობდა შეერჩია თანამედროვე ლექსიკა, თავიდან აეცილებინა „მაღალი“ პოეზიის ვერბალური კლიშეები. რაც შეეხება საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოეტის ჩართულობას, მას განიხილავდა როგორც უზარმაზარ პასუხისმგებლობას, რომელიც პოეტს ეკისრება არამარტო საზოგადოების, არამედ, საკუთარი სინდისის წინაშე. ამავე დროს თვლიდა, რომ მხატვრული შემოქმედება თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ფაქტორების ზეწოლისგან, როგორცაა ძალაუფლება, რელიგია და სხვა სოციალური ინსტიტუტები. სალაჰ აბდ ალ-საბურმა დიდწილად შეძლო მძლავრი კლასიკური პოეზიის ტრადიციის შერწყმა თანამედროვე მხატვრული ასახვის ფორმებთან.

ორმოცდაათიანელთა თაობის მეორე ლიდერად ითვლება აჰმად ჰიჯაზი (დ. 1935 წ.), რომელმაც პოპულარობა მოიპოვა დიდი ქალაქის თემის ინოვაციური განვითარებით. მან კაიროში ცხოვრების პირველი წლების გამოცდილება, სადაც ის 50-იანიწლების დასაწყისში ჩავიდა პროვინციიდან, შეაჯამა კრებულში „უგულო ქალაქი“ (1959). „სოფლის შვილი“, როგორც პოეტი საკუთარ თავს უწოდებს, უზარმაზარ და უგულო ქალაქში, ხალხის ბრბოში უამრავ მის მსგავს ადამიანს პოულობს, მასავით დაუცველსა და დაკარგულს. ამავე თემას უბრუნდება მომდევნო ორ კრებულში „მხოლოდ აღსარება რჩება“ („1964) და „მშვენიერი ცხოვრების ელეგია“ (1973). პრეზიდენტ ნასერისადმი მიძღვნილ ლექსებში ცდილობს პასუხის გაცემას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. ა. ჰიჯაზის შემოქმედებაში ასახულია პოეტის სერიოზული დაინტერესება არაბული ნაციონალიზმის იდეებით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით ალჟირში, სირიასა და ერაყში. ამავე დროს ლექსებში, რომლებითაც იგი ეხმაურება აღნიშნულ მოვლენებს, იგრძნობა წინააღმდეგობის ფრანგული პოეზიის გავლენა, ლექსში „ორესი“ კი, პოლ ელუარის სტრიქონებია ჩართული. კრებული „ღამის სამეფოს არსებები“ (1978 წ.) მოიცავს 70-იან წლებში პარიზში ანვარ ალ-სადათის პრეზიდენტობისას იძულებით ემიგრაციაში ყოფნისას შექმნილ პოეზიას, რომელშიც აჰმად ჰიჯაზის სიურეალისტური განწყობილებები, ამავდროულად, რევოლუციური იდეალების ერთგულება და ღრმა პიროვნულისევედა ჩანს.

მომდევნო ეტაპზე ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდიან პოეტები, რომლებმაც აითვისეს რა წინამორბედთა მიღწევები, შემდგომში თავად განსაზღვრეს "ახალი პოეზიის" განვითარების დონე ეგვიპტეში საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობით. ამ თაობის წარმომადგენელია ამაღ დუნკული (1941-1983). მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ეგვიპტეში ბრიტანული კოლონიალური ყოფნის წინააღმდეგ ბრძოლასა და 1952 წლის რევოლუციასთან. აღსანიშნავია, რომ ხალგაზრდა ეგვიპტელი მწერლების ეს თაობა გატაცებული იყო ეგზისტენციალიზმით. ამავდროულად, მის პოეზიაში აისახა პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება და უბრალო ადამიანის პრობლემებისადმი დიდი ინტერესი. ა. დუნკულის პოეზიამ გამოსვლისთანავე მიიპყრო კრიტიკოსების ყურადღება. მისი პოემები „სპარტაკის უკანასკნელი სიტყვები“ (1962 წ.), „დედამიწა და ჭრილობა, რომელიც არ იკურნება“ (1966 წ.) 1967 წლის ეგვიპტის დამარცხების შემდეგ წინასწარმეტყველურად იქნა მიჩნეული.

ა. დუნკული 1967 წლის ივნისის მოვლენებს გამოეხმაურა კასიდით „ტირილი ზარქა ალ-იამამას წინაშე“ (1967), ასე ეწოდება მის პირველ კრებულს. კასიდაში, პრეისლამური მწერლის ლეგენდარული გამოსახულების გამოყენებით, პოეტი ამხელს ოფიციალური ლოზუნგების სიცრუეს და ააშკარავებს იმ მოვლენებს, რომელმაც მიიყვანა ქვეყანა დამარცხებამდე. გლოვობს ბრძოლის ველზე დაცემულებს. პოლიტიკური და სამოქალაქო მოტივები კვლავ წამყვანია მის მომდევნო კრებულებში: „კომენტარი მომხდარის შესახებ (1971), "მთვარის მკვლელობა" (1974), "მომავალი ეპოქა" (1975), "კულაიბის მკვლელობა ანუ ათი მცნება" (1976), „საუბრები ჩაკეტილ თახში“ (1978).

პოეტს დიდი პოპულარობა მოუტანა კასიდას „ნუ დაამყარებ მშვიდობას“, რომელიც გამოქვეყნდა ეგვიპტურ პრესაში. ამაღ დუნკულს უწოდეს „უარის პოეტი“. მისი პოეზია ასახვის მხატვრული ფორმების თვალსაზრისით არ არის მარტივი. მისი მხატვრული ინდივიდუალობის საფუძველს ქმნის მითოლოგიური თემების და სალექსო რითმების ხშირი გამოყენება. აღსანიშნავია რომ, იგი თანამედროვე სალიტერატურო არაბულს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა ასევე იყენებს პრესის და პუბლიცისტიკის ენას.

ეგვიპტეში 70-80-იან წლების პოეზიაში ახალი თაობა მოდის და ეპოქისათვის დამახასიათებელი ტენდენციები ჩნდება. აღსანიშნავია ახალგაზრდა პოეტების ლირიკული ლექსების ენის ექსპრესიულობა და კრეატიულობა. პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ და ახალი პოეზიის განვითარების ურთიერთგამომრიცხავმა ტენდენციებმა, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოავლინდა ეგვიპტურ პოეზიაში, განაპირობებს მისი განვითარების სპეციფიკა. ეს პოეზია ძალზე არაერთგვაროვანია და პოეტური გამოხატვის საშუალებების გართულებასთან და ფორმალურ ექსპერიმენტებთან ერთად, ხდება მიბრუნება ტრადიციულისაკენ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ეგვიპტურ პოეზიაში დამახასიათებელია საავტორო პოეზიის აქტიური განვითარება სასაუბრო ენაზე. თავის დროზე ეს ტრადიცია შექმნა ბაირამ ალ-თუნისიმ (1893-1961), რომელიც, როგორც ეგვიპტურ, ისე თუნისის სახალხო დიალექტურ ენაზე წერდა. იგი აკრიტიკებდა მთავრობას, რის გამოც გადასახლებულ იქნა ჯერ საფრანგეთში, ხოლო მოგვიანებით სირიაში (კირპიჩენკო 2003: 74). ალ-თუნისის მიღწევებმა სახალხო (დიალექტურ) პოეზიაში, გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის რევოლუციურ პოეტებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სალაჰ ჯაჰინი (1930-1986), რომელიც ალ-თუნისის მსგავსად, უპირატესად ზაჯალის ფორმას იყენებდა. იგი არ შემოიფარგლა ხალხური პოეზიის ძველი ფორმების გამოყენებით (*ზაჯალი, მავალი*), მუდმივად იმ ახალი ფორმების ძიებაში იყო, რომლებიც ყველაზე მეტად შესაბამებოდა სასაუბრო მეტყველების დინამიკას.

ფუად ჰადადი (1927-1985) ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. კარგად იცოდა ფრანგული ენა და პოეზია. განსაკუთრებით უყვარდა ლუის არაგონის, მაიაკოვსკის და პაბლო ნერუდას შემოქმედება. იგი ორმოცამდე პოეტური კრებულის ავტორია. წერდა ეგვიპტურ დიალექტზე.

ეგვიპტეში დიალექტზე შექმნილი პოეზიის გამორჩეული წარმომადგენლები არიან აჰმად ფუად ნიგმი და აბდ არ-რაჰმან ალ-აბნუდი.

აჰმად ფუად ნიგმი რევოლუციონერი პოეტი, პოეზიას სასაუბრო არაბულ ენაზე ქმნიდა. მისი პოეზია აიკრძალა ეგვიპტეში და ხშირ შემთხვევაში არსებობდა ზეპირი ფორმით. ნიგმის თითქმის ყველა ლექსი არის პასუხი პოლიტიკურ მოვლენებსა და სოციალურ საკითხებზე. ნიგმი ცდილობს გაანალიზოს ეგვიპტელთა ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. იგი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ სახალხო რევოლუციის გზით შეიქმნებოდა სოციალისტური და სამართლიანი საზოგადოება. პოეტი ქმნის ზაჯალებს, ასევე პოპულარობით სარგებლობდა მისი ანდაზები, გამოცანები, საბავშვო და ლირიკული სიმღერები.

აჰმად ფუად ნიგმი სოციალისტი პოეტი, რომელიც ღარიბ ხალხზე წერდა, ფეოდალის ოჯახში დაიბადა. მამა პოლიციის ოფიცერი იყო. განათლება არ მიუღია და თავად ცდილობდა ესწავლა წერა-კითხვა. თვითგანათლებასთან ერთად დაიწყო მისი პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაც, მან მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ორგანიზებულ მასობრივ დემონსტრაციებში. შესაბამისად, სამსახური და საარსებო წყარო დაკარგა. ნიგმი და მისი თანამოაზრეები 1967 წლის მარცხის შემდეგ დააპატიმრეს. 1968 წლიდან მოყოლებული ის და შაიხ იმამი მონაწილეობდნენ მასობრივი არეულობებში. ნიგმის პოეზია ეგვიპტეში აკრძალული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მისი პოეზია ისმოდა 2011 წლის დემონსტრაციების დროს კაიროში (არაბული გაზაფხული).

ნიგმის პირველი წიგნი 1964 წელს გამოვიდა. იგი ოსტატურად იყენებდა პოეზიაში სხვადასხვა ფოლკლორულ პოეტურ ფორმებს და ხალხურ იდიომებს თავისი სოციალისტური გზავნილების გადმოსაცემად. პოეტი 2013 წლის 3 დეკემბერს გარდაიცვალა კაიროში.

აბდ არ-რაჰმან ალ-აბნუდი (1938-2015) პოპულარული ეგვიპტელი პოეტი და საბავშვო მწერალი, ერთ-ერთი წარმომადგენელი პოეტების იმ თაობისა, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებს ქმნიდნენ ეგვიპტურ დიალექტზე. ალ-აბნუდი და ამ სკოლის სხვა ეგვიპტელი მწერლები ცდილობდნენ თავიანთი ლიტერატურული ნაწარმოებები ექციათ პოლიტიკური განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესის ნაწილად ეგვიპტეში. ალ-აბნუდის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ეგვიპტის სასაუბრო დიალექტზე შექმნილი პოეზია და გააფართოვა მისი დიაპაზონი. მან ბავშვობიდან დაიწყო ლექსების წერა სალაჰ აბდ ალ-საბურის (1931-81) და აჰმად აბდ ალ-მუტი ჰიჯაზის (1935) მოდერნისტული პოეზიის გავლენით. თუმცა მან ეგვიპტური დიალექტი აირჩია. 1958 წელს წელს ალ-აბნუდის პოეზია პირველად გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „საბაჰ ალ-ხაირი“. 1961 წელს პოეტი კაიროში გადავიდა და მოგვიანებით სიმღერების წერა დაიწყო. მისი რეპერტუარი მოიცავს თხუთმეტზე მეტ ანთოლოგიას და ათობით სიმღერას. მათში ასახულია არაბთა ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები. დიდია მისი წვლილი მის თანამედროვე პოეტებთან ერთად დიალექტური პოეზიის განვითარებაში. მას მიენიჭა ეგვიპტის პირველი პოეტის სახელი დიალექტურ პოეზიაში. 2010 წელს იგი დააჯილდოვეს ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის მუბარაქის პრემიით, რომელიც ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა ქვეყანაში. ალ-აბნუდის ყველაზე ცნობილი პოემებია: „დაშვებული და აკრძალული“, „სიკვდილი ასფალტზე“, „დედამიწა და ბავშვები“, „ზარის დუმილი“. ალ-აბნუდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია „იამნა“, რომელიც დაიწერა 1998 წელს. პოეტმა ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ 5 ტომად გამოსცა "السيرة الهلالية". ალ-აბნუდისთვის სირას ჟანრი, როგორც მთელი არაბი ერის სულიერი კულტურის გამომხატველი ციკლი, გადამწყვეტი აღმოჩნდა მისი პოეზიის ენის ფორმის არჩევისას.

ამრიგად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეგვიპტეში ახალი პოეზიის განვითარების გარკვეული ტენდენციები გამოიკვეთა. 50-იანი წლებიდან განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება საავტორო პოეზიის განვითარება ეგვიპტურ დიალექტზე. ეგვიპტის არაბულ დიალექტზე შექმნილი პოეზია ინტენსიურად ვითარდება დღემდე და იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საერთო არაბული ლიტერატურისა, რომელიც ძირითადად სალიტერატურო არაბულ ენას ეფუძნება. ეგვიპტური ახალი პოეზიის და საერთოდ, ლიტერატურის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იქმნება ეგვიპტეში და ადგილობრივ სპეციფიკას ასახავს. შეიძლება ითქვას, რომ დიალექტზე წარმოდგენილი პოეზია, ერთი მხრივ ტრადიციას მისდევს და მეორე მხრივ, თანამედროვე გამოწვევების ფონზე, გარკვეულ ინოვაციებსაც გვთავაზობს. სწორედ მასში განსაკუთრებული სიცხადით ჩანს არაბული კულტურის

ადგილობრივი სპეციფიკა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეგვიპტეში დიალექტზე შექმნილი თანამედროვე არაბული პოეზიის ნიმუშები მაღალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა.

### ლიტერატურა:

1. სილაგაძე ა. არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები. „მაცნე“ ენისა ლიტერატურის სერია 1971. # 1
2. კირპიჩენკო, 2003, Кирпиченко В.Н – Новая и современная литература египета (XIX-XXV) М. 2003.
3. კუდელინი, 2003, Куделин А. Б. Арабская литература, М.
4. ბადავი, 1993. Badawi M., A short History of modern Arabic Literature, Oxford,
5. Modern arabic literature - Cambridge 1992

**Leila Kvelidze**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

[Leila.kvelidze@atsu.edu.ge](mailto:Leila.kvelidze@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.48>

### **Trends in the development of new Arabic poetry in Egypt (Second half of the twentieth century)**

#### Abstract

The beginning of the 20th century is a period of awakening and a great turning point for the Arab world, for its creative thinking. The aspiration to renew this era was most reflected in Arabic literature, particularly in Arabic poetry. It was a period of cardinal versification, content and ideological transformation of classical Arabic poetry, and it was directly related to the development of romanticism in Arabic literature. Literary critical organizations are created, and the new calls and ideas of these organizations greatly determined the formal-content changes of the new Arabic poetry and accelerated the process of rejection of classical poetics. In the first half of the 20th century, two completely new phenomena for Arabic poetry were finally formed: prose verse (Shi'r Mansur) and free verse (Shi'rHurr). New poetry developed not only in Egypt, but also in other countries of the Arab East, primarily in Iraq, Lebanon and Syria. From the second half of the twentieth century, the question of the involvement and role of writers in public life became relevant. This issue is discussed in Egyptian prose and poetry. Socially important problems that faced the Arab world after the end of the Second World War were left out of the attention of the romantic poets. In the new generation of poets, the idea of the writer's service to society is getting stronger. All this led to a somewhat negative reaction to romanticism in Arabic literature. The time has come for changes in poetry. Innovations in poetry were not formed by rejecting the experience of the romantics, but were connected with the main changes that occurred in the metrical system of Arabic verse. In the development of "new poetry" in Egypt from the second half of the 20th century, Arab critics and literary scholars distinguish three main periods - the first includes the 50s-60s; the second in the 70s; The third period was in the 80s-90s. It should be noted that the fiction that is created in Egypt is one of the components of the general Arabic literature, which is mainly based on the literary Arabic language, like the literature of other Arab countries; However, during this period, poetry was also created in the Egyptian dialect.

**Key words:** New Arabic poetry, Egypt

**მაია ქვრივიშვილი**თსუ კულტურის კვლევის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო[maiakvrivishvili@yahoo.com](mailto:maiakvrivishvili@yahoo.com); [maia.kvrivishvili@tsu.ge](mailto:maia.kvrivishvili@tsu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.49>

## კულტურის ბოლშევიკური მოდელი (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)

**საკვანძო სიტყვები:** კულტურის ბოლშევიკური მოდელი, ქართველი სოციალ-დემოკრატები

გასული საუკუნის დასაწყისში პოპულარული იყო მარქსისტული იდეები. ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ქადაგებდნენ ერის კლასობრივ დაყოფასა და ანტაგონიზმს, რაც სამოციანელებისაგან მათი ძირითადი განმასხვავებელი იყო. ისინი კულტურასაც ამ გადასახედიდან აღიქვამდნენ. მათი ყველაზე აქტიური და თვალსაჩინო წარმომადგენელი ნ. ჟორდანიას გარეშეა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, რასაც ერი აწარმოებდა, უბრალო "გაუგებრობად" მიიჩნევდა, რომელიც გამოწვეული იყო ზოგიერთი მომხდური ჩინოვნიკის უწესო საქციელით (ჟორდანიას: 165). საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ ნ. ჟორდანიას არ აღიქვამდა ეროვნულ კატასტროფად, რადგან ამ ფაქტს არ შეუშფოთებია ერი და არ შეეცვლილა მისი ყოველდღიური ყოფა, რადგან ქართველობა კლასობრივად დანაწევრებული იყო და არ შეეძლო ეს შეეგრძნო. ხოლო ქართველ მოღვაწეთა მიერ ნაქადაგები ეროვნული იდეალები და, მათ შორის, ქართული ენის სიყვარული და დაცვა, მისი აზრით, გაუგებარი და უადგილო იყო, რადგან არავინ განიცდიდა არც ეროვნულ ჩაგვრას და არც ენა იდევენზობდა, "სამშობლო ენის დაცვა მოითხოვა ცხოვრებამ" (ჟორდანიას:167), ე.ი. მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ხოლო ეს საჭიროება XIX საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციური მომენტის შემდეგ მთელს რუსეთის იმპერიაში და, მათ შორის, საქართველოშიც უნდა განხორციელებულიყო. მიუხედავად, იმისა, რომ ის აღიარებს ეროვნული კულტურის და სახელმწიფოს არსებობას, ამის საფუძველზე მომავლის მოწყობას, იგი მაინც კლასობრივი ანტაგონიზმის იდეების გავლენის ქვეშაა.

თავისებური და განსხვავებული იყო კულტურის როგორც ფენომენის და მისი რაობის გაგება ბოლშევიკური თვალთახედვით. სოციალ-დემოკრატებმა (ბოლშევიკებმა), უფრო კი მათმა პარტიულმა ლიდერებმა, შექმნეს კულტურის რაობისა და როლის კონცეფცია, რომელიც მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. რევოლუციის შემოქმედთა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შემდგომში საბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკაში. ამ მხრივ გამოირჩეოდა ლენინის, სტალინის, ტროცკის, ლუნაჩარსკის, ბოგდანოვის "თეორიები" კულტურის და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ლენინის არც ისე მრავალრიცხოვან შრომებში, რომლებიც ეხება კულტურის პრობლემებს, ზოგადპოლიტიკური განსჯებისა და შეფასების კონტექსტში, კარგად ჩანს მისი თანმიმდევრული თეორია კულტურის, როგორც პოლიტიკის "დანამატის" შესახებ. შედარებით ადრეულ შრომებში: "რით დავიწყეთ?" (1901) და "რა ვაკეთოთ?" (1902).

სოციალურ-პოლიტიკური, რევოლუციური მიზნებიდან გამომდინარე ლენინი განსაკუთრებით უტილიტარულად აღიქვამს ფილოსოფიურ, მეცნიერულ და ლიტერატურულ მოვლენებს. როდესაც ამა თუ იმ კულტურული მოვლენის პოლიტიკური ფუნქცია ამოიწურება, ხდება მათი უარყოფა. სამაგიეროდ, პოლიტიკური ორგანიზაციის კლასობრივი და პარტიათაშორისი ბრძოლა, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია მთლიანად აყვანილი ჰყავს მაღალი პროფესიული “ხელოვნების” რანგში და მიაკუთვნებს კულტურული მოღვაწეობის უმაღლეს ფორმებს (ლენინი:67).

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ლენინმა ჩამოაყალიბა კონცეფცია ყოველნაციონალურ კულტურაში, “ორი კულტურის” არსებობის შესახებ. გაბატონებული კულტურა - ექსპლუატატორთა კლასებისა, და “დემოკრატიული სოციალისტური ელემენ-ტების” შემცველი კულტურა, რომელიც მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასის საკუთრებაა (“კრიტიკული შენიშვნები ეროვნული საკითხის შესახებ”, 1913 წ.) (ლენინი: 187-193). ლენინის მიერ ნაციონალური კულტურის ორ არათანაბარ ნაწილად გაყოფა თითქოს ახლოა ელიტარული და მასობრივი კულტურების ტიპოლოგიურ განსაზღვრასთან. თუმცა ლენინთან “ორი კულტურის” განსხვავება ატარებს პოლიტიკურ აზრს - ბატონობა და მორჩილება: კულტურა, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, სხვადასხვა სოციალური ძალების ხელში ატარებს განსხვავებულ, ამავდროულად საწინააღმდეგო შინაარსს და მიმართულებას, ამა თუ იმ ბატონს ემსახურება მისი ძალაუფლების მიზნებისათვის.

მსოფლიო რევოლუციის იდეებით გატაცებამ ლენინი მიიყვანა იქამდე, რომ თითქოს კულტურა საერთოდ ეწინააღმდეგებოდა რევოლუციას. თუმცა თანდათან იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა გარკვეული კულტურული დონის მიღწევა, ე.ი., პოლიტიკურის კვალდაკვალ, “კულტურული რევოლუციის” განხორციელება (ლენინი: 430,431). იგი უარს ამბობს “ბურჟუაზიული ინტელიგენციის” დახმარებაზე, ლენინი მიისწრაფვის, კომუნისტები გადააქციოს შეგნებული და დისციპლინირებული პოლიტმუშაკების რაზმებად, რომლებიც პროპაგანდას გაუწევენ და იქნებიან “საჭირო” სოციალიზმის კულტურისათვის (ლენინი: 290,291, 364).

მეტ-ნაკლები სიცხადითა და სიზუსტითაა ჩამოყალიბებული კულტურის კონცეფცია სტატიაში “პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა” (1905). კულტურის საკითხების შესახებ ბოლშევიზმის ამ საბრძოლო მანიფესტში ლენინი აყალიბებს ტოტალიტარული კულტურის ძირითად პრინციპებს: 1) კულტურის ყველა გამოვლინება ერთიანი პოლიტიკური საქმის ნაწილია (ზოგადპროლეტარულის), 2) კულტურის ყველა კომპონენტი, რომელიც მთლიანად დაკავშირებულნი არიან კლასობრივ მიდგომასთან და სოციალ-დემოკრატიულ “პარტიულ მუშაობასთან”, პარტიის წინაშე ანგარიშვალდებული, ეს უკანასკნელი მოწოდებულია მათი თვალთვალისა და კონტროლისაკენ, 3) ინდივიდუალური შემოქმედება ემორჩილება კოლექტივისტურს, ხმათა უმრავლესობით წყდება მეცნიერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხები, რითაც თითქოსდა გადაიჭრება კულ-ტურის მოღვაწეთა “ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი”, “ლიტერატურული კარიერიზმი” და “თავადური ანარქიზმი”, ხოლო თვითონ კულტურის მოვლენა არამარტო მჭიდრო და განუყოფელ კავშირშია მოცემული კლასის პოლიტიკურ მოძრაობასთან, არამედ აქვს უნარი მასთან აღრევისა, 4) არაკლასობრივი კულტურის ყველა ფორმა, შემოქმედებითი მუშაკების შიდა - ანდა ზეპარტიული პოზიცია ცხადდებოდა თავლთმაქცობად, ცრუ გამონათქვამებად, 5) შემოქმედებითი თავისუფლება ცხადდება ილუზიად (გაცნობიერებულ ანდა გაუცნობიერებულ თვითმოტყუებად): ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეს შენიღბულია, დამოკიდებულია მოსყიდვის შინაარსზე, სოციალისტურში - სოციალიზმის იდეაა და მუშათა თანაგრძნობა. ლენინის მიხედვით, კულტურა ყოველთვის ნორმატიულია და, გამონაკლისის გარდა, ემორჩილება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა (კლასები, პარტია, საზოგადოება, მოძრაობა, სახელმწიფო, განათლება, იდეოლოგია, მიმდინარეობა და ა.შ.) კანონზომიერებებს, წერდა ლენინი (ლენინი: 41-46).

საბჭოთა პერიოდში ლენინმა კომუნისტების წინაშე ჩამოაყალიბა კულტურული მუშა-ობის უახლესი მიზნები. მან „ნეპი“ განიხილა, როგორც კულტურის შეგუება “ჩვეულებრივ გლეხურ დონესთან”, კულტურის ფასეულობათა დაკნინების ხარჯზე (ლენინი: 257) ამაში ხედავდა ისტორიულ პროგრესს. საბჭოთა რუსეთის პროგრესისათვის საჭირო იყო, რომ მოსახლეობა შეჩვეოდა მართვას, ყოველდღიურ ყოფაში პოლიტიკური იდეების დანერგვას, დაუფლებოდა ტექნიკურ და პრაქტიკულ ცოდნას.

ლენინთან შედარებით, სტალინური კულტურული პროპაგანდა უფრო კონტრასტულია. მით უმეტეს, რომ მათ შორის - კულტურულ კონცეფციებსა და კულტურული პოლიტიკის ტიპებს შორის - არსებობს გარკვეული მემკვიდრეობითობა. ლენინმა მოახდინა კულტურისა და კულტურის ისტორიის ლუპმენიზაცია, კულტურულ-ისტორიულ პროცესში ინტელიგენციის მონაწილეობას განიხილავდა როგორც უარყოფით, დამღუპველ ფაქტორს, როგორც მუშების მოტყუებას, სოციალური და ეთიკური მომენტების არქონას, ბოლშევიზმი შეადგენდა კლასიკური სოციალიზმის ბუნებას და ხელისუფლებისა და ტექნიკის აპოლოგიას (Культурология: 399).

ი.ბ. სტალინი იფარგლებოდა მხოლოდ მოკლე აფორიზმი-ლოზუნგებით (მათაგონ-სკიზე, გორკის პოემაზე ”გოგონა და სიკვდილი”, მწერლებზე, როგორც ადამიანთა “სულის ინჟინრებზე”), რომლებიც შემდეგ გავრცელდა და პარტიული იდეოლოგიების მიერ განიცადა ინტერპრეტაცია. ლენინთან შედარებით, მის მიერ კულტურა გაიგება უფრო სწორხაზოვნად და სქემატურად, პოლიტიზებულად და უტილიტარულად – როგორც საშუალება და ნივთი, როგორც მიმდინარე პოლიტიკის ასპექტი, პროპაგანდის საშუალება (Культурология: 226).

მის მიერ, კულტურის მოვლენის ღირსება გაიგება მოცემულ ისტორიულ მომენტში მათ მიერ გატარებულ ხაზში (პოლიტიკური მოვლენები) მისი აქტუალური პოლიტიკური მნიშვნელობით. სტალინის მიერ ნებისმიერი სოციალური და პოლიტიკური მოვლენის პრინციპული მეტაფიზიკური გაგება ჩამოყალიბდა ადრეულ სტატიებში. თითოეულ მოვლენაში ხედავს ორ ტენდენციას – დადებითსა და უარყოფითს; პირველს საჭიროა მხარი დაეჭიროს, მეორე უარყოფილ იქნას. კულტურის მოღვაწეთა დაწინაურებისა და დაჯილდოების, თუ გაკრიტიკებისა და რეპრესიების, იდეოლოგიურად დასჯისა და ფიზიკურად მოსპობის შემთხვევაში, სტალინი ცხოვრებაში თანამიმდევრულად ატარებდა ბოლშევიკურ პრინციპს: კულტურულ-პოლიტიკური სელექციისა და შეურიგებლობისა პოლიტიკურ მტრებთან და მეგობრებთან, გადააქცია რა ისინი კულტურული პოლიტიკის ფუნდამენტად, რომელიც მიმართული იყო მონოლითური ტოტალიტარული სისტემის შექმნისაკენ.

ყველა კულტურული მოვლენა იყოფოდა, ერთი მხრივ, რეაქციულად, რომელიც ემსახურებოდა საზოგადოების დრომოჭმულ ძალას და ეწინააღმდეგებოდა რევოლუციურად მოწინავე ძალების ინტერესებს; იგი ამუხრუჭებდა საზოგადოების განვითარებას და საჭირო იყო მისი ლიკვიდაცია და უარყოფა; მეორე – სახალხო მასების მიღწევა, რომელიც პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე მათ განაწყობდა ბრძოლისა და საზოგადოების გარდაქმნისათვის.

საბჭოთა კულტურის შეფასებაში სტალინს მიაჩნდა, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად გამწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც თავისი სოციოკულტურული ფორმა აქვს. ფსიქოლოგიური მოტივები კი პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს.

სტალინმა, როგორც “პარტიის უდიდესმა თეორეტიკოსმა ეროვნულ საკითხში”, ძალიან მალე გადახედა ლენინის პრინციპს თითოეულ ნაციონალურ კულტურაში “ორი კულტურის” არსებობაზე. სტალინის მიერ საბჭოთა კულტურა განისაზღვრა, როგორც “შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული”(სტალინი: 57-62).

საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის ეროვნული კულტურების ასიმილაცია და რუსიფიკაცია ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა, რომლის ბირთვსაც წარმოადგენდა რუსული კულტურა. კულტურის სფეროში ეროვნული პოლიტიკის გადახედვამ იგი მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ ეროვნულ კულტურაში არის ისეთი მოვლენები და ფორმები, რომლებიც



არაპოლიტიკურ (ზეკლასობრივ ანდა შიდაკლასობრივ) ხასიათს ატარებენ. პირველ რიგში, ესაა ენა. ამავდროულად, ენა აღიარებულ იქნა არამარტო კულტურის ფორმად, რომელიც თითოეული ერის ცხოვრებაში უზრუნველყოფს ეპოქების კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობითობას, არამედ აგრეთვე კულტურის ერთადერთ ფორმად, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია ნაციონალური თავისებურება. და ეს იმ დროს, როცა ყველა ეროვნული კულტურის შინაარსი სოციალიზმის პირობებში უნიფიცირდება და პირველ რიგში წარმოადგენს მთელი პოლიტიკური იდეოლოგიის ზედნაშენს.

როდესაც იგი მიმართავდა ახალგაზრდობას, მოითხოვდა შეეცვალათ დამოკიდებულება მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა მიმართ, ხოლო მუშათა კლასს – შეექმნათ საკუთარი ინტელიგენცია. ზუსტად ახალი, საბჭოთა, მუშურ-გლეხური ინტელიგენცია იყო მოწოდებული იმისათვის, რომ მნიშვნელოვან პოსტებზე შეეცვალათ როგორც ძველი ინტელიგენცია, ასევე ბოლშევიკების “ძველი გვარდია”. სტალინისათვის კულტურის მართვა იგივე იყო, რაც კადრებით მანიპულირება და ტექნიკის დახვეწა. წარმოდგენა კულტურაზე, როგორც პოლიტიკური ნების ემანაციაზე (რომლის წყაროდაც გამოდიოდა ბელადი, დემიურგი, ახალი კოლექტიური სამყაროს შემოქმედი), რომელიც კოლექტიური რეალობის ტრანსცენდენტალური კულტურული პროექტის პირობებში, გლობალურ მიმეზისში, ნებისმიერ მოღვაწეს გადააქცევდა სოციალისტური კულტურის (მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია) მხოლოდ შუამავალ რგოლად.

სტალინმა შექმნა ტოტალიტარული კულტურის მონოლითური კონცეფცია, რომელიც უნიფიცირებული და მართული იყო ზემოდან; ასევე - უკლასო და მხოლოდ ფორმით ნაციონალური საბჭოთა სოციალისტური კულტურა, მასიურ წარმოებაში ჩართული და ახალი მშრომელი ინტელიგენციის მიერ მომსახურებული, გასახელმწიფოებრივებული და დეპერსონიფიცირებული (იმიტომ, რომ მის მექანიზმს უბრალო და უსახო “ქანჭიკები” წარმოადგენენ, და არა კულტურას ნაზიარები მოღვაწენი) საბოლოოდ პოლიტიზებული და უხეშად უტილიტარიზებული (სტალინი:194-195, 441-442).

ჯერ საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების კომისრის ანატოლი ლუნაჩარსკის კულტურის კონცეფცია ჩამოყალიბდა რევოლუციამდელ პერიოდში, როდესაც იგი შეუერთდა ბოგდანოვის ჯგუფს, რომელმაც სხვა მრავალს შორის წამოაყენა “პროლეტრული კულტურის” იდეა. 1913 წელს, კულტურის შესახებ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში გამართულ დისკუსიაში მან დაიკავა ცენტრისტული პოზიცია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. რევოლუციამდელი პერიოდის კულტურის კონცეფციის ძირითადი შეხედულებანი ასეთია: კულტურა ცნებაა, რომელიც უპირისპირდება ბუნებას, ესაა ადამიანის შრომის ყველა პროდუქტი; კულტურის საძირკველია ადამიანისა და ბუნების ურთიერთგავლენა; კლასობრიობა კულტურის პრინციპია, პირველყოფილის და მომავალი სოციალისტურის; კულტურის ნაციონალური ფუძე ალბათ სამუდამოდ დარჩება, მაგრამ კაცობრიობა შეუჩერებლად მიდის კულტურის ინტერნაციონალიზაციისკენ; ინტერნაციონალიზმი არ ითვალისწინებს ნაციონალური მოტივების მოსპობას ზოგადსაკაცობრიო სიმფონიაში, არამედ მხოლოდ მათ ჰარმონიულობას; კულტურების საერთო, განსაკუთრებული, შინაგანი კავშირები აღმოცენდებიან საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესთა საფუძველზე, მაგრამ კულტურის ევოლუცია მისი მწვერვალისაკენ სრულდება შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებით; გაბატონებული კლასები კულტურაზე ტოვებენ განსაკუთრებულ კვალს, მმართველი კლასის მეშვეობით იმართება კულტურა, მართალია, იგი მას არ ქმნის; მატერიალური იქმნება მშრომელი კლასებით, ხოლო კულტურის ფაქიზი სულიერი ფორმები - ინტელიგენციის მიერ; ჩაგრული კლასები, გარკვეული დონით, გაბატონებული კულტურის თანამონაწილეა, მაგრამ უკვე კაპიტალიზმის პირობებში, მშრომელი კლასი იწყებს საკუთარი კულტურის შექმნას, როგორც თეორიულ (მარქსიზმი), ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, ბრძოლის და ორგანიზაციის, ყოფის ფორმებში; წარმოიშვება პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული ხელოვნება,

ისეთივე აზრით, როგორც ქრისტიანული, ბუდისტური ანდა ბერძნულ-რომაული. ჩაგრული კლასების კულტურა ღარიბი, კლასობრივი და დასუსტებულია; ზეკლასობრივი, ნათელი კულტურა მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შემთხვევაში წარმოიშვება.

20-იან წლებში კრიტიკის საგანი გახდა ლუნაჩარსკის გამოთქმები “ზოგადსაკაცობრიობო კულტურის” შესახებ. თავად იგი გააფთრებული აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ კულტურას, მის “თავისთავში მოსპობას”. ბურჟუაზიულ წყობას წარმოაჩენდა ბარბაროსულად და ნაკლებ კულტურულად, ვიდრე, ვთქვათ, ანტიკურს. ლუნაჩარსკი ამტკიცებდა, რომ დღევანდელ კულტურაში ყველაფერი დიდებული – ანტიბურჟუაზიულია, რომ კაპიტალიზმის მეძვიდრეობიდან არ შეიძლება რამის მიღება, თუნდაც პატარა დოზითაც კი; მოითხოვდა კულტურის “ლაბორატორიულ მშენებლობას”, განსაკუთრებული, აბსოლუტურად პროლეტარული კულტურის აუცილებლობას. ხაზს უსვამდა პროლეტარული და სოციალისტური კულტურების არაიგივეობას, რომელიც გარდამავალ პერიოდში ისახებოდა და მომავალი თაობები ააშენებდნენ. ახალი კულტურის მშენებლობის პროგრამაში შედიოდა აგრეთვე გლეხური ლიტერატურის შექმნაც.

ოციანი წლებიდან ლუნაჩარსკი აშკარა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს ავითარებს გარდამავალი პერიოდის, მეზრდოლ, წმინდა კლასობრივ პროლეტარულ კულტურასთან დაკავშირებით. მისი აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო გადასვლა ასკეტური კულტურიდან, ე.ი. სამხედრო კომუნიზმის ეპოქის - სიღარიბის, უღიმღამო, არასანდო, არაინდივიდუალური საგნების ყოფიდან, კომფორტის დაგმობიდან - სიცოცხლის მოყვარულზე, უფრო მოსახერხებელ კულტურულ ცხოვრებაზე, შინაარსიან, მიზანმიმართულ, ჯანმრთელ, გონიერ და განახლებულ ყოფით ცხოვრებაზე, სადაც, გართობასაც აქვს ადგილი როგორც კულტურულ მოთხოვნილებას.

20-30-იანი წლების მიჯნაზე იგი სტალინის შეხედულებების გავლენის ქვეშ მოექცა. ეს იყო სტალინის კონცეფცია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე, მის გაძლიერებაზე. ლუნაჩარსკი იზიარებდა ლენინის უტოპიურ ვერსიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მთლიანი და საბოლოო გამარჯვების შესახებ, წერდა პირდაპირ ორგანიზაციულ მტრებზე, პაჟების, ცრუპროფესიების, ცრუმეცნიერების, გამყიდველი ჟურნალისტებისა და მწერლების შესახებ. გაიჟღერა ლუნაჩარსკის “რკინისებურმა” ულტრამემარჯვენე ნოტებმა: “ხელოვნების თეატრი არის სამხედრო-საომარი მოქმედებების თეატრი, კლასობრივი ბრძოლის არენა”, მხატვრული ლიტერატურა - პოლიტიკური იარაღი და ა.შ.

ბოგდანოვის კულტურის ფილოსოფიის გაგებისათვის ცენტრალური აზრის ჩამომყალიბებლად გვევლინება “ორგანიზაციული გამოცდილების” ცნების გაგება (Богданов: 84). კაცობრიობისა და მისი კულტურის მთელი ისტორია - ესაა ორგანიზაციული ფორმების ისტორია, რომელთა დახმარებითაც ხდება ადამიანის შეჩვევა მის გარესამყაროსთან. ადამიანთა საზოგადოების თავდაპირველი შეჩვევა განისაზღვრება სოციალური ინსტინქტით, რომელიც საზოგადოების წევრების გარე გამაერთიანებელია. უფრო რთული ამოცანა დგას საზოგადოების შინაგანი ორგანიზაციის წინაშე - გახადოს გასაგები და განცდადი საზოგადოების თითოეული წევრის მიღწევა სხვა წევრებისათვისაც, შეინახოს და გადასცეს კოლექტიური გამოცდილება დროსა და სივრცეში. ამ ამოცანას ასრულებს განმეორებადი - მარგანიზებელი შემგუებლობა საზოგადოებისა გარემომცველ სამყაროსთან, როგორადაც გვევლინება კულტურა. საზოგადოებას კულტურა გადააქცევს ხარისხობრივ მთლიანობად, რომელშიც შედეგი მეტად შეკრებილია, ზუსტად კულტურა ინახავს, აყალიბებს, ამტკიცებს და აწვითარებს საზოგადოების მოცემულ ტიპს. განსაზღვრული ისტორიული ტიპი კულტურას წარმოადგენს ყველა მისი ფორმის ფუნქციურ მთლიანობად; ურთიერთდამაკავშირებელია შრომის ტიპი, ქცევის ტიპი, შეგრძნების ტიპი, პიროვნების ტიპი, საზოგადოების მიერ გამოყენებული ტექნიკის ტიპი, მეცნიერების ტიპი, ხელოვნება, რელიგია, მორალი, სამართალი, თავისებურად შემსრულებელია სხვადასხვა და ამავდროულად ურთიერთკავშირში მყოფი საზოგადოების ორგანიზაციული ფუნქციებისა.

საზოგადოებაში მიღებული კულტურული პროდუქტები, რომლებსაც შესაბამისი აგებულება აქვთ, ასრულებს მათგან მიზნობრივ პროდუქტის როლს, ისინი თვითონ აყალიბებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ინახავენ და აწარმოებენ საზოგადოების განსაზღვრულ ისტორიულ ტიპს.

ბოგდანოვის მიერ შექმნილი კულტურის ტიპოლოგია ევოლუციონისტური ხასიათისაა: 1) მარქსის ფორმაციათა თეორიის, 2) ჰეგელისეული ტრიადის (თეზა, ანტი-თეზა და სინთეზი) და 3) ო. კონტის შემდეგ კლასიკური პოზიტიური “სამი სტადიის” თეორიის (თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური.) სამი იდეალური კულტურის ისტორიული ტიპი, ბოგდანოვის მიხედვით ასეთია: ავტორიტარული, ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური, რომელიც თანამიმდევრულად ვითარდება (Богданов:86). კულტურის უმაღლესი ტიპია კოლექტივისტური, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებას შეესაბამება, იგი მოწოდებულია მოახდინოს სინთეზირება პირველყოფილი, განუვითარებელი კოლექტივიზმის და კაპიტალიზმის ეპოქაში განსაკუთრებულად განვითარებულის. კოლექტივისტურ საზოგადოებაში რუტინული შრომა მოისპობა, მუშა გახდება არამარტო შემსრულებელი, არამედ შრომითი პროცესის ორგანიზატორიც, მიუახლოვდება ინჟინერს; შრომის მეცნიერული ორგანიზება ინდივიდუალურ შემოქმედებას მთელი საზოგადოების გამაკეთილშობილებელ სრულმქმნელ საშუალებად გადააქცევს, ხოლო კოლექტივისტური ორგანიზაციული ამოცანები ინდივიდუალური შრომის მიზნებსა და პერსპექტივებს განსაზღვრავს. ბოგდანოვის მიხედვით, კოლექტივისტური საზოგადოების ამოსავალ საფუძვლად გვევლინება “პროლეტარული კულტურა” - მართლია, ჯერ კიდევ არასრულყოფილი, ბურჟუაზიული ურთიერთობებით დამახინჯებული, მაგრამ პოტენციურად თავისუფალი “ძალაუფლების ფეტიშისაგან” - ნებისმიერი საკითხის და თავისთავში იმანენტურად მატარებელი.

მისი აზრით, უახლოეს მომავალში პროლეტარული კულტურის გამარჯვებისათვის, საჭიროა რამდენიმე პირობის შესრულება: 1) ცოდნის დემოკრატიზაციის მიღწევა, წარსულის, სამყაროზე წარმოდგენის, როგორც ორგანულ ერთობაზე პრაქტიკული მოღვაწეობისა და შემოქმედების გადააზრება და სისტემატიზაცია, 2) აზროვნების ფეტიშიზმისაგან გათავისუფლება, მათ შორის, ავტორიტარიზმის, ბელადიზმის, აპოლოგიისა და მის მსგავსთა ყველა სახეობისაგან, 3) კულტურისა და ცხოვრების ყველა სფეროში - მათ შორის, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, მორალში, ყოფაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში - კოლექტიური მიდგომის მიღწევა. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში ინტელიგენციის პრაქტიკული ამოცანაა განვითარება და მხარდაჭერა “პროლეტარული კულტურისა”.

ახალი ადამიანის მსოფლმხედველობისა და მსოფლაქმის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მთელი ქვეყნის მასშტაბით პროლეტკულტის ორგანიზება, რომელიც მასებს განაწყობს მხატვრული, მეცნიერული და ისტორიული შემოქმედებისათვის, პროლეტარული უნივერსიტეტების შექმნა, რომელიც არამარტო მოსპობდა წერა-კითხვის უცოდინარობას, არამედ უბიძგებდა უნივერსალური, მრავალმხრივი შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც ორგანულად იქნება შერწყმული კოლექტივთან, ეს იქნებოდა მეცნიერულად მოწყობილი საზოგადოება.

ამიტომაც ბოგდანოვი “პროლეტკულტს” განიხილავდა, როგორც იდეალურ ტიპს, და არა როგორც პროლეტარული კულტურის არსებულ მდგომარეობას, რომელიც შორს იყო ეტალონური წარმოდგენისაგან. გაიაზრა რა ბოლშევიკების კულტურული პოლიტიკა, ბოგდანოვმა დანახებით აღნიშნა, რომ წინსვლის, კულტურული სოციალიზმის შექმნის მაგიერ შეიქმნა თავისებური კულტურული ფეოდალიზმი, კოლექტივის მაგიერ-ინდივიდუალური. მის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციული თეორია აღმოჩნდა ლამაზი და ჭკვიანი უტოპია, რომელიც მიმართული იყო თვითგანვითარებადი ადამიანის პრაქტიკაზე, მაგრამ მიმდინარე ისტორიული პრაქტიკისაგან შორს იყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

ოციანი წლები, შეძლება ითქვას, იყო ყველაზე მრავლის განმაპირობებელი შემდგომი პერიოდის საბჭოთა კულტურის ისტორიაში. ქრონოლოგიურად, თითქმის მთელი ათწლეული არსებითად განსხვავდებოდა როგორც წინა, ისე მომდევნო პერიოდებისგანაც. ოციანი წლების სპეციფიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო შემოქმედებითი პლურალიზმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმათა მრავალფეროვნება. კულტურა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ანგაჟირებული პოლიტიკით.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულტურის ძირების შინაარსი და სიღრმე ოციანი წლებში განპირობებული იყო წინა პერიოდით. ბევრი ძველი მოღვაწე კიდევ აგრძელებდა მოღვაწეობას. საგანგაშო იყო ადმინისტრაციულ-ხელმძღვანელობითი მეთოდის დამანგრეველი ზემოქმედება კულტურასა და ეკონომიკაზე, პარტია-სახელმწიფოს გაძლიერებული დიქტატურა შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ, პროლეტ-კულტის, რაპის და სხვა გაერთიანებების დამანგრეველი მოქმედებები, სკოლისა და მოქალაქეების გამოყოფა ეკლესიისაგან, როგორც მდიდარი ეროვნული ტრადიციების გამომხატველისაგან, ხელოვნების ნიმუშების გაყიდვა.

მიჩნეული იყო, რომ ხელოვნება წარმოადგენს ახალი ადამიანის აღზრდისა და სოციალური რეალობის გარდაქმნის საშუალებას. პროლეტკულტის თვალსაჩინო მოღვაწის გასტევის მიერ შემოღებულ იქნა ტერმინი «სოციალური ინჟინერია». ხელოვნებასთან მიმართებაში იგი აღნიშნავდა საკუთარი საშუალებებით ადამიანის ფსიქიკის რადიკალურ გარდაქმნას.

ავანგარდის მიერ წამოყენებული ფუნდამენტური კონცეფცია ახალი ადამიანის შექმნისა გახდა მთავარი ამოცანა საბჭოთა კულტურისათვის. 1932 წლის 23 აპრილს რკპ(ბ) ცკ დადგენილებით «ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მოწყობის შესახებ» მმართველმა პარტიამ არჩევანი გააკეთა ტრადიციონალიზმსა და რეალიზმს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და ამ სფეროში აკრძალა ყოველგვარი ექსპერიმენტები. სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ და აუცილებელ მხატვრულ მეთოდად გამოაცხადა მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის.

საბჭოთა ცივილიზაციაზე საუბრისას ფ. ბროდელი აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების სწრაფი ტემპების გამო მოხდა საზოგადოების უზარმაზარი სოციალური მუტაცია. ინდუსტრიალიზაციის მკვეთრი ზრდით საბჭოთა საზოგადოების თითოეული წევრი თავდაყირა იქნა დაყენებული, მათ კი, თავის მხრივ, მთლიანად დაანგრეს ტრადიციული ცხოვრება. ეს, პირველ რიგში, გლეხებს დაეტყოთ, რომლებმაც ცხოვრების სტილის ტრადიციული გარემო-პირობები დაკარგეს, შემდეგ – მუშათა კლასს, რომელიც ვერ გებულობდა, რა უნდოდათ მისგან. საბჭოთა კავშირი „აწარმოებდა“ ინტელექტუალებს იმდენს და იმ პროფესიისას, რაც მას სჭირდებოდა.

### ლიტერატურა:

- კესედი დ. (1932): ლენინური მოძღვრება და კულტურული რევოლუცია, ტფილისი  
ლენინი ვ.ი. (1957): კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957.  
ჟორდანიანი ნ. თხზულებანი. ტ. 2, ტფ., 1920.  
ჟორდანიანი ნ. მისი ნაწერების კრებული ეროვნული საკითხის შესახებ, ტფ., 1922.  
სტალინი ი.ბ. ლენინიზმის საკითხები, თბ., 1952.  
სტალინი ი.ბ. თხზულებანი, ტ. 11, 1952.  
Braudel F. Gramaire des Civilisations. 1993 Paris.  
Mourre. Dictionnaire encyclopédique d'histoire. S.Z. Bordas. 1996  
Богданов А. О пролетарской культуре 1904-1924, М.-Л., 1924.  
Бухарин Н. пролетарская революция и культура, М., 1923.  
Ленин В.И. О культурной революции, М., 1967.  
Луначарский А.В. Десятилетие революции и культуры. М.-Л., 1927.  
Майсурадзе Д. Культура Советской Грузии, Тб., 1965.

## **Bolshevik model of culture (20-30s of XX century)**

### **Abstract**

At the beginning of the last century, Marxist ideas were popular. Georgian Social-Democrats also advocated the class division and antagonism of the nation, which was the main difference between them and the "Tergdaleulebi". The understanding of culture as a phenomenon and its essence from the Bolshevik point of view was peculiar and different. In this regard, the "theories" of Lenin, Stalin, Trotsky, Lunacharsky, Bogdanov about culture and cultural life stood out.

During the First World War, Lenin formulated the concept of the existence of "two cultures" in every national culture. In the Bolshevism Combat Manifesto on Cultural Issues, Lenin formulated the basic principles of totalitarian culture. Compared to Lenin, Stalinist cultural propaganda is more contrasting. Especially since there is a certain heredity between them - between cultural concepts and types of cultural politics. Stalin created a monolithic concept of a totalitarian culture that would be classless and national Soviet socialist culture only in form. Anatoly Lunacharsky, the Commissar of Public Education of Soviet Russia and then the Soviet Union, formed the concept of culture in the pre-revolutionary period, when he joined Bogdanov's group, which, among other things, put forward the idea of "proletarian culture". According to Bogdanov, the "proletarian culture" is the starting point of the collectivist society - it is true, still imperfect, distorted by bourgeois relations, but potentially free from the "fetish of power" which forms a new type of labor and makes new forms and production relations universal. It was believed that art is a means of educating a new person and transforming social reality. In their aesthetic system, art is considered not only as a means of perceiving reality, but also as a means of changing and transforming it. The term "social engineering" was introduced by Gastev, a prominent figure of the Proletkult. He considered it possible through art to radically transform not only social life, but also the human psyche.

Social-democrats (Bolsheviks), and more so their party leaders, created the concept of the nature and role of culture, which after they came to power, was raised to the rank of state policy. The views of the creators of the revolution played an important role in the cultural policy of the Soviet state.

**Key words:** Bolshevik model of culture, Georgian Social-democrats

## ელენე ქილიფთარი

ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

[chimakadzemary@gmail.com](mailto:chimakadzemary@gmail.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.50>

**„მათემატიკური სიზუსტის ლინგვისტური სტანდარტები და ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ ანუ ლინგვისტური ერთეულები, როგორც ქცევისა და მეტყველების დაბალანსების, ხასიათთა ხატვის საშუალება**

**საკვანძო სიტყვები:** „ოთარაანთ ქვრივი“, ქცევა, მეტყველების დაბალანსება,

**შესავალი.** როცა ლიტერატორი, მკვლევარი, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი კალამს იღებს ხელში, არცერთ შემთხვევაში არ არის ნორმირებული იმ სიტყვათა რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც ამოცანის შესრულება ხდება, (არ ვგულისხმობთ მინიატურულ პროზას,) პირიქით მწერლის დიდებულება სიტყვათა მასშტაბებზეა დამოკიდებული; ამდენად, მკითხველისათვის რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ილიას თხზულებაში „ოთარაანთ ქვრივი“- სიტყვათა უზომო მომჭირნეობით, მათემატიკური სიზუსტით არის წარმოდგენილი აბსოლუტურად ყველა პერსონაჟის სახე-ხასიათი, თვით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაც კი. ილიას თხზულება ისეთ მათემატიკურ წესრიგს გვიჩვენებს, რომლის ანალოგის არსებობა დიდ კითხვის ნიშანს აჩენს ნებისმიერი მსგავსი მოცულობის ნაწარმოების შემთხვევაში. მესამე და მთავარი, მოთხრობას უამრავი საერთო აქვს დიდი ბერძენი მათემატიკოსის პითაგორა მეგარელის მათემატიკურ მოძღვრებასთან. „თვით-მსჯელობა, თვითმხედველობა, გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა. შესაძლოა კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს და ის უნარი კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებდეს, გონების საქმეში არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ, ამდენად ადამიანის ყოველი ქმედება, მინიმუმ ერთი პატარა პწკარი მაინც არის ისეთ რაღაცას რომ გათქმევი-ნებს, აქამდე მსგავსიც კი რომ არ გითქვამს“. **ილია:** ქართველებს სამი სამკვიდრო გვაქვს: პირველი - ზეციური - ღმერთების საუფლო; მეორე - „მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ და მოკირწყელებული არის ძვლებით“; მესამე - საიქაო, „სად მამა-პაპა გვეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“. ქართველებს სამი კერპი გვაქვს: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

სამი სალოცავი გვაქვს: მამალმერთი, ძელმერთი და სულიწმინდა. სამი ზეციური მფარველი ქალბატონი გვყავს: დედა ღვთისმშობელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო, მეფეთ-მეფე თამარი შვიდმნათობიერი. ქართველებს სამი ანბანი გვაქვს: პირველი - ასომ-თავრული, მეფეთა, დიდებულ მამულიშვილთა, მწიგნობართა; მეორე - მხედრული: სარდალთა, მეომართა, ქვეყნის დამცველთა, ჭირისუფალთა და უბრალო მოკვდავთა; მესამე - ნუსხახუცური - სასულიერო პირთა, ბერ-მონაზონთა, ეპისკოპოსთა, პატრიარქთა; **სამი დიდი საფიქრალი გვაქვს:** ოჯახის სიმტკიცე, შვილთა სიმრავლე, ხანდაზმულთა მხნეობა და თბილი კერა.**სამი დიდი სადღეგრძელო გვაქვს:** მშვიდობა, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა. **სამი საკულტო მცენარე გვაქვს:** ვაზი, მუხა, ბუჩქი. **სამი განსაკუთრებული ლხინი გვაქვს:** დაბადება, ნათლობა, ქორწილი. **სამი რიტუალური სუფრა გვაქვს:** ქელები და მიცვალებულის გაცილება, ორმოცი და სასუფეველში დამკვიდრების დღე, წლისთავი -

ოჯახისთვის სამგლოვიარო ჩადრის ახდის, მიცვალებულთა სულის საოხი დღე. **სამი განუმეორებელი საგანი გვაქვს:** ქვევრი, აკვანი, ჩიჩილაკი. **ერთი სრულიად ეროვნული, საკულტო-საგანმანათლებლო „სასწავლებელი“ გვაქვს:** ქართული სუფრა და თამადის ინსტიტუტი - ხიდს გაღმა გადაშლილი და ხიდს გამოღმა გამოსაფხიზლებელი „წიგნი“. ეს ჩამონათვალი ჩვენი ხალხის სულიერი და ფიზიკური საგანძურია, რომელიც პირდაპირ თუ მინიშნებით მოცემულია ნაწარმოებში და რომელთაც გაფერმკრთალება, დაკნინება, დამსხვრევა, დამცრობა და გაუფასურება ემუქრება, ამდენად ეს დიდი განგაშის ერთ-ერთი პირველი ზარია. რომ არა ეს დიდი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, განმანთავისუფლებელი მოძრაობის მედრომე, ალბათ ბევრად უფრო მეტად გაუჭირდებოდა ქართველობას, კვლავ ეპოვა საკუთარ თავში თავისუფლების ის გენეტიკური კოდი, დამოუკიდებლობა რომ დაგვიბრუნა.

ილიამ „გუთნისდედას“ დამარღვევლ მაჯას თავისი გაწაფული კალამი მიაშველა და „წმინდა სიტყვა უშიშარად მოჰფინა ხალხში“. ილიამ ასწავლა თანამემამულეებსა და თანამოაზროვნეებს, როგორ ეპოვათ: სიძულვილში - სიყვარული; წყვილაღმში - ნათელი; სიკვდილში - სიცოცხლის ძალა; უბრალო მოხვევში - ჭემმარიტი ქართველის დიადი და ამაყი სული; და უანდერმა ქართველ დედებს: „აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას!“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი ადამიანების ცხოვრების ეპიზოდები - მათი საახლობლო, სამეგობრო, საქმიანი კავშირები, პიროვნულ-პრინციპები თუ ვნებები. ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ფიგურაა დიდი გერმანელი მწერალი და კრიტიკოსი, ცნობილი ქართველოლოგი არტურ ლაისტი; რომელიც ხშირად სტუმრობდა ილიას ოჯახს თბილისში, ზუბალაშვილების სახლებში, თუ საგურამოში. სწორედ არტურ ლაისტიმ შემოგვინახა მოგონება, თუ როგორ დაიწერა „ოთარანთ ქვრივი“. „ვგონებ ეს იყო 1886 წლის შემოდგომაზე, როდესაც პოეტი ჯერ ისევ ბებუთოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, ზუბალაშვილების სახლებში; ჟინჟლიანი დღე იყო; როცა ილიასთან შევედი, იგი თავის კაბინეტში იჯდა და როცა ჩემთან საუბარს მორჩა, ახალი გერმანული წიგნების შესახებ, უცებ მითხრა: „საინტერესო იდეა მაქვს მოთხრობისათვის, მან უნდა გადაგვიშალოს ქართველი გლეხებისა და უკანასკნელ მამულიშვილთა ფსიქოლოგია“. ჩვენი მუშაობის მიზანი იყო, სხვა რაკურსით წარმოგვედგინა ერთი შეხედვით უბრალო, თითქოს დიალოგის ასაწყობად მოშველიებული კითხვა-პასუხი, ან ფრთიანი, ორიგინალური ფრაზები, მეტაფორული გამონათქვამები. ამ მხრივ კარგი დახმარება გავციქვით ილიას მეგობრისა და თანამშრომლის, ილია მანსვეტაშვილის მოგონებამ: „ილია დიდხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს, თავის პირმშო შვილებს და მანამ ასაკის ხანში არ შევიდოდნენ, არ ემეტებოდა მათ საქვეყნოდ გამოშვება, როგორც ჩიტი ბუდიდან არ გაუშვებს და არ დააფრენს თავის ბარტყებს; მანამ, ვიდრე მაგარ ფრთებს შეისხამენ.“ მაგრამ ჩვენ ნავსი გავტეხეთ და ილიას მოსვენებას არ ვაძლევდით, გვინდოდა, მგონი, „გიორგი“ ეწოდებინა, მერე „ოთარანთ ქვრივი“ დაარქვა. „ოთარანთ ქვრივი ის ნაწარმოებია, რომელიც თავისი დროის ეპოქალური პრობლემების გამოძახილიცაა და ზოგად კაცობრიული ვნებების ამსახველიც, სადაც უკიდევანო, გაუმხელელი სიყვარულის უიღბლო დასასრული „განთიადის დასაწყისად“ წარმოგვიდგინა, ხოლო ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობის ისეთ ნიუანსებში წვდომა, როგორიცაა - „მეუღლე“; „ქვრივი“; „წუთისოფელი“; და „სოფელი“; „დედაშვილობა“ და „მამულიშვილობა“ - სულ სხვა რაკურსით დაგვანახა მწერალმა. სიტყვა „ქვრივი“-ის ლექსიკური ერთეულია, რომელიც ათასწლეულს ითვლის; ბიბლიაში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ამ სიტყვას, ქართული მწერლობა კი ეროვნულ-პატრიოტულ და სარწმუნოებრივ დანიშნულებას ანიჭებს მას; X საუკუნის აგიოგრაფი მწერლის გიორგი მერჩულეს თხზულებაში ვკითხულობთ: „და აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღემენა ამის ნეტარისა საბა ეპისკოპოსის მიერ იშხანი, რომელნიც წელიწადთა მრავალთა

დაქვრივებული იყო” - ე.ი სახურავი ჰქონდა მორღვეული და ბედის უკუღმართობით უფუნქციოდ იყო შთენილი.

ამ სიტყვას განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებს „ვეფხისტყაოსნის” ავტორი: პირველად მაშინ, როდესაც ავთანდილის გაპარვით სასოწარკვეთილი მეფე როსტევენი, გაითავისებს რა ამირბარის გარეშე დარჩენილი ქვეყნის წინაშე არსებული ვითარების სირთულეს, ბრძანებს: I. „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი, ვამლოცველეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი”. ამ სამეულის ლოცვაში უდიდეს სასიკეთო ძალას ხედავს ავტორი. II. იგივე „ვეფხისტყაოსანში” უსასტიკესი ფენომენი ვიხილეთ დავარის სახით; ინდოეთის სამეფო კარზე: „დავარ იყო, და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი, მას სიბრძნისა სასწავლებლად თვით მეფემან მისცა შვილი”, მაგრამ ნესტანისა და ტარიელის გაბედულებამ, ხვარაზმელი სასიძოს მოკვლამ, დავარის სიბრძნე და ზრუნვა მრისხანებით ჩაანაცვლა და მივიღეთ პირველისაგან, რადიკალურად განსხვავებული სურათი: „რა დავარ გამლა ცემითა, მისითა დალურჯებითა, უბრძანა: წადით, დაკარგეთ, მუნ, სადა ზღვისა ჭიპია”. ე.ი - ყველა ქვრივი როდი ნიშნავს ღვთის რჩეულს.

სიტყვა „ქვრივის” ბიბლიურმა წარმომავლობამ შუა საუკუნეების დიდი იტალიური მწერლის დანტე ალეგიერის სახელთან მიგვიყვანა და არცთუ უმიზეზოდ. გავიხსენოთ ცნობილი რუსი მწერლის, კონტანტინე ბალმონტის სიტყვები: „ჰომეროსი საბერძნეთია, დანტე იტალია, შექსპირი- ინგლისი, რუსთაველი - საქართველო”. დანტეს ნაწარმოების სტილმა, მისმა კომედიურ-ჟანრობრივმა თავისებურებამ თითქოს წაშალა ზღვარი სააქაო და საიქიო სამყაროს შორის, ოღონდ მხოლოდ კონკრეტული პიროვნებისათვის, ისიც ერთი კვირით. დანტეს მეგზურებია: უდიდესი რომაელი პოეტი ვირგილიუსი და მისი გარდაცვლილი სატრფო ბეატრიჩე; ნაწარმოებში საოცარი მაგალითებია იმის საჩვენებლად, თუ რამდენგვარი დანიშნულების საგანს გამოხატავდა თითქოს ჩვენთვის კამათგარეშე მიღებული სიტყვა „ქვრივი”/„ღვთაებრივი კომედია” ეს ნაწარმოებია თავებადაა დაყოფილი, რომელთაც ავტორი ქებას უწოდებს, დანტესთან გვაქვს სულის წარმოსახვითი სებასტანციური სახე. მოგზაური მწერალი სააქაო სამყაროს გაორებულ სახეს გვამღვებს; მოქმედება ხდება პარალელურ რეჟიმში, აქ მთელი სამყაროა; დიდებული წარსული თუ გულნატკენი აწმყო, გმირული გამარჯვებები თუ მარცხი და იმედგაცრუება, აყვავებული ქალაქები თუ იავაქმნილი დიდებულება და ყველაზე მძიმე, მიუღებელი, დამღლეი, დამქანცველი რეალობის დასახატავად მოხმობილია ჩვენი საძიებელი სიტყვა „ქვრივი”, რომლის გამოყენების 10-ზე მეტი შემთხვევაა ნაწარმოებში, ამათგან მოვიხმობ 4 განსხვავებულ მაგალითს: „საკუთარ თვალით ნახე რომი, ცრემლთა მთხვეელი, თუ როგორ მოსთქვამს უსასოოდ დაქვრივებული, რისთვის დამაგდე კეისარო, რისთვის დამტოვე” (სალხინებელი ქება 6, სტ.112); „ხოლო გვირგვინი სამეფოსი დაქვრივებული, ძეს მივაკუთვნე გამარჯვებით გულმოცემულმა, და ამ შვიდიდან წარმოიშვნენ შემდეგ მეფენი” (სალხინებელი ქება 8, სტ. 58); „დამრულსა ტიმონს მიუბრუნდა იგი ეტლისას, მიგვარა იგი უფოთლებოდ დაქვრივებულ ხეს, ზედვე მიაბა მისგან ერთხელ წამოღებული” (სალხ. ქება 32, სტ. 49); აქ შემოდგ-ომის ფოთოლცვენა და გაზაფხულის ძალაა ნაჩვენები. „მცირე ხნით ადრე ქვრივი იყო ჩემი სხეული რადგან არ ახლდა მას ამჟამად ეგ ჩემი სული” (სალხ.ქება9, სტ. 34). ეს ციტატა კომენტარის გარეშეც ნათელია - სხეული სულის გარეშე უკვე სახეს იცვლის - ცხედარი ხდება. ჩვენ ვნახეთ მოცემული ერთი სიტყვის განუსაზღვრელ მრავლად წარმოდგენის ვერსიები, უაღრესად ღრმა და ემოციური შინაარსით. მოცემულმა პარალელებმა ტექსტის სპეციპიკა ერთგვარად დაარეგულირა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სასცენო სახიათის ნაწარმოებს ვკითხულობთ, სადაც ის „ვეებერთელა სოფელი, რომელსაც თუნდაც წაბლიანს დავარქმევსთ” ერთი დიდი სცენაა, აქ კი ყოველი ჩვენგანი ფართოდ გახელილი თვალებით უნდა გავუმკლავდეთ წუთისოფელს, რომ შევრჩეთ ქვეყანას, რომელიც, პირობითად, ოთარაანთ ქვრივის სახით მოგვაწოდა მწერალმა, სადაც მათემატიკური სიზუსტითაა წარმოდგენილი მოქმედების ყოველი დეტალი, ყოველი სიტყვა-პასუხი, ერთგვარად ანკეტური მონაცემების შთაბეჭდილებასაც



კი ტოვებს და უაღრესი სიზუსტით გვაძლევს გასაღებს მთავარი პერსონაჟების - ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის პიროვნების - საჩვენებლად, რომელთა გან-ზოგადებული სახე უაღრესად ცხოვრებისეული, ყოფით და ეროვნულია.

ნაწარმოებში, ჩვენი შეხედულებით, ყოველი პერსონაჟი თუ პასაჟი ოთარაანთ ქვრივის შინაგანი სამყაროს მათემატიკური სიზუსტით წარმოჩენას ემსახურება, ათეულობით ეპითეტია ოთარაანთ ქვრივის მისამართით ნათქვამი და ყოველ მათგანს ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსი აქვს, ასევე სხვადასხვაა მათი მთქმელ-გამცხადე-ბელები, ამ მიგნებამ სრულიად მოულოდნელი კავშირის საშუალება მოგვცა ილია ჭავჭავაძის იდეალურ ამოცანასა და ძველი ბერძენი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის პითაგორას (ძვ.წ. 570-500წწ) სამოსელის მოძღვრებათა შორის. ამჯერად მხედველობაში გვაქვს „თანამეგობრობა“, რომელსაც მეცნიერი თვითონ ედგა სათავეში და ეს ერთდროულად იყო: მეცნიერული სკოლაც, რელიგიური კავშირიც და პოლიტიკური ორგანიზა-ციაც.

პითაგორას მიხედვით, რიცხვი არც ფიზიკურია და არც ფსიქოლოგიური, არამედ მათი განმსაზღვრელი ფიზიკური არსია: რიცხვთა მეტაფიზიკა იწყება ერთით, როგორც სუბსტანციური არსით, და გრძელდება უსასრულოდ, ყოველი სიმრავლე ერთის განმეორებაა, ამიტომაცაა ყოველივეს საფუძველი რიცხვი ერთი; ღმერთმა შექმნა მხოლოდ ერთი ადამი სახედ თვისა და ევას ჩათვლით, ყოველი ჩვენგანი რიცხვებში განმეორებული ადამია ანუ ადამიანია. (სიტყვამ მოიტანა და უპრიანი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ადამის მოდგმას ადამიანი ერქვას ეს მხოლოდ ქართულ ენაზეა). ყოველ რიცხვს შეესაბამება გარკვეული გეომეტრიული სიდიდე, საგნები კი იყოფა გეომეტრიული კატეგორი-ების წინამძღვრებად პითაგორასთან. შედგა უზოგადეს დაპირიპირებათა 10 წყვილი: საზღვრული - უსაზღვრო; ერთი - მრავალი; კენტი - ლუწი; მთელი - ნაწილი; ხილული - უხილავი; როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს მსმენელისათვის, ამ სტანდარტს მოვარგეთ მთელი ნაწარმოების ფაბულა მოცემული ცნებებითა და ქვეცნებებით, მივიღეთ არათუ მთავარი, არამედ მეორეხარისხოვანი ან ეპიზოდური პერსონაჟების სახე-ხასიათებიც, „იმ ვეებერთელა სოფელში, რომელიც თვითონ ოთარაანთ ქვრივის მსგავსად“. დანტეს თუ დავესესხებით თავის ანუ სხეულის უმთავრესი ნაწილის გარეშე იყო დარჩენილი. იმ მოცემულებით, რაც პითაგორასთან ვნახეთ, შევადგინეთ ნაწარმოების, იდეას, ხასიათსა და ლექსიკაზე მორგებული წყვილეული კატეგორიები: 1) ცა და მიწა; 2) ხმელეთი და წყალი; 3) მდედრი და მამრი; 4) ცოცხალი და მკვდარი; 5) ნათელი და ბნელი; 6) სააქაო და საიქიო; 7) თვალი და ყური; ცალკე უნდა გამოიკვეთოს ბოლო წყვილი... 8) ხელი და ფეხი; გამოღმა და გაღმა ანუ მრთელი და ჩატეხილი (თუნდაც გატეხილი) 9) სული და სხეული; 10) სახელი და გვარი; 11) მომცრო და ვრცელი; ჩვენი საანალიზო ნაწარმოების სათაური ერთი-ერთში იმეორებს დანტეს ემოციასა და შეფასებას უმნიშვნელო ცვლილებით:

**დანტე:** „საკუთარ თვალთ ნახეთ ქალაქი, ცრემლთა მთხვეელი, თუ როგორ მოსთქვამს უსასოოდ დაქვრივებული“. **ილიასთან:** „საკუთარი თვალთ ვნახოთ ქვეყანა, ცრემლთა მთხვეელი, თუ როგორ მოსთქვამს უსასოოდ დაქვრივებული.“ არავისთვისაა საკამათო ის მოსაზრება, რომ აქ „ვეებერთელა სოფელში“, საქართველო მოიაზრება, საინტერესოა ფრაზა: „თუნდაც წაბლიანს დაგარქმევ,“ ეს სახელი არ გვეუცხოება ჩვენ, ზემო აჭარაში გვაქვს თითქმის იდენტური ტოპონიმი (აქ საყურადღებოა ერთი ნიუანსი, როცა ნაწარმოები დაიწერა, აჭარა ახლად შემოერთებული იყო თავის ძირძველ მიწა-წყალთან), რაც შეეხება „წაბლიანს“ ეს სოფელი დაფიქსირებულია დღევანდელი რუსეთის ფარგლებში, სოჭის რაიონში ევროკავშირის მიერ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოცემულ საქართველოს რუკაზე.

ახლა წარმოგიდგინთ იმ უნივერსალურ წყვილებს, რომლებიც ერთობლიობაში ისე წარმოადგენს თხზულების ხერხემალს, როგორც თავის თხემი და ფეხის ტერფი გვაძლევს ერთობლიობაში ადამიანის მთლიან სხეულს.

- |   |                                    |
|---|------------------------------------|
| 1) მოურიდებელი გზირი;                   | 15) მეჯინიბე და მისი ვალდებულება;  |
| 2) გუბერნატორი და გუბერნია;             | 16) პეტრე და მისი ასაკი;           |
| 3) დათია ბადიაშვილი;                    | 17) სოსია მეწისქვილე;              |
| 4) სოფლის დედაკაცობა;                   | 18) დედა-შვილობა;                  |
| 5) სოფელი და სოფლელები;                 | 19) გლეხკაცობა წინამძღოლის გარეშე; |
| 6) წვრილშვილიანი ქვრივი;                | 20) მზე სითბოს გარეშე;             |
| 7) გლახა მთხოვარა;                      | 21) მწიგნობრობა-მწიგნობარი;        |
| 8) მედუქნე და მყიდველი;                 | 22) მოხუცი დედაბერი;               |
| 9) გიორგი და ნებისმიერი სხვა პერსონაჟი; | 23) ძალი-პატრონი;                  |
| 10) თევდორე (მეუღლე);                   | 24) ორი მეცხვარე;                  |
| 11) შვილი და მშობელი;                   | 25) მკვდარი-საფლავი;               |
| 12) მოზრდილ ბიჭი;                       | 26) ახალგაზრდა გლეხი;              |
| 13) ომარაანთ მოჯამაგირე;                | 27) ვიღაცამ წაიბორძიკა.            |

14) მოსამართლეები და ბრალდებულები;

ამ მოცემულობიდან, გარდა ოთხი მთავარი პერსონაჟის სახელისა, პირდაპირ მიმართებაშია ოთარაანთ ქვრივთან, და ამომწურავ ინფორმაციას გვაძლევს მთავარი პერსონაჟის სახე-ხასიათზე, ანუ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე; თვალშისაცემია ერთი ფაქტორიც, თითოეული მოქმედი პირი თითქოს მათემატიკური სიზუსტით ასრულებს თავის ფუნქციას, ერთი ან ორ ფრაზით შეაფასოს პიროვნებაცა და სიტუაციაც, ნაწარმოების ბოლოს კი ერთგვარ კოდექსს ვღებულობთ, რომელიც დიდ თავსატეხსაც გვიტოვებს, რის შესახებაც ნაწარმოების ფინალში მოგახსენებთ.

პირველი უნივერსალური წყვილი ტექსტის დასაწყისშივე იკვეთება: 1. ოთარაანთ ქვრივი და სოფლის მოურიდებელი გზირი, რომლის უსამართლო საქციელმა აიძულა ქვრივი გუბერნატორამდე მისულიყო სამართლის საპოვნელად; ეს ნაწარმოების დასაწყისშია, მანამ, სანამ დედა - შვილით არის ძლიერი; პირველი ის ვნახეთ, რომ მოძალადე, გარდა კანონის დარღვევისა, საკმაოდ მწყრალადაა მორალთან; მწერალმა გაგვაფრთხილა, რომ ეს ვეებერთელა ქვეყანა „წაბლიანი“ მორალური ომის მსხვერპლიც შეიძლება გახდეს. 2. გუბერნატორამდე მიღწევას რკინის ქალამანი, რკინის ჯოხი და ათიოდე თუმანი დასჭირდა, სამწუხაროდ, ეს სხვას არავის შეუძლია, ამიტომაც ერთადერთი ოთარაანთ ქვრივი ამბობს: „ჯავრი რომ არ შევარჩინე“, „ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე“... 3. დათია ბადიაშვილი იტყოდა ხოლმე: „მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო“, „ბარაქალა“ კახელისათვის დიადს, განსაკუთრებულს, განუმეორებელს უდრის“. ეს შეფასება სიღრმით ძალიან ახლოა „დიდგორის ომის მემკვიდრის ფრთიან ფრაზასთან „ძლევაი საკვირველი“-ოთარაანთ ქვრივმა ხომ დიდი ომის მოგება შესძლო გათავხედებულ გზირთან. 4. სოფლის დედაკაცობა და ოთარაანთ ქვრივი; „კაცი ვერ იტყვის სძულდათ და უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში, შიშით კი ყველას ეშინოდა მისი, ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვებულ ბაღდებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები; ყურს ხვდება მეტაფორა „გულზედ მოსული დედები“, რაც ნიშნავს არა გაბრაზებულსა და დათრგუნულს, არამედ ძალაშემატებულს, ოთარაანთ ქვრივით მოყოჩაღებულს, გულგამაგრებულს; სოფელმა ისიც კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილუბრალოდ მუქარა არ უყვარდა, იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო; აქ კარგადაა წარმოჩენილი ხასიათი და ღირებულებები.

**ქვრივი დედაკაცი და ოთარაანთ ქვრივი.** სოფლის დედაკაცობის შიში ოთარაანთ ქვრივის მიმართ ერთგვარი დიდაქტიკური ხაზია ნაწარმოებში; „ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე, „ილია ხშირად ხმარობს სიტყვას „ხოლმე“, რაც ამ პროცესის მრავალჯერადობას გვიჩვენებს; ამის დასტურად მშვენიერი წყვილეულია სოფლის ქვრივი დედაკაცი, რომელსაც ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავისი ფეხით გადაუტანდა და თან ეტყოდა ხოლმე დედაკაცს: „დაგილია ეს შავი მიწით ამოსავსები პირი, შე პირშავო. შენი დღენი ძალღსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულ ძვალს გადმომიგდებენო“. დედაკაცი, ამისთანაებს ჩვეული, მაინც ძაღლობას

იტყოდა ხოლმე.” ვკითხულობთ ტექსტში და ვხვდებით რაოდენ დიდია ამ ოჯახისათვის ოთარაანთ ქვრივის არსებობა. „გლახა-მთხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს არ გაეკითხა: აქ უმნიშვნელოვანესია ქვრივის დამოკიდებულება მთხოვნელისადმი, მაგრამ უფრო საყურადღებოა სიტყვა „მთხოვარა”, რაც არ ნიშნავს ხელგაწვდილ მთხოვარს, ის მთხოვნელია, რომელმაც კარგად იცის, რომ ამ ოჯახიდან შეიძლება გაკიცხული გამოვიდეს, მაგრამ აუცილებლად შეწყალებული. ოთარაანთ ქვრივის ქმედებაში გული აქტიურადაა ჩართული, მისი გონებაც ასევე მუდამ აქტიური და ხასიათს მისადაგებულია. მედუქნის პასუხს „რაო ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი თუ რა არის” პასუხი ასეთია „მაშ არა-და მაგის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მიცემდი“- იცრუა ოთარაანთ ქვრივმა. ეს ტყუილი საპატიოა, მწერალი არ ხსნის ფრჩხილებს და არავითარ პოზიციას არ გამოხატავს, ესეც ხომ, თავის მხრივ, უმარტივესი ქრისტიანული მორალია.

გიორგი - ქვრივის სიცოცხლის მიზანია, შვილის მოვლას ზედ შეალია თავისი ყმაწვილქალობა „ოცდაოთხი წლისა ძლივს იქნებოდა, როდესაც დაქვრივდა და ერთი წლის შვილი დარჩა, ჩაიცვა შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია; თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, პაუხი ერთი იყო „უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივსა, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა, ვენაცვალე მის სიყრმეს”. დღევანდელი გადასახედიდან ეს, პიროვნული თვითმკვლევლობა, შეიძლება საკამათო საკითხად გამოიყურებოდეს, მაგრამ ოთარაანთ ქვრივს ილია ზემოთ მოხმობილი აღქმის პირისპირ ტოვებს ფორმულით: „ვენაცვალე მის სიყრმეს”. მკითხველს ვთხოვთ ამ ფრაზისადმი ყურადღებას, შემდეგში მოგვიწვეს მისი გახსენება.

თევდორე და ოთარაანთ ქვრივი - ოთარაანთ ქვრივის ცხოვრების დევიზი ქმრის ანდერძია: „გაისარჯე და ირჩინე თავი. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო, ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელა-ხვინები... ე, ჩემ პატარა გიორგის უპატრონე, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინო! გაიზარდოს და მერმე თვითონ იცის, თუ იქნება, თავისით იყოს, თავისი მარჯვენით კაცობდესო. თოფ-იარაღიც შეინახე, გამოგადგება”. ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადელსაც თუ არ მიუმატა, არც დააკლო რა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა.

აქ განვმეორდებით და მოვიშველიებთ არტურ ლაისტის სიტყვებს: „ამ მოთხრობამ უნდა გადაგვიშალოს ქართველი გლეხებისა და უკანასკნელი დროის მამულიშვილთა ფსიქოლოგია”. ამ გადასახედიდან უკვე დავაჟაკებულ გიორგის ასე აფასებს სოფელი: „ერთი დოიინჯის შემოყრა-და აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო. თევდორემ იცის, რომ ოთარაანთ ქვრივი მამაკაცივით გასწევს ცხოვრების ჭაპანს, დედაშვილს არც სარჩო მოაკლდებათ და არც სითბო, მაგრამ ყველაფერზე აღმატებულია აღზრდაში თავდაჯერება და თვითშეფასება, იმ სიმადლემდე, რომ ვერც სიღარიბე გექცეს მტრად და ვერც სიხარბემ და სხვისაზე ფიქრმა დაგბინდოს გონება. ეს ნატვრა შეუსრულა ოთარაანთ ქვრივმა მეუღლეს.

მოზრდილი ბიჭი და ოთარაანთ ქვრივი მთავარი პერსონაჟის ხასიათის ახალ გასაღებს გვამღვეს: როცა დედა ნაჩხუბარ გიორგის ხელ-პირს დააბანინებს, პერანგს გამოუცვლის და ისევ თავის ტოლებში გასანავარდებლად მოამზადებს, აცრემლებული ბიჭის ქომავს - გიორგის დედა ნაღვლიანი ხმით ეკითხება: „ტიროდა განა?!” მაშ!- ეს ორი სიტყვა ქვრივის არსებობის გასაღებია, მისი ცხოვრების მთავარი მიზანი იყო - ბავშვი უმიზეზოდ არ უნდა ატირდეს.

„გადარეული და დამთხვეული დედა-შვილი” - ასე შეაფასეს ომარაშვილის მოჯამაგირესთან მომხდარი ინციდენტის გამო გამართულ სასამართლოზე გიორგის თავგამოდება. ეს არ იყო ან სიბრაზით, ან ბოღმით ნათქვამი ფრაზა, არამედ, წარმოუდგენელი თავგამოდებისა და თანაგრძნობის ხალხისაგან გაუთავისებელი შეფასება იყო. „მაგრამ აქვე შეთანხმდნენ დამსწრეები იმაზე, რომ

„ოთარაანთ გიორგის რა მოწამე სჭირდება“-ეს უპრეცედენტო შეფასება დამოკიდებულებაა მუშა -პირუტყვისადმი და თანამედროვეობას ძალუმად ეხმიანება. მოსამართლეებმა გიორგი გაამართლეს; თუმცა ადვილი არ იყო მათთვის ეს ნაბიჯი: ოთარაანთ ქვრივის ეშინოდათ, ომარაშვილისას სადილის მოლოდინიც არ ეთმობოდათ, მაგრამ გული გიორგისკენ უწევდათ; სასამართლოს შედეგი, გიორგის გამართლება, ოთარაანთ ქვრივის გამარჯვებაა - ოღონდ დედის ამპლიტუდაში.

არჩილი და კესო - „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“ - ასე შეაფასა მწერალმა საკუთარი თავის, პირადი ინტერესებისა და პრინციპების უარყოფელი ოთარაანთ ქვრივის სათხოვარი დიდ ქალაქში განათლებამიღებულ და-მმასთან. ქვრივს უსიამოვნო, გულსატკეპნი, დამამცირებელი, საუბრის მოთმე-ნა მოუწია ახალგაზრდა ქალისგან, არც კი გაამხილა, რომ შვილის ხათრით საკუთარი ნების წინააღმდეგ წავიდა: „ნუ, ნუ ეტყვი უარს, მე დედა ვარ და წამავალი, ის შვილია და მომავალი. მე მივდივარ, ის მოდის იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის კი თავში, წინ ვერ ავეფარები“- აქ პითაგორას უნივერსალური წყვილის კიდევ სამ შემთხვევას გამოვყოფთ:

**1. წარმავალი-მომავალი 2. გასავლელი - გავლილი 3. უარი - თანხმობა.**

საყურადღებოა სათაურის ფაქტორიც: ქმარი გარდაცვლილია, ცოლი მეწყვილეს გარეშე დარჩა, სიმბოლურია მთავარი პერსონაჟის სახელი, ოთარაანთ ქვრივი, ის ქალი, რომლის სახელიც ქმრის ცხედართან ერთად დაიმარხა, მეორე ნახევრის გარეშე უძღვება ოჯახს, გაზარდა შვილი, უძვლავდება მტერ-მოყვარეს, პასუხს სცემს მოძალადეს. უთქვამთ კიდევ, როცა ვენახისაკენ მიმავალი, მხარზე თოხგადებული ოთარაანთ ქვრივს დაინახავდნენ: „წამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემათ“. ოჯახის ამ ბედნიერ დროში ქვრივს შვილი თვალეზში შესცქერის, მას ჯერ არ აქვს ნათქვამი ის საბედისწერო ფრაზა: „დედი, შენი უნებური საქმე მწადა“.

კესოსთან საუბარი და ქვრივის განცხადება შვილის მისამართით: „დაე თავის ნებაზედ იყოს, არ ვუშლი, რაკი თვითონ არ იშლის“, ეს ფაქტიურად ახალგაზრდისაგან მისი წილი მიწა-წყლის შემოღობილ-შემოკავებული, აადგილ-მამულის, ბაღ-ვენახის, დედა-მშობელის ბედის ანაბარად დატოვებაა, ეს ქვეყნის მტკივნეული მომავალია. გიორგი პირველად დგამს დედის უნებურ ნაბიჯს, მიდის გულის კარნახით და იხშობს გონების იმ სიგნალებს, დედისკენ რომ მიაბრუნებს და რომელთაც მამაპაპური ვალდებულებების ნიშანი ადევს, გიორგის ქცევამ, ერთობ ფასეული ადათის, ხალხის ყოფითი და სამეურნეო ჩვევების, მამულიშვილური ტრადიციებისა და მიღწევების, მათი ინტერესების გასაღები უნდა მოგვცეს. ახლა ნამდვილად გიორგი დგას არჩილის წინაშე, როცა მორიდებული ტონით, მაგრამ თავდაჯერებულმა დაუწუნა სამეურნეო ცოდნა, თავის ბატონს და ევროპული განათლების საპირწონედ კახელი გლეხის გამოცდილება შეაგება; პირველი თავსატეხი სწორედ აქ გაუჩნდა ბატონს, რომელსაც, სოფელი დიდად ემადლიერება; რა არის ეს?! მხილება თუ კადნიერება?! - პასუხი ჩვენზეა. ეს იმ წიგნის თავფურცელია, ხიდგაღმა რომ გადაუშალა მწერალმა თავადიშვილებს და არა მარტო მათ; არამედ მთელი თანადროულობს. ამ წიგნის პირველი ფურცელი ის ხუთი ქისაა, რომელშიც დღევანდელი გადასახედიდანაც ბევრს ვერაფერს შევცვლით ოჯახის გაძლოლის, სახელმწიფო ვალდებულებებისა და საგადასახადო რეგულაციების მართვის თვალსაზრისით, იქნებ აქ ფულის საერთაშორისო სტანდარტით მიღებული შეფასებაც დავინახოთ, რომელიც დღესაც იგივე ფუნქციებით მოიაზრება. არ დარჩა საკმარისი ოთარაანთ ქვრივის პირადი ცხოვრებისა და პიროვნული ინდივიდუალიზმის საჩვენებლად თანასოფლელთა თვალით დანახული და ჭკუა-გონებით გაჯერებული შეფასებები, სოფელი ღონიერიცაა და გონიერიც, მაგრამ იგი აღიარებს ინდივიდთა განსაკუთრებულობას. გავისენოთ სოფელში მთარული ეპითეტი. ოთარაანთ ქვრივს მკერდში გულის მაგივრად ქვა უდევსო. მწერალმა მკითხველს დააკისრა ამ ფრაზის შეფასების ვალდებულება მაშინ, როცა დედა-შვილის ერთობის გზაგასაყართან შეგვაცოვნა.

მიდის გიორგი თავისი გაუმხელელი სიყვარულის სამყაროში „დიდი ბარგი-

ბარხანით”, ეს ბოლო ნაბიჯია მის მიერ დედის ნების აღსრულებისა, რამეთუ ყურით გაგონილს თვალთ ნანახი სჯობს, დაე იცოდნენ, რომ ოჯახიდან გადხარ და არა უოჯახობიდან. აქ კვლავ შეგვახსენებს თავს პითაგორასეული უნივერსალური წყვილიდან ერთ-ერთი, „ორი თვალი”. მიდის მხიარული სახით ბარგაკიდებული გიორგი, მისთვის სანუკვარ, ნანატრ გარემოში და მიაქვს გაუმხელელი სიყვარულით ანთებული გული და გლეხური პატიოსნებითა და ოჯახური ტრადიციებით დაბრძენებული გონება. ოთარაანთ ქვრივი ამ შემთხვევაშიც განუმეორებელია, „ჩემგან მიდის, თითქოს ძაფიც არ იჭერს, სხვაგან მიდის, თითქოს თოკით ეწვეიანო.”- უკან ნაღველი და ჯავრი, წინ სიხარული და ოცნების ახდენის მოლოდინი - ასეთია ამ უმძიმესი ფაქტის შეფასება და ფორმულირება:

„დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭირს ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორი თვალითა? რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება? ეს ციტატები ეპოქის სურათია, უცხოთა და უცხოურისაკენ გარდაუვალი ლტოლვის, მიდრეკილების საჩვენებელი მაგალითია, როცა დედები შვილებს ასე ულოცავენ გზას; „მე ჩემისად მაყურებელ თვალს დავიბრმავებ და შენსად მაყურებლილ-და ვივლი და ვიცოცხლებ”. თავისთვის სთქვა ქვრივმა და შეგვახსენა ნაწარმოების დასაწყისში ნათქვამი ავტორისეული შეფასება: „ოთარაანთ ქვრივს ტყუილი ბაქიობა არ უყვარდა, იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო. ამას დავუმატოთ, ის, რომ გაუბედურებულ დედასთან „გაგზავნილი ბიჭი” გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ რა, ის ვეება დედაკაცი კინაღამ თავზე არ წამომექცაო. „მალე დადუმდა, შედგა ყველა და მარტო დედაშვილობის საცოდავობადა თავის დიდებულის ზარით ჰლაღადებდა უთქმელად, უსიტყვოდ, ხმამოუღებლად. ამას მარტო თვალგულისდა ხედავდა და ყური გულისდა თუ ისმენდა: ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისთვის უღონოა.“ როცა სოფელს იმ გულიანის ძილით ეძინა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებივრელი, ძილდაკარგული სნეული, რომლის დამდნარი, მიღეული და თითქოს სასიკვდილოდ მიხრწნილ ფეხებს სხეულის ტარებაც კი აღარ შეეძლო, გულის ხმას მიჰყვება და თავისთვის იმეორებს: „დღევანდელ დღეს დაიბადა”, „დღევანდელ დღეს! მივდივარ, მივდივარ!”

ძალის წკმუტუნმა მიიყვანა მეცხვარეები იმ ადგილას, სადაც მკვდარი საფლავზე გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელით იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევით გულში ჩაეკრო. ასე გაათბო თავად გათოშილმა დედამ ერთადერთი შვილის საფლავი.

ოთარაანთ ქვრივმა ყველა სათხოვარი შეუსრულა ნაადრევად წასულ მეუღლეს, შვილისთვის თავის გულში დათქმული პირობასაც არ უღალატა, და სრულად აღასრულა, რაც ერთხელ ეთქვა: „შენი ვარ, შენთვის მოგვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო”, მაგრამ ერთ შემთხვევაში უძლური აღმოჩნდა, და შვილთან ერთად დამარცხდა. მძიმე იყო მომაკვდავი თევდორეს მიერ მეუღლისთვის დაკისრებული ტვირთი, ამას თვით ოთარაანთ ქვრივის ძალაც კი არ ეყო: „ე, ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩავგრინოო, არავის არ შემინატვრინოო”. აქ „შემინატვრინო” არ ნიშნავს დავალებას: არ მიაკლოო, არამედ შეგნებას იმისა, რას შეიძლება მიწვდეს მისი შვილი; საკითხავია რა იქნება გიორგისთვის, ხალხის შეხედულებით თავადთან „დასადარი” გლეხისთვის, მიუწვდომელი; „სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს!... გული გწვდებოდა, გული.. ხელი კი ვეღარ.. ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, ვის ათბობ, ვის აცოცხლებ!..” მხოლოდ მომაკვდავმა გაბედა ამ სიტყვების თქმა. მალე „დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობადა თავის დიდებულის ზარით ჰლაღადებდა უთქმელად, უტყვად ხმა- ამოუღებლად”. და გავიდა გიორგი უმწიკვლო სულთა, დიდებულ მამულიშვილთა და ღირსეულ მოძმეთა საუფლოში, მწერალმა თავისი განუმეორებელი პერსონაჟი მოკრძალებული თვითშეფასებითა და ყოველგვარ

ანგარიშსწორებაზე ამაღლებული და გადაადებული გრძნობით გაისტუმრა იმქვეყნად; ნაწარმოების დაწერის თარიღი: ქრისტეშობის თვე. 1887 წელს, მაშინ, როცა სხვა მრავალი აკრძალვის გვერდით რუსული პოლიტიკის უპირველესი ამოცანა იყო, „არც ერთ გზას არ მიეყვანა ქართველი ტაძართან“.

ილია თავის ნარკვევში, „შინაური მიმოხილვა“ წერს: ხელ-ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარი ტვინის ძაფები არ ამოქმედდეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წარიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ; ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტისმეტად ადვილია და ასეთის აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი, ოღონდ აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭრიახობა, სხვა ძალ-ღონე, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან.

**ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ ნაწარმოების განხილვისას, ილია წერს:** 1) ადამიანის არსებობის უზენაესი მისია ხომ სიყვარულია, თავის ლამაზი მრავალფეროვნებით;

2) დედაშვილური სიყვარული და ახალგაზრდული სიყვარული, თუნდაც „შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ხალვა“;

3) „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლოს იმ ტალღამ, მართო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას?“

კვითხულობთ პუბლიცისტურ წერილში „აი ისტორია?? და მარტივად იკვებება საერთო გიორგის ტრაგედიასა და ამ განაცხადს შორის. მოვუბრუნდეთ პითაგორას, მის წყვილეულებს, დარჩა 1. ქვეყანა - სახელოვან შვილთა გარეშეა; 2) ოჯახი და გვარი - მემკვიდრის გარეშე; 3) სწული - გულისხმიერი ადამიანის თვალყურის გარეშე; 4) სიყვარული და სითბო - სიცივისა და მედიდურობის წილ; 5) შობის ღამე - ბეთლების გარეშე; 6) ერთგული ძაღლი - პატრონის გარეშე; 7) განუმეორებელი ტრფიალება - თვითშეფასების გარეშე; 8) ცოდვიანი წუთისოფელი - მადლის გარეშე; 9) წარსული - ისტორიის გარეშე; 10) აწმყო - მომავლის გარეშე; ეს წყვილთა ათეული დავამთავრეთ დიდი კითხვის ნიშნით: დღესაც წყევლა-კრულვიანია წუთისოფელი? აქვს პასუხი ჩვენს მომავალ თაობას ამაზე? ამის პასუხი ჩვენმა თაობამ უნდა იპოვოს ჯერ საკუთარ თავში სათანადო ქმედებით და მერე მოყვასში - წრფელი გულით, საღი გონებითა და ღვთიური სიბრძნით. მით-უმეტეს ამის საშუალებას გვაძლევს ნაწარმოების ბოლო თავი: „წყევლა-კრულვიანი საკითხავი- რა ეშველება იმ ხალხს.

### ინტერნეტ - სივრცე

1884 წელს ლაიტი ი. ჭავჭავაძის მოწვევით ერთი თვე იყო საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი „ საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა,“ პოლონურ ენაზე. 1885 წელს ლაიტი კვლავ ესტუმრა საქართველოს და ი.ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით ვეფხისტყაოსნის თარგმანს ჩაუდგა სათავეში.

**პითაგორა** ძვ. წ. 570-495წ - ფილოსოფიური და რელიგიური სკოლა, ვიქტორ პარკაძე: გამოჩენილი ფიზიკოსები და მათემატიკოსები;

ილია მანსვეტაშვილი (1855-1939წწ) „მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე“

### ლიტერატურა:

1. დანტე ალიგიერი, „ღვთაებრივი კომედია“ გამ. საბჭოთა საქართველოთბ. 1975
2. ვიქტორ პარკაძე - გამოჩენილი ფიზიკოსები და მათემატიკოსები. გამ. „განათლება“ 1978წ;
3. ილია ჭავჭავაძე „აზრები“, შეადგინა გამ. კალანდარიშვილმა, თსი 1989წ.
4. ილია ჭავჭავაძე - რჩეული წიგნი III გამ. „საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1974

სოფიო ქიტესაშვილი

ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

Kitesashvili.sopio@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.51>

## ემოციური ინტელექტი მხატვრულ ლიტერატურაში

**საკვანძო სიტყვები:** ემოციური ინტელექტი, ლიტერატურა, ჯანსაღი და ობიექტური ამბიციაცია.

თანამედროვე საზოგადოებას ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით, ხშირად გვესმის ტერმინი - „ემოციური ინტელექტი“. გვებადება კითხვა: რა არის აღნიშნული ტერმინის არსი? ამას პასუხს სცემს ფსიქოლოგია და თავად ზემოთქმული კონცეფციის ფუძემდებელი, დანიელ გოლემანი, ამერიკელი ფსიქოლოგი, ჟურნალისტი და მწერალი, 1995 წელს გამოქვეყნებული წიგნით „ემოციური ინტელექტი“, რომლის იდეაც დაიბადა ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიიდან.

გოლემანი აღნიშნავს: „ემოციური ინტელექტი არის სოციალურ-ემოციური უნარი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავანალიზოთ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გრძნობებისა და ემოციების ერთობლიობა“ (გოლემანი, 2018).

ფსიქოლოგიამ აჩვენა, რომ ემოციური ინტელექტი (EI) ბევრად აღემატება ინტელექტის კოეფიციენტს (IQ) და რომ იყო ჭკვიანი, არ არის საკმარისი საკუთარ თავთან, პროფესიასა და პირად ურთიერთობებთან მიმართებით. ჩვენ, ადამიანები, ემოციური არსებები ვართ და ამ ემოციის აღქმას, გაგებას, გამოხატვას, მართვა-რეგულირებას (ჩამოთვლილი ემოციური ინტელექტის ქვაკუთხედი), მხოლოდ გონიერება არ ყოფნის. ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ამას ზედმიწევნით განმარტავს: მქონდეს ემოციური ინტელექტი, ნიშნავს, „თავი მივუძღვნა ჩემ მიერ არჩეულ ღირებულებებს“ (სარტრი, 1945).

რას გულისხმობს აღნიშნული განსაზღვრება, - ამას არა მხოლოდ ფსიქოლოგია, არამედ ფილოსოფიაც განმარტავს: „მქონდეს მორალური კანონი ჩემში“. სულხან-საბა ორბელიანი მას თავის განმარტებით ლექსიკონში „მამხილებელ გონებას“ უწოდებს, ანუ სინდისს (ორბელიანი, 1993).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ პასუხობს აღნიშნულ გამოწვევას ლიტერატურა. მას ხომ აქვს ჯანსაღი და ობიექტური ამბიციაცია, იყოს ერთდროულად ხელოვნების, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის დარგი. ეს არც გვიკვირს, რადგან ჩამოთვლილთაგან ყოველი ადამიანს მიემართება, განსაკუთრებით კი ლიტერატურა, რომელიც სწორედ კაცის ფიქრის, ოცნების, განცდის, თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის ნაყოფია. კვლევისთვის მივმართეთ იმ წიგნებს, რომლებიც კაცობრიულ ცოდნა-გამოცდილებას ინახავენ და დღემდე აქტუალური რჩებიან. მათგან უპირველესი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანია“.

ჩვენ გვაქვს ორი გონება - მოაზროვნე და განცდის. ცოდნის ეს ორი ფუნდამენტური ფორმა ურთიერთქმედებს ჩვენი გონიერი ცხოვრების შესაქმნელად. აღნიშნული ჩვენში ბადებს კითხვას: რას ითხოვს არსებული რეალობა ჩემგან? - ამისთვის საჭიროა აწმყოს

განცდა (აქ და ამჟამად). პირველი ეტაპი გრძნობის აღქმა-ამოცნობაა. ამას ემსახურება პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გმირ ავთანდილის (ავტორის ალტერ ეგოს) არჩევანი შემთხვევითობასა და აუცილებლობას შორის. მისთვის, თვითშემეცნების პროცესში, რომელიც სწორედ ემოციური ინტელექტის კომპონენტია, გადამწყვეტი აღმოჩნდა აუცილებლობის შეგრძნება, არ მოატყუოს და არ უღალატოს ანუ გულწრფელი დარჩეს და უერთგულოს მოყვასს. ამას გამოხატავს შემდეგ სიტყვებში:

„ვჭმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატისა!  
ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა“.

აქვე ადამიანს შეიძლება დაეხადოს შინაგანი ფიქრი: იქნებ, ეს ავთანდილის ზემოგრობიარე, უმართავი ემოციაა, რომელიც ახლადშემქნილი მეგობრის განსაკუთრებულობით, არაორდინალურობით, აღტკინებამ გამოიწვია. მაგრამ აქვე ვლინდება რაინდის თვითკონტროლის კომპეტენცია, ემოციების თვითმართვის უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს, შეძლოს დომინირება საკუთარ ემოციებზე და მათ ბრმად არ დაემორჩილოს, იცოდეს, როგორ გამოყოს ის ფაქტორები, რომელთა გამოყენებითაც შეუძლია გაარჩიოს ტრანსცენდენტული და დროებითი. ამისთვის იგი იმოწმებს კომპეტენტურ აზრს:

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?

ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.

“სიყვარული აღგვამაღლებს”, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ,

შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!“

აღნიშნულით ავთანდილმა გამოხატა, ერთი მხრივ, ის, რომ სიყვარულია მისი მთავარი, მამოტივირებელი ტრანსცენდენტული ემოცია, მაკონსტრუირებელი ენერგია, რომელიც აღძრავს მასში სხვისი ერთგულების, დახმარების, მასთან გულწრფელობის აუცილებლობას. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავთანდილმა გონებრივი და ემოციური ინტელექტი დააბალანსა, აზროვნებისა და განცდის, ინტელექტისა და სულის ჰარმონიული განვითარების აუცილებლობა წარმოაჩინა. ამასვე მოწმობს ავთანდილის მიერ მოხმობილი მეორე კომპეტენტური შეხედულება, რომელიც ბერძენ ფილოსოფოს პლატონს ეკუთვნის: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. ამით წარმოჩნდება ადამიანის ორმაგი პასუხისმგებლობა - ხორციელი და სულიერი ცხოვრების წინაშე. ეს კი ავთანდილში აყალიბებს მორალურ კანონებს, რომლებიც წარმმართველი ხდებიან მისი არსებობისა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..“ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!..“ „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“

სწორედ ზემოხსენებული პოსტულატები იქცა ავთანდილისთვის თვითრეგულაციის საშუალებად, მან საკუთარ თავს დაავალა: თავი უნდა მიუძღვნა იმ ღირებულებებს, რომლებიც შენ თავად აირჩიე! როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი აღნიშნავს: „მე ვარ ჩემი არჩევანი!“

აღნიშნულის გათვალისწინებით, გვებადება ლეგიტიმური კითხვა: ვინ არის „ავთანდილის ანდერძის“ ადრესატი? ვფიქრობთ, იგი, უპირველესად, მიემართება თავად ავთანდილს. ეს მისი შინაგანი მონოლოგია, თვითშემეცნების პროცესი, მიკროსამყაროს წვდომით მაკროსამყაროს შეცნობის გზა.

ავთანდილმა განხილული მიდგომებით ინტრაპერსონალური ემოციური ინტელექტი გამოავლინა, რომელმაც შექმნა, გამოაწრო და ჩამოაყალიბა მისი „პიროვნული მე“ - პერსონა. გარდა ამისა, საკუთარი ინდივიდის შესწავლით სხვისი ინდივიდუალიზმის უკეთ გაგების, თანაგანცდის რეალური შესაძლებლობა გააჩინა.

ემოციური ინტელექტის განვითარება მხოლოდ საკუთარი ემოციების გააზრებაზე არ არის ორიენტირებული, რადგან აუცილებელია პიროვნული ურთიერთობების დამყარება, სხვისი ემოციების გაგება, რაც თანაგრძნობის გზით მიიღწევა. სხვისი ემოციების აღიარება, იქნება ეს გამოხატული სიტყვიერად, თუ ჟესტით ან რეაქციით, გვეხმარება უფრო ჯანსაღი ემოციური კავშირების შექმნაში.



ვინ არის ავთანდილისთვის ის პიროვნება, რომელთანაც ძლიერი ემოციური კავშირი აქვს, ის, ვინც აღზარდა და მოყმის პიროვნებად ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა, ვისთანაც ღირებულებითი თანხვედრა აქვს? - როსტევანი, „მეფე ღვთისაგან სვიანი“, ავთანდილის ანდერძის ადრესატი („პროვნიული მეს“ შემდეგ). რასაკვირველია, რაინდის-თვის სულ ერთი არ არის, რას იფიქრებს მასზე მამობილი, როგორია მისი დამოკიდებულება ავთანდილის გადაწყვეტილების მიმართ, თუმცა ვხედავთ, რომ მისგან პასუხს არ მოელის მოყმე. სხვა შემთხვევაში, დაელოდებოდა მეფის პოზიციას და შემდეგ გადაწყვეტდა წასვლა-არწასვლის საკითხს. მან როსტევანის პასუხი ისედაც იცის. ამას ანდერძის დასაწყისშივე სწერს:

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა განზრახულსა.

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა.“

„ანდერძი“ ავთანდილის სოციალური უნარის მაღალ დონეს ცხადყოფს. შინაგანად განმტკიცებული, საკუთარ თავში გამოკვეთილი მორალურ-ზნეობრივი პრინციპების აუცილებლობის შეგრძნებით აღჭურვილი ავთანდილისთვის მნიშვნელოვანია განცდისეული კავშირების დამყარება, რაც უკვე ინტერპერსონალური უნარია, ეს კი ემოციური ინტელექტის უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა. იგი აერთიანებს კომპეტენციებს იმ დამოკიდებულების გათვალისწინებით, თუ როგორ ვუკავშირდებით სხვებს. აღნიშნულს განეკუთვნება სწორედ სოციალური უნარები და თანაგრძნობა.

ავთანდილი, როგორც სოციალური პერსონა, განსაკუთრებულად ვლინდება ანდერძის ბოლო ნაწილში, რომელშიც როსტევანს კონკრეტულ დავალებას აძლევს:

„...მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,

შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები:

მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

რაინდს თვითაღიარებული შინაგანი მორალი კარნახობს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.“ შემეცნებულის პრაქტიკულად გამოყენება, ცხოვრების წესად ქცევა, კაცის მაცხოვნებელია, გაღმრთობის გზაა. სოციალური პასუხისმგებლობა მისი ზნეობრივი არჩევანია. ავთანდილმა იცის თავისუფლების ფასი, ამიტომ ადამიანებს პოტენციურ შესაძლებლობას აძლევს, განიცადონ იგივე. გარდა ამისა, მოყმისთვის მატერიალური სიმდიდრე არა მოხვეჭის საგანი, არამედ მასშტაბური სიკეთის კეთების საშუალებაა. იგი არა მხოლოდ მორალურ ვალს იხდის მოყვასთა წინაშე, არამედ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასაც ავლენს - ზრუნავს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობაზე. ეს ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;

ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!“

ზემოაღნიშნული წარმოაჩენს ავთანდილის მართვა-რეგულირების უნარებს, რაც ემოციური ინტელექტის გამოვლინებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ჩამოთვლილი პროცესების განმხორციელებლად და გამოვლენილი სიკეთის, კაცთმოყვარეობის თანამოზიარედ როსტევანი გაიხადა. ეს კი მოყმეში საზიარო ნორმების არსებობას უსვამს ხაზს: მხოლოდ თავად კი არ უნდა გამოიჩინოს მოყვასის სიყვარული, არამედ სხვასაც გამოავლენინოს, მარტო თვითონ კი არ გრძნობდეს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, არამედ სხვასაც შეაგრძნობინოს და აღძრას მოტივაცია, ნება-სურვილი, მასში ამის წარმოჩენისა.

აღნიშნულის ლოგიკური უკუკავშირია როსტევანის შეფასება: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“. როცა ინდივიდი პიროვნებაა, მუდმივად მისწრაფის თავისი პიროვნული სრულყოფისაკენ, გამოირჩევა მორალურ-ზნეობრივი პრინციპების აუცილებლობის განცდით, მოტივირებულია, აქვს ნება, თავისი ფიქრი, სიტყვა, ქმედება ამას დაუმორჩილოს, იზრუნოს სხვათა განვითარებაზე, მათს გაკეთილშობილებაზე, სულიერი სიმართლაც, შინაგანი სამყაროს გაღარიბება არ ემუქრება.

ადამიანის ყოფა-ცხოვრება დამოკიდებულია იმ აზრთა შინაარსებზე, რომლებსაც ფიქრობს. ფიქრის შინაარსი აჩენს ემოციას. შინაარსის ცვლილება შესაძლებელია. ეს არ არის რთული, თუ არსებობს ადამიანის ნება. სალი ფიქრია: მე თუ ცუდად ვარ და თქვენ კარგად ხართ, მე უნდა გამიხარდეს, რომ თქვენ კარგად ხართ. თანამედროვე საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზროვნება ხშირად შეტრიალებულია: მე თუ ცუდად ვარ, ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ თქვენც ცუდად იყოთ. ეს იწვევს არა მხოლოდ სხვა ადამიანის ცხოვრებისა და განწყობის გაფუჭებას, არამედ, საკუთარისაც, რადგან აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ადამიანს დაკარგული აქვს ჯანსაღი საზიარო ნორმები. ეს არის სწორედ ემოციური უინტელექტობა. რჩება მხოლოდ მერკანტილური ურთირთობები, რომლებიც თავად ადამიანისთვის არის დამლუპველი. ამის ნათელი მაგალითია ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები „კაცია- ადამიანი?“

„ერის მამა და სინდისი“ ილია ჭავჭავაძე მოთხრობაში წარმოაჩენს, როგორი ზიზღითა და სიძულვილით საუბრობენ ლუარსაბი და დარეჯანი თავის ოჯახის წევრებზე: „ცოდო არ არის ჩვენი მეფეები - ერეკლე და თამარი - მიწაში იყვნენ და ჩვენი დავითი და ელისაბედი - ცოცხლები? აბა, წუთისოფლის ანგარიში ეგ არის და, დაატანდა ლუარსაბი“ - და, როგორც ავტორი ამბობს, - „ასე ამოიხრებდა, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააქრობდა.“ აღნიშნული შედარება არ უნდა იყოს შემთხვევითი. წმინდა იოანე დამასკელის „ღვთის-მშობლის სავედრებელში“ ვკითხულობთ: „დამიშრეტიეს სანთელი სულისა და ვიყოფები ბნელსა შინა ცოდვისასა“. თავისი სულის სანთელი ხომ გამქრალი აქვს ლუარსაბს და ამ ფიქრებით თავისი რძლისა და მაზლის სანთლის გაქრობასაც ნატრობს.

ცარიელი, უსანთლო, შანდალი თათქარიძეების სახლის „მუდმივ სამკაულად“ არის ქცეული. მსგავსი სიმბოლური დატვირთვისა უნდა იყოს, ლუარსაბის წარმოდგენაში, კაცის გაიგივება ძირგავარდნილ ქვევრთან. ამას გვაფიქრებინებს დავით გურამიშვილის სიტყვებიც „დავითიანიდან“: „სულია - ღვინო კეთილი, ხორცი - ჭურჭელი მყრალია“. მწერალს იმის თქმა სურს, რომ ძირგავარდნილ ქვევრში ღვინო ვერ შეკავდება, სიწმინდე, მაღლი ვერ დაისადგურებს და ცარიელი, უვარგისი ჭურჭელი დარჩება, გაქონილი შანდლის მსგავსად.

ილია ჭავჭავაძე პრეტენზიით მიმართავს თავის პერსონაჟ ლუარსაბ თათქარიძეს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპრავს, ერთი სიტყვით, რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია... მაგრამ ეს უნდა გკითხო, რაც უნდა გექნა, ის გიქნია?..“ ლუარსაბის მთავარი დანაშაულიც ესაა: ის არ ცდილობს, იცხოვროს კეთილი ფიქრითა და საქმეებით, რაც მისი, როგორც ადამიანის, მთავარი მოწოდება უნდა იყოს. ამიტომაც არის, თათქარიძის უდარდებლობა, უმოქმედობა, შემგუებლობა, ცრუსაქმიანობა მწერალს ცოდვად, ბოროტებად, უნაყოფო არსებობად მიაჩნია. ამის შემდეგ ისმის, უინტელექტო, სულიერებისგან დაცლილი საზოგადოებისთვის გაჟღერებული მკაცრი განაჩენი: „შენ სცხოვრობ, რომ სვა და ჭამო და არა იმისთვის სვამ და ჭამ, რომ იცხოვრო.“

მოთხრობაში მწერლის ასეთი ჩანართები თითქოს აფხიზლებს ადამიანს, რათა მან დაიწყოს ფიქრი („ფიქრი დაასაქმოს“), განსჯა, გონება აამოძრავოს და სწორი დასკვნები გამოიტანოს, გაეღვიძოს „მამხილებელი გონება“ (სინდისი), გაუჩნდეს ადეკვატური ემოცია, შიდა თუ გარესამყაროს ზნეობრივად აღქმა-გაგების უნარი ჩამოუყალიბდეს, რითაც თვალსა და გულს „სულიერ საზრდოს“ მისცემს. ბუნებრივია, ამას სულიერი და ინტელექტუალური ძალების კონცენტრირება სჭირდება. ფილოსოფოსი და მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს: „ადამიანი - ეს არის ძალისხმევა საკუთარ თავზე“.

ვაცნობიერებთ ამას თუ არა, ადამიანებს შორის არსებობს უხილავი მისტიკური კავშირი. ჩვენ ერთმანეთზე ზემოქმედებთ - დადებითად თუ უარყოფითად. ამიტომ სულ ერთი არ უნდა იყოს, გვიჭირს თუ გვილხინს, უბედური ვართ თუ ბედნიერი, რა როლს ვასრულებთ ერთმანეთის ცხოვრებაში, თავად ჩვენ რა შეგვიძლია, რა ბერკეტები გვაქვს, უკეთესი გავხადოთ ერთმანეთის არსებობა, და ამ არსებობას მნიშვნელობა, დანიშნულება, ღირებულება შევძინოთ. როდის შევძლებთ ამას? - როცა თვითშემეცნების გზით საკუთარ

თავში აღმოჩენილ სულიერ და ინტელექტუალურ პოტენციალს კი არ შევებრძოლებით, არამედ მივიღებთ; ეს მიმღებლობა აღძრავს შინაგან მოტივაციას რესურსების მობილიზებისა, რათა ისინი ჩვენსა და სხვათა საკეთილოდ მივმართოთ. ეს კი თანაგანცდის, ემპათიის გზით, ჯანსაღი სოციალიზაციის, არსებობისა და თანაარსებობის, შესაძლებლობას გვაძლევს. სწორედ ზემოწარმოდგენილი მიდგომაა პიროვნებაში ემოციური ინტელექტის განვითარების აუცილებელი პირობა.

#### ლიტერატურა:

1. გოლემანი, დ., ემოციური ინტელექტი, „კაიროსი“, 2018;
2. Trujillo Flores, M. M., & Rivas Tovar, L. A., ემოციური ინტელექტის წარმოშობა, ევოლუცია და მოდელები, „ინოვაცია“, 15(25), 2005;
3. მამარდაშვილი, მ.; ცნობიერება და ცივილიზაცია, „აქტი“, თბილისი, 2020;
4. ორბელიანი, ს.ს., ლექსიკონი ქართული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1993;
5. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, „განათლება“, თბილისი, 1986
6. Salovey P., & Mayer, J., ემოციური ინტელექტი, „ფანტაზია, ცოდნა და პიროვნება“, 9 (3), 1990
7. სარტრი, ჟ.პ., ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი, 1945;
8. ჭავჭავაძე, ი., კაცია-ადამიანი?!, თხზულებანი, ტ.2, „მეცნიერება“, თბილისი, 1988;
9. Howell, T. J., დენიელ გოლმანი - ემოციური ინტელექტი, <https://www.twp.howell.nj.us/>, „ინსტრუქტორი“, 2014.

**Sophio Qitesashvili**

European University

თბილისი, საქართველო

Kitesashvili.sopio@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.51>

### Emotional Intelligence in Fiction

#### Abstract

We all have two minds - thinking and feeling. These two fundamental forms of knowledge interact to shape our lifestyles and values, defined by emotional intelligence. The aim of the research is to analyze how the mentioned issue is presented in artistic works. Which character, how, to what degree, responds to the above challenge.

Emotional intelligence dictates to the heroes of the artistic work not to fight but to accept the spiritual and intellectual potential found in themselves through self-awareness; This acceptance fosters the intrinsic motivation to mobilize resources for the benefit of self and others. And this gives you the opportunity for healthy socialization, existence and coexistence through sympathy, empathy. This approach is a necessary condition for the development of emotional intelligence in a person.

**Key Words:** Emotional Intelligence, literature, healthy and objective ambition.

ელისო კორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
Elisso.koridse@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.52>

## უარყოფის პრობლემატიკის რამდენიმე საკითხი თანამედროვე გერმანულ ენაში

**საკვანძო სიტყვები:** უარყოფის ცნება, ენათმეცნიერება, გერმანული ენა

უარყოფის ცნებას, მისი ზოგადი ხასიათიდან და მრავალშრიანობიდან გამომდინარე, შეისწავლის ენათმეცნიერება, ლოგიკა, ფილოსოფია და ხელოვნება.

ენობრივად გამოხატული უარყოფა, ანუ ნეგაცია, უნივერსალური კატეგორიაა და გვხვდება ყველა ენაში და ენობრივი სისტემის ყველა დონეზე. შესაბამისად, ჯერ კიდევ ძველი დროიდან ჩნდება მის შესახებ კვლევები, რაც გულისხმობდა უარყოფის, როგორც ფილოსოფიური ცნების შესწავლას. მაგალითად, არისტოტელე უარყოფას განიხილავდა, როგორც ლოგიკურ კატეგორიას და გამოყოფდა ოპოზიციის შემდეგ სახეობებს: კორელაცია, კონტრარულობა, ჩამორთმევა (დაკარგვა) და კონტრადიქტორულობა. (10).

გერმანულ ენაში სიტყვა **Negation** მე-16 საუკუნიდან ჩნდება და დროთა განმავლობაში სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსით წარმოჩნდება. გერმანული ენის ციფრული ლექსიკონის მიხედვით: „**negieren** Vb. ‘verneinen, ablehnen, bestreiten’, entlehnt (2. Hälfte 16. Jh.) aus gleichbed. lat. *negāre*. – **Negation** f. ‘Verneinung, Ablehnung’ (2. Hälfte 16. Jh.), lat. *negatio* (Genitiv *negatiōnis*); in der Grammatik (wie schon spätlat. *negatio*) ‘Verneinungswort’ (um 1700). **negativ** Adj. ‘verneinend, ablehnend, ungünstig, nachteilig, ergebnislos’ (Mitte 18. Jh.), aus lat. *negātīvus* ‘verneinend’; mehrfach in Fachsprachen (meist im Gegensatz zu *positiv*), z. B. ‘kleiner als Null’ (Mathematik), ‘einen Überschuß an Elektronen gegenüber positiven Ladungsteilchen aufweisend’ (Physik), ‘vertauschte Helligkeitswerte bzw. Komplementärfarben aufweisend’ (Photographie), wozu die Substantivierung **Negativ** n. ‘Gegenbild, Kehr bild’ (Ende 19. Jh.) (4).

მეცლერის ენათმეცნიერული ლექსიკონი ნეგაციის ლინგვისტურ ჭრილში განხილვისას, განასხვავებს **წინადადების ნეგაციას** და **წინადადების წევრების/კონსტიტუენტების ნეგაციას**, და აქვე მიუთითებს, მის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაზე, რადგან, ზოგ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია წინადადების ლოგიკური აქცენტი და კონტექსტი: „Satznegation liegt vor, wenn die gesamte Prädikation negiert wird, z.B. Der Verlag zahlt nicht. Sondernegation (auch: Satzgliednegation, Konstituentennegation) liegt vor, wenn sich die N. auf ein Satzglied erstreckt, z.B. Der Verlag zahlt nicht gut; Nicht der Verlag zahlt, sondern der Autor (N. des Subjektausdrucks); Der Verlag zahlt nichts (N. des Objektausdrucks). In neueren Forschungsbeitrgen wird die Differenzierung zwischen Satz- und Sondernegation

allerdings in Frage gestellt. Der Skopus einer N. ist vielfach von der Stellung des negierenden Ausdrucks, vom Satzakzent und mitunter vom Kontext determiniert.“ (8: 457).

თანამედროვე გერმანულ ენაში უარყოფის კვლევას სერიოზული ნაშრომები მიუძღვნეს აღიარებულმა ლინგვისტებმა (ენგელი, ბერგეროვი, ჰენჩელი და სხვ.) განსაკუთრებით საინტერესოა ამ მიმართულებით, ულრიხ ენგელის მოსაზრებები. იგი მიუთითებს უარყოფის პრობლემატიკაზე, რომელიც არაერთგვაროვნად აღიქმება გრამატიკოსების მიერ: „Negation ist ohne Zweifel ein wichtiger Baustein im grammatischen Gesamtgefüge. Aber die Grammatiker, die meisten jedenfalls, scheinen nicht so recht zu wissen wohin mit diesem Baustein einer Gesamtdarstellung der Satzstruktur. Sie behandeln sie meist am Rande oder an Stellen, an die sie nicht erkennbar hingehören; oder sie räumen freimütig ein, dass sie jetzt den Rest zusammenfegen, das, was bisher nirgends unterzubringen war, aber eben doch behandelt werden sollte.“ (6: 11).

ენგელი, ამავე ნაშრომის სქოლიოში უფრო დეტალურად განმარტავს აღნიშნულ ფაქტს და აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, გერჰარდ ჰელბიგისა და იოახიმ ბუშას და, მეორე მხრივ, დუდენის რედაქციით გამოცემული გრამატიკები არასათანადო ადგილს უთმობენ ნეგაციის ფენომენს: „So bin ich selbst in meiner „Deutschen Grammatik“ von 1988 verfahren, auch noch in der Neubearbeitung von 2009. Man kann das ähnlich in der Grammatik von Helbig/Buscha bestätigt finden, wo die Negation in dem ausführlichen Register gar nicht vorkommt. Freilich wird in einem eigenen Kapitel auf 16 Seiten Wichtiges zur Negation gesagt; (s. Helbig/Buscha 544ff.) Und die besonders ausführliche Duden-Grammatik behandelt auf 12 Seiten zwar die verschiedenen Arten der Negation, ohne aber die Besonderheit der Satznegation herauszustellen. Ich versage mir konkrete Hinweise auf weitere Grammatiken.“ (6: 11).

თანამედროვე გერმანული ენის ნორმატიული გრამატიკები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ **სინტაქსურ უარყოფაზე**, რომლისთვისაც ტიპურია nicht ნაწილაკის გამოყენება. „... nicht შეიძლება თან ერთვოდეს მთელ წინადადებას, მის რომელიმე ცალკეულ წევრს ან სიტყვას ნებისმიერი მათგანისათვის უკუთქმითობის ელფერის მინიჭების მიზნით. შესაბამისად, მისი დანიშნულებაა გადმოსცეს **ზოგადი** ( Satznegation) ან **კერძო** ( sondernegation ) უარყოფა. ნათქვამი მოწმობს, რომ განსხვავება უარყოფის ამ ორ ფორმას შორის არის არა თვისებრივი, არამედ მოცულობითი ხასიათის, რამდენადაც იგი უკავშირდება უკუთქმითი შინაარსის გავრცელების არეალს და არა მის არსს. ფორმალურად ეს სხვაობა წინადადებაში გადმოიცემა უპირველესად nicht ნაწილაკის სათანადო პოზიციით, მაგრამ კონტექსტისა და ინტონაციის ხელშეწყობით. საგულისხმოა, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება მკაცრი ზღვარის გავლება უარყოფის ტიპებს შორის და ვერც ნებისმიერი წინადადება გადაკეთდება ისე, რომ ის ხან ზოგად უარყოფას შეიცავდეს და ხან კერძოს. ერთი მხრივ, ეს გერმანული წინადადების მკაცრი სინტაქსური ორგანიზაციით უნდა აიხსნას, მეორე მხრივ კი, თვით უარყოფის ფენომენის რთული ლოგიკური ბუნებით და სტილური მრავალფეროვნებით.“ (1: 937).

საინტერესოა ის გარემოება, რომ nicht ნაწილაკს აქვს დამატებითი ფუნქცია, კერძოდ, მას შეუძლია გამოხატოს არა მარტო უკუთქმითი, არამედ წართქმითი მნიშვნელობაც, რაც გამონათქვამს უცვლის სტილურ რეგისტრს. ამგვარად შეიძლება გამოიხატოს ირონია, მოვლენის თუ ვითარების სუბიექტური შეფასება, თხოვნა და ა.შ. მაგალითად:

Tun Sie mir bitte nicht Unrecht! - ნუ მომექცევით გეთაყვა უსამართლოდ!

Machen Sie ihn bitte nicht unglücklich - გემუდარებით, ნუ გააუბედურებთ მაგ კაცს!

Der Text war nicht ohne Humor geschrieben! - ტექსტი არ იყო იუმორს მოკლებული!

Seine Vezweiflung war nicht ohne Grund! - მისი სასოწარკვეთილება უსაფუძვლო როდი იყო! (1: 955).

აღსანიშნავია, რომ nicht ნაწილაკის ქართული შესატყვისის დადგენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული იმ მხრივ, რომ მას არ შეუძლია იმ მოდალური მნიშვნელობების გადმოცემა, რომელიც გამოიხატება **არ** და **ვერ** ნაწილაკებით. მაგალითად,

**ვერ მოვალ** (არ შემიძლია და იმიტომ - Ich kann nicht kommen), **არ მოვალ** (არ მინდა და იმიტომ - ich will nicht kommen), **ნუ მოხვალ!** (მიკრძალავენ მისვლას - komm nicht!). ამ შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი ლექსიკურ/გრამატიკული საშუალებების მოხმობა, როგორცაა მოდალური ზმნები, კავშირებითი ან ბრძანებითი კილოს ფორმები, შეფერილობითი ნაწილაკები და ა.შ.

დუდენი, სინტაქსური უარყოფის გვერდით განიხილავს სხვა საშუალებებსაც: უარყოფა ლექსიკურ დონეზე - ანტონიმია: hungrig – satt (nicht hungrig), სიტყვაწარმოებითი დონე: un თავსართით (glücklich-unglücklich), უარყოფა გამონათქვამის დონეზე - პირდაპირი და ირიბი უარყოფა: Anna fragte: kommst du mit mir ins Kino? Ich muss noch meinen Bericht zu Ende schreiben. Antwortete Beate. სინტაქსური ნეგაცია გამოხატება სპეციალური უარყოფითი სიტყვებით. თუმცა, როგორც დუდენი მიუთითებს, გერმანულში არ არის **წმინდა უარყოფითი სიტყვები** (reine Negationswörter), და ეს ეხება თვით ნაწილაკს nicht. (5: 252).

მრავალფეროვანია გერმანულ ენაში უარყოფითი მნიშვნელობების გამოხატვის საშუალებები. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ, წარმოვადგენთ კონტექსტებს ე.მ. რემარკის რომანიდან „ტრიუმფალური თაღი:“

**ნაწილაკი/ ზმნიზედა:** nicht, nein.

Die Frau schwieg. Aber sie ging **nicht** weiter. Es war, als ob sie, einmal angehalten, **nicht** mehr weitergehen könne. (9: 6).

Ravic zuckte die Achseln. »Nach Hause, in Ihre Wohnung, ins Hotel, nennen Sie es, wie Sie wollen. Irgendwohin. Sie wollen doch **nicht** von der Polizei aufgegriffen werden?« (9: 8).

»Sie sind Russin?« fragte er. »**Nein.**« Ravic zahlte und stand auf, um sich zu verabschieden. (9: 12).

Die Frau machte eine rasche Bewegung. »Dahin kann ich **nicht! Nein!** Das kann ich **nicht! Nicht** dahin!« (9: 13).

**ზმნიზედა:** keinesfalls, keineswegs, nie, niemals, nirgends, nirgendwo

Die Frau legte ihre Hände auf den Tisch. Sie tat das, als wollte sie sie **nie** wieder hochnehmen. Die Hände waren gepflegt, aber das besagte **nichts**. (9: 10).

Die Schwester warf eine Handvoll Instrumente in das kochende Wasser. »Professor Perrier fluchte **nie**«, erklärte sie beleidigt. »Und er rettete trotzdem viele Menschen.« (9: 22).

Der Mann, der den alten Professor Meyer ausgewiesen hat, Meyer, der nicht mehr die Kraft hatte, noch einmal den Kreuzweg zu beginnen, und der sich am Tage vor seiner Ausweisung schlicht in seinem Schrank im Hotel International erhängte. In seinem Schrank, weil **nirgends** sonst ein Haken war. (9: 286).

**ზმნიზედური ფრაზები:** auf keinen Fall, in kleinster Weise (umg.), ebenso wenig, unter keinen Umständen

„Wenn du im geschlossenen Wagen schießen mußt, schieß so, daß das Fenster dahinter offen ist, damit die Kugel keine Spuren im Wagen hinterläßt. Ich habe den Talbot für zwei Wochen gemietet. Bring ihn **auf keinen Fall** gleich in die Garage hinterher.“ (9: 587).

Der Wirt hatte sich gefaßt. »Wer sind Sie?« fragte er ruhiger, mit der Vorsicht, **unter keinen Umständen** einen einflußreichen Mann zu beleidigen. (9: 44).

**განუსაზღვრელი ნაცვალსახელები:** niemand, nichts, kein keiner

Die Frau starrte ihn an. »Lassen Sie mich los«, flüsterte sie. Ravic erwiderte **nichts**. Er hielt ihren Arm weiter fest. (9: 5).

Er hatte sofort gesehen, daß sie **keine** Hure war. Sie war auch nicht betrunken. Er hielt ihren Arm nicht mehr sehr fest. Sie hätte sich leicht losmachen können, wenn sie gewollt hätte; aber sie bemerkte es nicht. (9: 5).

»Ich habe Pflichten im Leben. Ich möchte nicht gern in die Luft fliegen.« »Das ist schön, Eugenie. Und beruhigend.« »Manche haben eben **keine**. Und wollen keine haben.« 23. (9: 6).

შეწყვილებული კავშირი: weder... noch

... ich lasse mich liegen und lasse mich laufen, und ich werfe mich hin, ohne Gedanken, und ich bin glücklich und habe **weder** Vorsicht **noch** Angst, es zu sagen, auch wenn du lachst und mich verspottest...« (9: 228).

Er hielt das Glas gegen das Fenster. Der Mond machte es zu einem Opal. Schnaps sollte nicht im Licht stehen, dachte er. **Weder** in der Sonne **noch** im Mond. (9: 304).

Sie wollte ihn **weder** verletzen **noch** etwas Besonderes sagen. »Das kann gut werden«, sagte er. (9: 311).

»Frech?« Ravic blickte ihn erstaunt an. »Frech nennen Sie das? Wir sind hier doch **weder** in der Schule **noch** im Stift für reuige Verbrecher! (9: 350).

კავშირი: ohne

Sie sah Ravic von unten herauf mit einem Blick voll Elend an und versuchte ein Lächeln, das ihr mißlang. Dann ging sie fort durch den nebligen Regen, **ohne** zu zögern, mit lautlosen Schritten. (9: 13).

Sie stand vor einem Tisch, auf dem ein Haufen rosa Seidenwäsche lag. »Ravic«, sagte sie **ohne** Erstaunen. »Spät. Was willst du – ein Mädchen oder etwas zu trinken? Oder beides?« (9: 30).

Sie lächelte **ohne** Mißtrauen. Sie fand, daß er recht hatte. Ihr klares Gesicht war nicht eine Spur müde. (9: 33).

Die Frau bewegte sich. Sie zitterte. Sie sah Ravic an. Er spürte, wie die Welle zurückebbte. Die tiefe Kühle **ohne** Schwere kam. Die Spannung war vorüber. (9: 37).

»Wo wohnen Sie?« »Im Hotel Verdun.« »Das ist wenige Minuten von hier. Ich kann es Ihnen zeigen, draußen. Ich werde Sie **ohnehin** am Portier vorbeibringen.« (9: 40).

ფრაზეოლოგიზმები:

Ich verstehe nur Bahnhof (Ich verstehe gar nichts)

Ich kümmerge mich den Teufel darum (Ich kümmerge mich nicht darum)

განსხვავებულ სტილისტურ დონეზე წარმოდგენილი უარყოფის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები: Das trifft ein, wenn Ostern und Pfingsten auf einen Tag fallen (lit-umg.)

Ich fürchte, wir kriegen unser Urlaubsgeld erst am Sankt Nimmerleinstag. (umg.)

Aus diesen wilden Rosen kannst du doch niemals eine edle Rose züchten (salopp-umg.)

Das passiert, wenn es Katzen hagelt (salopp-umg.)

უარყოფის გამოხატვასთან კავშირშია დროითი ცნებაც noch და mehr სიტყვებით: Ema kannte Anna **noch nicht**. Anna kannte Ema **nicht mehr**.

დღემდე ერთ ერთ საინტერესო და საკამათო საკითხად რჩება ორმაგი უარყოფა გერმანულში. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი, როდესაც ქართული შესატყვისებია დასადგენი: „აგებულების მიხედვით ზოგადი უარყოფის შემცველი კონსტრუქციები გერმანულ ენაში ქართულისაგან განსხვავებით მკაცრი მონონეგატიურობით გამოირჩევა. ეს ნიშნავს, რომ ენა არ უშვებს ერთი წინადადების ფარგლებში ზოგადი უარყოფის ორჯერად მარკირებას, ანუ შემასმენელთან ორი უარმყოფელი საშუალების ერთდროულად დაკავშირებას, რაც სავსებით ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის გერმანულში. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით თარგმნისას არის გასათვალისწინებელი. კერძოდ კი, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ქართულისთვის ბუნებრივი სტრუქტურები: არაფერიც არ მიმიღია, არსად არ ვყოფილვარ, არავინ არასოდეს არაფერი იცის და სხვ. გერმანულ შესატყვისებში შემასმენელთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი უარმყოფელი საშუალებით უნდა გადმოვიტანოთ:

არასწორია: Niemand kommt heute zu uns nicht სწორია: Niemand kommt heute zu uns

არასწორია: Keiner sagt nichts

სწორია: Keiner sagt etwas.“ (1: 954).

ზოგჯერ ტექსტში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი უარყოფის გამომხატველი ენობრივი ერთეულები, რითაც გაძლიერებულია უარყოფითი კონტექსტი და

გამონათქვამის ემოციური მნიშვნელობა: Die Frau machte eine rasche Bewegung. »Dahin kann ich **nicht! Nein!** Das kann ich **nicht! Nicht** dahin!« (9: 13).

»Ich habe Pflichten im Leben. Ich möchte **nicht** gern in die Luft fliegen.« »Das ist schön, Eugenie. Und beruhigend.« »Manche haben eben **keine**. Und wollen **keine** haben.« (9: 23).

»Hatten Sie **keinen** anderen danach?« »Wir wußten **keinen**. Wir sind erst drei Wochen hier. Diesen hatte der Kellner uns besorgt ... und er wollte ihn **nicht** mehr ... er sagte ... er glaubte, er könne es allein besser ...« (9: 42).

მეტყველებაში ნეგაციის ორმაგი გამოყენება მიუთითებს გაძლიერებულ ემოციურ ასერციაზე. ორმაგი უარყოფის მაგალითს წარმოადგენს რიტორიკული ფიგურა **ლიტოტესი**, რომელიც არის მტკიცების გამოხატვა საწინააღმდეგოს უარყოფით. სტილისტიკაში ლიტოტესი განიხილება, როგორც პერიფრაზი, უარყოფის მნიშვნელობით: Im Speisezimmer hantierte Dora, **die nicht ganz ehrliche Köchin**.

განასხვავებენ უარყოფას როგორც **ენობრივი სისტემის ლინგვისტურ კატეგორიას** და **უარყოფა როგორც კომუნიკაციური ქმედების კატეგორიას**. მაგალითად, აკრძალვა, უარის თქმა, უკან დახევა, თავის შეკავება. მაგალითად: Papa, kauf mir ein Eis! – Nein. / Ich will nicht. / Es ist zu kalt für Eis. / Du hast doch grade eins bekommen. / Ich denk nicht dran. / Wir müssen ganz schnell nach Hause.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უარყოფის/ნეგაციის პრობლემატიკა საკმაოდ საინტერესოა და აქტუალურია, როგორც თეორიული ასპექტით, ასევე ენობრივ კომუნიკაციაში მისი გამოყენების თვალსაზრისითაც.

#### ლიტერატურა:

1. ანდრაზაშვილი, მარინა (2009): გერმანული ენის გრამატიკა ოთხ წიგნად. მეორე გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემა. წიგნი II. მორფოლოგია II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: თბილისი.

2. Bergerov, Hana (2017): Negation und Negieren im phraseologischen Bereich. [https://jahrbuch-bruecken.de/cms/wp-content/uploads/2017/06/bruecken1988\\_89\\_250-257\\_Bergerova.pdf](https://jahrbuch-bruecken.de/cms/wp-content/uploads/2017/06/bruecken1988_89_250-257_Bergerova.pdf)

3. Deppermann, Arnulf / Blühdorn, Hardarik (2013): Negation als Verfahren des Adressatenzuschnitts: Verstehenssteuerung durch Interpretationsrestriktionen. In: Deutsche Sprache 41. Mannheim.

4. Digitales Wörterbuch der deutschen Sprache. <https://www.dwds.de/wb/Negation?o=negation>

5. Duden (2016): Die Grammatik Unentbehrlich für richtiges Deutsch. 9. Vollständig überarbeitete und aktualisierte Auflage. Bd. 4. Dudenverlag: Berlin.

6. Engel, Ulrich (2013): Negation in der Dependenzgrammatik. Universität Bonn IDS Mannheim. Originalveröffentlichung in: Naslede Jg. 24.

7. Hentschel, Elke (1970): Negation und Interrogation Stickel G. Stickel, Untersuchungen zur Negation im heutigen Deutsch (= Schriften zur Linguistik, Bd. 1), Braunschweig: Vieweg.

8. Metler lexicon Sprache (2016): Helmut Glück, Michel Rödel (Hrsg.). 5. Aktualisierte und überarbeitete Auflage. J.B. Metzler Verlag. Stuttgart.

9. Remarque, Erich Maria (1988): Arc de Triumph. Kiepenheuer&Witsch: Köln.

10. Stanford Encyclopedia of Philosophy (2007): Aristotle on Non-contradiction. *First published Fri Feb 2, substantive revision Thu Oct 19, 2023.* <https://plato.stanford.edu/entries/aristotle-noncontradiction/>.



## **Einige Fragen zum Problem der Negation in der modernen deutschen Sprache**

### **Abstrakt**

Das Konzept der Negation wird von Linguistik, Philosophie, Logik und Kunst untersucht. Es findet sich als universal in allen Sprachen. Demgemäß existieren verschiedene Ausdrucks- und Interpretationsmittel ( lexikalisch, syntaktisch, semantisch) ihrer Erforschung. Schon die antike Denker und Philosophen interessierten sich für die Natur der Verneinung. Antike Denker und Philosophen erforschten die Natur der Verneinung. Zu den Problemen der modernen Sprachforschung gehört auch die Frage der Negation. Viele wichtige Arbeiten widmeten sich dem Studium der Negation in der deutschen Sprache, wobei verschiedene Arten der Negation unterschieden werden: Satznegation, Satzgliednegation, lexikalische Negation, syntaktische Negation, allgemeine und besondere Negation usw. Die Funktion und Bedeutung des Partikels „nicht“ ist besonders interessant, da es nicht nur die Negation von etwas, sondern auch die Bejahung ausdrückt. Wichtig ist auch die Frage der doppelten Negation, die besondere Nutzungsregeln erfordert. Doppelte Verneinung ist wichtig, um die emotionalen und modalen Schattierungen des Kontexts auszudrücken. In den modernen Forschungen wird die Kategorie der Negation sowohl aus sprachtheoretischer Sicht als auch aus Sicht des kommunikativen Paradigmas, im Hinblick auf ihren Einsatz in der Sprachkommunikation, untersucht.

**მურმან ქუთელია**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

[Murmank@yahoo.com](mailto:Murmank@yahoo.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.53>

**ჯიბრან ხალილ ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის შესახებ**

**საკვანძო სიტყვები:** ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, სალიტერატურო არაბული ენა

საინტერესოა არაბი რომანტიკოსების თვალსაზრისი სალიტერატურო არაბული ენის განვითარებაზე ხელოვნების და ხელოვანის (პოეტის) როლის შესახებ. ჯიბრანის, მუტრანის, აგრეთვე ალ-მანფალუტის აზრით, არაბულ ქვეყნებში შექმნილი თავისებური ენობრივი სიტუაციის გამო სალიტერატურო ენის ხსნა დაღუპვისგან მხოლოდ ხელოვანის (პოეტის) მისიაა. ის ამდიდრებს, ხვეწს და სრულყოფს ენას. ის უპირისპირდება მიმბამველს, რომელიც ენისთვის „სუდარის მქსოველი“ და „საფლავის გამთხრელია“ (3: 561; 1: 83).

არაბ რომანტიკოსთა შორის დეტალურად განიხილავს არაბულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. ის არის უპირველესი, რომელმაც არაბთათვის მეტად აქტუალური საკითხები განხილვის საგნად აქცია. არ ყოფილა იმ დროისთვის საზოგადოების წინაშე მდგომი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის შესახებ მას არ გამოეთქვა აზრები და დასაბუთებული სახით არ წარმოედგინა, იქნებოდა ეს პოეზიის, ხელოვნების, პოეტის და ხელოვანის ადგილისა და როლის შესახებ, სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიურ-ფილოსოფიური, ქალთა ემანსიპაციის პრობლემა-მეტი და ბევრი სხვა. მან თავისი ღრმა, წონიანი მოსაზრებები გამოთქვა და შეძლებისდაგვარად დაასაბუთა და მოგვცა ამ პრობლემების მოგვარების გზები.

სალიტერატურო არაბულის პრობლემებს დაწვრილებით შეეხო ჯიბრანი ნარკვევში „არაბული ენის მომავალი“. ჩემდა სამწუხაროდ, ჯიბრანზე და არაბულ რომანტიზმზე მუშაობის დროს ეს ნარკვევი ჩემი ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. მხოლოდ ცალკე ნაწყვეტები მქონდა ხელთ ამ ნარკვევიდან არაბულ ენაზე. თუმცა რუსულად თარგმნილი სრული სახით არსებულა. ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე და გადავწყვიტე, სტატიის სახით გავაცნო დაინტერესებულ პირებს.

ამ ნარკვევში ჯიბრანი ეხება ზოგადად ენის არსს, რაზეც დამოკიდებულია არაბული ენის მომავალი, ევროპული ცივილიზაციის და დასავლური სულის გავლენა არაბულ ქვეყნებზე და შესაბამისად არაბულ ენაზე თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების ზემოქმედება, უმაღლეს და საშუალო სკოლებში არაბული ენის სწავლების პრობლემები, ასევე იკითხება თუ არა ყველა საგანი მშობლიურ ენაზე და რა გავლენას ახდენს ეს ერის სულიერი და კულტურის განვითარებაზე, დიალექტების გავლენა სალიტერატურო არაბულზე, რა არის საუკეთესო საშუალება არაბული ენის გამოცოცხლებისთვის, პოეტისა და მიმბამველის როლი არაბული ენის განვითარებაში და ა.შ. პარალელურად ჯიბრანი გვესაუბრება ერის ჩამოყალიბება-განვითარებაზე,

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის დადებით და უარყოფით მხარეებზე და ა.შ.

როგორ აქვს ჯიბრანს, როგორც მწერალსა და მოაზროვნეს, წარმოდგენილი არაბული ენა წარსულში, თანამედროვე პერიოდში და მისი მომავალი.

უპირველესად, ჯიბრანი ცდილობს განსაზღვროს ზოგადად ენის როლი და ადგილი ამა თუ ერის განვითარებაში. მისი აზრით, ენა წარმოადგენს ამა თუ იმ ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას, ამ ერის შემოქმედებითი ძალის გამოვლენის ერთ-ერთ მთავარ სახეს (გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული ქართული იდეის ლოზუნგი: „ენა, მამული, სარწმუნეობა“). მწერლის აზრით, თუ ეს შემოქმედებითი ენერგია სუსტდება ან სუსტია, მაშინ ყოვნდება ან ჩერდება ენის განვითარება (შესაბამისად ერის განვითარება), რადგან წარმოადგენს დაცემას, ხოლო დაცემას უთუოდ მოსდევს სიკვდილი და გახრწნა. აქედან გამომდინარე, ჯიბრანის შეხედულებით, არაბული ენის მომავალი დამოკიდებულია დღევანდელ შემოქმედებით აზროვნებაზე, ან კიდევ სამომავლო იდეებზე თვით იმ ხალხებში, რომლებიც ყოველდღიურად იყენებენ, როგორც ურთიერთობის საშუალებას. თუ ხალხში არსებული იდეები იცოცხლებენ, მაშინ არაბული ენის მომავალი ასევე იქნება დიადი, როგორც წარსული. სხვა შემთხვევაში მას ემუქრება სხვა იმ ენების მსგავსი ბედი, რომელთაც ჰქვიათ მკვდარი ენები ( 2: 418).

რადგან ჯიბრანი ენის მომავალს განუყრელად აკავშირებს ერის შემოქმედებით ენერგიასთან, მისი გაგებით, ეს არის გამბედაობა, სიმტკიცე, რომელიც უბიძგებს ერს წინ წავიდეს, რადგანაც ერის გულში არის წყურვილი, შიმშილი, ლტოლვა განუცდელისკენ (გამოუკვლევის), ხოლო სულში არის ოცნებების ჯაჭვი, რომელთა ხორცშესასხმელად ის (ერი) ისწრაფვის დღე და ღამე, ერთ რგოლს რომ გადალახავს, ცხოვრება ახალ რგოლს ამატებს. მწერლის აზრით, პიროვნებებში ეს მდგომარეობს ნიჭიერებაში, საზოგადოებაში კი ენთუზიაზმში. ისლამამდელ პერიოდში პოეტი იყო წინასწარმეტყველი (წინამორბედი) იმისა, რომ არაბები იყვნენ რაღაც ახლის მოლოდინში. წარმართობიდან ისლამისკენ მიმავალ გზაზე არაბები და მათი შემოქმედებითი ენერგია იზრდებოდა და მოწიფულობაში შედიოდა. რა მოხდა კლასიკური ეპოქის შემდეგ. ის განიცდიდა გაორებას, რადგანაც ყველა ისლამური საზოგადოება განიცდიდა გათიშულობას და დაშლას. ასე გრძელდებოდა ვიდრე არაბთა შემოქმედებით ენერგიას არ დაეუფლა ძილი. მაგრამ ჯიბრანის აზრით, დადგება დრო ამ ენერგიის გამოღვივებისა. და როცა ეს მოხდება, მაშინ არაბული ენის მომავალი იქნება ისევე დიადი, როგორც წარსული. და თუ ასე არ მოხდა, მაშინ როგორც არაბულ ენას, ისე არაბულ ერს არ ექნება მომავალი (2: 419).

ჯიბრანი სვამს კითხვას: როგორი შეიძლება იყოს ევროპული ცივილიზაციისა და დასავლური სულის გავლენა არაბულ ენაზე. ნარკვევის ეს მონაკვეთი იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორს ძალზე აინტერესებდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების, არაბული სამყაროსა და დასავლეთის ურთიერთდამოკიდებულება, დასავლეთის გავლენები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურის სფეროებში, ამ ურთიერთობის სასარგებლო და უარყოფითი მხარეები. აქ ის ძალზე მოკლედ ეხება ამ საკითხს, ეხება ენის ჭრილში, თორემ სხვა სახის ესეებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში დაწვრილებით განიხილავს ამ საკითხებს და თავის კომპენტენტურ და აშკარად სწორ დასკვნებს აკეთებს.

ჯიბრანი განმარტავს, რომ გავლენა ერთი რაღაც სახეა საკვებისა, რომელსაც ენა ღებულობს გარედან, შემდეგ ლექავს, ყლაპავს და ითვისებს თავის არსებობისთვის ყველა სასარგებლოს. ის ჰგავს ხეს და იქცევა მის მსგავსად. თუ მას აქვს ენა, მაგრამ არ აქვს კბილები და არც კუჭი, მაშინ მიღებული საკვებისგან არ იქნება სარგებელი, უფრო მეტიც, იგი გადაიქცევა მისთვის მომაკვდინებელ საწამლავად.

ჯიბრანისთვის კაცობრიობის ცხოვრება წარმოადგენს მუდმივ სვლას წინისკენ. ამ სვლის დროს წარმოიშობიან ენები, სწავლებები, სახელმწიფო ინსტიტუტები. შემოქმედებით ძალით დაჯილდოებული ერები ამ მსვლელობის თავში დგანან და გავლენას

ახდენენ სხვებზე. მათ მოსდევნენ ერები, რომლებიც ბაძავენ, ბაძვა კი ნიშნავს იმას, რომ განიცდიან წინ მდგომების გავლენას. როცა აღმოსავლეთის ხალხები მიდიოდნენ წინ, დასავლეთი კი ჩამორჩებოდა, აღმოსავლეთის ცივილიზაციას ჰქონდა უდიდესი გავლენა მათ (დასავლეთის) ენებზე. მაგრამ დადგა დრო და დასავლეთი წინ გავარდა, აღმოსავლეთი აღმოჩნდა მდევრის როლში. დასავლური ცივილიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ჩვენს ენებზე, ჩვენს აზროვნებაზე, ჩვენს წეს-ჩვეულებებზე. ჩვენ მხოლოდ ვბაძავთ დასავლეთს, ვცდილობთ მივემგვანოთ დასავლელ ხალხებს. ეს სახიფათოა. დასავლური სული მეგობარიც არის და მტერიც. მეგობარია თუ მას ვძლევთ (მოვერევით, ვაჯობებთ) და მტერი თუ ის ჩვენზე გაიმარჯვებს. მეგობარია თუ ავიღებთ მისგან ჩვენთვის ყველა სასიკეთოს, მაგრამ მტერია თუ ჩავაგდებთ ჩვენს სულებს მათვის მომგაბიან მდგომარებაში (2: 419-420). ჯიბრანს მიაჩნია, ყველგან არაბული ქვეყნების უმაღლეს და საშუალო სკოლებში თუ მიმდინარეობს სწავლება არაბულ ენაზე, ყველა საგანი იკითხება თუ არა ამ ენაზე. ეს ფაქტი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სალიტერატურო არაბულის მომავალს. სამწუხაროდ მწერალი ხედავს, რომ სალიტერატურო არაბული ენა არ წარმოადგენს არაბულ ქვეყნებში სწავლების ძირითად ენას. სწავლების საბაზისო ენად არაბული მაშინ გახდება, როცა სკოლები გადავა საქველმოქმედო საზოგადოებების, კონფესიური კომიტეტების და რელიგიური მისიების ხელიდან სახელმწიფოს ხელში (2: 420). ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს. თორემ ახალგაზრდამ, რომელმაც განათლება მიიღო ამერიკულ სკოლაში, ადვილად გარდიქვევა ამერიკის რწმუნებულ პირად ჩვენს ქვეყანაში. ახალგაზრდამ, რომელმაც განათლება მიიღო და ეზიარა მეცნიერებას იეზუიტების სკოლაში, ხდება საფრანგეთის წარმომადგენელი და ა.შ. ჯიბრანი ასკვნის, რომ ის, ვინც ეუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს ინგლისურ ენაზე, სურთ მეურვედ ამერიკა ან ინგლისი. მას, ვინც განათლება მიიღო ფრანგულ ენაზე, ითხოვს, რომ მის ქვეყანას მართავდეს საფრანგეთი. ის ახალგაზრდები, რომლებიც არ ან ვერ ფლობენ ამ ენებს და დამოკიდებული არიან არაბულზე, უარყოფენ დასავლეთი ქვეყნებს, მისდევნენ იმ პოლიტიკას, რომელიც ახლოს არის მათ წარმოდგენებთან და ინტერესებთან (2: 421).

ამგვარად, ამტკიცებს ჯიბრანი, თუ წავიყვანთ სწავლებას მხოლოდ არაბულ ენაზე როგორც უმაღლეს, ისე საშუალო სკოლებში, ახალგაზრდები მიიღებენ განათლებას არაბულ ენაზე, მაშინ ჩვენი პოლიტიკური სიმპათიები გახდება ერთიანი და ჩამოყალიბდება ჩვენი ეროვნული ინტერესები. არ დაგვავიწყდეს, რომ სკოლებში ყალიბდება ეროვნული სული, პატრიოტიზმი და სამშობლოსთვის თავდადება.

ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის საქმეში დიდ როლს ანიჭებს დიალექტებს. დიალექტებით საზრდოობს სალიტერატურო ენა, მისთვის მთავარი წყარო არის დიალექტები. ერთადერთ სალიტერატურო ენას შეუძლია ამოიღოს უამრავი არაბული დიალექტებიდან მისი საუკეთესო ნაწილი და ამ გზით გააერთიანოს ისინი. ის წერს, რომ დიალექტებში არსებული ხალხური თქმები სახეს იცვლიან, ვითარდებიან, იხვეწებიან, შეერწყმიან სალიტერატურო ენის სხეულს და ხდებიან მისი განუყრელი ნაწილი. ეს ხალხური თქმები და დიალექტები წარმოადგენენ წყაროს ლიტერატურული სიტყვიერებისა და მჭევრმეტყველებისა. სალიტერატურო ენა დიალექტებით იკვებება, იღებს მათგან საუკეთესოს, მდიდრდება, ვითარდება და სრულყოფილებას აღწევს. ამაში კი უდიდესი წვლილი მიუძღვით ხელოვნების მუშაკებს, უპირატესად, პოეტებს, მწერლებს (2: 422).

ჯიბრანი ეძებს გზებს სალიტერატურო არაბულის გამოსაცოცხლებლად. ამის განსახორციელებლად უდიდეს, უფრო მართებული ვიქნებით, გადამწყვეტ როლს ის აკისრებს შემოქმედ ადამიანებს, კერძოდ, პოეტებსა და მწერლებს, ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანებს. მწერალი აცხადებს, რომ საუკეთესო საშუალება არაბული ენის გასაცოცხლებლად არის პოეტის გულში და ბაგეზე, რადგანაც პოეტი არის ხალხის შემოქმედებითი ძალის გამომხატველი. ის არის ენისთვის მამაც და დედაც. ენა მისი მორჩილია, მის კვალზე მოძრაობს, ჩერდება მასთან ერთად, კვდება პოეტი და ენაც გოდებს

მის საფლავზე, ელოდება რა მეორე პოეტს, რომელიც წამოაყენებს, და ხელში ატატებულს წაიყვანს (2: 423).

სალიტერატურო ენაზე მსჯელობისას ჯიბრანი წამოჭრის მიმბაძველის როლის საკითხს. მას მიაჩნია, რომ ჭეშმარიტი პოეტი თუ შემქნელი და შემოქმედია ენისა, მიმბაძველი, საპირისპიროდ პოეტისა, არის ენისთვის სუდარის მქსოველი და მესაფლავე მისი (3: 561).

ჯიბრანი პოეტად მიიჩნევს, მიწათმოქმედს, რომელიც ამუშავებს ყანას მამების მიერ და-ტოვებული სახნისით, ოღონდ რაღაცით გაუმჯობესებულს; მეზადეს, რომელსაც გამოყავს ახალი ლამაზი ყვავილები თავის ორანჟერიეში; მეზღვაურს, რომელიც ორ იალქნიან გემზე აღმართავს მესამეს. ამის შემდეგ მოდიან ახალ-ახალი მიწათმოქმედები, მეზადეები, მეზღვა-ურები და ა.შ., რომლებიც თავიანთი შრომით შექმნილს არქმევენ ახალ სახელებს, უმატებენ რა ახალ იალქანს ენის გემს, ახალ ფანჯრებს ენის სახლებს, ახალ საღებავს ენის სამოსელს. მიმბაძველი იმავე გზაზე დაეხეტება, რომელიც უკვე გაუვლია ათას ერთ ქარავანს, არაფრით არ გადაუხვევს ამ გზას გზის დაბნევის შიშით. წინაპრების მიერ გაკვალულ გზას შეუცვლე-ლად და გულისყურით მიყვება და მიყვება. მიმბაძველი მოკლებულია ახლის შექმნის უნარს, მას შეუძლია უცვლელად გადმოიღოს უკვე არსებული. მიმბაძველი მოკლებულია შემოქმედებით უნარს, რაც ასე აუცილებელია ახლის და უკეთესის შექმნისთვის (2: 424).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჯიბრანი დაასკვნის, რომ ენის სიცოცხლე, მისი საყოველთაო გამოყენება და, საერთოდ რაც მასთან არის დაკავშირებული, იყო, არის და მუდამ იქნება პოეტის ფანტაზიის საწინდარი. ძალაუნებურად ჯიბრანის წინაშე წამოიჭრება კითხვა: არიან კი ჭეშმარიტი პოეტები არაბებში? მას ურყევად სჯერა, რომ მრავლად არიან არაბებში ნამდვილი პოეტები, პოეტები თავიანთ საქმეებში, იქნება ეს მინდორზე, ბაღში, საქსოვ დაზგასთან, ტაძარში, კათედრაზე, ბიბლიოთეკაში და ა. შ. მწერალი მოუწოდებს ნიჭით დაჯილდოებულებს უარი თქვან წინმავლების ნაბიჯების ურყევად მიყოლაზე, რადგან არაბული ენისთვის უკეთესია უბრალო სახლი, ქოხი მათივე ბუნებრივი არსით შექმნილი, ვიდრე მაღალი სასახლე სხვისგან გადმოღებული. თვით პოეტისთვის, ასევე არაბული ენისთვის უკეთესია სიკვდილი, ვიდრე უფულებელყოფაში (უპატივისცემლობაში) დარჩენა. პოეტებისთვის და არაბული ენისთვის უკეთესია მათივე ფანტაზიით შექმნილი უბრალო და მარტივი მოთხრობები, ვიდრე გადმოღებული საყოველთაოდ აღიარებული დასავლეთის წიგნებიდან (2: 425).

#### ლიტერატურა:

1. ქუთელია მურმანი (2009): არაბული რომანტიზმი, თბილისი
2. Джебран Халиль Джебран (1986): избранное, Ленинград
3. Gibran Khalil Gibran (s. d.): Al-Majmuatu al-kamilatu li mualafatihi, Bairut (in Arabic)

**Murman Kutelia**

Ilia State University

G. Tsereteli Institute of Oriental Studies

Murmank@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.53>

## **Gibran Khalil Gibran on Literary Arabic Language**

(Abstract)

The article delves into Gibran Khalil Gibran's perspectives regarding the essence and significance of the Arabic language. It examines the challenges faced in the development of literary Arabic, exploring the impact of European civilization and languages on the language's evolution. The article also addresses challenges in teaching Arabic at high and secondary school levels, investigating the use of the mother tongue in education across Arab countries and its potential implications for the nation's spiritual and cultural development. Additionally, the reciprocal influences between Arabic dialects and literary language are explored.

**Key words:** Gibran Khalil Gibran, Literary Arabic Language

## ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

nino.demetradze@atsu.edu.ge

ekaterine.kurdadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.54>

### სამეტყველო და ტექსტობრივი ჟანრების მიმოხილვა

**საკვანძო სიტყვები:** სამეტყველო ჟანრი, ტექსტობრივი ჟანრი

თანამედროვე ტექსტები, მეტყველების ფორმიდან გამომდინარე იყოფა ზეპირ და წერილობით ტექსტებად. მეტყველების ზეპირი ფორმის ტექსტები პრინციპულად განსხვავდება წერილობითი ფორმისაგან. წერილობითი ტექსტი წინასწარაა ჩაფიქრებული და სწორდება მიმდებარის ჩაურევლად, ხოლო ზეპირ ტექსტში ყველა გასწორება მიიღება მსმენელთან ერთად. ასევე საინტერესოა ის, რომ წერილობითი ტექსტი გათვლილია მხედველობით აღქმად, ამიტომ მასში გამოიყოფა ნაწილები, ფრაგმენტები, სათაურები, ქვესათაურები, აბზაცები, შრიფტობრივი დანაყოფები და სხვ. ზეპირი ტექსტი გათვალისწინებულია სმენით აღქმად და ამიტომ ის ხაზობრივია (ლინეარული), ამ დროს შეუძლებელია „გადასმენა“ (თუ ეს არ არის მაგნიტოფონზე ჩაწერილი); ამავე დროს აღინიშნება ცხადი დამოკიდებულება ტექსტისა მსმენელზე. არამონოლინგვურ მეტყველებაში ასევე აღინიშნება აშკარა ჩარევა საუბარში, რაც ზოგჯერ ვნებს არა მხოლოდ ტექსტის მთლიანობას, არამედ მის სრულყოფას.

ზეპირმეტყველებაში ტექსტს აქვს თავისი რიტორიკული „მიღებები“, განსხვავებული წერილობითი ტექსტის მიღებებისაგან; შესაბამისად, თანამედროვე ჟანრობრიობამ წარმოადგინა საინტერესო კლასიფიკაციები მეტყველებითი და ტექსტობრივი ჟანრებისა; ხოლო, ამ კლასიფიკაციების სათავეში დგას სამეტყველო ჟანრის ბახტინისეული გაგება და მეტყველებითი ჟანრი არის „შედარებით მყარი თემატიკური, კომპოზიციური და სტილისტური ტიპები გამონათქვამებისა, მეტყველებითი მთლიანობის აგების ტიპობრივი მოდელები, რომელთაც მოსაუბრისათვის აქვს ძალიან საჭირო და ნორმალური მნიშვნელობა“. ასევე, ის აღნიშნავს - „სასაუბრო ჟანრი რომ არ არსებობდეს, სასაუბრო მიმართვა იქნებოდა თითქმის შეუძლებელი“.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა გამოკვლევებში სასაუბრო ჟანრს ეძლევა სხვადასხვა ახსნა; პირველ რიგში, ეს გამოწვეულია იმით, რომ ჟანრობრივი მიმდინარეობის მთავარი ტერმინი - სამეტყველო ჟანრი - მკვლევარების მიერ განსაზღვრულია სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ზოგ გამოკვლევაში, ტერმინი „სამეტყველო ჟანრი“ გაშიფრულია ძალიან ფართო მასშტაბით, სხვა მეცნიერთა ნაშრომებში იმავე ტერმინის გაგება გადატანილია მეტყველებით აქტებზე, ხოლო მესამე შემთხვევაში ზემოხსენებული ფრაზა - „სამეტყველო ჟანრი“ ებმის ტექსტის ტიპებს.

ბევრი სწავლულის აზრით, სამეტყველო ჟანრის ძირითად ნიშან-თვისებად მიჩნეულია: ადრესატი, ადრესანტი, დამკვირვებელი, რეფერენტული სიტუაცია, კავშირის ლინეალურობა, ურთიერთმიმართებათა საერთო კონტექსტი, დრო, ადგილი და გარემო, კომუნიკაციური მიზანი, ავტორის სახე, ადრესატის სახე, წარსული, მომავალი, მოვლენათა შინაარსის ტიპი, სამეტყველო ჟანრის ენობრივი გამოთქმა.

ბახტინის იდეამ პირველად და მეორეულ მეტყველებით ჟანრებზე სწავლულებს საშუალება მისცა განეხილათ სამამულო ჟანრობრივი მიმდინარეობის განვითარება ტრადიციულ სემიოტიკურ პარადიგმაში - „სინტაქსი-სემანტიკა-პრაგმატიკა“. შესაბამისად, ლინგვისტურ გამოკვლევებში სამეტყველო მიმდინარეობის სამი მიმართულება გამოიყო.

I მიმართულება (სემანტიკური) - სამეტყველო ჟანრები განისაზღვრება, როგორც „ტიპური სიტუაციების ვერბალური გაფორმება სოციალური ზემოქმედების ელემენტებით“. მეორეული უნარი გაიგება როგორც პირველისაგან ონტოლოგიურად ნაწარმოები, რომელიც განსხვავებულია ფუნქციონირების სფეროთი ან სტილისტური გადაამუშავებით.

ამ მიმართულების ფონზე, ჟანრის თანამედროვე მკვლევარებს საშუალება მიეცათ გამოყოფონ და აღწერონ:

- ინფორმაციული და ფაქტობრივი სამეტყველო ჟანრი;

- ქვეუნარი (ერთაქტიანი გამონათქვამები), ჰიპერჟანრი და ჟანროიდები (ანუ ჰიბრიდები, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს), განცხადებები, განკარგულებები, საუბრები, ანეკდოტები, ფლირტი, სადღეგრძელოები, დამოწმებები).

გამონათქვამების და სამეტყველო ჟანრების არსებით ნიშნულებად, განსხვავებით ენის სისტემების ერთეულებისაგან (სიტყვა და წინადადება), კოჟინას აზრით, მიჩნეულია: მეტყველების სუბიექტის ცვალებადობა, გამძლეობა და დიალოგურობა; უსვამს რა ხაზს სირთულეებს სამეტყველო ჟანრსა და მეტყველებით აქტს შორის, კოჟინა გვთავაზობს შემდეგ სქემას: . სამეტყველო ჟანრი და პირველადი სამეტყველო ჟანრი;

- მეორეული სამეტყველო ჟანრი.

ასე რომ, მდგომარეობა, რომ სამეტყველო ჟანრი ანალოგია სამეტყველო აქტისა, შეიძლება მართებული იყოს მხოლოდ პირველად სამეტყველო ჟანრთან მიმართებაში და არა მეორეულში.

სახელმძღვანელოთა სერიის - „სკოლის რიტორიკა“ ავტორები, ლადჟენსკაიას ხელმძღვანელობით გამოყოფენ ორ ძირითად განყოფილებას: ურთიერთმიმართვას და სამეტყველო ჟანრებს. ურთიერთმიმართვაში შეისწავლიან:

- სამეტყველო ჟანრებს ან სამეტყველო აქტებს: თხოვნა, უარი, დამშვიდობება, მისალმება, მადლიერება;

- რიტორიკულ ჟანრებს: თავაზიანი თხოვნა, თავაზიანი უარი, თხოვნითი კომპლიმენტები, მადლიერებითი კომპლიმენტები, საუბარი, დისკუსია და სხვ.

განყოფილებაში - „სამეტყველო ჟანრები“ შესწავლილი მასალის სახით წარმოდგენილია ტექსტობრივი ჟანრები: I ფუნქციონალურ სტილთან დამოკიდებულებაში საქმიანი ჟანრები - პროტოკოლი, განცხადებები, საქმიანი წერილები და სხვ.; პუბლიცისტიკურში - ქრონიკა, შენიშვნა, ინტერვიუ, პროლეტარული ჩანახატი და სხვ.; მხატვრულში - მოთხრობა, ზღაპარი, იგავ-არაკი და სხვ.; სამეცნიეროში - რეცენზია, ანოტაცია, სასაუბრო პირადი წერილი, ჩანაწერები და დღიური ჩანიშვნები;

II. ფუნქციურ-აზრობრივ მეტყველებით ტიპთან დამოკიდებულებაში - აღწერა, მსჯელობა;

III. პრაგმატიკულ წყაროებთან დამოკიდებულებაში - ადრესატი, ადრესანტი, (კომპლიმენტის ჟანრი, სადღეგრძელოს ჟანრი, დისკუსია);

IV. მიმართვის სფეროსთან დამოკიდებულებაში - ოფიციალურ-პოლიტიკური, სამხედრო, აკადემიური, რელიგიური და სხვ.

აქვე მოცემულია არაჩვეულებრივი ტექსტების განსაზღვრება, კერძოდ: დასურათებული ან ნახატებიანი ტექსტების, ფოტოჩანახატები, წარწერა ფოტოსურათთან; ფოტოსურათი, როგორც ლუსტრაცია, ტექსტთან, პირველადი და მეორეული ტექსტების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება.

ვნახოთ როგორ არის წარმოდგენილი „სკოლის რიტორიკის“ ავტორების მიერ პირველადი და მეორეული ტექსტების კლასიფიკაცია და მათი დახასიათება სქემის მიხედვით.



პირველადი ტექსტები: ავტობიოგრაფია, წერილი, სტატია გაზეთში, მოთხრობა, ჩანაწერები დღიურში, აფიშა.

მეორეული ტექსტები: გამომხმარებელი, ანოტაცია, მოყოლა, თხრობა, ინსცენირება, კონსპექტი, რეცენზია, შემდეგსიტყვაობა.

ასევე საინტერესოა დომშენვის, შიშკინისა და გონჩაროვის მიერ შედგენილ ტექსტთა ტიპების კლასიფიკაცია; თუმცა, ეს კლასიფიკაცია გლიცინის მიერ არის წარმოდგენილი, როგორც გამგზავნის და მიმღების როლებს შორის დამოკიდებულებაში გვთავაზობს ტექსტების დაყოფას შემდეგ სახეობებად: . აუცილებელი ტექსტები დაკავშირებული მიმოწერასთან (თანხმობა, მოლაპარაკება, კანონი, ბრძანება);

. სახელმძღვანელო ტექსტები, სადაც მეტყველების მიმღები ეცნობა ტექსტის შინაარსს და მოჰყავს ის მოქმედებაში (თხოვნა, სასამართლოში დაცვა, რეკლამა, განცხადება, ანოტაცია, სახელმძღვანელოები, ინსტრუქცია);

. ტექსტები, რომლებშიც შედის ინფორმაცია „შემკრებლობითი“ (დაგროვითი) ხასიათის და გათვლილია ხანგრძლივ გამოყენებაზე (სატელეფონო ცნობარი, რეესტრი, ჩანაწერების წიგნი, დღიური, პროექტები);

. ტექსტები, რომლებიც შეიცავს არაოფიციალური ხასიათის ცნობებს (ჩანაწერი, წერილი, საფოსტო ბარათი, შეტყობინება); გნიფკე-სუპრივიც ასევე გამოყოფს შემდეგი სახის ტექსტებს:

. სააგიტაციო, წინასაარჩევნო აგიტაციები, სარეკლამო ტექსტები, პოლიტიკური გამონათქვამები, პამფლეტი, კომენტარი;

. თხრობით-ახსნითი ან საგნობრივ-განპირობებული; სამეცნიერო ტექსტები, ფილოსოფიური, შეტყობინება.

მხატვრული ტექსტის სხვა სპეციფიკური განსაზღვრა, როგორც ესთეტიკური კომუნიკაციის ერთეულისა, არის მისი აბსოლუტური ანთროპოცენტრულობა, ე. ი. სამყაროს შეცნობა და სხვა მხატვრულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც, პირველ რიგში, მიმართულია ადამიანისაკენ, მისი შეცნობისაკენ, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი მოვლენა გამოხატვის საშუალებებია, ყველაზე ფასეული წარმოდგენები ადამიანზე - მწერალი, როგორც მხატვრულ-შემეცნებითი მოღვაწეობის სუბიექტი, და მკითხველი, როგორც დამახასიათებელი რგოლი სულიერ-პრაქტიკული მოღვაწეობის ყოფიერების ესთეტიკურ აღქმაში. ასეთი სახით - ავტორი-პერსონაჟი-მკითხველი - არის ლიტერატურული ნაწარმოების ანთროპოცენტრისტული სტრუქტურის აზრობრივი ცენტრი.

### ლიტერატურა

1. ლებანიძე გ. „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“, ენა და კულტურა, თბილისი, 2004.
2. Арутинова И. Введение, логический анализ языка. М., 1999.
3. Позрина Л. Поэтика грамматических категорий. М., 2004.

მედეა ლლონტი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თბილისი, საქართველო

dodo\_mariami@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.55>

**მშობლიური ქართული ენის საუკუნოვანი ფუნქციონირების  
საღვთისმეტყველო საფუძვლები  
(ცოდნისა და რწმენის გაერთიანებისათვის)**

**საკვანძო სიტყვები:** კაცობრივი სიტყვა, სიტყვა ქართული, საღვთისმეტყველო საფუძვლები

„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა,  
მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“

**წმიდა ილია მართალი**

➤ **კაცობრივი სიტყვა – ღვთის ქმნილებაა**

კეთილგონიერი ადამიანი გაცხოველებული ინტერესით ეკიდება **კაცობრივი სიტყვის**, მით უფრო – **მშობლიური სიტყვის** წარმომავლობას, მის თავდაპირველ მნიშვნელობას, რაც საკუთარი წარმოშობის (resp. „თავი თვისი“) ძიების ბუნებრივი გამოვლინებაა. კაცობრივი სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური განვითარების სკალაზე, როგორც წესი, საგულისხმოდ აისახება სიტყვათშემოქმედი ერის ისტორიული, რელიგიური, სოციალური, საზოგადოებრივ-ყოფითი და სხვ. მისთ. ასპექტები. ისიც საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართველი ერის ისტორია კაცობრიობის ქრისტიანიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რამეთუ ქართული სიტყვით ღირსეულად აღიბეჭდება საქართველოში შემობრძანებული ათასეკვსასწლოვანი ქრისტიანული მოძღვრება და შესატყვისად წარმოჩნდება როგორც ჩვენი ეთნოსის ძველთაძველი წარმართული და ქრისტიანული საფეხურები, ისე ქართველთა ნიშანდობლივი ეროვნული ფსიქოლოგია და ტრადიციები, შდრ.: „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა – ცალკე, და კაცობრიობისა – საზოგადოდ“ (ჭავჭავაძე ილ. 2007: 154).

ყოველივე ამას, ერთი მხრივ, გვკარნახობს და თავად შემოგვლადადებს უძველესი ქართული სიტყვათშემოქმედება – საკუთრივ **ქართული სიტყვის სემანტიკური** ცვლა-განვითარების სარწმუნო ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური მონაცემებითურთ, ხოლო მეორე მხრივ, სანუგეშოდ გვიდასტურებს ეკლესიის წმიდა მამათაგან ბოძებული დოგმატური მოძღვრება **სიტყვა-ლოგოსის** (ბერძნ. λογος „მე ღმრთისა იესო ქრისტე“) და **ადამიანის პირველხატის** ურთირთიმართების შესახებ.

პირველუწყებას ადამიანის პირველხატის საღმრთო ბუნებაზე გვაწვდის წმიდა წერილი, სადაც აღბეჭდილია ერთარსი სამება ღმერთის უზენაესი ნება – ხილული სამყაროს ქმნილებათაგან მხოლოდ ადამიანს მიენიჭოს ღვთის ხატება და მსგავსება (შესაქმე 1, 26-27). ეს კი ნიშნავს, რომ **ადამიანი – ერთარსი სამება ღმერთის ხატია**.

ამ დოგმატთან დაკავშირებით, უაღრესად საგულისხმოა წმიდა მამათა რწმუნება იმის თაობაზე, რომ ადამიანი **ჰიპოსტასურად** არის – **ძე ღმერთის ხატი**. წმიდა ანტონი დიდი ამ უმნიშვნელოვანეს დოგმას კეთილად განგვიმარტავს: მხოლოდშობილი ძე ღმერთი ჭემმარიტი ხატია მამა ღმერთისა, რომელმაც ყველა მეტყველი ქმნილება (ძვ.ქართ. **კაცი** „ადამიანი“) თავისი ხატის (ძის) ხატად შექმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ადამიანი** არის – **მამა ღმერთის ხატის ხატი** (იხ.: ორჟონია ირ. 2018: 81-84), ანუ: **ადამიანი**, ვითარცა ძე ღმერთის ხატი, **არის ხატი სიტყვა-ლოგოსისა – იესო ქრისტესი!** (იხ.: კუზნეცოვი, 42-43; შდრ.: დამასკელი ი. 2000: 360-363; 407-409; ორჟონია ირ. 2017: 36-39; 81-84).

➤ **რა მოგვანიჭა უფალმა ღმერთმა „ხატებითა თვისითა და მსგავსებითა“?**

ეკლესიის წმიდა მამათა განმარტებით, ადამიანი (ძვ.ქართ. **კაცი**) – ხილულ ქმნილებათა გვირგვინი, ცოდნასა და გამოცდილებას იძენს ღვთის მიერ მონიჭებული მადლისმიერი **მოაზროვნებით, სიტყვიერებით** (მეტყველებით) და **თავისუფალი ნებით** (არჩევანის უფლებით), რისი მეშვეობითაც ახორციელებს თავის შემოქმედებით მოღვაწეობას და ქმნის მეცნიერებისა თუ ხელოვნების მრავალგვარ ნიმუშს. ყველა სხვა ქმნილებისაგან იგი სწორედ **შემოქმედებითობითა და სიტყვიერებით** განსხვავდება. „სიტყვიერებაში“ ამჯერად იგულისხმება მეტყველების სამი სახესხვაობა: **ხმოვანი, წერილობითი და ფიქრად ჩენილი**, ანუ „ზრახვითი“ (ორბელიანი ს.-ს. 1991. 1993: შდრ.: დამასკელი ი. 2000: 341). ამასთანავე, მეტყველების სამივე სახეობა მიემადლა ადამიანს, რითაც, წმიდა მამათა რწმუნებით, ადამიანის **„ანგელოზზე აღმატებულობა“** აღიბეჭდება, ვინაიდან პირველი ორი – ხმოვანი და წერილობითი, უცხოა უსხეულო ზეციური ძალებისთვის, მეტყველების მესამე სახეობა („ზრახვითი“) კი ის ოდენ სულიერი, „გონების უხილავი“ მეტყველებაა, რომელიც უხორცო ანგელოზთა მიერ **გონებით იშვება** და, ამდენად, არც ხმოვანია და არც იწერება (ორჟონია ირ. 2017: 37-38).

ამავე ღვთივმომადლებულ უპირატესობას ნიშანდობლივ გვიმოწმებს ქრისტეს აღდგომიდან 50-ე დღეს, **სულთმოფენობის** ჟამს გარდამოსული სულიწმიდის საიდუმლო.<sup>1</sup>

წმიდა იოანე ოქროპირის განმარტებით (სამოციქულოს განმარტება 2000: 38-45; რჯული ქრისტესი 2014: 24-31; 228-234), უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების შემდგომ, სულთმოფენობის სასწაულით ნიშანდობლივ გაცხადდა ყოვლადწმიდა სამების მესამე პირის (ჰიპოსტატის) – სულიწმიდის უზენაესი უფლებამოსილება, კერძოდ, ის, რომ „ერთი და იგივეა ძველი და ახალი რჯულის მომცემელი... და ერთი და იგივე სულიწმიდაა რჯულმდებელი ძველშიც და ახალშიც“ (რჯული ქრისტესი 2014: 25; 228).

აქვე, წმიდა მამა ჩვენს ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ სულიწმიდის მოფენა **ხილულად** განხორციელდა: ერთი მხრივ – ზეციდან მოვარდნილი **ძლიერი ქარის** სახით, იმის ნიშნად, რომ საღმრთო საქმეა სულიწმიდის მოვლინება ზეცად ამაღლებული იესო ქრისტეს შუამდგომლობით (რჯული ქრისტესი 2014: 26; შდრ.: იოანე 14, 26; 15, 26; 16, 7. 13), და, მეორე მხრივ – სულიწმიდის ჭემმარიტად ღვთაებრივი მიუწვდომლობა ყველა იქ მყოფს **ცეცხლის ალივით** გაყოფილ ენებადაც მოევლინა, რათა მათ ზეციდან უხილავად გარდამოსული სულიწმიდის აღმავსებელი მადლიც<sup>2</sup> ხილულად ერწმუნათ და შეეტკბოთ.

<sup>1</sup> „და იყო მეყსეულად ზეცით ოხრად, ვითარცა მოწვევნად ქარისა მაიმულებელისად, და აღავსო ყოველი <sup>1</sup>იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე. და ეჩუენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაჯდა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა. და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქმე მოციქულთა 2, 2-4).

<sup>2</sup> წმიდა იოანე ოქროპირი საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ აქ განიყოფება არა სულიწმიდა, რომელიც სამებისგან განუყოფელია, არამედ სულიწმიდის მადლი, რომელიც სხვადასხვა ნიჭთა სახით უხვად ეფინება ყველას – „შემღებისა და დატევნისაებრ“ (რჯული ქრისტესი 2014: 27).

დაბოლოს, უაღრესად საგულისხმოა ის, რომ მოციქულნი **სხვადასხვა უცხო ენაზე მცისიერად ამეტყველდნენ**, ანუ მიენიჭათ ის „ორღანო“, რომლის მეშვეობით მათ უნდა შეემეცნათ ყოვლადწმიდა სამების სამივე პირის (ჰიპოსტასთა) ერთარსობა და განუყოფლობა, ხოლო „ცეცხლის ენებით“, ანუ ენათა განყოფით – გაეცნობიერებინათ, რომ **„დიდი გონებიდან, რომელიც არის მამა, იშვება ძე, რომელიც არის ღვთის სიტყვა, და გამოდის სული, რომელიც მამისაგან გამოდის და იგი ძის მიერ მიეცემა ადამიანებს, როგორც ეს ახლა ცეცხლის ენების სახით მიეცა მოციქულებს“** (სამოციქულოს განმარტება 2000: 40-42; შდრ.: ესაია 50, 4).

არანაკლებ საგულისხმოა ყველა მოციქულზე საკუთრივ სულიწმიდის **„დაფენის, მოფენის“** წმიდა იოანე ოქროპირისეული საღვთისმეტყველო განმარტება: თუკი თავდაპირველად მოციქულებმა ქრისტესმიერი კურთხევა მხოლოდ ებრაელთა საქადაგებლად მიიღეს, ამჯერად, ისინი „ყოველთა წარმართთა“ საქადაგებლად განემზადნენ – ზეცად ამაღლებული ქრისტესმიერი შუამდგომლობითა და „ნუგეშინისმცემელი“ სულიწმიდის მადლის მოფენით.

ასე რომ, ყველა მოციქულზე („თითოელად კაცად-კაცადსა ზედა“) ცეცხლის ალის დაფენა და მათი ყველა ენაზე ამეტყველება იმის სარწმუნო ნიშნად უნდა მივიღოთ, რომ ღვთის სიტყვის ახალ მქადაგებელთა გონებაში სულიწმიდისეული მადლის სასწაულებრივი ძალა საგანგებოდ, ზეგარდმო განგებულებით დამკვიდრდა, რათა სწორედ ქრისტესმიერი მაცხოვრებელი სიტყვა მოჰფენოდა ქვეყნიერებას (რჯული ქრისტესი 2014: 28-31; 230-233; *Лопухин А. П.* 1904-1907: 12-17).

ამ ღვთაებრივ მიზანდასახულობას სარწმუნოდ ათვალსაჩინოებენ ეკლესიის წმიდა მამანი, კერძოდ:

1) წმიდა იოანე მახარებელი გვამცნობს ძე ღმერთი იესო ქრისტეს ხორციელად შობის უდიდეს საიდუმლოს, იმას, რომ სიტყვა ღმრთისა – **სიტყვა-ლოგოსი**, დამკვიდრებულია მხოლოდ ჩვენ – **მოაზროვნეთა და მეტყველთა** შორის: „**სიტყუად იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩვენ შორის**“ (იოანე 1,14).

2) თავის მხრივ, ამ მიზანდასახულობას განგვიმარტავს წმიდა იოანე ოქროპირი: ზეციდან გარდამოსულმა ძე ღმრთისამ შეიმოსა „ხატი მონისაჲ“, „იქმნა ძე კაცისა“ და უშრომელად მოგვართვა მადლმოსილი საღმრთო სიტყვა – ის საღმრთო სწავლება, რომელიც ჩვენ, ცოდვით დაბზარულებმა, უნდა შევიტკბოთ და ღვთისგანვე ბოძებული „ორღანოთი“ – **სიტყვიერებითა და შემოქმედებითობით** – შევიმეცნოთ ჩვენი ზეციერი პატრონი; ხოლო ღვთივბოძებული **თავისუფალი ნებითა და კეთილი არჩევანით** – აღვასრულოთ სათნოებითი მოქალაქობის წესი, რათა ამის მეოხებით კვლავ მოგვემადლოს **სიტყვა-ლოგოსის** პირველქმნილი „ხატება“ და „მსგავსება“, და ამგვარად ვიქმნათ „შვილ ღმრთისა“ (ოქროპირი ი. 1993: 78-80).

3) წმიდა მაქსიმე აღმსარებელი **ღვთის სიტყვისა და კაცობრივი სიტყვის ერთობლივი ძალისხმევით** გამოღებულ კეთილ ნაყოფზე გვიმახვილებს ყურადღებას: „სიტყვა (ღვთაებრივი და კაცობრივი) მშობელია იმ ცოდნისა და გამოცდილებისა, რომელიც ცოდვით დაცემულს გზას უკვალავს სათნოებათა სავანისაკენ; ხოლო სათნოება, თავის მხრივ, ღირსებას შეუზავებს ჩვენს თავმდაბლობას – ღვთის ხატისა და მსგავსების აღსამაღლებლად“ (*Кузнецов Макс.* 2017: 42-43; შდრ.: დამასკელი ი. 2000: 360-363; 407-409).

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოდ აღინიშნება: „შეუძლებელია, რომ ადამიანებმა ღვთის სიტყვა რაიმე სხვა სახით მიიღონ, თუ არა ადამიანური სიტყვის მიერ. ამგვარად, მავანმა უნდა დაასკვნას, რომ ადამიანური სიტყვის განგდება შეუძლებელია, ვინაიდან ის ღვთის სიტყვის სამსახურშია ჩაყენებული“ (იხ.: ფლოროვსკი გ. 2018: 195).

- **სიტყვა ქართული – ცოდნისა და რწმენის გაერთიანების საუკუნოვანი წესის „ანაბეჭდი“**

კაცობრივი სიტყვის ამგვარი მიმართულებით კვლევის შედეგებს ბევრად უფრო სარწმუნოდ ხდის სათანადოდ მომარჯვებული ცოდნისა და რწმენის მრჩობლად გაერთიანების წესი, რომლის მრავლისმეტყველი შეგონებითი ფორმულირება ჩაწერილია კლიმენტი ალექსანდრიელის (II-III სს.) ნაშრომში „სტრომატები“: „**არც ცოდნა – გარეშე რწმენისა, არც რწმენა – გარეშე ცოდნისა**“ (ქელიძე ედ.1994; ორჟონია ირ. 2018; ეკალაძე ზ. 2018).

გასათვალისწინებელია ამ შეგონების შემადგენელთა ორმხრივი ფუნქციური ურთიერთმიმართება: „**ცოდნით**“ წმიდა მამის მიერ წარმოჩენილია კეთილგონივრულად მომარჯვებული ის **ამქვეყნიური ცოდნა**, რომელიც ადამიანს მართებულ სარწმუნოებრივ შემეცნებასაც ჯეროვნად განუვითარებს და მას საფეხურებრივი სულიერი ზეადმავლობისთვისაც განამზადებს; ხოლო „**რწმენით**“ გადმოიცემა მოაზროვნეობისა და სიტყვიერების ის ძალისხმევა და უნარი, რომელიც **სიტყვა-ლოგოსის** (ძე ღმერთის) **ხატისებრობით** ებოძა – მხოლოდ ადამიანს.

ამ თვალსაზრისით, სამართლიანადაა შენიშნული, რომ ცოდნისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის დაშორიშორება-გახლეჩა საგრძნობლად აფერხებს ღვთივბოდებული შემოქმედებითი ნიჭის გამრავლებასა და განვითარებას. ამ ორი საგანმანათლებლო-მსოფლმხედველობრივი მიმართულების – **ცოდნისა და რწმენის გასაერთიანებლად**, საკმარისი იქნება, მეცნიერებამ გაიფართოოს საკუთარი სფერო და, ამასთან, გულისხმიერებით მოეკიდოს არა მარტო უხილავისა და ხილულის, ღვთიურისა და ადამიანურის, სულისა და ხორცის არსებობას, არამედ – მათს ეჭვიმუტანელ თავდაპირველ დაურღვევლობას (*IIIყოე ჰდ. 1914: 15*).

ჩვენი წინაპრები გონივრულად განსჯიდნენ ქვეყნის კეთილდღეობის განმაპირობებელ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კერძოდ, იმას, რომ ჭეშმარიტი რწმენისა და დიდი განათლების გარეშე ერი ვერ გაუძლებდა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ ქართველებს. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ საიმისოდ, რომ ქართველი კაცი **არც ჭეშმარიტ რწმენას** მოსწყვეტოდა და **არც განათლების გარეშე** დარჩენილიყო.

სწორედ ჩვენს წინაპართა ამ ბრძნულმა არჩევანმა განაპირობა „ოქროს ხანად“ აღიარებული ეპოქის დადგომა საქართველოში. **წმიდა დავით აღმაშენებლისა და წმიდა თამარ მეფის** საქართველო სხვისი ხელით არ შექმნილა. ეს საკვირველი ქვეყანა, ღვთის შეწევნით, ისევ ქართველებმა ააშენეს და, ამკვიდრებდნენ რა ბრწყინვალე სახელმწიფოს, ბრძნულად ჭკრეტდნენ, რომ ღვთივსათნო ქვეყნის სახელმწიფოს შექმნასა და შენარჩუნებას უცილობლივ **ერთობლივ** სჭირდება – **რწმენაც და ცოდნაც**.

დასტურად ამისა, გავიხსენოთ ის ისტორიული ფაქტი, რომ IX-X საუკუნეებში ქართველი ერის წინაშე სახელმწიფოებრივ დონეზე იყო შემუშავებული და დამკვიდრებული მშობლიური ენის მაღალი, საგანგებო ფუნქციონირება, რაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ საგულისხმიეროდ აღიბეჭდება გიორგი მერჩულესეული შეგონებითი ფორმულირებით:

„**ქართლად** ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა **ქართულითა ენითა ჟამი** შეიწირვის და **ლოცვად** ყოველი აღესრულების“ (მერჩულე გ. 2011: 374).

ამ ძველქართული ფორმულირების საკვირველ გამოძახილად არის აღიარებული **წმიდა ილია მართლის** (ჭავჭავაძის) მიერ უკვე XIX საუკუნეში წარმოთქმული „სამსიტყვა-კარედი“:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: **მამული, ენა და სარწმუნოება**. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ჭავჭავაძე ილ. 1953: 26-27).

ყურადღებას იქცევს ორივე დიდებული ფორმულირების არსობრივად მსგავსი იერარქიული სინტაქსური წყობა, შდრ.:

მერჩულესეული	ილია მართლისეული
ქართლად ფრიადი ქუეყანა...	მამული
ქართულითა ენითა...	ენა
ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი ადესრეულების	სარწმუნოება

განიმარტება, რომ ამგვარად აგებული საუკუნეობრივი ფორმულირებიდან გამომდინარე, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და ქართველი ერის მტკიცე ერთიანობის საწინდარია ყოველთა ქართველთა როგორც ქართულენოვრივი, ისე – მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოებრივი ერთობა (იხ.: პატარიძე ლ. 2005: 135-137).

თუმცა, არანაკლებ საყურადღებოა ამ ფორმულირებათა მეშვეობით წარმოჩენილი ქართული სახელმწიფო ენის კიდევ ერთი წარმმართველი ფუნქცია – ჩვენი ქვეყნის, ერისა და სახელმწიფოს მომავალი განვითარების საქმეში, რაც გიორგი მერჩულესეული ამავე ფორმულირების დასკვნითი ნაწილით აისახება:

„ხოლო კვრიელჴსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგვწყალებ“ (მერჩულე გ. 2011: 374).

როგორც ვხედავთ, აქ საგანგებოდ ესმება ხაზი ქრისტიანული საქართველოს იმჟამინდელ ნაყოფიერ კავშირსა და ურთიერთობას ევროპის მართლმადიდებელ ეკლესიებთან (ბიზანტიის, იერუსალიმის, შავი მთის, ათონისა...), რაც, მეორე მხრივ, ერისა და ბერის ერთობით შეძენილ იმ წარმატებულ ისტორიულ გამოცდილებას ცხადყოფს, რომლის მეოხებითაც საქართველოს ეკლესია – იმდროინდელ სამეფო სახელმწიფოსთან ერთად, ღვთივმოსაწონად წარმართავდა მშობლიური ენის პატრონობასა და ფუნქციონირებას.

ასე რომ, დღემდე ღვთის ნებით შთენილი ორივე შეგონებითი ანდერძნამაგით ჩვენი დიდებული წინაპარნი მამულის კეთილდღეობისათვის გარჯისა და ღვაწლის მასაზრდოებლად გვისახელებენ როგორც მშობლიურ ენას, ანუ კაცობრივ სიტყვა ქართულს, ისე სარწმუნოებას, ანუ – ძე და სიტყვა ღვთისას, სიტყვა-ლოგოსს, რითაც ჩვენს გულსა და გონებას სასოებით მიაპყრობენ სიტყვა ქართულის იმ უზენაესი დანიშნულებისაკენ, რომელიც ძე ღვთისა იესო ქრისტემ ისევ ჩვენ – ცოდვილთა ხსნად და გადასარჩენად გვიბოძა.

ესოდენ აღმატებული ზეციური წყალობა ჩვენთვის დაკისრებულ ამ ვალდებულებას იმის გამოც ზრდის, რომ ჩვენ, – ღვთის მიერვე ჩვენთვის მონდობილი ძველთაძველი ტკბილი ენა ქართულის „მოსარჩლეთ“, – ხელთ გვიპყრია მადლმოსილ წინაპართაგან დანატოვარი მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ქართული საეკლესიო ლიტერატურა და მწერლობა. ამ მოსაზრების გამოთქმას გვაბედვინებს წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელისეული მანუგემებელი თარგმანება ადამიანის გონებაში აღბეჭდილი ხატისებრობისა, კერძოდ: ადამიანს სიტყვა-ლოგოსით მოსილი კაცობრივი სიტყვით „ძალუმს, გულწრფელი ძიებისა და ცოდნისძიერი, მართებული მსჯელობის გზით, ყოველივე ქვეყნიურს განეკრძალოს და, ზეამაღლებულმა, საუფლო გამოცხადებით შეიმეცნოს საკუთარი გონების პირველხატი (ე. ი. ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასი), ხოლო მის მიერ – ერთარსი-სამპიროვანი სამება ღმერთი“ (შდრ.: დამასკელი ი. 2000: 360; 407-409; ორჟონია ირ. 2017: 363; 36-39; 81-84).

ღვთის წყალობით, დღეისათვის საქართველოში, გარდა საეკლესიო ლიტერატურისა, უკვე მეცნიერების რამდენიმე დარგში აღიბეჭდება ცოდნისა და რწმენის გაერთიანების აუცილებლობა (ჭანტურია მაქს. 2019; გიორგაძე ვ. 2020). რამდენადაც ამ საუკუნოვანი

წესიდან ბუნებრივად ამოიზრდება საკუთრივ **კაცობრივი სიტყვის** ზემოხსენებული მრავალსაუკუნოვანი ლექსიკურ-სემანტიკური ცვლა-განვითარებით მიღებული არაერთი სარწმუნო ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური მონაცემი, – ეს ფუნდამენტური საკითხი, არსობრივად, **ქართული ენის „სულის“ სფეროს** განეკუთვნება.

ამ მიზეზით, გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია, რომ **ენის (resp. სიტყვის)**, კერძოდ – **ქართული სიტყვის** მკვლევარმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, გულდასმითა და კეთილგონიერებით უნდა მოიძიოს, განიხილოს და გაითვალისწინოს მისი **სადვთისმეტყველო საფუძვლები** (იხ.: ლლონტი მ. 2009; 2014; 2017; 2020).

### **ბიბლიოგრაფია:**

აბულაძე ილ. (1973): ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). „გამომცემლობა მეცნიერება“, თბილისი.

ღამასკელი ი. (2000): მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაცემად მოამზადეს: რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ; წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ; ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. თბილისი.

გიორგაძე კ. (2020): რელიგიისა და მენტალური ჯანმრთელობის ურთიერთმიმართების საკითხები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლში, საკვალიფიკაციო ნაშრომი, წარდგენილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე (2020 წლის 20 თებერვალი).

ეკალაძე ზ. (2018): მეცნიერება და რელიგია // რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, # 19, 44-53.

იმნაიშვილი ივ. (1986): ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, აკაკი შანიძის რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

მერჩულე გ. (2011): ცხორებად წმიდისა გრიგოლ ხანცთელისაჲ, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და თარგმანები ახალ ქართულად, მეორე გამოცემა, 309-431.

ორბელიანი ს.-ს. (1991; 1993): ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. „მერანი“. თბილისი.

ორჟონია ირ. (2017): ქრისტიანული ანთროპოლოგია // სამეცნიერო-სადვთისმეტყველო ჟურნალი „რელიგია“, #1, 23-42.

ორჟონია ირ. (2018): რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების შესახებ // რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, # 19, 72-92.

ოქროპირი ი. (1993): წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, ნაწილი I, რედაქტორი: მზექალა შანიძე, ზურაბ სარჯველაძე

პატარიძე ლ. (2005): დისკუსია თემაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი.

რჯული ქრისტესი (2014): დღესასწაული: სულთმოფენობა, მარტვილია. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი: დეკანოზი კახაბერ ურუშაძე, ავტორი და კოორდინატორი: თეა ინწკირველი. გამომცემლობა „ალილო“. თბილისი.

სამოციქულოს განმარტება (2000): გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

სარჯველაძე ზ. (2001): ძველი ქართული ენის სიტყვის კონა. „სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გამომცემლობა“. თბილისი.

სიმფონია-ლექსიკონი (2009): ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს, შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. თბილისი.

ფლოროვსკი გ. (2018): საღვთისმეტყველო სტატიათა კრებული, ტექსტი ინგლისურიდან თარგმნეს და სქოლიოები დაურთეს გიორგი გველესიანმა და გურამ ლურსმანაშვილმა. თბილისი.

ღლონტი მ. (2009): სულხან-საბა ორბელიანის იგავთმეტყველება, „სიბრძნე სიცრუისას“ იდეურ-კომპოზიციური სისტემა. გამომცემლობა „დედაენა“. თბილისი.

ღლონტი მ. (2014): ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (ქართ.: ზოგი და საზოგადოება; მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი; თანანადები და თანამდები) // „ეტიმოლოგიური ძიებანი XI“, 100-118.

ღლონტი მ. (2017): რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი) // „ენა და კულტურა“, II, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU), 155-166.

ღლონტი მ. (2020): ძველი ქართული სახელდებისათვის „შესაქმე“. // თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო კრებული (2019 წლის მაისი), III, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, 172-190.

რუბინაშვილი დ. (1984): ქართულ-რუსული ლექსიკონი. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

რუბინაშვილი ნ. (1961): ქართული ლექსიკონი. აღ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. „გამომცემლობა საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

ჭავჭავაძე ილ. (1953): ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის-მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი III, თბილისი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი.

ჭავჭავაძე ილ. (2007): აი ისტორია, წერილი მეორე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XI, „ილიას ფონდი“. თბილისი,

ჭანტურია რ. (2018): ისტორიის ღვთისმეტყველება, // თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საკონფერენციო მოხსენებათა კრებული (2018 წლის მარტი), II: თბილისი, 120-123.

ჭელიძე ედ. (1994): ედიშერ ჭელიძე, კლიმენტი ალექსანდრიელი // ჟურნალი „გზა სამეფო“, 2, 3-8; [http://edisherchelidze.blogspot.com/2018/12/blog-post\\_34.html](http://edisherchelidze.blogspot.com/2018/12/blog-post_34.html)

Кузнецов Макс. (2017): Природа человека в богословии преподобного Максима Исповедника, // Московский Патриархат Русская Православная Церковь Пензенская Митрополия Пензенская духовная семинария Научно-богословский журнал, Выпуск 3 (1) 2017, Пенза, 39-44.

Лопухин А. П. (1904-1907): Толковая Библия, А. П. Лопухина, I, Бытие – Притчи Соломона, Петербург, 1904-1907.

Шюре Эд. (1914): Великие Посвященные, Калуга.



**Theological foundations of the age-old functioning of the native Georgian language  
(for the unification of knowledge and faith)**

Abstract

The article presents the main theological factors of the initial word creation and semantic change-development of human speech (resp. language), namely the dogmas given by the holy fathers of the Church:

- s) word-logos (Greek. logos “word; concept; thought; mind; first image of man (“man”));
- b) The greatest mystery of the birth of the Son of God Jesus Christ in the flesh;
- c) The mystery of the transmigration of the Holy Spirit at the time of Pentecost;
- d) The good fruit obtained by the joint efforts of the word of God and the word of man: thinking, verballity, speech (voice, written and “thinking”, creativity and free will. Therefore, the issue of the need to unite two educational-wordview directions – knowledge and faith, as the basis of the state strenght of Georgia and the strong unity of the Georgian nation, is specially discussed, which is confirmed by the admonitional formulation of Giorgi Merchules developed at the state level (IX-X centuries) and its echo by Illia Chavchavadze (XIX century).

**Key words:** Masculine word, Georgian word, Theological foundation

## თამარ შაიშმელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
tamartamriko830@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.56>

## ალაზნის შვილი ილია ჭავჭავაძე

**საკვანძო სიტყვები:** ილია ჭავჭავაძე, მდინარე ალაზანი, ყვარელი

ხშირად ადამიანებს მდინარეებიც სდევს ბედად. მით უფრო მწერალს, ვისთვისაც შესაძლოა მდინარე მისი ცხოვრების მეტაფორულ სახე-სიმბოლოდაც კი იქცეს. ილია ჭავჭავაძის დაბადება და ყრმობა ბავშვობიდან ყვარელს და მდინარე ალაზანს დაუკავშირდა. აქედან დაიწყო დიდი და ღვაწლმოსილი გზა წიწამურამდე – იმ გოლგოთამდე, რომელიც საქართველოს გოლგოთად გადაიქცა, ყვარელმა კი ქართველი ხალხის მეხსიერებაში ბეთლემის სახელი დაიმკვიდრა.

ილიას სახელმა და მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა ყვარელს და ალაზანს საკრალური მნიშვნელობა შესძინა. ალაზანი სიმბოლურად იორდანეა, სადაც ყრმა ილიამ „ნათელ ილო“ და ეს სინათლე დაიმგზავრა. ის ილიას ცხოვრების წმინდა მირონი და გზის დამლოცავია.

შემთხვევითი როდია, რომ ვაჟა-ფშაველამ დიდებულ გამოსათხოვარში ილია ჭავჭავაძეს სწორედ ალაზნის შვილი უწოდა. მშობლიური კახეთი და ალაზანი ასაზრდოებდა მის გონებას. არტურ ლაისტი ილიას მშობლიურ ყვარელს და მის შემოგარენს „სინათლით გაშუქებულ“ ქვეყნად მოიხსენიებს, რომლისკენაც ძალაუნებურად მიუბრუნდებოდა ადამიანს გული და თვალი. „...რომელიც შორს თითქოს უცნობ მხარეს რასმე გადაუშლის ადამიანს თვალი, ისწრაფოდა ყრმობის დროს ილ. ჭავჭავაძის თვალი, ხოლო შემდეგში მისი ფიქრები განუწყვეტლივ ეძიებდნენ სინათლეს გონებრივს ქვეყანაში და თავის სამშობლოს მომავალში“ (ლაისტი, 1963:246).

ყრმობის მდინარე ალაზანი – სინათლის მდინარეა... ყრმობიდან და ჭაბუკობიდან დაჰყვა ილიას ის სინათლე, სამშობლოს მომავლისთვის რომ ნატრობდა მთელი ცხოვრება. არ დარჩენილა სფერო, რომლისთვისაც ილიას თავისი კვალი და ტვიფარი არ დაემჩნია. ცხოვრებით და მოღვაწეობით იყო ერის სულიერი მამაც, საქართველოს უგვირგვინო მეფეც, მოსე წინასწარმეტყველიც და ფესვმაგარი მუხაც... ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი რეფორმატორიც.

ამიტომ თუ თქვა მწუხარებით ტიციან ტაბიძემ: „ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული“ (ტაბიძე, 1922:10). როგორ ეხმიანება ეს სიტყვები არტურ ლაისტის ზემოხსენებულ სიტყვებს – მისი ფიქრები განუწყვეტლივ ეძიებდნენ სინათლეს გონებრივს ქვეყანაში და თავის სამშობლოს მომავალში... აქ, სიბნელისა და სინათლის კონტრასტის ფონზე, საუკეთესოდ იხატება ის დიდი მისია, რაც ილიას დაეკისრა განგებისგან და რაც მდინარე ალაზნის პირას გაზრდილ ჭაბუკს უნდა აღესრულებინა – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა გაეშალა და დამონებული სამშობლოს მომავალზე ეზრუნა...

არტურ ლაისტი ალაზნის ველს „სინათლით გაშუქებულ ქვეყანას“ უწოდებს, სწორედ ალაზნის ველის სიმშვენიერის წიაღში ხატავს იგი ილია ჭავჭავაძის პორტრეტს, „რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის სიკვდილამდე ათი წლით ადრე, კახეთშივე, მხოლოდ

დავერცხლილი ალაზნის მეორე მხარეს, ბუნებით ნაკლებ შემკულ სოფელში და ნაკლებად მდიდარ სახლში დაიბადა“ (ლაისტი, 1963:245).

არტურ ლაისტი განგებ ავლებს პარალელს მეორე პოეტთან, რომ გამოკვეთოს კონტრასტი და გვიჩვენოს ილიას სადა, ფუფუნებას მოკლებული სახლი. ყვარლის ვიწრო ხევში ტყით დაფარული მთების ძირას იდგა ეს სახლი, მის ბავშვობას კი ლეკიანობის შიში არ მოსცილებია.

„მის თვალებს ბავშვობაში არ უხილავს ის სიმდიდრისა და ფუფუნების სურათები, რომლებიც გარს ერტყა ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ილია ჭავჭავაძის ყრმობის წლებმა განვლო ნახევრად ღარიბულ სახლ-კარში“ (ლაისტი, 1963:245).

პავლე ინგოროყვაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სახლი, სადაც დაიბადა პოეტი, – ეს იყო ძველებური კოშკი, მტრებისაგან თავდასაცველად აგებული.

„პოეტის სამშობლო სოფელი ყვარელი გადაჰყურებს საქართველოს მშვენებას – ალაზნის ველს, მაგრამ ეს მშვენიერი ველი სამშობლოს ერთგულ დამცველთა წმინდა სისხლით არის მორწყული“ (ინგოროყვა, 1957:6). ანუ ბავშვობიდან ილია ჭავჭავაძე მშვენიერ, მაგრამ არცთუ უსაფრთხო ადგილას იზრდებოდა, რაც მომავალ პოეტს სამშობლოს სიყვარულს უძლი-ერებდა. „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“ ყმაწვილის გულსა და გონებას სწორედ ალაზნის ველის სიდიადე და ზეციური სილამაზე ესალბუნა. ვახტანგ ორბელიანი მას ველსა ედემს, „ღვთისგან პირველ ქმნილს“ უწოდებდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ილიას დაბადება ასეთ თვალწარმტაც გარემოს უკავშირდება.

ილიას ჭაბუკურ ოცნებებს მდინარე ალაზნის ნაპირები – სინათლის ქვეყანა, ასაზრდოებდა. ეს ის ალაზნანია, ჯერ კიდევ პეტერბურგში სრულიად ახალგაზრდამ, ლექსი რომ მიუძღვნა და ჭაბუკური სიყვარული გამოიტირა.

ილია ალაზნის მეგობარივით მიმართავს: „ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო“. ალაზნის ზვირთებში პოეტის წარსულია დამარხული: „სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?“ (ჭავჭავაძე, 1987:83) – კითხულობს იგი.

გურამ ასათიანმა ხსენებული ლექსი მართებულად შეაფასა: „ალაზანი“ სატრფიალო შინაარსის ლექსია, მაგრამ ამავე დროს ეს პოეტური ნაწარმოები განმსჭვალულია თავისებური პატრიოტული სულისკვეთებითაც, რადგან აქ პოეტის პირადი ბიოგრაფია, მისი ემოციური სამყარო უშუალო კავშირში იმყოფება მშობლიური ქვეყნის ცოცხალ, რეალურ სინამდვი-ლესთან“ (ასათიანი, 1978:121).

სევდას დაკარგული სატრფოს გამო ქვეყნის ავბედობით გამოწვეული ვარამი ერთვის: „შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა“ (ჭავჭავაძე, 1987:83)... ის მუხა, რომლის „ჩრდილ-ქვეშაც“ ერთ დროს სატრფოსთან ერთად იჯდა... ლექსი 1859 წელს პეტერბურგში დაიწერა. ილიას უკვე დასრულებული აქვს პოემა „აჩრდილის“ პირველი რედაქცია, რომელიც ეროვნული თავისუფლების სულისკვეთებას გამოხატავს. ალაზანი კი არა მხოლოდ დროჟამის ბრუნვის სიმბოლოა, ყრმობის მდინარე მისი პირადი ღელვისა და სამშობლოს მწუხარების მონაწილეცაა... პეტერბურგში მყოფი ილიასთვის დაკარგული სიყვარული და სამშობლოს ბედი ალაზნის ტალღების სრბოლაში ცნაურდება.

ოდესღაც პეტერბურგისკენ მიმავალი, ალაზნის სინათლე გაყოლილი და სამშობლოში დაბრუნებული ილიასთვის „გიჟმაჟი“ თერგის ამგზავრებაც სიმბოლურია: თერგის წიაღში ილია ლელთ ღუნის პირით იტყვის უმთავრეს სათქმელს და თერგდალეულებთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებს.

თერგის ხმაზე, ბუნებაში, ფიქრები არ ილევა: მშვენიერია „დილის ცვრით პირდაბანილი ქვეყანა“! მაგრამ ქვეყნის ტკივილი არ ყუჩდება. თერგი ამ ტკივილს უფრო ამძაფრებს: „თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყურავია“ (ჭავჭავაძე, 1988:25).

ილიას ესმის თერგის ტალღების ჩივილი, ისევ და ისევ სამშობლოს ტკივილთან შეხმია-ნებული: „მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმაძი ჩივილი“ (ჭავჭავაძე, 1988:24).

„ხმაგაკმენდილს ქვეყანაში“ ბნელი ღამეა, ბოროტება მატულობს, ბნელ აზრებს ბადებს, ნათელი დღე სხვა სიხარულია, სიბრძნის და სიცოცხლის სახეა, მწერალიც ეძებს „სინათლეს გონებრივს ქვეყანაში“.

თერგი სიცოცხლის, გადარჩენის სიმბოლოა. გრიგოლ ორბელიანის „თერგი რბის, თერგი ღრიალებს“... ილიასთან მაღალ რეგისტრშია აყვანილი. ის, როგორც თავისუფლების სიმბოლო, მხსნელად უნდა მოეველინოს არაგვის წმინდა წყალსაც, რომელიც „ქართლის ცხოვრების მოწამეა“, და რომლის ტალღებსაც გაჰყვა „მამულის დიდება ძველი“. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ თერგისა და არაგვის ტალღების თანხლებით იბადება თანამდევნი სული საქართველოსი, რომელიც ამბობს:

„მოჰმადლე ქართველს ქართვის ნდობა და სიყვარული  
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული“! (ჭავჭავაძე, 1987:198).

ილიამ სიტყვა საქმიანი, „საზოგადო მნიშვნელობის აზრი“ დაისახა მიზნად. ილიას აზრით, „უსულო ცხოვრების მოედანი“ სასაფლაოა, და ადამიანის ცხოვრებაც მკვდარია.

„გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას – ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს...“

...უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვექონდა, აკი გმირებიცა გვეყვდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულე-ბამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის“ (ჭავჭავაძე, 1987: 275).

ოცდახუთი წლის ილია ჭავჭავაძემ თამამად განაცხადა მოღვაწეობის პროგრამა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრება; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (ჭავჭავაძე, 1991:129).

ამ პროგრამისთვის ილიას არასოდეს უღალატია.

მან და მისმა თანამოაზრებმა, როგორც კიტა აბაშიძე იტყოდა: „საზოგადოება სრულიად ახალს გზაზე დააყენეს, მიძინებულს ერს იდეალი დაუსახეს, ყრუ ტყეში შარა გაუკაფეს. ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, ისეთი დიდი გმირობა იყო, რომ ჩვენთვის დღეს წარმოსადგენადაც გასაჭირია“ (აბაშიძე, 1970:68).

ილიამ, – განაგრძობს კიტა აბაშიძე, – „კარგად იცოდა ის სენი, რომელიც სიცოცხლეს უსპობდა ერს და განა შეიძლებოდა მის გულის სიმებს ამის გამო სამგლოვიარო ხმა არ გამოეცა?“ (იქვე,72).

ეს სენი რომ კარგად იცოდა, პოემა „აჩრდილის“ დასახელებაც კმარა, სადაც ილიამ დაუნდობლად გადმოსცა ქვეყნის დაცემა, მისი „დრტვინვა დაუძინარი“. თქვა ის, რაც სამი ათეული წლის მერე პუბლიცისტურ წერილშიც გაიმეორა: „არ ვიცი – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით“ (ჭავჭავაძე, 1898:1-2).

„აჩრდილმა“ წარსული, აწმყო და მომავალი შეკრა ერთ მთლიანობად – ერს უწარსულოდ მომავალი არ აქვს. „აჩრდილში“ ერი წარმოდგენილია, როგორც მატერიალურისა და სულიერის ერთობა. იგია, როგორც არაგვი და თერგი, ასევე მცხეთა, ფარნაოზი, ქრისტიანული რწმენა“ (ჯალიაშვილი, 2016).

არაგვი და თერგი გასულიერებულია და ერის ერთი მთლიანობის ნაწილია. ილია „არაგვს დაინახავს, თერგსა თუ ალაზანს, მხოლოდ თავისი ქვეყნის დარდი და ვარამი აგონდება, მათში ამაოდ ეძიებს თავის გულის პასუხსა“ (აბაშიძე, 1970:74).

არაგვთან („ჩვენო არაგვო“, „არაგვიც ჩვენი“), „ჩვენ“-ს – შემთხვევით არ წერს ილია ჭავჭავაძე. ამ სიტყვაში ცნაურდება ერთიანი საქართველო, მთელი ერი. არაგვი ერის წმინდა მდინარეა. პოემაში არაგვისადმი მიძღვნილ თავში სამჯერ არის სიტყვა „წმინდა“

ნახსენები. არაგვის „წმინდა წყალში“ ქვეყნის ძველი დიდებაა დამარხული, მისი ნაპირები კი ქართველების ასევე წმინდა სისხლითაა მორწყული.

წმინდა იმიტომ არის, რომ ქართველი ოდითგან „მამულისა და რჯულისათვის იბრძოდა“, იცავდა სამშობლოს და ქრისტიანობას, რომლებიც მისთვის განუყოფელი ცნებები იყო. მან საკმარისად გაიღო „სისხლის ძღვენი“ და „ტანჯვით შენდობას“ იმსახურებს. წყალს აქვს განახლების და აღორძინების ძალა. წარსული არაგვის წმინდა ზვირთებში დაიდირა. მომავალიც ამ ზვირთებიდან და წმინდა წყლიდან, უნდა იშვას... დაცემული ერი წმინდა წყლის ტალღებში განიწმინდება, როგორც გურამ დოჩანაშვილის კანუდოსის მდინარიდან განზანთილი და სულიერად ფერნაცვალი დომენიკო გამოდის.

„აჩრდილი“ ერის ფერნაცვალი მომავლის პოემაა – აღდგომისა და თავისუფლებისა. პიროვნული განწმენდიდან, პირველხატს მიმსგავსებული ზნესრული ადამიანიდან და თავისუფლებიდან იწყება ერის თავისუფლებაც. „არ იქნება ერი თავისუფალი, თუ მას არ ეყოლება ზნესრული, პირველხატს მიმსგავსებული ადამიანები“ (ბაქრაძე, 1984:67). ასეთმა ადამიანებმა უნდა შევან მომავალი.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ (ჭავჭავაძე, 1987:67).

ეს მომავალი იყო, რომ მთელი ცხოვრება გულს უშანთავდა ილიას. 21 წლის ილიას მიერ ნათქვამ ამ სიტყვებს „არაერთხელ აუფეთქებია ჩვენი გული“ (აბაშიძე, 1970:73).

ამ სხვა ვარსკვლავისკენ და სინათლისკენ ილტვოდა თავადაც მთელი ცხოვრება... და არ აპატიეს მას, ვინც „არაგვისა და ალაზნის ბასეინებს ამწვანების იმედი მისცა“ (ლეონიძე, 1922:1), ვისთვისაც გაზაფხული მამულის აყვავების დარი განცდა იყო... ეს მშვენიერი ლექსიც 1861 წელს პეტერბურგში დაიწერა. 24 წლის ილია ჭავჭავაძეს უკვე შესწავლილი ჰქონდა არა მხოლოდ რუსეთის, ევროპის მოწინავე ქვეყნების მხატვრული ლიტერატურა და აზროვნების ისტორია, გულდასმით ეცნობოდა მათ გამოცდილებას და საყვარელ მამულთან ავლებდა პარალელს...

„უნივერსიტეტში ყოფნის დროს, როგორც მისი ნაწერებიდან ირკვევა, ილია თვალყურს ადევნებდა მსოფლიოში მომხდარ ამბებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს ევროპაში, ირლანდიელი ხალხის გამირულ ბრძოლებს ინგლისელ დამპყრობელთა წინააღმდეგ და სხვა ამბებს. განსაკუთრებით აღფრთოვანებული ყოფილა იტალიის სახალხო გამირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწის ჯუზეპე გარიბალდით (1807-1882), ოცნებობდა, რომ ასეთივე მოძრაობა დაწყებულიყო მის სამშობლოში“ (ფარჯანიძე, 2017:21).

გარიბალდის პორტრეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ილიას სამუშაო ოთახის განუყრელი ატრიბუტი იყო, ქვეყნის სამსახურში დამაშვრალი ეროვნულ იდეალებს შეეწირა კიდევ. მისი სავალი გზა – ყვარლიდან (ბეთლემიდან) წიწამურამდე (გოლგოთამდე) ეკლიანი აღმოჩნდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა არა მხოლოდ დასაბამი მისცა ახალ ერას, გამოაფხიზლა მიძინებული ერი. „ილიას სიკვდილმა გულის ძარღვამდის შეარყია საქართველო, და ყველა უბრალო ხალხიც ამბობდა, აქ არის დასაწყისი ახალი ეროვნული შეგნებისო“ (ტაბიძე, 1922:1).

მის კვალს, გავლებულს „კოლონიალურ ქვეყანაში“ და მოღვაწეობას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში - უკვალოდ არ ჩაუვლია. „მას დიდი ღრმა კვალი აქვს თავისი მშობელი მხარის ასაყვავებლად გაყვანილი, და მისი დევის ნაფეხურები მუდამ სახსოვარია ჩვენთვის“ (დადიანი, 1957:52).

შალვა დადიანი იქვე იმასაც დასძენს, რომ ილია ჭავჭავაძემ ოდენ მხატვრული პროზისა და პოეზიის შედეგები კი არ შექმნა, არამედ ის იყო პუბლიცისტი, ეკონომისტი-სოციოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი... XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყნის ცხოვრებაში „არ ყოფილა არც

ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ილია არ გამოხმაურებოდეს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას“ (ჭუმბურიძე, 1978:5).

მან შექმნა ახალი ერა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ კვლავ განაგრძობდა არსებობას უილიაოდ, ოღონდ ილიას „სისხლით დაკირული“... მისმა მოწამებრივმა აღსასრულმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გზა, რომელიც ილიამ აირჩია, უტყუარი იყო და მისი სვლაგეზი არ უნდა შეცვლილიყო.

ვაჟა-ფშაველამ 1907 წელს დაწერილ ლექსში – „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ იგი ორ მდინარესთან ერთად იგლოვს. ალაზნის ნაპირები შვილის დაკარგვას გლოვობენ, ნათელ სახეს კი არაგვის გმირები უკოცნიან, რომელთა გვერდით მისი სისხლიც ბრწყინავს.

„დაგიკოცნიან სახესა  
ნათელს არაგვის გმირები;  
შვილის დაკარგვას გლოვობენ  
ტურფა ალაზნის პირები!“ (ფშაველა, 1987:4-5).

მანამდე ილიას დიდი წინამორბედი, სამშობლოსთვის თავგახეთქილი დიმიტრი ყიფიანი დაიტირა ერმა. „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა“ – იტყვის აკაკი წერეთელი. ორივე ლექსში მნიშვნელოვანია მდინარის პოეტური ხატი, როგორც დროის მდინარებისა, როცა გმირთა სახეა კი არ იშლება, არამედ მათ რაინდობას ტალღები იმახსოვრებს და საუკუნეებს გადააწვდენს.

ქრისტიანული სიმბოლიკით, წყალი ღვთაებრივი ენერჯის მატარებელი და მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია, შესაბამისად, მას აქვს განახლების ძალა. წყალი გლოვობს და სახეს უკოცნის გმირს, მაგრამ წყალს, განახლებისვე ძალით, იმ ყრმის მოსვლის იმედიც მოაქვს, ვინც ქვეყანა უნდა იხსნას და „ვისიც არ ითქმის სახელი“. აქედან გამომდინარე, წყალი თავისუფლების იდეას ინახავს და წარმავლობის სევდა ვერ ერევა, ვერ კლავს...

წარმავლობის მოურეველი სევდით დიან ალაზნის ტალღებზე, დამბადი გმირის წიაღი საკრალური სინათლით შემოსილა... და ეს-ესაა გამოჩნდება ის დიდი, მოხდენილი ირემიც, რომელსაც ილიამ არ ესროლა...

#### ლიტერატურა:

აბაშიძე კ. (1970): „ეტიუდები XIX საუკუნის საუკუნის საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“. „საბჭოთა საქართველო“.

ასათიანი გ. (1978): „ილია ჭავჭავაძე პოეტი და მოაზროვნე“. „ნაკადული“. თბილისი.

ბაქრაძე ა. (1992): „ილია ჭავჭავაძე წიწამური“. „ნაკადული“. თბილისი.

კიკნაძე, გ. (1978): ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურის საკითხები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლეონიძე გ. (1922): „ილია ჭავჭავაძე“/„ბახტრიონი“, №10.1.

ლეონიძე გ. (1922): „ილია ჭავჭავაძე“/„ბახტრიონი“, №10. 1.

ლაისტი ა. (1963): „საქართველოს გული“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი.

ტაბიძე ტ. (1922): „ილია ჭავჭავაძე“/„ბახტრიონი“, №10.1.

ფარჯანიძე ა. (2017) „ილია ჭავჭავაძე“. II. თბილისი.

[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/220919/1/Chavchavadze\\_Ilia\\_Cigni\\_II.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/220919/1/Chavchavadze_Ilia_Cigni_II.pdf)

ფშაველა ვ. (1987): „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“/ „წიგნის სამყარო“. №20, 4-5.

თბილისი.

ჭავჭავაძე ი. (1987): თხზულებანი. I. პოეზია. „მეცნიერება“. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

ჭავჭავაძე ი. (1988): თხზულებანი. II. მოთხრობები, პიესები. „მეცნიერება“. „საბჭოთა საქართველო“.

ჭავჭავაძე ი. (1991): ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. V. „მეცნიერება“. თბილისი.

ჭავჭავაძე ი. (1987): „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“. V. პუბლიცისტური წერილები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

ჭავჭავაძე ი. (1898): „რა გითხრათ? რით გაგახაროთ“?/„ივერია“. №1.

ჭუმბურიძე ზ. (1978): „დიდი ილია“/„პიონერი“. №5, 2-5. თბილისი.

**Tamar Shaishmelashvili**

Georgian Technical University

Tbilisi, Georgia

tamartamriko830@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.56>

## **Ilia Chavchavadze – Son of Alazani**

### Abstract

Rivers are often the fate of people. All the more so for a writer, for whom the river may even become a metaphorical face-symbol of his life. The birth and childhood of Ilia Chavchavadze was connected to Kvareli and the Alazani river. From here began the long and meritorious road to Tsitsamuri - to Golgotha, which became the Golgotha of Georgia, and Kvareli got the name of Bethlehem in the memory of the Georgian people.

Ilya's name and his martyrdom added sacred significance to Kvareli and Alazani. Alazani is symbolic of Jordan, where the child Ilya „received the light“ and this light followed him. He is the holy myrrh of Ilya's life and the blesser of the road.

It is no coincidence that Vazha-Pshavela called Ilia Chavchavadze the son of Alazani in his magnificent proposal. His mind nourished from Native Kakheti and Alazani.

Arthur Laist refers to Ilya's native Kvareli and his surroundings as a „light-lit“ world, towards which a person's heart and eyes are drawn mentally, „...which, as if in the distance, something in an unknown direction passes before one's eyes, Ilia Chavchavadze's eyes aspired during his childhood, and later his thoughts were constantly searching for light in the mental country and the future of his homeland“ (Laist, 1963:246).

Arthur Laist refers to Ilya's native Kvareli and his surroundings as a „light-lit“ world, towards which a person's heart and eyes are drawn mentally.

„...Eyes, Ilia Chavchavadze's eyes aspired during his childhood, and later his thoughts were constantly searching for light in the mental country and the future of his homeland“ (Laist, 1963:246).

Alazani, the river of childhood, is a river of light... From childhood and youth, Ilya was followed by that light, which he longed for the future of his homeland all his life. There was no field left for which Ilya did not leave his mark. Through his life and work, he was the Spiritual father of the nation, The uncrowned king of Georgia, Moses the prophet and a strong oak... A great reformer of Georgian public life.

Key words: Ilia Chavchavadze, Alazani, Kvareli.

**მალვინა შანიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

malvinashanidze@mail.ru

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.57>

## დიალოგის, მიმართვის ფორმისა და ინტერვიუს ჩაწერის სტრატეგიები დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე

**საკვანძო სიტყვები:** დიალოგი, მიმართვა, ინტერვიუ, ესგ-ის სტანდარტი, ტექსტი, საკლასო და საშინაო დავალებები, მინი-სპეკტაკლი.

ენობრივი საკითხების სწავლება დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, ძირითადად, პრაქტიკული აქტივობებით მიმდინარეობს.

შრომის წერისას, ქართული ენისა და ლიტერატურის 2018-2024 წლების ესგ-ის სტანდარტის მოთხოვნებით, „მოსწავლემ უნდა შეძლოს: ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად (მაგ., წაკითხულის გაგება-გააზრებისას, ახალი ტექსტის შედგენისას).“ ყურადღება გამახვილდა სამიზნე ცნებასა (პრაქტიკული გრამატიკა) და ქვეცნებაზე (გრამატიკის საკითხები), სხვადასხვა შინაარსის/მოდალობის მქონე წინადადებებსა (თხრობითი, კითხვითი, მახილის, ბრძანებითი, კითხვა-მახილის) და შესაბამის პუნქტუაციის ნიშნებზე.

ესგ-ის სტანდარტში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შევეცდები საფეხურებრივად, მარტივიდან რთული-საკენ გადასვლის პრინციპით, წარმოვადგინო საკმაოდ საინტერესო საკითხი - დიალოგის, მიმართვის ფორმისა და ინტერვიუს წერილობითი სტრატეგიების მართებულად გამოყენება.

ქართული ენისა და ლიტერატურის II-IV კლასების სახელმძღვანელოებში უამრავი ტექსტია შეტანილი, რომელშიც დიალოგებისა და მიმართვის ფორმებია გამოყენებული. მაგ., ივანე კრილოვის „მგელი და კრავი“ და „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“, ასტრიდ ლინდგრენის „პეპის პირველი წერილი“, ქეთევან ჭილაშვილის „მასპინძელი დათვი“, რევაზ ინანიშვილის „ჩიტუნისა ლოცვა“, ნუგზარ შატაიძის „ტყეში“, ეზოპეს „მელა და ყვავი“ და „დაფლული განძი“, ლეილა ბეროშვილის „ფეფოს ახალწლისა“, იაკობ გოგებაშვილის „სხეულის ნაწილების ჩხუბი“, იონა მეუნერგას „ინტერვიუ აკაკი წერეთელთან“, ხალხური „ერთი მანეთის შოვნა“ და ა. შ.

პირველ რიგში, პედაგოგი მოსწავლეებს ტექსტს გააცნობს - წაიკითხავს, წაკითხვებს და გაააზრებინებს. მხოლოდ ამ აქტივობების შესრულების შემდეგ იჩენს თავს ახალი ამოცანა, რომელიც პუნქტებად ასე ჩამოყალიბდა:

1. ყურადღებას გაამახვილებინებს **დიალოგის ფორმაზე**. ტექსტზე დაკვირვების საფუძველზე მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ, ყოველ ჯერზე, დიალოგის წერილობით გადმოცემისას, აუცილებელია, ტექსტი დაიწეროს ახალ ხაზზე და ტირეს გამოყენებით.

„- ჯერ ერთი წლისაც არა ვარ,



შარშანწინ როგორ მნახეო?  
- მაშ, ძმა ყოფილა ის შენი,  
მიტომ მიგიგავს სახეო!“

„ჭინჭველამ ჰკითხა: „- ზაფხული  
როგორდა გაატარეო?“  
- ვილხენდი, გამოვაცრეუე  
ჭრიჭინით არემარეო.“

„- წი-წი-წი! - ფრენით შემომიარა ირგვლივ ჩიტუნია, - კაცო, შენი ჭირიმეო, ეგ კვერცხები არ დამიმტვრიოო.

მე გავუდიმე და ვუთხარი:

- ნუ გეშინია, ჩიტუნია, მე კეთილი კაცი ვარ, კვერცხებს რად დაგიმტვრევ“. . .

**2. მომდევნო ეტაპი მიმართვის ფორმას, რომელიც განუყოფელი ნაწილია დიალოგის ფორმისა. ტექსტის კითხვისას მოსწავლეებს დავაკვირვებთ და გავააზრებინებთ, რომ მიმართვა შეიძლება შეგვხვდეს ტექსტის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში.**

**ა. თუ მიმართვის ფორმა წინადადების დასაწყისშია,** მიმართვის შემდეგ დაიწერება მძიმე ან ძახილის ნიშანი. ძახილის ნიშანი იმ შემთხვევაში, თუკი მიმართვა გარკვეული ემოციის მატარებელია. მაგ.:

„- **ცაო, ლამაზო მზეო!** შენ გაუზარდე კეთილ კაცს თავისი პატარები.“

„. . . . . - **ჩემო ნათლია!** ნუ მომკლავ გაზაფხულამდე და გამომკვებე, მადლია.“

**ბ. თუ მიმართვის ფორმა წინადადების შუაშია** მოქცეული, მაშინ მას ორივე მხრიდან დაეწერება პუნქტუაციის ნიშნები. კერძოდ, მიმართვის წინ მძიმე, ხოლო მიმართვის შემდეგ მძიმე, კითხვის ან ძახილის ნიშნები. ბუნებრივია, ეს დამოკიდებული იქნება ტექსტის მოდალობაზე. მაგ.:

„- რა ბრძანებაა, **ბატონო,**  
რას მერჩი მე საწყალსაო?“

„- ნუ გეშინია, **ჩიტუნია,** მე კეთილი კაცი ვარ, კვერცხებს რად დაგიმტვრევ.“

„შემოუძახა, - **შე ბრიყვო!**  
აქ როგორა სვამ წყალსაო.“

„- კვდები, **ნაცარავ,** კვდები!“

„გმადლობ, **კეთილო კაცო,** კვერცხები რომ არ დამიმტვრიეო.“

„- არ გრცხვენია, **კაცო,** რა გატირებს?!“

„- ვა, **ყვანჩალა,** აქა ხარ?“

**გ. არსებობს მიმართვის ფორმის კიდევ ერთი მდებარეობა. იგი შეიძლება წინადადების ბოლოში** შეგვხვდეს. მიმართვის წინ, ამ შემთხვევაში, დაიწერება მძიმე, შემდეგ კი - წერტილი, ძახილის ან კითხვის ნიშნები, როგორც წინადადება მოითხოვს მოდალობის მიხედვით. მაგ.:

„- რა გაწუხებს, **დათუნი?**“

„- რა გინდა, **ნაცარავ?**“

„- დედოფლის შესაფერისი არც ხმა გაქვს და არც ჭკუა, **ყვავო.**“

**3. საკითხის ღრმად გააზრებისა და განმტკიცებისათვის** საკმარისი არ არის ტექსტის მხოლოდ წაკითხვა და დიალოგისა და მიმართვის ფორმებზე აღნიშნული წესების გათავისება. ყველაზე ოპტიმალურ სტრატეგიად **მთელი კლასის ჩართვა გვესახება წერითი დავალების** შესრულების პროცესში - **მოსწავლეთა დაწყვილების** საფუძველზე. დიალოგის ფორმის წარმოება ხომ ორ მხარეს შორის კითხვა-პასუხის მეთოდით მუშაობაა. მაგ.:

- დილა მშვიდობისა, **ქეთევან**.
- დილა მშვიდობისა, **დათო**.
- მათემატიკის ტურში ღებულობ მონაწილეობას, **ქეთევან?**
- რა თქმა უნდა.
- წარმატებას გისურვებ!
- გმადლობ, **დათო**.

ეს და უამრავი ამგვარი დიალოგი, მიმართვის ფორმის თანდართვით, იმდენი დაიწერება კლასში, რამდენი წყვილიცაა. შემდეგ:

ა) შესრულებული ბარათები, პირველ რიგში, წყვილებს შორის წაიკითხება, დაიხვეწება და გასწორდება;

ბ) დასრულებულ ვერსიას ერთ-ერთი მეწყვილე წარადგენს კლასის წინაშე;

გ) საჭიროების შემთხვევაში, პრეზენტატორები უპასუხებენ მასწავლებლისა და მოსწავლეთა შეკითხვებს.

**4.** კიდევ ერთი გზა საკითხის განმტკიცებისათვის, ანალოგიური ტიპის დიალოგის **საშინაო დავალებად** მიცემაა. მათ ოჯახის წევრებიდან უნდა შეარჩიონ რომელიმე მათგანი (და, ძმა, დედა, მამა, ბებია, ბაბუა), დაუსვან კითხვები, მიიღონ პასუხები და აღნიშნული დიალოგი ჩაიწერონ.

მნიშვნელოვანია, რომ კლასის თითოეულმა წევრმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული დავალება.

სავარაუდო ნიმუში:

- დილა მშვიდობისა, **დედა**, როგორ გეძინა?
- დილა მშვიდობისა, **საყვარელო**, გმადლობ, კარგად.
- **დედა**, იქნებ ორიოდ სიტყვით მომიყვე შენს სამსახურზე.
- **მარიამ**, როგორც იცი, მე საოპერო თეატრის მომღერალი ვარ.
- შენ მიერ შესრულებული როლებიდან რომელი მოგწონს ყველაზე მეტად?
- ეთერის პარტია - ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

პრეზენტაციის შემდეგ თითოეული მოსწავლე იმსჯელებს შესრულებული დავალების შესახებ. თუ:

- რა სტრატეგიები გამოიყენა ტექსტის/დიალოგის შესაქმნელად;

- რამდენად დაეხმარა დავალების შესრულებაში ნასწავლი მახასიათებლების შესახებ მიღებული ცოდნა (დიალოგი, მიმართვის ფორმა და ჩაწერისას მათი მდებარეობა, პუნქტუაციის ნიშნების სწორად მოხმარების უნარი და ა. შ.) და გამოცდილება.

**5.** ტექსტზე მუშაობისას **როლური კითხვა**, ხოლო ტექსტის დამუშავების შემდეგ **მინი-სპექტაკლების წარმოდგენა**, საკითხის ღრმად შემეცნებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობა იქნება. მინი-სპექტაკლების წარმოდგენის პროცესში მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ:

- სწორი, გამართული, გამომსახველი მეტყველების ჩვევა;

- ნაწარმოების გმირების მხატვრულად, სახასიათოდ წარმოდგენის უნარი;
- ხმის ტემბრი - იმის მიხედვით, თუ ვის ან რას განაზახსიერებენ;
- გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება - დიალოგისა და მიმართვის ფორმების მართებულად გამოყენების თვალსაზრისით.

6. აქტივობების ჯაჭვის ბოლო, ლოგიკური რგოლი **ინტერვიუს** აღება და ჩაწერაა. ნიმუშად, ტელევიზიით თუ სოციალურ ქსელებში გასული ინტერვიუების გარდა, მე-4 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეტანილი იონა მიუნერგიას „ინტერვიუ აკაკი წერეთელთან“ შეიძლება გამოიყენოს პედაგოგმა. ტექსტის შესწავლის შემდეგ გაანალიზდება ინტერვიუს აღების წესი და მოსწავლეები მოემზადებიან ახალი დავალების შესასრულებლად. კერძოდ:

**აქტივობა:** „ინტერვიუ ცნობილ ადამიანთან“ (სკოლის, მუზეუმის დირექტორებთან, სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელთან, რეჟისორთან, ჩემპიონთან, ექიმთან . . . ).

**რესურსები:** ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი, ავტოკალამი, ბლოკნოტი.

**აქტივობის აღწერა:** პედაგოგის დახმარებით მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ შეკითხვებს ინტერვიუს ადრესატის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, ინტერვიუს ჰქონდეს კონკრეტული მიზანი. მაგალითად,

ა) მოსწავლეებმა შეისწავლეს იონა მიუნერგიას ტექსტი „ინტერვიუ აკაკი წერეთელთან.“ ამიტომ, ინტერვიუს მისაღებად სკოლაში შეიძლება მოიწვიონ პოეტი ან საბავშვო მწერალი და მოამზადონ შესაფერისი კითხვები.

ბ) ან, თუ მოსწავლეებმა შეისწავლეს ტექსტი ქართული საგანძურის შესახებ, ამ შემთხვევაში ისინი მოიწვევენ ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს, მეცნიერს ან არქეოლოგს და ამზადებენ მისთვის შესაბამის შეკითხვებს.

ინტერვიუ, პირველ ეტაპზე, შეიძლება საკლასო ოთახში ჩატარდეს. მომდევნო ნაბიჯი - გასვლითი აქტივობა იქნება.

ინტერვიუმდე უნდა შეირჩეს დრო და ადგილი და წინა დღით გადამოწმდეს, არის თუ არა ინტერვიუერი თანახმა. აუცილებელია ინფორმაციის მოძიება სასაუბრო თემაზე და თემასთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლა.

ინტერვიუს დროს მოსწავლეებს მოუწევთ თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ფორმულირების განმეორება და შერჩევა (თუ შეიძლება, გვითხარით, თქვენ როგორ ფიქრობთ . . . ). მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ ისინი განსხვავებულად უნდა ესაუბრონ თანატოლებსა და უფროსებს; ინტერვიუერს უნდა უყურონ თვალეში, უმეტესად ასაუბრონ ის. ამიტომ, შეკითხვები უნდა იყოს მოკლე და მკაფიო!

სასურველია, თუ გაკეთდება ინტერვიუს აუდიო ან ვიდეოჩანაწერი, რათა მოსწავლეებმა ადვილად შეძლონ მისი გამოყენება ტექსტის ფურცელზე გადასატანად და შეფასება.

**შეფასება:** შეფასება შეიძლება წარიმართოს ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით:

შედეგი	შეფასება
კარგადაა გარკვეული გასაუბრების/ინტერვიუს თემაში	
ფლობს სასაუბრო თემის ლექსიკას	
ითვალისწინებს ინტერვიუერის რეაქციებს	
საჭიროების შემთხვევაში, სვამს დამატებით კითხვებს	
არის თავაზიანი, ამჟღავნებს ინტერესს	

ინტერვიუს აღების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა მოუსმინონ ჩანაწერს და მასალა აუცილებლად წარმოადგინონ წერილობითი სახით - უკვე შესწავლილი დიალოგისა და მიმართვის ფორმების, პუნქტუაციის ნიშნების გათვალისწინებით.

**მეთოდური მითითება:** პირველ ეტაპზე სასურველია ინტერვიუერისთვის შეკითხვები მომზადდეს მცირე ჯგუფებში, მოსწავლეებისთვის სახალისოა აგრეთვე ე.წ. წარმოსახვითი ინტერვიუები პერსონაჟებთან, ავტორებთან, რაც გასათვალისწინებელია.

**დასკვნა.** ესგ-ის სტანდარტში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შრომაში საფეხურებრივად, მარტივიდან რთულისაკენ პრინციპით, წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო საკითხი - დიალოგის, მიმართვის ფორმისა და ინტერვიუს ჩაწერის სტრატეგიების შესახებ, რის საშუალებასაც იძლეოდა დიალოგის შემცველი უამრავი მხატვრული ტექსტი. ამ მიზნით:

ა) პირველ რიგში, ყურადღება გამახვილდა დიალოგის ფორმაზე;

ბ) ივარჯიშეს მიმართვის ფორმის სამივე მდებარეობაზე - პუნქტუაციის ნიშნების გათვალისწინებით;

გ) თეორიულად შესწავლილი საკითხის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით და მოსწავლეთა დაწყვილების საფუძველზე, მთელი კლასი ჩაერთო დიალოგის წერით აქტივობაში;

დ) საშინაო დავალების შესრულებამ, ოჯახის წევრებთან დიალოგის გამართვის საფუძველზე, გაუმყარათ ცოდნა დიალოგის ჩანაწერისა და მიმართვის ფორმების მართებულად გამოყენებაზე;

ე) მინი-სპექტაკლების წარმოდგენამ საკითხის ღრმად შემეცნებას შეუწყო ხელი;

ვ) ყველა აქტივობათა ჯაჭვის ბოლო, ლოგიკური რგოლი, ინტერვიუსთვის კითხვების მომზადება, აღება და ჩაწერა გახდა.

როგორც ვხედავთ, საკითხის გააზრებულად შესწავლა დამოკიდებულია მასწავლებლის ძალისხმევაზე - ტექსტის სიღრმისეულად დამუშავების შემდეგ შეემჩნია და შეერჩია ყველა ის ენობრივი საკითხი, რომელიც განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებდა. დაეკავშირებინა წინარე ცოდნა ახლისათვის, ტექსტებიდან ამოეკრიბა და თავადვე შეედგინა შესაბამისი სავარჯიშოები და მოსწავლეებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ჯერ ცოდნად გადაექცია, შემდეგ ამ ცოდნისთვის პრაქტიკული და გამოყენებითი ღირებულება მიენიჭებინა.

### ლიტერატურა:

1. 2018 – 2024 წ.წ., მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა

2. მალვინა შანიძე, პრაქტიკული სავარჯიშოები მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და გამომეტყველებითი კითხვის ჩამოყალიბებისათვის დაწყებით კლასებში (მეთოდური რეკომენდაციებით), აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2008 წ.

3. მალვინა შანიძე, წიგნიერების საფუძვლები (კითხვის, წაკითხულის გააზრებისა და წერითი აზროვნების სტრატეგიები დაწყებით საფეხურზე), აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2021 წ.

4. ვახტანგ როდონაია, ლ. ვაშაკიძე, მ. მირიანაშვილი, ა. არაბული, მე-2-4 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, თბ., 2022 წ.

**Dialogue, application form and interview recording strategies in elementary level  
Georgian language and literature classes**

**Abstract**

Taking into account the requirements given in the ESG standard and based on practical experience, a rather interesting issue is presented in the work step by step, from simple to complex principle - about dialogue, application form and interview writing/recording strategies, which allowed for a lot of artistic texts containing dialogue. here:

- a) first of all, attention was focused on the form of dialogue;
- b) practice on all three locations of the application form - taking into account the punctuation marks;
- c) in order to implement the theoretically studied issue in practice and based on the pairing of students, the whole class was involved in the dialogue writing activity;
- d) completing homework, based on holding a dialogue with family members, strengthened knowledge on the correct transmission of the dialogue record and application forms;
- e) presentation of mini-performances contributed to a deeper understanding of the issue;
- f) The last, logical link in the chain of all activities was the preparation, taking and recording of questions for the interview.

As we can see, the thoughtful study of the issue depends on the teacher's efforts - after in-depth processing of the text, he noticed and selected all the linguistic issues that required special study. To connect the previous knowledge to the new one, collect it from the text and compile the appropriate exercises himself, and first turn the information provided to the students into knowledge, then assign the value of practical activities to this knowledge.

**Key words:** dialogue, address, interview, ESG standard, text, class and homework, mini-play.

## თამარ შარაბიძე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

[Shagno12@gmail.com](mailto:Shagno12@gmail.com); [t.sharabidze@tsu.com](mailto:t.sharabidze@tsu.com)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.58>

## დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები)

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნე, ქართული დრამატურგია, კავკასიის საცენზურო კომიტეტი

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ კავკასიის ანექსიის შემდგომ, ბუნებრივია, რომ რუსეთის იმპერიის მმართველობაში მოქცეული ერების (კერძოდ, კავკასიის ოლქის) მიმართ ყველა სფეროში განხორციელდა კოლონიური პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი იყო 1848 წელს შექმნილი „კავკასიის საცენზურო კომიტეტი“. კომიტეტი წარმოადგენდა ცარიზმის სადამსჯელო ორგანოს, პოლიციასა და ჟანდარმერიას გვერდით ედგა და აქტიურად თანამშრომლობდა მათთან. 1879 წლის 20 დეკემბრიდან კავკასიის მეფის ნაცვლის განკარგულებით „კავკასიის საცენზურო კომიტეტში“ ცალკე განყოფილებად გამოიყო დრამატურგიული ცენზურა, თუმცა მანამდეც კომიტეტი განიხილავდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ნებას რთავდა ან კრძალავდა კავკასიის მხარეში მათ სცენაზე დადგმას, აკონტროლებდა სცენაზე მის შესრულებას, მსახიობთა წარმოთქმული ტექსტების სრულ შესაბამისობას ცენზურის მიერ ნებადართულ ტექსტთან, მსახიობთა რეპლიკების კილოსა და მიმიკებს ყველა სპექტაკლის დროს, ყველა აფიშას. დრამატურგიული ცენზურა ვრცელდებოდა არა მხოლოდ თეატრში დადგმულ სპექტაკლებსა და მათ ტექსტებსა თუ შესრულებაზე, არამედ სახალხო ღონისძიებებზეც, რომლებიც შეიძლებოდა მოწყობილიყო ოჯახებში ან ქუჩებში. აუცილებელი იყო ყველა სპექტაკლსა თუ ღონისძიებას კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნებართვის შემდგომ დასწრებოდა პოლიციის წარმომადგენელი, მათთვის გამოეყოთ სპეციალურად ადგილები.

საქართველოს ეროვნულ არქივში სრულადაა დაცული „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ საქმიანობის ამსახველი მასალები (რუსულ ენაზე ხელნაწერ ფორმატში). ის დღემდე არ გამხდარა ამ რაკურსით მეცნიერული შესწავლის საგანი:

XIX საუკუნეში საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ამოცანების გამომხატველის როლი ქართულმა მწერლობამ, პრესამ და თეატრმა იტვირთა. პოლიტიკური დევნის, ტერორის შიში მუდმივად თან სდევდა ქართველ მწერლებს, კრიტიკოსებსა და მოღვაწეებს. ოფიციალური „ფსიქიკურ-პოლიტიკური“ ცენზურა კლავდა „ჩანასახშივე“ ყოველგვარ თავისუფალ აზრს და, როგორც ქართველი მწერლები წერდნენ, ცენზორის ჩრდილი მწერლის საწერ მაგიდასთან იყო „ატუზული“. ცენზორის შეხედულებისამებრ კომიტეტი განიხილავდა ქართველი მწერლების, კრიტიკოსების, დრამატურგებისა და მოღვაწეების ნებისმიერი სახის მხატვრულ, კრიტიკულ-პუბლიცისტურ თუ მეცნიერულ ტექსტებს. მხოლოდ ცენზორის ნება-სურვილზე იყო

დამოკიდებული დასაბეჭდად მათი გადაკეთება ან სრული აკრძალვა. ამგვარად, იზღუდებოდა არა მარტო შემოქმედებითი თავისუფლება, არამედ ხორციელდებოდა ზეწოლა ეროვნულ და საზოგადოებრივ აზრზე.

ქართული მწერლობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა თანდათან თავდაცვით რეჟიმზე გადადის და იმპერიაში არსებულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ გეზს არ ემორჩილება. ხდება მხატვრული, კრიტიკულ-პუბლიცისტური, მეცნიერული ტექსტების ვუალირება, კოდირება, სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით შენიღბვა; რისი საკმაო მასალაც მოიპოვება ქართველ კლასიკოსთა თუ არაკლასიკოს მწერალთა ტექსტებში. ეს ეხება დრამატურგიასაც. ცენზორები ზემდგომი ორგანოებისაგან (შინაგან საქმეთა სამინისტრო და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო) იღებენ განკარგულებას, რომ ამოიციონ ტექსტების სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა, საცენზურო კომიტეტი კი თავის მხრივ ავალებს პოლიციას, დაესწროს ყველა სპექტაკლს და დააკვირდეს, ხომ არ ჟღერს მსახიობთა მეტყველების კილოში ირონიული დამოკიდებულება, ან ხომ არ არის წარმოთქმული ზედმეტი რეპლიკა. კავკასიის საცენზურო კომიტეტი ყოველმხრივ მონდომებულია, თავიდანვე აკრძალოს ისეთი პიესა, რომელშიც თავისუფალი აზრის გამოვლენას ხედავს, თუნდაც ეს პიესა იდგმებოდეს სატახტო ქალაქების - მოსკოვისა და პეტერბურგის - თეატრებში, რადგან სხვადასხვა მიდგომა ესაჭიროება დედაქალაქებსა და პროვინციებს. პროვინციებში ხელახლა უნდა მიიღოს თანხმობის ბილეთი დედაქალაქში უკვე ნაბადართულმა მასალამ, კავკასიის საცენზურო კომიტეტში განსახილველად ხელახლა უნდა შევიდეს ტექსტი 2 ეგზემპლიარად.

ეროვნულ არქივშივე ცენზორთა მითითებით გადაკეთებულ ტექსტებთან ერთად დაცულია მათ მიერ საერთოდ აკრძალული და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი მასალები - მხატვრული ტექსტები, პიესები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, რომელთაც დღის სინათლე არ უნახავს.

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორი იყო თავდაპირველი მხატვრული ტექსტები და შემდგომ როგორი დამახინჯებით ეცნობოდა მას მკითხველი თუ მაყურებელი, უაღრესად აქტუალურია თავად „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ დებულებების, აგრეთვე ტიპური დადგენილებების - ცირკულიარების, ცენზორთა ანგარიშების გაცნობა, რათა შევაფასოთ ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ცენზორის მიერ წყდებოდა ლიტერატურულ, კრიტიკულ-პუბლიცისტურ და დრამატურგიულ ტექსტთა ბედი.

სტატიის მიზანია საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და მანიპულირების იმდროინდელი მექანიზმების ძირითადი პრინციპებისა და ტენდენციების დადგენა, სათანადო დასკვნების გამოტანა.

თავდაპირველად, როცა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დრამატურგიული ცენზურის ინსტიტუტი, ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს ცირკულიარებით. 1868 წლის 15 ოქტომბრის ცირკულიარის (საქმე #2541) მიხედვით, ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო გუბერნატორების ყურადღებას მიაპყრობს ზემოთდასახელებული ცირკულიარის დამატებაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ აუცილებელია პროვინციულმა თეატრებმა დაიცვან დადგენილი კანონები დრამატურგიული წარმოდგენებისათვის, შეამოწმონ თანდართული სიები იმ დრამატურგიული ნაწარმოებებისა, რომელთა დადგმაც „უყოყმანოდ ნებადართულია“, ხოლო განსაკუთრებით შეამოწმონ დამატებითი სიები იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც მიჩნეულია დადგმისათვის „მოუხერხებლად“.

კავკასიისა და ამიერკავკასიის თეატრებში ასეთი დრამატურგიული ნაწარმოებების სიების დამტკიცების უფლება მიენიჭა კავკასიის მეფისნაცვალს (კან. ცენ. დადგ, 1863წ. ტ. XIV, გვ.138). ნებართვა (# 2541) ორი დანართით დაგზავნილია კავკასიის გუბერნიის ოლქებში დანიშნულებისამებრ, აგრეთვე კავკასიის საცენზურო კომიტეტში და თბილისის თეატრების დირექციებში სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად. საქმეში

ნახსენებია, რომ ის დრამატურგიული ნაწარმოებები, რომლებიც არ არის შესული დასადგმელ სპექტაკლთა სიებში და არა აქვთ ცენზორის ნებართვა, მაგრამ დადგმული იყო მისი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის, წარმოდგენილი უნდა იყოს მეფისნაცვლის მთავარ სამართველოში, რადგანაც კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარის ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველოს მოვალეობები დაკისრებული აქვს მეფისნაცვალს. აქედან გამომდინარეობს, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის სამეფო თეატრებში უკვე დადგმული სპექტაკლების დადგმის უფლება არა აქვს პროვინციის ადგილობრივ თეატრებს ხელახალი ცენზურის გავლის გარეშე.

1869 წლის 11 დეკემბერს კავკასიის საცენზურო კომიტეტში კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარი სამართველოს კანცელარიიდან შემოდის წერილი დრამატული ნაწარმოებების სიების შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ ამა წლის 18 ოქტომბრის შემდეგ (# 4/42) საცენზურო კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი სიებით: ა) იმ დრამატული ნაწარმოებებისა, რომლებიც დასადგმელად მოუხერხებელია; ბ) ამ სიის დამატებით ვ) იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც დანამდვილებით დაშვებულია დასადგმელად და გ) რომლებიც შემდგომში დასაშვები იქნები დასადგმელად. წერილს ხელს აწერს მთავარი სამართველოს უფროსი, სენატორი, შტატსკი-სეკრეტარი - ბარონი ნიკოლაი.

აღნიშნული საქმე საინტერესოა იმით, რომ წარმოაჩენს ბიუროკრატიული რეჟიმის მთელ სირთულეს, რაც მდგომარეობს შემდეგში: საცენზურო კომიტეტი თავად უგზავნის მთავარ სამართველოს შემოწმებულ მასალას თავისი კომენტარებით, მთავარი სამართველო კი წყვეტს, რა უნდა იყოს დადგმული, რა - არა, და რა არის დასაშვები შემდგომში დასადგმელად, რა თქმა უნდა, თუ ავტორი მასში ცენზურის მიერ მითითებულ შესწორებებს შეიტანს. ამის შემდეგ საცენზურო კომიტეტს ევალუება სიების დაგზავნა ავტორებთან, თეატრის მფლობელებთან და პოლიციის განყოფილებებთან.

1868 წელს გვხვდება ცნობები ოდესელი დრამატურგის ოკსის შესახებ, რომელსაც დაუწერია პიესა „რენეგატი“ („Отщепенец“). ოდესელი ცენზორი გადმოსცემს პიესის შინაარსს: მოქმედ პერსონაჟს, ეროვნებით ებრაელს, უხდება სარწმუნოების შეცვლა და მონათვლა იმის გამო, რომ ცოლად შეირთოს ის, ვინც უყვარს, თანამდებობის პირის ქალიშვილი; თანამდებობასაც ის მხოლოდ სარწმუნოების შეცვლის შემდეგ აღწევს. ცენზურამ ნაწარმოები აკრძალა იმ მიზეზის გამო, რომ მასში რუსეთი გამოყვანილია არარუს ეროვნებათა ინტერესების შემზღვევლად, რაც, ცენზორის აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება; პიესის დედააზრიც, რომ ებრაელი არ უნდა მოინათლოს მართლმადიდებლურად, რადგან ამით გამოიწვევს სიძულვილს როგორც რუსების, ასევე ებრაელთა მხრიდან, არასასურველ გავლენას იქონიებს ორი ერის ურთიერთობაზე, ხელს შეუწყობს იმ კარჩაკეტილობას, რომლითაც ისედაც გამოირჩევა ებრაელთა დასახლება რუსეთში (480-1-32). მასალებში არ ჩანს მიზეზი, თუ რატომ გაუზიარა ოდესელმა ცენზორმა თავისი აზრი კავკასიის საცენზურო კომიტეტს, თუმცა ნათელია, რომ რუსეთის სხვადასხვა ოლქის საცენზურო კომიტეტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ.

კსკ-ის მასალებიდან დასტურდება, რომ დრამატურგიული ცენზურის ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბებამდე პიესის დაბეჭდვასა და დადგმაზე ნებართვას საცენზურო კომიტეტი გასცემს, რასაც ადასტურებს საცენზურო კომიტეტში ნებართვის ბილეთის მისაღებად შემოსული დრამატურგიული ნაწარმოებების სიები. საცენზურო კომიტეტში აგზავნიან შეკითხვებს გუბერნატორები, გასცენ თუ არა უფლება ამა და ამ ნაწარმოების დადგმისა. ჩანს, ეს უფლება გუბერნატორებს ჰქონიათ, მაგრამ ისინი თავის მხრივ უთანხმებდნენ საცენზურო კომიტეტს და მხოლოდ კომიტეტის ნებართვის შედგომ გასცემდნენ სათანადო ბრძანებას. ოდესელი ცენზორის წერილი უნდა იყოს პასუხი კსკ-ის მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე, რადგან მასში თავად პიესის შინაარსზეცაა საუბარი, რომელიც კსკ-ს არ უნდა სცოდნოდა. სავარაუდოდ, კსკ-ს დაეკითხნენ პიესის დადგმის ნებართვის შესახებ, მან კი, თავის მხრივ, ოდესის საცენზურო კომიტეტს მიმართა. მსგავსი



სახის შეკითხვები ხშირად მოდის კომიტეტში. მაგალითად, 1868 წელს ასტრახანის გუბერნატორი მიმართავს კსკ-ს, მისცეს თუ არა სომხურ დასს თბილისში გარკვეული სპექტაკლების დადგმის უფლება. კანცელარიას ატყობინებენ, რომ ამ პიესათა (ჩამოთვლილია ისინი) დადგმის უფლება ცენზურის მიერ ნებადართულია თბილისის თეატრებში (480-1-33). 1870 წლის დოკუმენტი (480-1-193) წარმოადგენს სიას იმ პიესებისა და საოპერო სპექტაკლებისა, რომელთა ნებართვებიც გაიცა. 1874 წლის დოკუმენტში (480-1-193) ცალკე საქალაქო დეპუტატთა გამოყოფილი „დრამატურგიული ცენზურა“, რომლის მასალები საცენზუროდ გადაეგზავნა კსკ-ის ერთ-ერთ განყოფილებას (არა დრამატურგიულს, რომელიც ჯერ ჩამოყალიბებული არ არის). 1974 წლის მასალებში (480-1-192) წარმოდგენილია იმ რუსულენოვან პიესათა სია, რომლებიც ცენზურამ აკრძალა იმ მიზეზით, რომ მათი დადგმა სცენაზე უხერხულობას გამოიწვევდა. წარმოდგენისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს – „ელენე ტროაში“, „წარჩინებული ებრაელის ქალიშვილი რახელი“ და „რიგოლეტო“. ჩვენ არ ვიცნობთ პიესათა ტექსტებს, თუმცა ვხვდებით, რომ ნებისმიერი დეტალი (სასიყვარულო, ეროვნული თუ სოციალური სახის) შესაძლოა ცენზორს „უხერხულობად“ მოსჩვენებოდა. 1875 წლის დოკუმენტში (480-1-231) გვხვდება ცნობა იმ ფაქტის შესახებ, რომ თბილისის გუბერნატორს კსკ-ში გადაუგზავნია თბილისის გერმანული საზოგადოების სადამოებზე დასადგმელად გამიზნულ დრამატულ-მუსიკალურ ნაწარმოებთა სია. ასეთი საქმეები თანდართული სიებით სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება, თუმცა დრამატურგიული ცენზურის განყოფილების ჩამოყალიბებისთანავე, 1880-იანი, განსაკუთრებით 1890-იანი, წლებიდან კსკ-ს მასალებში წარმოდგენილ სიებთან ერთად გვხვდება პიესათა ტექსტებიც რამდენიმე ეგზემპლარად.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, მიუხედავად კსკ-ის შეზღუდვებისა, დარღვევები მაინც ხდებოდა, რასაც ადასტურებს 480-ე ფონდში დაცული მასალები. 1868 წლის ერთ-ერთ საქმეში (480-1-31) აღნიშნულია, რომ პროვინციული თეატრები არ ითვალისწინებდნენ მრავალჯერ მიცემულ შენიშვნებსა და თეატრებში პიესათა დადგმის სახელმძღვანელო წესებს. საქმესთან თანდართული 73-ე ცირკულიარი ავალეს თეატრის მფლობელებს შემდეგ პასუხისმგებლობას: 1) დაადგინონ, თუ რამდენად ზუსტ შესაბამისობაშია დადგმული პიესა ცენზურის მიერ დამტკიცებულ ტექსტთან; 2) ჩამონათვალში არშეტანილი ყველა დრამატურგიული ნაწარმოები, რომელთაც დადგმისათვის არ მიუღიათ ცენზორის ნებართვა, დროულად წარმოადგინონ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში ხელნაწერის სახით, სუფთად და გასაგებად გადაწერილი ან გადაბეჭდილი, აუცილებლად 2 ეგზემპლარად; 3) არ დაუშვან იმ პიესების დადგმა, რომლებიც ერთ დროს დაიშვებოდა საერთო ცენზურის მიერ, დაიბეჭდა კიდევ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გამომცემლობების მიერ, მაგრამ არა აქვთ შესაბამისი კანონით (ცირკულიარი 176) სცენაზე დადგმის ნებართვა. 4) პეტერბურგისა და მოსკოვის საიმპერატორო სცენაზე დადგმული პიესები არ გამოდგება იმის საფუძველად, რომ მათი დადგმა ნებადართულია კერძო თეატრებისთვის; 5) საიმპერატორო თეატრის აფიშები არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ პიესა ზოგადად ნებადართულია დასადგმელად, რადგანაც მათგან ზოგიერთი ნებადართულია მხოლოდ დ მხოლოდ საიმპერატორო თეატრებში დასადგმელად, სხვა თეატრებს მათი დადგმა შეუძლიათ მხოლოდ (ტექსტის ადგილების ამოღებითა და გადაკეთებით ხელახალი ნებართვის შემდგომ. 6) სპეციფიური დადგმების ყველა აფიშა და განცხადება დაბეჭდვიდან დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნონ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოს.

1872 წლის მასალებიდან (480-1-31) ჩანს, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ დრამატურგიული ცენზურის წესების დახვეწის მიზნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს და მოსთხოვა შემდეგი. ყველა აქამდე გამოცემული სიების ნაცვლად დაებეჭდა დრამატურგიული ნაწარმოებების ახალი და სრულყოფილი ალფავიტური სია, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა: ა) ცენზურის მიერ დასადგმელად უყოყმანოდ ნებადართული ბ) ნებადართული გამონაკლისებით და გ) დასადგმელად

მოუხერხებლად მიჩნეული. სიებში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, 1872 წლის 1 ივლისამდე დრამატურგიული ცენზურის მიერ განხილული ყველა პიესა. ჩამოთვლილ სიათაგან პირველი ორი გამიზნულია იყო როგორც თეატრის მფლობელების, ასევე პოლიციის უფროსებისთვის სახელმძღვანელოდ საავტორო და სამოყვარულო სპექტაკლების სცენური დადგმებისა და მათთვის აფიშების დაბეჭდვის ნებართვისთვის. მესამე სია, აკრძალული პიესების, განკუთვნილი იყო გუბერნიის მმართველებისთვის საინფორმაციოდ. ამა წლის 1 ივლისის შემდგომ ცენზურის მიერ განხილული სპექტაკლები, როგორც უყოყმანოდ დასადგმელი, ასევე გამონაკლისებიც, შეტანილი იქნებოდა 1 სექტემბრის „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“; აკრძალული პიესების სიები არ შევიდოდა „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“, მაგრამ დაიბეჭდებოდა დროდადრო და ძველებურად გადაეგზავნებოდა ინფორმაციისათვის გუბერნატორებს. მთავარი სამართველო იმედოვნებდა, რომ ამიერიდან აღარ მოხდებოდა გადახვევა კანონის მიერ დადგენილი წესებიდან, პოლიცია ზუსტად იხელმძღვანელებდა ამ სიებით და ისე გასცემდა ნებართვებს პიესების სცენაზე დასადგმელად თუ აფიშის დასაბეჭდად; დარღვევა სამართლებრივად დაუსჯელი არ დარჩებოდა. კანონი უნდა შესრულებულიყო ყველგან ერთნაირად.

ადგილობრივი პოლიციის მოვალეობები და მოქმედების კურსი თეატრალურ წარმოდგენებთან მიმართებაში ასე განისაზღვრა: ა) ზემოთმოყვანილი უზენაესი დადგენილების (V თავი, გვ. 8-9) საფუძველზე, პოლიცია ვალდებულია დაუბრკოლებლად მისცეს ნებართვა მხოლოდ იმ პიესებს, რომლებიც შეტანილია „უყოყმანოდ ნებადართულ პიესათა სიებში“ ან „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“. ამასთანავე თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი არიან წარმოდგენილ პიესაში არ დაირღვეს ცენზურის მიერ დამტკიცებული ტექსტი. ბ) დასადგმელად ნებადართული პიესები, რომლებიც შეტანილია სიაში „ნებადართული გამონაკლისებით“ ან ასეთივე დანიშნულების ცნობებში, რომლებიც დაბეჭდილია „მისათითებელში“, უნდა გადაეცეს პოლიციას, თეატრის მფლობელებსა და იმ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს; ნებართვის გამცემი პოლიციის ჩინი უნდა დარწმუნდეს, რომ დადგმის დროს ზუსტად სრულდება როგორც ნებადართული პიესების ტექსტი, ასევე იმ პიესებისაც, რომელთა ტექსტიდან ზოგიერთი მონაკვეთი ცენზურამ ამოიღო. თეატრის მფლობელები და ის პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამოყვარულო სპექტაკლებს, პასუხისმგებელნი არიან სცენაზე წარმოდგენილი და ცენზორის მიერ დადგენილი ტექსტების იდენტურობაზე. გ) იმ შემთხვევაში, თუ პოლიციაში წარმოდგენილი იქნება თხოვნა, ავთენტური ეგზემპლარის წარმოდგენის გარეშე, ცენზორის მიერ გამონაკლისებით ნებადართული პიესის დადგმის შესახებ, პოლიცია ვალდებულია მიუთითოს მთხოვნელს წესრიგისაკენ და გუბერნიის უფროსების მეშვეობით გადაეგზავნინოს პიესა მთავარ სამართველოში საცენზუროდ. ეს წესი უნდა შესრულდეს ყველა შემთხვევაში, როდესაც დასადგმელად წარმოდგენილი პიესა არ არის შეტანილი არც „უყოყმანოდ ნებადართულ“ და არც „გამონაკლისებით ნებადართულთა“ ცნობებში (რომლებიც დაბეჭდილია „ბეჭდვითი საქმის მისათითებელში“). დ) პიესებიდან ცალკეული სცენების დადგმის, სიმღერისა და ლექსის კუპლეტების წაკითხვის ნებართვა უპრობლემოდ მიენიჭებათ იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია ნამდვილად დარწმუნდება, რომ ეს სცენები, ლექსები და კუპლეტები შედის იმ პიესათა რიცხვში, რომლებიც „უყოყმანოდ ნებადართულია“ და, აქედან გამომდინარე, შესულია როგორც სიებში, ასევე «მისათითებლის» ცნობებში. რა თქმა უნდა, აფიშებზეც უნდა იყოს განმარტებული, რომელი ნებადართული პიესიდან არის წარმოდგენილი სცენები, ლექსები და კუპლეტები; ამასთანავე მათი სათაური არ უნდა იყოს თვითნებურად შეცვლილი ან მოგონილი. თუ ეს სცენები, კუპლეტები და ლექსები არ არის შესული ზემოთმოყვანილი ტიპის პიესათა სიებში, პოლიცია ვალდებულია მოითხოვოს ამ ნაწარმოებთა ცენზორის მიერ დამოწმებული, „ნებართვიანი“ ეგზემპლარი.

„გამონაკლისებით ნებადართული“ პიესებიდან ცალკეული სცენების დადგმაზე ნებართვის გაცემა აკრძალულია. ე) პოლიციის მოვალეობებში შედის თვალყურის მიდევნება იმაზეც, რომ „უყოყმანოდ დასადგმელი“ პიესების სათაურის მიღმა არ იყოს წარმოდგენილი ტექსტი „გამონაკლისებით ნებადართულ“ ან ცენზურის მიერ აკრძალულ ან „დასადგმელად მოუხერხებელი“ პიესებიდან. აფიშების დაბეჭდვის ნებართვის დროსაც პოლიცია უნდა დარწმუნდეს, რომ მათზე დაბეჭდილი მოქმედი პირები და პიესის ტექსტის პირები ერთი და იგივენი არიან. ასევე ვალდებულია, რომ დასაბეჭდ აფიშებზე პიესების, ცალკეული მოქმედებებისა და სურათების სათაურები არ იყოს თვითნებურად მოგონილი, არ იყოს არანაირი გადახვევა ცენზურის მიერ დამოწმებული ტექსტიდან. ვ) ამისგან დამოუკიდებლად, პოლიცია ვალდებულია თვალყური ადევნოს, რომ სცენაზე დადგმული სპექტაკლი შესრულდეს დადგენილი ტექსტიდან გადახვევის გარეშე; ტექსტიდან გადახვევის, ან ჯერ არგანხილულ, ან დადგმისათვის მოუხერხებელ პიესათა სცენაზე წარმოდგენის შემთხვევებში კანონიერად დასაჯოს დამნაშავეები. ზ) იმ თეატრალური სპექტაკლების ან მსგავსი გასართობების დაბეჭდილი აფიშები, რომლებშიც შედის სასიძლო კუპლეტები ან წასაკითხი ლექსები, დაბეჭდვისთანავე პოლიციის მიერ დაუყოვნებლივ უნდა იქნას წარდგენილი ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოში (სტამბების მიერ წარდგენილი აფიშებისგან დამოუკიდებლად). აფიშების წარდგენის დროს გაწელების შემთხვევაში, აგრეთვე მაშინაც, თუ პოლიცია აღმოაჩენს, რომ ზოგიერთი დაბეჭდილი აფიშა არ არის განყოფილებაში წარმოდგენილი, უნდა აღძრას დამნაშავეთა დასჯის საქმე (480-1-31).

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოსა და კავკასიის საცენზურო კომიტეტთან ერთად დრამატურგიული ცენზურის საქმიანობაში ჩართულები არიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოლქის გუბერნატორები და პოლიცია. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ბეჭდვითი საქმის მთავარი სამართველო აცნობებს გუბერნატორებს შემდეგს: 1) განსა-კუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციის დაწესებულების მიერ მთავარი სამართველოს ზემოთმოყვანილ განმარტებათა შესრულებას; დარღვევათა აღმოჩენის შემთხვევაში არ დატოვონ ამ საქმეში დამნაშავეები დაუყოვნებელი და მკაცრი დასჯის გარეშე. 2) დრამატურგიული ნაწარმოებების მთავარ სამართველოში საცენზუროდ გადაგზავნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილონ მანამ, სანამ თავად არ შეამოწმებენ, შედის თუ არა დადგმის ნებართვისათვის წარდგენილი დრამატურგიული ნაწარმოები აკრძალულ პიესათა რიცხვში. ასეთ შემთხვევაში დააბრუნონ ისინი დანიშნულებისამებრ, მთავარ სამართველოში წარმოდგენის გარეშე; ასევე ყურადღება მიაქციონ იმასაც, რომ სამართველოში გამოგზავნილი ხელნაწერი პიესები იყოს გარკვევით და სუფთად გადაწერილი, ან დაბეჭდილი, აუცილებლად ორ ეგზემპლიარად. 3) სტამბებს დაავალონ, რომ აფიშები დაბეჭდონ ნუმერაციით (თითოეულ აფიშას მიებეჭდოს მისი თანმიმდევრული ნომერი); 4) უზრუნველყონ, რომ პოლიციის ხელმძღვანელებმა დაბეჭდვისთანავე დაუყოვნებლივ წარადგინონ აფიშები მთავარ სამართველოში თანმხლები საბუთების გარეშე, მხოლოდ წარწერით კონვერტებზე: «ამა და ამ პოლიცმეისტერისგან ან პოლიციის ოფიცრისაგან, აფიშა #...», ამასთანავე კონვერტზე მითითებული უნდა იყოს ის ნომერი, რომელიც აფიშაზეა დაბეჭდილი.

ტოტალიტარული სახელმწიფო თავის ინსტიტუტებს: შინაგან საქმეთა სამინისტროს, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოს, კავკასიის საცენზურო კომიტეტს, გუბერნატორებს, პოლიციას; ასევე კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელებს: თეატრისა და სტამბის მფლობელებს - ერთმანეთის კონტროლს ავალებს, რათა ყველამ პირნათლად შესრულოს დაკისრებული მოვალეობები, აღარ მოხდეს კანონიდან გადახვევები და დარღვევები, რომელთა შემთხვევაშიც დამნაშავენი მკაცრად უნდა დაისაჯონ. პოლიციური ღონისძიებანი იგეგმება, კანონის სახეს იღებს და ტარდება თეატრალურ დადგმებთან მიმართებაში.

დრამატურგიულ ცენზურას ეხება 1874 წელს მიღებული ცირკულიარი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩატარებული ღონისძიებების შესახებაც, რომელიც, ერთი შეხედვით, ლოიალურია. საზოგადოების თავშეყრის ადგილებში დაშვებულია დრამატურგიული წარმოდგენები, ლიტერატურული და მუსიკალური სადამოები, ლექციების კითხვა (480-1-262). თუმცა ცირკულიარში აღნიშნულია, რომ ამგვარი თავყრილობების დროსაც ყველაფერი 1865 წლის საცენზურო კანონის მიხედვით უნდა შესრულდეს: ნებართვის ბილეთის გარეშე სცენაზე რაიმეს დადგმა არ შეიძლება; კანონი დრამატურგიული ნაწარმოებების შესახებ არ უშვებს არანაირ გამონაკლისს კლუბებისათვის, რადგანაც დედაქალაქებისა თუ პროვინციების საზოგადოებრივ თავყრილობებზე გაცილებით მეტი მაყურებელი იყრის თავს, ვიდრე თეატრში. ამიტომ პიესათა დადგმა ასეთ ადგილებში დრამატურგიული ცენზურის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

აღსანიშნავია, რომ თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ცნობებიდან გამომდინარე, აღნიშნული კანონი ყოველთვის ზედმიწევნით არ ხორციელდება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე მაინც იდგმება ისეთი პიესები, რომლებიც არ განუხილავს ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს და მასზე დაქვემდებარებულ დრამატურგიულ ცენზურას (საცენზურო კომიტეტს). როგორც დედაქალაქებში, ასევე პროვინციაში შეინიშნება ტენდენცია, აფიშები არ დაიბეჭდოს, რათა მთავარი სამმართველოს ბეჭდვითი საქმის განყოფილებასა და პოლიციას არ მიეცეს თვალყურის დევნების საშუალება, რაც ყოველად დაუშვებელია. სამინისტროში თავმოყრილი ცნობებიდან ნათელია, რომ კლუბების სცენაზე არაერთხელ წაუკითხავთ ისეთი ლექსები და დაუდგამთ ის პიესები, რომლებიც დაიშვებოდა დრამატურგიული ცენზურით, მაგრამ შეუსრულებიათ ისეთი ცინიკური მეთოდებით, რომელთა მოთმენა და დაშვება საზოგადოებრივ სცენაზე ყოველად დაუშვებელი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს გუბერნატორებს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას დადგმული სპექტაკლი არ განსხვავდება თეატრში დადგმულისაგან, ამიტომ მათი დადგმის წესები არ უნდა გამომდინარეობდეს თავყრილობათა შესახებ მიღებულ კანონებიდან. აუცილებელია კლუბებსა და საზოგადოებრივ ადგილებში სპექტაკლის დადგმა ითვალისწინებდეს სამ პირობას: 1. კლუბებმა და თავშეყრის ადგილებმა თითოეული სპექტაკლის დასადგმელად უნდა გამოითხოვონ ნებართვა ადგილობრივი პოლიციისგან; 2. კლუბებისა და მსგავს დაწესებულებათა სცენებზე არაფრით არ შეიძლება იმ პიესათა დადგმა, რომლებიც ნებადართული არ არის დრამატურგიული ცენზურის მიერ; არ შეიძლება გადახვევა ცენზურის მიერ დადგენილი ორიგინალის ტექსტიდან; 3. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ან სასწავლო ოლქის რწმუნებულის ხელახალი ნებართვის გარეშე აკრძალულია სცენაზე დაბეჭდილი ან ადრე ნებადართული მოთხრობების, ლექსების, კუპლეტებისა და ა.შ. მხატვრული კითხვა. 4. ყოველ სპექტაკლზე პოლიციისთვის გამოყოფილი უნდა იყოს სავარძელი, რათა მას შეეძლოს სცენის თვალყურისდევნება. 5. ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს დროულად უნდა გაეგზავნოს იმ პიესათა აფიშები, რომლებიც კლუბების სცენაზე უნდა დაიდგას.

როგორც ვხედავთ, ათწლეულის განმავლობაში საცენზურო კანონს არანაირი ცვლილება არ განუცდია. 1876 წელს (480-1-268) კიდევ ერთი კანონი შემოიღეს: აკრძალა სხვადასხვა სახის სცენური დადგმები და მხატვრული კითხვა „მალარასიულ დიალექტზე“, ასევე მუსიკალური ნაწარმოებისათვის განკუთვნილი ტექსტების ამ „დიალექტზე“ დაბეჭდვა.

1879 წლიდან, როდესაც კავკასიის საცენზურო კომიტეტში დრამატურგიული ცენზურის განყოფილება იქმნება, ბევრად იზრდება საცენზუროდ შემოტანილ პიესათა რიცხვი. ეს განპირობებულია მე-19 საუკუნის ბოლოს დრამატურგიის ჟანრის აღმავლობით. სცენა უპირველესი საშუალება ხდება ავტორის სიტყვის ხალხის ფართო მასებთან მიტანის. თეატრის აღმავლობას უფრო მოგვიანებით ხელს უწყობს კავკასიის საცენზურო კომიტეტის საკადრო ცვლილებანიც, კერძოდ, ცენზორად რაფიელ ერისთავის მოსვლა, რომელიც ყველა

გემოვნებიან პიესას დადებითად აფასებს და დასადგმელად ნებართვის ბილეთს აძლევს. ავტორებიც სწავლობენ საცენზურო კომიტეტთან ურთიერთობას და სიმბოლურ-ალეგორიული სახეებით ტექსტის შენიღბვას.

დრამატურგიული ცენზურის მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ცენზურა ტექსტიდან შლის იმპერიისათვის საშიშ ფრაზებს ხალხთა თავისუფლებაზე, რევოლუციური იდეებზე, ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ბატონის მიერ გლეხთა სასტიკი მოპყრობის ფაქტებზე და ა. შ. მისთვის მისაღებია ვაჭართა ფენისა და სასამართლოს ბიუროკრატიული აპარატის კრიტიკა, ხალხთა მოძველებული ტრადიციებისა და საზოგადოებრივ მანკიერებათა სატირა, ამიტომაცაა, რომ მე-19 საუკუნის დრამატურგიულ თხზულებათა უმრავლესობა მაჭანკლობის ინსტიტუტსა და ქალის გათხოვების სამარცხვინო ტრადიციებს ასახავს, წარმოადგენს ვაჭართა, გაღარიბებულ და გადაგვარებულ თავადაზნაურთა და სახელმწიფო მოხელეთა კრიტიკას; ეროვნული იდეები კი გადატანილია ისტორიულ დრამებში, წარსულის სახით წარმოჩნდება, რომ ცენზურთა კრიტიკას ასცდეს. მხატვრული ლიტერატურის განვითარებას წინ ვერ ეღობება იმპერიის იდეოლოგიური, მიკერძობებული, თავისი ბუნებით (ბრძანებებითა და ცირკულიარებით) მკაცრი და დაუნდობელი ცენზურა.

#### ბიბლიოგრაფია:

საქართველოს ეროვნული არქივის 480-ე ფონდის (კავკასიის საცენზურო კომიტეტი) მასალები.

**Tamar Sharabidze**

Javakhishvili State University

Tbilisi, Georgia

Shagno12@gmail.com; t.sharabidze@tsu.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.58>

### **Dramaturgical Censorship in the Caucasus (1879-1905)**

#### Abstract

After the annexation of the Caucasus by Russia at the beginning of the 19<sup>th</sup> century, it is natural that a colonial policy was implemented in all areas in all the nations under the rule of the Russian Empire (in particular, the Caucasus County), one of the main pillars of which was the *Caucasus Censorship Committee* created in 1848. The Committee represented the punitive body of Tsarism, worked aside of Police and Gendarmerie and actively cooperated with them. From December 20, 1879, Dramaturgical Censorship was added to the activities of the *Caucasus Censorship Committee* by the Decree of the Viceroy of the Caucasus. The Committee reviewed literary works, allowed or forbade their staging in the Caucasus County, controlled its performance on stage, the complete compliance of the texts spoken by the actors with the text allowed by the Censors, the accents of the actors' lines and their mimes during all performances and all the posters. Dramaturgical Censorship extended not only to theater plays and their texts or performances, but also to public events that could be organized in homes or in streets. After the permission from the *Caucasian Censorship Committee*, it was necessary for a Police representative to attend all performances and events; for special seats to be allocated for them.

In the National Archives of Georgia, are fully preserved the materials depicting the activities of the *Caucasus Censorship Committee* (in Russian language; handwritten). It has not yet become the subject of scientific study from this angle:

In the 19<sup>th</sup> century, Georgian literature, press, and theater played the role of expressing national liberation tasks in Georgia. The fear of political persecution and terror constantly followed

Georgian writers, critics and public figures. The official "psychic-political" censorship killed every free thought "from the roots" and, as Georgian writers wrote, the Shadow of the Censor constantly stayed at the writer's working desk. At the discretion of a censor, the Committee considered any kind of artistic, critical-publicistic or scientific texts by Georgian writers, critics, playwrights and public figures. It depended only on the will of a censor to remake them for publicising or to ban them outright. Eventually, not only creative freedom was restricted, but also national and public opinion was put under heavy pressure.

Georgian literature, criticism, journalism was gradually changing to defensive mode and did not obey the ideological-political path existing in the Empire. Literary, critical-publicistic, scientific texts were veiled, encrypted, disguised in symbolic-allegorical forms; this is well seen in the texts by Georgian classical and non-classical writers. This also applies to dramaturgy. Censors receive orders from Higher Authorities (Ministry of Internal Affairs and Main Department of the Crown Prince of the Caucasus) to identify the symbolic-allegorical meaning of texts and the Censorship Committee, in turn, instructs the Police to attend all performances and observe whether there is an ironic attitude in speeches of actors or not. The Caucasian Censorship Committee is determined in every way to ban such a play in which it sees the manifestation of free thought, even if this play is staged in the theaters of the capital cities - Moscow and St. Petersburg – due to the need for different approaches to capitals and provinces. In the provinces, the material that has already appeared in the capital must receive approval again, such texts must be re-submitted to the Caucasus Censorship Committee for review, in 2 copies.

Materials fully banned by censors and still unknown to the public - fiction texts, plays, critical-publicist letters, which have not seen the light of day are preserved in the National Archive. The repressive censorship suspended well-known Georgian periodicals for long (*Tsiskari*, *Iveria*, *Droeba*, *Imedi*) or fully banned some of them (*Khumara*), did not allow plays to be staged or requested them to be remade.

For Georgian humanitarian scientists it is essential to know what the original fiction texts were like and how they were subsequently perceived by readers or viewers in a mangled way. It is extremely important to get to know the provisions of the Caucasus Censorship Committee itself, as well as typical resolutions - circulars, censors' reports, in order to define the criteria that censors acted according to, when determining the fate of literary, critical-publicistic and dramaturgical texts.

Goal of the article is to determine the then main principles and tendencies of the mechanisms of influence and manipulation on public opinion; to draw appropriate conclusions.

**Keywords:** 19<sup>th</sup> century, Georgian dramaturgy, Caucasian Censorship Committee

ნუნუ ჩარკვიანი, სოფიო ყიფიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Nunu.charkviani@atsu.edu.ge

sopio.kipiani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.59>

## სიტყვარის სწავლების თავისებურებანი ბიზნეს ინგლისურში

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს ინგლისური, სიტყვარის სწავლება

**ბიზნესის როლი თანამედროვე სამყაროში.** განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობებში იგი განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეს. ინგლისური ენის მსოფლიო ენად ჩამოყალიბებას ძალიან შეუწყობ ხელი გლობალიზაციის მზარდმა ტემპმა. ენაზე კომუნიკაცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში. გლობალიზაციამ, მათ შორის ბიზნესის ინდუსტრიის ზრდამ აქტუალური გახდა ბიზნეს ინგლისურის როლი სასწავლო პროცესში და მისი კვლევა სხვადასხვა სამეცნიერო რაკურსით.

**ბიზნეს ინგლისურის კურსის სწავლების მნიშვნელობა.** ბიზნესის საერთაშორისო დონეზე გავრცელება ინგლისური ენის შემსწავლელთა დიდ ინტერესს იწვევს. მეორე ენის ცოდნა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს ქართველ ახალგაზრდებს დასაქმდნენ, რადგან ენობრივი უნარები დღესდღეობით ითვლება არა მხოლოდ ამ პროცესის დამხმარე საშუალებად, არამედ აუცილებელ პირობად. ჩვენი უნივერსიტეტის ინგლისური ენის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტებმა არჩევითი საგნებიდან პირველ რიგში ბიზნეს ინგლისურის კურსს მიანიჭეს უპირატესობა, „რადგან იგი მოიცავს ბიზნესის მართვის პრინციპებს“ [7:2]. ამ კურსის დახმარებით ისინი აცნობიერებენ ბიზნესის როლს საზოგადოებაში და ეცნობიან „ბიზნესის ასპექტებს როგორცაა ფინანსები, მარკეტინგი, წარმოება და მენეჯმენტი. ეს კურსი მათ ეხმარებათ ბევრი საინტერესო რამ შეიტყონ იმ სამართლებრივი სტრუქტურების შესახებ, რაც საწარმოს ოპერირებას ითვალისწინებს.“ ბიზნეს ინგლისურის კურსი მათ ასწავლის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ბიზნესის დარგში, ასწავლის თუ როგორ ვიმუშაოთ ერთობლივად, როგორ დავეკონტაქტოთ კოლეგებს - სხვა ქვეყნის კომპანიის წარმომადგენლებს, როგორ აღმოვაჩინოთ და გადავწყვიტოთ არსებული პრობლემები [8:3]. ბიზნესით დაკავებული თუ ბიზნესით დაინტერესებული პირები სხვადასხვა ტიპის ბიზნესის ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების დახმარებით სწავლობენ გადაწყვეტილების მიღების გზებს, ავითარებენ მარკეტულ სტრატეგიებს, ოპტიმალურს ხდიან ბიზნესის მართვას, ხელს უწყობენ ინოვაციებს და ინარჩუნებენ ეთიკურ ნორმებს.

**კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.** ამ კურსის ათვისების დროს ახალგაზრდები ხვდებიან ისეთ ენობრივ მოვლენებს, რაც ზოგჯერ დამაბნეველია, გასაგებად რთული და გაურკვეველია მათთვის. კვლევის მიზანია ამ კურსის მასწავლებლებს დავეხმაროთ

სახელმძღვანელოებში თუ სპეციალურ ლიტერატურაში არსებული იმ ლექსიკური ერთეულების სწავლებაში, რაც დამახასიათებელია ბიზნესის სფეროსთვის.

ჩვენს მიერ შედგენილი სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოზე ვარჯიში სტუდენტებს გაუადვილებს ბიზნესის ტექსტებში თუ საგაზეთო სტატიებში მოცემული ლექსიკური ერთეულების გაგებას. უცხო ტერმინების, სიტყვების, აკრონიმების, ფრაზებისა თუ იდიომების გამოყენება მათ მეტყველებას ავთენტურობას შესძენს. შემდგომში კი გაუმჯობესებს მათ კომუნიკაციას უცხოელ კოლეგებთან; ისინი უკეთ გაიგებენ ნებისმიერ ინგლისურენოვანი ბიზნესშეხვედრების მიზანსა და იქ განხილული საკითხების არსს.

კვლევის დასაწყისში ჩვენს მიერ მოძიებული სპეციალური ლიტერატურიდან ამოკრებილ იქნა სტუდენტთათვის განსაკუთრებით რთული ტერმინები, ფრაზები და იდიომები. მოხდა მათი კლასიფიკაცია ფორმისა და მნიშვნელობის კუთხით; მიზანი გახლდათ მათი სწავლება დაგვეწყო მარტივად, ნაცნობი ლექსიკური ერთეულებიდან და შემდეგ გაგვეგრძელებინა ისეთებით, რომელთა შესატყვისი ქართულად არ გვაქვს. სავარჯიშოების შედგენისას გავითვალისწინეთ ყველა ის შემთხვევა, რაც მასწავლებლებს გაუმარტივებთ აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სწავლებას.

კვლევის დროს აქცენტი გაკეთდა ბიზნესშეხვედრების მსვლელობისას გამოყენებულ სიტყვებზე. ბიზნეს ინგლისურის სახელმძღვანელოების უმეტესობა კომუნიკაციის შესწავლით იწყება, რადგან შეიძლება კომპანიას ან ფირმას საუკეთესო პროფესიონალები ჰყავდეთ, მაგრამ ბიზნესის მართვის წარმატება უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობაზე დამოკიდებულია. ბიზნესმენები, კომპანიის მენეჯერები, საწარმოს მმართველები, აღმასრულებელი დირექტორები, ეკონომისტები, მომმარაგებლები, მყიდველები თუ გამყიდველები, აქციონერები თუ ინვესტორები მუდმივ თუ წერილობით კავშირში არიან ერთმანეთთან, განსაკუთრებით ეს მეტ მნიშვნელობას იძენს, თუკი ამ კომუნიკაციას ადგილი აქვს საერთაშორისო, გლობალურ დონეზე, სადაც ინგლისური ენის ფლობა აუცილებელი პირობაა. სხვადასვა ქვეყნის ბიზნესში დაკავებული პირები მუდმივ სატელეფონო კავშირში არიან თავიანთ კოლეგებთან, აქვთ მიმოწერა, ესწრებიან კონფერენციებს, თუ პრესკონფერენციებს, მონაწილეობას ღებულობენ პრეზენტაციებსა თუ სემინარებში.

აღნიშნული სტატიის მიზანიც ის არის, რომ სხვადასხვა ტიპის ბიზნესშეხვედრების მომზადებისა თუ ჩატარების დროს ბიზნესში ჩართულმა სპეციალისტებმა გამოავლინონ კომუნიკაციის ისეთი დონე, რაც ამ კომუნიკაციის ეფექტურობას განაპირობებს.

**ემპირიული მასალის თეორია და პრაქტიკა.** ბიზნესის ენის შემსწავლელი ხვდება ბიზნეს შეხვედრების რამდენიმე ტიპს:

1. საუბარი, გონებრივი იერიში, პროექტის განხილვა.
2. დეპარტამენტთან შეხვედრა, მომმარაგებლებთან შეხვედრა, მომხმარებლებთან შეხვედრა.
3. კომპანიის კომიტეტთან შეხვედრა, კომპანიის ყოველწლიური ანგარიში და აქციონერთა და მოწილეთა შეხვედრა მომავალი გეგმების შესახებ [5:59].

აღნიშნული სახის შეხვედრებს საერთო ტერმინი და ფრაზაც ახასიათებთ, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება კერძოდ თითოეული სახის შეხვედრისთვის სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები.

კვლევის დროს განხილულ იქნა ტერმინები გამოხატული სხვადასხვა ფორმით და შინაარსით, სიტყვათა შეთანხმებით (კოლოკაციებით), კომპოზიტებით (დეფისით და უდეფისოთ), გამოთქმები, ფრაზები და იდიომები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინს განსაზღვრავენ შემდეგი სახით: „ტერმინს ვუწოდებთ ნებისმიერ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს იმ ცნების აღსანიშნავად, რომელიც დამახასიათებელია ბიზნესის, კულტურის თუ განათლების ამა თუ იმ სფეროსათვის. იგი ყოველმხრივ სპეციფიკური ხასიათის სიტყვაა. იდეალური ტერმინი მონოსემანტიკურია და თავის სფეროში გამოყენებისას მიკროკონტექსტზე არ არის დამოკიდებული. ე.ი. არ



იხმარება მრავალმნიშვნელოვანი სიტყვის ფიგურალური (გადატანითი) ვარიანტით. თუკი ტერმინი მრავალმნიშვნელოვანია, მის გამოყენებას თავს არიდებს ამ სფეროში დაკავებული სპიკერი თუ სპეციალისტი, ჟურნალისტი თუ მიმომხილველი. ტერმინებად გვხვდება სიტყვათქმნადი ერთეულები, კომპოზიტები, სემანტიკური ცვლილებებით ან სესხებით მიღებული ლექსიკური ერთეულები“ [2:210].

ბიზნეს ტექსტებსა და საგაზეთო სტატიებში მივიღეთ ტერმინთა ტიპები შემადგენლობის მიხედვით. გვაქვს ერთსიტყვიანი, ორსიტყვიანი, მრავალსიტყვიანი ტერმინები, კომპოზიტები[1:110].

ერთსიტყვიანი	ორსიტყვიანი	მრავალსიტყვიანი
Export Import Capital Gross Crisis Budget Fund Invoice Input	Advertising campaign Action point Target audience	New customer relations department Loyal customer base Increasing competitive marketing environment
კომპოზიტები	კომპოზიტები (დეფისით)	ფრაზული ერთეულებიდან აღსანიშნავია (კოლოკაციები):
Chairperson/Chairman Shareholder Stockholder Benchmarking Fundraising Latecomer Standpoint	Bank-stock Bench-mark	Arrange a meeting Run a meeting Push back a meeting Make a point = get off the point Speak to the point Come to an agreement/reach an agreement Take action Take advantage of smth Take revenge

აზრებისა და გამონათქვამების ეკონომიურობას ემსახურება აბრევიატურები და აკრონიმები, რითაც მდიდარია ბიზნესის ენა:

BKPR – bookkeeper - ბუღალტერი

CAO – Chief Accounting Officer - აღრიცხვების მთავარი ბუღალტერი

CFO – Chief Financial Officer - ფინანსების მთავარი ოფიცერი

CEO – Chief Executive Officer - აღმასრულებელი დირექტორი

SWOT - აკრონიმი, რომელიც არის ანალიზის ფორმა, ამოწმებს თქვენს:

Strength - სიძლიერეს

Weakness- სისუსტეს

Opportunities - შესაძლებლობებს

Threats - მოსალოდნელი საფრთხეს

KPI – Key Performance Indicator - აკრონიმი, რომელიც აღნიშნავს პიროვნების ან კომპანიის მიერ შესრულებულ საქმის მყარ ინდიკატორებს. ჩვეულებრივ მაჩვენებელია თუ რამდენად ეფექტურია თქვენი ბიზნესი სპეციფიკურ სფეროში.

„ფიქსირებული გამოთქმები ისეთ გამოთქმებს აღნიშნავს, სადაც სიტყვის არანაირი ცვლილება არ დაიშვება, არც ვარიაცია და არც ჩანაცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოთქმა მნიშვნელობას კარგავს. ბევრი ასეთი გამოთქმა საინტერესოა ინფორმაციული თვისებებით. მათი ექსპრესიულობა, სტილისტური ხასიათი და ემოციური შეფერილობა მხოლოდ გამოთქმის შემადგენელი ელემენტების ურთიერთინტერაქციით მიიღება“ [1:143].

To lay the groundwork  
To keep in touch with  
Ramble and wonder of the point  
To make a profit  
To keep wondering off the time  
To get out of the control  
To stick to the point  
Cover a lot of ground  
To take advantage  
Point of view

#### **იდიომები**

On the same page=see eye to eye=to be on the same wavelength  
Get the ball rolling  
Tighten your belt=tighten the purse strings=pinch pennies  
Knuckle down  
In a nutshell  
Can't make head or tail of smth  
To beat about the bushes  
[To be like talking to a brick wall](#) [3:9-10].

**კვლევის შედეგები.** აღნიშნული კვლევის ემპირიული მასალის გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ინგლისურ ენაში არსებული ბიზნესის ენა მდიდარია ლექსიკური ერთეულების მრავალფეროვნებით. ბევრ ჩვენგანს ესმის ლექსიკის კომუნიკაციური ძალა და მნიშვნელობა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს დიდი რაოდენობის სიტყვების შესწავლა მოვახერხოთ, თუმცა ლექსიკის ათვისება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს ისეთი ტერმინებისა და გამოთქმების ჯერ ათვისება და შემდეგ მათი გამოყენება, რომელთა შსატყვისი ქართულში არა გვაქვს, არადა ასე საჭირო და აუცილებელია მისი ხმარება ბიზნესში. ასევე პრობლემურია სიტყვათა გრძელი რიგის ჯგუფი, რომელიც ისე გვხვდება როგორც ერთი ერთეული, ისინი წარმოადგენენ „ჩანკებს“ (Chunks) ან ზოგჯერ მრავალსიტყვიან ერთეულებს. შეიძლება ითქვას, რომ კოლოკაციებს და ჩანკებს უკავიათ საშუალო პოზიცია სიტყვასა და გრამატიკას შორის [6:27]. ზემოთაღნიშნული სიძნელეების გამო შესაფერისი სავარჯიშოების შედგენამ გაუადვილათ სტუდენტებს შედარებით რთული ლექსიკური ერთეულების გაგება. ჩვენს მიერ გამოყენებული სავარჯიშოების ტიპებია:

1. Multiple Choice - მრავალჯერადი არჩევანი
2. Matching - დაწყვილება (როგორც კოლოკაციების ასევე დეფინიციების)
3. Gap Filling - სიტყვების ჩასმა
4. Reading the words to make idioms - იდიომების აწყობა
5. Correcting the sentences - წინადადებების გასწორება

**დასკვნა.** იქედან გამომდინარე, რომ ბიზნეს ინგლისურის სწავლება საკმაოდ რთული პროცესია, იგი მოითხოვს დიდ ძალისხმევას როგორც მასწავლებლის ასევე სტუდენტის მხრიდან. ტერმინების შემადგენლობის და მათი იდიომების მნიშვნელობების დადგენამ მოგვცა საშუალება ზოგჯერ შესატყვისი ქართულ ენაშიც მოგვეძია. ინგლისურ ენაში ზოგიერთი ტერმინი არ ითარგმნება, მაგრამ მისი ხშირი გამოყენება ქართულ ენაშიც გვხვდება. მაგ: იმპორტი, ექსპორტი, კრიზისი, კპიტალი, ინვოისი, ფონდი, ბანკი ად აშ. კოლოკაციებიდან - arrange a meeting - შეხვედრის მოწყობა, reach an agreement - შეთანხმების მიღწევა, მაგრამ run a meeting - კრების წაყვანა, ხოლო run business - ბიზნესის მართვა, საერთოდ ყველაზე მთავარი მნიშვნელობა კი ამ ზმნისა „სრიალია“. To get out of control - კონტროლიდან გამოსვლა; tighten your belts - ქამრების შემოჭერა (ნაკლები ფულის დახარჯვა) და ა.შ. ისეთები, რომელთაც ქართულთან არანაირი კავშირი არ აქვთ შეიძლება ვარჯიშის საფუძველზე შემოვიდეს ქართველი ახალგაზრდების სიტყვარის შემადგენელ ნაწილად. სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებზე დაყრდნობით სტუდენტები შეძლებენ შეასრულონ როლური აქტივობები ბიზნესშეხვედრების იმიტაციით.

### ლიტერატურა:

1. Арбекова Т. И (1977): Лексикология английского языка (практический курс), Москва, высшая школа
2. Арнольд И.В. (2012): Лексикология современного английского языка, Москва, высшая школа
3. Cotton D., Favley D., Kent S. (2011): Market Leader 3rd Edition: Upper Intermediate Coursebook, Pearson Educatio
4. Locker, K. O. (1995): Business and administrative communication (3rd ed.). Chicago: The Ohio State University
5. Mascoul B. (2017): Business Vocabulary in use, Cambridge University Press
6. Scivener J. (2005): Learning Teaching, Macmillan Books for Teachers
7. [https://en.wikipedia.org/wiki/Business\\_studies](https://en.wikipedia.org/wiki/Business_studies)
8. [https://www.vedantu.com/commerce/how-to-learn-business-studies?fbclid=IwAR17Xos4Sm4o1Y1Ffc8\\_7SXw70\\_76cIVq4AZAzHghEC-I4J\\_sLGqQL7tB2M](https://www.vedantu.com/commerce/how-to-learn-business-studies?fbclid=IwAR17Xos4Sm4o1Y1Ffc8_7SXw70_76cIVq4AZAzHghEC-I4J_sLGqQL7tB2M)

**Nunu Charkviani, Sopio Kipiani**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

[nunu.charkviani@atsu.edu.ge](mailto:nunu.charkviani@atsu.edu.ge); [sopio.kipiani@atsu.edu.ge](mailto:sopio.kipiani@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.59>

### Some peculiarities in teaching business vocabular

#### Abstract

The article deals with business studies. The course of Business English covers the principles of running a business. Increasing the students' Business Vocabulary is very valuable. It enables them to communicate ideas with their industry colleagues in future. Very often students find confusing to understand some English business words and phrases in special texts and newspaper articles.

Our research aims to help teachers to make the teaching process easy. Terms and words, phrases and idioms, single word vocabulary items, common going-together patterns of words (collocations) and longer combinations of words analyzed in the article is a good remedy to become a base – that will make students' communication very effective.

**Key Words:** business vocabular , teaching

**თამარ ციციშვილი**

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
t.tsitsishvili@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.60>

## ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში

**საკვანძო სიტყვები:** ცენზურა, პერიოდული პრესა

რუსეთის იმპერია თავის ტერიტორიაზე მკაცრ დამპყრობლურ პოლიტიკას აწარმოებდა და ამ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში მის სადამსჯელო ორგანოებს - პოლიციასა და ჟანდარმერიას ცენზურაც გვერდში ედგა. იმპერიული ცენზურა ზედამხედველობითი ორგანო იყო, რომლის ფუნქციებში იმპერიის ტერიტორიაზე მისთვის არასასურველი ინფორმაციის, „მიუღებელი აზრებისა და ცნობების“ გავრცელების აკრძალვა შედიოდა. ცენზურას ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა ტექსტი, ქვეტექსტი, სიმბოლო, ფარული მინიშნება, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც იმპერიული მთავრობა საფრთხის შემცველად ჩათვლიდა. პერიოდული პრესა განსაკუთრებულ ცენზურას ემორჩილებოდა. პრესას ეკრძალებოდა ნებისმიერი ცნობის გამოქვეყნება, რომელიც იმპერიაში პოლიტიკური და სოციალურ პროცესებს, გამოსვლებსა თუ ნებისმიერი სახის „მღელვარებას“ აშუქებდა.

რუსეთში ცენზურა XVI საუკუნეში ჩაისახა, 1721 წლიდან კი სასულიერო ცენზურას უკვე სინოდი ახორციელებდა. XIX საუკუნეში შეიქმნა ცენტრალური წესდება, რის საფუძველზედ აიკრძალა „მართლმადიდებლური რელიგიისა და თვითმპყრობელური წესწყობილების საწინააღმდეგო თხზულებები“. 1828 წლიდან ბეჭდვითი სიტყვის კონტროლი განათლების სამინისტროსთან არსებული ცენზურის მთავარ სამართველოს დაევალა, პრაქტიკულად ეს იყო ე.წ. „მესამე განყოფილება“, ხოლო შემდგომ - 1882 წლიდან ცენზურას შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სახალხო განათლების მინისტრისა და სინოდის ობერპროკურორის თათბირი განაგებდა.

1848 წელს დაარსდა კავკასიის საცენზურო კომიტეტი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის შემადგენლობაში შევიდა. მის საქმიანობას სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ახორციელებდა. 1860 წლიდან საცენზურო კომიტეტი ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა, 1863 წლიდან ის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა, ხოლო შემდგომ, 1867 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს დაექვემდებარა. საქართველოსთვის ეს უმძიმესი პერიოდი შეფასებულია, როგორც „საცენზურო ტერორის ეპოქა“.

ცნობილია, რომ ცენზურა იყო წინასწარი და შემდგომი. წინასწარი ცენზურა, შინაარსიდან გამომდინარე, თავიდანვე ამოწმებდა და კრძალავდა საცენზურო კომიტეტში შემავალ ნებისმიერ მასალას, ან ნებართვას იძლეოდა მათ დაშვებაზე. შემდგომი ცენზურა

კი, თუ ადგილი ექნებოდა რაიმე სახის მასალის „გაპარვას“, სანქციებსა და შემზღუდავ ღონისძიებებს ახორციელებდა.

საქართველოში სხვადასხვა დროს ცენზორებად მუშაობდნენ (ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს), - ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, ივანე ყაითმაზოვი, „დროდადრო“ ნიკოლოზ ბერძენიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ფურცელაძე, ლუკა ისარლიშვილი, რაფიელ ერისთავი. განსაკუთრებული სისასტიკით, განსხვავებით სხვებისგან, ლუკა ისარლიშვილი და ივანე ყაითმაზოვი გამოირჩეოდნენ.

აქვე გვინდა გავიხსენოთ რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის ღვაწლი. რაფიელ ერისთავი 1889 წლიდან საცენზურო კომიტეტში ქართული ენის ცენზორია. მას უნდა ვუმადლოდეთ ალექსანდრე ყაზბეგის ოთხტომეულის (საცენზურო კომიტეტს მისი ორ ტომად გამოშვება სურდა), პოეტ მამია გურიელის თხზულებების (იმპერიის საწინააღმდეგო პატრიოტული თემატიკის გამო აიკრძალა) დაბეჭვდას და სხვა მრავალი ეროვნული ინტერესის დაცვასა და ხელშეწყობას. გავიხსენოთ თუნდაც „ივერიაში“ 1896 წელს დაბეჭდილი ფელეტონი „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“, რომლის გამოც ილია ჭავჭავაძეს მითითება მიეცა, ხოლო რაფიელ ერისთავს კი საცენზურო კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ალექსანდრე ჯაბადარი იხსენებდა, რაფიელ ერისთავმა შინაურულად მითხრა, არ ვიცი ცენზორად რამდენ ხანს ვიმუშავებ და სანამ აქ ვარ, თუ რაიმე გაქვს საეჭვო დასაბეჭდად, სასწრაფოდ მოიტანეო. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს რაფიელ ერისთავის პიროვნება და საცენზურო კომიტეტში მისი მუშაობის ხასიათი. როგორც ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რაფიელ ერისთავის ცენზორობის პერიოდში, არაერთი და ორი საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. 1896 წელს რაფიელ ერისთავმა საკუთარი ნებით დატოვა საცენზურო კომიტეტი (თ.შარაბიძე, თ. ციციშვილი 2022: 238). საცენზურო კომიტეტის მასალებში რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის, ხელმოწერით ვხვდებით მრავალ მხატვრულ ტექსტს, რომელიც ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაიბეჭდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კოლონიურმა ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. 1882 წლიდან ოფიციალურად აიკრძალა საქართველოს სახელის საჯაროდ ხსენება, იმპერია აიძულებდა ქართველობას ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო (ციციშვილი 2022). იმპერიული ცენზურა სასტიკად ებრძოდა და სდევნიდა ყოველივე ქართულს - ეკლესიას, მწერლობას, თეატრს, პრესას და ზოგადად ქართულ სიტყვას. კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა გაეკონტროლებინა, თუ საჭირო იყო დაებლოკა, არა მარტო ყველა წიგნი, მხატვრული ტექსტი, კრიტიკულ-პუბლიცისტური მასალა, პრესის ორგანო („ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“, „კრებული“, „მნათობი“, „კვალი“, „იმედი“, „შრომა“, „ნაკადული“ და სხვა საქართველოში გამოძვალა ქართული ან არაქართულენოვანი პრესა), არამედ სასულიერო ლიტერატურა, საბაჟოები, ტიპოგრაფიები, მუსიკალური ნოტები, მხატვრული ტილოები და ასე შემდეგ. თამარ შარაბიძე განიხილავს იმ კრიტერიუმებს, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა რედაქტორობის კანდიდატები, კერძოდ, მათ შერჩევაში ყველა კომპონენტი უნდა გათვალისწინებულიყო - წარმომავლობა, გიმნაზიაში მიღებული ნიშნები, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დისციპლინასა და კანონმორჩილებას.

რაც შეეხება თეატრალურ ცენზურას, ის მკაცრ ზედამხედველობას უწევდა და აკონტროლებდა სცენაზე წარმოდგენილ ნებისმიერ თავისუფალ სიტყვასა და რეპლიკას. პოლიციის დასწრება თითოეულ წარმოდგენაზე სავალდებულო იყო, მათ თვალყური უნდა ედევნებინათ, როგორც ტექსტისათვის, აგრეთვე, მსახიობთა მიმიკისთვისაც. ის, რისი დადგმაც შეიძლებოდა დედაქალაქებში - მოსკოვსა და პეტერბურგში, იკრძალებოდა პროვინციებში, მაგალითად თბილისში (თ.შარაბიძე, ჟურ. „სჯანი“, 2023. N24).

რაც შეეხება რუსულ პრესას, იქ ქართველებზე დაბეჭდილი ცილისმწამებლური სტატიები ცენზურას არ გადიოდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „სოვრემენი ვესტნიკი“, რომელიც ასაბუთებდა, რომ ქართველი ერი დაკნინდა, გადაგვარდა

ზნეობრივად და მორალურად, გამოიფიტა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ცივილიზებულ სამყაროსთან. XII საუკუნეც კი ქართველი ერისათვის მორალური გახრწნის და გადაგვარების ეპოქა ყოფილა. ილია ჭავჭავაძე ამგვარი ტიპის წერილებზე წერდა, სხვა ქვეყანაში ასეთი რამ რომ გაბედოს გაზეთმა, მკითხველი შეუთვლის, რომ - „შენმა სუნმა ამამყარა და აწი ჩემსას არ გაიჭანანო“.

საგულისხმოა, რომ საცენზურო კომიტეტი თავის დოკუმენტებში ასაბუთებდა, რომ ქართველები „ყაჩაღები, „ველურები არიან და რეფორმების ღირსიც არ არიანო“. დოკუმენტებში ქართველებს ყოველთვის „ტუზემცებს“ უწოდებენ და არა მარტო ქართველები, არამედ სომხები, აზერბაიჯანლები, ჩრდილო კავკასიელები ყველა კავკასიელი ტუზემცებად მოიხსენიებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენზურა უმოწყალოდ ჩეხავდა ყველაფერს, რაც მათი თვალსაზრისით საეჭვო იყო. ნიშანდობლივია, რომ ცენზურა არ აკმაყოფილებდა, ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების, როგორც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და აკაკი წერეთელი, მცდელობას მიეღოთ ნებართვა პერიოდული ორგანოების გამოსაცემად. მაგრამ მიუხედავად ამ ჯოჯოხეთური პირობებისა, ქართველი მწერლები და ჟურნალის რედაქტორები ატყუებდნენ, გზა-კვალს უზნევენ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ეზოპეს ენით ალევორიულობით, საოცარი მოქნილობით, ხან პირდაპირ და ხან ნართაულად, ებრძოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და უმოწყალოდ დაჩეხილ-დასახიჩრებული წერილები პრესაში მაინც იბეჭდებოდა. „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად - წერდა აკაკი - ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვება, მე ვამბობ ცენზურა“. აკაკი ცენზორს „ტვინმეისტერს“ უწოდებდა.

ცენზურისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო სასწავლო დაწესებულებებში არსებული ნეგატიური მდგომარეობის ჩვენება და ამგვარი კორესპონდენციები, რომელიც სისტემატურად შედიოდა ქართულ პრესაში, ყველგან მკაცრად იბლოკებოდა. ძალზედ ხშირად ვაწყდებით ცნობებს, სხვადასხვა რეგიონებში სასულიერო სასწავლებლებში, საოსტატო სემინარიებში, კლასიკურ გიმნაზიებში არსებულ გაუსაძლის პირობებზე. რუსეთის იმპერია ყოველნაირად ცდილობდა სასწავლო დაწესებულებებში არსებული ნაკლის დაფარვას.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს, რომელიც აჩვენებს იმ ეპოქის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას. „დროებაში“ ცენზორის დადგენილებით (15 იანვარი 1882წ) არ გასულა სტატია, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქების საოსტატო სემინარიებში გამეფებულ მძიმე მდგომარეობას ეხება. კორესპონდენციაში საუბარია, რომ ზოგიერთ საოსტატო სემინარიებში მოწაფეები ერთი ნაჭერი პურისათვის ჩხუბობდნენ და ერთმანეთს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ. მიზეზი შემდგომშია, რომ სემინარიელები ნახევრად შშივრები არიან. „დროებაშივე“ აიკრძალა მეორე კორესპონდენცია - ალექსანდროვის სემინარიის შეგირდებმა მაზრის ინსპექტორ ილია შენკოს მიმართეს, დირექტორი ბ. კოლოვიჩის ყოვლად უღირს ქმედებებთან დაკავშირებით. „დირექტორი მათ უკადრისი სიტყვებით ლანძღავდა, შეურაცხყოფდა მათ ეროვნულ გრძნობებს, ამომშილებდა, ურიგოდ ეპყრობოდა, მუშტებს უშენდა და მუჯლოფუნებს ურტყამდა“.

1882 წლის „დროების“ 19 მარტის ნომერში აიკრძალა შემდეგი შინაარსის წერილი. თბილისის სასულიერო სემინარიის შეგირდმა, სემინარიის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ბ. სტეპანოვს ქვით თავი გაუტეხა. რედაქციის აზრით, მართალია, სემინარია ქალაქის შუაგულში იყო განთავსებული და სპეციალურად ძალიან მაღალი ზღვით გარშემორტყმული. სასულიერო სემინარიაში წესითა და რიგით მამაშვილური დამოკიდებულება უნდა სუფევდეს, როდესაც მგელი და ცხვარი ერთად სძოვს, მაგრამ დიდი ხანია მასწავლებლები და შეგირდები ორ დაპირისპირებულ, მტრულ ბანაკად იყვნენ დაყოფილნი. შეგირდი მაჭავარიანი, ვინც ეს ქმედება ჩაიდინა, როდესაც პოლიციაში მიიყვანეს დამშეული და „მონძებში“ ჩაცმული იყო. ბავშვს ემჩნეოდა, რომ ის მოძალადე არ იქნებოდა. წარმოიდგინეთ, რა დიდი უნდა ყოფილიყო მაჭავარიანის ბოღმა და უიმედობა,

რომ მან არც თავი დაზოგა და არც სხვა. რედაქცია იმედოვნებდა, რომ ეგზარხოსი პავლე დაადგენდა მიზეზს, რამაც ყმაწვილი გაამწარა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეგზარხოსი პავლე არც იფიქრებდა სიმართლის დადგენას. აქვე გვინდა მოვიყვანოთ ერთი ეპიზოდი შიო არაგვისპირელის მოგონებიდან, თუ ვინ იყო ეგზარხოსი პავლე ლებედევი, რომელმაც ქართველი ერი დაწყევლა: „ჩუდეცკის (სემინარიის რექტორი, დეკანოზი, რუსი რეაქციონერი) ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი, ამავე დროს ეგზარხოსი პავლეს ცოლიც იყო. როდესაც ქუჩაში ხმაური შეწყდებოდა, ეგზარხოსის კარეტა ჩუდეცკის ბინას მოადგებოდა და ჩუდეცკისაც თავისი ლამაზი ცოლი უნდა ჩაესვა და ეახლებინა ეგზარხოსისათვის. თუ რა ხდებოდა იმის გულში არავინ იცოდა, ჩუდეცკი კი თავის გულის ვარამს ჩვენს ზურგზედ იქარვებდა“.

„დროებაშივე“ ცენზურამ აკრძალა სტატია, სადაც საუბარია თელავში ორკლასიან ქალთა სომხური სასწავლებლის მასწავლებელ ქალზე, რომელიც სასწავლებელში კი არა, „ტრახტირშიც“ კი არ შეიშვებოდა. მუდმივად კაცებს ედევნებოდა, იყო ნასვამი, გოგონებს კი სისტემატურად ყურში უხამს სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

ეგზარხოსისვე განკარგულებით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასულიერო სასწავლებლებში უნდა მოსპობილიყო ან შემცირებულიყო ქართული ენის გაკვეთილებისათვის განსაზღვრული საათები და ეს დრო რუსული ენის სწავლებას დამატებოდა. ამ მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების წერილები ან ძალზედ მკაცრ ცენზურას გადიოდა ან მთლიანად იბლოკებოდა და ეს ბუნებრივიცაა. რუს მოხელეებსა და ეგზარხოსებს საერთოდ არ აღეღვებდათ სასულიერო სემინარიებში ქართველი ახალგაზრდებისათვის სპეციალურად შექმნილი გაუსაძლისი პირობები.

მაგალითად, „დროების“ 1882 წლის 22 მარტის ნომერში არ დაუშვეს წერილი, რომელიც ხელმოუწერელია, სტატია, ალბათ, რედაქციას ეკუთვნის. წერილში ეგზარხოსის განკარგულებაზეა საუბარი, ის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენისა და ძველი ენების გაკვეთილებისათვის განსაზღვრული საათების შემცირებას მოითხოვს. ეს დრო კი მთლიანად რუსული ენის სწავლებას უნდა დამატებოდა. შემდგომში უკვე ქართული ენისათვის განკუთვნილი საათები საერთოდაც შეამცირეს. ცარიზმის ერთგულმა ქვეშემრდომმა, რეაქციონერმა იანოვსკიმ, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი გახლდათ, ძალ-ღონე არ დაიშურა ქართული კულტურისა და ენის წინააღმდეგ ბრძოლაში. იანოვსკიმ 1885 წელს ცირკულარი გამოსცა. ცირკულარის მიხედვით, ყველა ტიპის სკოლებში დაწყებით კლასებიდან რუსულ ენაზე სწავლება სავალდებულო გახდა. ქართული ენა განიდევნა და არასავალდებულო საგნად ჩაითვალა. „დედაენის სწავლება ოფიციალურად საოჯახო საქმედ გამოცხადდა“. ილია და სხვა ქართველი მოღვაწეები არ ეგუებოდნენ იანოვსკის „სწავლების ჯოჯოხეთურ, მუნჯურ მეთოდს“. მათ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ქართული ენის დაუძინებელი მტერი იანოვსკი და მისი საგანმანათლებლო პოლიტიკა.

პატარა ბავშვი, რომელიც სკოლაში შედიოდა და ენა ქართულად ჰქონდა ადგმული, პირველად წერა-კითხვა ქართულადვე უნდა დაეწყო. ბუნებრივია, რომ პატარებმა ჯერ მარტო მშობლიური ენა იცოდნენ და უცხო, რუსულ ენაზე, ვერც გაკვეთილებს მოამზადებდნენ და ვერც გაუგებარ ტექსტებს დაიხეპირებდნენ. ეგზარხოსის განკარგულებით სასწავლებლებიდან დაითხოვეს ქართველი პედაგოგები. მოსწავლეებს ყველა საგანს რუსი პედაგოგები ასწავლიდნენ, მათ ქართული საერთოდ არ ესმოდათ, ამიტომ სასწავლო დაწესებულებებში მუნჯური სწავლების სისტემა გამეფდა. რუსი პედაგოგები ხელით ეხებოდნენ მოსწავლეებს და მათ მშობლიურ ენას შეურაცხყოფდნენ. აკრძალული სტატიების ავტორების აზრით, ამგვარი სწავლის მეთოდი დაუშვებელია, „ეს არის ჭეშმარიტი უსამართლობა“ - წერდნენ ისინი. ეგზარხოსისვე განკარგულებით სასულიერო სემინარიაში ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის სწავლებაც აკრძალა. ქართული საზოგადოების მხრიდან ამ გაუგონარ უსამართლობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

საცენზურო კომიტეტის მასალებში უამრავ ამგვარ კორესპონდენციას ვაწყდებით, რომელიც დაბლოკილია და ცენზურის მიერ მკაცრად აკრძალული.

ნებადაურთავია, აგრეთვე, კორესპონდენციები, სადაც ძალზედ ხშირად საუბარია იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სასწავლო დაწესებულებებში იყო გამეფებული. ავტორების აზრით, აუცილებელი იყო, არა მარტო სასწავლო დაწესებულებების გაზრდა, არამედ მასწავლებლების კვალიფიკაციისათვის დიდი ყურადღების მიქცევა და პედაგოგებისათვის ხელფასების მომატება, რომ ისინი უფრო დაინტერესებულიყვნენ მოსწავლეებისათვის შესაფერისი ცოდნის მიცემით.

საქართველოში ცენზურა განსაკუთრებული აგრესიულობით ებრძოდა სწავლა-განათლების სფეროს, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ მოსწავლეები ქართულ ენას და ისტორიას დაივიწყებდნენ, იმპერია თავის მიზანს უფრო ადვილად მიაღწევდა, ქართველი ერი თანდათან გარუსდებოდა. ცენზურის რეაქციულ თარეშს წინ აღუდგა - ქართული მწერლობა, პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ყველა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა XIX საუკუნე ქართველი ხალხისათვის ეროვნული იდეის, პიროვნებისა და აზროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანაა.

### ლიტერატურა

თ. შარაბიძე, თ. ციციშვილი. ქართული დრამატურგია ქრესტომათია. ნაცნობი და უცნობი ტექსტები. გამ. თსუ, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი. 2023.

თ. ციციშვილი. ქართული ხალხოსნური მწერლობა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკული აზრი. წიგნში „მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში“. გამ. „მწიგნობარი“. თბილისი. 2022.

თ. შარაბიძე, გ. კუჭუხიძე, დ. ჭუმბურიძე. ცენზორის ინსტიტუტი XIX საუკუნის 50-70- იანი წლების ქართული გამოცდილების კონტექსტში. ჟურ. „სჯანი“. 2023. N24

**Tamar Tsitsishvili**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
t.tsitsishvili@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.60>

## **Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia**

Resume

The Russian Empire carried out a strict conquering policy on its territory, and in the successful implementation of this policy, its punitive bodies - the police and the gendarmerie - were also supported by censorship. The Imperial Censorship was a supervisory body whose functions included the prohibition of disseminating unwanted information, "unacceptable thoughts and reports" on the territory of the Empire. Censorship was to strictly control the text, the subtext, the symbol, the hidden allusion, in a word, anything that the imperial government deemed to be dangerous. The Georgian periodical press was subject to special censorship. The press was forbidden to publish any information covering political and social processes, speeches or any kind of "excitement" in the empire.

In the second half of the 19th century, colonial oppression in Georgia reached its extreme limit. Since 1882, it was officially forbidden to mention the name of Georgia in public, the empire forced Georgians to become Russians in language, mind and feelings. Imperial censorship fiercely fought and persecuted everything Georgian - church, literature, theater, press and the Georgian word in general. The functions of the committee included controlling, if necessary blocking, not only all books, artistic texts, critical-publicist materials, press organs, but also religious literature, customs, typographies,



musical notes, artistic canvases, and so on. As for theatrical censorship, it was strictly supervised and controlled any free words and lines spoken on stage. The presence of the police was mandatory at each performance, they had to monitor both the text and the mime of the performers. What could be staged in the capitals - Moscow and St. Petersburg, was prohibited in the provinces, for example in Tbilisi. Censorship was particularly against to show the negative situation in educational institutions, and such correspondences, which were systematically included in the Georgian press, were strictly blocked everywhere. In Georgia, censorship fought particularly aggressively in the field of education, because they knew very well that if the students forgot the Georgian language and history, the empire would achieve the goal more easily, the Georgian nation would gradually become Russian. In the materials of the Censorship Fund, we very often come across reports about the unbearable conditions in theological schools, master's seminars, and classical gymnasiums in various regions. "Teachers of Russian nationality, selected by the empire, systematically cursed students with unworthy words, insulted their national feelings, starved them, mistreated them, punched them and beat them." The Russian Empire issued a circular in 1885. According to the circular, teaching in the Russian language has become mandatory in all types of schools from primary grades. The Georgian language was banished and considered an optional subject. "Teaching the mother tongue has officially been declared a family affair." Georgian classical writers and public figures did not adapt to the "hellish, mute teaching method" of the imperial teaching. In connection with this painful issue, the letters of Georgian public figures and teachers were subjected to very strict censorship, or were completely blocked. And this is natural. Russian officials and exarchs were not at all worried about the "hellish" conditions specially created for Georgian youth in theological seminaries. Georgian writing, press, theater, literacy society and all Georgian cultural and educational organizations stood up to the reactionary threat of censorship. Despite the worst situation, the 19th century is the age of struggle for the national idea, personality and freedom of thought for the Georgian people.

**Key words:** censorship, periodical press

**ზვიად ცხვედიანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ქუთაისი, საქართველო

zviad.tskhvediani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.61>**სოციოლინგვისტური სიტუაცია საუდის არაბეთში: „თეთრი დიალექტი“**

საკვანძო სიტყვები: „თეთრი დიალექტი“, საუდის არაბეთი

**შესავალი.** თანამედროვე არაბული სამყაროს სოციოლინგვისტური სიტუაციის აღწერა და ანალიზი დიდი ხანია არაბისტ დიალექტოლოგთა და სოციოლინგვისტთა სამეცნიერო ინტერესის სფეროს განეკუთვნება. აღნიშნული გარემოება გამოწვეულია არაბული კონტინუუმისთვის ისტორიულად დამახასიათებელი რთული ენობრივი სიტუაციით, რაც დიგლოსიით კვალიფიცირდება. დიგლოსიის არაბული სპეციფიკა განხილულია არაერთი ავტორის მიერ. მათ საკითხის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს. აღსანიშნავია, რომ ცნობილი „Arabic Sociolinguistics“-ის<sup>1</sup> ავტორის R. Bassiouney-ის რედაქტორობით ამჟამად ედინბურგის უნივერსიტეტი არაბული სოციოლინგვისტიკის ჟურნალს გამოსცემს.<sup>2</sup> 2022-ში კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოსცა წამყვანი დიალექტოლოგების მიერ მომზადებული „Arabic Sociolinguistics“.<sup>3</sup> არაბოლონური სამყაროსთვის სპეციფიკურად რთულ დიგლოსიურ ოპოზიციებს ეძღვნება ა. სილაგაძისა და ე. ეჯიბაძის ნაშრომი - „დიგლოსია: არაბული სპეციფიკა“, რომელიც 2017-ში გამოიცა.<sup>4</sup>

არაბულ სოციოლინგვისტიკაში შექმნილი დიდი მალასა/კორპუსი მოიცავს თანამედროვე საუდის არაბეთის მონაცემებსაც. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთის ცენტრალური რაიონის, კასიმის ახალგაზრდების მეტყველება ამ კუთხით საგანგებოდაა შესწავლილი B. Alkhamees-ის სადოქტორო დისერტაციაში „The „White Dialect“ of young Arabic speakers from Qassim (Saudi Arabia)“.<sup>5</sup> ავტორი წარმოდგენილ დისერტაციაში ე. წ. „თეთრი დიალექტად“ კასიმის ახალგაზრდების სხვა რეგიონის წარმოგანლებთან საუბრის / მეტყველების ფორმას (*al-lahḡa al-beyda*) განიხილავს (B. Alkhamees), თუმცა მისი განმარტება საუდის არაბეთში გაცილებით უფრო ფართოა. ლინგვისტური თვალსაზრისით, „თეთრი დიალექტი“ არ წარმოადგენს კონკრეტულ რეგიონულ სუბდიალექტს. ის არის საუბრის / მეტყველების ფორმა, რომელიც მიმართულია სხვა რეგიონიდან მსმენელის ან მოსაუბრისთვის აზრის ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად და მეტი სიგზადისათვის.

<sup>1</sup> Reem Bassiouney. 2009. Arabic Sociolinguistics. Edinburgh University Press

<sup>2</sup> Journal of Arabic Sociolinguistics. Edinburgh University Press. <https://www.euppublishing.com/loi/arabic>

<sup>3</sup> Enam El-Wer, Uri Horesh, Bruno Herin and Rudolf De Jong. 2022. Arabic Sociolinguistics. Cambridge University Press.

<sup>4</sup> აპოლონ სილაგაძე, ნინო ეჯიბაძე. 2017. დიგლოსია: არაბული სპეციფიკა. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<sup>5</sup> Bushra Alkhamees. 2023. The “white Dialect” of young Arabic speakers from Qassim (Saudi Arabia). Published by LOT (Netherlands Graduate School of Linguistics).

სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამეროვე საუდის არაბეთში. სოციოლინგვისტოვით დაინტერესება საუდის არაბეთში შედარებით გვიან დაიწყო. 1980-იან და 1990-იან წლებში ამ სახის კვლევებს საუდიელი დოქტორანტები ატარებდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის უნივერსიტეტებში. კვლევები ძირითადად ეყრდნობოდა ლაბოვის ვარიაციულ მიდგომას საუდის არაბეთში სოციოლინგვისტური ცვლადების, ენობრივი კონტაქტებისა და ცვლილების შესასწავლად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში ამა თუ იმ ენობრივი თავისებურებების მიმართებებსა და სოციალურ ცვლადებზე საუბარია შუა საუკუნეების არაბი გრამატიკოსების შრომებშიც (Y. al-Rojaie).

თანამედროვე საუდის არაბეთის სოციოლინგვისტური სიტუაცია რთულ სურათს ქმნის. ისტორიულად არაბული სამყაროსთვის დამახასიათებელია დიგლოსია და დიალექტური დიფერენციაცია. როგორც ცნობილია, არაარაბი ემიგრანტები ცალკე ენობრივ ანკლავებს წარმოადგენენ (B. Ingham). თანამედროვე ეტაპზე განათლების უპრეცედენტო გავრცელება, მოდერნიზაციისა და ურბანიზაციის პროცესები, კონტაქტები და მიგრაციის პროცესები ექსტრალინგვისტურ ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ენობრივი ვარიაციების მოდელურსა და ცვლილებებზე.

B. Ingham-ისა და H. Palva-ს შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით არაბეთის ნახევარკუნძულის დიალექტები 4 ძირითად ჯგუფს ქმნის:

1. ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტები: ნაჯდის არაბული, რომელიც წარმოდგენილია 'Aniza-სა და Šammār-ის ტომების მეტყველებით და სამ ძირითად ქვეჯგუფს ქმნის: 'Anazī (აქ ასევე ერთიანდება ქუვეითის, ბაჰრეინისა (სუნიტები) და ყურის დიალექტები), Šammār-ი ასევე მოიცავს გარკვეულ ბედუინურ დიალექტებს ერაყში; სირიულ-მესოპოტამიური ბედუინური (მათ შორის, ჩრდ. ისრაელისა და იორდანის ბედუინური და Dawāğra (სინაის ჩრდილოეთ სანაპიროზე) დიალექტები.

2. სამხრეთ(-დასავლური): იემენი, ჰადრამავთი და ადენი, შიიტების მეტყველება ბაჰარნა ბაჰრეინში.

3. ჰიჯაზი (დასავლეთ არაბული): ურბანული და ბედუინური დიალექტები ჰიჯაზსა და თიჰამაში.

4. ჩრდილო-დასავლური დიალექტები, რომლსაც H. Palva ცალკე ჯგუფად განიხილავს. (K. Versteegh).

არაბულ დიალექტოლოგიაში საუდის არაბეთის დიალექტები კლასიფიცირებულია ორი, გეოგრაფიული და ტომობრივი ნიშნის მიხედვით. ისტორიულად ტრაიბალიზმი იდენტობის ფორმა იყო ბედუინ მოსახლეობაში, თუმცა საუდის არაბეთის სამეფოს დაარსების შემდეგ ეს ტენდენცია შეიცვალა და ტომობრივ იდენტობას რეგიონული ჩაენაცვლა. სოციალური ნიშნით არაბული დიალექტების დაყოფას საფუძვლად უდევს ცხოვრების მომთაბარეობრივი და ბინადრული წესი. შესაბამისად, გამოიყოფა ბედუინური (badawī) და ბინადრული (hadarī) დიალექტები. ლინგვისტური მახასიათებლებს ძირითადად ფონოლოგიური და ფონეტიკური მოვლენები, უფრო იშვიათად მორფოლოგიური მახასიათებლებიც განსაღვრავს. ბინადრული დიალექტები წარმოდგენილია ურბანული, ქალაქისა და სოფლის მეტყველებით.

საუდის არაბეთის ლინგვისტური სურათი კომპლექსური და მრავალფეროვანია. დიალექტური ვარიაციების სიმრავლე და ამ ვარიაციებს შორის კონტაქტი სამეტყველო ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების პრობლემას წარმოქმნის.

ეგვიპტის სოციოლინგვისტური სიტუაციის შესწავლის კვალობაზე M. Badawī არაბულ კონტინუუმში 5 დონეს გამოჰყოფს:

1. *fushā at-turāt* - კლასილური არაბული (გამოიყენება ყურანის რეჩიტაციისას)
2. *fushā al-‘ašr* - თანამედროვე სალიტერატურო ენა (თანამედროვე სტანდარტ-ენა, რომელიც მწერლობასა და ფორმალურ სიტუაციებში გამოიყენება)

3. *‘ammiyyat al-muṭaqqafīn* - განათლებული მოსახლეობის ფორმალური სასაუბრო ენა

4. *‘ammiyyat al-mutanawwirīn* - განათლებული მოსახლეობის არაფორმალური სამეტყველო ენა

5. *‘ammiyyat al-‘ummiyyīn* – განათლების არმქონე პირთა მეტყველება

M. Badawī-ს შემოთავაზებული სისტემა / კლასიფიკაციის პრინციპი შეიძლება გავრცელდეს სხვა არაბული ქვეყნების მაგალითზეც, თუმცა სოციოლინგვისტური სიტუაცია გაცილებით უფრო რთულ სურათს იძლევა თანამედროვე ეტაპზე. Ch. Ferguson-ის მოდელის დიქტომიის, H და L დონეების / ვარიეტების უარყოფის (K. Versteegh) მუხედავად, ამ შემთხვევაშიც ერთგვარი სქემატურობა გვაქვს. კოდ(ებ)ის გადართვისა (Code Switching) და ენობრივი კონტაქტების კვალობაზე თავს იჩენს მატრიცულ და ჩერთულ იდიომებს შორის ასიმეტრია.

არაბულ სამყაროში სტანდარტ-არაბული (SA) ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო მოხმარების ენა არ არის. არაფორმალურ სიტუაციაში SA გვხვდება კოდის შერევის ან ციტირების დროს. შეიძლება ითქვას, რომ საუდის არაბეთში მოსახლეობის კონტაქტი SA-სთან ადრეული ასაკიდან იწყება: ტელევიზია, რელიგიური ქადაგებები (განსაკუთრებით პარასკევს), სკოლა, მედია. ამ ვითარებაშიც ყოველთვის გვაქვს სტანდარტ-ენისა და დიალექტის დიფერენცია, რის შედეგადაც ვიღებთ კიდევ ერთ ვარიაციას: შერეული / საშუალო (Middle Variety). სურათი ამითაც არ სრულდება. ლოკალური დიალექტი გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, არაფორმალურ სიტუაციაში. განსაკუთრებით, სხვა რეგიონის ახალგაზრდების მეტყველებისთვის დამახასიათებელია დედაქალაქის, ერ-რიადის არაბულის (ნაჯდის დიალექტის) ვარიანტი კოდების შერევის ან ე. წ. „თეთრი დიალექტის“ გამოყენებით. ნაჯდის სხვა რაიონების ახალგაზრდები ხშირად მიმართავენ ერ-რიადის მეტყველებას, მაგ. კასიმის მეტყველებაც ნაჯდის დიალექტს მიეკუთვნება და მათ შორის მრავალი საერთო ლინგვისტური თავისებურებაა (B. Alkhamees). დედაქალაქის დიალექტის ფლობის დონეს სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთა შორის მნიშვნელოვან როლს სოციალური ქსელები ასრულებს. თვალმისაცემია ერ-რიადის არაბულის გამოყენება „ჩატებში“. თანამედროვე ეტაპზე თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა რეგიონის არაბული დიალექტების მოსმენა (ეს განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებას ეხება), მათ შორის გარკვეულ რაიონებში დღემდე არსებული / შენარჩუნებული ტომობრივი დიალექტებისა. ნაჯდის ქალაქებში მცხოვრებთა მოსახლეობის გვერდით სკოლებში განათლებას იღებენ, მუშაობენ და ცხოვრობენ ბედუნი არაბები. აღსანიშნავია, რომ მათ კონტაქტი აქვთ სხვა ქვეყნიებიდან სამუშაოდ მასიურად ჩამოსულ არაბებთან: იემენის, ეგვიპტის, ლევანტის, სუდანისა და სხვა არაბულ დიალექტებთან. ჩრდ. ნაჯდის, კასიმის რეგიონის მოსახლეობა სოციალური მედიისა და ტელევიზიის საშუალებით შეხებაში მოდის ყურის არაბულთან (ქუვეითის დიალექტი). აღსანიშნავია ინგლისურის ფართო გავრცელება, რომელიც რიგ სფეროში (მედიცინა, კომპიუტერული მეცნიერებები, მათემატიკა...) უმაღლესი განათლების მიღების ერთდაერთი საშუალებაა.

სტანდარტ-ენა ახალგაზრდებისთვის არ წარმოადგენს საკომუნიკაციო საშუალებას სოციალურ ქსელებში. ისმის კითხვა, ენის რა ვარიაცია / ფორმა გამოიყენება ამ შემთხვევაში. შიდა დიალექტური კონტაქტების კვალობაზე განვითარებული ენობრივი ცვლილებები წარმოდგენილია al-Essa-ს სტატიაში „When Najd Meets Hijazi: Dialect Contact in Jeddah“ (2009),<sup>1</sup> რომელშიც ნაჯდიდან ჯიდაში ემიგრირებული რესპოდენტის მეტყველებაა განხილული აფრიკატების *ts* (< *k*) და *dz* (< *g*) (კასიმისა და ჰაილის რეგიონები) ცვლილების ჭრილში. კვლევამ აჩვენა, რომ ნაჯდიდან ჰუჯაზში გადასული აღარ წარმოთქვამს აფრიკატებს (B. Alkhamees, A. al-Essa). შდრ. არაბ.  $k > ts > k$  და  $g > dz > g$ .

<sup>1</sup> A. al-Essa. 2009. When Najd Meet Hijazi: Dialect Contact in Jeddah”. // A. al-Wer, R. de Jong (eds.). *Arabic Dialectology. In honour of Clive Holes on the occasion of his sixtieth birthday*: Leiden: Brill. 201-222

B. Alkhamees-ი აღნიშნავს, რომ კვლევებში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია დიალექტში მომხდარ პერმანენტულ ცვლილებებზე და შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა კონკრეტული სიტუაციიდან მომდინარე (სხვა დიალექტთან შეხება / კონტაქტი) დროებითი კორექციებისა და ცვლილებების ანალიზს (B. Alkhamees).

**„თეთრი დიალექტი“: სოცილინგვისტური თვალსაზრისი.** რას ნიშნავს „თეთრი დიალექტი“? არაბული სოციალური მედიის ზოგიერთ პლათფორმაზე ტერმინი „თეთრი დიალექტი“ მეცნიერული თვალსაზრისით უარყოფილია.<sup>1</sup> თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ასე უწოდებს ენის ვარიაციას, მეტყველების სპეციფიკურ ფორმას, რომელშიც თავს იყრის ორი ან მეტი დიალექტისა და სალიტერატურო არაბულის (სტანდარტ-ენა) მონაცემები, ინგლისური ტერმინები და ახალგაზრდების მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, სიტყვათშეთანხმებები (სლენგი). სად და როდის გამოიყენება „თეთრი დიალექტი“?

„თეთრი დიალექტის“ სფეროებია მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია (ინერვიუები, პასუხები მკითხველებსა და მაყურებლებს, სიმღერები) სოციალური ქსელები, ონლაინ ფორუმები და ა. შ. არსებითად საქმე გვაქვს არაბული დიალექტებისა და ახალგაზრდული სლენგის ნარევიან / ვარიაციასთან. „თეთრი დიალექტი“ არის მეტყველების ფორმა / მეთოდი, რომელსაც მოსაუბრე მიმართავს, როდესაც თვლის, რომ ლოკალური დიალექტი მსმენელთან საკომუნიკაციოდ შეუფერებელია.

ლინგვისტური თვალსაზრისით ტერმინი „თეთრი დიალექტი“ არ მიემართება რომელიმე კონკრეტულ დიალექტს, რეგიონს ან სოციალურ ფენას და არ წარმადგენს გაზიარებულ ერთიან ენობრივ ფორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „თეთრი დიალექტი“ ნაკლებად სტრუქტურირებული ფენომენია.

რატომ „თეთრი“?

არაბულენოვან სივრცეში / კულტურაში თეთრი ერთდროულად დადებითი და უარყოფითი კონოტაციისა, მაგ.:

*galbu 'abyad - 'გულკეთილი' (მისი გული თეთრია);*  
*'eyno be'da - ბრმა (მისი თვალი თეთრია)*

მაშასადამე, თეთრით აღინიშნება მეტყველების ფორმა, რომელიც არ მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ დიალექტს და რომლის იდენტიფიცირებაც არ ხდება ამ თვალსაზრისით.

შეიძლება ვუწოდოთ თუ არა საუდის არაბეთის კოინეს „თეთრი დიალექტი“?

ადგილობრივი მოსახლეობა ასე უწოდებს მას, იმიტომ რომ დაცლილია აქცენტისგან და სტიგმატიზირებული ენობრივი თავისებურებებისგან (Y. al-Rojaie). ახალგაზრდის მიერ „თეთრი დიალექტის“ გამოყენება დამოკიდებულია სიტუაციაზე, აქედან გამომდინარე, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც არასტაბილური რეგისტრი (სიტუაციური ენობრივი ვარიაცია), რომელიც სამ ფაქტორს: დელოკალიზაციას, პრესტიჟულობასა და დიფუზიას ეფუძნება.

ცხადია, „თეთრი დიალექტის“ ფენომენის გასარკვევად არსებითია არაბული ენის სოცილინგვისტური სიტუაციის განხილვა. დიგლოსია, კოდების შერევა / შეცვლა. ვარიება ნიადაგს უქმნის, წარმოშობს არასტრუქტურირებულ რეგისტრს.

B. Alkhamees-ი მიხედვით, კასიმის რეგიონის ახალგაზრდების „თეთრი დიალექტის“ შესწავლის დროს რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი მეტყველების ამ ფორმას /რეგისტრს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც კასიმის დიალექტი მეტარდე ლოკალურია და SA მეტადრე ფორმალური (B. Alkhamees).

<sup>1</sup> <https://web.archive.org/web/20201209052124/https://www.alrakoba.net/585732/اللهجة-البيضاء/>

ლინგვისტური თვალსაზრისით „თეთრ დიალექტში“ დაცული არ არის გადაკვეთის ხაზები იდიომებს / კოდებს შორის. პრიორიტეტი დამოკიდებულია მოსაუბრის არჩევანსა და კონკრეტულ სიტუაციაზე.

განვიხილოთ B. Alkhamees-ის კვლევაში მოცემული ორი მაგალითი:

(1) *mū masʿalat dawāfiʿ bas kānat il-waḏʿifet marra marmūqa*

‘მოტივაციის საკითხი არ არის, საამუშაო ძალიან პრესტიჟული იყო.’

*mū* - უარყოფის ნაწილაკი (ერ-რიადის მეტყველება); *masʿalat dawāfiʿ* - *al-ʿiḏāfa* კონსტრუქცია (სტანდარტ-ენა SA); *bas kānat* - კავშირი და ზმნა (ნეიტრალური); *il-waḏʿifet* - არსებითი სახელი (ერ-რიადის მეტყველება და SA), *marra* - ზმნიზედა (ერ-რიადის მეტყველება); *marmūqa* - მიმღობა (SA)

(2) *ḏī il-mabādiʿ tabita(h) wa sʿamida(h) mā taqbal at-taḡīr.*

‘ეს პრონციპები მყარია, სტაბილური და არ ექვემდებარება ცვლილებებს.’

*ḏī* - ჩვენებითი ნაცვალსახელი (კასიმის არაბული); *il-mabādiʿ tabita(h) wa sʿamida(h)* - შეთანხმებული საზღვრულ-მსაზღვრელი (SA); *mā* - უარყოფა (ერ-რიადისა და კასიმის მეტყველება) *taqbal at-taḡīr* - ზმნა და მასდარი (SA).

**დასკვნა.** თანამედროვე საუდის არაბეთის სოციოლინგვისტური სიტუაცია და დიალექტური მოიზაიკურობა, გარკვეული ენობრივი რეგისტრების / ვარიაციების წარმომშობი ექსტრალინგვისტური ფაქტორები ქმნის ზედიალექტური ან და, უფრო ზუსტად, დიალექტთაშორის საშუალო / მედიატორ რეგისტრს. ეს არის ე. წ. „თეთრი დიალექტი“, რომლის მოხმარებაც სიტუაციასა და მოსაუბრის არჩევანზეა დამოკიდებული და არასტაბილურ ენობრივ, სოციოლინგვისტურ ფენომენს წარმოადგენს, რომელშიც გადაკვეთის ხაზები იდიომებს / კოდებს შორის განსაღვრული არ არის. საქმე გვაქვს, არაბულის ერთ-ერთ კომბინირებულ და არასტრუქტურირებულ რეგისტრთან, რომლის ფუნქცია არაბებს შორის კომუნიკაციის გამარტივებაა.

### ლიტერატურა:

სილაგაძე ა., ეჯიბაძე ნ. (2017). დიგლოსია: არაბული სპეციფიკა. თსუ გამომცემლობა. თბილისი

Alkhamees B. (2023). The “white Dialect” of young Arabic speakers from Qassim (Saudi Arabia). Published by LOT (Netherlands Graduate School of Linguistics).

al-Essa A. (2009): When Najd Meet Hijazi: Dialect Contact in Jedda”. // A. al-Wer, R. de Jong (eds.). *Arabic Dialectology. In honour of Clive Holes on the occasion of his sixtieth birthday*: Leiden: Brill. 201-222

Ingham B. (1994). *Najdi Arabic: Central Arabian*. Benjamins: Amsterdam

Palva H. (1991): Is there a North West Arabian Dialect Group? // in Martin Forstner (ed.), *Festgabe für Hans-Rudolf Singer*, Lang. Frankfurt am Main. Pp. 151-166

al-Rojaie Y. (2020): The emergence of a national koine in Saudi Arabia: A perceptual dialectology account. // R. Bassiouney and K. Walters (eds.), *The Routledge Handbook of Arabic and Identity*. Milton Park: Routledge. 26–50.

Versteegh K. (2014). *The Arabic Language*. Edinburgh University Press.

**Zviad Tskhvediani**

Akaki Tsereteli State University

zviad.tskhvediani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.61>

### **The Sociolinguistic Situation in Saudi Arabia: The “Wight Dialect”**

Dialect contact and code switching is one of the most vitally important issues in Arabic sociolinguistics. In modern Saudi Arabia, some extralinguistic factors lead to the formation of the intermediate register of the language/dialect which is shaped by switching several codes (standard language, dialect/s). Due to the development and availability of social media/networks the speech of the youth is characterized by certain corrections that find their expression in the so-called “white dialects” as well as complex sociolinguistic situation and dialect mosaic.

The present paper the linguistic phenomenon referred to as “white dialects” is discussed in the context of sociolinguistic situation.

**Key words:** „The wight dialect“, Saudi Arabia

## ნინო ძამუკაშვილი

ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თელავი, საქართველო

[nino/dzamukashvili@tesau.edu.ge](mailto:nino/dzamukashvili@tesau.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.62>

## ბრუნოს ახლახუდის ქსელში მოყოლილ პერსონაჟთა კლასტერი (აირის მერდოკის რომანის „ბრუნოს სიზმარი“ მიხედვით)

**საკვანძო სიტყვები:** მერდოკი, რეალური ცხოვრება, ილუზიები, მორალური ფილოსოფია, პატიება, სიბერე.

ცნობილი ბრიტანელი მწერალი და ფილოსოფოსი აირის მერდოკი (Iris Murdoch, 1919-1999) თავის ფილოსოფიურ იდეებს და შეხედულებებს მეტ-ნაკლებად მხატვრულ პროზაში, კერძოდ, რომანებშიც ავითარებს. მკვლევარი მ. სოლანჟ გარსია მიუთითებს ავტორის სურვილზე, რომ „მისი ფილოსოფიური შეხედულებები მხატვრული ლიტერატურისგან განცალკევებით იქნას განხილული, რომელთაც მერდოკი როგორც იარაღს ისე იყენებდა, რათა მორალური ცხოვრების საფუძვლები დაედგინა და უფრო კარგად ჩასწვდომოდა ადამიანის ქცევას“ (Soláns Garcia 2019:35). მერდოკმა, რომელიც თავის ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენად დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის ნააზრევს მიიჩნევს, საკუთარი მთავარი წვლილი სწორედ მორალური ფილოსოფიის განვითარებაში შეიტანა. მერდოკს „თავისად“ მიიჩნევენ ასევე ეგზისტენციალისტები. მისი პირველი გამოქვეყნებული წიგნი ხომ „სარტი: რომანტიკოსი რაციონალისტი“ (Sartre: Romantic Rationalist, 1953) იყო, რომელიც ასევე ინგლისურ ენაზე ფრანგი ფილოსოფოსის შესახებ გამოცემული პირველი წიგნი გახლავთ ([https://en.wikipedia.org/wiki/Iris\\_Murdoch](https://en.wikipedia.org/wiki/Iris_Murdoch)).

თავისი ნაყოფიერი შემოქმედების განმავლობაში ცნობილმა ბრიტანელმა მწერალმა აირის მერდოკმა მრავალი რომანი (სულ 26) გვაჩუქა. ეს რომანები მართლა საჩუქარია მათთვის, ვისაც უყვარს მისეული თხრობის მანერა და წერის სტილი. მისი რომანების ქარგას შეჩვეული მკითხველისთვის მერდოკის ყოველი შემდეგი წიგნი უკვე არა მხოლოდ გარანტირებული სიამოვნების წყაროა; მკითხველი მზად არის საკუთრივ მერდოკისეულ სტერეოტიპულ პერსონაჟებთან კვლავ შესახვედრად. მწერლის ეს კლასტერი არქეტიპული პერსონაჟებისა (მაგ. მომწესხველი ტიპი, მეცნიერი ან ხელოვანი, რომელიც თითქმის მთლიანად თავის საქმეშია ჩაფლული, ახლაგაზრდა ქალი, რომელიც ხშირად სხვათა სულების გადარჩენისთვის უფრო ზრუნავს, გამოცდილი ქალი, რომელიც ხშირად ერთდროულად რამდენიმე მამაკაცისთვის ხდება საბედისწერო, ტყუპი ძმები და ასევე ერთგვარი deus ex machina, რომელიც თუ ვერ შევლის სიტუაციას, თვალებს მაინც აუხელოს პერსონაჟებს და ა. შ.) სხვადასხვა სახელით მოგზაურობენ რომანიდან რომანში. მიუხედავად ფაბულის აგების ერთგვარი „ბადის“, რომელსაც მერდოკი მრავალ რომანში იყენებს, მწერალი მაინც ახერხებს მორალური ფილოსოფიის საკითხები, იგივე „კარგის“ და „ცუდის“ ჭიდილი, ყოველ ჯერზე მეტად მიზიდველად წარმოგვიდგინოს და ამგვარად, თითოეული რომანი გამორჩეული გახადოს. მკვლევარი სკოტ დანბარი წერს (სხვათა შორის სწორედ მას მიუძღვნა ეს რომანი ავტორმა): „მორალური ფილოსოფიის პრინციპებიდან გამომდინარე, მის მერდოკმა ადამიანის ზუსტი აღწერით უნდა დაიწყოს და ამასთან



ერთად, გვაჩვენოს როგორ შეიძლება მოხდეს ადამიანის მორალური კუთხით გაუმჯობესება...სწორედ მორალური ფილოსოფიის ამოცანაა, წარმოგვიდგინოს იდეალი და ეს იდეალი უნდა იყოს ღირსეული. ჩვეულებრივმა ადამიანმა არა მარტო სიტყვის „კარგი“ გამოყენება უნდა იცოდეს, არამედ უფრო სიღრმისეულად უნდა ესმოდეს საკითხი: „როგორ შეიძლება გავხდე უკეთესი პიროვნება?“ (Dunbar, 1978: 517)

ტექსტი, რომელიც ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია, „ბრუნოს სიზმარი“ (*Bruno's Dream*, 1969) დამახასიათებელია, არა მარტო იმისი კვლევით თუ რა არის „კარგი“ და რა არის „ცუდი“, არამედ ცხოვრების ერთ-ერთი ეგზისტენციალისტური თავსატეხით, მისი დუალისტური ბუნებით: როდესაც თითქმის შეუძლებელია გაავლო ზღვარი ადამიანის ილუზორულ და რეალურ ცხოვრებას შორის, როდის და როგორ გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში ან რისი წყალობით ხდება ეს. როგორც პლატონის მიმდევარი, მერდოკიც თვლის რომ „ადამიანის მთელი ცხოვრება პილიგრიმოზაა მოჩვენებითიდან რეალობამდე“ (Dunbar, 1978: 517).

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი (ამ რომანში მწელია სახეები დაყო პროტაგონისტებად და ანტაგონისტებად, ვინაიდან მათში ხშირად შეუძლებელია გაარკვიო რა უფრო სჭარბობს: კეთილი თუ ბოროტი), ოთხმოცდაათ წელს მიღწეული ბრუნო გრინს-ლივი თითქმის ოთხი წელია ლოგინადაა ჩავარდნილი და სიძის, მისი ასევე ბიზნესში პარტნიორის დენბი ოდელის კეთილგანწყობის იმედზეა.

ბრუნო არშემდგარი ექსპერტია არაქნეოლოგიის დარგში. მისი მონუმენტური კვლევა ობობების შესახებ დაუმთავრებელი დარჩა და დღის შუქი ვერ იხილა. მოხუცის ერთფეროვან ცხოვრებას ოდნავ ახალისებს შამპანურის ყოველდღიური მცირე დოზა, ახალი გაზეთების გაცნობა, წლების განმავლობაში შეგროვილი უნიკალური და ძვირფასი მარკების კოლექციის გადახედვა და ასევე მომვლელ ნაიჯელთან, მეტად უცნაურ ახალგაზრდა კაცთან საუბარი. რომანის ყველა დანარჩენი მთავარი თუ არა-მთავარი პერსონაჟი ბრუნოსთანაა რაღაც ძაფებით დაკავშირებული და მის გარშემო ტრიალებს. მოულოდნელი არაა ის ასოციაცია, რაც მკითხველს უჩნდება: ბრუნოს გარშემო მოტრიალე ადამიანები სიბრალულის, გამორჩენის თუ მოვალეობის მიზნით ისე არიან მასთან მიჯაჭვულები, როგორც ობობის ქსელში მოქცეული მწერები. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ავადმყოფობისგან დეფორმირებულ ბრუნოს სხეულს მწერალი რამდენჯერმე ობობას ადარებს.

პირველი, ვინც ცდილობს ამ ქსელიდან თავის დაღწევას, თავად ბრუნოა. ლოგინად ჩავარდნილ მოხუცს საკმარისი დრო აქვს, რომ საკუთარ ცხოვრებას გადახედოს და თავისი ესა თუ ის საქციელი შეაფასოს. ის, რომ ბრუნოც უკომპრომისო და კატეგორიულ ადამიანად ჩამოყალიბდა, დიდწილად მამამისის უზომოდ მკაცრი და დიქტატორული რეჟიმის ბრალია, რომელსაც დიდად ვერაფრით არბილებდა დედის უფრო ჰუმანური და მომთმენი ნატურა. დაუძლურებული ბრუნოს სულისთვის ერთადერთი ნუგეში მიტევებაა, რადგან მოხუცის სინდისი დამძიმებულია რამდენიმე ეპიზოდით. ჩვეულებრივ მეტად ეგოცენტრული ბრუნო, სიკვდილის მოახლოებისას ახერხებს საკუთარ შეცდომებთან თვალის გასწორებას; ის გრძნობს, რომ მხოლოდ ამ გზით მოახერხებს მშვიდად შეხვდეს აღსასრულს. სამწუხაროდ, მეუღლესთან დაშვებულ შეცდომას ველარასოდეს მოინანიებს, როდესაც სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ცოლი მას მოუხმობდა და მან კი, დაზაფრულმა იმით, რომ საშინელ ტკივილებში მყოფი მეუღლე მას დასწყევლიდა, მისვლა ვერ გაბედა. მწერალი ირიბად მიგვანიშნებს, რომ ჯენი სწორედ მას შემდეგ დაავადდა უკურნებელი სენით, როდესაც ბრუნოს ღალატი შეიტყო. საკუთარი ტერმინალური ავადმყოფობიდან გამომდინარე, მოხუცებული თითქმის აჯერებს თავს, რომ ჯენი მას იმიტომ ეძახდა ასე სასოწარკვეთილი სიკვდილის წინ, რომ მიეტევებინა ქმრისთვის ღალატი და მსუბუქი გულით წასულიყო იმ ქვეყნად.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია ბრუნოს შეუნდოს და აპატიოს, ეს მისი გაუცხოვებული ვაჟიშვილი მაილსია, რომელიც ათ წელზე მეტია მამის სანახავად არ

მოსულა და წელიწადში ორჯერ მხოლოდ ბარათებით ულოცავს დღესასწაულებს. თავის დროზე ბრუნომ მაილსს არჩევანი დაუწუნა: გამოუცხადა, რომ არ ისურვებდა „ყავისფერკანიან შვილიშვილებს“. გულნატკენი მაილი მაინც დაქორწინდა ულამაზეს ინდოელ გოგონა პარვატიზე. საუბედუროდ რამდენიმე თვეში პარვატი საჰაერო კატასტროფას ემსხვერპლა. მხოლოდ მაილსმა იცოდა, რომ იგი ორსულად იყო. პირველი დიდი სინანული ბრუნოს მაშინ დაეუფლა, როცა პარვატის ფოტო იხილა. და საშინლად ინანა თავისი ნაჩქარევი რასობრივი განაცხადი. შვილისგან პატიების მიღება – ეს არის ის, რაც ყველაზე მეტად სურს ბრუნოს. უწადინოდ მოსულ შვილს მოხუცი დაჟინებით სთხოვს, რომ აპატიოს: „მინდა ვიცოდე, რომ მპატიობ. ხომ უნდა გესმოდეს...უნდა მაპატიო, მაილს, როგორც წესია, ისე უნდა მაპატიო, როცა გამიგებ ყველაფერს“ (Murdoch, 1987: 116). სინანულით და საკუთარი შეცდომებით გატანჯული მოხუცი არეულად საუბრობს და სურს ყველაფერი მოუყვეს მაილსს, რომელსაც ყველაზე ნაკლებად წარსულის გაგონებაც კი არ სურს. წარსული მას პოეზიის „უჯრაში“ აქვს მომწყვდეული. მაილსი არ მალავს ამას ლიზასთან: „მე საერთოდ ვერც კი განვიცადე მისი [პარვატის] სიკვდილი. ამის პოეტიზაცია მოვახდინე“ (Murdoch, 1987: 173). მაილსს არ სურს ამგვარი აღსარებების მოსმენა. მოთმინებიდან გამოსული ბრუნო აგდებს შვილს თავისი ოთახიდან და სწყევლის მას. ათი წლის მერე დაბრუნებული მაილსი არ არის ბიბლიური „უძღები შვილი“, და საკუთარ ეგოს კი ვერც მამა და ვერც ძე ვერ აბიჯებენ და ამიტომ მთავრდება მათი პირველი შეხვედრა კრახით. შერიგება მხოლოდ მათი მეორე შეხვედრის დროს ხდება; მხოლოდ მას შემდეგ, როცა ორივე გაანალიზებს თავის მოუთმენლობას და ეგოიზმს. მერდოკის მკვლევარები ყურადღებას აქცევენ სიტყვას, რასაც მწერალი მათი პირველი შეხვედრის შემდეგ იყენებს მამის ოთახიდან გამოსული მაილსის მდგომარეობის აღსაწერად („defiled“, - შებღალული; შერყვნილი). „აქ ეს სიტყვა აშკარად მიუთითებს, რომ მამასთან შეხვედრამ მისი ცხოვრების სისუფთავე და სიმშვიდე მოწამლა. თუმცა ახლა მაილსი დიანაზეა დაქორწინებული და პარვატის დაღუპვიდან წლებია გასული, მაინც ვერ გამკლავებია ტრაგედიას...საშინელი მრისხანება, რასაც მაილსი გრძნობს, იქიდან გამომდინარეობს რომ თავად ფაქტი მამასთან შეხვედრის აიძულებს მას რეალობას თვალი გაუსწოროს და შესაბამისად, ამდენი ხნის განმავლობაში ნაშენი ფანტაზიის და წარმოსახვითი სამყარო შეურყიოს“ (Abdulrahman, Mahmoud, 2023:54).

პირველი შეხვედრის დროს, ალბათ ვერც მშობელი და ვერც შვილი ვერ აცნობიერებს, რამდენად დამსგავსებია ისინი ერთმანეთს. ბრუნოს ცხოვრება უკიდურესად დაცარიელდა ცოლისა და ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ. მძიმედ გადაიტანა საყვარლის გაუჩინარებაც. პარვატის ტრაგიკულად დაღუპვას კი მაილსის სრული გაუცხოება მოჰყვა მამასთან. ძველი ცხოვრებიდან ბრუნოს მარკების უნიკალური კოლექცია, არაქნეოლოგიისადმი გაუნელებელი ინტერესი, შამპანურის მცირე ყლოუპები და სიზმრები შემორჩა. აი, ამ ყველაფერს შეაფარა თავი, რათა სიცოცხლე გაეგრძელებინა. მაილსმა პარვატის გარდაცვალების ცნობა კი აღიქვა, მაგრამ გულამდე არ მიუშვა, რომ არ გაენადგურებინა ტკივილს და თავი მთლიანად პოეზიას შეაფარა. დაწერა უზარმაზარი პოემა სახელად „პარვატი“ და თავისი ტკივილის რომანტიზაცია მოახდინა. მოგვიანებით მაილსის კომფორტის ზონა მისმა მეორე მეუღლე-დიანამ განამტკიცა, რომელიც მასში თავდავიწყებითაა შეყვარებული. სანამ მაილსს გაიცნობდა, დიანა უკვე დაღლილი იყო არასტაბილური რომანტიკული და ფინანსური მდგომარეობით. ცოლ-ქმარი ერთმანეთის-თვის იქცა თავშესაფრად და საყრდენად. მიუხედავად იმისა, რომ წლებია დიანას არ განელებია მაილსის სიყვარული, იგი მაინც აჰყვება დენბის მსუბუქ ფლირტში. დიანას მორგებული აქვს ქმრის გადამრჩენელი ცოლის როლი და ისიც ილუზიების ტყვეობაში ცხოვრობს. ქალი თავის თავს გარედან შეჰყურებს და მუდმივად უხილავი ფოტოგრაფი-სთვის პოზიორობს. დიანასთან მცირეხნიანი ფლირტი, რომლის აპოთეოზი დღის საცეკვაო კლუბში ფოქსტროტის ცეკვაა, დენბისთვის ერთფეროვანი ცხოვრებიდან სულის მოთქმაა – უსაყვარლესი მეუღლის გვენის „უაზრო და აბსურდული“ დაღუპვის შემდეგ (გვენი წყალში

გადახტება, რადგან შეცდომაში შესულს ჰგონია რომ, მოცურავე ბავშვს შველა სჭირდება. ბავშვი გადარჩება, მაგრამ სამწუხაროდ გვენი ილუპება). მწერლის უდიდეს ოსტატობაზე მიგვითითებს ცეკვის ეპიზოდი, როდესაც მათი საუბარიც კი თითქოს ფოსტოტის რიტმს ემორჩილება. დიანა ვერასდროს დათმობს მაილსს, მაგრამ მის სრულყოფილ (მათ შვილი არ ჰყავთ, მაგრამ შვილივით ზრუნავენ ლიზაზე, მათთან წლობით შეხიზნულ დიანას დაზე), თითქოსდა პრიალა ჟურნალის ყდაზე გამოსახულ იდეალურ ყოფას სწორედ დენზისთანა მხიარული და სიცოცხლით სავსე კაცის ფლირტი ან მეგობრობა აკლია. ცოლის სიკვდილის შემდეგ, დენზი მუდმივად თავს აჯერებდა, რომ მეორედ ვერავის ვეღარ შეიყვარებდა ისე, როგორც გვენი უყვარდა. ნამდვილი, რეალური ცხოვრება დიანასთვის და დენზისთვის მაშინ იწყება, როცა ისინი მეტად მტკივნეული კათარზისის გავლით შესძლებენ სიმართლეს თვალი გაუსწორონ. დიანასთვის ამ გამოცდად იმის გაცნობიერება აღმოჩნდება, რომ მაილსს და ლიზას ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ ისინი თითქმის მყისიერად მსხვერპლად სწირავენ თავიანთ გრძნობას დიანას გამო. და შეიძლება, კიდევ უფრო დიდი გამოცდა იყო ის, რომ საკუთარი უბედურების გააზრებით ახალგაზრდა ქალმა იგრძნო და გაითავისა მომაკვდავი ბრუნოს მდგომარეობა (ლიზასგან განსხვავებით, დიანას ბრუნოს ოთახში გაჩერებაც კი უჭირდა ხოლმე, არამცთუ მოხუცის ხელზე შეხება და მისი თანაგრძნობა) და მისი მომვლელი ნებაყოფლობით გადაიბარა. სწორედ მის ხელში დალევს მოხუცი სულს. რაც შეეხება დენზის, მან მაშინ „დაინახა“ სილამაზით არ-გამორჩეული ლიზა და ალბათ მაშინვე შეუყვარდა ის, როდესაც ბრუნოს სანახავად მოსულმა ქალმა ავადმყოფი მოხუცის მიმართ დენზისთვის წარმოუდგენლად დიდი სითბო და ადამიანობა გამოიჩინა. მისთვის ლიზას საქციელი ისეთივე თავგანწირვის ტოლფასი იყო, როგორც გვენის ყინულივით ცივ წყალში გადახტომა ბავშვის საშველად. სწორედ ლიზაა, ვინც ახერხებს მამა-შვილის პირველი წარუმატებელი ვიზიტის გამოსწორებას და შემდეგ, მიუხედავად თავსდამტყდარი უზარმაზარი სიხარულისა (დადგა ის დღე, როდესაც მაილსმა დაინახა და შეიყვარა ის, ლიზა, ვისაც პირველი დანახვისთანავე უყვარდა მაილსი), ახერხებს დის გულისთვის უარი თქვას ამ გრძნობაზე და გაიქცეს მისგან.

ისე, როგორც საჭადრაკო დაფაზე ხდება იქ განლაგებული ფიგურების გადაადგილება, მეთოჯინე-მერდოკიც თავის პერსონაჟებს ერთი მორალური თუ სულიერი მდგომარეობიდან მეორისაკენ გადაადგილებს. და, თითქოს ირღვევა აბლაბუდაც. პერსონაჟები თავისუფლდებიან იმ ქსელისგან, რომელიც ბრუნოს გარშემო იყო შეკრული. სწორედ თავიანთი ზნეობრივი როლის გააზრება ეხმარება მათ, გააკეთონ სწორი არჩევანი. ბუნებრივი სტიქიაც არ აყოვნებს და ადიდებული ტემპა არა მარტო ბრუნოს სახლის ნაწილს დატბორავს და მარკების ძვირფას კოლექციას გაანადგურებს, არამედ წყალი, როგორც სიმბოლო განმწმენდი ძალის, ბრუნოს ათავისუფლებს თავისი წარსულისაგან და მისი თანმდევი დანაშაულის, ეჭვების და შიშების სამყაროსგან. ბრუნო ხედავს, რომ ერთადერთი ნამდვილი, რაც რჩება, ეს არის სიყვარული.

ადამიანი, რომელიც სხვებს და თავისთავსაც ეხმარება გაგლიჯოს სიცრუის და ილუზორულობის აბლაბუდა და სინამდვილეს თვალი გაუსწოროს არის ნაიჯელი, ბრუნოს მომვლელი ახალგაზრდა კაცი. ერთი შეხედვით ნაიჯელი შეიძლება მუდმივად ტრანსში მყოფ ადამიანადაც მოგეჩვენოთ. მის სახეს თითქმის არასდროს ტოვებს ნეტარი ღიმილი. ის თავის საქმეს კარგად ასრულებს და ბრუნოსთან საათობით მხოლოდ გასამრჯელოს გამო არ საუბრობს. ეს სიმპათიური, გრძელთმიანი, ავაზასავით მოქნილი, ხშირად შეუმჩნეველად მოსიარულე კაცი ცდილობს დარღვეული წესრიგი აღადგინოს და ყველას მწარე სიმართლე უთხრას. უფრო მეტიც, საბედისწერო დუელი საკუთარ ძმასა და დენზის შორის ჩაშალოს და დიანას თვითმკვლელობაში ხელი შეუშალოს. როდესაც დიანა ეკითხება, საიდან იცის ამდენი რამ, ნაიჯელი პასუხობს: „ვიცი, რადგან ღმერთი ვარ. შეიძლება ახლა ასე ევლინება ღმერთი ქვეყანას, როგორც ერთი ვინმე ცოტათი მივიწყებული, შეშლილი არსება, ვისაც ზოგი ხელს ჰკრავს და წააქცევს და ზედ გადაუვლის. ან იქნებ, ცრუ ღმერთი ვარ ან ერთ-ერთი იმ მილიონობით, მილიონობით ცრუ ღმერთებს შორის. რა მნიშვნელობა აქვს. ცრუ

დმერთი არის ჭეშმარიტი დმერთი“ (Murdoch, 1987:237). როცა ირგვლივ ყველას დაეხმარება, ის საკუთარი თავისთვისაც იცლის, წყვეტს მეტად მტკივნეულ და უიმედო კავშირებს ყველაზე ძვირფას ადამიანებთან და დგამს ყველაზე უანგარო ნაბიჯს: მოხალისედ მიდის კალკუტაში. სწორედ დიდი საკუთარი მტანჯველი კათარზისის გავლის შეძლებს დიანაც მეორედ, ამჯერად უკვე ნამდვილად უშველოს მაილსს და ბრუნოსადმიც გულწრფელი ზრუნვა გამოიჩინოს.

მომხიბვლელი დიასახლისის იმიჯით ტკბობის მაგივრად მომაკვდავის სასთუმალთან საათობით ჯდომა და ნუგეში, ინდოეთში სხვათა საშველად გადახვეწა, ნამდვილი, თუნდაც შემადრწუნებელი სიყვარულის გაცნობიერება, საკუთარ თავში ჩვეულებრივი ქალის გამოღვიძება და ამის მეტად აღარ ჩახშობა, სულის საამებელ პოეზიაზე უარის თქმა და ამგვარად ტკივილთან თვალის გასწორება და ყველაზე მეტად, საკუთარი შეცდომების აღიარება და სინანულის გრძნობა, პატიების თხოვნა–აი ამ ყველაფერს მიაღწიეს რომანის გმირებმა, როდესაც ისევ თანამედროვე ფრაზით რომ ვთქვათ, კომფორტის ზონიდან გამოვიდნენ და იქცნენ პასუხისმგებელ, ზრდასრულ ადამიანებად და შედეგად: ლიზა ირწმუნებს დენბისას, მაილზი პოეზიისას, დიანა ბრუნოსას, ნაიჯელი თავისი მოწოდების და ადელაიდა და ვილი ერთმანეთისას. საბოლოო ჯამში, კი მთელი რომანის არსი იქამდე დაიყვანება, რომ თუნდაც ხშირად მთლად გარკვეული არ გვქონდეს ზღვარი რეალურ და ილუზორულ, სიზმარულ ყოფას შორის (კალდერონი: „ცხოვრება სიზმარია“), მაინც იმისი უნარი, რომ საკუთარ თავზე წინ სხვისი კეთილდღეობა დავაყენოთ – ეს ის უანგარობაა, უძნელესი და უნამდვილესი, რაც ყველაზე მეტად გვაახლოებს დმერთთან.

#### ლიტერატურა:

1. Abdulrahman, N., & Mahmoud, A. (2023). Tormenting memories and the moral reasoning of past mistakes in iris murdoch's bruno's dream: a socio- psychological approach. *Humanities Journal of University of Zakho*, 11(1), 50–56. <https://doi.org/10.26436/hjuoz.2023.11.1.905>
2. Dunbar, S. (1978). On Art, Morals and Religion: Some Reflections on the Work of Iris Murdoch. *Religious Studies*, 14(4), 515–524. <http://www.jstor.org/stable/20005524>
3. Murdoch, I (1987). *Bruno's Dream*. Published by Penguin Books
4. Soláns Garcia, M (2019). “At my age, you live in your mind”: Reviewing the Past in Bruno's Dream by Iris Murdoch. <https://uvadoc.uva.es/handle/10324/44024>
5. [https://en.wikipedia.org/wiki/Iris\\_Murdoch](https://en.wikipedia.org/wiki/Iris_Murdoch)

**Nino Dzamukashvili**

I.Gogebashvili State University

Telavi, Georgia

[nino/dzamukashvili@tesau.edu.ge](mailto:nino/dzamukashvili@tesau.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.62>

### **The Cluster of Characters Caught in Bruno's Cobweb (based on *Bruno's Dream* by Iris Murdoch)**

#### Abstract

Our article deals with the interaction of the characters in the novel *Bruno's Dream* by Iris Murdoch. The famous novelist with the mastery characteristic of her, spins the web of unforgettable characters even though about half of her character types have become her own stereotypical ones that we encounter from novel to novel. The essential aspect about Murdoch's novel is the fact that the writer weaves her ideas on moral philosophy in her fiction as well apart from her proper philosophical works. The story of an old man, Bruno Greensleeve who is slowly dying confined to one bleak room in London, also embraces the fates of half a dozen other protagonists. They are all interconnected through Bruno and it seems as if they are all caught in the same cobweb. Clinging to and brooding about their past sins and resentments, they become free of their painful pasts once they dare to face the reality; some through asking for forgiveness, some through the true love and all of them through understanding the other one.

**Key words:** Murdoch, real life, illusions, moral philosophy, forgiveness, old age

ანა წერეთელი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Ana.tsereteli@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.63>

## ქრონოტოპული პოლიფონია მოდერნისტულ რომანის სტრუქტურაში

**საკვანძო სიტყვები:** მოდერნისტული რომანი, მხატვრულსტრუქტურა

მოდერნისტულ ნარატიულ ტექსტებში (და პირველ რიგში, ბუნებრივია, რომანში) ლინეარული/ისტორიული და ციკლური/მითოსური, ობიექტური/ასტრონომიული და სუბიექტური (ე. წ. ცნობიერების დრო, ბერგსონისეული 'la durée' - ინგლ. 'duration', 'ხანიერება') დრო, მეცნიერული ემპირიზმი და ბერგსონისეული სუბიექტური რეალობა, რეალური/ნატურალისტური და წარმოსახვითი, კონკრეტულ-ისტორიული და მითოსურ-უნივერსალური თანაარსებობს და ერთმანეთს ერწყმის კომპლექსურ, ასოციაციურად და ინტერტექსტუალურად უაღრესად მდიდარ მხატვრულ ქსოვილში, რაც, თხრობის სხვადასხვა პერსპექტივისა თუ სხვადასხვა ტიპის მთხრობელის მონაცვლეობასთან ერთად, მოდერნისტული რომანის პროტევესულ ბუნებას განსაზღვრავს. მისთვის ნიშანდობლივია პოლიმორფიზმი და პოლიქრონოტოპული სტრუქტურა<sup>1</sup>.

მოდერნისტული რომანის მხატვრულ სტრუქტურას, როგორც წესი, დროისა და სივრცის მხატვრული მოდელირების ვარიაციების თუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,

<sup>1</sup> მიხეილ ბახტინის მიხედვით, ქრონოტოპი მხატვრული ტექსტის ტემპორალური პროცესებისა და სივრცითი განზომილებების ინტეგრირებული ხატია. დრო და სივრცე, ორი ტექსტუალური ელემენტი, რომლებიც ხშირად მეორეხარისხოვნად იყო მიჩნეული ტექსტის ინტერპრეტაციისას, ის მენტალური ერთეულებია, რომლებიც წერისა და კითხვის პროცესების საყრდენ ღერძს, ხერხემალს შეადგენს. ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული ხანგრძლივი ტრადიციის საპირისპიროდ ბახტინი მხატვრული ტექსტის ანალიზისას აქცენტს ადარ აკეთებს ნარატიულ მოქმედებაზე და ამტკიცებს, რომ მხატვრული პროზის *faits primitifs*-ს პროტაგონისტის ბუნება ანდა პერსონაჟთა შორის ურთიერთობები კი არ წარმოადგენს, არამედ ქრონოტოპული კონსტრუქციები/კონფიგურაციები, რომლებსაც მწერლები და მკითხველი ტექსტთან აკავშირებენ (ბახტინი 1990: 84-258); ბახტინი ხაზს უსვამს, რომ ქრონოტოპი უნდა გავიგოთ როგორც „მარგანიზებული ცენტრი“, რომელიც რომანის ფუნდამენტური ნარატიული მოვლენების ხორცშესხმის ფუნქციას ასრულებს. ქრონოტოპი, ფუნქციონირებს რა როგორც დროისა და სივრცის მატერიალიზაციის უმთავრესი საშუალება, რეპრეზენტაციის კონკრეტიზაციის ცენტრად გვევლინება, ძალად, რომელიც მთელ რომანს განასხეულებს. ქრონოტოპი იზიდავს რომანის ყველა აბსტრაქტულ ელემენტს - ფილოსოფიურ და სოციალურ განზოგადოებებს, იდეებს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზს, რომლებიც მისი საშუალებით ისხამენ ხორცს, რაც საშუალებას აძლევს ხელოვნების წარმოსახვით ძალას თავისი საქმე აღასრულოს (ბახტინი 1990: 250). ბახტინის აზრით, ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება არაერთი ქრონოტოპული ხატი. ქრონოტოპის ბახტინისეულ კონცეფციაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვინაიდან ამ თემაზე უამრავი ნაშრომია დაწერილი (მაგ. იხ. ჰოლკვისტი 2002; ბემონგი 2010), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ქრონოტოპი“ საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და დებატები მის ირგვლივ დღემდე არაა დასრულებული.

ქრონოტოპული კონფიგურაციების ერთობლიობა განსაზღვრავს. საქმე ისაა, რომ რომანის სტრუქტურა, როგორც წესი, პოლიქრონოტოპულია.<sup>1</sup> ბახტინის აზრით, ქრონოტოპები ერთმანეთს მოიცავენ, თანაარსებობენ, ერთმანეთში არიან გადახლართული, ენაცვლებიან ან უპირისპირდებიან ერთმანეთს, ან სულაც კიდევ უფრო კომპლექსურ ურთიერთმიმართებებს ამყარებენ (ბახტინი 1990: 252). გარდა ამისა, ქრონოტოპი ფუნქციონირებს როგორც მცირე ტექსტუალური ერთეულების, ასევე სამყაროს ყოვლისმომცველი მოდელის დონეზეც. პირველ შემთხვევაში ქრონოტოპი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ოთხგანზომილებიანი მენტალური ხატი, რომელიც სამი სივრცითი განზომილებისა და დროში განფენილი მოქმედების ტემპორალური სტრუქტურის კომბინირებას ახდენს; მაგალითად, რეალისტურ და მოდერნისტულ რომანებში იმ პროტაგონისტის მხატვრული სახე, რომელიც დიდ ქალაქში ჩადის, ხშირად შექმნილია ურბანული სივრცის აღწერის საშუალებით, რაც მეტროპოლისთან შეხვედრის (ტემპორალური) პროცესის კონტექსტუალიზაციას იწვევს. მეორე შემთხვევაში ქრონოტოპი უნდა მივიჩნიოთ სამყაროს ფუნდამენტურ ტექსტუალურ ხატად. ქრონოტოპების დიალოგში მკითხველი ერთ-ერთ მათგანს აღიქვამს როგორც დომინანტურს, რასაც ბ. კეუნენი „ყოვლისმომცველ ქრონოტოპს“ (‘overarching chronotope’) უწოდებს (კეუნენი 2001: 421). როგორც ბახტინი აღნიშნავს, „ერთი მხატვრული მთელის ფარგლებში ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ მთელი რიგი ქრონოტოპებისა და მოცემული ნაწარმოებისათვის ნიშანდობლივი რთული ურთიერთქმედება მათ შორის: როგორც წესი, ამ ქრონოტოპთაგან ერთ-ერთი მოიცავს ან დომინირებს სხვებზე“ (ბახტინი 1990: 252). ქრონოტოპთა იერარქია დამოკიდებულია იმ სემანტიკურ ჰიპოთეზაზე, რომელსაც მკითხველი უკავშირებს ტექსტს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონაჟთა სისტემა: მნიშვნელოვან პერსონაჟებთან დაკავშირებული „მეორეხარისხოვანი ქრონოტოპები“ (‘secondary chronotope’) უფრო ასოცირდება ტექსტში გამოხატულ დომინანტურ მსოფლმხედველობასა თუ სამყაროს ფუნდამენტურ ტექსტუალურ ხატთან, ვიდრე სხვები. „ყოვლისმომცველი ქრონოტოპი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერპრეტაციის პროცესში, ვინაიდან თხრობაში მოქმედი პირი და თვით მოქმედებაც ყოველთვის უკავშირდება სამყაროს იმ მოდელს, რომელსაც ის წარმოგვიდგენს. მოდერნისტული ქალაქური რომანის გმირი რამდენიმე სხვადასხვა ნიღაბს ირგებს, რომლებიც სხვადასხვა ესთეტიკისა და ქრონოტოპული პრეფერენციების ცვლილებების ჰომოლოგიურია. გმირი იცვლება სამყაროს მოდელისა და იმ ესთეტიკური პარადიგმების ცვლის კვალობაზე, რომლებიც მე-18 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ჩამოყალიბდა.

მაღალი მოდერნიზმის ტექსტებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სამყაროს მოდელის რადიკალური პლურალიზმი. ბარტ კეუნენი მოდერნისტული რომანის პერსონაჟებს ოთხ კატეგორიად - რომანტიკულ, ნატურალისტურ-რეალისტურ, დეკადენტურ (ესთეტიკითან დაკავშირებულ) და ავანგარდისტულ გმირებად - აჯგუფებს და ამ ჯგუფებს ოთხი ტიპის „ყოვლისმომცველ ქრონოტოპთან“ თუ სამყაროს მხატვრულ მოდელთან აკავშირებს. კერძოდ, მკვლევარი რომანში გამოჰყოფს იდილიურ (‘idyllic’), დოკუმენტურ (‘documentary’), თვითრეფერენციულ (‘self-referential’) და ჰიპერრეალისტურ (‘hyperrealist’) ქრონოტოპებს (კეუნენი 2001: 422).

XVIII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული რომანის პროტაგონისტი მჭიდროდ უკავშირდება სამყაროს მოდელს, რომელშიც იდილიური გარემო და დროის ციკლური პროცესები დომინირებს. ამგვარ მოდელს ბახტინი ‘იდილიურ ქრონოტოპს’ უწოდებს, ვინაიდან იგი ცხოვრებასა და ცხოვრებისეულ მოვლენებს გარკვეული ადგილით, ნაცნობი ტერიტორიით შემოსაზღვრავს (ბახტინი 1990: 225). ამ ტიპის ნარატივებში ცენტრალური ადგილი უჭირავს ვიწრო საზოგადოებრივი წრისა თუ მცირე თემის ცხოვრების ინტიმური

<sup>1</sup> ტერმინი ‘პოლიქრონოტოპია’ (‘polychronotopicity’) ბახტინის „პოლიფონიის“ ანალოგიით შემოიღო ლინ პირსმა (პირსი 1994: 174). ამავე ტერმინს, ოდნავ სახეცვლილს (‘polychronotopia’), აქტიურად იყენებს ბარტ კეუნენი (კეუნენი 2001: 421).

მხარეების აღწერას სოფლად ან არაურბანიზებული კულტურის ფარგლებში. ძირითადი თემაა ქალაქიდან საცხოვრებლად სოფელში გაქცევა. ურბანულმა სივრცემაც შეიძლება განასხეულოს იდილიური ქრონოტოპი, მაგრამ მხოლოდ ურბანულ გარემოში, სადაც ციკლური რეგენერაცია ხდება: ისეთ ინტიმურ ანკლავებში, როგორცაა საშუალო ფენის სახლები, გარეუბნის ვილები, პარკები და ისტორიული ძეგლები. ქალაქის სხვა ასპექტები უგულვებელყოფილია ანდა ფუნქციონირებენ როგორც ბანალური და არაესთეტიკური გამოცდილებების სიმბოლოები. ურბანული მოდერნიზაციის პროცესი დაკავშირებულია ციკლური დროის უარყოფასთან და აღწერილია როგორც დაცემის, დაკნინების, გადაგვარების ფაზა. პროტაგონისტი წარმოსახულია როგორც მსხვერპლი, რომელიც იძულებულია გაექცეს მოდერნიზაციით დალდასმულ საზოგადოებას.<sup>1</sup>

კეუნენის კონცეფციით, ქალაქისა და პიროვნების კონფლიქტი მოდერნისტულ რომანში, რომანტიზმის ესთეტიკისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანწილად, იმპერსონალურ/უნივერსალურ-მითოსურიდან კონკრეტულ-ყოფით/ პერსონალურ/ ინდივიდუალურ პლანშია გადატანილი. ფაქტობრივად, აქ კეუნენი ცდილობს, მოდერნისტულ რომანს მიუსადაგოს უ. შარპისა და ლ. უოლოკის კონცეფცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომისშემდგომ რომანს ეხება. ამ კონცეფციით, ბიბლიური ჩარჩო, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქალაქის მხატვრულ-ესთეტიკურ გააზრებას თითქმის მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნის ადრეულ ეტაპზე, ახლაც (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდი - ა. წ.) ქმედითია, მაგრამ უფრო ინდივიდუალურ პლანში. ქალაქური ყოფის თვით ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და გაზიარებული ემბლემებიც კი თანამედროვე ურბანულ ეპოსში ინდივიდის გაუცხოების, პიროვნული ბედის(წერის) სიმბოლოებად გადაიქცნენ (შარპი, უოლოკი 1987: 28).

მოდერნისტულ ქრონოტოპთა იერარქიაში კეუნენი იდილიურზე უფრო მნიშვნელოვნად დოკუმენტურ ქრონოტოპს მიიჩნევს, რომელიც დაკავშირებულია რეალისტური და ნატურალისტური რომანის ტრადიციასთან. რეალისტური რომანის სიუჟეტი ემყარება ახალგაზრდა პროტაგონისტის განვითარებას, რომელიც სოციალურ სამყაროსთან (რომელიც ხშირად ქალაქითაა სიმბოლიზებული) ბრძოლაში იწრთობა და სიმწიფეს აღწევს ან მარცხდება (იღუპება ან გარბის. კონფრონტაცია ქალაქსა და ინდივიდს შორის ხშირად ტრაგიკული კონფლიქტის ფორმას იძენს, რომელიც მეტწილად ამ უკანასკნელის მარცხით მთავრდება. ნატურალისტური რომანიც ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირებას გვიხატავს და გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძვის პროტაგონისტი სოციალურ კიბეზე აღმასვლისა და ურბანული გეტოსაგან თავდახსნისათვის. ეს ყოველივე, მეტ-ნაკლებად, არც ქალაქის რომანტიკული მხატვრული ინტერპრეტაციისათვის არ ყოფილა უცხო, თუმცა ქალაქის რომანტიკული რეპრეზენტაციისაგან განსხვავებით, რეალისტური და ნატურალისტური რომანის სტრუქტურა კონკრეტული დროით-სივრცითი კოორდინატებით განისაზღვრება. რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, ბალზაკი, ზოლა, თუ დიკენსი აქცენტს აკეთებენ არა იდილიურ თემურ ცხოვრებაზე თუ ქალაქისაგან გაქცევაზე, არამედ მოდერნიზაციასა და იმ კონკრეტულ სივრცეებზე, სადაც პროცესები ვითარდება. ამ ტიპის ქრონოტოპული ხატი იდილიური ქრონოტოპის შებრუნებული ვერსიაა: იგი არღვევს იდილიურ მსოფლგანცდასა და ფსიქოლოგიას, რომელიც არაადეკვატურია კაპიტალისტურ სამყაროში ... იხატება კაპიტალისტური ცენტრის მიერ პროვინციული იდეალიზმის განადგურების სურათი. რეალისტური რომანი კითხულობს შენობებს, ქუჩებს, ხელოვნების ნიმუშებს,

<sup>1</sup> მოდერნისტული ურბანული რომანის პროტაგონისტის პროტოტიპებად ითვლებიან, მაგალითად, გოეთეს ვერთერი, რომელიც დაცინის ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ბურჟუაზიულ უტილიტარიზმს, და მეთიუ ბრემბლი ტობიას სმოლეტის რომანიდან *ჰამფრი კლინკერის ექსპედიცია* (*The Expedition of Humphry Clinker, 1771*), რომელიც ერთდროულად მოხიბლული და დათრგუნულია ქალაქის ბრწყინვალეობითა და სიმახინჯით.

ტექნოლოგიას და სხვა სოციალურ ორგანიზაციებს, როგორც ნიშნებს, რომლებიც ისტორიული განვითარების პროცესებზე მიგვანიშნებენ: ადამიანების ცვალებად ბუნებაზე, თაობათა და ეპოქათა ცვლაზე, კლასობრივ კონფლიქტებზე. სწორედ ამ ტიპის ქრონოტოპის აღსანიშნად შემოაქვს კუუნენს ტერმინი „დოკუმენტური ქრონოტოპი“. იდილიური ქრონოტოპისაგან განსხვავებით, იგი უფრო კულტურულ დოკუმენტებს ეფუძნება, ვიდრე ბუნების ციკლურ პროცესებს. დოკუმენტები საფუძვლად უდევს სამყაროს ნატურალისტურ მოდელს არა იმდენად სოციალურ რეალობაზე მიმეტური მინიშნებების, არამედ უპირატესად იმის გამო, რომ ცულტურული ისტორიის ილუსტრირებას ახდენენ. ჩვეულებრივ, დოკუმენტური ქრონოტოპის ისტორიით გაჯერებული სამყარო გლობალურ ისტორიულ პროცესებსაც გულისხმობს (კუუნენი 2001: 424-427).

მოდერნისტულ რომანში ხასიათები/პერსონაჟები, როგორც წესი, სოციალურ თუ პათოლოგიურ პირობებზე კი არ დაიყვანება, არამედ კომპლექსურ ინდივიდებს წარმოადგენენ. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს არა კონტრასტი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის, არამედ დაპირისპირება ფსიქოლოგიურ და სოციალურ პროცესებს შორის. პერსონაჟებს განსაზღვრავს არა მათი კონფლიქტი საზოგადოებასთან, არამედ მათი შინაგანი სამყარო. აქცენტი გადატანილია ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებზე, რაც ესთეტიზმის მემკვიდრეობას უკავშირდება. მოდერნიზმი იყენებს დოკუმენტურ ქრონოტოპს, რათა ხორცი შეასხას კომპლექსურ ურთიერთმიმართებებს ინდივიდუალურ და სოციალურ სამყაროებს შორის. კაუზალური კავშირების დამყარება მკითხველს უწევს. მან თვითონვე უნდა მოახდინოს დოკუმენტური ქრონოტოპის ინტერპრეტაცია.

სამყაროს მესამე მოდელს, რომელსაც მოდერნისტული რომანი მიმართავს, კუუნენი უწოდებს თვით-რეფერენციულ ქრონოტოპს. ამ ქრონოტოპის ცენტრალური ელემენტია სუბიექტური გამოცდილება ასეთი ქრონოტოპი დეკადენტურ ლიტერატურაში გვხვდება - სიმბოლისტურ პოეზიასა და ლირიკულ/პოეტურ პროზაში (ბოდლერი), დეკადენტურ რომანში (უაილდი, ჰიუსმანსი), იმპრესიონისტულ პროზაში (გონკურები). რამდენადაც ეს ტექსტები სემანტიკურ მასალას სუბიექტის საზღვრებში მოაქცევს, მათ ქრონოტოპებს თვით-რეფერენციული შეიძლება ეწოდოს. სამყაროს ხატი დაყვანილია შთაბეჭდილებათა წყებაზე, რომლებიც მეხსიერებაში ინახება. შესაბამისად, სამყაროს ამ მოდელის დროით-სივრცითი სტრუქტურა სპეციფიკურ ხასიათს ატარებს: მის სივრცით კოორდინატებს განსაზღვრავს სუბიექტური დაკვირვება ან/და მოგონება, ხოლო ტემპორალურ პროგრესიას პერსონალური/პიროვნული ან ფიქტიური ბიოგრაფია განაპირობებს. სამყაროს ეს მოდელი მკვეთრად განსხვავდება რომანტიკული ქრონოტოპისაგან. ბახტინის მიხედვით, თანამედროვე ლიტერატურა უპირატესობას ანიჭებს 'ინტერიორიზებულ იდილიას' ('interiorized idyll'). მკვლევარი ხავს უსვამს რუსოს გადამწყვეტ როლს ამ თვალსაზრისით. რუსო არა მარტო ქმნის იდილიურ ლიტერატურულ სამყაროს, როგორც ყოველდღიურობის „მშვენიერი“ ასპექტების მიმეტურ რეპრეზენტაციას; იგი ცნობიერად მიმართავს იდილიურის თემატიზაციას სუბიექტურ კონსტრუქციად, „იზოლირებული ინდივიდუალური ცნობიერების“ შემადგენელ მასალად (ბახტინი 1990: 230).<sup>1</sup> ამ პროცესში სივრცე ხშირად კარგავს თავის „ბუნებრივ“ და ციკლურ ხასიათს და გზას უხსნის დაკვირვებისა და გახსენების/მოგონების განმეორებადი ფსიქიკური პროცესების შინაგან ციკლურობას. თუ რეალისტურ მხატვრულ ნაწარმოებში პროტაგონისტი ყალიბდება და იწრთობა ქალაქთან ურთიერთზემოქმედების გზით, დეკადენტურ ურბანულ რომანში ქალაქთან კონფრონტაცია შემოზღუდულია მოხეტიალე სულის დაკვირვებებითა და ფსიქოლოგიური პროცესებით. დეკადენტური რომანის სივრცითი ხატოვანების სპეციფიკა ისაა, რომ მწერალი რომანის მოქმედებისაგან მოწყვეტილ სივრცით ხატებს კი აღარ ქმნის,

<sup>1</sup> თუ ადრე იდილია პროტაგონისტს იდილიურ ქრონოტოპში განათავსებდა, რუსო ქმნის იზოლირებულ პერსონაჟებს „შინაგანი პერსპექტივიდან“ (ბახტინი 1990: 231). ასე რომ, ბერგსონისეული „ჩაშინანება“ ('inward turn'), რომელსაც ლეანი მოდერნიზმს უკავშირებს (ლეანი 1998: 70-82), გაცილებით უფრო ძველ ლიტერატურულ ფორმებშიც გვხვდება.



არამედ იყენებს აღწერებს პერსონაჟის მენტალური პროცესების გადმოსაცემად (კუუნენი 2001: 428).

კრიტიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამყაროს დეკადენტური მოდელი მოდერნისტული რომანის ერთ-ერთი ძირითადი ქრონოტოპია.<sup>1</sup> განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ბარტ კუუნენი, რომელიც ამტკიცებს, რომ ცნობიერების ფორმები ('the modes of consciousness') მოდერნისტულ რომანში ყოველთვის არ არის მთლიანად თვით-რეფერენციული, ვინაიდან ისინი ზოგჯერ რეალურ სამყაროს უკავშირდებიან. კუუნენის მიხედვით, ეს ხდება მაშინ, როცა მწერალი ძირითადად დაინტერესებულია ცნობიერების იმ ფორმებით, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული თანადროულ ვითარებასთან. ასეთ შემთხვევებში ის ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის მდგომარეობასა და გამოცდილებაზე მასებთან მიმართებაში, წყვეტს ფლენერის<sup>2</sup> ამკარად თვით-რეფერენციულ დაკვირვებებს ემპირიული სამყაროს თანამედროვე და სოციალურ ასპექტებზე მინიშნებებით (კუუნენი 2001: 430).

პოსტრომანტიკული ესთეტიკის ბოლო, მეოთხე სამყაროს მოდელი, რომელიც, კუუნენის მიხედვით, მოდერნისტულ რომანში გვხვდება, ავანგარდულმა მიმდინარეობებმა/ადრეულმა მოდერნიზმმა განავითარა. ამ მოდელის სივრცით და დროით განზომილებებს ახასიათებს წყვეტილობა. ამ სამყაროში ორდინარული ემპირიული დაკვირვების სივრცითი და დროითი უწყვეტობა დარღვეულია. ყოველდღიურ პერცეფციაში ერთმანეთის მომდევნო სივრცითი შთაბეჭდილებები დაკავშირებულნი არიან კაუზალური ურთიერთმიმართებებით, რომლებიც პროეცირებულია დროის უწყვეტ ღერძზე, ჰიპერრეალისტურ ქრონოტოპში კი საქმე გვაქვს რეალობის ფრაგმენტების უაღრესად კომპლექსურ და დინამიკურ რეაარანჟირებასა თუ კომბინირებასთან. ავანგარდული ქრონოტოპი განასხეულებს არა რეალურ სამყაროს, არამედ რეალობის ფრაგმენტების ხელოვნურ კოლაჟს. ესაა მონტაჟის ექსტრაორდინარული, ჰიპერრეალური პერცეფციის სამყარო. ჰიპერრეალურ ქრონოტოპს ახასიათებს სხვადასხვა ელემენტის სიმულტანური ან კვაზი-სიმულტანური პრეზენტაცია. ცენტრალურია კონცეპტია *tempo*. ამ კონტექსტში *სისწრაფის/სიჩქარის* ტოპოსი დაკავშირებულია ქალაქის ჰიპერთანამედროვე ასპექტებთან, განსაკუთრებით კი ინდუსტრიული და კომერციული მეტროპოლისის პოტენციალთან, წარმოქმნას ჰიპერრეალური ინტენსიურობა; ურბანულ გარემოს განუსაზღვრელი დინამიკური პოტენციალი გააჩნია, ვინაიდან მისი მრავლობითობა, აჩქარებული ტემპი და ნაირგვაროვნება ცდება გამოცდილების ჩვეული ფორმების ფარგლებს ან მათ არაადეკვატურად აქცევს. მაგალითად, შეუძლებელი ხდება მყარი სივრცითი კოორდინატების დაფუძნება თანამედროვე საგზაო მოძრაობის შუაგულში. ავანგარდისტი ხელოვანი, შლის რა სივრცეს დაკვირვებათა სწრაფ მონაცვლეობად თუ თანამიმდევრობად, გვთავაზობს დესპატიალიზებულ სამყაროს ან სამყაროს, სადაც ექსტრაორდინარული, ქაოტური სივრცეებია ინტენსიფიცირებული.

ამრიგად, ბარტ კუუნენი მოდერნისტულ რომანში გამოყოფს ოთხი ტიპის ქრონოტოპს - იდილიურს, დოკუმენტურს, თვით-რეფერენციულს და ჰიპერრეალისტურს - და მათ შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთმიმართებებს იკვლევს; იგი ასევე გვთავაზობს მოდერნისტული და მოდერნიზმამდელი (ძირითადად პოსტ-რომანტიკული) რომანის შედარებით-ტიპოლოგიურ ანალიზს ამ თვალსაზრისით.

<sup>1</sup> ეს საკითხი უფრო ვრცლად იხ. ასტრადურ ესტეინსონის წიგნში *Concept of Modernism*, სადაც საუბარია „მოდერნისტული ხელოვნების ჩაკეტილ სამყაროებზე“ (ესტეინსონი 1990: 10).

<sup>2</sup> ფლანერი (Flâneur) - ქალაქში უსაზნოდ მოხეტიალე განათლებული ადამიანი, განზე გამდგარი, განაპირებული დამკვირვებელი, რომელიც დისტანციიდან აკვირდება გარემოს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. რ. ლეანის წიგნი (ლეანი 1998: 74; ასევე შდრ. დენდის/დენდიზმის ლეანისეული დახასიათება, იქვე, 75)).

## ლიტერატურა

ბახტინი 1990 - Bakhtin, Mikhail M. (1990). "Forms of Time and of the Chronotope in the Novel: Notes toward a Historical Poetics". In Mikhail M. Bakhtin. *The Dialogic Imagination: Four Essays*. Ed. Michael Holquist. Trans. Caryl Emerson and Michael Holquist. 1981. Austin: University of Texas Press.

ბახტინი 1981 – Bakhtin, M. (1981). *The Dialogic Imagination*. Translated by C. Emerson and M. Holquist. Austin: University of Texas Press.

კეუნენი 2001 - Keunen, B. (2001). "The Plurality of Chronotopes in the Modernist City Novel: The Case of *Manhattan Transfer*". *English Studies: A Journal of English Language and Literature*, 82 (5): 420-436.

პირსი 1994 - Pearce, L. (1994). *Reading Dialogics*. London: Hodder Education Publishers.

შარპი, უოლოკი 1987 - Sharpe, W. & L. Wallock (eds.). (1987). *Visions of the Modern City: Essays in History, Art, and Literature*. Baltimore/London: The Johns Hopkins University Press.

**Ana Tsereteli**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia

[Ana.tsereteli@atsu.edu.ge](mailto:Ana.tsereteli@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.63>

## Chronotopic Polyphony in Modernist Novel Structure

### Abstract

The present paper studies the intricate interplay of time and space in the narrative structure of modernist novel focusing specifically on the concept of "chronotopic polyphony". I will argue that modernist texts are marked by a radical polychronotopical structure. Drawing on Mikhail Bakhtin's theories of chronotope and polyphony, the study delves into how modernist authors manipulate temporal and spatial elements to create complex narrative structures characterized by multiple voices and temporal layers. By examining the ways in which chronotopic polyphony serves as a narrative strategy for representing the subjective perception of time and space as well as the interconnectedness of individual consciousnesses within the fabric of the narrative, the paper contributes to a deeper understanding of the formal innovations and thematic concerns of modernist literature. Through close textual analysis and theoretical inquiry, it sheds light on the way in which the authors grapple with the complexities of time, memory and narrative representation in the modern era.

Key words: Modernist Novel, Structure of the novel

თამარ წულაია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Tamar.tsulaia@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.64>

## XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ასახვა ენის ფუნქციონირებაზე

**საკვანძო სიტყვები:** ენის ეკოლოგიური გარემო; ლინგვისტური იმპერიალიზმი; ლინგვისტური კოლონიალიზმი; ენის სოციალური სტატუსი; ენის სიცოცხლისუნარიანობა.

ჩვენი მიზანი ამ სტატიის არ არის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი რუსული კოლონიალიზმის პირობებში, არც მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გარკვევა. ამაზე არაერთი გამოკვლევა არსებობს ქართულ თუ უცხო ენებზე. ბოლო წლებშიც, როდესაც ისტორიოგრაფია განთავისუფლდა საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისგან, ბევრი დაიწერა, არაერთი დღემდე უცნობი დოკუმენტი შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში და ხელმისაწვდომი გახდა მეცნიერებისათვის. შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს უამრავი ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია მხოლოდ იმის გარკვევა, რა კავშირშია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ენასთან და რა გავლენა მოახდინა ამ სფეროში განხორციელებულმა ცვლილებებმა ქართული ენის განვითარებაზე.

დაპყრობილ ქვეყანაში კოლონიური რეჟიმის მიერ შეცვლილი ენის ეკოლოგიური გარემო შეიძლება მოვიხსენიოთ ისეთი ტერმინებით, როგორცაა „ლინგვისტური იმპერიალიზმი“ და „ლინგვისტური კოლონიალიზმი.“ ტერმინი „ლინგვისტური იმპერიალიზმი“ პირველად გამოიყენა რობერტ ფილიპსონმა (Robert Phillipson) ამავე დასახელების ნაშრომში, რომელიც 1992 წელს გამოქვეყნდა. მასში მეცნიერი განიხილავს ინგლისური ენის გავრცელებასა და მის გავლენას სხვა ენებსა და კულტურებზე მთელს მსოფლიოში. ამტკიცებს, რომ ინგლისური ენის დომინირებას სხვადასხვა სფეროებში, როგორცაა განათლება, მედია და საერთაშორისო კომუნიკაცია, შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები ლინგვისტურ მრავალფეროვნებაზე და ადგილობრივ ენებზე. ტერმინი „ლინგვისტური კოლონიალიზმი“ კი გვხვდება კორკორან ფარელის 1994 წლის სტატიაში, რომელიც ინგლისური და ირლანდიური ენების გადარჩენის საკითხს ეხება (Farrel, 1994). ლინგვისტური კოლონიალიზმი ლინგვისტური იმპერიალიზმის ერთ კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს.

მიგე და ლეგლიზე აღნიშნავენ, რომ ყველა სახის კოლონიალიზმმა პირდაპირ თუ ირიბად გამოიწვია ლინგვისტური ცვლილებები, მაგრამ ბოლო ხუთი საუკუნის ევროპულ კოლონიალიზმს ყველაზე შორსმიმავალი შედეგები მოჰყვა (Migge and Léglise, 2007).

დისკუსიები და კრიტიკა, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული ენების გლობალურ გაბატონებასა და პოტენციურ კულტურულ და ლინგვისტურ ზემოქმედებასთან, მრავალი წელი მიმდინარეობდა, თუმცა ფილიპსონის ნაშრომმა ეს საკითხები წინა პლანზე

წამოწია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლინგვისტური იმპერიალიზმის შესახებ აკადემიურ დისკურსში.

კოლონიურ ქვეყანაში არსებითად იცვლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ადგილობრივი ენის ეკოლოგიურ გარემოზე და სახეს უცვლის მას. იქმნება სრულიად ახალი ენობრივი სივრცე, კერძოდ, ენობრივი იერარქია, რომლის ზედა საფეხურს კოლონიზატორის ენა იკავებს, ხოლო ქვედა საფეხურს - ადგილობრივი ენა მნიშვნელოვნად შემცირებული გამოყენების სფეროებით. დომინანტი ენის მზარდი სოციალური სტატუსის პირობებში თანმიმდევრულად მცირდება კოლონიური ენის სოციალური სტატუსი და, შესაბამისად, საფრთხე ექმნება მის სიცოცხლისუნარიანობას.

რას ნიშნავს ენის სოციალური სტატუსი და რა კავშირშია ის ენის სიცოცხლისუნარიანობასთან? ენის სოციალური სტატუსი სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა. ის ნათელს ჰფენს იმ პოზიციას, რომელიც ენას კონკრეტულ თემსა თუ საზოგადოებაში უკავია. ენის სოციალური სტატუსი ეხება ღირებულებას, პრესტიჟსა და გავლენას, რომელსაც ის ფლობს მოცემულ სოციალურ კონტექსტში. ეს კონტექსტი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს: პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, განათლებას, მედიას, რელიგიასა და კულტურას, ყოველდღიურ კომუნიკაციასა და სხვ. ენის სოციალური სტატუსი იზომება იმის მიხედვით, თუ დასახელებული სფეროებიდან რომლებში გამოიყენება ის და რა მასშტაბით.

ამერიკელი ენათმეცნიერი ჯომუა ფიშმანი ამ სფეროებს ენის ძალაუფლების მქონე და ძალაუფლების არმქონე სფეროებად ჰყოფს. პირველ კატეგორიას განეკუთვნება: პოლიტიკა, მთავრობა, დასაქმება, ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები, უმაღლესი განათლება, მასმედია, ხოლო მეორე კატეგორიას: ოჯახი, მეგობრული წრე, სამეზობლო, ეთნიკური ჯგუფი, დაწყებითი და ელემენტარული განათლება (Fishman, 1972).

ენის სოციალურ სტატუსზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. აქვს თუ არა მას ოფიციალური სტატუსი: აღიარებულია თუ არა ის ოფიციალურ ენად სამთავრობო დაწესებულებებში და იურიდიულ დოკუმენტებში;
2. არის თუ არა ის სწავლების ენა და ხელმისაწვდომია თუ არა ამ ენაზე საგანმანათ-ლებლო რესურსები;
3. აქვს თუ არა მას ეკონომიკური ძალა: ასოცირდება თუ არა ეკონომიკურ შესაძლებ-ლობებთან, როგორცაა ბიზნესი, ვაჭრობა და დასაქმება;
4. წარმოდგენილია თუ არა ის მასმედიაში, ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა საინფორ-მაციო საშუალებებში;
5. გამოიყენება თუ არა მწერლობაში, თეატრში, სხვა სახელოვნებო დარგებში, ანუ, როგორია მისი ლიტერატურული და კულტურული გამოხატულება;
6. აღიქმება თუ არა პრესტიჟულად საზოგადოების მიერ, თუ სტიგმატიზირებულია და ა. შ.

ენის სოციალური სტატუსის გაგება გადამწყვეტია ენის სიცოცხლისუნარიანობის დინამიკის გასაგებად. სოციალური კონტექსტი, ინსტიტუციური მხარდაჭერა და სხვა თანმხლები ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების შიგნით ენის სიმდიერისა და მდგრადობის ჩამოყალიბებაში.

ამ თეორიული ჩარჩოს გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ენის სოციალური სტატუსის დადგენა სხვადასხვა დროსა და სივრცეში და, შესაბამისად, მისი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება.

გადავხედოთ, რომელ სფეროებში გამოიყენებოდა ქართული ენა XIX საუკუნის საქართველოში?

ადმინისტრაციულ ერთეულებში, ანუ სამთავრობო სტრუქტურებში, რომელიც, ერთ-ერთ ძალაუფლების მქონე სფეროდ მიიჩნევა, ყველგან რუსული ენა ბატონობდა. ის იყო საქმისწარმოების, იურიდიული დოკუმენტების, სამსახურებრივი წერილების ენა. დაბადე-

ბის მოწმობებსაც რუსულად ადგენდნენ. შესაბამისად, საკვლევ პერიოდში რუსულს ოფიციალური სტატუსი ჰქონდა, რაც განაპირობებდა მის მაღალ საზოგადოებრივ პრესტიჟს. პოლიტიკურ პოზიციებზე სამსახური თავისთავად მომხიბვლელი იყო მოსახლეობისთვის და აქ გაბატონებული რუსულიც ნელ-ნელა მიმზიდველი და პოპულარული ხდებოდა საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც საკუთარ თავს მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლად მიიჩნევდა, ან სურდა ამ საზოგადოების ნაწილი ყოფილიყო.

„საქართველოს მოამბის“ პირველივე ნომერში ილია ჭავჭავაძე სტატიაში „შინაური ამბები“ წერს: „ამ ყოველ გვარმა ჩანგლებმა, რომელიც წარმოიდგინა თვითონ საზოგადოებამ და რომელზედაც ეკიდა ხარისხი და სიმდიდრე, მიიყვანა ხალხი იქამდინა, რომა ყველა იმასა ფიქრობდა: ავად იქნებოდა თუ კარგად, ესწავლა როგორმე რუსული წერა და კითხვა, საჩქაროდ შესულ იყო სამსახურში“ (ჭავჭავაძე, 1863: 143).

პოლიტიკური სექტორის გარდა, დასაქმების მიმზიდველ სფეროდ ამ პერიოდში იქცა სამხედრო სექტორი. XIX საუკუნეში მიმდინარე კავკასიის ომები ქართველ თავადაზნაურობას ბრწყინვალე სამხედრო კარიერას სთავაზობდა, რასაც ისინი, დიდი პატივითა და სიამოვნებით იღებდნენ. არმიაში კი, ცხადია, სალაპარაკო ენა მხოლოდ რუსული იყო.

განათლების სისტემა გუბერნიად ქცეულ საქართველოში იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკით იმართებოდა, რომლის უმთავრესი მიზანიც მოსახლეობის გარუსება იყო. ახლად გახსნილ სკოლებში სასწავლო პროცესი, ძირითადად, რუსულად წარიმართებოდა, დედაენის გაკვეთილებს ან მცირე საათები ჰქონდა დათმობილი, ან საერთოდ არ იყო შეტანილი პროგრამაში. სკოლის ადმინისტრაციასაც, უმეტესად, რუსი ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. საგანმანათლებლო რესურსები, სასწავლო ინსტრუქციები, დებულებები, პროგრამები და სახელმძღვანელოების აბსოლუტური უმრავლესობაც რუსულ ენაზე იყო. ილია ჭავჭავაძე წერდა: „რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“ (ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1927, გვ.107).

ასე რომ, ძალაუფლების კიდეც ერთ დიდ სფეროში - განათლების სისტემაში - რუსული ენა იყო გაბატონებული. შესაბამისად, რუსულ ენაზე საუბარი თანდათან მოდად და კარგ ტონად იქცა საზოგადოებაში. მისი შესწავლა წინსვლას, პროგრესს, კეთილდღეობას დაუკავშირდა. XIX საუკუნის დოკუმენტური წყაროები საინტერესო ცნობებს შეიცავენ ამ ფაქტთან დაკავშირებით. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი თავის რძალს, ქეთევან ალექსიმესხიშვილს 1874 წლის 10 ივლისის წერილში სწერს: „რათ გიკვირს, რომ ტასომ არ იცოდეს ქართული? რა საჭიროა, ან ვინ იცის? რათ უნდა? ქართული წიგნები უსარგებლოა კითხვისათვის, და ბარათების ქართულად მიწერა, მეტად დასაძრახისია. - ერთი შენდა დარჩი, რომ მიჰზღვევ ქართულს ენას და ქართულს თა(ვ)საკრავსა. ამ დღეებში ქართლიდამ მოვიდნენ ორნი ქმრიანი ქალები, აქ ჩაიცივეს რუსულად და ისე დაბრუნდენ შინ. - აი ამას გიქადაგებს შენ ყოველ დღე ტასო, რომ ნუხარ აგრე დარჩენილი, ქუჭყანიდამ გამორჩეული! სხუა არა იყოსრა, ტასოსთვისაც მეტად ძნელია შენთან ერთად სიარული ბორჯომის წყალთან, აბა რას იტყვიან?“ (გიგაშვილი, 2023: 43-44). ავტორი აქ ირონიით საუბრობს ადრესატის დისშვილზე - ანასტაია (ტასო) ჩერქეზიშვილ-ხერხეულიძისაზე, რომელმაც, როგორც წერილიდან ირკვევა, ქართული არ იცოდა.

1877 წლის 12 აგვისტოს სალომე დადიან-მიურატისას გრიგოლი აღფრთოვანებული წერილით პასუხობს, გახარებული იმ ფაქტით, რომ ადრესატმა მას ქართულად დაწერილი ბარათი მისწერა: „ჩემო გულით საყუარელო დისწულო სალომე! შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიძევს, შევჰხარი და სიხარულით ვამბობ: ქუჭყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლისა წერილსა აწ ვჰკითხულობ მეორმოცედ!... მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა... პარიჟელსა უნდა უყუარდეს ქართული ენა, უნდა იგი ჰსცდილობდეს მის შესწავლასა, და საქართველოშიკი ქართველნი ქალები უარს-ჰყოფდენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებ-ამვერით, ამბობდენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა!“ ეს სიტყუები ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა,

მის უმცირესასა, გზის დაკარგუასა“ (გიგაშვილი, 2023: 210). ამის შემდეგ პოეტი ენას სამშობლოსთან და მშობლებთან აკავშირებს, რითაც ხაზს უსვამს მას, როგორც იდენტობის ერთ-ერთ ძლიერ მახასიათებელს. აღნიშნავს, რომ ენა არის მამა-პაპის ყოფა-ცხოვრების, მათი სარწმუნოების, ჩვეულების შემნახველი, „ესე იგი, თვით ისტორია!“ იხსენებს საქართველოს გმირულ ისტორიას, სახელოვან წინაპრებს და შეჯამების სახით წერს: „განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან?... მერწმუნე, ჩემო სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტებსა“ (გიგაშვილი, 2023: 211).

საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდს დაქვემდებარებამ, შესაბამისად, კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის ეგზარქოსის თანამდებობით ჩანაცვლებამ ქართული ენა ეკლესიებიდანაც, ანუ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროდან განდევნა: კოლონიურ საქართველოში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე აღევლინებოდა. ზაქარია ჭიჭინაძე ალექსანდრე ოქროპირიძისადმი 1883 წლის 27 მაისის წერილში ჩივის: „ჩვენი თფილისის ქართველობა ერთობ დანატრდა ქართულს ენაზე მღვდელთმთავრის წირვასა, დიდი საყვედური ისმის ხალხში“ (გიგაშვილი, გოცირიძე, 2021: 21). იმავე წლის 5 ივნისს გაგზავნილ წერილში კი სწერს: „ოხ, რატო ღმერთი არ მისცემს სამაგიეროს და ან ერი, რომ საქართველოს დედა ქალაქში ქართველი ეპისკოპოზიც არ იყოს“ (იქვე: 18).

ქართული ენის უფლებები შეიზღუდა სასამართლოშიც. სტატიაში „ქართული ენა სასამართლოებში“ ილია ჭავჭავაძე გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ეხმიანება ამ საკითხს. იგი ეხება სასამართლოების გაჭიანურების პრობლემას და მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ასახელებს იმ ენის გამოყენებლობას, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის იყო გასაგები. „ყოველი სიტყვა მოჩივარისა აქ ითარგმნება რუსულათ და ყოველ სიტყვას მოსამართლისას უთარგმნიან მოჩივარს მისს სამშობლო ენაზე“ (ჭავჭავაძე, 1880: 1). მთარგმნელებსაც უწუნებს რუსულის ცოდნას. მისი აზრით, მცირე ჯამაგირზე („2-3 თუმნად თვეში“) განათლებული კაცი არ იმსახურებს და ამიტომ ისეთები აპყავთ ამ თანამდებობაზე, რომელთაც მხოლოდ ორიოდ რუსული სიტყვა ესმით (იქვე). ილია ჩივის იმის გამო, რომ მთარგმნელმა არამცთუ რუსული, ადგილობრივი ენაც არ იცის, ქართველი თათრების მაზრაში მიდის მთარგმნელად, სომეხი კახეთსა თუ იმერეთში და აქ ისეთი სასაცილო სცენები იმართება, ვოდევლიშიც ვერ ნახავთო. „ჩვენ გვჭირდება ისეთი კანონი, რომელმაც უნდა ვალათ დაადოს მომრიგებელ მოსამართლეებს, რომ ამათ საქმეები გაარჩიონ ადგილობრივ მცხოვრებლების ენაზე. იმედიცა გვაქვს, რომ ეს ადვილი ასასრულებელი სურვილია, რადგან დამაბრკოლებელ მიზეზებს არ ვხედავთ“ (იქვე: 1-2).

რუსული ენის ფუნქციების ზრდის პარალელურად ვიწროვდებოდა ქართული ენის გამოყენების სფეროები, რაც უარყოფითად აისახებოდა მის სოციალურ სტატუსზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ისტორიული დოკუმენტების უდიდესი ნაწილი რუსულად არის შედგენილი, მეტყველებს მისი გამოყენების მასშტაბებზე.

სოციოლინგვისტიკაში ცნობილი ფაქტია, რომ კოლონიალიზმის საწყის ეტაპზე დამპრობლის ენის სწავლებაზე ხელი მიუწვდება სოციალურად დაწინაურებულ ფენას. კალვეტი (Calvet, 1987) განიხილავს ორ საფეხურს ლინგვისტურ კოლონიზაციაში. პირველი არის „ვერტიკალური საფეხური“, რომელიც ეხება კოლონიზატორის ენის სოციალურ გავრცელებას. ის პირველად აღწევს კოლონიზებული ხალხის „ზედა კლასებში.“ ესენი არიან კოლონიურ ძალასთან დაახლოებული კლასები, ანუ ის ფენები, რომლებიც წარმოადგენენ საყრდენს კოლონიური რეჟიმისას. სხვაგვარად, ესენი არიან კოლაბორანტები. ამის შემდეგ ენა ვრცელდება „დაბალი კლასების“ წევრებს შორის. მეორე საფეხური არის „ჰორიზონტალური“ და ის მოიცავს ენის გეოგრაფიულ გავრცელებას. კოლონიური ენის გამოყენება თავის საზღვრებს იფართოებს დედაქალაქიდან პატარა ქალაქებში და იქიდან სოფლებში. კოლონიზატორები დიდ ძალისხმევას ხარჯავენ, ძირითადად, განათლების სისტემის მეშვეობით, ამ ასიმეტრიული სოციალური იდეოლოგიის ჩანერგვაზე თავიანთ კოლონიურ სუბიექტებში.

კალვეტის (Calvet, 1987) თეორიის მიხედვით, რუსული ლინგვისტური კოლონიალიზმი შეიძლება შევავასოთ, როგორც „ვერტიკალური“ ბუნების, რადგან ის სოციალური გავრცელებით ხასიათდებოდა, კერძოდ: კოლონიზატორის ენა პირველად გავრცელდა კოლონიზებული ხალხის „ზედა კლასებში,“ თავადაზნაურობაში, რომელიც საქართველოში დაწინაურებულ ფენას წარმოადგენდა. რუსული ენის შესწავლა თავდაპირველად სწორედ მათთვის და მათი შვილებისთვის გახდა ხელმისაწვდომი. ამის მიზეზი ის იყო, რომ დასაქმების ორივე მომხიბვლელ სფეროში - სამთავრობო უწყებებსა და მეფის რუსეთის არმიაში, სადაც სამუშაო ენა რუსული იყო - ისინი განწესდნენ. გიმნაზიებისა და სკოლების კარიც, ძირითადად, მათი შვილებისთვის გაიხსნა. თავადაზნაურების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა სწორედ რუსული ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი საქართველოში კოლონიური პოლიტიკის გატარების საქმეში.

საინტერესოა, რომ ამ პერიოდის მოღვაწეები ოჯახის წევრებს პირად წერილებს ხშირად რუსულად წერდნენ, მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, თევდორე ჟორდანიანი და სხვები, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსული ენა საოჯახო ურთიერთობებშიც იყო შეჭრილი. ესენი იყვნენ ერთ-ერთი პირველი ბილინგვები საქართველოში. რუსულ ფრაზებსა და გამოთქმებს ხშირად ვხვდებით ქართულ წერილებშიც. ეს მათი ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ენობრივი თავისებურებაა.

დავიმოწმებთ ნიმუშებს მათი ნაწერებიდან:

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებიდან: „ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тутъ оне выигриваютъ; будь вместо Мирза-Сали графъ Чичероне, оне тотчасъ бы приехали на балъ. ბალის ამბავს შეგატყობინებ“; „მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან, ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა. საწყალი! Вотъ человекъ, который, по своему положению въ свете, более всехъ страдалъ. Минувшее проходило передъ нимъ и волновалось, какъ море-океанъ“; „სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივემურები, и вообще здесь И грустно и скучно и некому руку подать въ минуту душевной невзгоды“ (გიგაშვილი, ნინიძე, 2011).

გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ძმის, ზაქარიასადმი: „მგონია, რომ ჯოხაძეებმა დაიხსნან თვთვე თავი თვისი სამას თუმნათ на зло Андрониковим. Впрочем предоставляю все твоему благоразумию и для того я уже послал к тебе из Г. Вендена доверенность“ (გიგაშვილი, ნინიძე, 2012: 33).

„რომელსაც უნდა დაარქვა სახელი ლიპარიტ როდნაჩაღნიკა нашей фамилии,\* და უნდა მე გავზარდო, თუ ღმერთი მალღრსებს თქვენს ხილვას. - Я уверен, что ты должен быть счастлив с своей женою; ибо драгоценные правила кротость, смиренность, доброта души, которые украшают женщин, без всякого сомнения внушены ей с младенчества воспитанием; и помни, что от тебя только зависит удержать её в сих правилах, без коих нет счастья и супружества и отвлечь от всех пустых женских желаний и заблуждений“ (გიგაშვილი, ნინიძე, 2012: 76).

თევდორე ჟორდანიას წერილებიდან: „Он же уверяет, что будто последняя часть Хроники Сумбата14 не внесена в летопись Марии (მარიამ-დედოფ. ქ-ცხოვრება) и что будто поэтому эта Хроника внесена в ქართლის] ცხ[ოვრე]ბა Вахтангом VI“ (გიგაშვილი, გოცირიძე, 2021: 113).

ლინგვისტური კოლონიალიზმი საქართველოში, კალვეტის თეორიის თანახმად, მეორე ეტაპზე - „ჰორიზონტალურზე“ , ფაქტობრივად, ვერ გადავიდა, რადგან ის კონცენტრირებული იყო დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში და არ მოიცვა სოფლის მოსახლეობა, ანუ მისი გეოგრაფიული გავრცელებულობის საზღვრები ვერ გაიზარდა.

სხვათა შორის, რუსულის არცოდნა ერთ-ერთი მიზეზი იყო რუსი ჩინოვნიკებისთვის, რომ ქართველები გაუნათლებლებად და ჩამორჩენილებად მიეჩნიათ.

ზნეობრივი და ღირებულებითი რყევები კიდევ ერთი არსებითი ნიშანია კოლონიალიზმისა. მოაზროვნე ინტელიგენციას მნიშვნელოვანი ბარიერების გადალახვა უწევდა ეროვნული ინტერესების დაცვის გზაზე საკუთარ ქვეყანაში. კოლაბორაციონიზმი, როგორც ჩანს, კოლონიური რეჟიმის პირმშოა, რადგან სწორედ მის პირობებში ექმნებათ

ხელსაყრელი ნიადაგი ზნეობრივად არამყარ ადამიანებს, ქვეყნის ინტერესების დაზიანების ფასად მატერიალური და სოციალური სარგებელი მიიღონ ოკუპანტისგან. კოლონიური პერიოდის დოკუმენტური მასალა სავსეა ამის დამადასტურებელი ფაქტებით. კირიონ სამაგლიშვილს 1904 წლის 27 მარტს თევდორე ჟორდანიას სწერს: „სად არის საზოგადოება? განა საქართველოში ეძებთ ჭეშმარიტ პატრიოტულ წრეთა?! მე მხოლოდ ვხედავ თავმოყვარეობით გაბერილ მეზულვარე-მოარშიყე-მემთვრალე-მეჭორე გვამთა, რომელნიც ენითა მხოლოდ ადიდებენ სამშობლოს, ხოლო გული მათი შორს არს...“ (გიგაშვილი, გოცირიძე, 2021: 222).

1883 წლის 27 მაისს ზაქარია ჭიჭინაძე თავის გულისტკივილს უზიარებს ალექსანდრე ოქროპირიძეს: „ჩვენს მიყრუებულს ცხოვრებაში, როდესაც თითქმის ზნეობრივი პატიოსნება მიწასთან გასწორდა, როდესაც ღვთაებრივი სიყვარული მხოლოდ ერთ საგნათ გარდიქვა და იმას გამოაცალეს ჩვენი მამულის სიყვარული, აბა ამგვარ მოწაღმართებითი მოქმედების შემდეგ, ჩვენ ჩვენს საეკლესიო ასპარეზზე ყოველს თქვენ გვარს კაცებს ღმერთს უნდა ვავედრებდეთ და ვსთხოვდეთ მათს სიცოცხლესა, დღეგრძელობასა და სიმტკიცეობასა, რათა მით იგი სასარგებლო საქმეებს მოიმოქმედებდეს ჩვენის საყვარელი სამშობლოსთვის“ (გიგაშვილი, გოცირიძე, 2021: 17).

ლინგვისტური კოლონიალიზმი კოლონიზატორის ენის გავრცელებას გულისხმობს, მისთვის უკუპროცესი - კოლონიზატორების მიერ ადგილობრივი ენის დაუფლება - არ არის დამახასიათებელი. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისადმი, სერაფიმისადმი, 1898 წლის ნოემბერში მიწერილ წერილში ილია ჭავჭავაძე სინანულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მთელმა საუკუნემ განვლო და ამ ხნის მანძილზე ჯერ არ გამოჩენილა რუსი, რომელსაც სურვილი გაუჩნდებოდა ქართული ენის შესწავლისა, რათა ქართველის ზრახვებსა და სულიერ სწრაფვას უშუალოდ ჩასწვდომოდა. საქართველოში დამკვიდრებული უსამართლობისა და უბრალო ქართველი ხალხის დაჩაგვრის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად მას ეს ფაქტორი მიაჩნია: „ამიერკავკასიის რუსული მთავრობა იცნობს საქართველოს უწიგნური თარჯიმნების მეშვეობით და, რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ ყველაფერი აქ ბნელში, უგზო-უკვლოდ დაეხეტება, ყველა მხრით იჭვიანად იმზირება“ (ჭავჭავაძე, 2012: 339-340).

ბილინგვიზმი, როგორც ლინგვისტური მოვლენა, ენობრივი კონტაქტის შედეგია. გავრცელებულობის თვალსაზრისით, იგი სამი ეტაპისაგან შედგება: ინდივიდუალური, ჯგუფური და კოლექტიური, ანუ საზოგადოებრივი.

საკითხის შესწავლით დგინდება, რომ რუსულ-ქართული ბილინგვიზმი საკვლევ პერიოდში განვითარების მე-2 საფეხურს ვერ გასცდა და ვერ შეიძინა საზოგადოებრივი ხასიათი. ამას ხელი შეუშალა ორმა გარემოებამ: 1. განათლება არ იყო საყოველთაო და, შესაბამისად, ხელმისაწვდომი საზოგადოების ფართო წრეებისთვის, კონკრეტულად კი გლეხების შვილებისთვის, და 2. ქართველი მოღვაწეების, განსაკუთრებით კი სამოციანელების, საქმიანობამ მნიშვნელოვნად აამაღლა ქართული ენის პრესტიჟი საუკუნის II ნახევარში.

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, საგანმანათლებლო თუ რელიგიურ სფეროებში რუსული ენის ჰეგემონიის საპირისპიროდ მათ ამოქმედეს წინააღმდეგობის ფორმები მედიის, კულტურის, მწერლობის სფეროებისა და ენის სტანდარტიზაციის სახით. კერძოდ, დააარსეს არაერთი ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთი, თეატრი, განავითარეს ქართული მწერლობა, მოახდინეს ენის სტანდარტიზაცია, სალიტერატურო ენა დაუახლოვეს სასაუბრო მეტყველებას. უდიდესი ძალისხმევა გაწიეს განათლების სისტემაში, მოახერხეს და გარკვეულწილად კონტროლი აიღეს სასწავლო პროცესზე სკოლებსა და გიმნაზიებში ქართული ენის ფუნქციონირების გაზრდისა და ეროვნული სულის შენარჩუნების კუთხით. მათი თავდაუზაგოვანი შრომის შედეგად კოლონიურმა რეჟიმმა ვერ შეძლო თავისი მიზნების განხორციელება ქართული ენისა და კულტურის ასიმილაციის მიმართულებით.



არაერთი დოკუმენტი მოწმობს, რომ XIX საუკუნის ბოლოსაც საქართველოს მოსახლეობამ რუსული ენა არ იცოდა. 1882 წლის გაზეთ „ივერიის“ სექტემბრის ნომერში ილია ჭავჭავაძე წერს: „ამ სასწავლებელში ნახევარზედ მეტი ქართველი მოსწავლეები არიან, რომელნიც შემდეგ აქ სწავლის გათავებისას უნდა დაიფანტონ სხვა-და-სხვა საქართველოს ადგილებში, სადაც ხალხს ქართულის ენის მეტი არა ენა არ ესმისთ“ (ჭავჭავაძე, 1882: #203: 1).

ამრიგად, კოლონიურმა რეჟიმმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელმაც პირდაპირი ასახვა პოვა ქართული ენის ფუნქციონირებაზე. იგი ისეთი მნიშვნელოვანი სფეროებიდან განიდევენა, როგორცა სამთავრობო სტრუქტურები, დასაქმება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, განათლება თუ რელიგია. ჩამოყალიბდა ენობრივი იერარქია ლინგვისტური კოლონიალიზმისთვის დამახასიათებელი ყველა პარამეტრით. შემთხვევათა მნიშვნელოვან ნაწილში ასეთი მდგომარეობა ადგილობრივი ენებისთვის ფატალური შედეგით მთავრდება, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება: შესაძლებელია დაპყრობილ ქვეყანაში შემუშავდეს წინააღმდეგობის ფორმები და ისინი გონივრულად იქნეს მიმართული ლინგვისტური კოლონიალიზმით შექმნილი სირთულეების დასაძლევად. ეს დამოკიდებულია ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულებაზეც მშობლიური ენის მიმართ, მის მზაობასა და ძალისხმევაზეც - იზრუნოს საკუთარი ენის გადარჩენისათვის. კოლონიური რეჟიმის სწორი შეფასებისა და სირთულეების ადეკვატურად გააზრების შემთხვევაში, ენის დამცრობილი სოციალური სტატუსი შეიძლება ბიძგიც გახდეს მთელი რიგი ენობრივი ღონისძიებებისა, მათ შორის, სალიტერატურო ენის რეფორმისა. სწორედ ამ მეორე გზით წარმართეს მე-19 საუკუნის ქართველმა სამოციანელებმა თავიანთი საქმიანობა. მათ შეძლეს ენის ფუნქციონირების სიმძიმის ცენტრის არანაკლებ მნიშვნელოვან სფეროებში (მედია, კულტურა, მწერლობა, გარკვეულწილად განათლებაც) გადატანა, რამაც განსაზღვრა ქართული ენის განვითარების სტრატეგიული ხაზი მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში.

### ლიტერატურა:

**გიგაშვილი, ქეთევან, გოცირიძე, გიორგი.** (რედ.). (2021). ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, ზაქარია ჭიჭინაძე, თევდორე ჟორდანიას, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**გიგაშვილი, ქეთევან, ნინიძე, მარიამ.** (რედ.). 2012. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი, ნაწილი I, გამომცემლობა „საარი“, თბილისი.

**გიგაშვილი, ქეთევან, ნინიძე, მარიამ.** (რედ.). 2011. XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი I, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

**ჭავჭავაძე, ილია.** (1880). „ქართული ენა სასამართლოებში“: „დროება“, #135, 27 ივნისი.

**ჭავჭავაძე, ილია.** (2012). თხზულებანი. ტომი XVII. დეპისტოლური მემკვიდრეობა. „ილიას ფონდი“, თბილისი.

**ჭავჭავაძე, ილია.** 1927. თხზულებანი, ტ. VI, თბილისი.

**ჭავჭავაძე, ილია.** (1863). „შინაური ამბები“: „საქართველოს მოამბე“, #1.

**Calvet, Louis-Jean.** (1987). *La guerre des Langues*. Paris: Payot.

**Farrel, Corcoran.** (1994). Linguistic colonialism and the survival of subaltern languages: english and irish. [Javnost \(Ljubljana\)](http://www.dlib.si), letnik 1, številka 3, pp. 55-65. URN:NBN:SI:DOC-DLYAAD20 from <http://www.dlib.si>

**Fishman, J. A.** (1972). *The Sociology of Language: An Interdisciplinary Social Science Approach to Language in Society*. Rowley USA: Newbury House Publishers.

**Migge, Bettina, and Léglise, Isabelle.** (2007). *Handbook of Language and Communication: Diversity and Change*, De Gruyter Mouton.

**Tamar Tsulaia**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Tamar.tsulaia@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.64>

## **The Impact of the Social and Political Situation of the 19<sup>th</sup> Century Georgia on Language Functioning**

### **Abstract**

The presented paper analyzes the nature and extent of the influence of the socio-political situation of the country on the functioning of the Georgian language under the condition of Russian colonialism. It explains how the colonial regime changes the ecological environment of the language, which can be referred to by terms such as "linguistic imperialism" and "linguistic colonialism;" how a completely new linguistic space is formed in the country, namely, a linguistic hierarchy, the upper level of which is occupied by the language of the colonizer, and the lower level is the local language with significantly reduced areas of use; how consistently the social status of the colonial language is decreasing in the conditions of the increasing social status of the dominant language, and therefore its viability is threatened.

Using Joshua Fishman's theoretical framework determining the viability of the language, the paper outlines the areas of functioning the Georgian language in the analyzed period, and according to Louis Calvet's theory, Russian linguistic colonialism is evaluated as "vertical" of nature, because it was characterized by social diffusion. In fact, it could not move to the second stage - "horizontal", because it was concentrated in the capital and other cities and did not include the rural population, that is, the limits of its geographical spread could not be increased.

**Keywords:** ecological environment of language, linguistic imperialism, linguistic colonialism, social status of the language, vitality of the language.

**თემურ ჯაგოდნიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

t.jagodnishvili@gtu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.65>

**რაფიელ ერისთავი და სულხან-საბა ორბელიანი**

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი, სულხან-საბა ორბელიანი, ქართული კულტურის ისტორია.

ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ორი საუკუნის გადასახედიდან რაფიელ ერისთავი ნიჭიერ პოეტად დარჩა, დიდებული ლექსის „სამშობლო ხევსურისას“ ავტორად, რომელმაც შეძლო სამშობლოს სიყვარულის ხელშესახები ხატის შექმნა და თვალისჩინთან შეტოლებით პატრიოტული გრძნობის დიდი მეტაფორის გამოძერწვა. არა და XIX საუკუნეში არ ყოფილა არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საეროვნო წამოწყება, რომლის აქტიური მონაწილე ანდა მოთავე არ ყოფილიყო რაფიელ ერისთავი. ეს განსაკუთრებით XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გახდა საცნაური.

XIX საუკუნის 70-იანი წლები ქართველი ერის ინტელექტუალური გამოღვიძების ხანა იყო. ამ დროს (1873 წ.) ილია ჭავჭავაძე დაბრუნდა დუშეთიდან თბილისში, თავი დაანება მომრიგებელ მოსამართლეობას და მთლიანად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. რაფ. ერისთავმა კი 1872 წელს დაამთავრა სახელმწიფო სამსახური ზუგდიდსა და ქუთაისში და დაბრუნდა თბილისში, დადგა ილიას გვერდში. უკვე 1873 წელს ილიასთან ერთად გამოსცა ხალხური ლექსების კრებული და ეროვნული სულიერი კულტურის მსახურების მაგალითი უჩვენა საზოგადოებას. კრებულს ერქვა „გლეხური სიმღერები და ანდაზები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან“. იმავე წელს ჟურნალ „კრებულში“ „ქართული გამოცანებიც“ გამოაქვეყნა.

რაფიელ ერისთავი ილიას დაუკავშირდა იმის გამო, რომ მასში ხედავდა ერის საიმედო გულშემატკივარს. ამიტომ ლიდერობა მას მიაკუთვნა, თვითონ კი მისი უპირველესი უღლისგამწეობა იდო თავს. რაფიელ ერისთავისა და ილიას თანადგომას უნდა გაემთლიანებინა სხვადასხვა თაობის ქართველ მოღვაწეთა ეროვნული ძალისხმევა და გაემლიერებინა შედეგიანობა (ჯაგოდნიშვილი, 1986:41). მათ ეს დიდი ამოცანა წარმატებით განახორციელეს.

რაფიელ ერისთავი ამ დროისათვის უკვე აღიარებული მოღვაწე იყო, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, რუსული სამეცნიერო წრეებისათვის ავტორიტეტული მკვლევარი, ავტორი არაერთი გახმაურებული მეცნიერული ნარკვევისა თუ გამოკვლევისა. ფრანგ ქართველოლოგ და ორიენტალისტ მარი ბროსესთან სიახლოვით და ერთობლივი მუშაობით მას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ეროვნული სულიერი თუ მატერიალური კულტურის როლი ეროვნული იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაში. ამიტომაც ევროპული ორიენტალისტიკის მეცნიერული ინტერესების უნისონში გაშალა თავისი ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტიკული, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული კვლევები. ს.ს. ორბელიანის შემოქმედებასაც მარი ბროსეს მიხედვით იცნობდა, რომელმაც სულხან-

საბას წერილები ჯერ კიდევ 1832-1834 წლებში გამოაქვეყნა. ამასთან, რაფიელ ერისთავს სხვა წყაროც ჰქონდა. ეს იყო ჟურნალი „ცისკარი“, სადაც 1852 წლის პირველ ოთხ ნომერში დაიბეჭდა სულხან-საბას „მოგზაურობა“. იმ დროისათვის ცნობილი იყო ასევე სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“, რომლის ერთ-ერთი გამოცემა განახორციელა პ. უმიკაშვილმა (1871 წ.), ასევე ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი პეტერბურგული გამოცემა ალ. ცაგარლისა (Книга „Мудрости и Лжи“, перевод А. Цагарели, 1878 г.).

რაფიელ ერისთავი კარგად იცნობდა პეტერბურგულ გამოცემას, რაც იქიდან ჩანს, რომ სულხან-საბას „ქართული ლექსიკონის“ გამოცემის წინასიტყვაობაში რამდენიმეგზის იმოწმებს კიდევაც. ამასთან. უკვე 1878 წელს რაფიელ ერისთავმა გალექსა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ იგავ-არაკები და ცალკე წიგნადაც გამოსცა სათაურით „იგავ-არაკნი ამოკრებილნი „სიბრძნე-სიცრუიდგან და გალექსილნი თ. რაფ. ერისთავის მიერ“.

1881 წელს მან გამოაქვეყნა ი. კრილოვის იგავ-არაკების თარგმანები და ამგვარად შეუერთდა აკ. წერეთლისა და ივ. კერესელიძის დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციას: იგავის ენით – ნართაულად თქმის სათქმელის მკითხველამდე დაუბრკოლებლად მიტანის მცდელობას. მისმა გალექსილმა იგავ-არაკებმა მკითხველისაკენ უფრო ადვილად გაიკავა გზა. თუმცა სულხან-საბა ორბელიანის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი ინტერესის გაძლიერების მძლავრი იმპულსი აღმოჩნდა 1880-1885 წლებში ქართული სკოლის გარუსულებისა და ქართული ენის წინააღმდეგ გაშლილი კამპანია. ქართულ ენას უძღვრებას სწამებდნენ – შეუძლებელია მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის... სწავლება ქართული ტერმინოლოგიის უქონლობის გამო. ცნობილია, რომ ამგვარივე არგუმენტები ჰქონდათ მომარჯვებული მოგვიანებითაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგეებსაც, უკვე XX საუკუნის ათ-ოციან წლებში.

რაფიელ ერისთავმა ხმა აღიმალა ქართული ენის დასაცავად და გაზეთ „დროებაში“ (N2012, 1880) დაბეჭდა წერილი: **„რამდენად მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს“**.

ამ სიმართლის ძიებამ განსაზღვრა და გამართა მაგისტრალურად რაფიელ ერისთავის ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული კვლევები და ამანვე მიიყვანა იგი სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონთან“, როგორც ქართული ენის თეზაურუსთან, ქართული ენის სამყაროულ სურათ-ხატთან, როგორც ქართული ენის ლექსიკის სათავეების შემცველ უპირველეს და უმთავრეს საგანძურთან. ეს ლექსიკონი ხელნაწერებად იყო გავრცელებული ქართველ საზოგადოებაში, გამოქვეყნებული – დაბეჭდილი არ ყოფილა. რაფიელ ერისთავმა მოიძია ეს ხელნაწერები, შეაჯერა ერთმანეთთან, „შეუთანასწორა“, შეავსო და მოამზადა გამოსაცემად, ვრცელი წინასიტყვაობაც დაურთო. ცნობას ამის თაობაზე რაფიელ ერისთავი გვაწვდის ამ ლექსიკონის გამოცემის წინასიტყვაობაში:

„დღევანდლამდის სულხან ორბელიანის ლექსიკონი არ ყოფილა არსად დაბეჭდილი და ხელნაწერები კი ზოგიერთ ოჯახებში მოიპოვება. მე შევკრიბე რამოდენიმე ლექსიკონები საბა-სულხან ორბელიანისა, შეუთანასწორე ერთმანეთს და ამ რიგათ შევავსე“ (ორბელიანი, 1884:15).

რაფიელ ერისთავის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, თვალთახედვით ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი განმარტებითი ფუნქციის მქონე იყო და მისი რედაქტორული სამუშაოებიც ამ მიმართულებით განხორციელდა. კერძოდ, შიგადაშიგ, ის ადგილები, სადაც ქართულ სიტყვებს სხვა ენოვანი (სომხური, თათრული) შესიტყვობები ჰქონდა მიწერილი სულხან-საბასაგან, რაფიელ ერისთავმა ამოიღო. ისინი „აღარ შემოვიტანეო დასაბეჭდათ, რადგან ამ ლექსიკონის დანიშნულება არის ახსნა-განმარტება ქართულისავე გაუგებარის სიტყვებისა და იმისთვის კი არ გაუწევია შრომა საბა-სულხან ორბელიანს, რომ ჰქონოდა აზრათ თარგმნა ქართულის სიტყვისა სხვა ენაზედაც“ (იქვე, 15). ე. ი. სულხან-საბას არ ჰქონია მიზნად დასახული ორენოვანი - ქართულ-სომხური ან ქართულ-

თათრული ლექსიკონის შედგენაო. ამ დასკვნამდე რაფ. ერისთავი ს. ს. ორბელიანის ცნობამ მიიყვანა, რომელიც ლექსიკონის ხელწერის შესავალ წერილში ჰქონდა დაფიქსირებული, კერძოდ, მითითებამ იმაზე, რომ „მე სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულის მეტო“. ამავე აზრის არგუმენტად მას მიაჩნდა ს.ს. ორბელიანის მიერ ლექსიკონის ხელნაწერში ასო „ჟ“ ნაწილის (მონაკვეთის) დასაწყისზე მიწერილი ცნობა იმის შესახებ, რომ ბერძნული სიტყვები ერთი მღვდელ-მონაზონის მითითებით შევასწორე, რომელიც ბერძნული ენის ცოდნას ჩემოვდა და არ კი სცოდნაო (იქვე, 15). ყველაფრის მიუხედავად, ლექსიკონის ლინგვისტიკური დონე (გამართულობა) რაფ. ერისთავისათვის სულხან-საბა ორბელიანის უცხო ენობრივი კომპეტენტურობის მაჩვენებელი იყო: ბერძნული, სომხური, თათრული, სპარსული, იტალიური და ლათინური ენების გარკვეული ცოდნის კვალს შეიცავდა. ამ ენების ცოდნის წყარო სულხან-საბას ცხოვრება-მოღვაწეობა იყო, ურთიერთობა ამ ენების მატარებელ ადამიანებთან თბილისსა თუ მათს ქვეყნებში.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ხელნაწერების შეჯერებით რაფიელ ერისთავმა თავი მოუყარა ჩვიდმეტი ათას ოთხას თორმეტ (17412) სიტყვას თავთავისი ახსნა-განმარტებებით და ოთხასამდე განუმარტავად დატოვებულ სიტყვას. რაფიელ ერისთავისათვის სწორედ ეს კოლოსალური შრომა იყო განსაცვიფრებელი და კიდევ ის, რომ სულხან-საბამ თავის ერს „არ დაუკარგა და აღუდგინა დედა ენა“. ამით დაიდგა უკვდავების გვირგვინი, „დაუვიწყარი არის და უნდა იყოს კიდევ ქართველებისაგანო“ (იქვე, 16). თავად რაფიელ ერისთავმა კი ამ დიდი მოღვაწის არდავიწყებისათვის ის მოიმოქმედა, რომ მისი ნაღვაწი ერს დაუბრუნა უაღრესად საჭირო დროს და, ფაქტობრივ, თავიდან გააცნო ქართველ საზოგადოებას სულხან-საბა ორბელიანი. ამ მიზნით „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში სულხან-საბას ბიოგრაფიული ნარკვევი და მისი ნაღვაწის მიმოხილვა გააცნო. ეს ბიოგრაფიული ნარკვევი რაფ. ერისთავმა სხვადასხვა წყაროების კრიტიკული ანალიზის და კონცეპტუალური კვლევის საფუძველზე დაამუშავა. ამით მან სულხან-საბა და მისი ნაღვაწი გააცნო საზოგადოებას. ამის თაობაზე რაფიელ ერისთავი ქართული ლექსიკონის წინასიტყვაობაში წერდა:

„სულხან ორბელიანს არა ნაკლები ღვაწლი დაუდგია, როგორც ქართულის ლიტერატურის გასამდიდრებლად, ისე მეფის ვახტანგ VI-ის და საქართველოს სამსახურისთვის. მაშ უადგილო არ იქნება, რომ გავაცნოთ საზოგადოებას მისი პირადობა და ვინაობა და ამიტომაც მოვიყვანოთ, აქ, მასალები, რამოდენიც დღეს გვემოკვება და სულხან ორბელიანს შეეხებინა“.

„ქართული ლექსიკონი“ რაფიელ ერისთავმა 1884 წელს გამოსცა ეპისკოპოს ალექსანდრეს საფასით, რისთვისაც მადლობას უხდის წინასიტყვაობაში. ამავე წინასიტყვაობით ირკვევა, რომ ლექსიკონის გამოცემა სამ წელს გაჭიმულა. წინასიტყვაობა რაფიელ ერისთავის მიერ 1881 წლის 15 ოქტომბრით არის დათარიღებული, გამოცემის წლად კი 1884 წელია დაფიქსირებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, როგორც ითქვა, რაფიელ ერისთავისათვის ყველაზე უტყუარი დოკუმენტი იყო ქართული ენის ლექსიკონის სიმდიდრის, კომუნიკაციის უნარის, განსაკუთრებით განათლებისა და მეცნიერების სფეროებში გამოყენების შესაძლებლობების წარმოჩენისა. ამ მიზნის შესაბამისად ააგო რაფ. ერისთავმა წინასიტყვაობის ტექსტი. იგი მთლიანად მიმართული იყო ქართული ენის მტრებისა და სკეპტიკოსების წინააღმდეგ. ამ მიზანს, უპირველესად, ემსახურებოდა რაფიელ ერისთავის მოკლე ისტორიული ექსკურსი ქართული ენის, ქართული წერა-კითხვის სახელმწიფოებრივ დონეზე დაკანონებული ფუნქციონირების თაობაზე – მეფე ფარნავაზიდან დაწყებული ქრისტიანობის შემოღებამდე და შემდეგ ეპოქებში. რაფ. ერისთავს ღრმად სწამდა, რომ ქრისტეს აქეთ საუკუნეებშიც „ქართული ენა საკმაოდ მდიდარი იქნებოდა“, როცა „საჭირო შეიქმნა საღმრთო წერილების თარგმნა“. „ლიტერატურაც ფეხს აიდგამდა და ქართული ენაც უმეტესად შეიმუშავებოდა ამ მიზეზით

და იმ დამოკიდებულობით, რომელიც იმ ხანებში ჰქონდათ ქართველებს სხვადასხვა განათლებულს და დაწინაურებულს სახელმწიფოებთან“.

რაფიელ ერისთავს ღრმად სწამდა, რომ ქართველებს აუცილებლად ექნებოდათ ლექსიკონი, „მაგრამ დაფურცლილა და დაკარგულა სხვადასხვა დროებში“ (ორბალიანი, 1884:1). ამაში მას არწმუნებდა სულხან-საბას ცნობა იმის თაობაზე, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი“ მის დროს „არღარა იპოებოდა, რათა ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა“.

სწორედ ამ დანაკარგის შევსების მცდელობად მოიაზრებოდა სულხან-საბას მიერ ქართული ლექსიკონის შედგენის იდეა, რაც მეფე გიორგიმ დაავალა: „ვინაიდგანპატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ქართული თვისთა ნებათა ზედა გაერყვნათ, ვახტანგ მეფის ბიძამ, მეფემან გიორგიმ მიბრძანა ამის ხელყოფად“ (იქვე, 3). ერთად-ერთი მოღწეული ლექსიკონი კი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვის კონა იყო, თანაც ისეთი, რომელიც „საზოგადოების და ლიტერატურის მოთხოვნების თამამად დააკმაყოფილებდა ამ დროებით“. რაფიელ ერისთავი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის თანამედროვე ქართველ საზოგადოებას ხელთ რომ ჰქონოდა სულხან-საბას ლექსიკონი, „მაშინ უცხო ენის სიტყვები აღარ შეამღვრევდა ქართულს ენას, რადგან თვით ამ ენაზედ მოიპოვებიან ჯეროვანნი და უფრო მარჯვე სახელწოდებანი“ (იქვე, 2).

რაფიელ ერისთავმა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე მუშაობის პროცესში ზუსტად ამოიკითხა მისი შემდგენლის ჩანაფიქრი, რაიც ლექსიკონის სტრუქტურაზე აისახა უპირველესად. ეს იყო ლექსიკოლოგიური ღიაობა, დაუსრულებლობა, მისი ლექსიკით შევსების პერსპექტიულობა ნებისმიერ დროს მცოდნე, საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის. რაფ. ერისთავმა, როგორც რედაქტორმა, ლექსიკონის წინასიწყვაობაში ვრცლად დაიმოწმა სულხან-საბა და რედაქტირება, ფაქტობრივ, მისი ჩანაფიქრის მიხედვით ჩაატარა:

„რომელნიცა ვიცოდი დავსწერე და რომელნიცა ღრმანი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე დაგამოწვლილით, რომელიცა ვპოე ადვილად თანა მოვაწერე, არამედ მუნვე კიდურთა ზედა, წითლითა, ნიშნათ, იგივე სიტყვები მოვაწერე, ნუ თუ სხვათა წერილთა მისთანათა სიტყვები ეწეროს გამოძიებით იპოების“.

ამას გარდა, რაფიელ ერისთავმა სულხან-საბას ის სიტყვებიც დაიმოწმა, სადაც იგი აკვალანებდა ლექსიკონის მომხმარებელს თუ როგორ უნდა მოქცეულიყო განუმარტავად დატოვებული ანდა ახალი, უცხო და უცნობი სიტყვების აღმოჩენის შემთხვევაში: მე „გარნა, რაოდენ ძალ-მედვა, ვცადე... რომელნიცა სწორედ სთქვეს, გინა რომელმან დამაჯერა, იგი დავსწერე, რომელნი არ ემოწმენ, არცა მე დავსწერე და თქვენ იგულის-მოდგინეთ,, რომელთა მოგეცესთ თქვენ სიბრძნე და მეცნიერება თქვენ შეასრულეთ“ (ორბელიანი, 1884:4-5). და რაფიელ ერისთავმა „შეასრულა“ და გაასრულა ლექსიკონი: სულხან-საბას მიერ განუმარტავად დატოვებულ სიტყვებს ახსნა-განმარტებები ქართულ სასაუბრო ენაში მოუძებნა. ამგვარად ლექსიკონის შევსება შეძლო შეძლებისდაგვარად და არაკეთილმოსურნეებს ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრეც აჩვენა.

რაფიელ ერისთავმა არა მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი შეავსო და გამართა, არამედ დამოუკიდებლადაც გაშალა ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მუშაობა და ამ მიმართულებითაც გასაოცრად ბევრის გაკეთება შეძლო.

რაფიელ ერისთავი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ სამეცნიერო საზოგადოებებთან, განსაკუთრებით მათს კავკასიის ფილიალებთან, რომელთა უმეტესობა თბილისში იყო განლაგებული. იგი კარგად ხედავდა მის თანამედროვე საქართველოში მეცნიერების სავალალო მდგომარეობას და, შესაბამისად, ქართული მეცნიერული ენის სისუსტეს. ამის გამო მან იმთავითვე წამოიწყო ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული მუშაობა და ცალკეული მეცნიერული დარგებისათვის განმარტებითი და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენა და გამოცემა. ასე, მაგალითად, 1873 წელს

გამოსცა სამენოვანი „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, რომელიც შეიცავდა ათასზე მეტი ლექსიკური ერთეულის განმარტებას.

ამ ლექსიკონის გამოქვეყნებას აღფრთოვანებით შეხვდა გაზეთი „გუთნის დედა“. 1873 წლის მეჩვიდმეტე ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში გაზეთი წერდა: „...ასეთ შრომას ერიდებიან ე. წ. ცრუ ლიტერატორები... მადლობა ღმერთს, რომ თითოთოროლა კაცი კიდევ მოიპოვება, რომელნიც ადგანან უანგარო სასარგებლო შრომას და უყვირლათ, უქაქანოთ აკეთებენ საქვეყნო საქმეს“ („გუთნის დედა“, 1873:8).

1880 წელს რაფიელ ერისთავმა „ივერიაში“ (N144) გამოაქვეყნა განცხადება და გეგმა „დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონისა“, რომლისთვისაც მასალებს ინტენსიურად აგროვებდა. შეადგინა და გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის“, კითხულობდა საჯარო ლექციებს ქართული ენის წარმომავლობის, მისი ბუნების შესახებ.

1884 წელს რაფიელ ერისთავმა გამოსცა „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებითგან“.

უფრო ადრე, 1857-1867 წლებში, ზუგდიდის მაზრის უფროსად მსახურების დროს, დიდძალი მასალა დააგროვა მეგრულ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შესაქმნელად (ჯაგოდნიშვილი, 1986:33).

რაფიელ ერისთავის არქივი, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, გასაოცრად მრავალფეროვან ლექსიკოლოგიურ მასალას შეიცავს. ირკვევა, რომ ქუთაისსა და ზუგდიდში მოღვაწეობის წლებში რაფიელ ერისთავი აგროვებდა მასალას დიალექტოლოგიური და დიალექტების შედარებითი ლექსიკონებისათვის. ეს მასალები გარკვეულ სისტემაში არის მოყვანილი და სალექსიკონო ფორმაშიც არის ჩასმული. ლექსიკა დალაგებულია დარგობრივ-თემატიკური პრინციპით, კერძოდ, მასალები:

- ქართულ-იმერული დიალექტების შედარებითი ლექსიკონისათვის;
- მეგრულ-სვანური ლექსიკონისათვის;
- იმერულ-ქართლურ-რუსული ლექსიკონისათვის;
- გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის;
- მედიცინისა და მეტროლოგიის ტერმინოლოგიური ლექსიკონისათვის;
- სამჭედლო და სადურგლო საქმის ლექსიკონისათვის;
- თანამდებობათა აღმნიშვნელი განმარტებითი ლექსიკონისათვის;
- სამხედრო, საზღვაო, ასტრონომიული, ფიზიკის, ქიმიის, მეტროლოგიის ქართულ-რუსული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის;
- რუსულ-ქართული ანტონიმების ლექსიკონისათვის;
- საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონისათვის;
- თევებისა და ზოდიაქოებისათვის სახელების განმარტებითი ლექსიკონისათვის.

ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონით“ დაინტერესება არ ყოფილა რაფიელ ერისთავისათვის მომენტური, ოდენ პრაქტიკული საჭიროებით გამოწვეული ფაქტი. მისი მოღვაწეობა, ნაღვაწი, პირადი არქივი ლექსიკოლოგიისადმი ინტერესის სისტემურობას და ქართველი საზოგადოების საჭიროების პრიზმაში გაცნობიერების ფაქტს ცხადყოფს. შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ერისთავი ამ შემთხვევაში ევროპული ორიენტალისტიკის მეცნიერულ ტრადიციათა სიმადლიდან უდგებოდა ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიულ კვლევების მნიშვნელობას და შედეგანობას ქართული საზოგადოებრივი აზრისა თუ ზოგადად კულტურისათვის. მარი ბროსესთან სიახლოვემ, მის ქართველოლოგიურ მიეზებში ჩართულობამ რაფიელ ერისთავს კარგად დაანახა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შინაარსიც და ასპარეზიც, გეზიც და მიმართულებაც... და მან თავისი სიცოცხლე ამ დიად საქმეს შესწირა.

ამავე მიზნით გაუცოცხლა მან ქართველ საზოგადოებას სულხან-საბა ორბელიანი, გამოსცა მისი „ქართული ლექსიკონი“, გალექსა მისი იგავები, ცოცხალ ყოფაში გასაოცრად მრავალფეროვანი და უხვი ლექსიკური მასალა აღნუსხა და სათავე დაუდო

ჩვენში დარგობრივი განმარტებითი და ტერმინოლოგიური ორ და სამენოვანი ლექსიკონების გამოცემის ტრადიციას.

#### ლიტერატურა:

ერისთავი რ. (1878): „იგავ-არაკნი გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუიდგან“ და გალექსილნი თ. რაფ.

ერისთავის მიერ“. გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან. თფილისი.

(1873): „ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, თ. რაფიელ ერისთავისაგან შემდგარი“ / „გუთნის დედა“. N17.

ორბელიანი ს. ს. (1871): „სიბრძნე-სიცრუე“. გამოცემა პ. უმიკაშვილისა.

ორბელიანი ს.ს. (1884): „ქართული ლექსიკონი“. ტფილისი.

ჯაგოდნიშვილი თ. (1979): „რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება“. „მეცნიერება“. თბილისი.

ჯაგოდნიშვილი თ. (1986): „რაფიელ ერისთავი“. „ნაკადული“. თბილისი.

**Temur Jagodnishvili**

Georgian Technical University

Tbilisi, Georgia

t.jagodnishvili@gtu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.65>

### Rafiel Eristavi and Sulkhan-Saba Orbeliani

#### Abstract

Rafiel Eristavi is a great name in the history of Georgian culture. He left his mark on 19th century Georgian public opinion, poetry, writing, dramaturgy, journalism, folkloristics, ethnography, lexicology-lexicography... He is a devoted servant of the national ideals of the Georgian people;

He surprised his contemporaries with his incredible multifaceted work and gained unprecedented respect and love during his lifetime.

On the 70th anniversary of his birth (for the first time in the history of Georgian culture), the Georgian nation celebrated the jubilee of his writing and public work. This fact was equated to a secular holiday and thus started the tradition of paying anniversaries for national figures in Georgia. It happened on October 22, 1895. Ekvtime Kheladze collected the jubilee materials and published them as a separate book. This is how the Georgian nation immortalized the merits of its famous figure.

We are already 200 years away from this glorious date. Unfortunately, time has forgotten many aspects of Rafiel Eristavi's character and has given him a place in the annals of history

**Key words:** Rafiel Eristavi< Sulkhan-Saba Orbeliani, the history of Georgian culture.



მაია ჯავახიძე

ი.ჯავახიძევილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

maiajava@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.66>

## ადამიანები და მათი თვისებები ცხოველთა სახელების შემცველ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში (თხა, კურდღელი, კატა, ფოცხვერი)

საკვანძო სიტყვები: მეტაფორები, ცხოველთა სახელები, ადამიანები

კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში ე.წ. ცხოველთა მეტაფორებზე (Animal Metaphors) ბევრი სხვადასხვა კვლევაა ჩატარებული (M.Reza Talebinejad, H, Vanid Dastjerdi 2005, Fontecha A. F., Jimenez R.M. 2003, M.Aliakbari E.Faraji 2013, H.Nezi 2015, K.Ahrens, A.L.T. Say 1999). სანდორ მარცას (Martsa S., 1999, 2007) აზრით, ცხოველთა სახელწოდებებში გვარის სახელწოდებები უფრო იკვეთება კულტურულად და კონცეპტუალურად, ეს არის ცხოველთა ბაზისური დონის ტერმინები, რომლებიც ძირითადად მონომორფულია, მაგალითად: dog, cat, monkey. მათი მორფოლოგიური სიმარტივე ხელს უწყობს მათ კონცეპტუალურ სიმყარეს; ეს ტერმინები ადვილად აითვისება ბავშვების მიერ, ასევე უფრო ხშირად ექვემდებარებიან მხატვრულ ხმარებას, ვიდრე სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან სხვა ეთნობიოლოგიურ კატეგორიებს (ოჯახს, სახეობას და ა.შ).

დიდი ჯაჭვის მეტაფორა (Great Chain of Being), რომელიც იერარქიულად განალაგებს სხვადასხვა არსებებსა და საგნებს (ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, რთული აგებულების მქონე საგნებსა და ბუნებრივ ფიზიკურ საგნებს), კარგად ხსნის ზოგადი სახელების მეტაფორულ გამოყენებას, ვინაიდან საშუალებას გვამძლევს ადამიანის მახასიათებლები გავიგოთ ადამიანისაგან განსხვავებული (არა-ადამიანური) ობიექტების თვისებებით და პირიქით, დავინახოთ გარკვეული, არა-ადამიანური ერთეულები ადამიანური მახასიათებლების საშუალებით. ეს იერარქიული სისტემა მეტაფორული ხდება, როდესაც მისი ერთი კონ-კრეტული დონე გამოიყენება მეორე კონკრეტული დონის გასაგებად; უფრო მაღალ იერარ-ქიულ დონეზე მყოფი ელემენტები გაიგება უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ელემენტების საშუალებით, მაგალითად, ადამიანი გაიგება როგორც ცხოველი ან მცენარე, ან პირიქით, უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ელემენტი კონცეპტუალიზებულია როგორც უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ერთეული, მაგალითად, როდესაც ხდება საგანთა პერსონიფიკაცია. (Kövesces Z., 2010;167)

იკვლევს რა კონცეპტუალურ სტრუქტურას, რომელიც საფუძვლად უდევს ცხოველთა სახელწოდებების ზოგად და სპეციფიკურ გამოყენებას მეტაფორებად, მარცა ეფუძნება არსებობის დიდი ჯაჭვის მეტაფორას – (რომელიც მიმართულია ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით), ხალხურ თეორიას – საგანთა ბუნება (Nature of Things) და პრაგმატულ პრინციპს – რაოდენობის მაქსიმას;

საგანთა ბუნება – ის ცოდნაა, რომელიც ადამიანებმა შეიძინეს სიცოცხლის უფრო დაბალი ფორმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით არსებობს შეხედულება, რომ

საუკეთესო საშუალება ცხოველებთან მიმართებაში ამ ცოდნის აღსაწერად არის თემატური ნაწილები (thematic parts) ვეჭბიცკას სემანტიკური თეორიიდან (1985 161; 1996:340-7). ვეჭბიცკა აღნიშნავს, რომ ადამიანების მიერ ცხოველთა კონცეპტუალიზაციაში შემდეგი თემატური ნაწილები – ანუ ცხოველთა ყოფის ასპექტები – არის მნიშვნელოვანი: HABITAT „საცხოვრისი“, SIZE „ზომა“, APPEARANCE „გარეგნობა“, „ქცევა“ BEHAVIOR და, ყველაზე მნიშვნელოვანი, RELATION TO PEOPLE „მათი დამოკიდებულება ადამიანებთან“. ეს თემატური ნაწილები შეადგენენ კულტურაზე დამოკიდებულ, ავტომატურად მოძიებად ცოდნას (ფრეიმს) ცხოველებზე, რომელიც მოიხმობა ცხოველთა სახელწოდებების მეტაფორული გამოყენების შედეგად.

პროექციის მეორე შემადგენელი რაოდენობის მაქსიმა (Maxim of Quantity), რომელიც ადებს პრაგმატულ შეზღუდვას იმას, თუ ცხოველის რომელი თვისებების პროექცირება ხდება ადამიანის რომელ თვისებაზე და პირიქით, ადამიანის რომელი თვისებები არის ჩვეულებრივ პროექცირებული ცხოველებში. რაც შეეხება ცხოველების პროექცირებას ადამიანებში, მხოლოდ ძირითადი, კულტურულად და ფსიქოლოგიურად გამოკვეთილი თვისებები, როგო-რიცაა ცხოველების ქცევა, შინაგანი მდგომარეობა, სურვილები, ემოციები და გარკვეული კოგნიტიური უნარები პროექცირებულია ადამიანებში და შედეგად ეს თვისებები ლექსიკალიზებულია სხვადასხვა ენობრივ ფორმებში.

ჩვენი კვლევა ქართული და იტალიური ენების მასალაზე განვახორციელეთ იმ მიზნით, რომ დავადგინოთ, თუ როგორ არის კონცეპტუალიზებული ფართო გაგებით ადამიანი (მისი გარეგნობა, ხასიათი, ქცევა) ცხოველების სახელების შემცველი მეტაფორების საშუალებით. წინამდებარე კვლევაში შევიტანეთ შემდეგი ერთეულები: თხა, კურდღელი, კატა, ფოცხვერი, რომლებიც წარმოადგენენ წყაროს სფეროს. აღნიშნული მიზნით გამოვიყენეთ იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონი (Zingarelli 2001), ტრეკანის ონლაინ ლექსიკონი (Treccanni), იტალიური ენის კორპუსი (CORIS/CODIS), ქართული ენის კორპუსი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. წინამდებარე ანალიზი ეფუძნება მხოლოდ თავისუფალ შესიტყვებებს, არ არის განხილული ფრაზეოლოგიზმები ფართო გაგებით და ანდაზები.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში წყაროს სფეროდან – თხა, უმთავრესად პროექცირდება მოძრაობა:

**მოძრაობები/მოქმედებები:** როგორც ჯიშიანი თხა, ისე ხტუნაობს, თხასავით გადავხტი, ჯიუტი თხასავით იქცევით, თავი თხის თავივით უცანცარებდა, მე დავვხეტები თხასავით, კიბეები შეშინებულ თხასავით აირბინა, თხასავით აცმაცუნებს ტუჩებს, კისერს თხასავით აცანცარებდა, თხებივით დაიფანტენ, დაფეთებული თხასავით გამოვარდა, თხასა-ვით ცანცარებდა, თხასავით ვაცხიკინებ, ფეხით დაკიდებული თხასავით აკიკინდა, უნდა იბაკუნოს თხასავით, თავს ბებერ თხასავით აკანტურებს, რას მომჩერებიხარ იელის ნაჭამი თხასავით, „ჯეო-ბარს“ არის თხასავით მიშტერებული დიდი და პატარა.

**გარეგნობა:** თხასავით წვერიანი კაცი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი თხის გადატანითი მნიშვნელობას არ აფიქსირებს.

როგორც გაანალიზებული მასალიდან ჩანს, მიზნის კონცეპტში (ადამიანი) პროექცირდება წყაროს კონცეპტის მახასიათებლები, რომელიც ძირითადად ეხება ქცევას. თუ ქართულ მასალას მეტაფორული გამოყოფის საფუძველზე (highlighting) (Kovecses, 2010; 79) შევადარებთ იტალიურს ვნახავთ, რომ წყაროს კონცეპტიდან იქაც პროექცირებულია ქცევა და გარეგნობა, რაც მათ საკმაოდ მსგავს კონცეპტებად აქცევს. თუმცა არის განსხვავებაც, კონკრეტულად კი ტრეკანის ლექსიკონის მიხედვით თხა არის უტვინო და ჯიუტი ადამიანი: *ho perso la speranza di far capire qualcosa a quella capra di mio nipote – იმედი დავკარგე, რომ იმ ჩემს თხა ძმისშვილს რამეს გავაგებინებდი.*

Sei stupida come una capra! – თხასავით გამოშტერებული ხარ!

Sveva Lopez del Rio, che ... era ignorante come una capra.– ზვევა ლოპეს დი დიო, თხასავით სულელი იყო.

Ha meno cervello di una capra selvatica. – გარეულ თხაზე ნაკლები ტვინი აქვს.

**გარეგნობა:** ciuffi bianchi di barba sulle guance, radi come quelli di una capra vecchia...– ლოყებზე – ბებერი თხასავით ალაგ-ალაგ აჩამოკიდებული თეთრი წვერით.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც გამოყოფილია ხმა და სუნი:

...emise un gemito... di capra intenerita – მას განაზებული თხის კვნესა აღმოხდა.

Puzzi come una capra – თხასავით სუნი აგდის....

ლაკოფისა და ტერნერის აზრით (Lakoff G., Turner M.. 1989;194), ცხოველები მოქმედებენ ინსტიქტებით და სხვადასხვა ცხოველს სხვადასხვა ინსტიქტური ქცევა ახასიათებს. ჩვენ მათ ქცევას ადამიანური ქცევის პოზიციიდან ვიგებთ და ვიყენებთ ადამიანისათვის დამახასიათებელ თვისებებს ამგვარი ქცევის აღსაწერად. ჭკუა, სიმამაცე, სიმხდალე, სხვაზე დამოკიდებულება, მერყეობა – ადამიანური თვისებებია და როცა ამ თვისებებს ცხოველებს მივაწერთ, ჩვენ ამ ცხოველების ქცევა მეტაფორულად ადამიანის ქცევიდან გვესმის.

მაშასადამე, ცხოველთა სახელწოდებების მეტაფორული გამოყენების საფუძველს წარმოადგენს ორმხრივი პროექცია; მეტაფორული მნიშვნელობა ჩნდება ადამიანების პროექციით ცხოველებში (ანთროპომორფიზაცია) და ცხოველების შემდგომი პროექციით ადამიანებში (ზომომორფიზაცია). ანთროპომორფიზაცია – კოგნიტიურად წინ უსწრებს ზომომორფიზაციას, ეს უკანასკნელი კი ასრულებს მეტაფორიზაციის პროცესს. შედეგად, ცხოველთა აღმნიშვნელ სიტყვებს, როგორც სიტყვა-მეტაფორებს, შეუძლიათ მეტაფორულად გამოხატონ ხარბი, არასანდო, უნამუსო და ა.შ. ადამიანი. (Martsa S., 2007; 213–214)

ორივე ენის გაანალიზებულ მასალაში წყაროს კონცეპტი - კურდღელი - ძირითადად პროექტირდება როგორც მხდალი და მასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა მოქმედებები:

**შიშთან დაკავშირებული ფრთხილი ძილი:** კურდღლის ძილი იცოდა, კურდღელივით თვალდაჭყეტილი წევს.

**მოძრაობა/მოქმედებები:** იმალება, კანკალებს, დაცანცარებს, ცქმუტავდა, გარბის, გაპარულა, ცახცახებს, მოკურცხლა, მიჰქრის, გამოვარდა, თვალებს კურდღელივით აცეცებდა, იჯდა ბუჩქში კურდღელივით, (მოსამართლე) კურდღლის ცხვირით ცმუკავდა, ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებდა, გველისაგან მონუსხული კურდღელივით შესცქერის უმწეოდ.

**ჭამა:** ის კურდღელივით, მხოლოდ ხილითა და ბოსტნეულით „ბალახობს“.

კურდღელი იტალიურ ენაში ხშირია შედარებებში, კურდღელივით ადამიანი – როგორც ძალიან მორიდებული (timida) ან მხდალი და მშიშარა: *è timido come un coniglio* – კურდღელივით მორცხვი, *si è comportato come un coniglio* – კურდღელივით მოიქცა და ამ თვალსაზრისით ქართული კონცეპტის მსგავსია, თუმცა ქართულისაგან განსხვავებით გამოყოფილია მორიდებულობა და სწრაფი გამრავლების უნარი:

*fanno i figli in giro come conigli* – ბავშვებს კურდღლებივით აკეთებენ.

Lui piaceva. Piaceva nonostante ballasse come un puledro e facesse l'amore come un coniglio – ის მოსწონდათ, მიუხედავად იმისა, რომ კვიცივით ცეკვავდა და სიყვარული კურდღელივით იცოდა.

**მშიშარა, მხდალი:** era un codardo, un coniglio in fuga da tutto – მხდალი იყო, ყველაფერს გაურბოდა,...ebbe la tentazione di andarsene immediatamente. Ma decise di non fare il coniglio ancora una volta – სურვილი გაუჩნდა დაუყოვნებლივ წასულიყო, მაგრამ გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთხელ კურდღელივით არ მოქცეულიყო.

**Felino** – კატისებრი, ქართულად უფრო ხშირად ითარგმნება როგორც კატისა, კატისათვის დამახასიათებელი, მაგალითად, მოქნილობა, მზერა, ემშაკობა. შედარების

თვალსაზრისით ეს ორი კონცეპტი საკმაოდ მსგავსი კონცეპტებია, ორივეში პროექტირებულია გარეგნობის ელემენტები (მოდრაობა, მზერა, თვალები):

**სახე:** un viso/volto da felino – კატის სახე.

**ღიმილი:** un sorriso felino – კატის ღიმილი.

**ულვაშები:** aveva i baffi quasi irti, come un felino – კატასავით გაფშევილი ულვაშები ჰქონდა.

**თვალები:** ... due occhi leggermente obliqui di un profondo verdeazzurro divenivano sottili come quelli di un felino – ორი, ოდნავ ირიბად ჩასმული მუქი მომწვანო-მოცისფრო თვალი კატის თვალებივით უწვრილდებოდა.

**მზერა:** lo sguardo tagliente di un felino – კატისებრი, გამჭოლი მზერა, lo sguardo felino... კატისებრი გამოხედვა.

**მოდრაობები:** si muoveva silenzioso come un grosso felino – დიდი კატისებრივით ჩუმად მოძრაობდა. mentre saliva appoggiava solo le punte effettuando più un saltello che un passo, un qualcosa di felino – ასვლისას ფეხის წვერებით ადიოდა, უფრო ნახტომებით, ვიდრე ნაბიჯებით, რაღაც კატისებურად.

era solito balzare dall'alto con agilità di felino – კატის მოქნილობით ახტებოდა ზემოდან. sale le scale, veloce come un felino – კიბეზე კატასავით მარდად ადის.

è entrata in casa con passo felino – ოთახში კატასავით შევიდა.

ქართულ ენაშიც აღნიშნული წყაროს (კატა) პროექცია ტალიურის მსგავსია, ეს არის სხვადასხვა მახასიათებლები: ხმა, მზერა, სმენა, გარეგნობა, მოძრაობა.

**ხმა:** კატის წამოვნავლების მსგავსი ხმა, კატის კნავილით შეჰკნავლა, კატასავით იჩხავლოს, კატასავით აკრუსუნდა.

**სმენა:** ქალს კატის სმენა აქვს.

**თვალები და მზერა:** კატის თვალებით იმზირებოდა, თვალი კატასავით მიჭრიდა, მზერა ველურ კატასავით მიელულა, მჭრელი თვალები კატასავით ანთებოდა, თვალები კატასავით უბრწყინავდა, თვალი კატასავით გააპარა, ქურდი კატასავით აქეთ-იქით იცქირებოდა, ახალპირდაბანილი კატის სიამაყით იცქირებოდა.

**მოდრაობა/მოქმედება:** ქალი ახალგაზრდობას კატის კლანჭებით ებლაუჭებოდა, ზარმაც კატასავით ცალი თვალი აახილა, კატასავით გაწოლილიყო, კატის ნაბიჯებით მიუახლოვ-და, კატის მიმოხვრით შევიდნენ, კატის სიმარდით გაუჩინარდა, კატის ზანტი და მოზომილი მოძრაობები ჰქონდათ, კატის სიმკვირცხლით შეახტა, კატის მოქნილი მოძრაობით გაიზმორა, კატის სიფრთხილით მიუყვებოდა დაფნის მწკრივს, კატასავით ისკუპა, მიეგლისა, კატასავით იწვართება, ერთი კი გადატრიალდა ჰაერში და მერე რაღაც უცაბედად ფეხზე დადგა კატასა-ვით, კატასავით განაბულიყო, ჩაცოცდა, გაიპარა, მიცოცავს, გაიყურსა, აიწურა, მოიკეცა, დამრგვალდა, კამარის წინ შეკუმშული კატასავით იკრუნჩხებოდა, სიფათი ონკანთან კატასავით მოიბანა, კატასავით ფეხის წვერებიდან იწყებდა ნაბიჯს.

**ფოცხვერი.** ფოცხვერს გადატანითი მნიშვნელობით აფიქსირებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: „მოვიდეს თებერა და დამიხსნას ამ ფოცხვერის პირიდან“ – ანუ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მტაცებლის სწორედ მტაცებლური თვისებაა გამოყოფილი.

განხილულ მასალაში გამოყოფილია თვალები, ხასიათი და მოძრაობები:

**თვალები:** მისი დიდრონი თვალები ფოცხვერის თვალებივით ანათებდნენ ბნელ ღამეში, რისხვით ანთებული ფოცხვერის თვალები; იელვეს ფოცხვერის მსგავსმა მომწვანო თვალებმა.

**ხასიათი:** ფოცხვერივით ავი.

**მოქმედებები:** ფოცხვერის ნახტომი, ნაშალს ფოცხვერივით ეჭიდებოდა. ფოცხვერივით შეახტა ქარაფებს, საქმეს ფოცხვერივით ასკდება, (ფიქრიამ) მუ ფოცხვერივით შეუბღვირა, ფოცხვერივით ხანჯალ-ამოღებული გადახტა, (ლეკებს)

ფოცხვერივით შეება, ფოცხვერივით ისკუპა, ფოცხვერივით სწრაფი, ფოცხვერივით ფხიზელი, ფოცხვერივით ჩასაფრებული.

იტალიურ ენაშიც, ქართულის მსგავსად ფოცხვერის მოძრაობებია გამოყოფილი:

**მოძრაობები:** veloce come una lince – ფოცხვერივით სწრაფი, vi saltò dentro come una lince svezzata – ფოცხვერივით შეახტა, camminava leggero come una lince... – ფოცხვერივით მსუბუქად მოძრაობდა.

ტრეკანის ლექსიკონის მიხედვით, უძველესი დროიდან არსებობს შეხედულება, რომ ფოცხვერს აქვს ძალიან კარგი მხედველობა, ამას ეფუძნება შემდეგი გამოთქმა occhio di lince – ფოცხვერის თვალი, გადატანითი მნიშვნელობით კი ისეთი ადამიანია, რომელსაც ახასიათებს გამჭრიახი გონება, საგანთა სიღრმისეული ხედვა და შორსმჭვრეტელობა.

ქართულისაგან განსხვავებით, სწორედ ფოცხვერის განსაკუთრებული მხედველობის უნარია გამოყოფილი იტალიურ ენაში:

Pietro invece si è guardato intorno con la sua faccia da lince che scruta il mondo. – პიეტრომ იმ ფოცხვერის მხერით მიმოიხედა, გარემოს რომ აკვირდება.

Lui aveva la vista di una lince. – მას ფოცხვერივით მხედველობა ჰქონდა.

«Che occhio! Sei davvero una lince». – „რა მხედველობა გაქვს! ნამდვილი ფოცხვერი ხარ“.

Eppure lei mi aveva scorto con quel suo occhio di lince ad almeno cento passi di distanza, mentre la trasportavano sulla sua poltrona, mi aveva riconosciuto e mi aveva chiamato ... – მან თავისი ფოცხვერის თვალით დაახლოებით ას ნაბიჯში შემამჩნია, სანამ სავარძლით გადაჰყავდათ და დამიძახა...

ამგვარად, ენებში ფართოდ დასტურდება ისეთი მოვლენა, როდესაც ადამიანები იღებენ ცხოველების თვისებებს და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტაფორასთან ადამიანები ცხოველებია (HUMANS ARE ANIMALS) და ადამიანის საქციელი ცხოველის საქციელია (HUMAN BEHAVIOR IS ANIMAL BEHAVIOR), სადაც ცხოველები წყაროს სფეროა და ადამიანები – მიზნისა. ზოგადად, ამ მეტაფორაში „არასასურველობა“ არის მნიშვნელობების ძირითადი ფოკუსი (ანუ, ჭარბობს უარყოფითი კონოტაცია).

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში წყაროს სფეროს წარმოადგენს თხა, კურდღელი, კატა და ფოცხვერი. აღნიშნული კონცეპტები საკმაოდ მსგავსი აღმოჩნდა, თუმცა აღინიშნება განსხვავებებიც; წყაროს სფეროდან – თხა (capra) და კატა (felino) უმთავრესად პროექტირდება მოძრაობა; თხა იტალიურში უტვინო და ჯიუტი ადამიანია. კონცეპტიდან – კურდღელი – (coniglio) მოქმედებების გარდა პროექტირებულია სიმხდალე, თუმცადა ქართულისაგან განსხვავებით გამოყოფილია მორიდებულობა და სწრაფი გამრავლების უნარი. რაც შეეხება ფოცხვერს (lince), იტალიურ ენაში ის პროექტირდება როგორც განსაკუთრებული მხედველობის მქონე ადამიანი, ხოლო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მის მტაცებლურ მახასიათებელს გამოყოფს.

### ლიტერატურა

1. [Aliakbari M., Faraji E., \(2013\) Conceptualization of Man's Behavioral and Physical Characteristics as Animal Metaphors in the Spoken Discourse of Khezeli People, <https://bop.unibe.ch/linguistik-online/article/view/1141/1867>](https://bop.unibe.ch/linguistik-online/article/view/1141/1867)
2. [CORIS/CODIS Corpus of Written Italian, \[https://corpora.fclit.unibo.it/coris\\\_engDesign.html\]\(https://corpora.fclit.unibo.it/coris\_engDesign.html\)](https://corpora.fclit.unibo.it/coris_engDesign.html)
3. Fontecha A. F., Jimenez R.M. (2003): Semantic derogation in animal metaphor: A contrastive-cognitive analysis of two male/female examples in English and Spanish. // Catalan Journal of Pragmatics 35. 771–797.
4. Kövesces Z. (2010): Metaphor. A practical introduction. Oxford University Press.
5. Lakoff G., Johnson M. (1980): Metaphors We Live By. University of Chicago Press.

6. Lakoff G., Turner M. (1998): More than Cool Reason. University of Chicago Press.
7. Johnson M. (1987): The Body in the Mind, University of Chicago Press.
8. Martsa S. (1999): *Linguistica e Filologia* 9, გვ.75-87
9. Martsa S. (2007): Conceptual Mappings Underlying Metaphoric Applications of Generic and Specific Terms for Animals; *Studies in Applied and Theoretical Linguistics*.
10. Treccani: <https://www.treccani.it/vocabolario/disco/>
11. Lo Zingarelli 2001, *Vocabolario della Lingua Italiana* di Nicola Zingarelli, Bologna.
12. იდიომური გამოთქმების ლექსიკონი <https://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
14. ქართული ენის ეროვნული კორპუსი <http://gnc.gov.ge/gnc/page>
15. ქართული ენის კორპუსი <http://corpora.iliauni.edu.ge/>

**Maia Javakhidze**

Javakhishvili state University

Tbilisi Georgia

maiajava@yahoo.com

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.66>

### **Man's Characteristics in Animal Metaphors in Italian and Georgian (goat, rabbit, cat, lynx)**

Abstract

The present article deals with Animal Metaphors in Italian and Georgian languages. The source domains in the material we discussed are goat, rabbit, cat, and lynx. The mentioned concepts were quite similar, although differences are also noted. From the source domain - goat (capra) and cat (felino) are mainly projected movements and actions. In Italian, a goat is a brainless and stubborn person. From the source domain - rabbit - (coniglio), in addition to different actions, in both languages, is projected cowardice; however, unlike Georgian, shyness and the ability to reproduce quickly are highlighted in Italian. As for the lynx, in the Italian language, it is projected as a person with a unique vision, while the explanatory dictionary of the Georgian language singles out its predatory characteristic.

**Key words:** Man's Characteristics, in Animal Metaphors, in Italian and Georgian languages

**ინგა მარგველაშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

inga.margvelashvili@atsu.edi.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.68>**„ალექსანდრეს წიგნი“ წინააზიის თურქულენოვან სამყაროში**

აღმოსავლური სამყაროს მიერ ალექსანდრე მაკედონელით დაინტერესებას და მისი ჰეროიკულ გმირად გამცხადებას თავისი წინაპირობები გააჩნდა. ნაწილი მკვლევარებისა ალექსანდრე მაკედონელის თემის გააქტიურებას განიხილავენ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისა და მონღოლთა იმპერიის წარმოშობის შედეგად ჩამოყალიბებული მძიმე საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარ პროდუქტად. ძალადობის, უსამართლობისა და სისასტიკის ფონზე ალექსანდრეს პერსონას მიიჩნევენ სამართლიანობისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ (კასტრიტსისი 2016, 243), თუმცა ძველი მსოფლიოს უდიდესი მხედართმთავრის ისტორიული და მხატვრული სახე (356-323 ძვ. წ) რახანია ხიბლავდა აღმოსავლეთის მმართველებს.

ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების აღწერა ჯერ კიდევ მისი მემკვიდრეების მიერ დაიწყო. შემდგომში მაკედონელის მხატვრულ-ისტორიულ სახეს შეეხო მრავალი დასავლელი და აღმოსავლელი მწერალი.

ალექსანდრე მაკედონელის შესახებ I საუკუნეში დაიწერა რომანი, რომელიც III საუკუნეში შეივსო და ამ სახით გავრცელდა ჯერ დასავლეთში შემდეგ აღმოსავლეთის ხალხებში. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფია დროდადრო იმის მიხედვით იცვლებოდა, როგორც ამას ადგილობრივ ქვეყანაში გაბატონებული კლასის ინტერესები მოითხოვდა. ასე, მაგალითად ეგვიპტელებმა იგი ეგვიპტელად და, მაშასადამე, ეგვიპტის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადეს; ირანელებმა იგი აქემენიდთა დინასტიის შთამომავლად ცნეს და ირანის სამეფო ტახტის ნამდვილ მემკვიდრედ მიიღეს, რამაც ასახვა ჰპოვა კიდევ ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“. ის აქ ირანელადაა წარმოდგენილი და ქვეყნად სიკეთისა და კეთილსინდისიერების გამავრცელებლად გვევლინება.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ (Xს.) დაწვრილებითაა აღწერილი ალექსანდრეს ცხოვრება. ნიზამი განჯელის (XIIIს.) პოემაშიც, „ისქანდერ-ნამე“, ალექსანდრე მაკედონელი არა მარტო უბადლო მხედართმთავარია, არამედ თანასწორობის დამკვიდრებისათვის მებრძოლის სიმბოლოსაც წარმოადგენს.

უფრო მოგვიანებით ეს ტენდენცია უფრო გაღმავდა. მონღოლებისა და ჯვაროსნული ლაშქრობებისაგან გადაღლილი აღმოსავლეთისათვის ალექსანდრეს პერსონა შეიძლება ჩაითვალოს რომანტიკულ გმირად, რომელსაც იდეალისტური იერსახე აქვს. ამას კი თავისი ფილოსოფიურ რელიგიურ წინაპირობაც აქვს ისლამურ აღმოსავლეთში.

ყურანის მე-18 სურა იცნობს ხელმწიფეს სახელწოდებით ზულკარნაინი (ორრქიანი), რომელმაც ააშენა დამცავი კედელი იაჯუჯისა და მაჯუჯის ხალხის შესაკავებლად. გარდა იმისა, რომ ზულკარნაინი პოზიტიური პერსონაშია, ყურანის კომენტატორებმა, სხვადასხვა ნარატივის საფუძველზე, იგი გააიგივეს ალექსანდრე მაკედონელთან. ასეც არ არის, კომენტატორთა ნაწილი შეეცადა, ზულკარნაინი კიროს დიდთან ან სოლომონ ბრძენთან

დაეკავშირებინა. ზულკარნაინი რომ დიდებული ხელმწიფე უნდა ყოფილიყო, ამაზე ყველა კომენტატორი თანხმდებოდა (ათ-თაბარი, იბნ ნასიბი და სხვა). მათი დასკვნით, ზულკარნაინი ისტორიული პიროვნება უნდა ყოფილიყო, აბრაამის პერიოდის მოღვაწე.

ყურანის თანახმად, ზულკარნაინი ქადაგებდა მონოთეისტურ რწმენას და ხალხს მოუწოდებდა ღმერთის გზას შესდგომოდნენ. ალაჰმა მას უბოძა ხელისუფლება და ისიც იბრძოდა წარმართების წინააღმდეგ. თავისი ძლევამოსილებით მან შეძლო ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა აზიასა და ევროპაში.

ყურანის მიხედვით გამორჩეულია ზულკარნაინის ბრძოლა იაჯუჯისა და მაჯუჯის ხალხთან. ეს ტომები ეწეოდნენ უღმერთობას, იქცეოდნენ ამორალურად. ამიტომაც ააგო ზულკარნაინმა ორ მთას შორის კედელი მათ შესაკავებლად.

ზულკარნაინის სურის მთავარი სათქმელი არის ის, რომ რისი გაკეთებაც შეძლო ზულკარნაინმა, ეს ყოველივე ღვთისაგან ნაბოძები ძლევამოსილებით მოხდა.

ირკვევა, რომ ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ეპოსი („ისქანდერ-ნამე“) საერთო კულტურული მემკვიდრეობაა. მასში მოთხრობილია იმპერიის ლეგენდარული მშენებლის ლაშქრობების, დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ; გვხვდება რეალური და ფანტაზიით შექმნილი ქვეყნები.

„ისქანდერ-ნამეს“ დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ხოლო უფლისწილებისათვის ქვეყნის მართვის ქრესტომათიულ სახელმძღვანელოდ იქცა.

ეპიკური პერსონაჟი - ალექსანდრე მაკედონელი - წინასწარმეტყველის ან მოციქულის არქეტისაგან ქმნის. იგი ისლამისა და ქრისტიანობის, ბიზანტიელი იმპერატორის ან მუსლიმი ხელმწიფის დამცველია. ბიზანტიაში, შუა საუკუნეებში თანდათან ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, ალექსანდრე წარმოედგინათ ქრისტიანი, რომელიც გაემურა იერუსალიმში და დაანგრია წარმართული ტაძრები.

როგორც ვნახეთ, ისლამში იგი სიწმინდით გამორჩეული პერსონაჟია. ირანულმა ტრადიციამაც იგი ირანულად თავისი მტრის დარიოსის ნახევარძმად გამოაცხადა და შესაბამისად, კანონიერ მმართველად.

წინა აზიაში ოსმალეთის ჩამოყალიბების შემდეგ გაჩნდა პერსპექტივა თურქულენოვანი ლიტერატურის ფორმირებისა, რომელიც ეპიკის მიმართულებით დაეფუძნა, დაეყრდნო კლასიკური სპარსული ეპოსის ტრადიციას, ხოლო ლირიკა ნასაზრდოები იყო არაბულ-სპარსული გამოცდილებით. თურქული რომანტიკული ეპოსის ნაკადის თვალსაჩინო ნიმუშია თავჯედინ აჰმედის (1334-1413) „ისკენდერ-ნამე“ *İskender-nâme*.

აჰმედი თავის პოემაში პირდაპირ აცხადებს, რომ მისი პოემისათვის ნაზირეს (მიბადვის ობიექტს) წარმოადგენს ნიზამი განჯევის ამავე სახელწოდების სპარსულენოვანი გენიალური თხზულება. თავად ალექსანდრეს თავგადასავლის თხრობა პრაქტიკულად არ განსხვავდება ნიზამისაგან, თუმცა ზოგიერთი დეტალი ტოვებს შტაბეჭდილებას ლიტერატურულ წყაროთა დივერსიფიკაციაზე.

შეიძლება ითქვას, რომ აჰმედიმ „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“ ბრმად კი არ გადმოიღო ნიზამი განჯელიდან, არამედ მხატვრულად გადამუშავა. აბსოლუტური სიახლე, რაც აჰმედიმ პოემაში შეიტანა, ეს არის მცირე აზიის ისტორიის თხრობა. დეტალურადაა ამ ნაწილში განხილული ოსმალთა დინასტიის ისტორია. მან პოემაში აგრეთვე განათავსა განმარტებანი ფილოსოფიის, მედიცინის, ასტრონომიის, გეოგრაფიის, ზღვაოსნობის შესახებ.

აჰმედის პოემაში გადმოცემულია, ისქანდერის (ალექსანდრეს) აღზრდის ეპიზოდები, მის მიერ ტახტის დაუფლება. ისტორიულად ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელი შეპყრობილი იყო მსოფლიოს დაპყრობის სურვილით, ხოლო აღმოსავლეთში გადამუშაველი მხატვრული სიუჟეტების მიხედვით ის თანასწორობისა და სამართლიანობის სიმბოლოა. ნიზამი განჯელისა და, შესაბამისად, აჰმედის პოემის გმირიც



წარმოჩენილია არა როგორც ისტორიული პიროვნება, არამედ იდეალური მეფე რომელიც სამართლიანობისა და ჭეშმარიტებისათვის იბრძვის.

მართალია, აჰმედი თავისი პოემის მთავარ წყაროდ ნიზამი განჯელის პოემას ასახელებს, მაგრამ ის, რომ აჰმედის პოემაში ალექსანდრე წარმოდგენილია ირანელ მეფეთა კანონიერ მემკვიდრედ, ეს მიკროსიუჟეტი აღებული ჩანს ფირდოუსის „შაჰ-ნამედან“. აქვე მოგვითხრობს აჰმედი, რომ ალექსანდრე ბავშვობიდანვე დაეუფლა არისტოტელეს, სოკრატეს, პლატონის, ჰიპოკრატეს სწავლებებს. როდესაც მას შეუსრულდა 16 წელი, იგი გაეშურა აღმოსავლეთისა და ადასავლეთის ქვეყნების დასაპყრობად. მისი ეს ბრძოლები ფანტასტიკური ფერებითაა დახატული. მისი თავგადასავლები არაბუნებრივი და იდუმალებით აღსავსეა. საბოლოოდ ისქანდერი მიაღწევს დიდებისა და ძლიერების მწვერვალს. იგი გადაწყვეტს ხელში ჩაიგდოს უკვდავების წყარო (აბი ჰაიათ), რათა გახდეს თავადაც უკვდავი. აღმოჩნდება, რომ ეს უკვდავების წყარო „წყვდიადის ქვეყანაშია“, სანამდეც მისვლა საკმაოდ რთულია, თუმცა იგი მაინც გაუდგება ამ გზას. საბოლოოდ იგი ვერ მიაკვლევს უკვდავების წყაროს, სამაგიეროდ მოიპოვებს ახალ მატერიალურ სიმდიდრეს, რომელიც მას აღარ აკმაყოფილებს. „წყვდიადის ქვეყანიდან“ დაბრუნებისას მას სევდა შეეყრება, რომელიც საბოლოოდ იმსხვერპლებს.

როგორც ცნობილია, აჰმედი მოღვაწეობდა სულთან მურადისა და სულთან ბაიაზიდის ხელმწიფობისას. პოეტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერვენებინა აღნიშნული პოემით ქვეყნის მართვისა და საზოგადოებასთან დამოკიდებულების დადებითი, მართებული მანერები, თუმცა ნიზამი განჯელისაგან განსხვავებით, აჰმედი ერიდება „ზიანის მომტანი“, მწვავე კითხვებისა და გამოწვევების წინა პლანზე წამოწევას. აჰმედის „ისქანდერ-ნამე“ მეტადრე თანადრულ და ღირებულ თხზულებად ითვლება თურქული ლიტერატურის ისტორიაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. გარბუზოვა 1963: Гарбузова В. С., Поэты Средневековой Турции, Издательство Ленинградского Университета, 1963
2. ფოდორი 1984: Fodor P. Ahmedi's Dasitan as a Source of Early Ottoman History, Acta Orientalia Academiae Scientiarum Hungaricae. 1984. Vol. 38.
3. კასტრიტსისი 2016: Kastritsis D., The Alexander Romance and the Rise of the Ottoman Empire//Islamic Literature and intellectual life in fourteenth and fifteenth century Anatolia / Edited by A.C.S. Peacock, Sara Nur Yıldız. — Würzburg: Ergon-Verlag GmbH, 2016.

**Inga Margvelashvili**

Akaki Tsereteli state university

Kutaisi. Georgia

inga.margvelashvili@atsu.edi.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2024.09.68>

#### **"The Book of Alexander" in the Turkish-speaking world of West Asia Summary**

The Oriental world's interest in Alexander the Great and the proclamation of him as a heroic figure has its prerequisites.

The description of the life of Alexander the Great was started by his successors. Subsequently, the artistic and historical image of alexander was touched by many Western and Eastern writers.

A novel was written about Alexander the Great in the first century, which was filled in the third century and spread in this form, first, in the West and then in the peoples of the East. It is noteworthy

that the biography of Alexander the Great modified from time to time according to the interests of the upper class in the local country

The 18th Sura of the Quran is familiar with a prince called Zulkarnain (two-horned), who built a protective wall to hold the people of Yajuji and Majuji. In addition to the fact that Zulkarnain is depicted as a positive person, the commentators of the Qur'an, based on various narratives, equated it with Alexander the Great.

It turns out that the epic ("Iskander-Name") about Alexander the Great is a common cultural heritage.

After the formation of the Ottoman domain in west Asia, a prospect emerged of the formation of Turkish literature, which in terms of Epic was based on the tradition of the classical Persian epic, and the lyric was nurtured by the Arabic-Persian experience. A prominent example of the flow of the Turkish romantic epic is Tamedin Ahmedi's (1334-1413) "Isender-Name" *İskender-nâme*.

Ahmedi in his poem explicitly states that the pattern for his poem is the Persian masterpiece of the same name by Nizami Ganjavi. The narrative of Alexander's adventure itself is practically no different from Nizam, although some details leave the impression of a diversification of literary sources.

It can be said that Ahmedi did not take "the life of Alexander the Great" blindly from Nizami Ganjavi but reworked it artistically. The absolute novelty is the narration of the history of Asia Minor by Ahmedi which he inserted in his poem. The history of the Ottoman dynasty is discussed in detail in this section. In the poem he inserted definitions about philosophy, medicine, astronomy, geography, sailing.

Ahmedi's main goal was to show the positive, valid manners of managing the country and public attitudes in this poem, but unlike Nizami Ganjavi Ahmedi avoids putting forth "harmful", severe questions and challenges.

## შინაარსი

<b>თამარ ალფაიძე</b> მულტიმედიის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში.....	6
<b>თამთა ამირანაშვილი</b> „არც ისე ღრმად „დამარხული“ სიმულვილი: მტრობის თემის განსხეულება კაზუო იმიგუროს რომანში „დაფლული გოლიათი“ .....	7
<b>ნათია არველაძე</b> ეპითეტების თარგმანისათვის ძველი ბერძნული ეპიკური პოეზიიდან (ჰომეროსი, აპოლონიოსი) .....	12
<b>ნატო ახალაია</b> ატრიბუტულ სახელებში გამოვლენილი -ონ სუფიქსის კვალიფიკაციისათვის ლაზურში.....	18
<b>ციური ახვლედიანი</b> ფრანგული ენის ქრონოლოგიური ვარიაციულობა.....	22
<b>იაგორ ბალანჩივაძე</b> სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების ჩართულობით, სწავლის ხარისხის გაუმჯობესება.....	25
<b>ანა გიგაური</b> ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლა/სწავლების დროს უნივერსიტეტში.....	31
<b>Гик Анна Владимировна</b> Стратегии Семантической деривации поэтического языка (лексема "Земля" - по материалам "словаря языка русско поэзии двадцатого века") .....	39
<b>Гик Юрий Львович</b> Особенности языка направления современного искусства "Мейл-Арт" .....	44
<b>Susanna Grigoryan</b> SEMANTIC AND OPERATIONAL EXAMINATION OF A NUMBER OF TERM WORDS OF GRIGOR TATEVATSI .....	51
<b>ნანა გულიაშვილი</b> ხელოვნების ენა - კულტურის ძირითადი მახასიათებელი.....	55
<b>სოფიო გულიაშვილი</b> ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელობა შუასაუკუნეების საქართველოს ყოფითი რეალიების შესწავლისათვის.....	59
<b>ვაჟა დანელია</b> მივიწყებულ ქართულ თამაშობათა ზოგიერთი ტერმინისათვის.....	67

<b>ნატო დვალა</b> ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა დაწყებით სკოლაში.....	73
<b>ლეილა დიასამიძე, თონა თედორაძე</b> GPT მოდელების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას.....	76
<b>ბელა დურგლიშვილი</b> მარადიული მისტერია ჯემალ ქარჩხაძის ლექსში „წიგნი ა მოსესი“ .....	82
<b>Ерановска Эльжбета</b> Особенности межъязыковой Интерференции близкородственных языков на примере изучения польского языка носителями русского языка.....	86
<b>Ekaterine Vatsadze</b> Tiger versus Panda Parenting in raising self-esteem.....	91
<b>Врона-Малска Иоанна, Болеста-Врона Божена</b> Методика Преподавания польского языка как иностранного.....	97
<b>რუსუდან ზექალაშვილი</b> ორვალენტთან გარდაუვალ ზმნათა ზოგიერთი არასწორი ფორმა ქართულში .....	102
<b>ნინო თავიდაშვილი</b> უცხოური ენის სწავლების მაკროსტრატეგიები პოსტმეთოდურ ეპოქაში.....	107
<b>ვახტანგ თევდორაძე</b> არაბთა დღეების კომპოზიცია .....	113
<b>Ekaterine Topuria</b> Functional-Systematic forms in Public Speeches of Politicians.....	119
<b>იმედაძე სოფიო, შიშინაშვილი მაია</b> არაბულ-სპარსული წარმოშობის მცენარეთა სახელები სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით (7).....	124
<b>ნანა იობიშვილი</b> გასართობი თოქშოუსა და ახალი ამბების ზოგადი სტრუქტურული შედარება.....	131
<b>თამარი ირემაძე</b> „მე ვაგროვებ ოსირისის ნაწილებს“: ეზრა პაუნდის მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკისათვის.....	136
<b>მარინა კობეშვიძე, ნინო ჭრიკიშვილი</b> ალ-ანდალუსის ქრისტიანებიდან მოსარაბებამდე. Jarchas - ლირიკური პოეზიის უძველესი ნიმუშები ესპანეთში.....	142
<b>ნონა კოპალიანი</b> შეფასების კატეგორიის კვლევის ძირითადი პრობლემები ლინგვისტიკაში.....	147

<b>შორენა ლაზარიაშვილი</b> ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება .....	151
<b>ლელა მალულარია</b> „თანამედროვე ენათმეცნიერების გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემები“ .....	158
<b>თამარ მახარობლიძე</b> ბრუნვათა სისტემის შესახებ ქართულ ქესტურ ენაში.....	162
<b>შორენა მახაჭაძე</b> დიგიმოდერნისტული კრებული <i>/ნიკა ფუტყარაძის „დუმბლის ქარაგმები“/</i> .....	167
<b>რუსუდან მიქაუტაძე</b> ელიზაბეტ კეიდი სტენტონი და კატო მიქელაძე-ფემინისტური მოძრაობის ფუძემდებლები აშშ-სა და საქართველოში .....	172
<b>მანანა მიქაძე</b> ოტია იოსელიანის სიმფონია ლექსიკონისათვის - თანამედროვე ტენდენციები და ძირითადი სტრუქტურული ტიპები.....	177
<b>ნანა მრევლიშვილი, თინათინ ჯიქურაშვილი</b> <i>შუშანიკის წამების</i> გვიანდელი რედაქციები.....	180
<b>ლიდა ობოლაძე, ანა ფიფია</b> მოტივაცია და მოტივაციის ამალგების საშუალებები.....	187
<b>ლელა ონიანი</b> ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა კულტურის ასპექტში.....	191
<b>ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი, ლალი აბდალაძე</b> საბავშვო ბალისა და ოჯახის ერთობლივი საქმიანობა სკოლამდელელებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების მიზნით.....	194
<b>ირმა რუსაძე</b> ადამიანის ფაქტორი ენის ფრაზეოლოგიაში.....	198
<b>ინგა სანიკიძე</b> რუსთველური „სისხლი“ და რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“ .....	204
<b>რამაზ სვანიძე</b> პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სარეკლამო რგოლების შედარებითი ანალიზის შესახებ (2013 წლის საპარლამენტო არჩევნები) .....	213

<b>ნინო სოხაძე</b>	
ჰომო-საპიენსის როლი კაცობრიობის განვითარებაში.....	220
<b>მაკა სუსარიშვილი</b>	
ექსპლიციტური რეფერენციის მხატვრული ფუნქცია ორჰან ფამუქის რომანში „წითური ქალი“ .....	223
<b>საბა ტაველიშვილი, ვიქტორ ჩიკაძე</b>	
საქართველო თურქეთის დიპლომატიური ურთიერთობები 1990-92 წლებში.....	228
<b>ეკატერინე ფანგანი</b>	
მოქალაქის კონცეპტი რომან „აველუმში“ .....	233
<b>ნათელა ფარტენაძე</b>	
წინადადების ტიპები და გამოხატვის საშუალებები სარეკლამო სლოგანებში .....	239
<b>თინათინ ფხალაძე</b>	
"წყვიდადის გული" როგორც კოლონიური გოტიკის ნიმუში .....	247
<b>მანანა ქაჯაია</b>	
გიორგი წერეთლის შემოქმედების ერთი ასპექტი აკაკის პუბლიცისტიკაში .....	252
<b>ლეილა ქველიძე</b>	
„ახალი პოეზიის“ განვითარების თავისებურება ეგვიპტეში (XX საუკუნის მეორე ნახევარი) .....	257
<b>მაია ქვრივიშვილი</b>	
კულტურის ბოლშევიკური მოდელი (XX საუკუნის 20-30-იანი წლები) .....	262
<b>ელენე ქილიფთარი</b>	
„მათემატიკური სიზუსტის ლინგვისტური სტანდარტები და ილიას „ოთარანთ ქვრივი“ ანუ ლინგვისტური ერთეულები, როგორც ქცევისა და მეტყველების დაბალანსების, ხასიათთა ხატვის საშუალება.....	270
<b>სოფიო ქიტესაშვილი</b>	
ემოციური ინტელექტი მხატვრულ ლიტერატურაში.....	279
<b>ელისო ქორიძე</b>	
უარყოფის პრობლემატიკის რამდენიმე საკითხი თანამედროვე გერმანულ ენაში .....	284
<b>მურმან ქუთელია</b>	
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი სალიტერატურო არაბული ენის შესახებ .....	290

<b>ეკატერინე ქურდაძე, ნინო დემეტრაძე</b> სამეტყველო და ტექსტობრივი ჟანრების მიმოხილვა .....	295
<b>მედეა ლლონტი</b> მშობლიური ქართული ენის საუკუნოვანი ფუნქციონირების საღვთისმეტყველო საფუძვლები (ცოდნისა და რწმენის გაერთიანებისათვის) .....	298
<b>თამარ შაიშმელაშვილი</b> ალაზნის შვილი ილია ჭავჭავაძე.....	306
<b>მალვინა შანიძე</b> დიალოგის, მიმართვის ფორმისა და ინტერვიუს ჩაწერის სტრატეგიები დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე .....	312
<b>თამარ შარაბიძე</b> დრამატურგიული ცენზურა კავკასიაში (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები).....	318
<b>ნუნუ ჩარკვიანი, სოფიო ყიფიანი</b> სიტყვარის სწავლების თავისებურებანი ბიზნეს ინგლისურში.....	327
<b>თამარ ციციშვილი</b> ზოგიერთი საკითხი რუსეთის იმპერიული ცენზურის ისტორიიდან XIX საუკუნის საქართველოში.....	332
<b>ზვიად ცხვედიანი</b> სოციოლინგვისტური სიტუაცია საულის არაბეთში: „თეთრი დიალექტი“ .....	338
<b>ნინო ძამუკაშვილი</b> ბრუნოს აბლაბუდის ქსელში მოყოლილ პერსონაჟთა კლასტერი (აირის მერდოკის რომანის „ბრუნოს სიზმარი“ მიხედვით) .....	344
<b>ანა წერეთელი</b> ქრონოტოპული პოლიფონია მოდერნისტულ რომანის სტრუქტურაში .....	349
<b>თამარ წულაია</b> XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ასახვა ენის ფუნქციონირებაზე .....	355
<b>თემურ ჯაგოდნიშვილი</b> რაფიელ ერისთავი და სულხან-საბა ორბელიანი.....	363
<b>მაია ჯავახიძე</b> ადამიანები და მათი თვისებები ცხოველთა სახელების შემცველ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში (თხა, კურდღელი, კატა, ფოცხვერი).....	369
<b>ინგა მარგველაშვილი</b> „ალექსანდრეს წიგნი“ წინააზიის თურქულენოვან სამყაროში.....	375

## Content

<b>Tamar Alphaidze</b> The Role of Multimedia in Language Teaching.....	3
<b>Tamta Amiranashvili</b> Not so Deeply Buried Hatred: Embodying the Theme of Animosity in Kazuo Ishiguro's <i>The Buried Giant</i> .....	11
<b>Natia Arveladze</b> For the Translation of Epithets from an Ancient Greek Epic Poetry (Homer, Apollonius).....	16
<b>Nato Akhalaia</b> The Qualify the suffix -on in attributive names in Lazure.....	21
<b>Tsiuri Akhvlediani</b> Chronological variability of the French language.....	24
<b>Iagor Balanchivadze</b> Improving the quality of education with the involvement of parents of pupils with special educational needs .....	30
<b>Anna Gigauri</b> The use of Artificial intelligence (AI) while teaching/learning English as a Foreign Language at the University Level .....	38
<b>Сусанна Григорян</b> Функциональное и когнитивное исследование ряд терминологических слов Григора Татеваци .....	54
<b>Nana Guliashvili</b> The Language of Art is the Main Feature of Culture.....	58
<b>Sophio Guliashvili</b> The importance of hagiographic texts for studying the realities of medieval Georgia .....	66
<b>Vaja Danelia</b> For some forgotten Georgian game terms .....	72
<b>Nato Dvali</b> Education of will and character in elementary school.....	75
<b>Leila Diasamidze; Teona Tedoradze</b> Application of GPT Models in English Language Teaching.....	81
<b>Jeranowska Elżbieta</b> Features of Interlanguage Interference of Closely Related Languages by the example of Studying Polish Language by Russian Speakers .....	90



<b>Wrona-Malska Joanna, Bolesta -Wrona Bozena</b> Methodology For teaching Polish As a Foreign Language.....	101
<b>Rusudan Zekalashvili</b> About Some Wrong Forms of the Georgian Bivalent Non-transitive Verbs.....	106
<b>Nino Tavidashvili</b> Macrostrategies for Foreign Language Teaching in Postmethod Era .....	112
<b>Vakhtang Tevdoradze</b> The Composition of "AYYĀM al-'ARAB" (Days of the Arabs) .....	117
<b>ეკატერინე თოფურია</b> პოლიტიკოსთა საჯარო გამოსვლების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი .....	123
<b>Sophio Imedadze, Maia ShiShinashvili</b> The names of the Arab-Persian origin plants according to Sulkhan-Saba Orbeliani "Georgian Dictionary" (7) .....	130
<b>Nana Iobishvili</b> A general structural comparison of entertainment talk show and news interview .....	135
<b>Marina Kobeshavidze, Nino Chrikishvili</b> From the Christians of Al-Andalus to the mosarabs Jarchas – the oldest examples of lyric poetry in Spain.....	146
<b>Nona Kopaliani</b> Basic Problems of evaluative category research in Linguistic .....	150
<b>Shorena Lazariashvili</b> Legal Nature of the Administrative Contract .....	157
<b>Maghularia Lela</b> Methodological and epistemological problems of modern linguistics .....	161
<b>Tamar Makharoblidze</b> On Case system in Georgian Sign Language .....	166
<b>Shorena Makhatchadze</b> Digimodernist collection /Nika Putkaradze's "Echoes of Stillness"/.....	171
<b>Rusudan Mikautadze</b> Elizabeth Cady Stanton and Kato Mikeladze - Founders of the Feminist Movement in the USA and Georgia .....	176
<b>Manana Mikadze</b> Otia Ioseliani's symphony for the dictionary – modern trends and basic structural types .....	179

<b>Nana Mrevlishvili, Tinatin Jikurashvili</b> Later editions of Shushanik tortures .....	186
<b>Lida Oboladze, Ana Pipia</b> Motivation and Ways to Increase Motivation .....	190
<b>Lela Oniani</b> Linguoculturological paradigm in the aspect of Culture .....	193
<b>Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani, Lali Abdaladze</b> Joint activity of kindergarten and family in order to form a healthy lifestyle in preschoolers.....	197
<b>Irma Rusadze</b> The Human Factor in Language Phraseology .....	203
<b>Inga Sanikidze</b> Rustaveli's „Blood“ and some Significant Contexts in the „The Knight in the Panther“ .....	211
<b>Ramaz Svanidze</b> On the comparative analysis of election commercials of political parties (2013 parliamentary elections) .....	219
<b>Nino Sokhadze</b> Homo-sapiens' role of developing mankind.....	222
<b>Susareishvili Maka</b> Artistic Function of Explicit Reference in Orhan Pamuk's Novel „The Red Haired Woman“ .....	227
<b>Saba Tavelishvili, Viktor Chikaidze</b> Diplomatic relations between Georgia and Turkey in 1990 - 92 .....	232
<b>Ekaterine Fangani</b> The concept of a citizen in the novel Avelum .....	238
<b>Natela Phartenadze</b> Types of sentences and means of expression in advertising slogans .....	246
<b>Tinatin Phkhaladze</b> "Heart of darkness" as a sample of Colonial Gothic .....	251
<b>Manana Kajaia</b> One Aspect of Giorgi Tsereteli's Creativity in Akaki's Journalism .....	256
<b>Leila Kvelidze</b> Trends in the development of new Arabic poetry in Egypt (Second half of the twentieth century) .....	261
<b>Maia Kvrivishvili</b>	

Bolshevik model of culture (20-30s of XX century) .....	269
<b>Sophio Qitesashvili</b>	
Emotional Intelligence in Fiction.....	283
<b>Eliso Koridze</b>	
Einige Fragen zum Problem der Negation in der modernen deutschen Sprache .....	289
<b>Murman Kutelia</b>	
Gibran Khalil Gibran on Literary Arabic Language .....	294
<b>Medea Ghlonti</b>	
Theological foundations of the age-old functioning of the native Georgian language. (for the unification of knowledge and faith) .....	305
<b>Tamar Shaishmelashvili</b>	
Ilia Chavchavadze – Son of Alazani .....	311
<b>Malvina Shanidze</b>	
Dialogue, application form and interview recording strategies in elementary level Georgian language and literature classes .....	317
<b>Tamar Sharabidze</b>	
Dramaturgical Censorship in the Caucasus (1879-1905) .....	325
<b>Nunu Charkviani, Sopio Kipiani</b>	
Some peculiarities in teaching business vocabular .....	331
<b>Tamar Tsitsishvili</b>	
Some Issues from the History of Russian Imperial Censorship in XIX Century Georgia .....	336
<b>Zviad Tskhvediani</b>	
The Sociolinguistic Situation in Saudi Arabia: The “Wight Dialect”.....	343
<b>Nino Dzamukashvili</b>	
The Cluster of Characters Caught in Bruno’s Cobweb (based on <i>Bruno’s Dream</i> by Iris Murdoch) .....	348
<b>Ana Tsereteli</b>	
Chronotopic Polyphony in Modernist Novel Structure.....	354
<b>Tamar Tsulaia</b>	
The Impact of the Social and Political Situation of the 19 <sup>th</sup> Century Georgia on Language Functioning .....	362
<b>Temur Jagodnishvili</b>	
Rafiel Eristavi and Sulkhan-Saba Orbeliani.....	368

**Maia Javakhidze**

Man's Characteristics in Animal Metaphors in Italian and Georgian  
(goat, rabbit, cat, lynx) .....374

**Inga Margvelashvili**

"The Book of Alexander" in the Turkish-speaking world of West Asia.....377